

იან ლიეოვი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
... თბილისი ... 1997 ...

წარსულში ცნობილი მოკვდავე და მწერტნელი — ამჟამად სსრ კავ-
შირის კიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, კიდაობის საერთა-
შორისო ფედერაციის პროპაგანდის კომიტეტის (ფილას) წევრი, ცნობი-
ლი სპორტული ჟურნალისტი იან დიშოვი მხოლოდ კიდაობასა და მო-
კიდავეებზე წერს.

სწორედ ამ ერთგულების გამო დაიმსახურა მან. მსოფლიოში ერთად-
ერთმა ჟურნალისტმა, ფილას ოქროს მედალი. ამასთანავე იგი დაჯილ-
დობულია სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (ლიპსის)
ოქროს მედლით.

ავტორი ზედმიწეენათ იცნობს და უყვარს ის სამყარო, რაზედაც
წერს. წარმოდგენილი ნაშრომი „საქართველოს ფალაენები“ დიდი სიყ-
ვარულით დაწერილი წიგნია. მასში შესულია მხატვრულ-დოკუმენტური
ნარკვევები გამოჩენილ ქართველ ფალაენებზე, ცნობილ მწერტნელებსა
და იმ აღამიანებზე, რომლებმაც თავიანთი ღვაწლით დიდი ამაგი დას-
დეს ქართული საკუდაო სკოლის აღორძინება-წინსვლას.

თარგმანი ოთარ ზრატიაშვილისა

რეცენზენტები: პროფესორები აკთანდილ ციბაძე
და ივანე ალიხანოვი

4702170100 — 001

D — — — — — 168 — 87

M 601 (08) — 87

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987

სამამაც სულის დიდებული თვისება: ამ თვისებით გამორჩეული ხალხი უნდა ამყობდეს.

ნ. მ. კარამუნია

ფალანგების ესტაფეტა

ამ წიგნით გვინდა გავმხოთ სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობაზე — ჭიდაობაზე. მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონების: არსენ მეკოკიშვილის, დავით ციმაკურიძის, გივი კარტოზიას, რომან რურუას, ვახტანგ ბალაეაძის, ლევან თედიაშვილის, შოთა ჩოჩიშვილის და ბევრი სხვა ქართველი მოჭიდავის სახელი კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში.

წიგნი მკითხველს უხმობს სამყაროში. სადაც ცხოვრობენ მამაცი და გამბედავი. პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანები. თუმცა მათი ცხოვრების გზები, ხასიათის თავისებურებანი მეტად განსხვავებულია, მაგრამ ამ ადამიანებს აერთიანებთ ერთ-ერთი თვისება — სპორტისადმი, იმის უნარი, რომ საკუთარი, მნიშვნელოვანი სიტყვა თქვან მათ მიერ არჩეულ საქმეში და დაიპყრონ უმაღლესი მწვერვალები.

საბჭოთა საქიდაო სკოლა (ავტორი ხმარობს გამოთქმას „ჭიდაობის აკადემია“ და სავსებით ვეთანხმები მას) ძლიერია თავისი ეროვნული სკოლებით — ქართული, სომხური, ჩრდ. ოსეთის, ბელორუსიული, ყაზახური, აზერბაიჯანული, უზბეკური თუ სხვ. თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენს საერთო საქმეში. ქართულმა



ანატოლი კოლესოვი

ქიდაობამ მოგვცა დგომში ქიდაობის შესანიშნავი ილეთები, რუსულ-მა „ნა კუშაკან“ გვასწავლა ჩაელება სარტყელში, აზერბაიჯანულ-მა „გულრეშმა“ — ხელებით ფეხებში მივარდნა, ტაჯიკურმა „გუშტინ-გირამ“ გავეცნო ბევრი ორიგინალური გდება. ერთი სიტყვით, ეროვნულმა სახეობებმა ბევრი რამ შესძინეს ქიდაობის საბჭოთა სკოლას.

საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა ოსტატების დამკვიდრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი ქართველ მოქიდავეებს უკავიათ. საბჭოთა საქართველომ აღზარდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონები თავისუფალ ქიდაობაში — დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი, პირველი საბჭოთა სამგზის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ქიდაობაში. ოლიმპიური ჩემპიონი გივი კარტოზია, პირველი საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ქიდაობაში ვახტანგ ბალავაძე, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი, პირველი მსოფლიო ჩემპიონი სამბოში გენადი გორგაძე. მიღწევები, პირდაპირ ვამბობ, დიდებულია! მათი მჯობი უკვე აღარავინაა. საბჭოთა სპორტის ისტორიაში ისინი ოქროს ასოებით არიან ჩაწერილი.

ქართველმა ათლეტებმა გავეალეს გამარჯვების დიდი გზა, რომელზედაც მიდიოდნენ და მიდიან ამ გოლიათური დიდების ასობით მემკვიდრენი — ჩვენი ყველა საბჭოთა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ქიდაობის ქართული სკოლის წვლილი ჩვენს საერთო საქმეში ძალზე დიდია!

ამან თავისი ასახვა პოვა იმითაც, რომ წიგნის „საქართველოს ფალაენების“ საგმირო ამბებით დაინტერესდნენ აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოქიდავეები და მწვრთნელები. ნარკვევებს პატარა ეპიგრაფები უძღვის წინ, რითაც მიზანი უეჭველად მიღწეულია: ქართველ ჩემპიონებზე თითქოს მთელი ჩვენი დიდი სპორტული ქვეყანა მოგვიტხრობს. ამით ვლინდება საბჭოთა სპორტის ინტერნაციონალიზმი. სსრ კავშირის ყველა სპორტსმენის ურღვევი მეგობრობა.

ბოგორი შეუწელებელი ინტერესით იკითხება მოთხრობები კარტოზიას, მეკოკიშვილის, ციმაკურიძის, ბალავაძის, რურუას, ლომიძის, თედიაშვილის, ერთი სიტყვით, ყველა ჩემპიონის შესახებ. ამ შესანიშნავ ადამიანთა უმრავლესობას პირადად ვიცნობ. თითქოს მათ შესახებ ყველაფერი ვიცი. სსრ კავშირის ნაკრებში გივი კარტოზია დამხვდა. ხოლო მისი წასვლის შემდეგ კიდევ დიდხანს ვსუნთქავდით მის მიერ შექმნილი გამარჯვების ატმოსფეროთი; გამოვდიოდი რომან რურუასთან ერთად, შემდეგ კი ნაკრების მწვრთნელი ვიყავი და რომანთან ერთად მეც ვწვავლობდი ორთქლის აბანოში ზედმეტი წონის დასაკლებად. ვისმენდი გურამ სალარაძის სიმღერებს, სპარინგში შოთა ლომიძეს ვშველოდი. ვმეგობრობდი და კარგად ვიცნობდი მათ.

მაგრამ ამ წიგნში ისინი ახლებურად დავინახე. ბევრი რამ ისეთი შევიტყვე, რაც ადრე არ ვიცოდი, კიდევ უფრო მეტად შევიყვარე ისინი.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ წიგნის ყველა გმირი მეტისმეტად შემკულია, რომ მათ არ გააჩნიათ უარყოფითი მხარეები, და თქვას: ანეთი რამ არ ხდება, ასეთი იდილია შეუძლებელია. ეს მართალია. დარწმუნებული ვარ ავტორმა ეს ჩვენზე უკეთ იცის, მაგრამ, მეორე მხრივ, მესმის ადამიანისა, რომელმაც დაწერა „საქართველოს ფალაენები“ და საეგზეთ ვეთანხმები: ჩემპიონებს მათი ხასიათების უარყოფითი თვისებები კი არ დახმარებია, რომ ჩემპიონები გამხდარიყვნენ. სპორტულ მწვერვალებზე ისინი ავიდნენ იმ საუკეთესო თვისებებით, რაც მათში იყო: პატრიოტიზმით, ნებისყოფით. ნიჭით, გამბედაობით, შრომისმოყვარეობით და სხვ.

ავტორი თავისი გმირების სწორედ ამ თვისებებზე ამხვილებს ყურადღებას და ამას სპორტულად, ობიექტურად და პატიოსნად აკეთებს. სპორტულია, ჩემი აზრით. ისიც, რომ წიგნი სიმპათიითაა განმსკვალული და პატივისცემით ნაგვითხრობს არა მარტო ჩვენი მოქიდავეებს, არამედ უცხოელი სპორტსმენების შესახებაც, გვიჩვენებს მათ ძლიერ მხარეებს. გვიამბობს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა მეგობრობაზე. „საქართველოს ფალაენები“ ინტერნაციონალური წიგნია. ეს პასუხია საბჭოთა მოქიდავეებისა ოკეანისგალმელი ბნელეთის მოციქულთათვის, რომლებმაც ჩაშალეს 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებში მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მინდა ავტორის შესახებ მოკლედ გიამბოთ. ერთხელ ცნობილმა საბჭოთა სპორტულმა ჟურნალისტმა იან დიმოვმა თქვა, რომ ჟურნალისტური მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე მან „შეძლო ერთი სტრიქონიც არ დაეწერა ფეხბურთის შესახებ“. ეს მართალია: მთელი ამ წლების მანძილზე იგი, — წარსულში მოქიდავე და ნწერთნელი, ასლა სსრ კავშირის კიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის წევრი, კიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პროპაგანდის კომიტეტის (ფილას) წევრი, — მხოლოდ კიდაობასა და მოქიდავეებზე წერდა. საკიდაო სპორტის უნარიანი პროპაგანდისათვის მიიღო სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (ლიპსის) მედალი. იან დიმოვი მსოფლიოში ერთადერთი ჟურნალისტია, რომელიც დაჭილდოებულია ფილას ოქროს მედლით.

სწორედ ამ ერთგულებით დაიმსახურა ჯილდოები.

ავტორი ზედმიწევნით იცნობს იმ სამყაროს, რომელზედაც წერს. მას უყვარს თავისი გმირები და ჩვენც, მკითხველებსაც, ამასვე გვასწავლის. „საქართველოს ფალაენები“ მთელი სულითა და გულით დაწერილი წიგნია. ნარკვევებში ჩემპიონების შესახებ წერთის ბევრი „ტექნოლოგიაც“ არის, ორთაბრძოლის ფსიქოლოგიური ასპექტებით,

რომლებსაც ყველა ვერ ამჩნევს. სატურნირო ბრძოლაც. ტაქტიკის საიდუმლოებანიც, მაგრამ მთავარი ყურადღება მიპყრობილია სპორტში ადამიანის სახისადმი, პიროვნების ჩამოყალიბებისადმი. ხასიათების. მე ვიტყვოდი — მძლეარი ხასიათების შექახებათა ფსიქოლოგიისადმი!

მოთხრობები საბჭოთა საქართველოს მოქიდავეთა სკოლის აღზრდილების შესახებ უმდიდრეს დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა. რანაც ავტორს შესაძლებლობა მისცა შეექმნა თანამედროვეობის გამოჩენილი ათლეტების ნათელი სახეები, რომლებიც ცხოვრობენ მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვის ატმოსფეროში. რის გარეშეც შეუძლებელია დიდი სპორტის საქმიანი და საზეიმო დღეები.

ანატოლი კოლესოვი

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი

„საპილაო“ — მახატობის ჰიმნი

(ექსკურსი ისტორიაში)

ზურნა ყურღანმღებლად ქვეციტინებს, ნერვები დაწყვეტაზეა. დოლს ისეთი ხმა აქვს, თითქოს მთა მთას ეხლებაო. ქარი ფრთებს იცეცაქა — მაინც ვერ აპყვება ამ თავბრულამხვევ სიჩქარეს. გამარჯვების ბილიკზე გამოსულა კიდაობა — ვაჟკაცთა თავშესაქცევი.

სად იწყება ეს ბილიკი, სად არის ის მაღალი მთა, რომლის მწვერვალრიდანაც შეიძლება მისი სათავეის დანახვა? პირველი ვინ გავიდა ამ ბილიკზე? დრო დუმს. მეტად დიდია მისი სივრცე, უფრო დიდია, ვიდრე მანძილი დიდიხნის მკედარ ვარსკვლავებამდე, რომელთა გამოსათხოვარი სხივები დღესაც მოედინება ჩვენკენ.

მაგრამ დრო მთლად არ დამუნჯებულა, იგი თავისას გვეუბნება, კერძოდ იმას, რომ კიდაობა ადამიანის შეგნებული ცხოვრების უმცროსი ძმა ყოფილა. თუ მართალია, რომ ფიზიკურ ვარჯიშთა ყველაზე ბუნებრივი და, მაშასადამე, ყველაზე ძველი სახეობა რბენაა, მაშინ მართალია ისიც, რომ რბენას კიდაობა მოჰყვებოდა! კიდაობა გამოსახულია რამდენიმე სურათზე, რომლებიც შეუქმნიათ უძველეს „ფიროსმანებს“; კიდაობა აღბეჭდილია ბაბილონის დაფებზე, ამოკვეთილია პირამიდებსა და აკლდამებზე, უკვდავყოფილია სხვადასხვა ხალხის ქანდაკებებსა და ლიტერატურულ ძეგლებში.

შუმერები — გილგამეში და ენკიდუ აგერ უკვე ოთხი ათას ხუთას წელზე მეტია (მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქანდაკებაა), დგანან ერთიმეორეს შეკიდებულნი. მო-

წინააღმდეგეებს თავზე საბურავი ახვევიათ. საბურავი თუ რაღაც თიხის კურკელი აქვთ ჩამომხობილი, ძალზე რომ წააგავს იმ კამებს, რომლითაც ისმება ჯემრიელი ქართული ღვინო. მძლეთამძლე ამირანმაც. ვისი სახელიც კვება ძველ ქართულ ეპოსს, დასცა საშინელი ბაუბაყდევით. ამირანი მამაცი და მოხერხებული იყო, დევს კი, ეტყობა, მხოლოდ თავისი უზარმაზარი ძალის იმედი ჰქონდა და ამიტომაც დამარცხდა. ამ დროს უკვე სცოდნიათ ტექნიკის ყადრი.

გაზეთი „დროება“ თავის მკითხველებს 1882 წლის 17 ოქტომბერს აუწყებდა, რომ გამოჩენილი ფალავნის დავით ხიზამბარელის სამშობლოში — ხიზამბარაში — ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იმართებოდა სრულიად საქართველოს შეჯიბრებები, რომელთა პროგრამაში ჭიდაობაც შედიოდა.

იტალიელ მისიონერს ლიონიჯო კარლის 1246 წელს ოჭროს ურდოში უნახავს ქართველებისა და მონღოლების ჭიდაობა. ქართველმა ფალავნებმა ყური არ ათხოვეს მრავალგზის გაფრთხილებას, დაამარცხეს მოწინააღმდეგენი და დაილუპნენ კიდევ. მათზე შერი იძია ხანის მსახურთა გამხეცებულმა ბრბომ. დიდმა განმანათლებელმა სულხან-საბა ორბელიანმა, რომელმაც XVII საუკუნეში შექმნა პირველი განმარტებითი ლექსიკონი, დიდი ადგილი დაუთმო ეროვნულ ჭიდაობას. სპორტის ეს სახეობა ქართველი ხალხისათვის მხოლოდ ფალავანთა თავშესაქცევი როდი იყო; ჭიდაობა ფიზიკური ვარჯიშის სტიქიური, ნამდვილად ხალხური და ამიტომ მასობრივი სახეობაც გახლდათ, რომელიც ადამიანებს შრომისა და მხედრული საქმისათვის წვრთნიდა. სამხედრო შეტაკებები იმ შორეულ წარსულში, როგორც წესი, ხელჩართულ ბრძოლასაც მოიცავდა. სიმარჯვე და ტექნიკური ჩვევები, ისევე როგორც ღონე, გამძლეობა, ნებისყოფა და გამბედაობა, ასეთ შერკინებაში გადამწყვეტი იყო.

მთელი თავისი გმირული ისტორიის მანძილზე, რომელშიც ქართველები თავიანთ დამოუკიდებლობას იცავდნენ ურიცხვ დამპყრობთა შემოსევისაგან, ჭიდაობა იყო სიამაყის, მხედრული დახელოვნების, ფიზიკური მომზადებისა და, რაც მთაეარია, სამშობლოს სიყვარულის სკოლა, პატრიოტიზმის სკოლა, ასე იყო საუკუნეთა განმავლობაში.

გამოჩენილი მოჭიდავეები მოგვცა ამ სპორტმა XIX საუკუნეში. და ამჯერადაც ეს დიდი ქართველი ფალავნები — უკვე სსენებული დავით ხიზამბარელი, კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, კოსტა მაისურაძე. ხუთნი ძმანი ეგნატაშვილები, სანდრო კანდელაკი და ბევრი სხვა — უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ქვეყნის დიდი პატრიოტები მაღალი ღირსებისა და შეუბღალავი სინდრის ადამიანები და, რა თქმა უნდა, ჭიდაობის ყოველგვარი წვრილმანის ზედმიწევნით მცოდ-

ნენი იყვნენ. ეროვნულ ჭიდაობაში აღზრდილებმა თვითონაც გაამდრდეს და დახვეწეს იგი. მათ გამოიგონეს მრავალი სხვადასხვა ილეთი და გდების ნაირფერი სახეობანი, სტრატეგიული ფანდები. ამ პროფესიულ მოქიდავეთა ოსტატობა გასული საუკუნის დამლევა და ჩვენი საუკუნის დამდეგს აყვავდა. ისინი ჭიდაობის ყველა მოდის კანონმდებლები იყვნენ და ეს მოდეები მეტად დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა.

ამ დროს საჭიდაო ასპარეზზე ღონე მთავარს თუ არა, მნიშვნელოვან როლს მანც ასრულებდა და ამიტომაც ქართველ ფალავანთა კარგ სპორტულ გემოვნებას რომ ვახსენებთ. არც ერთი მათგანი არ ყოფილა. რომ იტყვიან, დამამტერეველი, არც ერთი არ ცდილობდა პოქსმპესათვის მარტო ღონით ეჯობნა. ისეთი გოლიათიც კი, როგორც სანდრო კანდელაკი იყო, სწრაფი, მოქნილი გახლდათ და მეტად ოსტატურად ხმარობდა ბოძებივით მსხვილ ფეხებს. მაგრამ თუ საჭირო შეიქნებოდა ძალის ხმარება, მაშინდელი ქართველი ფალავნები ისეთ ღონეს გამოიჩენდნენ, რომ ყველას გააკვირვებდნენ.

ონში არის ეთნოგრაფიული მუზეუმი. იქ ინახება ზამბარასავით სპირალურად მოდრეკილი მსხვილი ოთხკუთხა რკინის ნაჭერი. ამბობენ, რომ იგი ონის მევიდრმა კოსტა მაისურაძემ გალუნაო.

ჩვენი საუკუნის დამდეგს საქართველოში შემოვიდა კლასიკური, როგორც მაშინ უწოდებდნენ — ფრანგული ჭიდაობა. ჭიდაობის ჩემპიონატები, რომლებიც ცირკში იმართებოდა, არა მარტო პოპულარული სანახაობა იყო, არამედ პროპაგანდასაც უწევდა ამ სპორტს. და მანც, რევოლუციამდე საქართველოში კლასიკური მოქიდავენი თითქმის ჩამოსათლელნი, ძირითადად პროფესიონალები იყვნენ. ჭიდაობის ეს სახეობა განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვდა (დარბაზს, სალიჩას), რომელთა შექმნაც მხოლოდ ცირკში და პრივილეგირებულ სპორტულ წრეებში შეიძლებოდა. ქართულ ჭიდაობას კი ეს არ ესაჭიროებოდა. მისთვის საკმარისი იყო მოწმენდილი ცა, მშრალი ნახერხი ან უბრალოდ მიწა, ზურნის ერთნატილის მომგვრელი მელოდია და დოლი. ეს კი ყველა სოფელში იყო.

და თუმცა მეფის თვითმპყრობელობის პირობებში არავის ზრუნავდა სპორტის არც ეროვნულ და არც საერთაშორისო სახეობათა ნასობრივ განვითარებაზე, მანც ყოველ ქართულ სოფელში დღესასწაული არ ჩაივლიდა მოქიდავეთა შერკინების გარეშე.

დიდმა ოქტომბერმა მძლავრი ბიძგი მისცა ქართული სპორტის პროგრესს. შეიქმნა სპორტის ეროვნულ სახეობათა და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოველისა, ჭიდაობის განვითარების პირობები. 1925 წლიდან რეგულარულად იმართება საქართველოს პირველობა ხალხურ ჭიდაობაში. ხოლო უფრო ადრე, 1923 წელს, რევოლუციამდე სტა-

ქის მქონე მოყვარულმა სპორტსმენებმა პეტრე მარღანიძემ და გიორგი ჩიკვაძემ შექმნეს რესპუბლიკაში პირველი კლასიკური ჭიდაობის სექცია, რომელშიც მეცადინეობდნენ პეტრე მარღანიძე, ნერსეს აკოფოვი, გრიგორი პილნოვი და სხვა მრავალი. ამათგან პირველი ორი სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული მწვრთნელი გახდა. მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონთა აღმზრდელი. გრიგორი პილნოვი ჯერ კიდევ ომამდე იყო ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ჩვენ მოქიდავეთა ცის კაბადონზე, მან შეიღწერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა. იგი მამაცთა სიკვდილით დაეცა გერმანულ ფაზისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოცდაათიან წლებში კლასიკური ჭიდაობის ქართული სკოლა უკვე ერთ-ერთი წამყვანია საბჭოთა კავშირში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებს იკებენ ლეონიდ ძეკონსკი, შალვა ჩიხლაძე, კონტანტინე კობერიძე.

ამავე პერიოდში იწყება საქრდაო სპორტის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის — ვახტანგ კუხიანიძის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მე არ შემშლია: მოქიდავისა და მწვრთნელის, ვ. კუხიანიძის მოღვაწეობა დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება იყო, რომელიც დაახლოებით ხუთ ათეულ წელს გაგრძელდა და საბჭოთა სპორტს მისცა ბევრი რამ ახალი, რასაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა...

მართალია, იშვიათად, მაგრამ სოგჯერ ასეც ხდება ხოლმე: თავის თანამემამულეთა უმრავლესობისაგან განსხვავებით კუხიანიძე ჯერ კლასიკური სტილის მოქიდავე გახდა, ხოლო შემდეგ — ქართულისა.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი კუხიანიძე არასოდეს არ გამხდარა სსრ კავშირის ჩემპიონი, მაგრამ თუ როგორი მოქიდავე იყო, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გვი კარტოზიას სიტყვებით. რომელსაც, როგორც ცნობილია, არა აქვს გაზვიადების მიდრეკილება: „ვახტანგ კუხიანიძე და ილია ბობოხიძე (ამჟამად სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ჭიდაობის ქუთაისის სკოლის დამაარსებელი. — ავტ.) ყველაზე ტექნიკური ქართველი მოქიდავეები არიან, რომლებიც კი ოდესმე გვინახავს ხალიჩაზე. მათ არ ჰქონიათ რაიმე საყვარელი ილეთები, მათ ერთი ღმერთი სწამთ — ლამაზი შერკინება, ლამაზი გდება. მათ შეეძლოთ მოეგოთ ქვეყნის ყველა უძლიერესი მოქიდავისათვის, ვთქვათ, 26 ქულით, მაგრამ 27-ე ქულის ლამაზად მოგების მცდელობაში აკებდნენ. ისინი ჭიდაობის ნამდვილი რომანტიკოსები იყვნენ, ლამაზი ჭიდაობისა. ახლა ასეთები ცოტანი არიან, ან არიან კი?!

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვახტანგ კუხიანიძე მოქმედი მოქიდავე იყო, მან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. მისი ინიციატივით 1935 წელს თბილისში შეიქმნა ჩვენი ქვეყანაში პირველი ჭიდაობის

ცენტრალური სექცია (ახლანდელი უმაღლესი ოსტატობის სკოლების პირველსახე), რამაც, რა თქმა უნდა, უდიდესი როლი შეასრულა მოქიდავეთა ოსტატობის ამოღებაში.

სწორედ კუხიანიძემ იბოვა ფალავანი შალვა ჩიხლაძე და გამოიყვანა საკავშირო ასპარეზზე, სწორედ კუხიანიძემ დაიყოლია არსენ მეოკიშვილი ძალები მოესინჯა კლასიკურ კიდაობაში, მოგვიანებით კი — სამბოსა და თავისუფალ კიდაობაში. ბევრს მუშაობდა ვახტანგ კუხიანიძე ასეთ ცნობილ ოსტატებთან, როგორც იყვნენ ვალარშაკ მაჩკალიანი, გიორგი როსტიაშვილი, ესტატე ქარქუსაშვილი, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი.

ვინ მოთვლის ამ ბრძენი მწვრთნელს ყველა მოსწავლეს! იგი ხომ მთელი 39 წელიწადი ედგა სათავეში კიდაობას!

ინტელიგენტი, თავმდაბალი, მეტად თავაზიანი კუხიანიძე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მწვრთნელებსა და მოქიდავეთა შორის. სპორტში ჩახედულ ადამიანებს უწინარეს ყოვლისა ხიბლავდა ვახტანგ კუხიანიძის მაღალი ოსტატობა, მიაჩნო, თუ შეიძლება ასე ითქვას: ყოველდღიური გმირობა...

1942 წელს ვ. კუხიანიძე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ნოვოროსიისკთან ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა, ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ ისევ მწყობრში ჩადგა, ქლუსორისა და მარუხის უღელტეხილებს იცავდა, მონაწილეობდა სისხლისმღვრელ ბრძოლაში „ედელვანისთან“ — ჰიტლერელების სამთომსროლელ დივიზიასთან, რომელიც კავკასიისაკენ, ბაქოს ნავთობისაკენ, „ომის შავი სისხლისაკენ“ მოიწვედა. მაგრამ ეს სისხლი ჩვენს ტანკებს, გემებსა და თვითმფრინავებსაც სჭირდებოდა. ჩვენი უღელტეხილების დამცველნი იხოცებოდნენ, ადგილიდან კი ფეხს არ იცვლიდნენ. ვერმახტს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, უღელტეხილებზე ვერ გადმოვიდა.

ჰოსპიტალში ოცდაათი წლის მებრძოლს ვახტანგ კუხიანიძეს მოჰკვეთეს მთებში მოყინული ფეხების ათივე თითი.

კიდაობას ვინ იტყვიან, სიარულიც უჭირდა. მაგრამ მაინც კიდაობდა. ომის შემდეგაც გახდა საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ და თავისუფალ კიდაობაში. კვლავ სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის ნაკრებს, როგორც უფროაი მწვრთნელი. დღეში ათობით კილომეტრს დადიოდა, რადგან მრავალი საკითხის გადაწყვეტა უხდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. წვრთნაზეც ასწრებდა მისვლას, სპარინგებსაც აწყობდა და ასე საქმიანობდა ყოველ ცისმარე დღეს. ვახტანგ კუხიანიძე არასოდეს არავის შესჩივლებდა, არავის უამბობდა, რა ცეცხლი ედებოდა დაავადებულ ფეხებზე, ითმენდა და მუშაობდა. აი სწორედ ამისათვის უყვარდათ იგი სპორტსმენებს.

1945 წელს გაიმართა სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი თავი-

სუფალ ჰიდაობაში. გათამაშებული ოქროს მედლების ნახევარი ქართულმა მოქიდავეებმა მიიღეს: ესენი იყვნენ: ვასო ილურიძე, დავით ციმაკურიძე, ვლადარშაყ მაჩკალიანი და არსენ მეკოკიშვილი. დასლო-
ებით ასეთივე მოსავალი მოიწიეს ქართველებმა მომდევნო წლებშიც.
გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო ვ. კუხიანიძე.

1950 წელს კუხიანიძე ინიშნება სსრ კავშირის ნაკრების უფროს
მწვრთნელად კლასიკურ ჰიდაობაში, ორი წლის შემდეგ მას შესთავა-
ზეს ჩვენი ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობა თავისუფალ ჰიდაობა-
ში. ახლოვდებოდა საბჭოთა სპორტსმენებისათვის პირველი ოლიმ-
პიური ასპარეზობანი — ჰელსინკი-52. და სსრ კავშირის სპორტკო-
მიტეტის ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოქიდავეთა
ორივე გუნდს სათავეში უნდა ჩასდგომოდა ვ. კუხიანიძე. იგი იყო
ერთადერთი საბჭოთა მწვრთნელი, რომელიც შეიყვანეს სსრ კავში-
რის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელ ბიუროში.

ჰელსინკის ხალიჩაზე საბჭოთა მოქიდავეებმა მნიშვნელოვან წარ-
მატებებს მიაღწიეს — მოიპოვეს 6 ოქროს, 2 ვერცხლისა და ერთი
ბრინჯაოს მედალი. დებიუტი დიდებული იყო!

ვახტანგ კუხიანიძის განსაკუთრებული დამსახურება ის არის, რომ
მისი აქტიური მონაწილეობით საქართველოში შეიქმნა შესანიშნავი
მწვრთნელთა კოლექტივი. რომელშიც ერთი სპეციალისტი მეორეს
ავსებდა. ხანიათების განსხვავება და მწვრთნელთა წრეში აზრთა სხვა-
დასხვაობა არაოდეს ეწინააღმდეგებოდა საქმის საერთო ინტერე-
სებს. ნიჭიერი ახალგაზრდა მოქიდავისათვის ყველა პასუხისმგებელი
იყო: არა მარტო მისი პირადი მწვრთნელი. არამედ მისი კოლეგა-მო-
წინააღმდეგენიც. გამოცდილებით დაბრძნებული ვეტერანი მოქი-
დავეებიც. ამიტომაც იზრდებოდნენ საქართველოში ისეთი ტალანტე-
ბი, როგორიც არიან არსენ მეკოკიშვილი. დავით ციმაკურიძე. გივი
კარტოზია, მირიან ცალქალამანიძე, ვახტანგ ბალავაძე. ავთანდილ ქო-
რიძე, რომან რურუა. ლევან თედიაშვილი. ამიტომაც შეძლო მო-
ქიდავეთა ქართულმა სკოლამ უდიდესი წვლილი შეეტანა საბჭოთა
სპორტში ამ უკანასკნელისათვის ერთ-ერთ ყველაზე პასუხისმგებელ პე-
რიოდში — საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის პერიოდში. თავი-
სუფალი ჰიდაობის ჩვენთვის პირველ მსოფლიო ჩემპიონატში
(1954 წ.) საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით წაიდა: მ. ცალქა-
ლამანიძე, ვ. გიგიანიძე, ნ. მუზაშვილი, ს. გაბარაევი, ვ. ბალავაძე,
გ. კარტოზია, ა. ენგლასი და ა. მეკოკიშვილი. ჰიდაობის ქართული
სკოლას შვიდი აღზრდილი! ამის თაობაზე ენაქვიმატმა ექტონელმა
ფალავანმა ავგუსტ ენგლასმა იხუმრა: „თუ ოდესმე დაეწერ წიგნს ამ
ჩემპიონატის შესახებ, აუცილებლად მოვაწერ ფსევდონიმს „ენგლასა-
შვილი“.

საქართველოში ჰიდაობის განვითარებას 60—70-იან წლებში მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ჰიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ ირაკლი სარაჯიშვილმა. ნარკვევს მის შესახებ ამ წიგნში წაიკითხავთ.

სპორტული ჰიდაობის ჩვენი საკავშირო აკადემია ძლიერია თავისი რესპუბლიკური და ეროვნული სკოლებით. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანია ჰიდაობის ქართული სკოლა. რესპუბლიკაში ცხოვრობს ხუთ მილიონზე ნაკლები კაცი. მაგრამ მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონების რაოდენობით ჰიდაობის ოთხივე სახეობაში — კლასიკურში, თავისუფალში, ძიუდოსა და სამბოში — საქართველო წინ უსწრებს მსოფლიოში აღიარებულ ჰიდაობის ქვეყნებს, რომლებმაც ვერ შექალეს ერთდროულად განვითარებინათ ჰიდაობის ყველა ეს სახეობა. ეს ქვეყნებია ირანი, თურქეთი, შვეცია, ფინეთი და სხვები.

უქანსკენელი ოცი წლის მანძილზე საქართველოს ნაკრებები კლასიკურ და თავისუფალ ჰიდაობაში არაერთხელ შეხვედრიან მსოფლიოს წამყვან გუნდებს და ყოველთვის გაუმარჯვიათ! მაგალითად, „კლასიკოსები“ ყოველთვის უგებდნენ რუმინელებს, იაპონელებს, შვედებს, იუგოსლავიელებს. ფინელებს, ხოლო „თავისუფალი მოჭიდავეები“ — ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის. ირანის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის. უნგრეთის მოჭიდავეებს. როგორ უგებდნენ? მაგალითად. ამერიკელებს მოუგეს — ანგარიშით 6 : 2, იაპონელებს კი ხუთ შეხვედრაში, საერთო ანგარიშით — 31,5 : 11,5. საქართველოს ნაკრებთან სამჯერ წააგო იმ დროს უძლიერესმა ირანის გუნდმა — 14,5 : 11,5. რით აიხსნება ეს ქართული ფენომენი? მხოლოდ იმით, რომ ჰიდაობა საქართველოში, ფეხბურთის სასტიკი მეტოქეობის მიუხედავად, მაინც № 1 სპორტია; იმით, რომ საქართველოში ხალხური ჰიდაობა არსებობს. ეროვნული ჰიდაობა კლასიკური, თავისუფალი ჰიდაობის, ძიუდოსა და სამბოს ამოუწურავი რეზერვია.

სწორედ ეროვნული ჰიდაობის ტრადიციებმა — ამ სერიოზული ვაჟაკური სპორტის მრავალსაუკუნოვანმა პოპულარობამ — მისცა შესაძლებლობა საბჭოთა საქართველს ათლეტებს მსოფლიო ბასტიონების დალაშქრისას პირველ რიგებში ყოფილიყვნენ. აბა გავისენოთ პირველი ორი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჰიდაობაში (დ. ციმაკურიძე, ა. მეოკიშვილი), ჩვენს ქვეყანაში პირველი სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჰიდაობაში (გ. კარტოზია), მსოფლიოს პირველი ჩემპიონი თავისუფალ ჰიდაობაში (ვ. ბალავაძე). პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში (შ. ჩოჩიშვილი) და პირველი მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (გ. გიორგაძე), სულ კი ქართველმა მოჭიდავეებმა მო-

იპოვეს თერთმეტი ოქროს მედალი ოლიმპიურ ასპარეზობაში და 39 ოქროს მედალი მსოფლიო ჩემპიონატებში.

ეს იმ შესანიშნავი ქართველი მწვრთნელების დამსახურება გახლავთ, რომელთა სახელებსაც არასოდეს დაივიწყებს საბჭოთა სპორტი. აი ისინი: ვახტანგ კუხიანიძე, პეტრე იორდანიშვილი, ლეონიდ ძეკონსკი, მიხეილ თიანაძე, ნერსეს აყოფოვი, ლევ კაპიტონოვი, შალვა ნოზაძე, ვასილ ილურიძე, გიორგი როსტიაშვილი, ივანე მეკოიშვილი, ბიძინა მახიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ილია ბობოხიძე, ილია ჩხარტიშვილი, ვლადიმერ მაისურაძე და ბევრი სხვა.

საჭიდაო სპორტის მეცნიერებაშიც ქართველი სპეციალისტები ერთ-ერთი პირველნი იყვნენ. ჯერ კიდევ 30-იან წლებში თბილისის ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სრულდებოდა გამოკვლევები. ჩვენს ქვეყანაში ჭიდაობის მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ივანე ალიხანოვმა — ჭიდაობის საკითხებზე 87 ნაშრომისა და 4 სახელმძღვანელოს ავტორმა.

ახალგაზრდობაში თბილისელი ივანე ალიხანოვი ჭიდაობამ გაიტაცა (იგი იყო საქართველოს ჩემპიონი, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პირველობის პრიზიორი). და აი, უკვე 50 წელზე მეტია იგი არ ღალატობს თავის „პირველ სიყვარულს“. 45 წელია ივანე ალიხანოვი მუშაობს ფიზკულტურის ინსტიტუტში. როგორც ინსტიტუტის ლექტორს, როგორც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს, რომელმაც ამ ნაკრებთან 20 წელზე მეტ ხანს იმუშავა, და როგორც სსრ კავშირის ნაკრების კონსულტანტს 1952 წლის XV ოლიმპიადის მომზადების პერიოდში, ალიხანოვს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოჭიდავეთა უმრავლესობის მომზადებასთან.

საქართველოში ჭიდაობის პოპულარობას ისიც მოწმობს, რომ ჭიდაობის ორბიტაზე გამოდიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სპორტის ამ სახეობას თვითონ არასოდეს მისდევენ. თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი ავთანდილ ციბაძე ახალგაზრდობისას წარმატებით მისდევდა ჩოგბურთს. ამ წელზე მეტხანს იყო იგი რესპუბლიკის ნაკრების წევრი. მაგრამ შემდეგ სპორტის ისტორიამ გაიტაცა, ამ საგანს კითხულობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში და საქართველოში საჭიდაო სპორტის ყველაზე ავტორიტეტული ისტორიკოსი გახდა. ავთანდილ ციბაძე მრავალი წიგნის ავტორია.

ამ წიგნის მომდევნო ფურცლებზე მკითხველი გაეცნობა ჭიდაობის ქართული სკოლის ყველა იმ აღზრდილს, ვინც ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მაგრამ საქართველოში ცოტა როდია ისეთი ოსტატი, რომელსაც საპატიო კვარცხლბეკის საფეხურზე ასვლამდე ერთი ან სულ ნახევარი ნაბიჯიღა დარჩა. ასეთ სპორტსმენებს სრულიად მართებულად შეიძლება ვიცე-ჩემპიონები

ვეწოდით. როგორც წესი, ასინიც გამოჩენილი ათლეტები არიან. ჩემ საავტორო მოვალეობად მიმაჩნია ჩამოეთვალო მათი სახელები: ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვალერიან ვეშაგური, ვლადიმერ არსენიანი, რომან ძნელაძე. დავით გვანცელაძე, ომარ ბლიაძე, ომარ ეგაძე. გივი ყვარულაშვილი, ტარიელ ალიბეგაშვილი, ნოდარ ხობაშვილი, შოთა მორჩილაძე. იოსებ ბერიშვილი, თამაზ მაჭავარიანი, ანზორ ქიბროწყაშვილი, იურა სიორიძე, ჯიბილო ნიკარაძე, გივი ონაშვილი. თამაზ ნამგალაური, შენგელი ფიცხელაური, გურამ გოგოლაური და ბევრი სხვ.

საქმიანობის ყველა სფეროში არიან ადამიანები, რომლებიც დროს უსწრებენ. არც სპორტია გამონაკლისი. გამოჩენილი პიროვნებანი, რომლებშიც ბედნიერად შერწყმულა ნიჭი და ძლიერი ხასიათი, სპორტში ლაშქარევენ მიუწვდომელ მწვერვალებს; იხმობენ სხეებსაც, ამტკიცებენ დიად ქეშმარიტებას: ადამიანი ყოველისშემძლეა!

წაიკითხე, მეგობარო. ეს წიგნი!

ავტორს შენს კეთილ სამსჯავროზე გამოაქვს მოთხრობები დიდი ქართული ფალანგების. — იმ ძლიერი ადამიანების შესახებ, რომელთა მკერდში მულამ ეღერდა კიდაობის ჰანგები, ვაჟკაცობის პიმნი, გამარჯვებათა ნალარა — „საქიდაო“.

უზრანის მბიჰანი ხელისგულზე

„ის ძლიერი ვაჟაკი იყო. ლაშხი თავი ჰალარას დაეთრთეილა. ხალიჩაზე მტაცე ნაბიჯით, დინჯად ეილოდა. ჩადგმული ტანი ჰქონდა — 184 სანტიმეტრის სიმაღლე 120 კილოგრამს იწონიდა... არსენ მეკოიშვილი ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონია მძიმე წონაში“.

სერგეი პრეობრაჟენსკი
სსრ კავშირის დამსახურებული
მწერთნელი

ქ. მოსკოვი



არსენ მეკოიშვილი

მან მსუბუქად აირბინა ფიცარნაგზე და ზედ მასპინძელივით დადგა. მსარბეკი გაშალა, დოინჯი შემოიყარა. საამო საცქერი იყო. ტრიბუნები, რომლებზედაც სულ ცოტა ერთი მესამედი შვედი გულშემატკივარი იჯდა, მოწონების ნიშნად აგუგუნდა.

30 წლის ბერტილ ანტონსონი თავის სამშობლოში სათაყვანებელ კერპად ჰყავდათ. მაღალს, სმელ-ხმელს ტანზე გამოკვალთული რკინის კუნთების ჯავშანი ემოსა. 100 კილოგრამზე ოდნავ მეტი მძიმე წონის ათლეტების რისხვა იყო. ყველა შერკინებას, როგორც წესი, წმინდა გამარჯვებით ამთავრებდა და ხალიჩას მოწინააღმდეგეთა ბეჭებით აუთოებდა.

მას „შვედ ლომს“, „უძლეველ ვიკინგს“, „ჩრდილოეთის გიგანტს“ უწოდებდნენ, „ქერა ეშმაკი“ კი შუარქვეს, და იგი ყველა ამ სახელს ამართლებდა — ნაცრისფერი თვალებითაც, ღია ფერის ქერა ფაფა-

ჩრთაც, დაუოკებელი მებრძოლი სულითაც და, რაც მთავარია, ბრწყინვალე გამარჯვებებითაც.

ანტონსონი უკვე იყო ევროპის ორგზის ჩემპიონი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი და ლონდონის 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. ახლა ჰელსინკის თამაშებში მორიგი გამარჯვებისათვის ემზადებოდა.

ბერტილ ანტონსონი ხალიჩის ნაპირას იდგა, ისმენდა ტრიბუნების შეპანჩილებს, ვუკუნს და შემწყნარებლური ლობიერებით უმზერდა თავის მეტოქეს, დინჯად და მძიმედ რომ აღიოდა ფიცარნავზე.

ანტონსონმა ზოგი რამ იცოდა მის შესახებ. კერძოდ, რომ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მსოფლიო სარბიელზე პირველად გამოდიოდა, რომ ორმოცისა შესრულდა. „ორმოცია წლის დებიუტანტი!“, ჩაიკანა ანტონსონმა, როცა დაინახა, საფეხურებიდან გადმოაულმა 120-კილოგრამიანმა მეტოქემ უკანაკნელი ნაბიჯი როგორ მძიმედ გადადგა. მ.ოფლიო ჩემპიონმა გაიფიქრა: „ხორცის კიდევ ერთი მთა. ეს ხომ პირველი არ არის, რუჟიჩკა ამაზე ღონიერი იქნება, მაგრამ ვერ გამოძლო...“

ჩეხოსლოვაკელი იოჟეფ რუჟიჩკას გარეგნობა მართლაც გააოცებდა კაცს. ორი მეტრი სიმაღლე, ცენტნერ-ნახევარი წონა, ტუქნიკაც დახვეწილი, ვიდრე დაიღლებოდა. მაგრამ ვის არ მოქანცავდა „ჩრდილოეთის გიგანტთან“ კიდილი. ჩოქბენში გადაყვანის შემდეგ რუჟიჩკამ დიდხანს ვერ გაუწია წინააღმდეგობა და მალე ბეჭებით გაეკრა ხალიჩა. ანტონსონთან დამარცხდნენ დანარჩენი მეტოქეებიც. ბერტილი ნამდვილად მოდების კანონმდებელი იყო ოლიმპიურ ხალიჩაზე. თითქმის არავის ეპარეოდა ეკვი მის საბოლოო გამარჯვებაში და მარც მას, ანტონსონს, არ აწყენდა ჩაფიქრებოდა, თუ როგორ მივიდა ფინიშთან მისი არცთუ ახალგაზრდა მეტოქეც.

ჩაფიქრებული და ღონიერი უნგრელი იოჟეფ კოვაჩი გუდფურასავით მოიგლო ზურგზე, ცენტრთან მიიტანა და ბეჭებზე დასცა. ევროპის პირველობის პრიზიორის რტალიელ ნატელო ვეკის წაქცევას კი ესეც არ დასპირვებია — იგი რატომღაც თვითონ შეახტა ზურგზე მეტოქეს, მაგრამ როგორც შეახტა, ისევე „ჩამოხტა“ და ბეჭებით ძირს დაეცა. ხალიჩიდან პირში ჩალაგამოვლებულები წავიდნენ ინგლისელი კენეტ რიჩმონდი და დასავლეთგერმანელი ვილი ვალტნერი.

ანტონსონის მეტოქე ყველა იერიშს სწრაფად და ზუსტად ატარებდა, ფიცარნავზე კი მუდამ აუჩქარებლად დადიოდა. ნამდვილი ოსტატი სამუშაოზე მიდიოდა, დიდ, პასუხსაგებ სპორტულ სამუშაოზე. ამიტომაც არ ჩქარობდა.

იქნებ ანტონსონი ჩაფიქრებოდა კიდევ ყოველივე ამას, თავის გამარჯვებაში რომ დაეჭვებულებოდა. ის კი არ დაეჭვებულა.

და აი, ისინი შეხვდნენ. ბერტილ ანტონსონი (შვეცია)—არსენ მეკოკიშვილი (სარ კავშირი) შეხვდნენ, რათა გაერკვიათ, ვის ერგებოდა თავისუფალი სტილის მოქიდავითა ოლიმპიური ტურნირის ყველაზე „მძიმე“ და ამიტომ ყველაზე პრესტიჟული ჯილდო, ოქროს მედალი, — ორგზის მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონაში თუ „40 წლის დებიუტანტს“. ვის?.. ანტონსონი არ ოინბაზობს — ცდილობს მეტოქეს სწვდეს ხელს მტევნებში, ჩააელოს წინამხარსა და მხრებში. არც მეკოკიშვილი ეშმაკობს — არ მალავს ხელებს. ყოველგვარი კონტაქტის თანახმაა, მკერდით იქნება თუ მხრებით. შვედი მკვეთრად უბიძგებს, ლამობს შეარყიოს იგი, მაგრამ არსენა კლდესავით დგას. არც ის ფარავს თავის ზრახვებს — სურს მოწინააღმდეგეშ რაც შეიძლება ახლოს მიიზიდოს, წელში გამართოს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს მეკოკიშვილი შიშობს, რომ ანტონსონმა არ გამოიჩინოს პროფესიული შეზღუდულობა.

მსოფლიო ჩემპიონი წელში იმართება და... ძირს ვარდება, ელვისებური სარმა შვედს მოცელილივით მუხლებზე აგდებს, მეკოკიშვილი მყისვე ზემოდან ექცევა. ანტონსონი დარწმუნებულია, რომ აწვება 120 კი არა, სულ ცოტა 240 კილოგრამი სიმძიმე. მსაჯები კი სხვა რამეში დარწმუნდნენ: მეკოკიშვილმა ქულა მოიპოვა.

მონაცელობითი ჩოქბჯენი. ზემოდან ანტონსონია. გაყუჩებული ტრიბუნები გამოცოცლდა. ახლა ყველა დაინახავს ნამდვილ „შვედ ლომს“. მართლაც: ტუისმპრელის ვეება მკლავები ილიებში შეუტურდა მეტოქეს. რკინის მარწუხებზეით ჩაეჭიდნენ მის კისერს, ამოძრავდნენ ფართო, ღონიერი მაჯის ბერკეტები. ეს ანტონსონისეული „ნახევარნელსონია“. რამდენი დაუმარცხებია ამ ფანდით. დაამარცხებს ამასაც.

არსენ მეკოკიშვილის თავი ნელ-ნელა დაბლა იხრება. წამმზომის ისარი სწრაფად გარბის, ანტონსონი მთლიანად ერთვება ამ იერიშში. ირგვლივ ვედარაფერს არჩევს, ვერ ხედავს შეფრქვიანებულ შვედ მწვრთნელებსაც, რომლებიც აღელვებულნი დაძყურებენ წამმზომებს. ბერტილი უკვე ორ წუთზე მეტია თავს დასტრიალებს მეტოქეს, მაგრამ უშედეგოდ.

ანტონსონმა კიდევ უფრო გააძლიერა იერიში. მასაც უჭირს, მკლავები ტყვიასავით დაუშძიმდა, დაებერა, წინამხრები დასკდომაზე აქვს. „ხნიერი“ კაცი კი დგას. ნეტავ როგორ უძლებს? თუმცა ეს თვითონ იკითხოს. შვედის საქმე კი ის არის, რომ დააწვეს, დააწვეს და მოდრიკოს!

ძალაყინივით აწვება ანტონსონი ხედიით. ასეთ დაწოლას რკინაც ვერ გაუძლებს. მეკოკიშვილი კი უძლებს, უფრო მეტიც, საბჭოთა მოქიდავე თავს მალა სწევს. ოფლად ვალვრილმა ანტონსონმა. არ

იცის, რა მოიფიქროს, თუშეცა მოსაფიქრებელი რაღა აქვს? სამი წუთი გავიდა დროა თვითონ დადგეს ქვევით, ახლა ზევიდან მეტოქე იბრძოლებს. ქვეშმოქვეულ ანტონსონს შესაძლებლობა აქვს იფიქროს. ის სწორად ფიქრობს... მეტოქე გაცილებით ქვეიანი ყოფილა, ვიდრე ეგონა, და გაცილებით ღონიერი. ანტონსონს უკვე ეკვი აღარ ეპარება, რომ ამ ენის მოსატეხი გვარის მქონე კაცს შეეძლო მისთვის კისერზე ხელის მოხვევის საშუალება არ მიეცა. შეეძლო თავი ადვილად დაეცვა, მაგრამ ეს იმით არ ჩაიდინა, რომ უკეთ გაეკონტროლებინა იგი, ანტონსონი, რომ სამი წუთი უფრო სწრაფად და უფრო უხიფათოდ გაეყვანა. ახლა იგი მეფეა, ახლა მას ზემოდან შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს.

მეკოკიშვილი არაფრის ჩატარებას არ აპირებს. იგი უგებს, უგებს მსოფლიოში ყველაზე ძლიერ მოქიდავეს. მეტი რაღა უნდა? საჭიროა ძალების შენარჩუნება. წინ სამწუთიანი ბრძოლაა დგომში, ანტონსონი ასე ადვილად არ დანებდება. კიდევ ეცდება თავისას და ცდილობს კიდევ დარბაზი გაშმაგებულია, ხმაურობს და უცებ ყველაფერი ყუჩდება, თითქოს აზრიალებულ მალგიძარას უზარმაზარი ბალიში გადააფარეს და მოგუდესო. ისევ იმ ელვისებურმა ქართულმა სარმამ ანტონსონს საყრდენი გამოაცალა, მაგრამ შვედი ახლა უკვე მუხლებზე კი არა, გვერდზე ეცემა და ნახევარხიდურზე დგება. შეიძლება ორი ქულის მიცემა, მაგრამ მსაჯები ძუნწობენ, ერთ ქულას უთვლიან.

არა უშავს, დმერთმა შვეილობა მისცეს მაგ მსაჯებს! ჩვენ ერთი ქულაც გვეყოფა. ანგარიშია 2:0. ანტონსონი ჩოქბენში დგას, არ ცდილობს ზეზე ადგომას. გაისმის გონგის ხმა. 1952 წლის პელსინეის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილი გახდა.

იგი იღვა საპატიო კვარცხლბეკზე და ილიმებოდა. რაზე ფიქრობდა მაშინ? ბევრ რამეზე... შშობლიურ საქართველოზე, თავის შვილებზე, ბეგობრებზე. ალბათ, იმაზეც ფიქრობდა, თუ როგორ შეეგებებოდა შშობლიური გიორგიშინდა, იმაზეც ფიქრობდა, დილით შევალ ვენანში, მოვწყვეტ დიდ მტევანს, შვებით ამოვისუნთქავ, როცა ხელისგულზე ყურძნის სიმძიმეს ვიგრძნობო.

იღვა ძლიერი, ნადრეველ შექალაქებულ ვაჟკაცი საპატიო კვარცხლბეკზე, დარბაზში კი გამარჯვების მაუწყებელი საბჭოთა პიანის მელოდია გაისმოდა. ეს იყო ოცდაცამეტი წლის წინათ...

ვინ არის იგი, არსენ მეკოკიშვილი? რა სიშორიდან მოვიდა თავის ტრიუმფამდე? ვინ მოჰყვებოდა გვერდით დიდი ფალანგის გზაზე? რამ შეაძლებინა ორმოცი წლის ვაჟკაცს ის, რაც ბევრი ახალგაზრდისათვის აუნდენელი ნატვრა იყო?

იოსებ მეკოკიშვილს ხუთი ვაჟი ჰყავდა — გიორგი, ნიკო, სოლო-

მონი, მიხეილი და ფრიდონი. გიორგიწმინდაში არ გამართულა არც ერთი კიდაობა, ამ გოლიათებს რომ არ მიეღოთ მონაწილეობა.

ზურნის ხმა. დოლის ბაგენი უფრო ძალუმად აძგერებდა გულებს. მაგრამ ფალავენები არ ჩქარობდნენ. ძლიერ ადამიანებს ფაციფუცი არ შეჰყვართ. ისინი დინჯად იცვამდნენ ტრადიციულ ჩოხებს. მის კალთებს ქაშვებში იტანდნენ, სახელოებს იპკლავებდნენ.

იოსების ერთ-ერთი ვაჟის — ფრიდონის ფეხისგულები არ დაუნახავთ არასოდეს არც ადამიანებსა და არც მზეს. ძლიერი იყო, მხარბეჭკაშლილი, საბერველივით მკერდი ჰქონდა. ზურგს კი, რომ იტყვიან, თვალთ ვერ გასწვდებოდი. ფრიდონს, როგორც მოჭიდავეს, ორი ნაკლი ახასიათებდა — უზომოდ გულკეთილი და დინჯი იყო. მაგრამ შეიძლება სწორედ ამიტომაც უყვარდა ხალხს ასე თავისი ფალავანი. ხობლავდა მისი კეთილი ღიმილი.

1912 წელს ფიდო მამა გახდა. ბიჭს არსენა დაარქვეს. თავის წიგნში „ფალავენების მწყობრში“ არსენ მეკოკიშვილი წერს: „პირადად მე არასოდეს მინახავს, როგორ კიდაობდა მამაჩვენი უბნის მოჭიდავეებთან. ხუთი წლის ვიყავი, ის რომ მოკვდა. 1917 წელს“.

მამაზე არსენს პაპა იოსება უამბობდა. ხმა ეხლიჩებოდა მოხუცს, თავს ქინდრავდა შვილის მწარე ბედზე ლაპარაკის დროს. ფრიდონმა არ იცოდა, რა იყო ავადმყოფობა. არავითარი სენი არ ეკიდებოდა რკინისებური ჯანმრთელობის ბიჭს. მაგრამ „იპანკის“ საშინელმა ეპიდემიამ სამარეში ჩააწვინა გოლიათი.

არსენა უკვე მთელ ქვეყანაში ცნობილი მოჭიდავე იყო. სოფლის ექვიანი ბებრები კი ხშირად ეუბნებოდნენ: ყოჩაღ. არ შეარცხვინე ჩვენი გიორგიწმინდა. კარგად კიდაობ, მაგრამ მამაშენობას ბევრი გაკლია, ის შენზე ძლიერი იყო.

პაპა იოსებმა არსენს მამის მაგივრობა გაუწვია. ძველ მეცხვარეს ბიჭი მთაში დაჰყავდა. მკაცრად და უბრალოდ ზრდიდა. მხოლოდ იშვიათად გადაუსვამდა ხოლმე თავზე ხელს და ეუბნებოდა: „მამას ჰგევხარ არსენ, მამას!“.

ერთხელ კიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის ყოფილმა თავმჯდომარემ ირაკლი სარაჯიშვილმა ამ სტრიქონების ავტორს უთხრა:

— კიდაობა ცხოვრების თავისებური სკოლაა. ამ სკოლას ყველა ქართველი ბიჭი ვადის. ეზოები, მინდვრები, სპორტული მოედნები საკმარისად გვაქვს. კიდაობას კი სხვა რა უნდა! მწვრთნელები? ყველა მოზრდილი გაჩვენებთ სარმასაც და შუაეაურსაც. ყველა ქართველი საზოგადოებრივი მწვრთნელია...

იმ ხანაში, როცა არსენ მეკოკიშვილს ხასიათი უყალიბდებოდა, არ იყო შესანიშნავი სპორტის სასახლეები, არ იყვნენ სპეციალისტები, მაგრამ იყო სოფელი და მარად ახალგაზრდა კიდაობა: ქართული

ქიდაობა იყო სიმამაცის, ხერხიანობის, ძალის, კეთილშობილების და, რაც მთავარია, პატრიოტიზმის სკოლა. ბიჭი ქიდაობდა თავისი კლასისათვის, ჭაბუკი — თავისი სკოლისათვის, მოზრდილი — თავისი სოფლისათვის.

სპორტის ეროვნული სახეობანი უდიდეს როლს ასრულებენ ჭაბუკთა აღზრდაში, ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში, ოლიმპიური სპორტის რეზერვის შექმნაში. ცხრამეტი წლის ასაკში მევენახეობის კოლმეურნეობა „სამური ცხოვრების“ ბრიგადირი არსენ მეკოკიშვილი 90 კილოგრამს იწონიდა და დამარცხებული ჰყავდა ბევრი ცნობილი მოჭიდავე. მათ შორის იყო მისი მეგობარი და თანასოფელი შალვა გზირიშვილი — პროფესიით მჭედელი, ქიდაობის დიდი მცოდნე და მოტრფიალე. არსენასთან წაგების შემდეგ შალვას არაერთხელ უთქვამს, ასეთი დიდი ნიჭი არ უნდა დაიმალოს, ხალხმა უნდა დაინახოს და გაიხაროსო.

სოფლის მჭედელს უბადლო ორგანიზატორული უნარი ჰქონდა. ხშირად მართავდა სოფლებში შეჯიბრებებს. თვითონ გახლდათ მსაჯიცი, ინფორმატორიცი, კომენდანტიცი. ყველაფერს სწვდებოდა და, ცხადია, არც მთავარს ივიწყებდა: მუშაობდა სამჭედლოში, მეთვალყურეობდა არსენს, მისი მუდმივი სპარინგ-პარტნიორი იყო.

განა შეიძლებოდა გზირიშვილის (შემდგომ იგი რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა) გარჯა ნამდვილი წარმატებით არ დაგვირგვინებულყო? მეგობრის დაყინებული თხოვნით არსენა 1932 წელს თბილისს ჩავიდა, დაამარცხა ყველა უძლიერესი მოჭიდავე და საქართველოს ჩემპიონი გახდა. სწორედ თბილისში გაიცნო ორი ადამიანი, რომლებმაც მის შემდგომ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულეს.

ნამდვილი მწვრთნელი არსენ მეკოკიშვილს მანამდე არცა ჰყოლია. ნიჭიერ ყმაწვილს ასწავლიდნენ მასავით თვითნასწავლი სოფლელები. თბილისში კი არსენა მიხვდა, რომ „სკოლა“ უნდა გაეგლო, მაგრამ სად იპოვიდა ნამდვილ მწვრთნელს? თუმცა ძებნა არ დასჭირვებია. არსენამ წერილი მიიღო: „მთელ ჩემს გამოცდილებას, რაც მოჭიდავის ხანგრძლივ ცხოვრებაში შემიძენია, სიამოვნებით გაგიზიარებ შენ...“ ამას წერდა აკაკი ადგიშვილი, ძველი მოჭიდავე, სპორტის დიდი მცოდნე, რომელიც თბილისის დეპოში უფროს ოსტატად მუშაობდა.

ადგიშვილი ათასგვარი კვანტებისა და სარმების ცოცხალი ენციკლოპედია იყო. ადგიშვილს ეხმარებოდა მისი მეგობარი ილო თომაშვილი (სვანელი), ძველი პროფესიული მოჭიდავე, რომელიც რეგულარულად ესწრებოდა მეკოკიშვილის ვარჯიშებს: „არსენ, იცოდე, რომ ტაქტიკა მოჭიდავის იარაღია. მძიმე წონისა ხარ. სისწრაფეს შენ-

გან არავინ ელის. სწორედ ამიტომ სწრაფი უნდა იყო და ვერავინ დაგამარცხებს“. ვარჯიშებზე ხშირად დადგოდა ხმაურიანი, იქნებ მხიარული ვეკილი მიხეილ ხერხეულიძე. „მუშაობთ? აბა, იმუშავეთ, ჩქარა უნდა გავმართოთ ჭიდაობა“.

სპორტის დამაახურებელმა ოსტატმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა ასეთი შემთხვევა გაიხსენა: „...უკვე ერთი წელი იყო, რაც ჩემ სოფელ საგარეჯოში ვვარჯიშობდი. მოზრდილები მეუბნებოდნენ, კარგი მონაცემები გაქვს და. თუ იმუშაობ, რამეს მიაღწევო. გულახდილად გეტყვით, წვრთნა მაინცდამაინც არ მებიტნავებოდა, ჭიდაობა კი ძალიან მიყვარდა. ალბათ. ეს გაითვალისწინა ჩემმა პირველმა მწვრთნელმა ვანიკო მეკოკიშვილმა — არსენ მეკოკიშვილის ნათესავმა. ერთხელ მწვრთნელმა, თითქოს სასხვათაშორისოდ, მითხრა: რაიონის პირველობის საყურებლად თვითონ არსენ მეკოკიშვილი ჩამოვაო. შიშისაგან კინაღამ გავთავადი! მეგონა, ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი სადღაც ღმერთთან ახლოს ცხოვრობდა. ის კი თურმე ჩვენ რაიონულ პირველობაზე აპირებდა დასწრებას. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვიქნებოდი?!

აი, შეჯიბრებაც დაიწყო და მე. შიშით ატანილმა, ყველა მეტოქე დავამარცხე. ძია არსენამ თავისთან მიხმო, მომილოცა და გამომიტხა. სად ვცხოვრობდი, ვისი ვიყავი, სკოლაში როგორ ვსწავლობდი. შემდეგ მითხრა, რომ მოეწონა ჩემი ჭიდაობა, და მირჩია, წვრთნას სერიოზულად მოჰკიდე ხელიო. დავიბენი, რაღაც ჩავიბურტყუნე. მეკოკიშვილმა კი გადახედა ჩემს მწვრთნელს და მითხრა: „მოდი, ლევან. ხვალ ერთად ჩავიდეთ თბილისში, შენ ხომ წინააღმდეგი არა ხარ?“

წინააღმდეგი ვინ იქნებოდა? თვითონ მეკოკიშვილი მიწვევდა! სად არ ვიყავით: პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სამინისტროებში, უნივერსიტეტში, მოქანდაკის სახელოსნოში. ძველი მოქიდავეებიც მოვინახულეთ. ძია არსენა ყველგან სასურველი სტუმარი იყო. ყველგან იმას ამბობდა, ჩემი კუთხისააო. მოჭიდავეა და ნახავთ — დიდი სპორტსმენი გამოვაო. სირცხვილისაგან არ ვიცოდი, თავი სად წამეღო.

ასე დავიწყე წვრთნა თბილისში ჩემი მგზავრობის შემდეგ!..“

ახლა მოდიოთ. შევადაროთ თედიაშვილის ნაამბობი იმ შემთხვევას, რომელიც XX საუკუნის დამდეგს მოხდა და მეკოკიშვილმა აღწერა წიგნში „ფალავნების მხარეში“: „...სავარეჯოში ჩამოვიდა ლეგენდარული სანდრო კანდელაკი... ჩემ დღეში არ მენახა ასეთი გოლიათი, წაკითხული მქონდა თურქი მოქიდავეები: შესახებ, რომლებიც განთქმულნი იყვნენ უზარმაზარი წონითა და არაადამიანური ღონით. კერძოდ, წისქვილის ქვების შვიდავ ნურლანზე, რომლის სიმძიმის ქვეშ იზნიჭებოდა მუხის ძელებით დამაგრებული ფიცარნავი;

მაგრამ მასაც ჩრდილავდა კანდელაკის ბუმბერაზული აღნაგობა. ამ ვეებან ტანა კაცს ორი მოჭიდავეც ვერაფერს დააკლებდა. შეუძლებელი იყო მისი ხალიჩიდან მოწყვეტა. ჰაერში აყვანა. მაყურებლები ვერ ძლებოდნენ ამ სასწაული კაცის ცქერით...“

საგარეჯოში სახელგანთქმული პროფესიული მოჭიდავე თითქოს მხოლოდ იმისათვის ჩამოვიდა, რომ მოენახლებინა ძველი მეგობარი. ცნობილი მოჭიდავე მიხა ქურხული, რომელიც საღამომობით ახალგაზრდობას სოფლის კლუბში წვრთნიდა. სინამდვილეში კი იგი იმითმ მოიწვიეს, რომ მეკოკიშვილი ეჩვენებინათ. არსენამ ყველა შეტოქე სძლია. კანდელაკმა შეაქო ჭაბუჯი, შეპპირდა. ყველაფერში დაგეხმარებიო.

აი რა ხალხი ირჩებოდა სოფლელი ბიჭის აღზრდისათვის... გზირიშვილი. ადვიშვილი. თომაშვილი. ხერხეულიძე. ქურხული, კანდელაკი. როცა საჭირო გახდა, არსენ მეკოკიშვილმა და ვახტანგ ბალავაძემ უკვე თვითონ იყისრეს ლევან თედიაშვილის მეურვეობა.

რა თქმა უნდა. სავსებით მართალია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი აარაჯიშვილი, როცა ამტკიცებს. ქართული მამაკაცები იყვნენ, არიან და იქნებიან ჭიდაობაში საზოგადოებრივი მწვრთნელებიო. ნიკიერ ყმაწვილს ისინი არასოდეს აუქცევენ გვერდს. დაეხმარებიან.

ქართული ჭიდაობა მეკოკიშვილის პირველი სპორტული აკადემია იყო. იგი საქართველოს ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონი გახლდათ: მაგრამ მან მეორე აკადემიაც გაიარა — საკავშირო აპარეზზე ეს საოცარი ათლეთი ჭიდაობის სამ (!) სახეობაში გამოდიოდა: თავისუფალში, კლასიკურსა და სამბოში. ჭერ კიდევ 1939 წელს, როცა სრულად არ იცნობდა კლასიკურ ჭიდაობას, საკავშირო ტურნირზე საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონს კიეველ ა. გონეჟას შეხვდა და საპატიო ფრეს მიადწია, ტექნიკურ პლიასულიას ქულებითაც კი მოუგო.

არსენ მეკოკიშვილი გულწრფელი კაცი და ნამდვილი სპორტსმენი იყო: „ჩემი ფრე გონეჟასთან და გამარჯვება პლიასულიასთან უფრო მეტოქეების მცდარ ტაქტიკას უნდა მივაწერო, ვიდრე ჩემ ლირსებას, — წერდა იგი. — კლასიკურ ჭიდაობაში მე ცხვირმოუხოცავი ყმაწვილი ვიყავი და მხოლოდ მოჭიდავეს გუმანმა მისხნა... შინ დაბრუნების შემდეგ კლასიკურ ჭიდაობაში მამეცადინებდნენ ვახტანგ კუხიანიძე — ასალგაზრდა. დინჯი, ასაკთან შედარებით დაბრძენებული მწვრთნელი. ირაკლი ყანჩელი და თვით ლეონიდ ძეკონაყი — საჭიდაო ხალიჩის ცნობილი ოსტატი, მამაცი და უღონიერესი ვაჟკაცი“.

უეპველია, რომ ამ სპეციალისტებმა კარგად გაწვრთნეს არსენ მეკოკიშვილი. განა შეიძლება ბევრი რამ ასწავლო ნიკიერ, მაგრამ ოც

დაათ წელს მიტანიულ კაცს, მით უფრო, როცა საქმე ეხება სრულიად ახალ სახეობას? ვფიქრობ, ბევრი არაფერი. და მაინც მეყოკიშვილი ტოლს არ უდებდა კლასიკური ჰიდაობის ისეთ ოსტატება, როგორც თყვენენ იოჰანეს კოტკასი და ალექსანდრე მანუერი, და თუ მაინც ჩამორჩებოდა მათ, სულ ზეკრი 1—2 ქულათ.

„კლასიკოსთა“ საკავშირო ჩემპიონატებში მეყოკიშვილი ორჯერ მეორე და ოთხჯერ მესამე იყო. რა თქმა უნდა, ასეთი მოქიდავე პირველობას ესწრაფოდა და გახდა კიდევ. სამბოში 1940 წელს მან პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა ჰიდაობის იმ სახეობაში, რომელიც ასე ძალიან ჰგავს მის მშობლიურ ქართულ ჰიდაობას. მეყოკიშვილის ამ გამარჯვებამ ძალზე გაახარა მისი მწერტნელი აკაკი ადვიშვილი და ილო თომაშვილი. ომის შემდეგ მეყოკიშვილი სსრ კავშირის უცვლეელი ჩემპიონი იყო სამბოში — რვაჯერ მიიღო ოქროს მედალი.

მაგრამ არსენ მეყოკიშვილის ნამდვილი აღზევება ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი ჰიდაობის შემოსვლასთან ერთად დაიწყო. 1945 წლიდან მან ცხრაჯერ (!) მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონატი. ჩვენი ქვეყნის დამსახურებული მწერტნელი ს. პრეობრაჟენსკი წიგნში „ცხარე ბრძოლები“ იგონებს ამ წლებს: „ჰიდაობის ოსტატობაში იგი რამდენიმე თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე, ჩვენ მივეჩვიეთ, ვინც კი შეერკინებოდა გიორგიწმინდელ მევენახეს, უსათუოდ უნდა დამარცხებულიყო“.

გიორგიწმინდელი მევენახე... მამა-პაპისაგან მოსდევდა არსენას მოწიწება ბუნების უდიდესი საწაულისადმი — ვახისადმი. გახსოვთ „ჯარისკაცის მამა“? გახსოვთ, როგორ უყვიროდა მოხუცი გიორგი მახარაშვილი ტანკისტს, რომელმაც თავისი მანქანის მუხლუხებით ვენახი გადათელა: „ეს ხომ კოცხალია!“ ასევე ექცეოდა ვახს არსენ მეყოკიშვილი. იგი არაფერში გაცვლიდა ვენახს, არაჰოდეს!

1954 წელს მეყოკიშვილმა მოიგო ჩვენი სპორტსმენებისათვის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჰიდაობაში. ტოკიოს ხალიჩაზეც არავინ აღმოჩნდა 42 წლის კახელი გლეხის სწორი. მარდი ფინელი ტიოსტო კანგასნიემი და ფრთხილი უნგრელი ნოტნი ნევენნი შოთებივით გააკრა ხალიჩაზე. ახალგაზრდა ირანელმა მოქიდავემ ახმედ ჯაფალარმა და შეუპოვარმა თურქმა ირფან ათანმა ქულებით წააგეს. ათანთან ორთაბრძოლის დროს მოხდა შემთხვევა, რომელიც მეყოკიშვილს მთელი სიცოცხლე ახსოვდა. თურქი ლონიერი მოქიდავე იყო. ამტანი, გაბედული. მისი სპორტული ვარსკვლავი უკვე აღარ კიაფობდა, მაგრამ ვაყვაცურად შეება მეყოკიშვილსაც, ანტონსონსაც. ჯილდოდ ბრინჯაოს მედალი ერგო. დანარჩენი მეტოქეები დაამარცხა.

და აი. ორთაბრძოლის ბოლოს მეკოკიშვილმა ირფან ათანი მორიგ ჩოქბეჭენში გადაიყვანა. ხელები კისერში ჩასჭირდა. „ნახევარნელსონს“ უტარებდა. ირფანს უჭირდა. ძალა ელეოდა. გონგამდე წაშებილა რჩე-ბოდა. მეკოკიშვილი დაწოლას აძლიერებდა და უცებ ყრუ ჩურჩული მოესმა: „ნულარ მანვეები. არსენ, ნუ წამაქცევ!“. თურქი მოწინააღმდეგე პატიებას წმინდა ქართულთ სთხოვდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეკოკიშვილი შეკრთა კიდევ, დაწოლა შეანელა. გონგს ჩამოჰკრეს. ათანის ბეჭები გადარჩა.

როცა მსაჯმა გამარჯვების ნიშნად საბჭოთა მოჭიდავეს ხელი ასწია, ათანი თავჩაღუნული იდგა. მაგრამ ტრადიციული გამოსამშვიდობებელი ხელის ჩამორთმევისას ხანგრძლივი მზერით გააცილა მეკოკიშვილი. ათანის თვალები მადლობას გამოხატავდნენ.

გივი კარტოხია ამბობს: „მეკოკიშვილი მთელი ეპოქაა ჩვენს სპორტში, განუყოფელი ეპოქა. რა იყო სახალხო ფალავანი ამ ცნების უღრმეში გაგებით. თვითონ ჩვენმა მიწამ უხვად მიჰმადლა მას ძალა. 140-კილოგრამიან იოქანეს კოტკასს შეეძლო ადგილიდან მალაყზე გადასვლა, არსენა კი მალაყზე დრეკადი ბიჯითაც ვერ გადავიდოდა, მაგრამ მას არ სჭირდებოდა ეს.

საერთოდ არ უყვარდა ტრიალი. სამაგიეროდ, არსენ მეკოკიშვილი ფესვებიანად ამოგლეჯდა ხეს. ვის შესწევს ამის ძალა?!“

სტამბოლში 1956 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაზე ბერტილ ანტონსონი აღარ ჩავიდა. ხალიჩა დატოვა ირფან ათანამაც. სტამბოლში იგი მივიდა მეკოკიშვილთან, სევდიანად გაულიმა და ხელები გაშალა: „აღარ ვქიდაობ, არ შემეიყვანეს გუნდში... შენ კი სახეს გაუფრთხილდი!“ — უთხრა ქართულად. მხოლოდ თურქული ჰქიდაობის ახალ ვარსკვლავთან პაშიდ ქაფლანთან შერკინების დროს ჩააწვდა მეკოკიშვილი ამ გაფრთხილების აზრს.

ქაფლანი საბჭოთა მოჭიდავეზე ორჯერ ახალგაზრდა იყო. გრძელმკლავება, ამტანი, ფიზიკურად ძალზე ღონიერი ხალიჩაზე კი არ დადიოდა. დაჰქრიდა. მეკოკიშვილის ყოველ ცდაზე — როგორმე კონტაქტში შესულყო მასთან, ქაფლანი უკან ხტებოდა, ხშირად ხალიჩიდანაც გარბოდა.

მსაჯები შენიშვნას არ აძლევდნენ. სტამბოლში საშიშია შენიშვნები მისცე თურქ მოჭიდავეს: ტრიბუნლიდან გადმოსროლილი ბოთლი შეიძლება „შემთხვევით“ თავში მოხვდეს ასეთ მსაჯა. რა ძალა ადგათ!

ბრძოლის მეორე ნახევარში ქაფლანი გააქტიურდა, ცდილობდა ხელში ჩაეგდო მეტოქის მკლავი, მაგრამ ვერ ახერხებდა. მეკოკიშვილის ერთ-ერთი იერიშის დროს ქაფლანმა სწრაფად თავური დაჰკრა პარდაშირ სასეში. ეს საშინელი დარტყმა. მეკოკიშვილი, რომელსაც

მთელი თავისი კარიერის მანძილზე შეუტრაცხყოფა არავისთვის მიუყენებია. არც ერთი მეტოქე არ დაუმცირებია, გაოცდა.

თურქი საბავლად მოიქცა. რისი იმედი ჰქონდა? იქნებ იმისი, რომ ჰალარა ვეტერანი უკან დაიხედა? ვიდრე მსაჯი გააფრთხილებდა, მან გულზე ხელი დაიდო. მოიბოდიშა, შემთხვევით მომიხდაო.

შემთხვევით? ერთი წუთის შემდეგ ქაფლანმა მეორედ დაარტყა. მსაჯმა ესეც „ვერ შეამჩნია“. მალე ამას მესამეც მოჰყვა. მსაჯებმა თათქოს დააპირეს თურქის გაფრთხილება, მაგრამ ტრიბუნები მუქარით ავლუგუნდნენ და მსაჯიც „მკაცრ“ შეგონებას დასჯერდა...

რევოლუციამდელ საქართველოში იყო მოჭიდავე დავით ხიზამბარელი. ღონიერი, გულკეთილი კაცი. არასოდეს არავისთვის უწყენინებია და არასოდეს დაუკარგავს სიღარბაისლუ. ერთხელ ერთ ჩამოსულ მოჭიდავეს განზრახ მუშტი უთხლუშია დათასთვის სახეში. ხიზამბარელი შეშმუშნულა და უკითხავს „ბიჭო, კრიეში ხომ არ გამოვსულვარ, რომ იცემები? ეს უთქვამს და ზურგზე მოუგდია. ჩვენ დროში ამ ილეთს „ბორბალას“ უწოდებენ, მაგრამ ხალიჩაზე კი არ დაუგდია, არამედ ქეა-ლორღის გროვასთან მიუტანია და უთქვამს, ამ ქებზე უნდა დაგასრისოო. მაგრამ შიშით გულშემოყრილი მეტოქე დათას ფრთხილად დაუწვევია ფიცარნაგზე. ამხანაგისთვის დაუძახია, „ერთი თავზე წყალი დაასხი, მოაბრუნეო“.

სტამბოლის ფიცარნაგის ასლოს ქეა-ლორღი არ ეყარა. ქაფლანს ვონება არ დაუკარგავს, არც არსენ მეკოკიშვილს დაუკარგავს სიღინჯე. დასდევდა მეტოქეს მთელ ხალიჩაზე, ბოლოს მაინც მიწვედა, დაეკირა. ასეთი ძალით არსენას ოლიმპიადაზეც არ გამოუდვია სარმა. ქაფლანმა ჩაიჩოქა, ხელები ხალიჩას შეახო და გავიდა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ხალიჩიდან გაიქცა. პირდაპირ გაიქცა. ქულა მეკოკიშვილმა მოიგო. გონგს ჩამოჰკრეს.

მსაჯებმა საბჭოთა მოჭიდავეს ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება. რა ამბავი ატყდა! სტალიონი აბობოქრდა. შეშინებული პოლიციელები ფიცარნაგზე აცვიდნენ. იქ კი ამაყად იდგა ჰალარა ფალავანი და მშვიდად უყურებდა თავის კუთხეში აწრიალებულ ჰამიდ ქაფლანს. ბრბომ გაარღვია პოლიციის პირველი კორდონი — ველური ღმუილით მირბოდა ფიცარნაგისაკენ. ხალიჩასთან ახლო მდგომი პოლიციელები რამდენიმე რკალად შემოერთყნენ მსაჯებს, საბჭოთა მწერთნელებს, მსოფლიო თასის მფლობელ მეკოკიშვილს და ისინი გასახდელში გაიყვანეს. მაშინ გამძვინვარებულმა გულშემატკივრებმა ალყაში მოაქციეს მთავარ მსაჯთა კოლეგია და გვიან ღამემდე ფეხი არ მოაცვლევინეს. დილით მეკოკიშვილმა შეიტყო, რომ ოქროს ჭილდო ქაფლანისთვის მიეცათ. აშკარად წაართვეს გამარჯვება.

არსენას ეს არ გაჰკვირვებია. მან ისეთი გრძელი გზა განვლო, რომ

აღარაფერი აკვირვებდა. ძლიერი ვაჟკაცი დიდ სპორტში სანგრძლი-
ვი და სახელოვანი ცხოვრების ფინიშის სწორზეც ლამაზად გავიდა.

1954—55 წლებში საკავშირო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურ-
ზე ახალგაზრდა მოჭიდავეები იდგნენ. ესენი იყვნენ ლენინგრადელი
ვ. პრუტკოვსკი და ტალინელი ვ. ტრისბერვი. მეკოკიშვილი ამ შეჯიბ-
რებებში არ გამოსულა. მაგრამ ახლოვდებოდა სსრ კავშირის ხალხთა
სპორტკაიდა, ახლოვდებოდა მეღბურნის ოლიმპიური თამაშები. შე-
ეძლო თუ არა არსენ მეკოკიშვილს აქ წამოიყენებინა თავისი, რო-
გორც ფალანის, უფლებები?

წამოაყენა კიდეც. 44 წლის ვეტერანმა გაარღვია ახალგაზრდა მა-
ძიებლების ზღუდე და სპორტკაიდაის ჩემპიონი გახდა. არასოდეს
არცერთ საბჭოთა მოჭიდავეს ამ ასაკში არ მოუპოვებია ქვეყნის უმაღ-
ლესი სპორტული წოდება. ეს აბსოლუტური საკავშირო რეკორდი
დღემდე არავის მოუხანია!

არსენ მეკოკიშვილმა მობოვია უფლება მეორედ გამოსულიყო
ოლიმპიურ ხალიჩაზე — მეღბურნში 1956 წელს. მაგრამ ოლიმპიური
საგზური მას არ არგუნეს. მწვრთნელები არ ენდვნენ ძველი მოჭიდა-
ვის ძალას და 22 წლის კიეველი ივანე ვიხრისტოევი არჩიეს.

სერგეი პრეობრაჟენსკი, სსრ კავშირის იმდროინდელი ნაკრების
ერთ-ერთი მწვრთნელი — პატროსანი და გულწრფელი ადამიანი წერს:
„არსენი ჩრდილივით დასდევდა მწვრთნელებს. რომელთაგან თითო-
ცული, უფროსი მწვრთნელის ა. ზ. კატულინის გარდა, მასზე გაცილე-
ბით ახალგაზრდა იყო, და ევედრებოდა: „ერთხელ კიდეც, უკანასკნე-
ლად მკვიდავეთ. არ შეგარცხვენთო!“ ეს უპირატესობა მაინც ახალ-
გაზრდობას მისცეს: მეღბურნში ივანე ვიხრისტოევი ჩავიდა. მწვრთნე-
ლები შემდეგ დიდხანს მორცხვად დუმდნენ, როცა ეკითხებოდნენ,
რატომ არ წაიყვანეს მეღბურნში არსენი. ვიხრისტოევიც სულ სამი
წრე იბრძოლა და მეექვსე ადგილს დასჯერდა.

ოლიმპიადის ჩემპიონი კი გახდა ჰამიდ ქაფლანი. მეღბურნში არ-
სენა აღარ იყო, არ იყო მოჭიდავე, რომელსაც შეეძლო ღირსეული
წინააღმდეგობა გაეწია თურქი მძიმე წონის მოჭიდავისათვის“.

ნათქვამია: ჰკვიანი ის კი არ არის, ვინც ხედავს, ვინაიდან ყველა
ხედავს, ვისაც თვალები აქვს; ჰკვიანი ის არის, ვინც წინასწარ ხე-
დავს... ნუთუ ჩვენმა მწვრთნელებმა არ იცოდნენ, რომ მეკოკიშვილი
შეაკვდებოდა, სიტყვას კი არ გასტეხდა? ნუთუ ჩვენ მწვრთნელებსა
და სპორტულ ხელმძღვანელებს ოქროს მედალი უფრო სჭირდებო-
დათ, ვიდრე თვით მეკოკიშვილს? როგორ შეიძლებოდა ყური არ მი-
ეგდოთ იმ ფალანის სიტყვისათვის, რომელმაც ჩვენს სპორტს ასეთი
ბრწყინვალე, დაუვიწყარი გამარჯვებანი მოუპოვა? განა არსენას ამ-
ჯერად მძლავრი მკლავებიდან დაუსსლტებოდა ქაფლანი?

არსენ მეკოციშვილი თავისუფალი ჭიდაობიდან დაუმარცხებელი წაეიდა. ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონაში ყოველთვის პირველი იყო. სწორედ მან გაუკვალა გზა ალექსანდრე მედევედს, ალექსანდრე ივანიცკის, სოსლან ანდიევს.

ამ გზით ივლიან ბეერნი, რომელთა ცხელი გულები სამშობლოს სადიდებლად, მამაცობის სადიდებლად, ღირსებისა და გოლიათური ძლიერებისათვის იძგერებენ.

და მათ გვერდით მუდამ იქნება არსენ მეკოციშვილი — ჭალარა გოლიათი თავისი ბრძნული და კეთილი ღიმილით. გლეხის დიდ დაკოყრილ ხელისგულზე ქარვის ყურძნის მტევნით.

ბორცვის ფერდობზე სოფლის სასაფლაოა. იქ მეკოციშვილის ძეგლი დგას — ლეგენდარულ არსენას ძლიერი მკერდით თითქოს გაურღვევია უზარმაზარი ქვის ლოდი. აქ დასაფლავებული ფალაქანი ჩვიდმეტწერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიურ ასპარეზობებზე გამარჯვებული.

ამ საფლავზე ხშირად მოდის ხალხი, ამკობენ ყვავილებით და პატივისცემის ნიშნად წუთით დუმდებიან...

საამაყოა ეს გვარ-სახელი — არსენ მეკოციშვილი!

ვისაუბროთ ოპტიმიზმზე



დავთ ციმაკურიძე

იღავეთ ციმაკურიძე არ შეცვლილა, მისი გული ყოველთვის ღიაა მეგობრისათვის. ჭიდაობაში მას ვერაფრით გააკვირვებ. მან კი ბევრი გააოცა. იცოდა მიზანთან მისვლა ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად“.

არამ იალტირიანი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
სსრ კავშირის დამსახურებული
მწერტენელი

ქ. კიევი

ეს დიდი ხანია მოხდა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა ლონიერი ყმაწვილი. მას მიხეილი ერქვა, გვარად ციმაკურიძე. ყოველდღე, სწავლის შემდეგ იგი ამზანაგებთან ერთად ქართული ჭიდაობის წვრტნაზე მიიჩქაროდა. ბიჭები მაშინ ყველგან მეცადინეობდნენ: მინდვრებში, ეზოებში, ზოგჯერ სპორტდარბაზებშიც.

მიშიკოს მამას სულაც არ უხაროდა, რომ მისი ვაჟი გიმნაზიასა და ჭიდაობას უთავსებდა ერთმანეთს. მაგრამ ყმაწვილი ლონიერი და მოხერხებული იზრდებოდა და მამაც არ უშლიდა სპორტში მეცადინეობას. ხოლო როცა კლასიკურმა (მაშინ მას ფრანგულს უწოდებდნენ) ჭიდაობამ გაიტაცა და მიშიკომ გადაწყვიტა, პროფესიული მოჭიდავე გამხდარიყო, შშობლები დაუყოვნებლივ ჩაერივნენ.

— გიკრძალავ! არ გაბედო ციმაკურძეების გვარის შერცხვენა. რა უნდა ექნა ყმაწვილს; რომელიც გრძნობდა, რომ ჭიდაობა მისი მოწოდება იყო?

იმ დროს საქართველოში ცხოვრობდა ჭიდაობის დიდი თაყვანისმცემელი, უკვე ხნიერი, დიდად პატივცემული კაცი — მაჩაბელი. როცა მიშიკო ციმაკურძის გასაკვირი შეიტყო, უთხრა:

— შეილო, ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი გვარი შენი სპორტული ფსევდონიმი გახდება. ხოლო, როცა მამაშენი დაინახავს, რომ მართლაც მოჭიდავე ხარ, ნებას დაგრთავს შენი ნამდვილი გვარით გამოხვიდე შეჭიბრებებზე. მანამდე კი მეცი პატივი, მოუგე დღევანდელ მეტოქეს და გამოცხადდი როგორც მიშიკო მაჩაბელი...

რამდენიმე ხნის შემდეგ მთელი საქართველო ალაპარაკდა მოჭიდავე მაჩაბელზე. გაიცნეს და შეიყვარეს იგი ჭიდაობის თაყვანისმცემლებმა რუსეთის დიდ ქალაქებშიც. იგი ხვდებოდა ბევრ გამოჩენილ ათლეტს და ტოლს არ უდებდა მათ.

არ ვიცი, რა მიზეზით გამოდიოდა მიხეილ ციმაკურძე მთელი თავისი სპორტული ცხოვრების მანძილზე მხოლოდ მაჩაბლის გვარით. იქნებ მამა მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე, იქნებ თვით მაჩაბლისადმი პატივისცემამ ვერ ათქმევინა უარი ფსევდონიმზე, ანდა შეიძლება სხვა რაიმე იყო მიზეზი... მაგრამ ფაქტია, რომ ყველა იცნობდა მოჭიდავე მაჩაბელს და არაუინ—მოჭიდავე ციმაკურძეს.

1940 წელს მიშიკო მაჩაბელი უკანასკნელად გამოვიდა საჭიდაოდ. იმავე წელს მისი თხუთმეტი წლის ვაჟი დავითი — პირველად შევიდა საჭიდაოდ დარბაზში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტრე იორდანიშვილი. ხუთი წლის შემდეგ სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში დავითი იგებს ოქროს მედალს. ასე დაუბრუნდა ჭიდაობის სამყაროს ციმაკურძეების გვარი.

მწვრთნელ იორდანიშვილთან მივიდა ახალგაზრდა მოჭიდავე... რამდენიმე წელიწადს დავითი მეცადინეობდა ტანვარჯიშში. ჰქონდა ნაღდი პირველი თანრიგი, ოსტატობის პროგრამის ათვისებასაც შეუდგა, მაგრამ ერთხელ დიდი ტრიალისას, ხალხი „მზეს“ რომ უწოდებს, მოსწყდა ღერძს. მართალია, საშინელი არაფერი მომხდარა, ციმაკურძე ოთხზე დადგა, მაგრამ მწვრთნელმა არჩილ ბაქრაძემ სხვაგვარად განსაჯა:

— დავით, ეს მხოლოდ დასაწყისია! შენ მძიმეები, მოჭიდავეების ჯილაგი გეტყობა, წადი, ბიჭო, მამაშენის გზით, ჭიდაობას მიჰყევი... ნახავ, რა არის მაყურებელი, თაყვანისმცემელიც ბევრი გეყოლება... ტანვარჯიში კი საქართველოში მშვიდი სპორტია.

დავით ციმაკურძეს სიტყვასიტყვით ახსოვს ყველაფერი, რაც ამდღის ხნის წინათ უთხრა არჩილ ბაქრაძემ, და ამ ამბის მოყოლისას

ისე ღელავს. თითქოს ეს ყველაფერი გუშინ მომხდარიყოს. ძალიან ემწარა, ძნელი იყო ტანვარჯიშიდან წასვლა. კრდევე ბევრჯერ შემო-
ირბენდა ხოლმე დარბაზში. — ჭიდაობის მწვრთნელი ავად გახდა და
წვრთნა გადაიღო. ბაქრაძე კი ერთი საათის წინ შეხვდა სრულიად
ჯანმრთელ იორდანიშვილს: ამოიოხრებდა და ნებას აძლევდა, „ცო-
ტა ხანს წაივარჯიშო“

პეტრე იორდანიშვილს განსაკუთრებული ტაქტი უნდა ჰქონოდა,
რომ დავითი ჭიდაობაში სულიერად გაძარკეული არ შეეყვანა. ამი-
სათვის საჭირო იყო კეთილი გული, სიბრძნე და მაღალი ზნეობა. ჭი-
დაობის მწვრთნელს ყველაფერი ეს ახასიათებდა. პოლიტიკური ინს-
ტიტუტის კურსდამთავრებული. ინჟინერი არ გამხდარა. იმიტომ. რომ
ჭიდაობა ვერ დათმო. უყვარდა იგი. მოჭიდავეებსაც უყვარდათ პეტ-
რე იორდანიშვილი. საქართველოში სპორტული ჭიდაობის ერთ-ერთ-
მა თავკაცმა ვახტანგ კუხიანიძემ თქვა:

— უკვე აწყობილი საქმის გაძლოა ადვილია. რაც შეეხება ახ-
ლის დაწყებას, ახლის შექმნას. ამას ყველაზე შესაფერისი ადამიანე-
ბი სჭირდება. პეტრე იორდანიშვილს თავისი მოწაფეები ღვიძლი შვი-
ლებივით უყვარდა და სწორედ ამიტომ გახდა იგი რესპუბლიკის ქა-
ბუკთა ჭიდაობის ორგანიზატორი. იგი სათავეში ჩაუდგა ბავშვთა პირ-
ველ ჯგუფს — და ყველაფერი აქედან დაიწყო...

მხიარულმა, ალერსიანმა, არაჩვეულებრივად საზრიანმა მწვრთნელ-
მა ისე წარმართა მეცადინეობა, რომ, ციმაკურიძის სიტყვით,
„წვრთნის ორი საათი ოც წუთად ეჩვენებოდა“. ხოლო უფრო ახალ-
გაზრდა თაობის წარმომადგენელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის
ოსტატმა ელგუჯა ღუდუშაურმა თქვა: „პეტრე იორდანიშვილს მეტყ-
ველებაში პატარა დეფექტი ჰქონდა და ეს ჩვენ, პატარა ბიჭებს, ძა-
ლიან მოგვწონდა. დიდები ხომ, როგორც წესი, ნორმალურად ლაპა-
რაკობენ, იორდანიშვილი კი ამითაც „ჩვენი“ იყო. მას არ უყვარდა
შეჭიბრებებზე მგზავრობა, არ სურდა თუნდაც დროებით მოსცილე-
ბოდა თავის მოწაფეებს. დამეთანხმებით, ეს ბევრ რამეზე მეტყვე-
ლებს...“

ღიახ, ზოგჯერ ბედიც სამართლიანია. სწორედ ასეთი კაცი უნდა
გამხდარიყო ქართველ მოჭიდავეთა შორის პირველი ოლიმპიური
ჩემპიონის მწვრთნელი.

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე
პეტრე იორდანიშვილმა სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი და მერე რა
ძეგლი! ძველ საჭიდაო დარბაზს, სადაც ქართველი ფალავნების არა-
ერთი თაობა აღიზარდა და სადაც ერთ პატარა ოთახში იორდანიშვი-
ლის ოჯახი ცხოვრობდა, „პეტრეს ცირკი“ დაერქვა. რაი აღმასკომს,
მოგეხსენებათ, ამის თაობაზე სპეციალური დადგენილება არ მიუღია.

ეს არც იყო საჭირო. ხალხმა ასე უწოდა ქართველი ჩემპიონების ამ სამკედლოს და დღესაც ასე ეძახის. უფრო მეტიც: როცა თბილისში გაჩნდა ახალი დარბაზები და ძველს ვიღაც უგუნურმა მოკრივეებთან გადაცემა დაუპირა, მოჭიდავეებმა მჯდომარეთა პროტესტის გრაფიკი შეადგინეს და მრავალი დღე-ღამის განმავლობაში ერთი წამითაც არ დაუტოვებიათ ძველი დარბაზი. „პეტრეს ცირკი“ ახლაც მოქმედებს. თუ თქვენი ბავშვისათვის სიკეთე გსურთ, მიაბარეთ იქ...

დავით ციმაკურიძე საწვრთნელი ვარჯიშის დროს არც თავს იზოგავდა, არც თავის აღმზრდელებს ზოგავდა. რაც უნდა დიდი დატვირთვა ყოფილიყო, მას ყოველთვის არასაკმარისად ეჩვენებოდა. თუ ბევრი მისი თანატოლი ბაგირთან ორი „მძლეოთ“ კმაყოფილდებოდა, ციმაკურიძე ხუთსაც არ სჯერდებოდა. შეეძლო საათობით არ ჩამოსულიყო შტანგისტთა ფიცარნაგიდან. ხვეწდა კლასიკურ მოძრაობებსაც. ძალას იმუშავებდა, სპეციალური ვარჯიშებით იმაგრებდა კუნთებს.

ციმაკურიძე ისე შეეთვისა ფიცარნაგს, რომ ძალოსნებმა გადაბირება დაუპირეს. ეუბნებოდნენ, საქართველოში კარგ მოჭიდავეებს რა გამოლევს, შტანგისტები კი არა გვეყავსო. დათმობა მოუხდა. ციმაკურიძე დიდხანს გამოდიოდა როგორც მოჭიდავე და როგორც ძალოსანი. გამოდიოდა საკავშირო სარბიელზეც.

რა კარგი თაობა იყო! სპორტული თვალსაზრისით მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „უნივერსალების თაობა“. გაიხსენეთ საოცარი კიეველი ალექსანდრე კანაკი. ეს სპორტული გიგანტი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და რეკორდსმენი იყო მძლეოსნობის ისეთ განსხვავებულ სახეობებში, როგორიცაა თარჯრბენა, ბირთვის კერა, ათქიდი და უროს ტყორცნა. მაგრამ ესეც ყველაფერი როდია: 1936 წელს კანაკიმ დაამყარა სსრ კავშირის რეკორდი ძალოსნობაში — მარჯვენა ხელით აკრა 103,5 კილოგრამი (წინანდელი მიღწევა 101 კილოგრამი). იგი შესანიშნავი სამბისტი და მოკრივეც იყო.

ასეთი მავალითები თვით ქიდაობაშიც არის. იოჰანეს კოტყასი სსრ კავშირის ჩემპიონი იყო უროს ტყორცნაში, სერგეი პრეობრაჟენსკი კი, რომელიც სპეციალურად არ ვარჯიშობდა ნიჩბოსნობაში (ეს მხოლოდ წვრთნის პროგრამაში შედიოდა), ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა სპორტის ამ სახეობაშიც.

ასეთი გასლდათ დავით ციმაკურიძეც. მასაც წაქეზება კი არა, უფრო შეკავება სჭირდებოდა. შესანიშნავად იცოდა ქართული და კლასიკური ქიდაობა. შემდეგ კი თავისუფალ ქიდაობასაც ჩაუღრმავდა და ისე დაეუფლა, რომ დღესაც იყენებენ ილეთს, რომელსაც მისი სახელი ჰქვია.

— წვრთნის დროს ქვემძიმე წონის მოჭიდავეებიც დამიგორებია.

მხოლოდ შალვა ჩიხლაძე იდგა ხოლმე ხალიჩაზე მიდულაბებულო-
ვით: კარგად ვერ იცავდა თავს ამ ხერხისაგან (ის ხომ „კლასიკოსი“
იყო), მაგრამ მისი გადაბრუნება კი არა. ადგილიდან დაძვრაც შეუძ-
ლებელი გახლდათ. — ციმაკურიძე ხელებს შლის. — არაჩვეულებრივი
ღონე ჰქონდა ამ კაცს! იგი ყველაზე უფროსი იყო ჩვენს ნაკრებში
ჰელსინკის ოლიმპიადაზე და მსაჯები რომ არა... დიას, მსაჯები რომ
არა...

ქვემოთ ჩონის შალვა ჩიხლაძე 41 წლისა ხდებოდა, მაგრამ
მწვრთნელებმა ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტებისას არჩევანი
მანც მასზე შეაჩერეს. სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ჩიხლაძე
ყველას აოცებდა თავისი სპორტული დღეგრძელობით. პირველად
იგი ქვეყნის ჩემპიონი 1936 წელს გახდა, მეოთხედ კი — 1950 წელს.
ბავშვობაში მძიმედ დაუშავდა მარცხენა ხელი, ბოლომდე ვერ შლი-
და, შესამჩნევად გაუწვრილდა, მაგრამ, როგორც ჩიხლაძის მწვრთნელ-
მა ვახტანგ კუსიანიძემ მითხრა, „მსოფლიოში სხვას არავის ჰქონდა
ასეთი ღონიერი მკლავები“. ოცდაათიანი წლების დამდეგს ეს ხელე-
ბი „იპოვა“ ქუთაისელმა მწვრთნელმა გიორგი ქაუთარაძემ. რომელიც
გმირულად დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში.

ჩიხლაძის ძალა მისმა მეტოქეებმა ოლიმპიურ ტურნირზეც იწვი-
ნიეს. ფინალში გასულმა შალვამ მესამე წუთზე შოთივით გააქრა 1948
წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შვედი კარლ-ერიკ
ნილსონი. ჩიხლაძეს დარჩა გადამწვევტი ორთაბრძოლა პირველი ად-
გილისათვის ფინელ კელო გრენდალთან — ლონდონის ოლიმპიადის
მეორე პრიზიორთან. და, ალბათ, გრენდალი ამჯერადაც მეორე იქ-
ნებოდა, მსაჯები რომ არა...

როცა დაინახა, რომ ფინელი სრულიად ვერაფერს უხერხებდა ჩიხ-
ლაძის ირიბულ ჩაღვლებას, მსაჯმა ორთაბრძოლა ექვსჯერ შეაჩერა,
როგორც კი ჩიხლაძემ ამ იღეთის ჩატარება დააპირა.

— ისინი ამბობდნენ, გრენდალს ახრჩობდაო. რას შემართლებოდ-
ნენ, მე პატიოსნად ვჭიდაობდი. — 72 წლის შალვა ჩიხლაძე ნაღვლი-
ანად იღიმება, — არ მიმიშვეს ოქროს მედლაზე. გრენდალი უფრო
აქტიურად ჩათვალეს და ჩემპიონი ის გახდა. მე კი მხოლოდ მეორე
ვიყავი... დასანანი...

— ძალიან დასანანია, ძვირფასო შალვა — უთხრა ავტორმა თანა-
მოსაუბრეს. — მაგრამ არავის, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ჰიდაობაში,
ეჭვი არ ეპარება, რომ თქვენ გრენდალზე ძლიერი იყავით. თქვენ
„ვერცხლოს“ ოქროს ელვარება დაჰკრავს...

რა სიამაყე იყო ამ ადამიანებში! ისინი მკილს არ ირტყამდნენ
მკერდზე, არ ასაბუთებდნენ თავიანთ სიმართლეს. უბრალოდ აყე-
თებდნენ ყველაფერს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, რაჟა გა-

ემარჯვათ. პირველ ყოვლისა შრომობდნენ საწვრთნელ ვარკიშებზე, შრომობდნენ ქანცის გაწყვეტ მდე! სოლო, როცა ორთაბრძოლის დრო დადგებოდა, მიდიოდნენ როგორც რაინდები, უშიშრად და უსაყვედუროდ. ისინი ნამდვილი მებრძოლები იყვნენ.

როცა დავით ციმაკურიძე ამ წიგნის ავტორს უამბობდა ირანელ ტახტისთან ოლიმპიური ჭიდაობის ამბავს, უცებ სიტყვა ბანზე აჯდო:

— იცით, ყველაზე კარგი ჭიდაობა როგორც ველ ლიოვა ხანტემირიანთან მქონდა. 1950 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატზე ტულაში ყველანი საუცხოოდ ვიყავით მომზადებული. პირველი ხუთეულიდან ნებისმიერს შეეძლო ოქროს მედალი დაეჩემებინა: ხანტემირიანსაც, სერგეი პრეობრაჟენსკისაც, ნიკოლოზ კომოვსაც და ჩემ თანაშემამულე გიორგი როსტიაშვილსაც.

ყველა მეტოქის დამარცხება შეეძელი. პრეობრაჟენსკისთან კი წავიბორძიკე, ქულებით წავეყე. ფიცსი მოჭიდავე იყო ახლანდელი ჩვენი მწვრთნელი. და, აი, ისე მოხდა, რომ თუ ჩემპიონობა მსურდა, ფინალში ხანტემირიანი უნდა წამეკცია. ადვილი სათქმელია! თუმცა იმ დროისათვის ქვეყნის ოთხზღვის ჩემპიონი ვიყავი. მაგრამ ხანტემირიანს ხომ ორი ვერცხლის ჭიდაობა მქონდა თავისუფალ ჭიდაობაში, იგი სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორიც იყო კლასიკურში. ამასთან, ბეჭებით არასოდეს დამიღვია. როგორ უნდა მეფიქრა წმინდა გამარჯვებაზე, თუკი მეტოქეს ხელს აძლევდა ნებისმიერი წაგებაც კი...

ძნელი სათქმელია, სათვალავით მერამდენე იყო ციმაკურიძესა და ხანტემირიანის ეს შეხვედრა. მათი პირველი ორთაბრძოლა კი, როგორც დავითმა თქვა, „წყალზე“ ვაიმართა. 1942 წელს ქალაქ ფოთის ნავსადგურში შევიდა სახაზო გემი „პარიზის კომუნა“. გადაწყვიტეს, სამხედრო მესღვაურებისათვის ჭიდაობა ეჩვენებინათ. ხალიჩა პირდაპირ გემბანზე გაშალეს. ორ წუთში ხანტემირიანმა ციმაკურიძე ხიდურზე გადაიყვანა და ცდილობდა ბეჭებზე დაეწვინა. თვრამეტ წუთს ეცადა. ამოდ. რა თქმა უნდა, ყველა სამხედრო მესღვაური „რკინის ხიდს“ ქომავობდა. ციმაკურიძე იღიმება: ეჰ, მაშინ ასულგაზრდები ვიყავით. ტულაში კი აი რა მოხდა: „ყველა სიჩქარე ჩაერთე“. რაც კი შემეძლო, ხანტემირიანი დვას. ნამდვილი ლომივით დვას! ნეტავ გინახათ, როგორი იყო იმ ხანებში! პერკულესი გეგონებოდათ. პერკულესის და აი ბრძოლის მეორე ნახევარში უცებ მოეწყვდით ერთმანეთს, აქეთ-იქით გადაეცივდით ბარე სამ-ოთხ მეტრზე. რამდენიმე წამს გაოგნებული ვისხედით. ვამაყობ, რომ პირველი გონს მე მოვედი, წამოვვარდი და ზედ შევახტი. მეტოქემ ვერ გაუძლო ამ ნახტომს, ბეჭებზე დაეცა. ის რომ შემომხტომოდა, ალბათ მეც ვერ გავუძლებდი.

საძიებელი მოსავლენაა! ასე ვაგონებ შენთვის ჩვენი ქვეყნის ჩემ-
პიონი...

დაიხსომე, მკითხველო, დავით ციმაკურიძის ეს გამარჯვება, როცა
მან ყველაფერი უკლებლივ ამ იერიშს მოახმარა. ასეთი რამ მან კი-
დეც გაიმეორა. მაშინ სიტუაცია გაცილებით რთული იყო. მაგრამ ამის
შესახებ ცოტა მოგვიანებით.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი სერგეი პრეობრაჟენ-
სკი, რომელიც არაერთხელ შეხვედრია ციმაკურიძეს ხალიჩაზე და
კარგად იცნობდა მას, წერდა: „როცა 1941 წელს თბილისში მიმდინა-
რობდა ჩვენი სპორტის ისტორიაში თავისუფალი სტილის მოქიდა-
ვით პირველი შეკრება, ციმაკურიძე მისი ყველაზე ბეჯითი მონაწი-
ლე გამოდგა“.

ეს ფრაზა სულაც არ არის შემთხვევითი. ციმაკურიძის მთელი
სულიერი სამყარო ისეთია, რომ ყველაფერს, რღათვისაც იგი იბრძო-
და, — აბსოლუტურად ყველაფერს აკეთებდა ლაზათიანად, სერიოზუ-
ლად, საიმედოდ. მოსაწონი იყო მისი ხასიათის ერთი თვისებაც: იგი
გულს არასოდეს იტყუნდა. რა ვითარებაც უნდა ყოფილიყო. ციმაკუ-
რიძე ირწმუნებოდა, რომ „დახრჩობა ადრეა, უნდა ვეცადოთ გამოვ-
ცუროთო“. და გამოსცურავდა კიდეც.

ჩვენი პირველი ოლიმპიური გუნდის დაკომპლექტებისას მწვრთნე-
ლებს ორი აზრი არ ჰქონიათ საშუალო წონის კანდიდატურაზე —
უნდა ეჭიდავა დავით ციმაკურიძეს. არა მარტო იმიტომ, რომ ამ
დროისათვის იგი სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი იყო, არამედ
უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ, მწვრთნელების აზრით, მას რკინი-
სებური ხასიათი ჰქონდა. ყველა დაწმუნებული იყო, ციმაკურიძე
არ გვიმტყუნებსო...

და აი, წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე დადგებოდნენ ნაკრების დამ-
რიებლები, როცა ჰელსინკის ოლიმპიურ ხალიჩაზე ციმაკურიძემ პირ-
ველივე ბრძოლა წააგო...

შვედი ბენგტ ლინდბლადი არაფერი განსაკუთრებულით არ გამო-
ირჩეოდა, მხოლოდ მინლა-მოხლა ემარჯვებოდა. ამ ორთაბრძოლაში
ტექნიკური მოქმედება არ ყოფილა. შვედი გაუბრბოდა მჭიდრო კონ-
ტაქტს. კიბობდა, რომ იტყვიან, უგემურად. ინციფატივა აშკარად
საბჭოთა ათლეტის მხარეზე იყო. ციმაკურიძის გამარჯვებაში არავის
ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ, ვაგლახ! მსაჯებმა გამარჯვებულად
ლინდბლადი გამოაცხადეს.

ახლა მაყურებლის ტრიბუნამდე ციმაკურიძეს რამდენიმე ნაბი-
ჯილა აშორებდა. თუნდაც რომ დაემარცხებინა დანარჩენი მეტოქე-
ები ქულებით, ფინალში არ ხედებოდა. საჯაროობის ტვირთი წინ
არ გაუშვებდა: ვინაიდან პირველ წრეში დამარცხებისათვის სამი სა-

ჯარიმო ქულა ჰქონდა. ფინალზე აღარც უნდა ეფიქრა. ასე ფიქრებდა ყველა ციმაკურიძის გარდა. გასასდელში დავითის დამშვიდება. მე-კოკიშვილმა სცადა. მაგრამ პირიქით გამოვიდა: „კულ გუნებაზე ნუ ზარ. არსენ! მე ჩემპიონი ვიქნები! ოღონდ რამდენიმე მეტოქე ბეჭებზე უნდა დავაწვირო...“

თავის დროზე დან ჰოჯი რეკორდსმენი გახლდათ ამერიკელ მოჭიდავეებს შორის: ზედინედ თითქმის ასი გამარჯვება მოიპოვა. ფიზიკურად ძლიერი, გაბედული, ამტანი. არც სპორტული ნიჭი დაიშურა ბუნებამ ამ 23 წლის ქაბუციასათვის. ოთხი წლის შემდეგ მან ვერცხლის ოლიმპიური მედალი მოიგო მელბურნში. საშინლად განაწყენდა, რომ ჩემპიონი ვერ გახდა. და მიატოვა ჰოდაობა. მაგრამ არა სპორტი. ჰოჯი გადავიდა კრიეში. სადაც გახდა არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი, არამედ — „ოქროს ხელთათმანის“ მფლობელიც.

მაგრამ მელბურნამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ჯერჯერობით კი ჰოჯს გამარჯვება სჭირდებოდა საბჭოთა მოჭიდავეზე, რომელსაც უკვე ჰქონდა დამარცხება. ამერიკელს აზრადაც არ მოსვლია, რომ მეტოქეც გამარჯვებას ლამობდა — თანაც წმინდა გამარჯვებას...

ჰოჯი ლინდბლადი როდი იყო. იგი მაშინვე ჩიქურ წამოვიდა საჭიდაოდ და მეტოქე ჩოქბენში გადაიყვანა — 1:0. დაწინაურდა ამერიკელი, კიდევ რამდენიმე შეტევა, იერიში და უკვე ოთხი ქულით გავიდა წინ ამერიკელი. ციმაკურიძე რბულებული გახდა ორჯერ ხილურზე შემდგარიყო.

5:0 — ეს გამარჯვებისათვის სრულიად საკმარისია. ასე ფიქრობდა ჰოჯი. მაგრამ ასე არ ფიქრობდა მისი მეტოქე. ისევ დაუქირა ხელები და ტანი, ისევ შემოეხვია ჰოჯის ფეხებს და მეტოქის დაცვით მოქმედებამდე ციმაკურიძემ მაგრად გამოჰკრა კვანტი. თითქოს ბატუტის ბადემ აისროლა დან ჰოჯი. მაგრამ როცა მიწაზე დაეშვა, ბადე აღარ იყო, იყო ხალიჩა, რომელიც მჭიდროდ ეკვროდა ამერიკელი მოჭიდავის ბეჭებს. თუ პირიქით, ბეჭები ეკვროდნენ ხალიჩას. ეს კი უკვე სულ ერთი იყო. ხუთი წუთი და 40 წამი. არა. რაც გინდა თქვით, და, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში ბევრ რამეს სწავლობენ!..

— დავით, აღრე თუ გინმარიათ ის ილეთი, რომლითაც ჰოჯი დამარცხეთ?

— არასოდეს არ მიხმარია. საწვრთნელი ვარჯიშების დროს არ გამომდიოდა.

— მაშ რამ გაგაბედვინათ?

— ამის ახსნა რომ შემეძლოს!..

მომდევნო მეტოქე, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ეგვიპტელი მოპაშედ ჰუსეინი, ჰოჯივით აქტიური არ გახლდათ. ციმაკურიძე მას

დასდევდა. ბოლოს ხალჩაზე დაეწია, ჩოქბეგენში გადაიყვანა და წუთსა და 15 წამში „უღლურით“ გადაატრიალა ბეჭებზე.

ახლა უკვე სიმტკიცის მარაგი ჰქონდა. ციმაკურიძეს მაყურებელთა სკამზე ჯდომა აღარ ემუქრებოდა. შეიძლებოდა მშვიდად ქილაობა. ასე იჭიდავა კიდევ, ქულებით დაამარცხა ძლიერი უნგრელი გეორგ გურიჩი და ფინალში გავიდა...

აღწერილ ამბებამდე ერთი წლით ადრე ახალგაზრდა ირანელმა გულამ რეზა ტახტიმ „ვერცხლი“ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატზე. ჩამორჩა მხოლოდ ბრძენ თურქს ჰაიდარ ზაფერს. შეუპოვარმა ირანელმა მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

სპეციალისტები ერთხმად წინასწარმეტყველებდნენ, რომ შემდეგ წელს ტახტი აუცილებლად გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი და ეს მართლაც ასე იქნებოდა. ჰელსინკში რომ არ შემდგარიყო საბჭოთა სპორტის დებიუტი, საშუალო წონაში „ოქროს“ მადიებელთა შორის რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის შეიღვზის ჩემპიონი დავით ციმაკურიძე...

რა საოცარი კაცია ციმაკურიძე! თითქმის სამოც წელს უკაცუნებდა, დაუმძიმდა ფეგურა. დაეშვა მხრები, გრუზა თმებს. რომლებსაც არა ერთი მზეთუნახავი მოუხიბლავს. ახლა მხოლოდ დიდხნისდროინდელი ფოტოსურათები მოგვაკონებენ. მაგრამ წლებთან შეუპოვარ შერკინებებში ციმაკურიძე გამარჯვებული გამოვიდა. ვინაიდან შეინარჩუნა მთავარი — კეთილზნეობა და თვალების ჰაბუტური ელვარება. „წლები ცელიან ადამიანებს“ — ეს ითქმის ვისზედაც გნებავთ, ციმაკურიძეზე კი არა. ოცდაათი წლის წინანდელ ამბებს ყვებოდა არა მრავალჭირახული ვეტერანი, არამედ 23 წლის საბჭოთა ოლიმპიელი დავით ციმაკურიძე. რამდენად ნათელი, მე ვიტყვოდი, ახალგაზრდული იყო ეს მონათხრობი, თავად განსაჯეთ...

— ყური მიგდე. მე აუცილებლად უნდა მომეგო! სხვა გამოსავალი არ მქონდა. როცა ოლიმპიადაზე მივემგზავრებოდი, ჩვენთან სახლში ძველი ქართული მოკიდავეები მოვიდნენ. მათ მითხრეს. ჰელსინკში უნდა გახსოვდეს, რომ მიშეკო მაჩაბლის შვილი ხარ. რომელსაც მთელი რუსეთი იცნობდა.

შემდეგ რა მოხდა? ტახტი 22-ის იყო. მე — 28-ისა. მას უკეთესი პერსპექტივა ჰქონდა. ჩემთვის კი მომავალი ოლიმპიადა პრობლემა იყო. რატომ? მე ფინალში ქულებით მოვიგე... გამიჭირდა, არ დავფარავ. გამძლე იყო იგი, შეუპოვარი და ძალიან ღონიერი, ასეთი მეტოქე არასოდეს მყოლია. მაგრამ ხომ გესმის, ძვირფასო, წაგება არ შემეძლო...

„წაგება არ შემეძლო“ და მაინც პირველი ორი ქულა ან შერკინებაში ტახტიმ მოიგო. ჩასკიდებდა მარწუხებივით გრძელ თითებს მე-

ტოქის კოჭებს. ფეხებს დაუჭერდა და ძლიერ ჯელებს ზემოთ აიხრებოდა. სულ ზევით რომ არ „აყოცებულიყო“, ცომაკურიძე ჩიქვჭენში გადადიოდა და ქულას აქლავდა. ვიშეორებ, ასე მოხდა ორჯერ, შემდეგ კი... დავითზე უკეთესად ამას ვერაფერს გვიამბობს:

— მივხვდი, რომ რაღაცით უნდა გაგვეკვირვებინა ტახტი. ზეზეურად მას ვერაფერს წააქცევდა. ცდილობდნენ შორს ყოფილიყვნენ მისგან. მაგრამ არც ეს შველოდა საქმეს. მან ყველას მოუგო წინასწარ შეხვედრებში და აი მეც ვწვდი მკლავში, სწრაფად მივუახლოვდი, ვითომ ცაციათი მარჯვენა ფეხში სარმა უნდა გამოვლო, რა თქმა უნდა. მეტისმეტად გავრისკე — ტახტის ადვილად შეეძლო თავისუფალი ხელით დაეჭირა ჩემი ფეხი. ეს ოსტატურად იცოდა. მაგრამ მან უნებურად თავი დაიკეცა. უკან გადგა ის ფეხი, რომელზეც იერიში მიმქონდა. ცაციას დაეყრდნო. გესმის? რაღაც ერთ წამს თოქმის გაიმართა. ცალ ფეხზე იდგა. საშიში აღარ იყო. მის ქვეშ ჩავეჭკი და ჩაზნექილმა გადავაგდე. ორი ქულა მოვიგე. კიდევ კარგი. ასე მოხდა. ძალიან მეშინოდა. რომ მოასწრებდა თავდაცვას ან, რაც უარესია, თვითონ გადმოვიდოდა შეტევაზე.

— თქვენ თქვით, მეშინოდაო?

— მეშინოდა და როგორ! აქ გმირის პოზაში ვერ დავდგებოდი, ტახტის ვეჭიდავებოდი!

— აბა, შემდეგ დაიწყო რაც დაიწყო! მე მას ჩემი „ტრიალი“ გავუკეთე. მან კი თავისი „მაკრატელი“. არის ასეთი გადატრიალება ჩიქვჭენში — ხერხემალი სპირალივით იგრიხება. ეს არცთუ ძალიან სასიამოვნოა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ისეთი ოსტატი ასრულებს, როგორც ტახტი იყო. ჩემს ტრიალს, თუკი მათ ვახერხებდი, ვერაფერს გადაურჩა. ტახტი კი რამდენჯერმე ხიდურით გამისხლტა. ფოლადის კაცი იყო. მეც როგორღაც თავს ვაღწევდი მის ფანდებს, აი ასე ვჭიდაობდით.

როცა მსაჯებმა შეაჯამეს, აღმოჩნდა. რომ მე „ამურის ისრებით“ უფრო დავჭერი, ვიდრე მან თავისი „მაკრატლებით“... რა შუაშია ამური? ჩემს საყვარელ ფანდს „ამურის ტრიალს“ უწოდებენ. ბავშვობაში რატომღაც ამური შემარქვეს...

იცი, რისთვის ვარ ტახტის მადლიერი? ჭიდაობაში პატიოსნებისათვის, ალაღმართლობისათვის. იგი არ იტყუებოდა, არ ეშმაკობდა, მუდამ აშკარად გადმოდიოდა იერიშზე და არც მე მიშლიდა ხელს. ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. ასამართლებენ! ჩვენ თვითონ ვასამართლებთ. ტახტის და მე გასასამართლებელი არაფერი ჩაგვიდგინა. ვიბრძოდით. როგორც შეგვეძლო. პატიოსნად, კაცურად აფსუსია, რომ ასეთი ვაჟკაცი დაიღუპა... ამაყი იყო, ამიტომაც აწამეს...

როცა გონგოს სმა გაისმა, ყველაზე მსნედ ხალიჩაზე სნიერი მსაჯი გამოიყურებოდა. ფინალური შერკინების მონაწილე ორი ახალგაზრდა ძლივს იდგა ფეხზე.

ასე მოგო თავისუფალი ჭიდაობის ისტორიაში პირველი ოქროს ოლიმპიური მედალი საბჭოთა სპორტსმენმა. ასე მოგვევლინა ერთ-ერთი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იყო დავით ციმაკურიძე. ათლეტი-ობტერისტი, რომელსაც მუდამ მიაჩნდა, რომ „დახრჩობა ჯერ აღრეა, უნდა სცადო გამოსცურო“...

აი როგორ დამკვიდრდა საბოლოოდ ციმაკურიძის გვარი მოჭიდავეთა წრეში. საბოლოოდ იმიტომ, რომ წოდებას — ოლიმპიური ჩემპიონი თავსართი „ექს“ არააოდეს არა აქვს. ეს წოდება სამუდამოა.

— დავით, რა განიცადეთ, როცა გაიგეთ, რომ პირველი ოლიმპიელი გახდით თავისუფალ მოჭიდავეთა შორის?

— დარწმუნებული კი ხართ, რომ პირველი ვარ? იქნებ ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, ძველ საქართველოში ვინმე ჩვენებური უკვე იყო ჩემპიონი. შესაძლებლად არ მიგაჩნიათ?

— რატომ არა. მიმაჩნია...

ციმაკურიძემ ეშმაკურად მოკუტა თვალები და გაიცინა. მართალი უთქვამთ: დიდი სპორტსმენი, როგორც წესი, არტისტული ნატურაა. რატომ არ უნდა გაიცინოს, თუ მოსაუბრე ასე ჩააცვდა.

— მაგრამ აი რას გეტყვით. — ციმაკურიძე მცირე ხანს გაჩუმდა, — ამას უკვე ხუმრობის გარეშე: ის, რომ ქართველ სპორტსმენებს შორის ოლიმპიური ჩემპიონები გაეხდით მოჭიდავეები — მეკოკიშვილს და მე — ეს საშართლიანია. ფეხბურთი პოპულარულია, მას მეტი მყურებელი ჰყავს. მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი ქართველებს სისხლში აქვთ გამჭდარი? არ შეიძლება. ჭიდაობაზე კი შეიძლება. უკვე უძველეს დროიდანვე ცნებები „ვაჟაკი, მოჭიდავე, მეომარი“ — მეტად ახლობელია ჩვენი ხალხისათვის.

— ჯაკობ. ვინ არის თქვენი კერპი ჭიდაობაში? ციმაკურიძე დიდხანს დუმს. ვლემვარ მეც.

— ბევრი კერპი მყავდა: მამაჩემი, ვაღარშაკ მაჩკალიანი, შალვა ჩიხლაძე, კონსტანტინე კობერიძე, ნიკოლოზ ბელოვი, არამ იალტირიანი, არსენ მეკოკიშვილი, ხოლო მათ დრომდე რომ მეჭიდავა, მაშინ, — რომან რურუაძე და ლევან თეღიაშვილიც. გადიოდა წლები. ვიზრდებოდი, ხანში შევედიოდი და ჩემი კერპებიც ერთმანეთს ცვლიდნენ. შემდეგ კი მივხვდი, რომ ისინი კერპები კი არ იყვნენ, არამედ — მისაბაძი მაგალითები, მსურდა ამ დიდ მოჭიდავეებს დავმსავსებოდი.

— მაშ კერპები არ გყოლიათ?

— მყავდა და მყავს კიდევ.

— ეინ?

— გივი კარტოზია.. ბევრი რამ შემეძლო მეთქვა ამ ადამიანსა და ათლეტზე. მაგრამ დილამდისაც რომ ვილაპარაკოთ, ყველაფრის თქმას ვერ მოვასწრებდი. ამიტომ მხოლოდ გავიმეორებ — გივი კარტოზია!

— დავით, ერთ თამაშს შემოგთავაზებთ, გთხოვთ ამყვეთ.

-- სიამოვნებით, რომელს?

— ვცადოთ შევექმნათ იდეალური მოქიდავე. რომელსაც ექნება ყველა ის საუკეთესო თვისება. რაც ახასიათებდათ ჩვენთვის კარგად ცნობილ მოქიდავეებს. პირველი სიტყვა თქვენზეა. მერე ჩემი ვარიანტიც განვიხილოთ.

— კეთილი! მაშ ასე: ლეონიდ ძეკონაკის ღონე. იგი რომ 100 კილოგრამი ყოფილიყო და, მაშასადამე, ძალ-ღონე ორჯერ გაზრდოდა, მთებს დაძრავდა; ვლადიმერ რუბაშვილის კუნთური მგრძნობელობა. კონსტანტინე კობერიძის ტაქტიკური აზროვნება, არსენ მეკოკიშვილის სიღინჯე, ლეეან თედიაშვილის სიმამაცე, გაბედულობა, ვაჟაკობა, სილაღე, არამ იალტირიანის ტექნიკა, ლეონიდ ეგოროვის სტაბილურობა, ვახტანგ ბალაეაძის ვირტუოზულობა. ზარბეგ ბერიაშვილის სიჯიუტე, რომან რურუაშვილის ნებისყოფა, იოჰანეს კოსკასის კორექტულობა, იაკობ პუნჯინის აფეთქება, ვახტანგ კუხიანიძის ორგანიზატორული ნიჭი, პეტრე იორდანიშვილის გულკეთილობა, დავით ციმაკურიძის ეშმაკობა. გურამ საღარაძის ფიგურა, ვასილ რიბალკოს ჭკუა, შოთა ლომიძის სერიოზულობა, ალექსანდრე მედვედის შედეგიანობა, ხოლო იმისათვის, რომ ამ ათლეტს სული ჩაედგას და ყველას უყვარდეს იგი, ავიღებდი გივი კარტოზიას გულსა და კეთილშობილებას. აბა, თქვენი ვარიანტი როგორიდა?

— რა საჭიროა? განა თქვენი ვარიანტის წინააღმდეგი ვარ?

დუმბილი. სიცილი. შეკითხვა:

— თქვენც იყავით მოქიდავე?

— სულ მცირე ხანს.

— ვეტყობათ. — ტაში შემოჰკრა ციმაკურიძემ და გულიანად გაიცინა...

გაივლის წლები. მაგრამ რა დროც უნდა გავიდეს, ხალხს მუდამ ემასხოვრება, რომ დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი საქართველოში პირველი ოლიმპიური ჩემპიონები არიან — პირველნი!

ცაცხლოვანი გული



გივი კარტოზია

„ბევრი დიდი მოქიდავე გაუზრდია საქართველოს. გივი კარტოზია ყველაზე ნათელი პიროვნებაა მათ შორის. კვარცხლბეჯზე ახალი ჩემპიონები ავიდნენ. ზოგიერთ მათგანს უფრო მეტი ჭილდოც აქვს, ვიდრე გივის, მაგრამ საქართველოში კარტოზიას დღესაც №1 მოქიდავეს უწოდებენ, და ასე იქნება მუდამ. სანამ ცოცხალი დარჩება თუნდაც ერთი კაცი, ვისაც იგი ხალიჩაზე უნახავს. კარტოზია ქართული ჭიდაობის დროშაა.“

გრიგორ ვამარნიკი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
მსოფლიო ჩემპიონი

ქ. კიევი

მიქრის დრო. ისე სწრაფად მიქრის, რომ უკან მოხედვას ვერ ასწრებ. ბავშვები იზრდებიან, მოზრდილები ბერდებიან. დრო გვაშორებს იმ მოვლენებს, რითაც ჯერ კიდევ გუშინ აღფრთოვანებული იყო მთელი მსოფლიო. არა, ეს გუშინ კი არა, ეს გაცილებით ადრე იყო...

აბა რით დავიწყეთ? თუნდაც იმით, რომ შრომის წითელი დროშის ორდენისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერი გივი კარტოზია ძალიან მძიმე მოსაუბრეა. იმიტომ კი არა, რომ სიტყვაძუნწია, არა. ვიამბობთ ხალისით და ბევრს. მაგრამ არა იმას, რაც თქვენ გინდათ. ვთქვათ, ეკითხები: როგორ გახდა იგი პირველად ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. კარტოზია ყურადღებით ისმენს შეკითხვას, ფიქრობს, იხსენებს იმ შორეულ ამბებს და სხვადასხვაობით იწყებს:

— ამაზე შემდეგ იყოს, უმჯობესია იმაზე ვისაუბროთ, რა მოქი-

დავეები იყვნენ იაკობ პუნჯინი და არტემ ტერიანი. ტერიანი როგორც იწყებდა, ისე ამთავრებდა. ერთ წ.მ.ს.ს არ მოიხსენიებდა. სპონტანი ტემპი ჰქონდა. ზედიზედ მ-ქონდა იერიში. არც ერთი გამყოფება, გესმით, რას ნიშნავს ეს? მგონი ახალ ხერხებს ბრძოლის დროს იგონებდა. შემდეგ რომ გეკითხა, ხალიჩაზე რა ამბები დაატრიალო, ეუბანოვს გიბასუხებდა.

პუნჯინი კი სულ სხვა იყო: კუნთებში მოღუნებული, არაფრის-მთქმელი. ენაჟა. მაგრამ ხალიჩაზე ისე იფეთქებდა, რომ თვალს მოგ-ქრიდა! ყველას ასწრებდა. ლეონიდა ევიროვი ხომ დიდი მოქიდავე იყო, მაგრამ პუნჯინი მასაც სჯობდა. აქ იყო, რა არის სანტერესო? ის, რომ იერიშს მეტოქეს არაფრით არ დაასწრებდა.

— გივი, აი ის ზოგად იყო, თქვენ რომ...

— რა გეჩქარებთ, ჩემზე ლაპარაკს კიდევ მოვასწრებთ. თანაც სანტერესო მოსაყოლი არაფერი მაქვს. განსაკუთრებული არაფრით გამოიჩინეოდი. განა მე ისეთი შრომისმოყვარე ვიყავი, როგორიც ვრიშა გამარნიკი? ვუყურებდი მის წამებას და სირცხვილით ვიწვიოდი. როგორ მუშაობდა ასეთ დატვირთვას გუნდში ვერავინ გაუძლებდა. მასოვს, ჩვენი ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი არაერთხელ დამუქრებია, გუნდიდან გაგაგდებო! გესმით: სპორტსმენს აკრიტიკებდნენ იმისათვის, რომ ბეერს ვარჯიშობდა! დაუჯრებელია არა? გამოვდივართ დილის ვარჯიშზე, ცოტას ვირბენთ, ჭერ რაგინადა არ გამოვფხიზლებულვართ, გამარნიკს კი უკვე მოუნახავს მოსახერხებელი ხე, მიუმავრებია ზედ რეზინის ჩალიჩი და კომავს. ჩვენ ჭერ ვეხუმრეთ: „გრიშა, დინამომანქანაში ჩაერთვე, ქალაქს გაანათებს“, შემდეგ შევეშვით, შეგვრცხვა.

როცა შეკრებებზე მივდიოდი, მუდამ იმის ცდაში ვიყავი, გამარნიკთან ერთად შეცხოვრა. იგი ძალას მმატებდა. მშვილი, კეთილი, ჰკვიანი, საიშედო, ყოველჯერ ეძებს გაგიფანტავდა.

ტაქტიკაში გამარნიკი ბავშვს ჰგავდა, მაგრამ იმდენად ღონიერი იყო, რომ წინ ვერაფერი უდგებოდა. და ყველას ამარცხებდა. ის ცხოვრებაშიც ასეთი იყო: პირდაპირი, გულახდილი, პატიოსანი. ვანია ბოგდანს ხომ ნულარ იტყვიან! ამ სოფელმა ბიჭმა სიტყვა „სპორტი“, ალბათ, პირველად 19 წლისამ გაიგო, მაგრამ ჭიდაობის რა მცოდნე, რა დახვეწილი ტაქტიკოსი იყო! მას ჭერ დასცინოდნენ, როცა შეჭიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე მოპყვებოდა იმის გამოთვლას, თუ ვინ რა ადგილს დაიკავებდა. ხოლო როცა დავრწმუნდით, რომ ივანე არ ცდებოდა, ვთხოვდით კიდევ: „ვანია, მითხარო, რომელ ადგილზე გავალ?“

არ იფიქროთ, რომ კარტოზია ლანძღავს ყოველივე ახალს და მხოლოდ ძველს აქებს. ეს ასე არაა. მზე უკვე აღარ ვკიდაობდი, როცა

ხალხში გამოსვლა დაიწყო ჩემმა თანამემამულე რომან რურუამ. იგი ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი იყო, ვაჟკაცურ ხასიათს კი უკვე გრძნობდნენ. საქართველოში უფროსებისადმი მოწიწება თავისებური კულტია. რომანს კი თავყვანს სცემდნენ ასაკით მასზე ბევრად უფროსებიც, — უყვარდათ და აღმერთებდნენ. თავისებური ხასიათი ჰქონდა, ნებისმიერ ვითარებაში რურუა ადამიანური ღირსების ნატამალსაც არ კარგავდა... ყოველთვის კაცური კაცი იყო, რომლის გვერდზეც გსურდა ყოფნა.

მეხიკოში იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ისე, რომ ერთი ქულაც არ დაუქარავას. ერთი ქულაც კი... გასაოცარი!

ღა მაინც მთავარი ეს არ არის რურუას ბიოგრაფიაში. სწორედ მაინც, როცა წელის ტრავმამ ის ლოგინად ჩააგდო და ექიმები ერთხმად მოითხოვდნენ ხანგრძლივ მკურნალობას, — იცით, რა ქნა რომანმა?.. გაიქცა საავადმყოფოდან და სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკილად მოიგო!“

მე უკვე აღარ ვაწყვეტინებდი გივის, აღარ ვთხოვდი საკუთარ თავზე ეამბნა. მივხვდი, რომ გივი კარტოზიას მონათხრობი სხვა მოქიდავეებზეც ასევე ფასდაუდებელია. იმასაც მივხვდი, სხვებზე ლაპარაკისას თავის ამბებსაც ყვებოდა. როცა კაცი სხვაზე ლაპარაკობს, მნიშვნელობა აქვს, როგორ გადმოგვემს ამ ნაამბობს, რა შეუძლია დაინახოს სხვა ადამიანებში, ამით იმასაც გაიგებ, თვითონ რა კაცია, რისი ღირსია. კარტოზიას გვერდით იჭდა მისი მეგობარი ინჟინერი დეკლას ქაჩაია — მაღალი, თავდაპირველი, მკაცრი. საუბრის დროს მას კრინტი არ დაუძრავს. დროდადრო ყავის ფინჯანებს გვივსებდა და დუმდა. როცა კარტოზიამ ნაცნობი დაინახა და მცირე ხნით განაპირდა, მისმა მეგობარმა ხმადაბლა მითხრა:

— გივი არა მარტო ოლიმპიური ჩემპიონია სპორტში, ის ადამიანებს შორისაც ჩემპიონია!..

მელბურნი. 1956 წელი. ოლიმპიურ ასპარეზობაში კარტოზიამ გამოსვლა ისე დაიწყო, რომ ყველა საფუძველი ჰქონდა სხვებისათვის ერჩია: „ასე ნურასოდეს ნუ დაიწყებო“. იგი მოელოდა, რომ საშუალო წონაში (79 კგ) ძველი ნაცნობი შვედი აქსელ გრენბერგი გამოვიდოდა — XIV და XV ოლიმპიადების ჩემპიონი. ძლიერი, ავი და ბრძენი მოქიდავე. 1953 წელს ნეაპოლის მსოფლიო ჩემპიონატზე კარტოზიამ დაამარცხა გრენბერგი და ოქროს მედალი მოიპოვა. შემდეგ „ცეცხლოვანი გულის კავკასიელმა“, როგორც მას იტალიური გაზეთები უწოდებდნენ, მსოფლიო ჩემპიონატიც მოიგო, ოთხჯერ გაიმარჯვა სსრ კავშირის პირველობებზე და თავის წონაში უძლიერეს მოქიდავის რანგით გავიდა ოლიმპიურ ხალიჩაზე.

გრენბერგი მელბურნში არ ჩასულა. შევეცადე ამ წონაში წარმოად-

გინა მოუქნელი. ჭირკვივით ყმაწვილი რენე იანსონი. რომელსაც კარტოზიამ წინა მსოფლიო ჩემპიონატში იოლად მოუგო. ამჭერად იანსონი უფრო ფხიზლად იყო და ორთაბრძოლის დასაწყისში ქულა აიღო, მერე ყრუ დაცვაზე გადავიდა და „დაბრმავებული“ მიაჭების დახმარებით გონგამდე უვნებელი დაჩნა.

— ოლიმპიადა დამარცხებით დაიწყო! — კარტოზიამ ჩვეული ქუსტით ხელი ხელს შემოჰკრა და სათვალე გაისწორა. — მაგრამ პანისის ნება არ მქონდა. შექმნილი სიტუაციიდან გონივრულად უნდა გამოვსულიყავი...

სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიგორი გამარნიკი: არიან გამოჩენილი მსახიობები, რომლებიც სცენაზე ცხოვრობენ. კარტოზია ხალიჩაზე ცხოვრობდა, და მერე როგორ? მას ჰქონდა ჭიდაობის მსუბუქი, მე ვიტყვოდი, „მშვიდობისმოყვარული“, მანერა. მეტოქეს, როგორც გასახედნ ცხენს, ალურსიანად ექცეოდა. მოწინააღმდეგეს არასოდეს უყურებდა, გეგონებოდათ, ვილას ეძებდა ტრიბუნაზე. ღონიერი იყო, მოქნილი, თან ძალიან სწრაფი. საშუალო წონის მოჭიდავეს მსუბუქი წონის ათლეტის სისწრაფე ჰქონდა. გივის კლასი მუდამ იგრძნობოდა! მოქიდავის ჭილაგი მოსდგამდა. არ ჰქონდა უღიმღამო, გულისგამაწყალებელი ორთაბრძოლები — ყველა შერკინება ბრწყინვალე, დახვეწილი იყო. როგორც პიროვნება, იგი ნათელი, თავდაქერილი ვაჟაკია, მაგრამ ამავე დროს დაქიმულ ზამბარას წააგავს. ცეცხლოვანი ხასიათის მქონეა.

მელბურნში სათადარიგო ვიყავი და გივის ყველა ორთაბრძოლა ვნახე. იანსონთან წაგების შემდეგ კარტოზიას ველარ იცნობდით. აგრესიული, გააგებული აღარავის უთმობდა...

ავსტრალიელი პეტერსონი, რომელსაც თავისი მაცურებლები ქომაგობდნენ, პირველსავე წუთს ბეჭებზე გააკრა. გასული ოლიმპიადის პრიზიორმა უნგრელმა გურიჩმა შვიდი ქულა წააგო. ჭანიან ბულგარელ დობრევს (ოთხი წლის შემდეგ მან გაიმარჯვა ოლიმპიადაზე რომში) ხუთი ქულა მოუგო. იანსონი? იანსონი უკვე აღარ იყო კონკურენტი. იგი დობრევმა დაამარცხა და ექვსი საჭარიმო ქულა ჰქონდა. გივი კარტოზია ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

გ. გამარნიკი: „ისე მიხაროდა, თითქოს მე გავხდი ჩემპიონი. ძალიან გვიყვარდა გივი. სამართლიანობისათვის, იმისათვის, რომ მუდამ პირველი მიდიოდა ამხანაგის დასახმარებლად. დიდი ხანია აღარ მიხანხავს იგი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახლაც ასეთია. გივი კარტოზია იშვიათი სულის პატრონია, თუმცა ბედის ნებიერი არ ყოფილა. თავისი სპორტული კარიერის დასაწყისში ისეთ უსამართლობას წააწყდა, რომ სხვა შედრკებოდა. კარტოზიამ კი გაუძლო...“

1952 წელს გივი კარტოზია საშუალო წონაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ცნობარში „სპორტული ჭიდაობა სსრ კავშირში“ საქიდაო სპორტის ცნობილი პოპულარიზატორი დ. მ. ჩენსოკოვი წერს: „...ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი ნ. ბელოვი და მისი მუდმივი პარტნიორი პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ვ. ტაჩენკო პრიზიორთა სამეულში კერ მოხვდნენ. ამაში ბრალი ახალგაზრდა ოსტატს ვ. კარტოზიას ედო...“ და შემდეგ: „ბელოვს მენუთე წრის წინ ორი წამგებიანი ქულა ჰქონდა... ამას მოყვა კარტოზიასთან ჭიდაობა. იგი მესამე წუთზე წამოეგო მოწინააღმდეგის ფანდზე და ორი ქულა დათმო. აქტიურობა ბელოვს არც მერე გამოუჩენია. ორს კიდევ სამი ქულა დაამატა და შეჯიბრებას გამოეთიშა“. და შემდეგ: „ექვსი შეჯიბრებიდან ოთხი წმინდა გამარჯვებით დამთავრდა, ორი ქულებით მოიგო. დაამარცხა საუკეთესო ხუთწუთში შესული ოთხივე მოკიდავე. დამაჯერებელია ხომ?“ ის, რომ კარტოზია საშუალო წონაში ლიდერი იყო, ცნობილი გახდა ამ ჩემპიონატამდე ექვსი თვით ადრე. მაგრამ მწვრთნელები არ ჩქარობდნენ დაესახელებინათ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების № 1 კანდიდატად. მწვრთნელებმა უოველ შემთხვევისათვის საკონტროლო შეხვედრები დანიშნეს კარტოზიასა და ბელოვს შორის. თანაც უნდა დასკიდებოდნენ არა ერთხელ. არა ორჯერ, არამედ სამჯერ. სამივე ორთაბრძოლა გივი კარტოზიამ მოიგო. სამივე! მაგრამ ჰელსინკის სარბიელზე მაინც ნ. ბელოვი გამოვიდა.

რით ხელშეწყვენილობდნენ მწვრთნელები, როცა ვეტერანი ბელოვი აიჩივებს? იმით, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი იყო და იმითაც, რომ 1947 წელს ბრწყინვალედ მოიგო ევროპის ჩემპიონატი? მაგრამ მან შემდეგ ხომ გრძელი ხუთი წელიწადი გავიდა.

ნაკოლოზ ბელოვმა წააგო ჰელსინკში ფინელ კალერვო რაუხალასთან, შეედ აქსელ გრენბერგთან და მესამე ადგილი დაიკავა. სპორტის დანახურებულმა ონტატმა არამ იალტირიანმა თქვა: „1952 წელს კარტოზია გაცილებით უკეთ იყო მომზადებული, ვიდრე 1953-ში, როცა იგი ჩემპიონი გახდა. ეკვი არ მეპარება, რომ ჰელსინკის ოლიმპიადაზე ვაიმარჯვებდა. მსოფლიო ჩემპიონატის შედეგიც ადასტურებს ამაში“.

დიახ. ადასტურებს. ოლიპიადა 52-ის შემდეგ ნეაპოლში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი. ექვსი შეხვედრა ჩაატარა კარტოზიამ. ექვსივე: მოიგო, მათ შორის ოთხი წმინდად. კარტოზიაზე სრულიად არ უმოქმედია იმას. რომ საბჭოთა „კლასიკოსებისათვის“ ეს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო. ნახევარფინალში მან სამი ქულა აართვა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს და მსოფლიო ჩემპიონს აქსელ გრენბერგს, ხოლო ფინალში ბეჭებით გააკრა ხალიჩას ჰელსინკის ოლიმპი-

ური პრიზიორი კალერვო რაუხალა. აი, პასუხები ყველა აღრე დას-
მულ საეკვო კითხვაზე.

შეიძლება თქვან: მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, რატომ კვ-
ქავთ ძველ ამბებსო? უნდა ვქექოთ! უნდა გაეინსენოთ წარსულის შეც-
დომები, რათა მომავალში არ გავიმეოროთ. უსამართლობა სპორტში
ვაი რომ სწორი მოვლენაა. მის წინააღმდეგ ყოველთვის უნდა ვიბრძო-
ლოთ. მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა.

ქართველ ჩემპიონთა უმრავლესობა სოფლებში გაიხარდა. კარტო-
ზია მკვიდრი თბილისელია. ორთაპალა, ვაკე, ნაძალადევი, ჩუღურეთი,
რიყე, ვერა — ძველი თბილისის ამ რაიონებში იღებდა იგი ცხოვრე-
ბის გაკვეთილებს. გახსოვთ „ვერის უბნის მელოდიები?“ სწორედ ამ
მელოდიებით იზრდებოდა მომავალი ჩემპიონი. თბილისელი გავრო-
ში — კეთილი, უხვი, სათნო სულის და ამასთანავე თავისუფალი ბუ-
ნების ყმაწვილი ვერ იტანდა ვერაფერს ძალმომრეობას, თერთონ
წყვეტდა, თუ როგორ ეცხოვრა.

1944 წელს მას მხოლოდ თხუთმეტი წელი შეუსრულდა. „ომში
წასვლა“ გადაწყვიტა. ამიტომაც გაიქცა სახლიდან. გგონიათ დაიჭი-
რეს, როგორც იჭრდნენ ასობით ქართველ ბიჭუნას კავკასიონის
ერთ-ერთ უღელტეხილთან? სრულიადაც არა! იგი უკვე ბავშვობაში
კარგად ერკვეოდა ტექნიკასა და ტაქტიკაში. შემოუარა ყველა კორ-
დონს და ზაპოროჟიემდე ჩავიდა. პოლკის შვილი გახდა, რომელიც
სინელნიკოვოში იდგა. სამხედრო ფორმა ჩააცვს, შაშხანა მიაცეს.
თხუთმეტი წლის გივი კარტოზია ქარისკაცი გახდა.

ხოლო როცა 1945-ში, გამარჯვების წელს, პირველი დემობილიზა-
ცია შეეხო და შინელიანი შინ დაბრუნდა, დედა ტიროდა და მეზობ-
ლებს ეძახდა: მოდიოთ. ნახეთ ჩემი შვილი, სამხედრო კაციო. „შინელს
იმიტომაც არ ვიხდიდა, რომ პალტო არ მქონდა. პირველი პალტო
მწერთნელმა მიყიდა ოთხი წლის შემდეგ, როცა ზამთარში შეჭიბრე-
ბაზე მოსკოვს უნდა გავმგზავრებულიყავი“.

ასე ინება ბედმა. სპორტში კარტოზია ომიდან შოვიდა. გვყავდა
ჩვენ ისეთი თაობა, რომელმაც ვერ სიკვდილი შეიკნო, შემდეგ ცხოვ-
რება. შეიძლება სწორედ ამიტომ ეტანებოდა ეს თაობა ასე გული-
ანად ყველაფერს, რაც ომთან არ იყო დაკავშირებული. გულიანად
მუშაობდნენ. სპორტს გულიანად მისდევდნენ, გულით უყვარდათ.
ადამიანებმა ეცესლსა და სიკვდილში გამოიარეს და განსაკუთრებუ-
ლად აფასებდნენ მშვიდობასა და სიცოცხლეს.

გივი კარტოზიას მწვრთნელი საქართველოს მოჭიდავეთა შორის
სსრ კავშირის პირველი ჩემპიონი ლეონიდ ძეკონსკი იყო — რუპი
ოფიცრისა და ქაეთარაძეების ცნობილი ოჯახის ულამაზესი ასულის
შვილი. ლეონიდ ძეკონსკი საქართველოში დაიბადა და თავის თავს

პოლონური გვარის ქართველს უწოდებდა. — ასე უფრო ორგინალუ-
რიაო, — ამბობდა იგი.

„ძეკონსკი გაგაოცებდათ ფიზიკური მომხალებით. მივიდოდა 150-
კილოგრამიან შტანგასთან. ფეხს შეუვდებდა ლერძს და ცალ ფეხსუ
მდგომი იატაკს მოსწვეტდა, ან თითოეულ ფეხზე იმაგრებდა ფუ-
თიან გირს და ხელებით ხუთმეტრიან ბაგირზე ადიოდა.

ჭიდაობის ცნობილ ოსტატს შალვა ჩიხლაძეს, რომელსაც ძალ-
ღონით ვერავენ გააკვირვებდა, სსრ კავშირის 1935--1936 წლების
ჩემპიონი ძეკონსკი მაინც აოცებდა: „ლონია ხელს ჰკიდებდა ბაგირს.
ყირაზე გადადიოდა და ასეთ მდგომარეობაში ბაგირზე ფეხებგადა-
ჭაობდინებული ჰქრამდე ადიოდა. ამ ტრიუკს სხვა ვერავენ აკეთებ-
და. საერთოდ ვერ გამეგო. როგორ ასრულებდა ყირას ბაგირზე. რა
კი არა მარტო ყირაზე იდგა, ჰქრამდეც ადიოდა. იაე რომ სხეული
მთლად გამართული ჰქონდა!“

სსრ კავშირის აბოლუტური ჩემპიონი ქვემძიმე წონაში კონსტან-
ტინე კობერიძე, რომლის საკუთარი წონა 90 კილოგრამს აღწევდა და
რომელიც 120-კილოგრამიან ფალანგებს ამარცხებდა, ვერაფერს
უხერხებდა 52-კილოგრამიან ძეკონსკის ხილურს, ვერ აწვენდა მათ ბე-
ჭებით ხალიჩაზე.

— ძეკონსკი კლასიკური ჭიდაობის გამოჩენილი ტექნიკაი იყო, —
ამბობს თავისი მწვრთნელის შესახებ კარტოზია. — იგი არასოდეს არ
მოითხოვდა მოწაფეებიანგან რეტების შესრულებას ზუსტად ისე.
როგორც სახელმძღვანელოებში წერდნენ. ლეონიდ ვიქტორის ძე
ჩაეჭვიჩინებდა, რომ წაქცევა ყველანაირად შეიძლება, ოღონდ სილა-
მაზე და ეათეტიკურობა ამ დროს აუცილებელ პირობად მიაჩნდა. იგი
ხშირად იმეორებდა: „მოქიდავეს თავისი სახე უნდა ჰქონდეს, სახე,
რომელიც სხვას არავის ჰგავს, თავისი, თუ გნებავთ. ცხვირი. გრძელი,
მოკლე. პაჭუა. არწივისებური, — მაგრამ თავისი!“

თავდაპერილი, მშვიდი, მეტად ზრდილი ძეკონსკი მოქიდავეები-
სადმი მიმართვისას მხოლოდ ერთის უფლებას აძლევდა თავს. იგი
ყველას „ფიტულს“ ეძახდა. „ეი, უღირსებულესო ფიტულავ! მომიბხ-
ლოვდით“. ქულს გიხდით თქვენი შესანიშნავი ნახევარსუპლესისათ-
ვის...“ მან კარტოზიაც არ დაინდო. როცა 1953 წელს გივი ნეაპოლი-
დან მსოფლიო ჩემპიონი დაბრუნდა, ძეკონსკი გადაეხვია და უთხრა:

— ახლა, ჩემო ძვირფასო გივი, შენ უბრალო ჩემპიონი კი არა,
„ფიტულა ჩემპიონი“ ხარ!

ძეკონსკი არასოდეს კარგავდა წონასწორობას. მხოლოდ ერთხელ...

ანაღვარდა კარტოზია ჩვენ ქვეყანაში ცნობილ ასევე თბილისელ
ფალანგანს ექიდავებოდა. ის, რომ ამ შერკინებამ პრინციპული ხასი-

ათი ჰქონდა, მთელმა ქალაქმა იცოდ... კარტოზიას მხარეს იყო სი-
მართლე, მეტოქის მხარეს — მისი მწვითნელი და მეგობრები. მღელ-
ვარებისაგან გაუითრებელი ძეკონსკი ჩვეულებრივ აღარ იღიმებოდა.
აღარავის უწოდებდა ფიტულს. მაგრამ არც არაფერში ერეოდა.

შაჯათა ბრიგადას ხელმძღვანელობდა კარტოზიას მეტოქის
მწვრთნელი. რატობრძოლა მეტად შეუპოვარი გამოდგა. გივის მეტო-
ქე უფრო პასიური იყო, მაგრამ მსაჯეაი ღუმუნენ. არაფერს ამბობდა
ძეკონსკიც. და მხოლოდ მაშინ, როცა ხალჩიას ხელმძღვანელმა არ შე-
ამჩნია კარტოზიას მარჯვე ილეთი, ძეკონსკიმ იფეთქა. იგი მივარდა
უფროს მწვრთნელს, ხელი სტაცა საყელიში და მთელი დარბაზის ვა-
საგონად დაიყვირა — შე უსინდისო, ყველას აჩვენე ის ქულები, რომ-
ლებიც გვიმ მოიგო! თუ წააგო. ისიც აუეხსენი, რამდენი ქულა?

ასეთ ემოციურ იერიშს შედეგიც მოჰყვა — ქულები სწორად აჩ-
ვენეს. კარტოზიამ კიდევ რამდენიმე ლამაზი ილეთი ჩაატარა და და-
მაჯერებლად გაიმარჯვა. ბედნიერი ძეკონსკი კი ისევ იღიმოდა, ისევ
ყველას ფიტულას ეძახდა და პატიებას სთხოვდა კოლეგებს თავისი
თავშუთქავებელი საქციელისათვის. ბოდიში არ მოუხადა მხოლოდ
ხალიჩის ხელმძღვანელს. ალბათ, ფიქრობდა, მასთან საბოდიშო არა-
ფერი მაქვსო.

— ლეონიდ ძეკონსკი ჩემი მწვრთნელი იყო არა მარტო სპორტში,
იგი ჩემი მწვრთნელი იყო ცხოვრებაშიც. მასთან თავისუფლად ვი-
ყავი: იგი ყოველთვის ამბობდა მხოლოდ იმას, რასაც ფიქრობდა და
ნათქვამში იგულსხმებოდა მხოლოდ ის, რასაც ამბობდა. სხვა არაფე-
რი! კარტოზიამ ცოტა ხანს იუუჩა და დასძინა: — ამისათვის უყვარდა
იგი ხალხს. საოცრად თავმდაბალი კაცი იყო. არასოდეს არ იხსენებ-
და, რომ იგი საქართველოში მცხოვრები ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემ-
პიონი იყო კიდაობაში. თავისთვის არასოდეს არაფერს ითხოვდა. ყო-
ველთვის სჯერდებოდა იმას, რაც ჰქონდა, ხოლო ბევრი არაფერი
ებოდა... სხვის ტკივილს თავისად განიცდიდა... ცოტა, ძალიან ცოტა
ადამიანი შემხვედრია ასეთი ცხოვრებაში.

გივიმ სათვალე მოიხსნა, ისევ გულმოდგინედ გადაუხვა ცხვირ-
სახოცი მინებს, რომლებიც სულ ერთი წუთის წინ განძინდა. მაინც
რა ბედნიერი ყოფილა ლეონიდ ძეკონსკი. მისი მოწაფე საქართვე-
ლოს ყველა სპორტსმენს შორის გახდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი,
ყველა საბჭოთა მოჭიდავეს შორის პირველი სამგზის მსოფლიო ჩემ-
პიონი. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ კარტოზია არ ლაპარაკობდა.
იგი ხომ ძეკონსკის მოწაფეა.

— ბევრი რამ მომცა ვალარშაკ მაჩკალიანმაც. — კარტოზია ჩა-
ფიქრდა. — მაჩკალიანში იყო იმდენივე ძალა, რაც ნებისმიერ ორ მის
მეტოქეში. ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში მე,

სამუქლო წონის მოჭრდავს. მაძელებლა მასთან შევარჯიშა. წარმო-
გადგენათ. ჩემი მღვთობაობა?

ვლარშაკთან წვრთნას ყველა მძიმე წონის მოჭრდავე როდი თანხ-
მდებოდა. რაის არ ეხალისებოდა მოქცეულყო მარკალიანის დო-
ღბქვეს. მე კი სხვა რა ვხა მქონდა? ახალგაზრდა ვიყავი, ფიცხ-
სპარინგზე უარის თქმა დამამცირებელ სისუატედ მიმაჩნდა, ამიტომ
ვითმენდი. ის მათებდა მხოლოდ, რომ ძეკონსკი. რომელიც ყოველ-
თვის ასე უფრთხილდებოდა თავის მოწაფეებს, არ მიცავდა მარკალი-
ანს სავან. მოვვიანებოთ მოვხვდი — ისინი „შეთქმულები“ იყვნენ. ოთხი
ხელით ჰქედნენ ჩემგან მოჭრდავეს, თანაც ცდილობდნენ ისე მოეჩვე-
ნებინათ. თითქოს განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდნენ, ჩვეულებ-
რაც მწვრთნიდნენ.

გივი კარტოზიამ ჩაიცინა და გაჩუმდა. მე კი ვფიქრობდი, რომ ვა-
ლარშაკ მარკალიანი იმის შეატელსაც ვერ მიაღწევდა, რასაც მიაღ-
წია კარტოზისთან „მეცნიერულ“ თანამშრომლობაში, გივის რომ არ
ევიტანო გულწრფელი ზრუნვა, მარკალიანის სიყვარული და კეთილი
გული, მენტორული პოზიციებიდან კარტოზისთან ვერავითარ კონ-
ტაქტს ვერ დაამყარებდა. ასეთ კეთილმოსურნეს უსათუოდ მოიცო-
ლებდა. შორი მისამართით გაიატეპრებდა. არიან აღამიანები. რომ-
ლებიც თუკი ემორჩილებიან ძალას, მხოლოდ გულწრფელი მეგობ-
რობის ძალას ემორჩილებიან. მაგრამ ეს უკვე ნებაყოფლობათი მორ-
ჩილებაა. კარტოზია სწორედ ასეთია. იგი ვერ კიდევ ბავშვობაში
იღებდა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. მოჭრდავე რომ ვახდა,
მეტი დამოუკიდებლობის სურვილი გაუჩნდა...

თუ რა შედეგი მოჰყვა ამ „სიამოვნებას“, რასაც რეველარულად
ანკებდნენ კარტოზიას ძეკონსკი და მარკალიანი, ერთი ამბით შეიძ-
ლება ვიმაჯელოთ: 80-კლოგრამიან კარტოზიას ტანის მოყვანილობა
ესეთივე ჰქონდა, როგორც 120-კლოგრამიან გოლიათებს არსენ მე-
კოკიშვილს და ალექსანდრე მახურს. სპორტის დამსახურებული
ოტატო გამარნიკი აღსტურებს: „ხიდურზე გივის ვერ აკავებდნენ
მძიმეწონიანებიც კი. ძალით კი ერთხელ ჩემ თვალწინ აკობა მძიმე
წონის ტეჩოვს და ჰქვემძიმე წონის ნიკოლავეს“.

ჩვენ უკვე სხვა თემზე ვსაუბრობდით, როცა კარტოზია ისევ
მარკალიანს დაუბრუნდა: „ვლარშაკი ძალიან ერთგული აღამიანი იყო.
დიდი მოჭრდავე რომ გახდა, ბევრ დედაქალაქში მიიწვიეს, ოქროს
მთებს ჰპირდებოდნენ, მაგრამ ის თბილისიდან არსად წასულა. მაშინ
„ფრენიაობა“ მოდაში იყო. ბევრი ამ მოდას აყვავდა და ცდუნებდა ვერ
გაუძლო. მან კი გაუძლო. თანაც ისე, რომ თავისთვის ძალა არც და-
უტანებია. აი ამიტომაც უყვარდათ იგი...“

1952 — 1958 წლებში, თუ არ ჩავთვლით: იანსონთან შერკინებას,

კარტოზიას მსოფლიო ხალიჩაზე არცერთი ბრძოლა არ წაუგია. მაშ რატომ იყო ის მხოლოდ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი? იმიტომ, რომ იმ დროს ჩემპიონატები ტარდებოდა „რიგრიგობით“: ამ წელიწადს — „კლასიკოსების“ ჩემპიონატი, მომდევნო წელიწადს — თავისუფალი სტილის მოკრძავეთა. ჩვენ დროში კარტოზიას მსოფლიო პირველობების სულ ცოტა კრდეუ სამი ოქროს მედალი ექნებოდა.

— ჩემი ყველაზე ძნელი ორთაბრძოლა? — გივი იღიმება. — მაშ ისევ ჩემსე? — მაგრამ იგრძნო, რომ თანამოსაუბრეს შეიძლება უკვე ეფეთქა, თავისი ღიდი ხელი მხარზე დამადო და თქვა: — კარგი, კარგი, ვიამბობთ ყველაზე დიდ შეხვედრაზე, ნუ წყრებით...

ეს მოხდა სტამბოლში 1956 წლის მსოფლიო თასის გათამაშების დროს. ძნელი სიტუაცია შეიქმნა მაშინ. თურქი მოკრძავეების მთავარი მეტოქეები ჩვენ ვიყავით, თურქებთან კი, მოგეხსენებათ, ძველისძველი ანგარიშები გვაქვს.

კარტოზია სწორია. მართლაცდა, ძველად ქართველები არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ საკრძაო სარბიელზეც იცავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას. 400 წლის წინათ, როგორც მოწმობს მატიანე, სულთან შურად III-ის სასახლეში თურქების მიერ დაპყრობილი სამცხიდან მიუყვანიათ თავადი ძმები მანუჩარი და ყვარყვარე. ეშმაკმა სულთანმა ტყვეები ძვირფასი სტუმრებივით მიიღო, მათ პატივსაცემად გამართა ლხინი, რომელზედაც სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩები მოიწვია. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ყვარყვარემ მოახდინა. გერმანიის ელჩი შვაიგერი წერდა, რომ არასოდეს უნახავს ასეთი მოხდენილი და ლამაზი ვაჟკაცი.

როცა ნადიმი დამთავრდა, შურად III ძმებს შესთავაზა მუსულმანობა მიეღოთ და მშობლიურ სამცხეში თურქეთის სულთანის წარმომადგენლებად დაბრუნებულყვენ. მანუჩარი მაშინვე დათანხმდა, ყვარყვარემ კი ცივი უარი სტკიცა. მეორე დღეს გამუსულმანებულნი მანუჩარის პატივსაცემად ისევ ლხინი გაიმართა. ეშხში რომ შევიდნენ, სულთანმა ყვარყვარეს უთხრა:

— შენზე ამბობენ, კარგი მოქიდავეაო. გენიძლეები: თუ ჩემ ფაღლავანს წააქცევ, რჯულს შეინარჩუნებ, ქართველი დარჩები, თუ წაგაქცევს, ყველაფერს დაკარგავ...

— თანახმა ვარ, — მოკლედ უპასუხა ყვარყვარემ.

...წელს ზემოთ გოლიათი თურქის სხეული ქონით იყო გაპოხილი. ყვარყვარეს თხოვნაზე — მისთვის ტანი ჩამოებანათ, სულთანმა მკვახედ თქვა: „აუხსენით მაგ ურჯულოს, რომ ის თურქის მიწაზეა, სულთანის სასახლეში და, თუ სიცოცხლე სურს, ჩვენს წესებს მისდიოს“. ტყვეობით გაწამებულ ყვარყვარეს ზაფრანის ფერი დაედო და მოწინააღმდეგისაყენ გაემართა...

მეტოქის ჩავლება ვერა და ვერ მოახერხა. ქონწასმული ადვილად უსხლტებოდა ყვარყვარეს. თავის მხრივ თურქი რამდენჯერმე ძალიან სახიფათოდ ეძგერა ფეხებში ქართველს. თანამემამულეების მხერ გამხნეებულნი შეტევას აძლიერებდა. გულშემატკივრები საქართველოს შეურაცხყოფდნენ სალანძღავი შეძახილებით. ამან ტყვე გააცუცხლა, სამართლიანმა რისხვამ ღონე შემატა. როცა დარწმუნდა, რომ მოწინააღმდეგის გაქონილ სხეულს კვლავებში ვერ მოიგდებდა, ყვარყვარემ დრო იხელთა და ერთ-ერთი იერიშის დროს მარჯვენა ხელით ძლიერად დააწვა კისერზე, სწრაფად მოიგდო თეძოზე, მოკვერდით წამოიღო და ხალიჩაა გააკრა.

„ხერხი არასწორად იხმარა! კიდაობა უნდა გაგრძელდეს!“ — იყვირეს თურქებმა. მაგრამ დამარცხებულმა სულთანს უთხრა: „დიდო მბრძანებლო! ამ ქართველმა პატიოსნად მომიგო. ნულარ გვაქიდავებ, ნუ შემარცხვენ!“ სულთანს გაეხარდა, რომ მისმა ფალავანმა იგი გამოიყვანა საჩოთირო მდგომარეობიდან. ამიტომ მოწყალე თვალთ შეხედა ყვარყვარეს და უთხრა „შენ გაიმარჯვე, შენ თავისუფალი ხარ“.

ასე იხსნა კიდაობის ხელოვნებამ ამაყი ქართველის სიცოცხლე და ღირსება ოთხი საუკუნის წინათ. ახლა როგორაა საქმე? კარტოზია ილიმის:

— გამუსულმანებს აღარავინ გვთავაზობს. მაგრამ მოგება ისევე უნდათ, როგორც ძველ დროს. გამარჯვება სურთ აუცილებლად! ასეთია სტამბოლში ყველა თურქი მოქიდავის კანონი. მართო ის აზრიც კი, რომ ისინი აგებენ თავიანთი ქომაგების თვალწინ, აშმაგებს მათ, რაღა სანახაობაა ეს!..

ჩემი ყველაზე საშიში მეტოქე იყო თურქი ისმეთ ათლი, მოუქნელი, გრძელმკლავება, კაქა, ხალიჩაზე კი საოცრად სწრაფი და თვალშეუღლები. ნეაპოლში იგი მესამე წუთზე წავაქციე, სერიოზული მეტოქე იყო! რომის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა კიდევ.

თურქები სტამბოლში ათჯერ უფრო გულიანად გამოდიან. შშობლიური კედლებიც, მსაჯებიც, მაყურებლებიც — ყველა და ყველაფერი თურქებს შეეღის... ვკიდაობდით გვიან საღამოს სტადიონზე, რომელიც 25 ათას მაყურებელს იტევდა.

ათლი ნებისყოფიანი მოქიდავე იყო, უკან დახევა არ იცოდა. პირველ წუთზევე ვეძგერეთ ერთმანეთს ისეთი ძალით, რომ დარტყმა ხარს წააქცევდა! სტადიონის თავზე ღამეული ცა თითქოს მზით გასხივოსნდა. ვიფიქრე, მეტოქე თუ არ წაიქცა, ალბათ, მე წავიქცევიმეთქი. ორივემ გავუძელით. სახედასისხლიანებულლებს გულები ამოვარდნაზე გვქონდა. მაგრამ ვკიდაობდით. რვა ქულა მოვიგე, მეექვსე წუთზე კი ბექებზე გავაკარი. მსაჯებმ აქეთ-იქით იყურებიან, ისეთი

სიტუაციაა. თოქოს საცაა უხარმარო ნაღმი უნდა აფეთქდესო. ათ-
ლი წამოდგა, მოვიდა ჩემთან და ხელი ამიწია. სტადიონმა ყოენა
დასცა, მაგრამ ეს უკვე აღერის ყოენა იყო. ეპ, გავიფქრე, რომ
მცოდნოდა. ასეთი ვაჟაკი იყავ. ანე ვამეტებოთ არ ჯეჰიდაუებოდი!
ოუმცა ვინ იტოს, ჩვენ ლმობიერნი სომ მხოლოდ კონგრს შეძლეგ
ვართ...

მეორე დიღას მსოფლიო თასის მფლობელი გივი კარტოზია სას-
ტუმროდან გამოვიდა. სღვისკენ აპირებდა გასეირნებას. ბერიკაცი
შესხვდა. ღარბული, მაგრამ მოხდენილი ტანსაცმელი ეცვა. მოხუცი
მძიმედ ებჭინებოდა ძველ ყაჯარკენს. კარტოზია ტროტუარიდან ჩა-
მოვიდა. გზა დაუთმო. მოხუცმა ღირსეულად დაუტრა თავი და ქართუ-
ლად ჰკითხა:

-- გეთაყვა. კარტოზია ხართ?

-- დიას, --- მიუგო გაოცებულმა გივიმ.

-- გუშინ დიღად ვისიამოვნე სტადიონზე. შესანიშნავად ჰიდა-
ობდი! მე 94 წლისა ვარ, ბევრი განთქმული ფალავანი მინახავს. შენ
დიდი კულა გლდანელი გამახსენე... ჩემ მაგვირად აკოცე შმობლიური
საქართველოს მიწას, სადაც არასოდეს ფეხი არ დამიდგამს... დღე-
ვრძელი იყავ. შვილო!..

ბერიკაცი დაემშვიდობა და ჯოხზე დაყრდნობილი წელა გაუდგა
ვზას. ვინ იყო იგი? სადაური სად მოუყვანია ბედს? სიბერეში ვინა
ჰყავს პატრონი? ბერიკაცი თვალს მიეფარა. კარტოზია კი იღვა სტამ-
ბულის ვიწრო ქუჩაში და ფიქრობდა ცხოვრების უკუღმართობაზე,
ფიქრობდა იმაზე, რომ მოხუცმა ქართველმა იგი კულა გლდანელს
შეადარა. ჯერ არავის მიუცია მისთვის ასეთი მაღალი ატესტაცია...

არსენ მეკოკიშვილის წიგნში „ფალავნების მწყობრში“ არის ასე-
თი სტრიქონები: „...კულა გლდანელი! მისი პორტრეტები ყველა რე-
ვოლუციამდელ სპორტულ ჟურნალში იბეჭდებოდა... „ღმერთი ცა-
შია, კულა — დედამიწაზე“, ამბობდნენ იმ წლებში თბილისელები
თავიანთ სათაყვანებელ ფალავანზე. უღალატო, პატიოსან ვაჟკაცს
მტრებიც ბევრი ჰყავდა — მან მარტო ჰიდაობა კი არა, სიძულვილიც
იცოდა“.

სპორტის ცნობილი ისტორიკოსი და პოპულარიზატორი, თბილი-
სის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი ავთანდილ ციბაძე თა-
ვის ერთ-ერთ წიგნში საინტერესო ცნობებს გვაწვდის კულა გლდა-
ნელის ბიოგრაფიიდან. 1909 წლის ზაფხულში ბაჭოელი მაგნატის ვა-
ჟიშვილებმა ჰიდაობა მოაწყვეს. რამდენიმე ფალავანი თბილისიდან
მიიწვიეს, ირანიდან კი ცნობილი ათლეტი მურშუდი ჩამოიყვანეს.

ირანელს ღიდებული შეხვედრა გაუმართეს: რჩევეტრიოთ, ყვაილი-

ბით, ეტლებ-თ შეეკებნენ, თითქოს მას ტურნირში უკვე გაემარჯვე-
ბინია. ვლდანელი ამან აღაშფოთა.

მანამდე სამი წლით ადრე ბაქოელმა მილიონერმა თავივემა ირა-
ნელი მოქიდავე ხუმტურ-ბეგი მოიწვია და მისი სახელით გამოწვევა
გაუგზავნა კულა გლდანელს. ახალგაზრდა თავივეს ეპვი არ ეპარებო-
და ირანელის გამარჯვებაში. მაგრამ ყოველ შემთხვევაში კულას 50
ოქრო შეაძლია, წაიქეცი და მიიღებო. კულამ ფულზე უარი თქვა, მე-
გობრებთან კი დაიქანდა. ხუმტურ-ბეგს ისეთ დღეს დავაყრი, რომ
თავის დღეში არ დაავიწყდესო.

ორთაბრძოლის დროს კულამ შენიშნა, რომ ქართველი თავადი ნა-
კაშიძე პირველ რიგში იჭდა. კულამ მყისვე მიიღო გადაწყვეტილება.
გონგს დაკრეს თუ არა, ირანელი სცემია კულას და ჩვეულებიამებრ
ბტუნვა დაუწყია. კულას ამით უსარგებლია, თვითონაც აპყოლია და
თითქოს შეშინებულს უკან-უკან ბტუნვით დაუხვია.

— რას სჩადინარ, კულა! — შეპყვირა განრისხებულმა ნაკაშიძემ. —
გინდა მთელი საქართველი შეარცხენო?! სად გარბინარ?!

— არ მივრბივარ, კნიაზჩან. — მიუგო გლდანელმა. — შენთან მომ-
ყავს. რომ უკეთ ნახო ეს „დიდი მოქიდავე“.

მალე კულას კისრულზე წამოუღია და ხუმტურ-ბეგი ორივე ბე-
კით გაოცებული თანამემამულის ფეხით გაუწვენია.

კულამ ამჯერადაც გადაწყვიტა მეტოქის წაქცევა. მაგრამ წაქცე-
ვა სწორედ მდიდართა ვაეებნ წინ. ასეც მოიქცა, ოლონდ იმ განსხ-
ვავებით. რომ მურშედა ჭერ ცხვარივით ზურგზე მოიგდო, შემდეგ
კი ზალიჩაზე გაშლართა.

1955 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, დასავლეთ გერმანიის ქალაქ
კარლსრუეში, კარტოზია კომპარული სიზმარივით იხსენებს. ერთ
დღეს მას ხუთჯერ მოუხდა კიდაობა. მართალია, ყოველივე ამას გივი
ახლა სიცილით იგონებს. მაგრამ ადვილი გასაგებია, მაშინ სიცილი-
სათვის არ ეცალა. ავეყვით კარტოზიას მიერ შემოთავაზებულ ირო-
ნიულ კილოს და ოცდაათი წლის წინათ მომხდარ ამბავს მივკეთ ასე-
თი სათაურად — „როგორ „ისვენებდა“ კარტოზია და როგორ „მკურ-
ნალობდა“ ხელს“. რატომ ბრჭყალებში? ამას ახლავე გაიგებთ...

— ჩემპიონატის მომწყობებმა არააწორად გაანაწილეს შეხვედრე-
ბი დღეებში მიხედვით და ისე მოხდა, რომ უკანააქნელ დღეს ჩემს
წონაში ბევრი ორთაბრძოლა დარჩა ჩასატარებელი. დილით საარის
მოქიდავეს ოტმარ ზონჰალტერს შევხვდი წაქცევით წავაქციე. მაგ-
რამ მკლავი ძალიან დამეჭიმა. ასეთი რამ კიდაობის დროს სშირად
ხდება. მით უფრო, თუ ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ ნაკლებ ტექნი-
კური მეტოქე გყავს. ვიცოდი. სადამოს ერთი ან ორი კიდაობა მელო-
და და დაასვენებლად წავედი. ვიფიქრე, დავიძინებ და ხელიც მო-

მორჩება-მეთქი. სასტუმროს გვერდით რაღაცას აშენებდნენ და სატეხი ჩაქუჩების აკომპანიმენტში ძნელი იყო მოსვენება.

ხელი ისევ მტეხაუნს. საღამოს ბრძოლა მაქვს იუგოსლავიელ ბრანისლავ სიმჩთან. ლონიერი, ტექნიკური ყმაწვილია. ტოკიოს ოლიმპიადანზე გაიმარჯვა. ქულებით დავამარცხე. მივბრვივარ გასახდელში, შევდივარ შხაპის მისაღებად და რეპროდუქტორიდან მესმის: „კარტოზია — იანსონი“. ისევ სარბიელი, იავე ჭიდაობა. იანსონი ქულე-ბით დავამარცხე და გავიფიქრე: ასლა კი დავეგდები გასახდელში — აღარაერნ გამაღვიძებს-მეთქი.

კარტოზია ილიმება:

— გამაღვიძეს. თხუთმეტ წუთზე მეტი არ დამაძინეს. ზრდილობიანი შაჯი მომადგა: „ჰერ კარტოზია...“ უნგრელი გეორგ გურიჩი, ჰელსინკის ოლიმპიადის პრიზიორი, გამოცდილი, ძლიერი მოჭიდავეა. მასაც მოვეუგე. გგონიათ. ამით დამთავრდა? არა! თურმე დარჩა ფორსტპესი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. მასთან საჭი-დაოდ უკვე 36 წუთს შემდეგ გამომიძახეს. ჩვენები ვაშრნენ. მოვეუგე მასაც, დავწეკი გასახდელში და მკედარივით დამეძინა. არ მინახავს, როგორ დაამარცხა გურიჩმა გერმანელი და მეორე ადგილზე გავიდა. ძლივს გამაღვიძეს დასაჯილოებლად. გამოვფხიზლდი. მკლავი აღარ მტკიოდა, ეცუობა. ნერვი მქონდა ჩაქედილი და გერმანელთან ჭიდაობისას მომირჩა. ნუ გაგიკვირდებთ, ასეც ხდება...

სიცილით კი ვიცინეთ, მაგრამ კარტოზიამ ხომ არსებითად ცალი ხელით საათ-ნახევარში ოთხი ფალავანი დასცა და ჩემპიონი გახდა. მოჭიდავეებს ამ უნიკალურ ამბავზე არ ელიმებათ...

რამ შეაქლებინა ეს? ოსტატობამ. ფენომენალურმა ძალამ! კარტოზიას შეეძლო ჩოქბჭენიდან მეტოქე ხალიჩიანად აეწია. თუ ამ უკანასკნელს ძალა ეყოფოდა ხელში სჭეროდა ეს ხალიჩა. მაგრამ ეს რო-დია მთავარი.

მისი მწვრთნელი ლეონიდ ძეკონსკი ხშირად ამბობდა, ჭიდაობაში მთავარი სილამაზეაო. კარტოზია იშვიათი სილამაზის მოჭიდავე იყო. იგი არასოდეს ყოფილა ჭიდაობის მონა, მუდმივეცვალეზადი წესებით განაწამები, მარცხის წინაშე შიშით შეპყრობილი სპორტსმენი. არა, არასოდეს! კარტოზია ყოველთვის აკეთილშობილებდა ჭიდაობას, ყველას ხიზლავდა გამბედაობით. ელეგანტურობით, უკომპრომისობით.

იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ჰელსინკში ვერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, უკვე ვთქვით. გავბედავ ვამტკიცო, რომ მერეც სულ ახლოს იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის წოდებასთან. კარტოზიამ არსებითად უკვე დაამთავრა ხალიჩაზე გამოსვლები, როდესაც ხელმეორედ მიიწვიეს ოლიმპიურ ნაკრებში (1960 წელს. რომში). გივი მისთვის ახალ ქვემძიმე წონაში ჭიდაობდა. ფინალის წინ ხუთი შერკი-

ნება ჰქონდა — ხუთივე მოიგო. ყველა ქულებით. მაგრამ კარტოზიას ერთი მთავარი გამარჯვებინათვის დრო არ ეყო. ოქროს მედალს კიშის წმინდად დამარცხებით მოიპოვებდა. შეეძლო ეშმაკური სერსებით თურქი თავის ფანდზე წამოეგო, სახიფათო იერიშებზე მიეტყუებინა, კონტრილეთი ჩაეტარებინა... შეიძლებოდა, მაგრამ ეს უკვე კარტოზია აღარ იქნებოდა. მან აშკარა, რისკითა და სილამაზით აღსავსე ჭიდაობა არჩია. კიში კი სილამაზეზე არ ფიქრობდა. კიში ჩასაფრდა და მეტოქე შეცდომაზე დაიჭირა. მიიღო ერთი ქულა და დაცვის ზვინულში მიიმალა. ჭიდაობაზე უარი თქვა. კიში ჩემპიონი გახდა. კარტოზიას მესამე ადგილი ერგო.

ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. ასამართლებენ, როგორ არა დრო ასამართლებს. კარტოზია თურქეთში ახსოვთ, კიში კი დაივიწყეს. ეს მითხრა 1983 წელს კიევიში მსოფლიო ჩემპიონატის დროს ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მუსტაფა დალესტანლიმ. ამ მოქიდავეს ყველაფერი დაეჭვრება.

თავის უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე ბუდაპეშტში იგი შეიღჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და მსაჯებმა შეიღჯერ აუწიეს ხელი. ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამთ და ვერც იტყოდნენ ვერც თურქი „არჯინის კაცი“ მითხათ ბაირაკი, ვერც ჯიუტი ოეგოსლავიელი ბრანისლავ სიმიჩი, ვერც ბრძენი ბულგარელი დიმიტრ დობრევი და ვერც ფრთხილი ლოტარ მეცი ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ვერ იტყოდნენ იმიტომ, რომ ნამდვილად წააგეს...

კატეგორიულ გამოთქმებს სპორტში ჩვეულებრივ მაშინ მიმართავენ, როცა დამაჯერებელი არგუმენტები არ გააჩნიათ. როცა კარტოზია წარუმატებლად გამოვიდა 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (თავისუფალი ჭიდაობა). მაშინვე აყაყანდნენ: „იგი თავისუფალში ვერ ჭიდაობსო!“ კარტოზია თავს არ იცავს: („მე ათლისთან დამარცხდი, თავისუფალში ის ჩემზე ძლიერია“). ჩვენ კი ჭეშმარიტებისთვის ვიბრძვი. ჩვენ არგუმენტები გვაქვს და უნდა მოვიშველიოთ. მაშინ მსოფლიო ჩემპიონი გახდა არა ისმეთ ათლი, არამედ ირანელი აბას ზანდი, რომელმაც ფინალში დამაჯერებლად მოუგო თურქს. კარტოზიამ კი ამ ჩემპიონატის უკვე მეორე წრეში არანაკლებ დამაჯერებლად დაამარცხა მომავალი ჩემპიონი. ეს რატომღაც დაივიწყეს კატეგორიული გამოთქმების მოყვარულებმა. ჩვენ ამას მხოლოდ ჭეშმარიტების დასადგენად ვიხსენებთ.

კარტოზია ეროვნული ადათ-წესების ერთგულია. ვთქვათ, უფროსი უფროსია, აქ საკამათო არაფერი უნდა იყოს. მაგრამ თვით გივი ასაკს ფარად არ ხმარობს. მასში არ არის ის ხელოვნური დარბაისიურობა, ბევრ კირნახულ კაცს რომ ახასიათებს.

ის ექსპანსიურია, ალლოიანია, არ იცი, როდის იფეთქებს და...

ბრძენია. არასოდეს პიზიორობს. ერიდებო მკალფადლოვან ფრანგებს, სხაპასხუებით, პირდაპირ ახლის სათქმელს. ორ-სამ სიტყვაში ტევს ახრს, რომლის გამოსახატავად მე, მაგალითად, გაცილებით მეტი სიტყვა დამჭირდებოდა. კარტოზია კი დაუძაბავად, ძალდაუტანებლად, ყოველგვარი შეღამაზების გარეშე ისე მოხდენილ რეპლიკებს ისერის, რომ, როგორც თვითონ ამბობს, კაცმა შეიძლება წონაწროობაც კი დაკარგოს. იგი ყველგან და ყოველთვის შავს შავს უწოდებს, თეთრს — თეთრს.

ქართველმა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ ვივი კარტოზიას შესახებ დაწერა მშვენიერი ნარკვევი და მას „დაუმთავრებელი პორტრეტი“ უწოდა. გოგელია წარსულში საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების წევრი იყო, იგი კარტოზიაზე ამოზრდილი სპორტული სულია. არჩილი ჩემზე — უკრაინელ ჟურნალისტზე გაცილებით უკეთ იცნობს გვიც და პორტრეტი კი არ დაასრულა. მას არც მე დავასრულე, მხოლოდ სიტყვას მივცემ იმ ადამიანს, რომელსაც კარგად იცნობენ და უყვართ საქართველოში, რომლისაც გივი კარტოზიასაც სწამს და სჯერა.

სპორტის დამსახურებული ოსტატი რომან რურუა: „კარტოზია ძალიან კეთილი, მკრძნობიარე ადამიანია. ვინ მოთვლის იმათ, ვისაც დახმარებია გივი. მე ერთ-ერთი მრავალთაგანი ვარ, ვისაც კარტოზია დაეხმარა, ადგილი ეპოვა ცსოვრებაში. იგი ფიცხია, მაგრამ მიმტევებელი.“

მაგრამ თუ გვიომ ზურგი შეაქცია ვინმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ კაცმა ისეთი საქციელი ჩაიდინა, რომლის პატიება არ შეიძლება. კარტოზია სამუდამოდ დაკარგავს მას. უკან დაბრუნება მისთვის უცხოა...“

სპორტის დამსახურებული ოსტატი ივანე ბოგდანი: „გივი კარტოზია ნაკრების სინდისი იყო. ის ყველას ძმასავით უყურებდა და ჩვენც ყველას გვასწავლა ეს“.

კარტოზია მცირე ხანს მუშაობდა მწკრთნელად. „მასწავლებელს პირველ ყოვლისა მოთმინება მართებს ბავშვებთან, — სპორტსმენები კი რალაკით მუდამ ბავშვები არიან, — სიფიცხე შეუწყნარებელია. მე კი ფიცხი კაცი ვარ...“

ხალხს უყვარს გივი კარტოზია. სჯერა მისი, სურს იყოს მის გვერდით. და ამ ცეცხლოვანი გულის ქართველს ადამიანთა შორის ოლიმპიურ ჩემპიონს უწოდებენ.


ამხანაზი პრეზიდენტი

„არც ერთ ადამიანს არ გაუყუთებია ჩემი თაობასთვის იმდენი სიკეთე, რამდენიც სარაქიშვილს. თვით ჩვენი სიუკეთესო მწვრთნელებიც კი უფრო მეტს შაინც კილაობაზე, მოკრძავეებზე ფიქრობდნენ, ბატონი ირაკლი კი აღამინებზე ფიქრობდა...“

გივი ქარტოზია

„მე ეცნობ რესპუბლიკური ფედერაციების ყველა ხელმძღვანელს, მოკრძავეთა ნამდვილი პრეზიდენტი კი მხოლოდ ერთი მათგანი — ირაკლი სარაქიშვილი იყო“.

ზრამ იალტერიაზი



მარცხნიდან მარჯვნივ: ლევან თელიძე, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელი ილია ჩხარტიშვილი, ირაკლი სარაქიშვილი და შოთა ლომიძე

ეს მოთხრობაა ადამიანზე, რომელსაც არასდროს უჭიდავია. ეს მოთხრობაა ადამიანზე, რომელსაც საქართველოში საჭიდაო სპორტის მთავარი საქმე ებარა, რისთვის მიაგებენ მას ასეთ პატივს?..

— თუ სიტყვას მომცემ, რომ არასოდეს არ გაამხელ ჩემ სახელს, ერთ ამბავს გიამბობ საკუთარი ცხოვრებიდან.

— პეტროსიან სიტყვას გაძღვე!

— ეს მოხდა ოცდახუთი წლის წინათ. უკვე ვტოვებდი სპორტს და უკანასკნელად ვმონაწილეობდი თბილისის რომელიღაც ტურნირში. ვერ ვიყავი კარგად. უახლოესი ადამიანი დავკარგე, ჩემს მომავალს ველარ ვხედავდი და, რომ იტყვიან, ინერციით ვცხოვრობდარი ვიცი, რა ქარმა გადმომავლო თბილისში, შეჯიბრებებში მოგება ჩემთვის უცხო ხილი ხომ არ იყო? მაგრამ მწერთნელმა განაცხადში შემეყვანა და მეც გამოვემგზავრე.

მოჭიდავეთა წრეში რომ მოვხვდი, უცებ სურვილმა ამიტანა — გამემარჯვა უკანასკნელად! რატომღაც ასე გადავწყვიტე, თუ ტურნირს მოვიგებ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი მოგვარდება, შვებით ამოვისრუნთქავე-მეთქი.

პირველი შეხვედრა როგორც იქნა. მოვიგე, მეორე, მესამეში კი დაემარცხდი. ჩემი მოწინააღმდეგენი, გონიერი ჰაბუტები, მალე მიხვდნენ, რომ ფორმაში არ ვიყავი (მე ხომ თითქმის არ მიჰარჯიშია), მათრიეს მთელ ხალიჩაზე და ორივემ ბეჭებზე დამდო.

წავედი გასახდელში, სწრაფად გადავიცივი ტანსაცმელი და გამოსვლისას ასე ოცდათხუთმეტი წლის კაცს შევეჩქეხე. ეტყობა, ჩემს თვალებში რაღაც საშინელი დაინახა: ფერი ეცვალა, მოიღუშა. რას დაინახავდა, ვიცი, მაგრამ ამაზე არ ღირს ლაპარაკი. მიუხედავად, გაცხარებული შეჯიბრებაა, შენ საით გაგიწევიაო. მკვახედ ვუპასუხე და გავშორდი. არაფრად ჩავაგდე ადამიანის შეურაცხყოფა. იცი, მაშინ სხვა განწყობაზე ვიყავი.

იგი წამომეწია ქუჩაში, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „მოდი, მეგობარო, ერთად გავიაროთ, ჩვენს ქალაქს დაგათვალთვინებინებ, გავისაუბროთ, ალბათ, გავუგებთ ერთმანეთს“. მის ხმაში იმდენი სითბო, იმდენი სიკეთე იყო, რომ იმ ბავშვივით ავტირდი, რომელსაც მამა დასჯის, მერე კი მოუალერესებს. ის არ შამშვიდებდა, ხმამაღლა მამა მომყვებოდა გვერდზე, ხელი არ ჩამოუღია მხრიდან. მთელი ჩემი ცხოვრების ამბავი მოუყვივი, დარღები გავუზიარე. ხშირად ჩამეკითხებოდა ხოლმე, დეტალებში ერკვეოდა, წყრებოდა, თანამიგრძნობდა. მისი ინტერესი ჩემდამი, სრულიად უცხო ადამიანისადმი, ალალი იყო. დავრწმუნდი, რომ ამ დროს იგი მსოლოდ ჩემზე ფიქრობდა. და შვება ვიგრძენი.

თბილისში ღამის სამ საათამდე ვიხტიალეთ. თავისთან მიმიპატიყა. ცოლს დაურეკა და უთხრა, „ძველ მეგობართან“ ერთად მოვდივარო. მაგრამ მე უკვე ნორმალურად ვაზროვნებდი და უარი ვთქვი უდროო ვიზიტზე, შეწუხებაზე. მან სასტუმრომდე მიმიაცილა, მაგრად, ძმურად გადამხეხია და წავიდა... ამ კაცმა მისხნა.

— იცით მისი სახელი?

— რა თქმა უნდა, ვიცი. — მიპასუხა თანამოსაუბრემ. ცნობილი, ყველას მიერ პატივცემული მწვრთნელია და ჩემ სიცოცხლეში არ დავივიწყებ მას... ირაკლი სარაჯიშვილს...

როცა სურთ გამოხატონ თოვლის პირველქმნილი სითეთრე და სიწმინდე, ამბობენ, ცისფერიაო. ირაკლი სარაჯიშვილსაც სწორედ ასეთი ქალარა აქვს — ცისფერი და მბრწყინავი. თვალებიც უბრწყინავს — ჭკუით. იუმორითა და ვაჟკაცობით. ვაჟკაცური სული აქვს ამ ქალარა კაცს და ბრძენია. ადამიანების ბუნებას იგი შესანიშნავად იცნობს.

დიდ ტურნირზე ერთ ქართველ მოჭიდავეს დასჯას უპირებდნენ. მწვრთნელები ხალიჩის ხელმძღვანელთან სმამალა კამათობდნენ. მაყურებლები გაყუჩდნენ. როცა „ბრძოლის ორბიტაზე“ ქართველი მწვრთნელები გამოდიოდნენ, საჭიდაო დარბაზი საავიაციო მოტორების საცდელი საამქროსავით გუგუნებდა.

შესაძლოა, სამართლიანობას გაემარჯვა კიდევ, ხალიჩასთან რომ არ მოერბინა ახლად დანიშნულ ერთ ხელმძღვანელ მუშაკს.

დაბალ-დაბალი, შავგვრემანი, საკმაოდ გავლენიანი, უკმეხი და ავმესიერი, იგი მრისხანედ უმზერდა მწვრთნელებს. ამტყუნებდა მათ: „გამოიძახეთ შემდეგი წვეკლი! რა პარლამენტი მოაწყვეთ!“ სწორედ მაშინ მივიდა მასთან სარაჯიშვილი, რომელიც მანამდე არაფერში არ ჩარეულა:

— რას აპირებთ? — ჰკითხა ხმადაბლა.

— თქვენ ვინა ხართ, რომ ჩაგაბაროთ ანგარიში?

— ანგარიშს ჩააბარებთ თქვენს ხელმძღვანელობას, — მკაფიოდ და დინჯად წარმოთქვა სარაჯიშვილმა. — ნაპოლეონივით ნუ სტუნათობთ, ისე გიერკვიეთ საკითხის არსში. მეტი სათქმელი აღარაფერი მაქვს.

სარაჯიშვილს კრინტი აღარ დაუძრავს. ისე წავიდა ტრიბუნაზე. ათი წუთის შემდეგ ინფორმატორმა გამოაცხადა, რომ მთავარმა მსახთა კოლეგიამ გადასინჯა მცდარი გადაწყვეტილება და გამარჯვება მიაკუთვნა იმას, ვინაც ნამდვილად გაიმარჯვა...

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვახტანგ კუხიანიძე აშკარა სიძაღით ამბობს:

— მე პირველმა ვთხოვე ირაკლი სარაჯიშვილს სათავეში ჩასდგო-
მოდა ჩვენს ფედერაციას. ომის შემდგომ წლებში იგი ძალიან ეხმა-
რებოდა მოჭიდავეებს. სოლო ფედერაციის პრეზიდენტი გახდა 1958
წელს, სარაჯიშვილი მაშინ მუშაობდა პარტიის თბილისის საქალაქო
კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. მაგრამ დიდ
სწილად ადრე ვიცნობდი, როცა კომკავშირის თბილისის საოლქო კო-
მიტეტის მდივანი იყო. ის მაშინაც ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს

აკეთებდა ქართული სპორტის განვითარებისათვის... მოჭიდავეებმა მაშინვე შეიყვარეს. არ შეიძლება არ გიყვარდეს ასეთი კაცი...

ღიას, ეს იყო ფედერაციის არაჩვეულებრივი პრეზიდენტი. არ ერიდებოდა საღამო ხანს დაეკავუნებინა უცხო სახლის კარზე და გასცნობოდა კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების წევრის მშობლებს. გასაუბრებოდა ცხოვრების შესახებ, მოისმენდა თხოვნას, დაეხმარებოდა ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბატონ ირაკლის არ მოენახულებინა შეუძლოდ მყოფი მწვრთნელი თუ სპორტსმენი, მონაწილეობა არ მიეღო საზეიმო წვეულებაში, არ მიელოცა შვილის თუ შვილიშვილის შეძენა. ხოლო უბედურებაში, როცა უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ ადამიანს, მის „სასასლეს“ სხვა თანამოძმეებთან ერთად ირაკლი სარაჯიშვილიც მიჰყვებოდა.

— ქირშიაც და ლხინშიაც მუდამ გვერდში გვიდგას, — გვითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გივი კარტოზიამ. — ბატონი ირაკლი არასოდეს დალოდებია. რომ მისთვის დასმარება ეთხოვათ...

სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა ლომიძე უფრო ლაკონიური იყო:

— ირაკლი სარაჯიშვილი ნამდვილი მეგობარია!..

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ახლანდელი უფროსი მწვრთნელი კლასიკურ ჭიდაობაში დათო დავითაია, როგორც თვითონ თქვა, „თავგადაკლული მბრძოლელი“ იყო ახალგაზრდობაში. ერთხელ მან მწვრთნელს სთხოვა ეშოვნა რაღაც ვიტამინები, რომელიც ხელს შეუწყობდა წონის დაკლების შემდეგ ჯანზე მოსვლას. მწვრთნელმა მიუგო. ჯერ ერთი, ეგ ვიტამინები არა მაქვს, მეორეც, ისინი არ გიშველისო.

ამ ლაპარაკს შეესწრო სარაჯიშვილი. დავითაიას წასვლის შემდეგ მწვრთნელს უთხრა: „შეიძლება, შენ მართალიც ხარ — ვიტამინებმა არ უშველოს, მაგრამ რადგანაც მოჭიდავეს სჭერა, რომ ის არგებს, — აუცილებლად უნდა ვუშოვოთ!“ დ. დავითაია: მეორე დღეს ბატონი ირაკლი დარბაზში შემოვიდა, მიხმო თავისთან და ვიტამინები გამომიწოდა... აი კაცური კაცი! მე ხომ მისთვის არ მითხოვია!..“

გივი კარტოზია, როსტომ აბაშიძე, გიორგი სხირტლაძე, ავთანდილ ქორიძე, გურამ საღარაძე. რომან რურუა, შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, ანზორ კიკნაძე. ლევან თედიაშვილი — ეს ქართული ჭიდაობის ოქროს ხანაა. და მასთან პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარეს ირაკლი სარაჯიშვილს.

მას სურდა ყოფილიყო და იყო კიდევ პროფესიულად ინფორმი-

რებული ადამიანი. სარაჯიშვილი არ იფარგლებოდა შეჯიბრებების საზეიმო გახსნაში მონაწილეობითა და მისასალმებელი სიტყვების წარმოთქმით. იგი წვრთნასაც ისევე ხშირად ესწრებოდა, როგორც შეჯიბრებებს. ამიტომ კარგად იცნობდა ჭიდაობის სამყაროს, მის ცხოვრებას, ამიტომაც უწევდნენ ანგარიშს მის მოსაზრებებს სპორტული ხელმძღვანელებიცა და ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებიც. თუმცა იგი არ იყო სპორტის მუშაკი. მის რჩევა-დარიგებას ჭკვიანი ადამიანები მუდამ ყურად იღებდნენ.

ორმოცდაათიან-სამოციან წლებში ქართველ მოქიდაეებს ბრწყინვალე მიღწევები ჰქონდათ. მაგრამ პრეზიდენტი მუშაობის აქტიუზაციას, რეზერვის გამოძებნასა და მათს უფრო სრულად გამოყენებას მოითხოვდა.

მას ესმოდა, რომ მიღწეულს არ უნდა დასჯერდეს. რომ გაჩერებას უკუსვლა მოჰყვება. სარაჯიშვილი ყოველნაირად ცდილობდა გაეფართოებინა ჭიდაობის ქართული სკოლის გეოგრაფია. ხშირად მგზავრობდა რესპუბლიკის რაიონებში. ეხმარებოდა სპორტსკოლების, სექციების, ჯგუფების შექმნაში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჭიდაობის მასობრივ განვითარებას.

ღიას. იგი არ განხლდათ მოქიდავე, არ ჰქონდა სპორტული განათლება, მაგრამ შეეძლო ჩასწვდომოდა მოელენის პირველმიზეზს. როცა რესპუბლიკის საჭიდაო სპორტს კრიზისის ნიშნები დაეტყო. სარაჯიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა დაჰკრა ნალარა, გვაფრთხილებდა. რომ თავისუფალი სტილის მოქიდავენი და სამბისტები თანდათან დაკარგავდნენ პოზიციებს.

კარგა ხნის წინ სარაჯიშვილი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ წერდა: „20—30 წლის წინათ, როცა არ იყო არც გეგმიური დავალებანი მოქიდავეთა მომზადებაში. არც სათადარიგო მოთხოვნები. არც დიდი ჩემპიონატები, იშვიათად თუ ჩაივლიდა საქართველოში სოფლის დღეობა ისე, რომ არ გამართულიყო შერკინებები საჭიდაო არენაზე...

ახლა კი?.. რესპუბლიკის სასოფლო სპორტკომიტეტების ზოგიერთი ხელმძღვანელი ასე მსჯელობს: ჭიდაობა ნაცნობი, საყვარელი საქმეა, იგი ჩვენს ჩაურევლადაც იზიდავს ახალგაზრდობას, ამიტომაც ჩვენ სხვადასხვა თამაშები და შეჯიბრებათა ახალი ნაირსახეობანი უნდა დავნერგოთ და გავავრცელოთ — დახმარებისა და ხელმძღვანელობის გარეშე, ბედის ანაბარად დატოვებულნი „თავისთავად“ არ იზრდებიან და არ ხვეწენ ოსტატობას. სოფლის სპორტსმენთა რაოდენობა სულ უფრო მცირდება სამბოს, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის ნაკრებ გუნდებში...

მრავალწლიანი გამოცდილება ცხადყოფს. რომ სპორტსმენი, რომელმაც გაიარა ქართული ჭიდაობის სკოლა, ათვისა მისი თავისებუ-

რი ხერხები. ადვილად აღწევს წარმატებებს ჭიდაობის კლასიკურ სახეებში. და თუ დღეს ჩვენი წარმატებანი საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე ვერ არის ისე ბრწყინვალე, როგორც უწინ, ეს ხდება არა იმიტომ, რომ დაშრა ამ ტალანტები წყარო. ეს წყარო დაუშრეტელია. ჩვენ უარესად ვიყენებთ მას“.

დიახ, უშრეტი. უკანასკნელი „მოპიკანი“ იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი. მის შემდეგ სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების პირველ შემადგენლობაში ქართველები აღარ ყოფილან.

ირაკლი სარაჯიშვილი, როგორც საპატიო სტუმარი, 1983 წელს ჩავიდა კიევიში კლასიკური, თავისუფალი ჭიდაობისა და სამბოს მსოფლიო ჩემპიონატზე. შეხვდა ძველ მეგობრებს, რომლებთანაც ბევრი კარგი მოგონება აკავშირებდა. მაგრამ გუნებაზე ვერ იყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე.

— გა'ახარელი რა გვაქვს? — უთხრა მან ამ სტრიქონების ავტორს. — ის, რომ ჩვენი ქვეყნის კლასიკური ჭიდაობის ნაკრებში არც ერთი ჩემი თანამემამულე არ არის?

დიდხანა ვისხედით ჩემპიონატის პრესცენტრში. ვიგონებდით ძველსა და ახალ ამბებს. ვისხენებდით ათლეტებს, „ჭიდაობის ნამდვილ რომანტიკოსებს“. როგორც მათ სარაჯიშვილმა უწოდა

— 1954 წელს თავისუფალი ჭიდაობის ჩვენთვის პირველ ჩემპიონატში შვიდი ქართველი გამოვიდა, როცა გუნდი რვა კაცისაგან შედგებოდა. — ამბობდა ბატონი ირაკლი, — 30 წლის შემდეგ კი — არც ერთი! რატომ უნდა მქონდეს კარგი განწყობილება?..

სარაჯიშვილი დიდი ხანია აღარ ხელმძღვანელობს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას, მაგრამ იგი იმ ადამიანთა მოდემისაა, რომლებიც არასოდეს გადადგებიან.

შარშან ირაკლი სარაჯიშვილს 60 წელი შეუსრულდა:

იუბილარს მისალმებისას № 1 მოჭიდავეს უწოდებდნენ. იგი მადლობას იხდიდა და დიხჯად იღიმებოდა. პრეზიდენტის ქალარა იმ დღესაც ცისფრად ბრწყინავდა...

მოზიდავე მერცხალი



მირიან ცალქალამანიძე

„არასვეულებრივი სისწრაფე. თეო-
მყოფალი ტექნიკა, თამაში იმპროვიზა-
ცია, საოცარი სიმტკიცე, შეტევის საყ-
ვირველი გრძნობა — ყოველივე ეს აჩვენს
მირიან ცალქალამანიძეს. რა თატატუ-
რად ქიდაობდა იგი დგომში!..“

ალი ალიევი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
სუთუხის მსოფლო ჩემპიონი

ქ. მახაჩყალა

არიან სპორტში საოცარი ზედის ადამიანები, ისინი ვარსკვლავე-
ბივით ინთებიან ცის კაბადონზე. ზოგნი დიდხანს ანათებენ. ზოგნი
სწრაფად იწვიან. მაგრამ ერთნიც და მეორენიც სამარადისოდ რჩე-
ბიან მესსიერებაში, რადგან ნათელი ალით კიაფობდნენ და საყუთა-
რი ცეცხლით ბრწყინავდნენ!..

ასეთი იყო მირიან ცალქალამანიძის ბედი. 1954 წელს გახდა სსრ
კავშირის ჩემპიონი, 1957 წელს წავიდა სპორტიდან. სულ ოთხი წე-
ლი. სამაგიეროდ, რა ოთხი წელი!..

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მას არ დაუჯერა მწვრთნელმა. გა-
მოცდილმა, საქმეში ჩახედულმა ადამიანმა — ლევ კაპიტანოვმა. კაც-
მა რომ თქვას, თავდაპირველად არაფერი არ იყო საეჭვო: მოვიდა

ახალბედა. მოიტანა სტანდარტული სამედიცინო მოწმობა, გაახდელ-
ში გაგზავნეს ტანსაცმლის გამოსაცვლელად. დარბაზში შემოსულს
შავი გრძელი ტრუსები ეცვა, წინდებზე აქიმები ჰქონდა. რა არის
აქ უჩვეულო? და აი ერთი საათის შემდეგ ამ „გლეხმა“ ნაცად
მწვრთნელს „ერთი ძალიან კარგი“ ხერხი აჩვენა, შემდეგ კი სპარინ-
გში მოგვერდით სამჯერ წააქცია პირველთანრიგოსანი, რომელსაც
სირცხვილით თავგზა აებნა. მწვრთნელი უფრო გაბრაზდა, ვიდრე
გაოცდა.

— რატომ არ მითხარი?.. ვისთან ვარჯიშობ? სიმართლე თქვი! —
მრისხანედ ჰკითხა კაპიტანოვმა.

— არავისთან არ მივარჯიშია! — კატეგორიულად უარყო ბრალ-
დება მირიანმა. იგი დაიბნა, რუსულად იმაზე უარესად ლაპარაკობ-
და, ვიდრე შეეძლო, მაგრამ ღირსების შენარჩუნებას ცდილობდა! —
არ იცოდა, თავი როგორ ემართლა..

ახლა უკვე კაპიტანოვი დაიბნა და საქციელწამხდარმა მამაშვილუ-
რად მიმართა:

— მითხარი, ვისთან ვარჯიშობდი ან ვარჯიშობ, რამდენი ხანია
თავისუფალ ჭიდაობას მრადევ?.. ეს ხომ უნდა ვიცოდე!

ამ კითხვებმა ისე გააკვირვა მირიანი, რომ უცებ ვერ მოიფიქრა.
რა ეპასუხა. ალაღად გულზე ხელი დაიდო და უთხრა: — პატრიცემუ-
ლო მწვრთნელო, მართალს გეუბნებით: თავისუფალ ჭიდაობაში ერ-
თი დღეც არ მივარჯიშია, მწვრთნელი არასოდეს მყოლია.

კაპიტანოვი ყურს აღარ უგდებდა. იგი მიხვდა, რომ ფეხბურთე-
ლის გრძელ ტრუსებში მასთან ტალანტი მივიდა, მიხვდა, რომ ასეთი
მონაცემების მოწაფე არასოდეს მყოლია.

— მწვრთნელში ბედმა გამიღიმა. ამას მხოლოდ ახლა მივხვდი.
როცა თვითონ გავკვლარაედი.—მირიან ცალქალამანიძემ შევერცხლილ
თმებზე გადაისვა ხელი.— ჩვენ მხოლოდ ერთხელ მოგვიხდა ხმა-
მალალი ლაპარაკი, პირველ დღეს. კაპიტანოვი არასოდეს არ მატან-
და ძალას, არავითარ გამარჯვებებს არ მოითხოვდა. მხოლოდ მამეცა-
დინებდა იმდენს, რამდენიც შემიძლო. ეს არის და ეს.

იგი დიდხანს მუშაობდა მწვრთნელად. პირველი მოწაფეები უკვე
1931 წელს ჰყავდა. მე მასთან 1951 წელს მივედი. კაპიტანოვი მაჩ-
ვენებდა ილეთებს ჩოქბჯენში. გატაცებით დაეწყოთ ჭიდაობა.
მწვრთნელი, რა თქმა უნდა, ჩემზე მალე იღლებოდა. იგი 42 წლის
იყო და ამბობდა: „მე და შენ, მირიან, ღრმად მოხუცები ვართ...“

სპორტული თვალსაზრისით ცალქალამანიძე გაცილებით უფროსი
იყო თავის მასწავლებელზე. ორმოცი წლის მწვრთნელი ხომ შუა-
დღეა, 24 წლის მოწაფე-მოქიდავე კი არა მარტო მწუხრი, არამედ..

შანამ საფინი 20 წლისა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მირიან ცალქალამანიძე კი ოცდაოთხისა მხოლოდ იწყებდა.

კაპიტანოვმა, ცხადია, იცოდა, რომ მირიანს მაინცდამაინც დიდი პერსპექტივები არ გააჩნდა. წლებს თავისი გააქვს. მაგრამ იგი მუშაობდა და მუშაობდა. უიშვებობას არასოდეს მისცემია.

მართალია, ცალქალამანიძის ბიოგრაფიაში იყო პერიოდი, როცა იწვრთნელს სასოწარკვეთის საფუძველიც ჰქონდა: ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მირიანმა მუშაობა ქარხანაში დაიწყო და წვრთნაზე სიარული მიატოვა. კაპიტანოვმა მოინახულა ქარხნის დირექტორი.

— თქვენ ლუპავთ ნიჭიერ მოჭიდავეს!

— რა უნდა გავაყეთო, რომ ვინსა იგი? — ჰკითხა დირექტორმა.

— კვირაში სამჯერ გაათავისუფლოთ სამუშაოდან, სამ საათზე...

დირექტორმა გამოიძახა საამქროს უფროსი და უთხრა: „კვირაში სამჯერ სამ საათზე ცალქალამანიძის ჰაქანება არ იყოს ქარხანაში!“

— კაპიტანოვი „შრომით რეზერვებში“ მუშაობდა. — იხსენებს ოლიმპიური ჩემპიონი. — ღარიბი, უჩინარი იყო მაშინ ეს საზოგადოება. ნებისმიერ შეჯიბრებაზე ჰარბობდნენ დინამოელები, ბლომად იყვნენ სპორტაკელებიცა და არმიელებიც. „ბურევესტნიკი“ ორმოცდაათიან წლებში ძლიერ ორგანიზაციად ითვლებოდა მე კი ყოველთვის ერთადერთს მიხედვოდა გამოსვლა. როგორც წესი, ჩვენი საზოგადოებიდან არც ერთი მსაჯი არ ერია. მოჭიდავეები სხვა ორგანიზაციებიდან ერთმანეთს ასე თუ ისე ესმარებოდნენ, მე კი არავისი იმედი. არ უნდა მქონოდა. ზოგჯერ არამზადებსაც გადაეყრებოდი ხოლმე. ვადმოდი ჩვენიანო, მეუბნებოდნენ, შეელიე შენს კაპიტანოვს, ჩაგამეავებს, ჩვენი საზოგადოება უფრო მდიდარია... არაფერი გამოუვიდათ. „შრომით რეზერვებში“ დავიწყე, იქვე დავამთავრე. მასწავლებლებიც ერთი მყავდა — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი — ლევ კაპიტანოვი...

ცალქალამანიძემ სრულიად არ იცოდა, დგომიდან ფეხებში როგორ სწვდომოდა მეტოქეს. ამისთვის სულ ცოტა ტანის წახრაა საჭირო, ასე ხომ უფრო ადვილია ჩაყვინთვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მირიანმა საერთოდ ვერ გაიგო და არც ძალიან სურდა გაეგო, როგორ ეჭიდავა დახრილს. ასე ხომ სარმა, გარე ან შუაკაური და მით უმეტეს შემოვლება შეუძლებელია, დგომში გამართული ხარ, მეტოქეს ემუქრები მთელი ტანით, მკერდითაც, მხრებითაც, ხელ-ფეხითაც. მან არ უნდა იცოდეს, საიდან მოვა საფრთხე. ხოლო თუ მის წინაშე მოიხრები, მოიკუნტები, ბავშვიც მიგიხვდება, რომ ფეხებში გინდა მისწვდე. თავისუფალი ჰილაობის თანამედროვე ტექნიკა საშუალებას იძლევა შევედართ ცალქალამანიძეს. მაგრამ ეს დღეს.

ემ ხანებში კი მირიანი ყველა დავას იგებდა და ამას აკეთებდა სულ უბრალოდ: იმარჯვებდა ხალიჩაზე. რაც შეეხება მის ფეხებს, მეტოქენი ვერ იჭერდნენ. ესეთი ოსტატიც კი, როგორც გიორგი საიდლოვი იყო, ამას იშვიათად ასერხებდა. რატომ?

ცალქალამანიძეს ფენომენალური რეაქცია ჰქონდა. ადვილად ასწრებდა მეტოქეებს. მაგრამ შეიძლება თუ არა მხოლოდ ამით აიხსნას მისი „ხელშეუხებლობა“ და ის გასაოცარი სიმტკიცე, რომელსაც იგი ურთულეს სიტუაციებშიც არ კარგავდა. ვფიქრობ, არ შეიძლება. სისწრაფე ხომ ბუნებრივი, მე ვიტყვოდი, არაორგანიზებული თვისებაა. ტექნიკა კი ოსტატობაა. იგი უნდა გამოუმუშავებულიყო მაღალი სიჩქარეების წინააღმდეგ. მოეთოკა ისინი. მაშ რატომ ვერ იმუშავენდნენ ამას ცალქალამანიძის წინააღმდეგ, რატომ ვერ თოკავდნენ?

იმიტომ, რომ ცალქალამანიძე თვითონ ფლობდა თავისი ფეხების დაცვის ტექნიკას. თვითმყოფად ხალხურ ტექნიკას, რომელიც ბავშვობაში აითვისა.

ალბათ, ყველას გასსოვთ „ლახტი“. წრეში ჩადგება, ვთქვათ ხუთი ბიჭი, თითოეულს ფეხებთან ქამარი უდევს, ხუთი მეტოქე ცდრობს ამ ქამრების მოტაცებას. რისთვის? იმისთვის, რომ შემდეგ ფეხებში ურტყან წრეში მდგომებს.

„ქარგი თამაშშიც ეგ ყოფილა, ეგ ხომ ცემა! ბარბაროსობა!“ ცდებით, ეს თამაშია — კვიციანური, მარჯვე და, როგორც ახლა დარწმუნდებით. მეტად სასარგებლო. საქმე ის არის, რომ წრეში მდგომნი უმწეონი არ არიან. მათ უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ქამრები, მაგრამ მხოლოდ ფეხებით. ერთი წამითაც რომ შეეხონ თავდამსხმელის ფეხებს, უკვე ის დგება წრეში. ხოლო თუ არა მართა შეეხნენ, არამედ კარვადაც გამოსდეს სარმა ისე, რომ თავდამსხმელი წაიქცა, — გულშემატკივარნი ტაშითაც აჩილდოებენ. თუ წრეში მდგომი ვერ არის იმდენად მოქნილი, რომ დაიცვას თავისი ქამარი. მაშინ რა ვუყოთ? მერე რა, ეს ხომ თამაშია. დაე ახლა თავისი მოქნილობა სხვებმა აჩვენონ და აიცილონ საკმაოდ სუსხიანი დარტყმები. ვახტნენ უკან. ახტნენ მაღლა, რათა ქამრები აიცილინონ: ეცადონ იმათაც, რომ დადგნენ ცალ ფეხზე და მეორე ფეხი მოწინააღმდეგეს გამოსდონ.

ერთი სიტყვით: ნეტავ ყველამ იცოდეს ლახტის თამაში ისე, როგორც იცოდა თელავის რაიონის სოფელ კონდოლის ჩემპიონმა მირიან ცალქალამანიძემ. იგი ლახტს შესანიშნავად თამაშობდა. თავდამსხმელებს წარამარა მიწაზე ანარცხებდა. მირიანის ქამარს საათობით ვერავინ ეხებოდა. საკვირველია, საიდან ჰქონდა მას ეს სიმტკიცე, რეაქცია და ბევრი სხვა რამ, რაც აგრერივად გვაოცებდა? სულელური ხალხური თამაში არ არსებობს. ადამიანები მათ იგონებდნენ და ხვეწდნენ საუკუნეების განმავლობაში..

შეგიძლიათ თქვათ: კი მაგრამ, კაპიტანოვთან ხომ ლახტის მოთამაშე არ მისულა? საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ მწერთნელმა მაშინვე დაინახა მასში მოჭიდავე. დიახ, ეს ასეა. დაინახა და საგანგებოდ დაადგა თვალი. მაგრამ მანამდე... პატარა მირიანს ძალიან უყვარდა თავისი ბიძა შალიკო რჩეულიშვილი — თელავის რაიონში კიდაობის კარგი მცოდნე, ძლიერი, კეთილი და ლაღი ადამიანი. ბიძა დისწულს კიდაობის ხელოვნებას ასწავლიდა და თან არიგებდა: იცოდე, მირიან, კაცი ძლიერი, მოხერხებული უნდა იყოს, არავის დაეჩაგვრინო. მოდი დღეს მოვევრდს გასწავლი. მირიანს წერთნა მალე მობეზრდა. მას ელოდნენ მეგობრები, მას ელოდა ფეხბურთი. მაგრამ ბიძისთვის რომ არ ეწყენინებინა, იმიზეზებდა, ყველა გაკვეთილი არ მისწავლიათ. შალიკო ამაზე გაიცინებდა და ეტყოდა: „კარგი, კარგი, მოკურცხლე, ფეხბურთელო“.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს. შემდეგ უბედურება დაატყდა თავს. შალიკო რჩეულიშვილი ბანდიტებმა იმსხვერპლეს. ამ სიკვდილმა შეაძრწუნა მირიანი. ბიძის პატივსაცემად ისევ მიჰყო ხელი კიდაობას. ამხანაგები ვერ უძლებდნენ ასეთ ვარჯიშს და ნელ-ნელა შემოეცალნენ. იგი ახალ მეტოქეებს პოულობდა და წვრთნას განაგრძობდა. ფეხბურთი დაივიწყა. ფიზკულტურის მასწავლებელმა კიდაობაში თავის „თანაშემწედ“ დანიშნა. სკოლაში ეს არავის გაკვივრებია. მეშვიდეკლასელი მეათეკლასელებს ავარჯიშებდა. ასეც უნდა ყოფილიყო.

აი ასე იშვა მოჭიდავე მირიან ცალქალამანიძე. ნიჭი უწინარეს ყოვლისა შრომაა. ხოლო შრომისმოყვარეობისა და შეუპოვრობის სტიმულად შეიძლება დარდიც იქცეს. ამისათვის გული უნდა გულობდეს...

ცალქალამანიძე ვარჯიშობდა თავისუფალი კიდაობის ისეთ გამოჩენილ ოსტატებთან, როგორც ვადარშაკ მანკალიანი, დავით ციმაკურიძე, ვასო ილურიძე, შალვა ნოზაძე და სხვები იყვნენ. გამოცდილი ღალავნები შეელოდნენ მას, უზიარებდნენ ყველაფერს, რაც იცოდნენ. მირიანის ოსტატობა ზღაპრულად სწრაფად იზრდებოდა. თავისუფალ კიდაობაში პირველი წვრთნის სამი წლის შემდეგ ცალქალამანიძე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. აი როგორ მოხდა ეს.

ერთ-ერთი წინასწარი შეხვედრის დროს მირიანმა წააგო ბაჭოელ გიორგი საიადოვთან. საიადოვი თავის მხრივ დამარცხდა. მულმივ კონკურენტთან ჩვენი ქვეყნის პირველობების არაერთგზის პრიზიორთან, მეტად ტექნიკურ მინსკელ იგორ კარავაევთან. და აი შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელშიც ცალქალამანიძეზე ნებისმიერი გამარჯვება კარავაევს ჩემპიონად სდიდა. ხოლო თუ კარავაევი ქულებით წააგებდა, რასაც გულახდილად რომ ვთქვათ, არავინ ფიქრობდა, პირ-

ველ ადგილზე საიადოვი გადიოდა. ორივე შემთხვევაში მესამე ადგილი ცალქალამანიძისა იყო. ამის თაობაზე ხუმრობდნენ კიდეც: მირიანს თანამიმდევრობა უყვარსო. 1951 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატზე იგი მეექვსე იყო, 1952-ში — მეხუთე, 1953 წელს — მეოთხე, და აი ახლა, 1954-ში, მესამე იქნებაო. მართალია, იყო მესამე ვარიანტიც. კარავაევი წააგებდა ქართველ მოჭიდავესთან წმინდად და ჩემპიონი ცალქალამანიძე გახდებოდა. მაგრამ ეს ვარაუდი იმდენად არარეალური ჩანდა, რომ არავის განუხილავს. არავის, მირიანისა და ქართველი მწვრთნელების გარდა...

...მესამე წუთზე ცალქალამანიძემ ისეთი სისწრაფით ჩაატარა ილეთი, რომ კარავაევმა ვერც კი მოასწრო ხიდურზე გადასვლა. ეს იყო წმინდა გამარჯვება, რომელმაც მირიანი სსრ კავშირის ჩემპიონი გახადა.

— იცით, რატომ გაიმარჯვა მირიანმა ასე ლამაზად? — მკითხა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გურამ დათიაშვილმა. და თვითონვე მიპასუხა. — იგი არასოდეს არ ფიქრობდა შედეგზე, ზოგჯერ ამიტომაც აგებდა ხოლმე. მაგრამ წესს არ ღალატობდა. მათემატიკა არ უყვარდა — ქულებსაც ამიტომ არ ითვლიდა. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში სასტიკად გააფრთხილეს, რომ თურქ აკბასთან ფრთხილად ეჭიდავა. მწვრთნელებს შეჰპირდა კიდეც, მაგრამ მთელი ზრძოლა რისკიანად ჩაატარა და ანგარიში 6 : 2-მდე აიყვანა. მაგრამ მეტი მოინდომა და მორიგი ილეთის დროს თვითონ შეეხო ბეჭეებით ხალიჩას. აკბასი იმ წელს ჩემპიონი გახდა, ცალქალამანიძე კი მესამე ადგილზე გავიდა. მეტი შეეძლო, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს უკვე ცალქალამანიძე აღარ იქნებოდა (1957 წელს მსოფლიო პირველობაზე მან „ვერცხლი“ მოიპოვა).

— სამჯერ შევხვდი აკბასს. სამჯერვე წინ ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ვმარცხდებოდი. — მირიანმა ღიმილით შემომხედა. — სიმართლე უნდა ითქვას: ის მჯობნიდა, ჭიდაობა უკეთესი იცოდა.

წამიკითხავს, თითქოს აკბასი თავის ავადმყოფ, გამხმარ ფეხს წინ მოსატყუებლად დგამდაო. სისულელეა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ სუსტი ფეხი ჰქონდა, ვერ ეყრდნობოდა მას. მე თუ მკითხავთ, აქ სიმართლე ის არის მხოლოდ, რომ დიდმა მოჭიდავემ დასძლია ხეიბრობას და ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ჰუსეინ აკბასი ამ შემთხვევაში მართლაც გმირი იყო.

მართალია ისიც, რომ მირიან ცალქალამანიძე პატიოსანი და გულმართალი კაცია. მეტოქეს ასეთ შეფასებას იშვიათად აძლევენ ხოლმე.

ერთხელ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძალოსნობაში თვედორე ბოვდანოვსკიმ მირიან ცალქალამანიძეს ხუმრობით უთხრა:

— რა ოლიმპიური ჩემპიონი შენა მყავსარ? ბარტყო, ცალი ხელით დაგაწვენ!

ცალქალამანიძემ მშვიდად მოისმინა ეს „მიწვევა“, გაიღიმა და ჰკითხა:

— ფედია, რა უკეთ იცი, კიდაობა თუ სიმძიმეების აწვევა?

შეკითხვით გაოცებულმა ბოგდანოვსკიმ უპასუხა:

— რა თქმა უნდა, შტანგას უკეთესად ვწევ, მაგრამ შენ კიდაობაშიც გაჯობებ...

— ძალიან კარგი! — ტაში შემოჰკრა ცალქალამანიძემ. — გეთანხმები და გთავაზობ ასეთ პირობებს: „თუ სამ ცდაში მიწას თუნდაც ერთი სანტიმეტრით მომწყვეტ, გამარჯვება შენია! თუ ვერ მომწყვეტ, — შე გამიმარჯვია. შემდეგ კი, თუ მოისურვებ, მართლაც ვიჭიდაოთ. თანახმა ხარ?

— ვარ, — უპასუხა ბოგდანოვსკიმ და მირიანს ისე შეხედა, როგორც ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოსულს. — ცალი ხელით აი იმ ხეზე შეგაგდებ.

რა თქმა უნდა, ცალქალამანიძე რისკზე მიდიოდა. მსოფლიო რეკორდსმენმა მელბურნის ოლიმპიადაზე სამკვიდში 420 კილოგრამი ასწია, ესე იგი შვიდი მირიანის წონა. თანაც მაშინ ბოგდანოვსკი სულ ცოტა ოთხმოც კილოგრამს იწონიდა. საკითხავია, რისი იმედი უნდა ჰქონოდა მოჭიდავეს? რა თქმა უნდა, გამჭირაზობისა და ოსტატობის.

ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, „მსაჯამ“ ტაში შემოჰკრა და ბრძოლაც დაიწყო. ბოგდანოვსკიმ გადაწყვიტა, როგორც დათვს, თათებში მოეგლო მეტოქე, მაგრამ ის... გაქრა, თედორემ იგი თავის ლაჯებშუა იპოვა. მოჭიდავე წყნარად იჯდა იქ; ბარძაყზე მაგრად შემოეხვია ხელები შტანგისტისათვის, ფეხები კი ბოგდანოვსკის მარჯვენა კოჭზე გადაეჯვარედინებინა. „მიდი, ამწიე!“ — დაუძახა მირიანმა. შტანგისტმა როგორც იქნა ხელი ჩასკიდა მოჭიდავეს და ზევით დაიწყო აწვევა. — ძვრა ვერ უყო მის ფეხებს ტკიპასავით მიკრული მირიანი მსოფლიოში ყველაზე მძიმე შტანგა აღმოჩნდა. სამჯერ დაძაბა ბოგდანოვსკიმ თავისი მართლაცდა გოლიათური ძალ-ღონე, მაგრამ ვერაფერს გახდა.

„კიდაობამ გამარჯვა შტანგაზე!“ — ყვიროდნენ მაყურებლები და ტაშს უკრავდნენ ცალქალამანიძეს. ხოლო იქვე იდგა სირცხვილით აპარხლებული ბოგდანოვსკი და არ იცოდა, რა ექნა. მირიანმა ყურადღებით შეხედა გუნებაწამხდარ გოლიათს და უთხრა: „საერთოდ ფედია, რა თქმა უნდა, შენ ჩემზე ღონიერი ხარ. მომეცი ხელი!“ ცალქალამანიძე დაჯდა შტანგისტის ხელისგულზე და მან მირიანის შეძახილზე რამდენჯერმე მსუბუქად ასწია. ახლა უკვე ილიმებოდნენ ორივენი — გამხდარი მოჭიდავე და ზორბა შტანგისტი.

რას მოწმობს ეს? მირიან ცალქალამანიძის სპორტულობას და, თუ გნებავთ, ქართულ ეროვნულ ხასიათს: სანაძლეო მოგებულება გამარჯვებული გარკვეულია. საჭიროა დამარცხებულის გამხსნეველად „მოჭიდავე-მერცხალი“ უწოდა ცალქალამანიძეს დავით ციმაკურიძემ. მან უფრო მეტიც თქვა: „ვფიქრობ, იგი მერცხალზე უსწრაფესიც იყო... ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი მარდი ადამიანი...“

აი ერთი, საერთოდ რომ ვთქვათ, სააკილო, მაგრამ ნამდვილი ამბავი: მოჭიდავეები ტბაზე ორი ნავით დატურავდნენ: ერთში ინტერნაციონალური ეკიპაჟი იყო — ოსები: ბორის კულაევი, სერგეი ძარასოვი და ქართველი ოთარ კანდელაკი, მეორეში კი წმინდა ეროვნული — მირიან ცალქალამანიძე, გიორგი სხირტლადე და ვახტანგ ბალაეაძე. ცნობილ ხუმარას ძარასოვს ბანაობა მოუხდა. მაგონებ მართოს რომ არ მოეწყინა, წყალში ჩახტა და ქართველების ნავი გადააბრუნა.

ბალაეაძე, რომელიც წყალში თევზივით გრძნობდა თავს და იცოდა სერგეის ოინბაზობა, მაშინვე ნაპირზე გავიდა. ძალზე ცუდად მოცურავე სხირტლადე გოლიათივით ჩაებლაუქა გადაბრუნებულ ნავს და გამსიარულებულ ძარასოვს მუშტი მოუღერა. თუ ჩემთან მოცურადი, აქვე გაათავებო. ცალქალამანიძე კი უჩუმრად იძირებოდა. მან სრულიად არ იცოდა ცურვა.

საესებით შესაძლებელია მირიანი ხმისამოუღებლად დამხრჩვალყო. მაგრამ... მხოლოდ მისთვის ცნობილი ხერხით უცბად მთლიანად ამოხტა წყლიდან, მიიხედ-მოიხედა და როცა დაინახა, ნაპირი სულ ხუთ მეტრზე იყო, სწრაფად გაირბინა სამშვიდობოსაკენ. იკითხავთ, როგორ? სრულიად უბრალოდ: წყალზე გაირბინა! იტყვიან, ეს შეუძლებელიაო! გეთანხმებით, მაგრამ ყური დაეუგდოთ მომსწრე-მოწყეებს.

სსრ კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში სერგეი ძარასოვი: „ის ჩემ გვერდით იყო და უცებ გაქრა. ვიფიქრე, ფსკერისკენ წავიდა-მეთქი, და ჩავყვინთე... რას ვიფიქრებდი, რომ ცურვა არ იცოდა...“

მსოფლიო ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში ვახტანგ ბალაეაძე: „როცა მოვიხედე, მირიანი უკვე ნაპირზე იყო“.

სხვებზე უკეთესად ყველაფერი დაინახა მსოფლიო ჩემპიონმა საშუალო წონაში გიორგი სხირტლადემ (მას არსად გაუტურავს, მშვიდად ეჭირა ხელი გადმობრუნებულ ნავზე):

— მირიანმა წყალზე გაირბინა, ფეხები მხოლოდ კოჭებამდე ჰქონდა წყალში და ნაპირზე გაეარდა.

— გოგი, ჩვენ მოზრდილი ადამიანები ვართ! ხომ იცით, რომ ეს შეუძლებელია!

— ვიცი, — მითხრა მან გულწრფელად, თან ისეთი თვალებით

შემომხედა, რომ არ შეიძლებოდა არ დამეჯერებინა, — ეს დაუჯერებელია, მაგრამ საკუთარი თვალთ ვნახე. იგი გარბოდა... წყალზე გარბოდა...

— მირიან, მაინც რა მოხდა?..

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი... დავინახე, ძარასოვი ჩემკენ მოცურავდა; ვიფიქრე, დამახრჩობს-მეთქი; ისედაც ცუდ დღეში ვიყავი. იმის ხუმრობას თავი საღდა მქონდა. ცურვა არ ვიცოდი, დღესაც არ ვიცი. მაგრამ ნაპირზე აღმოჩნდი, ალბათ, შიშით ისე სწრაფად ვიქნევი ხელ-ფეხს, რომ გავიქეცი. ნაპირზე კი გავვარდი, კი არ გავცურე, გავვარდი... რაც გნებავთ, ის იფიქრეთ...

მან გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე, ჩვენი ქვეყნის ნაკრებში პირველი ნომერი იყო და... მეღბურნის ოლიმპიადაზე თვე-ნახევრით ადრე ლავიწი გაუტყდა.

საბოლოო შეკრებაზე ჩავედით ტაშკენტში და ეს მოხდა ჩემ თანამემამულე ზაურ მკედლიშვილთან პირველი ორთაბრძოლის დროს. თაბაშირით შემბორკეს, მაგრამ მაინც ყველაფერს ვაკეთებდო, სპორტული ფორმა რომ არ დამეკარგა: დავრბოდი, ვხუტანობდი, საღი ხელთ რეზინას ეკიმავედი, სხვადასხვა გდების იმიტაციას ვაკეთებდი...

და მაინც გუნდში ცალქალამანიძე ჩარიცხეს. რამდენადაც ჩვენი მწვრთნელები არააწორად, უსამართლოდ. წინდაუხედავად მოიქცნენ არსენ მეკოკიშვილის მიმართ, იმდენად სწორი, შორსმკვრეტელნი და გამბედავნი აღმოჩნდნენ, როცა არჩევანი ცალქალამანიძეზე შეაჩერეს. ნდობა ბევრს ავალებს ადამიანს. მირიანმა არ უმტყუნა თავის გუნდს... მან თუმცა წააგო (ქულებით) ისევე ჰუსეინ აკბასთან, მაგრამ ფინალში მაინც გავიდა იმავე აკბასთან და ირანელ მოპამედ ხოჯასტეპურთან. ეს უკანასკნელიც ძალიან ძლიერი მოჭიდავე იყო, რომელმაც თურქის დამარცხება შეძლო. ასლა ყველაფერი დამოკიდებული იყო მირიანისა და ირანელის ორთაბრძოლაზე. თითქმის მთლიანად განმეორდა სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონატის სურათი: თუ გაიმარჯვებდა ირანელი, იგი ჩემპიონი გახდებოდა, თუ ქულებით გაიმარჯვებდა საბჭოთა მოჭიდავე, ჩემპიონობა აკბასს დარჩებოდა; ცალქალამანიძეს პირველ ადგილზე გაიყვანდა მხოლოდ წმინდა გამარჯვება ხოჯასტეპურთან...

— არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ხოჯასტეპურის დამარცხებას. მას არაჩვეულებრივი ღონე ჰქონდა, — ხუმრობა ხომ არ არის — აკბასს მოუგო!.. მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ თავი უნდა გადამედო, უნდა მეჭიდავა ისე, როგორც ჩემ დღეში არ მიჭიდავია... ორთაბრძოლის წინ ფოიეში გავედი. მარტომ გავიარ-გამოვიარე. გამახსენდა ჩემი სახლი, გამახსენდა ჩემი უბედური შალიკო ძია, ასლაც მახსოვს მისი ღიმილი; გამახსენდა ჩემი მწვრთნელი კამბი-

ტანოვი, ჩვენი ბიჭები, რომლებიც მეხმარებოდნენ... რა თქმა უნდა, გამახსენდა ისიც, რომ ორმოცი დღე ლავიწის გადატეხვის გამო რიგიანად არ შევარჯიშა, მწვრთნელებმა კი გუნდში შემიყვანეს. სჯეროდათ ჩემი... და მეც ვავედი საქიდაოდ...

რა ბრძოლა იყო.. ვინც გაუძლებდა, ის გაიმარჯვებდა. არც სიფრთხილე, არც თავდაცვაზე ფიქრი. ორივე მეტოქე მხოლოდ გამარჯვებას ლამობდა.

წამშობის ისარი მესუთე წუთს მიუახლოვდა, მაგრამ ვერ მიაღწია. იგი საბჭოთა მოჭიდავის საყვარელმა ილეთმა შეაჩერა, სწრაფმა გდებამ, როგორც მერცხლის კამარამ. მოჰამედ ხოჯასტეპური ბეჭებზე დაეცა. XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი უმჩატეს წონაში გახდა საბჭოთა მოჭიდავე მირიან ცალქალამანიძე. მან ჩვენი გუნდიდან ერთადერთმა შეძლო ოქროს მედლის მოპოვება.

ქვემოთ ჯიც.რნაგზე მდღომმა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ შორიდან დაუძახა:

— გადმოფრინდი, არწივო!

რადის იყო, რომ ოლიმპიელებს ასეთი სიტყვების გამეორება დასჭირვებიათ? მირიანი გამოქანდა და გადმოხტა ფიცარნაგიდან, უფრო სწორად, გაფრინდა, როგორც ნამდვილი არწივი, როგორც განუყოფელი მოჭიდავე-მერცხალი და მკლავებში ჩაუვარდა დავით ციმაკურიძეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა არ შეარცხვინა ოლიმპიური ჩემპიონი. ასეთები არიან ისინი, ეს ჩემპიონები!

სათნო სულის კატრონი იყო



ავთანდილ ქორიძე

„მას კიდაობის უტუჟარი ალლო ჰქონდა. საშობროებას, წინასწარ ხედავდა... ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცო. 1955 წელს ავთანდილ ქორიძეს სსრ კავშირის ჩემპიონატზე ვევიდავე და ორი ქულით წავაგე. დამიჯერეთ, ყველაფერი ვიღონე მოსაგებად, მაგრამ ვერ შევექელი...“

იაკობ პუნჯინი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ოლიმპიური ჩემპიონი

ქ. ზაპოროჟიე

მოდით ჩვენი თხოვნა ავთანდილ ქორიძეზე დავაწყეთ იმ ორთა-პრობლემით, რამელიც მან იაკობ პუნჯინს მოუგო. საქმე ის არის, რომ „ცოცხალი ელვა“, როგორც პუნჯინს უწოდებდნენ თავისი ოსტატობის გაფურჩქვნის ხანაში, ირველივ ყველაფერს „ანადგურებდა“. პუნჯინი იშვიათად აგებდა. მას დაუმარცხებია საჭიდაო ხალიჩის ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ ლეონიდ ეგოროვი, არამ იალტირიანი, გრიგორი გამარნიკი და ბევრი, ბევრი სხვა. აგებდა კი ერთეულლებთან...

პუნჯინს ფენომენალური რეაქცია ჰქონდა. დგომში მისი დაჯახნა სრულიად შეუძლებელი იყო. ჩოქბჯენი კი არ უყვარდა. იგი მეტოქეს საშუალებას აძლევდა ნებისმიერი ჩავლება განხორციელებინა

დგომში. ღაროცა აღარავის ეპარებოდა ექვი, რომ პუნკინს ხალიჩიდან მოწყვეტდნენ. თვითონ უკეთებდა მეტოქეს ამას. სხვანაირად არც შემძლებოდა. პუნკინი საოცრად სწრაფი მოქიდავე იყო.

ავთანდილ ქორიძე კი ხალიჩიდან ვერ მოსწყვეტა. ახალგაზრდა ქართველი მოქიდავის გამარჯვება მთავარი სენსაცია იყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე. რომელიც სარატოვში გაიმართა. ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. გულშემატკოვრებს კი დღესაც ახსოვთ ის ორთაბრძოლა. იმ დროისათვის პუნკინი უკვე იყო ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი და პელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ქორიძე კი ვინ იყო? არავინ. მხოლოდ ოცი წლისა და ამასთანავე სულ ოთხი წელი იყო. რაც კლასიკურ ჭიდაობაში ვარჯიშობდა პეტრე იორდანიშვილის ხელმძღვანელობით. უბრალოდ ჯერ ვერც მოასწრო რაიმე წარმატების მოპოვება.

ქორიძეს არ გააჩნდა არაერთარი სპორტული ტრეტული, მაგრამ ის, რასაც მოქიდავე ჰქვია, ნამდვილად იყო და თანაც ძალიან ძლიერი მოქიდავე. — იგონებს იაკობ პუნკინი. — ჩემდა სამწუხაროდ, ამას მაშინვე ვერ მივხვდი... რამდენიმე წუთს ჩავლებისათვის ვიბრძოდით. იგი ძალიან ჰქვიანურად მიმკლავდებოდა: უკან კი არ იხევდა, ხალიჩიდან კი არ გარბოდა, არამედ ეუქაცურად შემება. მსაჯები მას ვერაფერში დაადანაშაულებდნენ. ეერა და ვერ მოვიგდე ხელთ. ჩაუვლებლად კი რას წავაქევედი... გავნერვიულდი. გაგიკათ: მე, ოლიმპიური ჩემპიონი, ვერას გავხდი ახალბედასთან, დავიწყე ქალაქური შეტევები. იგი გაბედულად იცავდა თავს. გახნეკვით გდებაც კი დამიპირა, მაგრამ ხალიჩის გარეთ მოვასწარი ვასვლა. ერთი სიტყვით, დგომში ვერაფერი დავაყელი.

ჩოქბაგენში ქვემოდან პირველი ის ჭიდაობდა. აქაც ვერაფერი გავაწყე: ვერც „ტრიალით“, ვერც ჩემი „უკუგასაღებით“. ქორიძეს რკინის მკლავები ჰქონდა. სულ მოძრაობაში იყო და უბრალოდ ვერ შეგარჩიე მომენტი გადამწყვეტი იერიშისათვის.

ხოლო როცა მე დაუდექი ჩოქბაგენში, მან მაშინვე იპოვა ხელსაყრელი მომენტი... წელში რომ შემვიარდა, ვიფიქრე: იჭახარე, რას დამაკლებ-მეთქი, იალტირიანმაც კი ვერ დამატრიალა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას მაშინვე არ უცდია ჩემი დატრიალება. ეს კი იყო, ადვილად მომწყვიტა ტრიალით ხალიჩას (რომ იცოდეთ, ეს ჩემთან ყველას როდი გამოუდიოდა და მივხვდი: ამ ქართველ ყმაწვილს რკინასავით წელი ჰქონდა) ისე, რომ არც წელში გასწორებულა, არც ზევით ავუწევივარ, შემდეგ კი კიდევ უფრო მოიხარა და გდება შეასრულა — დამატრიალა, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, შეასრულა გდება ტრიალით. მსაჯებმა მას სამართლიანად მისცეს ორი ქულა.

მეტი ილეთი მას აღარ ჩაუტარებია. ძალები შემოინახა. იცოდა,

რომ დღომში ყოველ ღონეს ვიხმარდი — პუნჯინი იცინის — ასეც მოხდა მე მას მთელი ძალები შევალე, მან კი შემოინახა. ვერ მოვერეო. იგი ჩემზე ჭკვიანი გამოდგა. მან თავისი გეგმა შეასრულა. მე კი აღარ დამანება...

პუნჯინმა ხელები გაშალა, ჩაიცინა და გაჩუმდა. იჭდა და ტოკ-კ-და, იმტვრევდა თხელ თითებს, რომლებიც სულ არ ჰგავდა მოქიდავისას. უცებ სხაპასხუპით ალაპარაკდა:

— მაშინ ქორიძის წყალობით მეხუთედ გავხდი ჩენი ქვეყნის ჩემპიონი. მასთან წაგების შემდეგ გახელებულმა ყველა დანარჩენი მეტრიქე დავამარცხე. მან კი ჩემზე გამარჯვებით, როგორც იტყვიან, „სხეების ყურადღება“ მიიპყრო, გამოცდილი მოქიდავეები შეცდომებს აღარ იმეორებდნენ და გაუსწრეს მას; სამეულში ვერ მოხვდა. უბრალოდ გამოცდილება არ იყო... მაშინ კი ვუთხარი სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებს, ეს ყმაწვილი შორს წავა-მეთქი. მგონი არ შევემცდარავარ: რომის ოლიმპიადა ხომ ბრწყინვალედ მოიგო!..

რატომ დავუთმე ამდენი ადგილი იაკობ პუნჯინზე ავთანდილ ქორიძის გამარჯვებას? იმიტომ, რომ ამ სტრიქონების ავტორი დარწმუნებულია: განატყნული ათლეტების ბიოგრაფიები შედგება გამარჯვებებისა და დამარცხებებისაგან, ისევე როგორც დიდი ექიმების ბიოგრაფიები იმ ადამიანთა ავადმყოფების ისტორიებისაგან დგება, რომლებიც მათ გადაარჩინეს, ან რომლებსაც ვერ უშველეს. ქორიძეს ბევრი ბრწყინვალე წარმატება ჰქონდა, მაგრამ პუნჯინთან მოგება არა მარტო ბრწყინვალე, არამედ საპროგრამოც იყო. ამ გამარჯვების შემდეგ ავთანდილ ქორიძეზე მთელი ქვეყანა ალაპარაკდა.

თვითონ ავთანდილი კი არ შეცვლილა. დარჩა ისეთივე თავმდაბალი, კეთილმოსურნე, სიტყვაძუნწი ყმაწვილი. საოცარია: ვისთანაც არ უნდა მქონოდა ლაპარაკი ავთანდილზე, ყველა ერთხმად აცხადებდა, მეტად-სათნო ადამიანი იყო.

ლ ა რ ი ს ა ბ ე რ ი ე ვ ა — ჩვენ ქვეყანაში ერთადერთი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ქალი ჰიდაობაში. დაახლოებით ორმოცი წელია მუშაობს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრაზე. ამჟამად კათედრის მეთოდურ კაბინეტის გამგეა. ერთხელ ლარისამ მი-თხრა:

— ომის შემდგომი თაობის ყველა ქართველი მოქიდავე ჩემი ძმები, შვილები და ახლა უკვე ალბათ შემიძლია ვთქვა, შვილიშვილებიც არიან. მათ შორის ყველაზე კეთილი ავთანდილ ქორიძე იყო, სათნო სულის პატრონი... ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა შეეძლო ვინმეს დახმარებოდა. ხშირად ვიგონებ მას და ვტირი... როგორ უყვარდა სიცოცხლე და რა ადრე წავიდა...

გ ი ვ ო ქ ა რ ტ ო ხ ი ა: „ავთანდილი ბავშვობიდანვე მიეჩნია

სხვებზე ზრუნვას. თავის სამ დაზე ყოველთვის ფიქრობდა, რჩევას ეკითხებოდა მეგობრებს, რა საჩუქრები ეყიდა მათთვის... გულუხვი იყო. ლუქმაპურს გაუყოფდა ამხანაგს. ძალიან უჭირდა საჭიდაოდ განწყობა. კეთილი იყო და ენანებოდა მეტოქე, არ ემეტებოდა... ამიტომ ერთხელაც ვერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. როცა გაცხარდებოდა. მისი შომეები არავინ იყო, მაგრამ ძალიან იშვიათად ცხარდებოდა. კეთილი იყო“.

მერაბ ლუღუშაური, სსრ კავშირის ჩემპიონი: „ქორიძე უმაღლესი კლასის მოქიდავე იყო! გამოიყოფოდა ისეთი გიგანტების ფონზე, როგორებიც იყვნენ პუნკინი, ვასინი, როსინი, კორშუნოვი, როდინი — ეს კი მხოლოდ ძალიან დიდ ოატატს შეეძლო...“

რამდენ სიკეთეს იტევდა მისი გული, რამდენა ზრუნავდა ამხანაგებისათვის. ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი გახლდათ და მეურვეობას მიწევდა, როგორც ახალგაზრდა მოქიდავეს.

ერთხელ მოსკოვში ვიყავით შეკრებაზე. შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე რამდენიმე ახალგაზრდა შინ გაგვიშვეს, რადგანაც სპარინგ-პარტნიორების როლი უკვე შესრულებული გქონდა. მხოლოდ შეჯიბრების მონაწილენი უნდა დაეტოვებინათ. ძალიან გეწყდებოდა გული. გვინდოდა გვენახა შეჯიბრება! ქორიძე მიგვიხვდა და „არალეგალურად“ თავის ოთახში დაგვტოვა. იატაკზე გაშლილ ერთ ლეიბზე სამნი ვიძინებდით: ავთანდილი, ჭემალ შენგელია და მე. ქორიძე თავის საკმელს გვინაწილებდა. გვეუბნებოდა, მე წონაში მაქვს დასაკლები და თქვენ ამაში მეხმარებითო...“

როცა სსრ კავშირის ჩემპიონი გავხდი, ავთანდილი ისე ხარობდა, გეგონებოდა, თვითონ მოეგოს ოქროს მედალი...“

რომის ოლიმპიური თამაშების წინ ქორიძემ რამდენჯერმე დაიკავა სპარინგო ადგილი სსრ კავშირის ჩემპიონატებში. ჩერდებოდა იქ, სადაც ოქროს მედლის მოპოვებას თითქმის ალარაფერი უკლდა. მაგრამ ოლიმპიური ნაკრების პირველ ნომრად მაინც მას ასახელებდნენ. რატომ?

მერაბ ლუღუშაურის აზრით, მწვრთნელთა საბჭო სავსებით მართალი იყო: „ქორიძე როგორც მოქიდავე სხვებზე ფიცხი, შინაარსიანი იყო. მისი სიღრმე მწვრთნელებს არ შეიძლება არ ეგრძნოთ... მერე რა, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი არასოდეს ყოფილა? სამაგიეროდ მისი უფრო იღბლიანი კონკურენტები არასოდეს ყოფილან მსოფლიო ჩემპიონები. ის კი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა და მსოფლიო ჩემპიონიც... ანგარიში აშკარად მის სასარგებლოდა!“

მაშ ასე, რომი, XVII ოლიმპიური თამაშები. ექვსჯერ გამოვიდა ხალიჩაზე საბჭოთა მსუბუქი წონის მოქიდავე ავთანდილ ქორიძე. ხუ-

თი გამარჯვება, ერთი ფრე. მას არ უნდოდა ეს ფრე, მაგრამ ეს სურდა წინა ოლიმპიადის გამარჯვებულს ფინელ კიესტი ლეხტონენს. ხოლო თუ ლეხტონენს არ უნდოდა ჭიდაობა, მას ვერაინ „აიყოლებდა“. თუმცა, ეს ფრე ძვირად უღირდა ოლიმპიურ ჩემპიონს. მეტად დიდი ძალები შეაღია ქორიძის იერაშებს. ლეხტონენი ვერ მოხვდა პრიზიორთა სამეულში.

ქორიძე კი ფინალში გავიდა. ბეჭებზე დადო ბულგარელი დიმიტრი სტოიანოვი და გამოცდილ იუგოსლავიელ ბრანკო მარტინოვიჩთან გადაწყვეტი ორთაბრძოლისათვის ემზადებოდა...

სპორტის დამსახურებული ოსტატი როსტომ აბაშიძე: „რომში მე სათადარიგო ვიყავი. ვცდილობდი არ მოვშორებოდი ქორიძეს. იგი ძალიან დამაჯერებლად და ლამაზად ჭიდაობდა. ისეთ გდებებს ასრულებდა, რომ იტალიელებმა მისი ძნელად წარმოშაბქმელი გვარი ისწავლეს და თავიანთ ყაიდაზე „ქორიძინად“ მონათლეს. როცა ავთო სტოიანოვთან ჭიდაობდა, უსიამოვნო ინციდენტი მოხდა: სტოიანოვი თუმცა ძლიერი მოჭიდავე იყო, მაგრამ ვერაფერი გააწყო მასთან. ქორიძე ყველაფერში სჯობნიდა. სტოიანოვი პანიკურად უტევდა, თითქოს დემონსტრაციულად იტყუებდა გდებაზე. ავთანდილსაც რა უნდა ექნა, ჭიდაობდა, იღეთებს ატარებდა და მაშინ. როცა ქორიძემ მეტოქე ბეჭებზე დასცა, ხალიჩის ხელმძღვანელმა ორთაბრძოლა ფიქტიურად მონათლა. ეს დიდი შეცდომა იყო! სტოიანოვს რომ გაემარჯვა. შეეძლო პირველი ადგილის პრეტენზია ჰქონოდა. ქორიძესთან შეხვედრამდე მან ხომ ყველა შეხვედრა მოიგო. რაღა ფიქტიურობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი?!

უსამართლობის, უსინდისო მსაჯის წინაშე უმწიობის გამო ავთანდილი ატირდა. იდგა ჩუმად თავის კუთხეში და ცრემლები სდიოდა. მაგრამ ამ შერკინების არბიტრი და გვერდითი მსაჯები პატიოსანი ადამიანები გამოდგნენ და არ დაეთანხმნენ ხალიჩის ხელმძღვანელს. იტალიელმა გულშემატკივრებმაც ისეთი ყვირილი მორთეს „ქორიძინის“ დასაცავად, რომ ხალიჩის ხელმძღვანელმა ვერ გაბედა თავისი აზრის გატანა. სამართლიანობამ გაიმარჯვა“.

ამ წიგნისათვის მასალების შეგროვებაში იმდენი დამეხმარნენ, რომ მათი რიცხვის ზუსტად დასახელება მიჭირს. თვითონ მოჭიდავენი, მწვრთნელები, სპორტის მუშაკები, ქართველი ბიჭები — კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. განსაკუთრებით ხელს მიწყობდნენ კოლეგა-აქურნალისტები; ჯიმშერ ენუქიძე, ნოდარ გუგუშვილი, არჩილ გოგელია და გარუნ აკოფოვი. ამ უკანასკნელს კი, რომელიც 36 წელია სათავეში უდგას „სოვეტსკი სპორტის“ ქართულ საკორესპონდენტო პუნქტს, შემოუნახავს 25 წლის წინანდელი ჩანაწერები. იგი ხომ რომში ოლიმპიური

ბატალიების მოწმეცა და მისი ჩანაწერები, ჩემი აზრით, მეტად საინტერესოა. სჯობს თავად შეაფასოთ...

„ოლიმპიური სოფელი დიდი შენობებისაგან შედგებოდა. მათი სართულების ათვლა მეორედან იწყებოდა. იქაურ სახლებს საერთოდ არ ჰქონიათ პირველი სართული. ყველა სახლი მაღალ ხიმინჯებზე იდგა. სწორედ ამ ხიმინჯებს შუა სივრცეში ითქვამდნენ სულს დასიცხული სპორტსმენები. კარტოზია, ქორიძე და მე სახლის ქვეშ ვისხედით და გადაცემას ტელევიზორში ვუყურებდით. მთელი დღე მოქიდავეებთან გავატარე“.

რად უნდა თქმა, ბედმა გაუღიმა აკოფოვს. იგი იმის მოწმე იყო, თუ როგორ ამზადებდა კარტოზია გადამწყვეტი ორთაბრძოლისათვის ავთანდილ ქორიძეს. იცოდა, რომ ოქროს მედლის მოპოვების საკუთარი შანსები მეტად პრობლემატური იყო და უფრო მეტს ავთანდილზე ფიქრობდა, ვიდრე საკუთარ თავზე.

— ეჭვი არ მეპარება, ჩემპიონი შენ გახდები, — თითქოს სხვათა შორის ეუბნებოდა ქორიძეს.

— რატომ ხარ ასე დარწმუნებული, — უკვირდა ქორიძეს. — გაზეთები წერენ, ოლიმპიადაზე სუსტები არ არიანო...

— სწორია, — კვერს უკრავდა კარტოზია, — მაგრამ ოლიმპიადაზე არიან უფრო ძლიერნიც. შენ მთელი თავით მათზე მაღლა ხარ.

— თანაც მთელი თავით? — დაეპყვდა ქორიძე, რომელსაც უფროსი ამხანაგის ასეთი შეფასება ესიამოვნა და ეხამუშა კიდევ.

— ჰო, მე შევეციდი, — დაეთანხმა კარტოზია და, როგორც შესანიშნავმა ფსიქოლოგმა, მცირე პაუზის შემდეგ დაძინა: „შენ მათზე ორი თავით მაღლა დგახარ!“

რით დამთავრდა ფსიქოთერაპიის ეს სეანსი, კარგად არის ცნობილი — ავთანდილ ქორიძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მეტოქეებმა ვერაფერი გააწყვეს მასთან, ანდა როგორ გაუმკლავდებოდნენ მას, ვისზედაც თვით კარტოზიამ თქვა, ყველაზე ძლიერიაო!

ოლიმპიურ რომში კიდევ ერთი საოცარი ამბავი მოხდა. სპორტის მოყვარულებს, ალბათ, კარგად ახსოვთ, მრავალრიცხოვანი პროვოკაციები იმის შესახებ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი სიმალღებზე ხტომაში ამერიკელი ზანგი ჯონ თომასი გახდებოდა. იმასაც წინასწარმეტყველებდნენ, რომ თუკი ვინმეს შეეძლო ჩარეულიყო ოქროს მედლისათვის ბრძოლაში, ეს იქნებოდა ახალგაზრდა საბჭოთა მხტომელი ვალერი ბრუმელი, რომელიც ძალიან სწრაფად მიიწვედა წინ. რობერტ შავლაყაძეს ჩემპიონობას არავინ უქადდა. რომის ოლიმპიადამდე იგი სსრ კავშირის ჩემპიონიც არ ყოფილა. იმ დღეს დილით, როცა ავთანდილ ქორიძის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, მას ოლიმპიურ სოფელში შავლაყაძე შეხვდა:

— როგორ არის საქმე, ავთანდილ? — ჰკითხა რობერტმა.

— აი, დღეს ფინალებია... შენ რას აპირებ?

— მეც შენ დღეში ვარ. არა უშავს. ლელოს გავიტანთ. — გაილიმა შავლაყაძემ. — შენ ხალიჩაზე მოიპოვე „ოქრო“, მე სიმალღეზე ვეცდები...

მოგეხსენებათ, რითი დამთავრდა ეს ცდები: რობერტ შავლაყაძე პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სიმალღეზე სტომში; ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ავთანდილ ქორიძეც...

რომს ორმოცგარდუსიან სიცხეში სული ეხუთებოდა. იქ კი, სადაც ოლიმპიური ხალიჩა გაშალეს, კიდევ უფრო ცხელოდა. მასენციო ბაზილიკას ანტიკური კედელი დაგროვილ მზის სიფიცხეს მაშინვე მოჭიდავეებს გადასცემდა. საკილაო მოედანი გავარვარებულ ტაფას მოგაგონებდათ. თუ ყოველივე ამას ფალავენების ვნებათა ღელვასაც დაუმატებთ, ადვილად წარმოიდგენთ ვითარებას, რომელშიც აღწერილი ამბები ხდებოდა.

ქორიძე — ბრანკო მარტინოვიჩი. მათ ორთაბრძოლა ჩაღლებისთანავე გდებით დაიწყეს. ილეთი ქორიძემ ჩაატარა, მარტინოვიჩი ხიდურზე აღმოჩნდა. რკინასავით ხიდური ჰქონდა. ბეჭებზე არ წაქცეულა. ქორიძეს ქულებით გამარჯვებაც ჰყოფნიდა. და მას, ამ გამარჯვებამ. განამტკიცებდა გდება უკუჩაღლებით, რამდენიმე ტრიალი, ხალიჩიდან მოწყვეტა და ქორიძის ცნობილი ნახევარსუბლექსი.

როცა გონვის ხმა გაისმა, მარტინოვიჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი რკინისებური ხიდის ძალა.

ჩემათელეთელი ქაბუკი ავთანდილ ქორიძე ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი გახდა. მის მეტოქეებს რევანშის შესაძლებლობა ჰქონდათ მომდევნო — 1961 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე იოკოჰამაში. მათ ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა. ბრანკო მარტინოვიჩი ისევ დამარცხდა ქორიძესთან. ავთანდილი მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და...“ ავთანდილ ქორიძის მეგობარი იყო რომან ძნელაძე. ბრწყინვალე ნიჭის მოჭიდავე. საქმისმცოდნეებს დღემდე ახსოვთ, რა დიდი უპირატესობით მოუგო როზანმა მეტოქეებს სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზე. ამ ოსტატის ტექნიკური აღჭურვილობა აბსოლუტური იყო. მასზე ამბობდნენ, საკმარისია მოწინააღმდეგის თითს ჩაეჭიდოს და გდებას განახორციელებსო.

როცა მეღბურნ-56-ის წინ სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს აკომპლექტებდნენ, მწვრთნელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ: ქვემსუბუქ წონაში ძნელაძე უნდა გამოსულიყო. რომანი ერთადერთი მოჭიდავე იყო, რომელმაც მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონ ფინელ ვაუნო. მიაკინენს.

დასანანი, რომ ამ მოგების მიუხედავად ძნელადეს ოქროს მედალი არ მიუღია. ერთი შეხვედრა წააგო და მესამე ადგილზე დარჩა.

და მაინც ქართველ მოჭიდავეს, რომან ძნელადეს, საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო სპორტის ისტორიაში. საპატიო იმიტომ, რომ ზოგიერთი დამარცხება ათლეტს გაცილებით ნათლად წარმოაჩენს, ვიდრე ზოგიერთი გამარჯვება...

უნგრელ მოჭიდავე იმრე პოიიაკთან ძნელადის საფინალო შეხვედრის წინ ასეთი სიტუაცია შეიქმნა: რომანმა ქულებით გაიმარჯვა მიაკინენზე. ასევე მიაკინენმა ქულებით მოუგო პოიიაკს. როგორც ჩვენი, ისე უცხოელი სპეციალისტების აზრით, ძნელადეს, რომელსაც ხელი ჰქონდა დაშავებული, უნდა წაეგო პოიიაკთან. ამ უკანასკნელს კი ბედი სწყალობდა და ტრავმებისაგან იფარავდა.

მაგრამ როგორ წააგებდა, ეს იყო საკითხავი. თუ რომანი წმინდად წააგებდა, პოიიაკი ხდებოდა ოქროს მედლის მფლობელი, რომანი კი — ვერცხლისა, რადგან მიაკინენთან საჯარიმო ქულების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში ფინალზე გამარჯვება ძნელადეს მეორე ადგილზე გაიყვანდა. აი როგორი მდგომარეობა შეიძლებოდა შექმნილიყო. მხედველობაში მიიღეთ, რომ მაშინდელი წესების თანახმად, წმინდა გამარჯვება გამოიხატებოდა თანაფარდობით 0:3, ხოლო ქულებით გამარჯვება — 1:3.

	1	2	3	ქულები	ადგილი
1. პოიიაკი		0	3	3	I
2. ძნელადე	3		1	4	II
3. მიაკინენი	1	3		4	III

იკითხავთ, რა მოხდებოდა, ძნელადეს რომ მოეგო? კარგი იქნებოდა: რომანი გადიოდა ჩემპიონად, მიაკინენს ერგებოდა „ვერცხლი“, პოიიაკს კი „ბრინჯაო“. გამოდის, რომ ფინელს „ოქრო“ სულაც არ უბრწყინავდა? დიახ, ასე გამოდის. თუმცა მაინც იყო ერთი „ფინური“ ვარიანტი. ეს ვარიანტი განხორციელდებოდა, თუ ძნელადე ქულებით წააგებდა, თუ იგი შეგნებულად უარს იტყოდა ვერცხლის მედალზე, მაშინ მიაკინენი ჩემპიონი ხდებოდა. სამივე მოჭიდავის საჯარიმოების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში ფინელის სასარგებლოდ ამოქმედდებოდა მთელი ტურნირის შედეგი. აი ნახეთ:

	1	2	3	ქულა	ადგილი
1. პოლიაკი		1	3	4	II
2. ძნელაძე	3		1	4	III
3. შიაკინენი	1	3		4	I

ეს თითქმის არავის სჯეროდა. მართლაც, რომელი ჰკუთმყოფელი იტყოდა უარს უფრო მაღალ ოლიმპიურ ჯილდოზე. მით უმეტეს, რომ მის მისაღებად ვარჯა არც იყო საჭირო, კმაროდა მხოლოდ შემთხვევით ბეჭებზე დაცემა. იმასაც ამბობდნენ, პოლიაკი და ძნელაძე — სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები — აუცილებლად შეთანხმდებიან და შიაკინენს მესამე ადგილზე დატოვებენო.

ერთი სიტყვით, ადამიანები ბევრ რამეს ლაპარაკობდნენ. ისინი ისე ვაიტაცა ამ ლაყბობამ, ისეთი ეკატრუკანული ნეტარებით მსჯელობდნენ ბაზრულ „ვარიანტებზე“, რომ დაავიწყდათ მთავარი: სპორტი. ღირსება. ჭიდაობა. რომან ძნელაძეს კი არ დავიწყებია. უფრო სწორად, ყოველივე ამაზე არც უფიქრია. იგი ფიქრობდა არა ხელსაყრელ მოგებაზე, არამედ გამარჯვებაზე. იგი იყო სპორტის ნამდვილი რაინდი, და ამიტომაც მძიმედ დაშავებული ხელით მხოლოდ ოქროს მედლისათვის იბრძოდა, მაგრამ ვერ მისწვდა ცალი ხელით.

ძნელაძემ ქულებით წაავი. რეალობად იქცა, ალბათ, ყველაზე არარეალური. ყველაზე დაუეჩრებელი „ფინური“ ვარიანტი. არა! ეს ჩვენი, საბჭოთა ვარიანტი! მე დაფინებით ვცავ ამ აზრს და ვფიქრობ, რომ ბევრნი დამეთანხმებიან. უწინარეს ყოვლისა კი, ფინელები.

კიდევ ერთი არაჩვეულებრივი შემთხვევა მსოფლიო სპორტის ისტორიაში: ოლიმპიურ ჩემპიონ რაუნო შიაკინენისათვის თავდაპირველად არ მიუღოცია არც ერთ თანამემამულეს. ვის ეცალა მისთვის! ყველა ფინელი — მწვრთნელი და მოჭიდავე — რომან ძნელაძეს მისცევდა. მათ პირდაპირ გამოვლიცეს ამხანაგებს ხელიდან, შეისვეს მხრებზე და აღფრთოვანებული შეძახილებით მოატარეს დარბაზში საბჭოთა მოჭიდავე. თავდაპირველი ფინელები იტალიური ექსპანსიურობით აღიღებდნენ რაინდობას, აღიღებდნენ ღირსებას, აღიღებდნენ პატიოსნებას. გატანჯული რომანი ნაღვლიანად ილიმებოდა და გულზე იღებდა დაშავებულ ხელს...

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი...“

რომან ძნელაძის მეგობარი იყო აეთანდილ ქორაძე. ისინი ერთად მდიოდნენ მანქანით და ავტოკატასტროფაში მოხვდნენ. დაიღუპა ორი დიდი მოჭიდავე. წყეული იყოს ის საშინელი დღე!

მის გამარჯვებათა ძროხიკა

„ჩვენ ერთხმად ავირჩიეთ იგი სსრ კავშირის ნაჰრების კაპიტნად. მისი ნებისმიერი მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდებოდა. რომანი ჩვენი გუნდის სინდისი, მისი ტრადიციებს მთავარი მცველი იყო.“

გამოდღელ მოქალაქეებს ბევრთ ვერაფრით გააკვირვებ, რომან რურუა კი ჩვენც გვაოცებდა მეტოქეებზე თავისი უპირატესობით. იგი ყოველთვის იმდენად ძლიერი იყო მათზე, გეგონებოდათ მძიმეწონისანა და „ბუზებს“ იგერიებდნო. ჩვენი კაპიტანი ნაჰრების ყველაზე საიმედო მოქიდავე იყო!“

ვიქტორ ივუმენოვი

სპორტის დამსახურებულ ოსტატს ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი.

ქ. მისკოვი.



რომან რურუა

რომან რურუაზე წერა ძნელია. იგი ვერ თავსდება ჩემთვის ცნობილ არც ერთ სქემაში, არღვევს მათ. რურუა — ადამიანი სქემების გარეშე დგას და ამიტომ მასზე წერა ძალიან ძნელია.

რურუა გულწრფელი კაცია. ისიც უნდა ითქვას, რომ ორმოც წელზე მეტი გალია და ვერ ისწავლა, რომ საგნებს თავისი სახელი არ უწოდოს. მას არც ვარდისფერი სათვალეებით ცქერა სჩვევია. ამიტომ ბიოლოგიურად ვერ იტანს ფრთიან სიტყვებს და ზიზილიპილა განსაზღვრებებს. მას ოც წელზე მეტი ხანია ვიცნობ. კიდაობაზე ბევრი გვილაპარაკია, მაგრამ რურუასაგან არ მსმენია გამოთქმები: „სპორტის რაინდი“. „კიდაობის რომანტიკოსი“, „გამარჯვებათა კონსტრუქტორი“ და ა. შ.

მწვრთნელები მუდამ აღფრთოვანებული იყვნენ სპორტისადმი რუ-რუას სერიოზული დამოკიდებულებით. ცხოვრებამ ასწავლა სერი-ოზულობა. როცა თექვსმეტი წლის ემაწვილი მარტო ცხოვრობს ქა-ლაქში, დიასახლისთან პატარა კუთხე აქვს მიჩენილი და თვითონ იხ-დის ქირას, სწავლობს მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში, დღი-სით კი ცეცხლფარეზად მუშაობს, თან ვარჯიშობს კიდევ კვირაში შვიდ დღეს (დღეში ორჯერ) — აქ სერიოზულობის გარეშე ვერაფერს გახ-დები (სხვათა შორის, დღეში ორჯერადი ვარჯიში რომანის შემოღე-ბულია. (რ ე დ.).

— მე რომ მშობლების კალთის ქვეშ მეცხოვრა ყოველდღიური უზრუნველი ცხოვრებით, იცით როგორი სპორტსმენი დავდგებოდი? განა კი ბევრი ფალავანი მისცა ასეთმა უზრუნველმა ოჯახებმა სამ-შობლოს?

მე მხოლოდ ერთ ასეთ ადამიანს ვიცნობ — შტანგისტ იური ვლა-სოვს. იგი სამხედრო ოჯახიდან იყო და თვითონაც სამხედრო განათ-ლება აქვს მიღებული; სუფოროვის სასწავლებელი დაამთავრა. ის იყო რკინისებური სისტემის კაცი. ამიტომ კარგი მწერალიც გახდა. აბა და-უფიქრდით, ამდენი სულიერი ძალა შეაღიო სპორტს, შეისისხლხორცო ისე, როგორც ის შეეთვისა, და უცებ მთელი ცხოვრება 360 გრადუ-სით შემობრუნო! დასვა ასეთი გოლიათური მანქანა მაგიდასთან და წიგნების წერა დააწყებინო. ასეთი რამ მხოლოდ ძალიან ორგანიზე-ბულ კაცს შეუძლია.

ჩემი საქმე კი სხვაგვარად იყო. ძალზე ხელმოკლედ ვცხოვრობდი, როგორც იტყვიან, ნაჩევრად მშიერ-მწყურვალი. თბილისში ნათესა-ვები მყავდა, შეძლებისდაგვარად მენმარებოდნენ, განსაკუთრებით გამზრდელი მამიდა, ფანცულაიების ოჯახის დედა. მაგრამ მაინც ნა-თესავებს თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ, მე — ჩემი. სპორტში კი სა-ერთო ცხოვრება იყო. იქ კოლექტივი იყო. მწვრთნელი მეკითხებოდა, დღეს ისადილე თუ არაო, გესმით? მაშასადამე, დაინტერესდნენ ჩე-მით.

ბრმა ხომ არ ვიყავი. რაღაცას მეც ვხედავდი ჩემს გარშემო. კარგ სპორტსმენებს ყველა პატივს სცემდა. მათ ბევრი მეგობარი ჰყავდათ, კონტადაც იცნავდნენ. მე კი ერთი შარვლის ამარა ვიყავი. ამ განსხვა-ვებას კარგად ვგრძნობდი. დღეს ვიცი, რომ ბედნიერება შარვლების რაოდენობით არ იზომება, მაგრამ სიჭაბუკეშიც ხომ არ მესმოდა ამ-დენი. თუმცა მაშინაც კი ვხედავდი, რომ კარგი სპორტსმენები მტკი-ცედ იდგნენ ფეხზე. მე კი ისე ვბარბაცებდი, მეგონა, პირველივე ქა-რი წამაქცევდა. აი რატომ ვმუშაობდი თავდაუზოგავად — მინდოდა კაცი გავმხდარიყავი...“

„მინდოდა კაცი გავმხდარიყავი!“ და იცით, რატომ წავიდა რომან?

რურუა ფეხბურთიდან მასშინ, როდესაც რაღაცას მიაღწია თბილისის „დინამოს“ ჭაბუკთა შემადგენლობაში და იმ დროს, როცა სპორტის ამ ყველაზე პოპულარულ სახეობაში კარგი პერსპექტივა ელოდა?

იმიტომ, რომ ფეხბურთში ყველაფერი მასზე როდი იყო დამოკიდებული. მის თანატოლებში ბევრი ნებიერი ბავშვი ერია, რომლებიც მამებს ხელჩაკიდებული მოჰყავდათ მწვრთნელებთან და შესაფერისად ავარჯიშებდნენ კიდევ. გლეხის შვილის, რურუას რაციონალური სული ამას ვერ ურიგდებოდა. ის ხომ თბილისში მარტო ფეხბურთის სათამაშოდ არ ჩამოსულა; ჩამოვიდა სათამაშოდ, სამუშაოდ და ცხოვრების მოსაწყობად.

ამიტომაც წავიდა ფეხბურთიდან და დაიწყო ჭიდაობა, სადაც ყველაფერი მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. საჭიდაო მინდორზე მხოლოდ ის ატარებდა „ბურთს“, მას შეეძლო მოეგო და წაეგო კიდევ. აქ ვიმეორებ, ყველაფერი დამოკიდებული იყო მხოლოდ მასზე, რა თქმა უნდა, მისი გეგმების განხორციელებისათვის შეეძლოთ ხელი შეეშალათ მეტოქეებს. მაგრამ მეტოქეები სწორედ იმიტომ არსებობენ, რომ ხელი შევიშალონ. ფეხბურთში კი ზოგჯერ პარტნიორებიც ხელს გიშლიან. ამას ვერ იტანდა რომანი და ამიტომაც წავიდა. შეიძლება ეპვი შეგეპაროთ მისი მოქმედების საზრიანობაში: რა უნდა სკოდნოდა 16 წლის ყმაწვილსო. მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ ბევრი რამ არ ესმოდა. მაგრამ ისეთები, როგორიც რურუაა, თავის გზას მაშინაც პოულობენ, როცა ყველაფერი არც კი ესმით. „ავტოპილოტები“ მართავენ ასეთებს. ეს მათ ბუნებით აქვთ მომადლებული...

და მაინც ვბედავ ვთქვა, რომ ქართულმა ფეხბურთმა იქნებ ბევრი რამ დაკარგა რომან რურუას წასვლით. ასეთი შრომისმოყვარე, ასეთი მოძრაი ადამიანი ნამდვილად წელში გაიშლებოდა ფეხბურთის მინდორზე. მაგრამ ამაზე ნუ ვიჭაერებთ. ვიფიქროთ, რომ ჭიდაობაში ფეხბურთთან ძალიან ხელსაყრელი გაცემა მოასდინა. პირველთანრიგოსანი ფეხბურთელი რურუა ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ჭიდაობაში მეორეთანრიგოსანი მიხეილ მესხი — შესანიშნავი ფეხბურთელი. განაწყენებული არავინ დარჩენილა...

ძველი თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე შეგვეხვდა ხნიერი, ჩასხმული კაცი. ყვითელი, სქელი რატინის განიერკალთებიანი პალტო ეცვა. შემდეგ, როცა დაეშორდათ, რომანმა წაიბუხლუნა: „უკვე ოცი წელია ეს პალტო აცვია. მინდოდა ახალი შეჩუქებინა, მითხრა, არ ავიღებო. ესეც კარგია, მთელია, თბილია, ახლა ასეთი ნაქერი აღარც იშოვებაო“... უჩვეულო კილო შევნიშნე ხმაში. თითქოს მოზრდილი შვილი ბუხლუნებდა საყვარელ, მაგრამ ახირებულ მამაზე.

ეს იყო რომანის მასწავლებელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნერსეს აკოფოვი. ეს მან, დანჯმა, მშვილმა, მაგრამ მუდამ

ყოველმხრივ ელმა კაცმა შენიშნა მოვიდავეთა დარბაზის კუთხეში გამხდარი ემაწვილას ცეცხლოვანი თვალები. ხელი დაუქნია, აქ მოდო.

რომანი ძალიან ამყობდა თავისი მწვრთნელით. ამყობდა იმით, რომ ნერსეს აყოფოვი ახალგაზრდობაში შესანიშნავი ტანმოვარჯიშე, მძლეოსანი, შტანგისტი და, რა თქმა უნდა, მოჭიდავე იყო. ომის პირველ დღეებში აყოფოვი ფრონტზე წავიდა. იცავდა თავის უფლებას, ეცხოვრა თავისუფალ ქვეყანაში, ესწავლებინა ბავშვებისათვის ჭიდაობის ხელოვნება. ძნელი იყო მისი საბრძოლო გზა. სამჯერ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სამჯერვე მწყობრს დაუბრუნდა და ღონიერ ხელებში იარალი ეჭირა. სამშობლომ ნერსეს აყოფოვი დააჩილდოვა სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენებით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით, 15 მედლით.

რომანი თავდავიწყებით ვარჯიშობდა. წმინდა სინდისით ატყუებდა მწვრთნელს, რომელსაც ეშინოდა, ბიჰს. ქანცი გამოლევიაო. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ რომანი ემშვიდობებოდა მწვრთნელს და ვითომ საშხაპეში შედიოდა. ხოლო, როცა აყოფოვი შინისკენ გასწევდა, რომანი დარბაზში ბრუნდებოდა, მივიდოდა სხვა ჯგუფის მწვრთნელთან და სთხოვდა: „მინდა მეცადინეობაო!“ — და გახვითქული კიდევ ორ საათს მუშაობდა.

შემდეგ კი, როგორც მკითხველმა უკვე იცის, რურუა მირბოდა სადამოს სკოლაში, დილით დგებოდა ხუთ საათზე და მიეშურებოდა საშუაოზე. მერე ისევ წვრთნა, ისევ სკოლა... და ასე ყოველდღედი უსამართლობა იქნებოდა, ასეთ ბიჰს თავისი არ გაეტანა...

— არ ვიცი, როგორ ხდებოდა ეს, მაგრამ სიძნელეები ჩემი მუდმივი თანამგზავრი იყო სპორტში. — ცოტა ხნით დადუმდა და მერე დასძინა: — არაფერი არ გამომდიოდა იოლად, ყველაფერს ძნელად ვალწევდი.

ჩვიდმეტი წლის ბიჰს მუხლში კისტა აღმოაჩნდა. ოპერაცია გაუკეთეს. დარბაზში სამი თვის შემდეგ დაბრუნდა. ძალზე კოჰლობდა. ჭიდაობა სცადა — არ გამოუვიდა. ცლებიან მცოდნე ადამიანებიც. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა მწვრთნელმა თქვა: „კომედია დამთავრდა. მოჭიდავე რურუა მორჩა, მისი მზე ჩაესვენა“. ეს უთხრა მან თავის კოლეგა-მწვრთნელებს, მაგრამ ისე მოხდა, რომ რომანმა მოჰკრა ყური. გაიგეს სხვებმაც. ხათრიანი, დამთმობი და არაკონფლიქტური აყოფოვი, რომელიც ამ მწვრთნელთან მეგობრობდა, მივიდა მასთან და ხმადაბლა უთხრა: ჯერ ადრეაო.

— ისეთი წვრთნა დავიწყე, მეგონა ვერ ავიტანდი, დავიშლებოდი, უნდა დამემტკიცებინა!.. ექვსი თვის შემდეგ ვჭიდაობდი საქართველოს ახალგაზრდების პირველობაზე, ვინაიდან ეეპეებოდათ, რომ კარ-

გად გამოვიდოდი, მაიძულეს წამეგო იმასთან, ვინც. მწვრთნელთა აზრით, ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო. დავყევი უფროსების ნებას და წავაგე. მან მესამე ადგილი დაიკავა, მე კი ამ წაგების გამო — მეორე. ავტირდი, გული დამწყდა!

იმ მწვრთნელმა ძალიან ბევრი სიკეთე მოუტანა ქართულ ჭიდაობას. ის უყვარდა ბევრ კარგ ადამიანს. მე კი არ მიყვარდა და არც პატივს ვცემდი. როცა პირველად გაეხდი მსოფლიო ჩემპიონი, სცადა მოეგვარებინა ჩემთან ურთიერთობა, მაგრამ ზურგი ვაქციე. იგი ძალიან ბევრ მოჭიდავეს დაეხმარა, მაგრამ მხოლოდ მათ, ვისიც სჯეროდა. ადამიანებს მაშინ შენიშნავდა ხოლმე, როცა შესამჩნევები ხდებოდნენ... ცუდი კაცი იყო!..

დიდი სპორტის საშვი რომან რურუას ორმა გამოჩენილმა ოსტატმა დაუმტკიცა — მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმერ სტაშკევიჩმა და ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა ოლეგ კარაგაევმა. ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც უნახავს ეს ნიჭიერი მოჭიდავენი ხალიჩაზე, ის ღირსეულად შეაფასებს ცხრაშეტი წლის ახალბედა ფალაენის გამარჯვებას მათზე. განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იყო მოგება საოცრად ტექნიკურ კარაგაევთან — 7:2. ეს მონაცემები მსაჯთა ოქმებიდან ამოვიღე. მაგრამ მე მაინტერესებდა დეტალები.

— რომან, მიაბზე ამ შეხვედრის შესახებ...

— არ ღირს. ოლეგი და ვალოდია უკვე აღარ არიან ცოცხლები. რა საჭიროა დაწვრილებით მოეყევი... ყველა აგებს, მეც წამიგია...

ჩავაცივდი, ვარწმუნებდი. საშველი არ დაადგა, ცივი უარი თქვა.

რომანის მეგობარმა ვიქტორ იგუმენოვმა მითხრა: არ ვიცი, როგორ ახერხებს ამას — სიმართლეს ყველას პირში ახლის. არც სათქმელის მოზომვა იცის მაინცდამაინც. ამავე დროს ძალიან ტაქტიანი კაცია. თავაზიანია, გულისხმიერი, უფრთხილდება ადამიანის ღირსებას. სიმართლის თქმა იცის, მაგრამ ისე, რომ არაფის არ ამცირებს ამ სიმართლით. ეს ძალიან იშვიათი ნიჭია!.. ადამიანების დახმარებაც უყვარს. და არა მარტო სულიერი შეწევნა — ეს რურუას ცხოვრებისეული სტილია... ასეთს ვიცნობ მას უკვე მრავალი წელია“.

როცა რომანი საქართველოს ჩემპიონი გახდა, ვილაც კეთილისმყოფელი ურიცხავდა ყოველთვიურად ას მანეთს. გამომგზავნი თავის გვარს არ ასახელებდა. რომანი სამი თვე აგროვებდა ამ ფულს. იმედი ჰქონდა, ანონიმი თავს გაამხელს და თანხის დაბრუნებას შეეძლებო. ეს ამბავი ორივე მწვრთნელმა, აკოფოვმა და ჩხარტიშვილმა იცოდნენ:

— ნუ გაანაწყენებ კარგ ადამიანს უნდობლობით, — უთხრეს მას.

— იქნებ შენს ანონიმს შეილება არა ჰყავს, შეიძლება ოდესღაც ჭიდაობდა კიდევ. ეს სიყვარული შერჩა მთელ ცხოვრებაში და უნდა, რომ დაგეხმაროს. განა ეს ფული ზედმეტია შენთვის?

დაახ, ფული მართლაც სჭირდებოდა. საკუთარი ბინა ისევ არ ჰქონდა. არც ის კუთხე უჯდებოდა იაფი, სადაც დროებით ცხოვრობდა. არც ხელფასი ეწლეოდა სახარბილო, არც კვება ჰქონდა მაინცადამაინც კარგი. ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში „არა“. ამიტომ ეს ფული მისწრება იყო მისთვის. დღესაც არ იცის. თუმცა ძალიან ცდილობდა გაეგო, ვინ ეხმარებოდა მას მრავალი წლის განმავლობაში. კარგი ადამიანები, ჩვეულებრივ, ტაქტიკაზეც არიან, თვით რომან რურუაზე კი ერთის თქმა შემიძლია: ცხოვრების მაღლიან გაკეთილებს არასოდეს იეიწყებს. ამას ბევრი ადამიანი დაადასტურებს საქართველოში.

რესპუბლიკის ნაკრებში რომანს ავარჯიშებდა ილია ჩხარტიშვილი— წყნარი, საქმეში ჩახედული სპეციალისტი, შემდგომ მისი მეორე მწვრთნელი. სწორედ იგი დაეხმარა რომანს ახალი ცხოვრების ძებნაში. თუმცა ამბობენ. ცისქვეშეთში ახალი არაფერიაო, მაგრამ აღმოჩენები თურმე აქაც შეიძლება. მთავარია ამის სურვილი ჰქონდეს კაცს, ეძიოს და პოვოს.

მალე მათ შორის დამყარდა ნამდვილი ადამიანური ურთიერთობა. როცა რომანი ვარჯიშზე მიდიოდა, ილია ჩხარტიშვილი ეკითხებოდა.

— ისადილე დღეს?

— ვისადილე.

— არა მჭერა.

— ვტყუი, — გამოუტყდებოდა ზოლზე ბოლოს.

— შეა. ნიშნავია! — უხაროდა მწვრთნელს. — დღეს ჩემთან ვიქე-

იფებთ!.. „ქეიჯი“ ნიშნავდა გემრიელ სადილს, რომელსაც შესანიშნავად ამზადებდა ილია ჩხარტიშვილის მეუღლე, ქალბატონი ნუნუ.

უდიდესმა შრომამ პირველი ნაყოფი გამოიღო. 1963 წელს რომანი სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკიადის ჩემპიონი გახდა.

იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწია ამას, შეიძლება ვიმსჯელოთ სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვიაჩესლავ კოჟარსკის სიტყვებით: „მან ერთმა იმდენი ილეოთ ჩაატარა და იმდენი ქულა მოიგო, რამდენიც ყველა ქვემომეწონოსანმა ერთად“. ხოლო ჰიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მომავალი პრეზიდენტი მილან ერცეგანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ვორუპაევის, სტაშკევიჩისა და კარავაევის გვერდით გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი პოტენციის მქონე ოსტატი. ეჭვი არ მეპარება, რომ რურუა დიდი მოჭიდავე დადგება“.

ასე ლაპარაკობდნენ გამოცდილი ადამიანები ოცი წლის ჰაბუკზე და ეს ძალიან სასიამოვნო იყო. მაგრამ სპორტმა რურუას მაშინვე თავისი მეორე— უარყოფითი მხარეც დაანახა. იგი დიდ უსიამოვნებას წააწყდა, რაც მით უფრო საწყენი იყო, რომ ეს მოხდა ოლიმპიურ ხალიჩაზე ტოკიოში.

ფინიშის გზასე რურუამ დამაჯერებლად გაიმარჯვა ყველა მეტოქესთან. რომის ოლიმპიური ჩემპიონი, თურქი მუზახირ სილე ბეკებზე დასცა, ფინალში კი რომანი განთქმულ უნგრელ მოქიდავეს, სამგზის მსოფლიო ჩემპიონს იბრე პოიიაცს შეხვდა.

უნგრელი იყო არა მარტო ნათელი, არამედ ერთგვარად ტრაგიკული ფიგურაც მოქიდავეთა წრეში. სამჯერ (ჰელსინკში, მელბურნსა და რომში) გამოდიოდა დიდ ოლიმპიურ სარბიელზე და მეორე ადგილს ვერც ერთხელ ვერ ასცდა. ტოკიოში მისი მეოთხე ოლიმპიური სტარტი შედგა, მეოთხე ცდა, რათა ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარიყო. რა თქმა უნდა, მსაჯები თანაუგრძობდნენ იბრეს. ამასთან ფინალში უნგრელი რურუაზე ნაკლები საჯარიმოებით გავიდა და მას ფრეც ჩელს აძლევდა. აი რამდენი დაბრკოლება უნდა გადაეღახა რომანს ოლიმპიური „ოქროს“ მოსაპოვებლად.

მან ვერ გადაღახა მხოლოდ ერთი დაბრკოლება — მსაჯებისა. მთელი შეხვედრის მანძილზე პოიიაცმა თითოც ვერ გამოყო თავდაცვითი რედუტებიდან. მსაჯებს ეს „არ დაუნახავთ“. რომანმა სამჯერ გადაიყვანა ჩოქბჯენში მეტოქე ხალიჩის ნაპირას, ის კი სასწრაფოდ გადიოდა ქილოფზე. მსაჯებმა „ვერც ეს დაინახეს“. მათ სამჯერ აღნიშნეს, რომ პოიიაცი ხალიჩის გარეთ გავიდა. მას ქონი ჰქონდა წასმული, რანდენჯერამე გაწმინდეს, მაგრამ გაფრთხილება არ მიუციათ, გაფრთხილება კი ოქროს ნიშნავდა. ბოლოს — ფრე. რურუას — ვერცხლი.

მამინ ვიდეოჩანაწერებს არ აკეთებდნენ. მაგრამ იყო კინო.

კინოგადამღები აპარატი ტოკიოს ოლიმპიადაზე დიდი ხნით ადრე გამოიგონეს. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ქიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში, ლონანაში გამოგზავნეს კინოფირი. მასზე გარკვევით ჩანდა, რომ პოიიაცი სამჯერ იყო ჩოქბჯენში ხალიჩაზე. ბიურომ აღიარა რომ რ. რურუამ მოიგო შეხვედრა და რომ მსაჯები შეცდნენ. ეს იყო და ეს...

— რომან, სად უფრო გიჭირდა: მსოფლიო ჩემპიონატებზე თუ ჩვენი ქვეყნის პირველობებზე?

— რა თქმა უნდა, შინ. — პირდაპირ მითხრა რურუამ. სტაჩკევიჩი და კარავაევი წავიდნენ, მაგრამ გამოჩნდნენ საპუნოვი და გრიგორიევი. ისინი მოქმედი მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ. შემთხვევით მათთვის არავის არ მოუვია...

ორგზის მსოფლიო ჩემპიონ გენადი საპუნოვზე ამბობენ, რომ ილეთის ჩატარებამდე წამის რაღაც ნაწილით ადრე ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ხერხს მიმართავდა. მის განკარგულებაში იყო კლასიკური ქიდაობის მთელი არსენალი. უფრო მეტიც, ძალიან ბევრი ტექნიკური ილეთი თვით მას ეკუთვნის. საპუნოვს იმდენად დახვეწილი ტაქტიკა ჰქონდა, რომ თვით ყველაზე გამოცდილმა მეტოქეებმაც არ.

იცოდნენ, საიდან ელოდათ საფრთხე. რურუა არც ელოდა. იგი თვითონ წარმოადგენდა საფრთხეს...

საქმე კიდევ უფრო რთულდებოდა იური გრიგორიევთან. ტექნიკური მრავალფეროვნებით, მით უმეტეს, საპუნოვთან შედარებით. არ გამოირჩეოდა. ერთი-ორი გდება, წელში შევარდნა, ჩოქბჯენში ხელებით მუშაობა — აი გრიგორიევის მთელი არსენალი. მაგრამ ამ ცისფერთვალემა, მკაცრი სახის ახალგაზრდას უდიდესი ძალა ჰქონდა, გასაოცარი ამტანობა, აბსოლუტური შეუპოვრობა და ყველაფერს თავისი სახელი რომ ეუწოდოთ — უღმობელი იყო.

მინახავს. საშუალო წონის მოჭრადეები უარს ამბობდნენ მასთან ვარჯიშზე. ის მათ სჯობნიდა ძალით, ღონით, შეუპოვრობით. მას იმდენად არ ეჭოდებოდნენ, რამდენადაც თავს იცავდნენ. და ეს მაშინ, როცა მათ შორის წონაში 15 კილოგრამი სხვაობა იყო.

გრიგორიევმა მხოლოდ რურუას ვერ დააკლო ვერაფერი. ძალღონითაც, ამტანობითაც, გამბედაობითაც რომანი უფრო მეტი იყო. როცა ისინი 1967 წელს IV სპარტაკიადაზე შეხვდნენ ერთმანეთს, ორივე უკვე მსოფლიო ჩემპიონი იყო, მაგრამ ბევრ საქმეში ჩახედულს ეგონა, რომ რომანი დამარცხებული დატოვებდა ხალიჩას. დაიწყო შერკინება და გრიგორიევმა უმალ ჩართო მაქსიმალური სიჩქარეები, რომანმაც ამითვე უპასუხა. გაუძლო რამდენიმე დარტყმას. შემდეგ კი თვითონვე გამოკრა არა მარტო მაგრად, არამედ ოსტატურადაც.

მეტოქე მალე გაიმართა და ამღვრეული თვალებით წავიდა რომანისაკენ. მიუახლოვდა, ეძგერა და შუბლი ცხვირის ფუძეში ჩაარტყა. „იურა!“ — თქვა რომანმა. დაახლოებით ორმოც წამს ერთმანეთს კისრებს უხელდნენ. რურუა ცდილობდა გრიგორიევს წელში შევარდნოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ახლოს არ იკარებდა.

შემდეგ რომანს კვლავ ჩასცხო შუბლი სახეში. მეტოქემ ნახევარი ნაბიჯით დაიწია უკან, შეხედა და კვლავ ხმადაბლა უთხრა: „იურა, მოეშვი ამას!..“ მესამეჯერ გრიგორიევმა ვერ მოასწრო დარტყმა ახლა მას დარტყეს. რომანმა დაინახა, რომ მოწინააღმდეგემ ისევ შეშართა თავისი გრდემლივით მაგარი შუბლი ცხვირის ფუძეში ჩასარტყმელად. ერთ წამში ჩაიჩოქა და სწრაფად გაიმართა წელში. ახლა გრიგორიევის ცხვირმა იწვნია რურუას შუბლის დაჯახების ძალა. იური დაბარბაცდა, ერთი ნაბიჯით დაიხია უკან და გაცივებით შეხედა „ნიკიერ მოწაფეს“.

მაგრამ დიდხანს ექნრა არ დასცალდა. რომანის მკლავებმა გაარღვიეს დაცვა, გრიგორიევის ბეჭებზე შეერთდნენ და რომანმა ქულებით დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი. ამის შემდეგ გრიგორიევს აღარასოდეს უცდია რომანისთვის ჩარტყმა. საერთოდ ასეთ აკრძალულ

ხერხს მაშინ მიმართავენ, როცა საპასუხოს არ იღებენ. მას კი ძვირად დაუჯდა...

მსოფლიო ჩემპიონატზე რურუას დებიუტი 1966 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ტოლედოში შედგა. გაიმარჯვა ექვს მეტოქეზე და მოიპოვა ოქროს მედალი. ქულების საერთო ანგარიში 82:0 მის სასარგებლოდ.

უცნაური ამბები ხდებოდა ჩვენს კლასიკოსებთან 60-იან წლებში. მსოფლიო პირველობაზე, ტოკიოს ოლიმპიადის წინ, საბჭოთა მოქიდავებმა მიიღეს ოთხი ოქროს მედალი, ოლიმპიურ ტურნირზე კი „ოქრო“ მხოლოდ ანატოლი კოლესოვმა მოიპოვა. მომდევნო წელს ტრიუმფი იყო — შეიდი მსოფლიო ჩემპიონი რვა მამიებლიდან! შემდეგ უფრო ნაკლები — სამი ჩემპიონი, შემდეგ (1967 წელს) ოდნავ უკეთესი — 4 ჩემპიონი.

საერთოდ, როგორც ხედავთ, ურიგო შედეგები არ არის. მაგრამ მორიგ ოლიმპიურ ტურნირზე (მეხიკოში) „კლასიკოსებმა“, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებმა, კვლავ წაიბოროძიეს. ბაკულინი მეორე იყო, კოჩერგინი — მესამე, ოლიენიკი — მეორე, იაკოვენკო — მეორე, როშიჩინი — მეორე. წარმოგიდგინათ: ოთხს მხოლოდ თითო ნაბიჯი დააკლდა მიზნამდე. მაგრამ ეს ნაბიჯი ვერ გადადგეს. და მხოლოდ ერთმა, რომან რურუამ, გადალახა მექსიკის მაღალმთიანეთი...

მის წინსვლას ძლიერი მოქიდავები უშლიდნენ ხელს. პირველ ყოვლისა ამერიკელი ჰობევიჩელი, თურქი ალაკოჩი, იაპონელი ფუძიმოტო. რომანმა მეხიკოს სარბიელზე შეიდი ბრძოლა ჩაატარა და შეიდივე თავის სასარგებლოდ დაამთავრა. უფრო მეტიც, მთელ ტურნირში რურუამ წააგო მხოლოდ ორი, საერთო ჯამში კი მოიგო სამოცამდე ქულა: მათ შორის 5 შეხვედრა წმინდად. ამ „უმალღესმა მათემატიკამ“ მას მეხიკოში ოლიმპიადის ბოლო გათამაშებული მედალი მისცა. როგორც ვახსოვთ, XIX ასპარეზობებზე მოპოვებული მედელების რაოდენობით მაინცდამაინც ვერ დავიკვებნიდით. ამიტომ ეს უკანასკნელი ძალიან გვკვირდებოდა და მოვიგვთ კიდევ ლამის 11⁰⁰—45 წუთზე. გავა მრავალი წელი ამ ოლიმპიადის შემდეგ და რურუა იტყვის: „ჩემზე ძლიერი კაცი არ შემხვედრია ჩემს წონაში... ასე მოხდა — არ შემხვედრია“.

მაინც რად „მოხდა ასე?“ სულ უბრალო მიზეზის გამო: რომანი-საერთო არავეს უშრომია ამ წონაში. მას უფრო მეტად, ვიდრე მის მოწინააღმდეგეებს, არ უყვარდა დამარცხებულის როლში ყოფნა და ყოველნაირად თავს იცავდა მათგან. თავს იცავდა შრომით, საშინელი შრომით, ოვლით, თავგანწირვით და ისევე შრომით.

ამიტომ კონდა მას სიმტკიცის ასეთი მარაგი, ასეთი ფანტასტი-

კური უპირატესობა მეტოქესთან შედარებით, რაც აოცებდა ყველაზე აუღელვებელ სპეციალისტებსაც. სხვათა შორის, ოლიმპიური „დოპინგ-კონტროლის“ თანამშრომლებიც შესძრა რომან რურუას ენერჯიამ. არც ერთ მოქიდავეს, რურუას გარდა, ისინი არ იწვევდნენ თავიანთ აპარტამენტებში. რურუა ორჯერ იხმეს — ტურნირის მეორე დღის ბოლოს და ფინალის შემდეგ. აი, სწორედ მეორე შემოწმებისას მოუვიდა მთვარე დოპინგ-კონტროლიორს პატარა კახუსი.

როგორც ჩანს, ამ ექვსს კრიმინალური მიდრეკილება ჰქონდა და სანამ კვლევას შეუდგებოდა, მოქიდავეს ეკითხებოდა, დოპინგი ხომ არ მიგიღიათ. ოლიმპიურ ჩემპიონსაც ეს ჰკითხა და ისეთი უჩვეულო პასუხი მიიღო, რომ კინალამ სკამიდან გადავარდა: „დიას, მივიღე, ახლავე მოვიტან...“ „რომანი გაიქცა გასაზღვრეში, მისმა თანსმლებმა მასაჟისტმა მხოლოდ შეშინებული მზერა გააყოლა და ადგილიდან ვედარ დაიძრა. ჩემპიონმა კი ერთი ბოთლი „ბორჯომი“ მოარბენინა. ექიმმა გულიანად გადაიხარხარა და მას ჩვენი გადაფითრებული მასაჟისტიც ასყვა. როცა გასასდელში ბრუნდებოდნენ, მან რომანს უთხრა: „შენთან ერთად აღარსად წამოვალ. ინფარქტს დამიპართებ.“ — „ნუ გეშინია, უპასუხა რომანმა, „ბორჯომი“ მოვარჩენს...“

ოლიმპიურ ასპარეზობებზე საუკეთესო ტექნიკისათვის პრიზებს არ იძლევიან, მაგრამ საუკეთესოებს ოლიმპიადებზეც ასახელებენ. საბოლოო პრესკონფერენციაზე რომან რურუას უწოდეს „ყველაზე ენერჯიული და ყველაზე ტექნიკური“ მოქიდავე. დიას, მას ტექნიკა ჰქონდა — 60 ქულას ისე ვერ დააგროვებდა. ჭიდაობაში ახალი სტილი დაამკვიდრა.

ამ წიგნის ავტორი დამნაშავეა რომან რურუასთან. ახლა შემძღლია ოდნავ მაინც ვიპართლო თავი. დიდი ხნის წინათ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ვალერი რეზანცევიზე დაწვერე ნარკვევი, სადაც ვამტკიცებდი, რომ ჩოქბჯენში გადაყვანა, რომელსაც მოქიდავეები „მოზვერს“ უწოდებენ, რეზანცევის გამოგონილია-მეთქი: ეს შეცდომაა. „მოზვერი“ გამოიგონა და დანერგა რომან რურუამ. რეზანცევმა იგი მხოლოდ თავის საბალახოზე გადაიყვანა. ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე, ერთი მეცნიერის აღმოჩენას პრაქტიკაში მეორე ადასტურებებს.

1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში. სადამოა. ხვალ დილით უნდა აიწონონ. რომან რურუას კი თითქმის სამი კილოგრამი ზედმეტი აქვს (1).

— მეხიკოს შემდეგ ნება დამრთეს გადავსულიყავი ზედა წონაში (68 კილოგრამი). ვიფიქრე, დაიწყო ბედნიერი ცხოვრება-მფთქი. ვვარჯიშობდი, ვკამდი თავისუფლად, დავდიოდი, აღარ ვფიქრობდი წყვეულ წონაზე. აღრე შემეძლო დამეწერა შრომა სხვადასხვა ქვეყნის

აბანოების შესახებ, რომლებშიც საათობით ვიჯექი ხოლმე, ვიკლებდი ზედმეტ კილოგრამებს. არგენტინაში გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ გუნდის ინტერესებისათვის უნდა დაებრუნებულიყავი ძველ წონაში (62 კგ). წარმოგიდგენია! მე კი უკვე სამოცდაათ კილოგრამს ვიწონიდი, გავქანდი ორთქლის აბანოში, ოთხი კილოგრამი დავიკელი, ოთხი არგენტინაში გავიყოლე...

თითქმის სამი საათი დაყვეს საუნაში სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი კოლესოვმა და რურუამ. მაგრამ არავითარი ეფექტი, ერთი ცვარი ოფლიც არ მოსდენია.

— მეაბანოვეები ვიხმეთ. ტემპერატურა 130 გრადუსამდე გავვიზარდეს. კოლესოვი ადვილად იტანდა მაღალ ტემპერატურას, მაგრამ მანაც ვერ გაუძლო. ერთი საათის შემდეგ გამოვიდა წინა. ოთახში სულის მოსაბრუნებლად, მე კი ვზივარ. რის ოფლი, რა ოფლი!.. ნავალი მიწასავით მშრალი კანი დასკდომაზე მაქვს... თავის გასამხნეებლად საკუთარ თავს დაუწყე ლაპარაკი: „ყური მიგდე, ეს მე შენ, შენი ნებისყოფა გელაპარაკები: პირობას გაძლევ აღარასოდეს გაიძულო იჯდე ამ წყეთულ საუნაში, ოღონდ ახლა გაუძელი, მერე კი იცხოვრე ისევე კარგად, როგორც სხვები ცხოვრობენ“.

ადამიანი თავის თავს ელაპარაკებოდა! სასაცილოა, ხომ მართალია, და რატომღაც არც ერთი მოჭიდავე არ იცინის, როცა ამ ამბავს ვიხსენებთ. ვილაკამ აბანოში შემოიხედა: „რომან, გამოდი! დაიწვები!“, „ჩვენ არ დაეწვებით, — მიუგო მან საკუთარი თავისა და „თანანოსაუბრის“ მაგივრად. და მაინც ოფლი მამაკაცის ცრემლივით ძუნწად, წვეთ-წვეთად მოდიოდა.

მეორე შემთხვევა: სასტარტო შერკინებაში რომანი შეზღუდა დასავლეთგერმანელ ვერნერ ჰეტიშს, ძლიერ, დიჩ მოჭიდავეს. რურუა ნელ-ნელა მშვიდად ზრდიდა უპირატესობას. ვინაიდან ძალიან დაიკლო წონაში, თანდათანობით აუჩქარებლად უნდა ჩაეყენებინა ორგანიზმი სამუშაო რიტმში. ტაბლოზე ზუსტად აღნუსხავდნენ რომანის ქულებს. ორთაბრძოლა ფინიშს უახლოვდებოდა, როცა კოლესოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ციფრები ტაბლოს მხოლოდ იმ ნაწილში აღინიშნებოდა, რომელიც ჰეტიშს ეკუთვნოდა. ანატოლიმ ხალიჩის ხელმძღვანელს სთხოვა გაესწორებინა შეცდომა: „ყველაფერი სწორია! შეცდომა არ არის“. მწვრთნელი მიხვდა, რომ არც ერთი წამის დაკარგვა არ შეიძლებოდა, და შეჰყვირა: „რომან, ცხრა ქულას აგებ! ნუ აღშფოთდები! ახსნის დრო არ არის! წინი სამი წუთილა დაგრჩა!“ ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ უფსკრულის წინაშე ვიდექი.

მაშინ კი ეძგერა ჰეტიშს „მოზვერი“. არა, „მოზვერი“ კი არა, განრისხებული ხარი დაეტაკა გერმანელს და გვერდზე გადააგდო. მაგრამ

პეტიშმა მშვიდობიან ჩოქბჯენში დადგომა ვერ შეძლო. რურუამ ხელი სტაცა წელში და ისე სწრაფად, რომ ხალიჩასაც არ შეხებია, დაატრიალა. მერე კი ფანდების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ მესამე პერიოდის დასაწყისში, სულ რაღაც ერთ წუთში ანგარიში გახდა 16:9 რომანის სასარგებლოდ. ნამდვილად წარმოუდგენელი რამ იყო.

რომანმა დაამარცხა დანარჩენი მეტოქეებიც. მსოფლიო ჩემპიონი გახდა და აღიარეს პირველობის საუკეთესო მოქიდავედ. საგულისხმოა, რომ რურუას მიერ მოგებულ ითხი მსოფლიო ჩემპიონატიდან სამ ჩემპიონატში იგი საუკეთესო მოქიდავედ დაასახელეს.

ამითაც გამოვლინდა მისი მაქსიმალიზმი — ყველაფერი ან არაფერი. არ კმარა გახდეს ჩემპიონი, უნდა იყო საუკეთესო, უნდა მოიგოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა ედმონტონში ანგარიშით 22:2. შინ ხალხი უნდა ამბობდეს: გაიგეთ, ჩვენმა რურუამ ისევე ყველა მიაწვინა-მოაწვინაო! მასში ძალიან ძლიერია მშობლიური მიწის, იმ ადამიანების სიყვარული, რომლებიც იქ ცხოვრობენ. მან იცოდა, რომ სამშობლოსაგან მოშორებით იგი წარმოადგენდა რაღაც უფრო გაცილებით მეტს, ვიდრე მხოლოდ სპორტია. იგი ყველაფერზე პასუხს აგებდა.

სხვათა შორის, რომანი შინაც ასეთია. ერთხელ მასთან ერთად წავედი თბილისის ბაზარზე. რიგში ჩვენ წინ გერმანელი ქალიშვილი და ქაბუკი იდგნენ: ასე ჩვიდმეტ-თერამეტი წლისანი იქნებოდნენ. სიამოვნებით შესცქეროდნენ ბროწეულებს. ამოიჩიეს ორი, ააწონინეს და ფასი ჰკითხეს, რურუამ გვერდზე გაიხედა და სწრაფად უთხრა: „აჩუქე! მე გადავიხდი!“ გამყიდველი გაიბადრა და არტისტულად გაუწოდა სტუმრებს ბროწეული. ყმაწვილებმა დიდი მადლობა გადაუხადეს გულუხვ ადამიანს, ბუნებრივია, რომანისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ...

თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ კიდაობაში იანვრის დამლევს და თებერვლის დასაწყისში ტარდება. და თუმცა თბილისური ზამთარი მნიშვნელოვნად განსხვავდება ტაიპირის ზამთრისაგან. ზოგჯერ საქართველოს დედაქალაქშიც მაგარი სიცივე იცის ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის მოქიდავენი სასტუმრო „აპარიდან“ სპორტის სასახლისაკენ შარფებით თავშეხვეულები გარბოდნენ. თანაც ყურებზე საწვრთნელ ქუდეებს იფხატებდნენ. ყინვა უძოწყალოდ სუსხავდა.

რომელიღაც განაპირა მაღაზიაში რომანმა მიაგნო კურდღლის ბეწვის მშვენიერ ყურებიან ქუდეებს. რომლებითაც თბილისში არავინ არ დაინტერესებულა. იყიდა თორმეტი ქუდი და გათოშვისაგან იხსნა ამერიკელთა მთელი გუნდი. ვერ გეტყვით, თვითონ კურდღლის ბეწ-

ვი იყო საოცრად ფაფუკი. თუ ამერიკელებმა იციან ბეწვის გაფუძ-
ფულების რაღაც საიდუმლო. მაგრამ როცა ისინი სასტუმროდან გა-
მოვიდნენ შავ ბოხოხებში, თბილისელ მოდასაყოლილებს თვალი ზედ
დარჩათ. „აი კლასი!“ — ოხრავდნენ ისინი.

რომან რურუა წესრიგის მკაცრი დამცველია, პედანტი და პეწიანი.
თუ ჩვენი ქვეყნის ნაყრების რომელიმე წევრს სურდა გაეგონა კაპიტ-
ნის ხმაში ფოლადისებური კილო, ამისათვის საკმარისი იყო სულ ცო-
ტა რამე—სასტუმროს ნომერში მიეყარ-მოეყარა ნივთები. რომანს იდე-
ალური წესრიგი ჰქონდა, ყოველ სადამოს რეცხავდა თავის ფორმასა
და პირსახოცს. დილით გულმოდგინედ აუთოვებდა მათ, აწყობდა
სპორტულ ჩანთაში და მიდიოდა წვრთნაზე. მეტსაც გეტყვით: იგი რე-
ცხავდა და აუთოვებდა საჭიდაო ფეხსაცმლის ზონარებსაც კი. ეს იყო
მისი საკულტო რიტუალი — ფსიქოლოგიური განწყობა სტარტის წინ.
კაცი არა მარტო ძლიერი, არამედ სუფთაც უნდა იყოს.

რომანი არასოდეს არ რეცხავდა მხოლოდ თავის სპორტულ ცხვირ-
სახოცს, რომელსაც მოქიდავეები ბანდაჟში იღებენ ხოლმე შეხვედ-
რაზე გასვლისას. ო, ეს არაჩვეულებრივი ცხვირსახოცი იყო. მას მა-
შინ ხმარობდა, როცა „ცისფერი სისხლი“ წამოვიდოდა გახეთქილი
წარბიდან, ყვრიმალებიდან ან ნიკაპიდან. თუმცა ცხვირში ხშირად
ურტყამდნენ, ამ თილისმას კი განსაკუთრებული შემთხვევებისათვის
ინახავდა.

— მას ოთხი მსოფლიო ჩემპიონის სისხლი ეცხო! — სიამაყე
ისმის რომანის ხმაში. — ვალერი ანისიმოვის, ვალია ოლეინიკის, ვი-
ტია იგუმენოვისა და ჩემი.. გახსოვს იგუმენოვის და იმანტ კლინსტო-
ნის ფინალური შეხვედრა ხალხთა V სპარტაკიადაზე. ვიქტორს ისე
ჰქონდა. წარბი გახეთქილი, რომ ექიმებს მისი მოხსნა უნდოდათ შე-
ჯიბრებიდან. მე ამ დროს მეორე ხალიჩაზე ვკვიდობდი. მოირბინეს
ჩემთან ბიჭებმა და მითხრეს, ვიქტორი ცხვირსახოცს გთხოვსო. უკან
გავუხტი მეტოქეს და ბიჭებს ცხვირსახოცი გადავუგდე. შემდეგ პერი-
ოდებს შორის შესვენება მქონდა. ვხედავ, ვიქტორმა ცხვირსახოცი
მიიღო შეხვეულ წარბზე, შეინახა ბანდაჟში და კლინსტონისაქენ წა-
ვიდა!.. იგუმენოვმა მოიგო... მას ჩემმა ცხვირსახოცმა „უშველა“!..

ნუ იღიმები, მკითხველო. სპორტული რწმენა განსხვავდება ბრმა
ცრურწმენისაგან. დიდი შეყარეები წლების მანძილზე არ იცვლიდნენ
ძველ სვიტერებს, რომლებშიც ბურთები აედოთ. ამბობენ, რომ იმ
დარბაზების კედლებში, სადაც წვრთნას გადიან ჩემპიონები, ხდება
გამარჯვების ენერჯის აკუმულირება. აი მოქიდავეებსაც სწამდათ,
რომ ეს ცხვირსახოცი თილისმა იყო. ის ვატარეთ ჩემპიონობის სახე-
ლოვან გზაზე, ხოლო როცა ეს გზა დასრულდა...

— როცა ცნობილი გახდა, რომ მიუნხენის ოლიმპიადაზე არ მივ-

დიოდი. — რომანი კოპებს იკრავს. — მაშინვე თბილისს გამოვფრინ-
დი... მირეკავს ვიქტორ ივუმენოვი: „რომან, ცხვირსახოციც თან წა-
გილია!“ ისეთ გუნებაზე ვიყავი, რომ ცხვირსახოცი არც გამსხენებია.
ვიქტორი კი მიუხეხნა უნდა გაფრენილიყო. გავეშურე თბილისის
აეროპორტში, ცხვირსახოცი კონვერტით გადავეცი ნაცნობ მფრინავს
და ვთხოვე ჩაებარებინა დომოდედოვოს აეროპორტის ცნობათა ბი-
უროში... კვლავ რეკავენ მოსკოვიდან: ცხვირსახოცი არ არისო. რო-
გორ თუ არ არის? მფრინავეებმა 21-ე ოთახში გადასცეს. თვითონ მივ-
ფრინავ მოსკოვში იმიტომ, რომ ვიცი, რას ნიშნავს ვიქტორისათვის
ცხვირსახოცი! მაგრამ მაინც ვერ ვიპოვეთ ჩვენი თილისმა... ვიქტორი
ოლიმპიადაზე უცხვირსახოცოდ გაფრინდა... ოლიმპიადის წინაღღეს
ნეკნი გაიტეხა... ექიმებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს... შემდეგ, როცა
ერთმანეთს შევხვდით, ივუმენოვმა მითხრა: „რომან, ყველაფერი სა-
მართლიანად მოხდა, — ჩვენ დავამთავრეთ და ჩვენი ცხვირსახოციც
გაქრა“.

საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, ოთხგზის მსოფლიო ჩემ-
პიონი, ოლიმპიურ ასპარეზობებში გამარჯვებული... ვინ მოთვლის
რომან რურუას ბრწყინვალე გამარჯვებებს. მაგრამ არის ერთი გამარჯ-
ვება, რომელსაც შეიძლება უმთავრესი ეწოდოს ამ ადამიანის ცხოვ-
რებაში...

პირველად მან ოდნავი ტკივილი ზურგის არეში 1961 წლის დამ-
ლევს იგრძნო. შემდეგ გაუძლიერდა და განუწყვეტლად აწუხებდა.
ექიმებმა დიაგნოზი დაუდგინეს: ხერხემალში წარმოქმნილი მარილის
წანაზარდი აწევა ნერვს და იწვევს საშინელ ტკივილს. გადიოდა
წლები. ტკივილი არ ეშვებოდა. რომანი ჩემპიონატს ჩემპიონატზე
იგებდა. შეშფოთებული ექიმები კი ერთხმად გაიძახოდნენ, თავი და-
ანებე კიდაობასო.

ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. რომან რუ-
რუა დიდი მოკიდავია. მაგრამ დიდებიც ტოვებენ ასპარეზს. „თავს ნუ
იწვალე, — ურჩევდნენ მას, — იფიქრე ჯანმრთელობაზე, მთელი
ცხოვრება წინ არის!“ მაგრამ რომელ ცხოვრებაზეა ლაპარაკი კიდა-
ობის გარეშე (დაიჯერეთ, ჩემპიონებიც იღლებიან)?! ზურგში კი იჭდა
ულმობელი მხეცი და ბრკეყალებით ხერხემალს კაწრავდა. რომანი მიხ-
ვდა, რომ ავადმყოფობა უნდა დაეძლია, მიხვდა, რომ სხვაგვარად ყვე-
ლაფერი გათავებული იქნებოდა. ექიმების აზრით, შეუძლებელი შეძ-
ლო. მან ხერხემალი კუნთების კორსეტში მოაქცია, რომელიც ანატო-
მიით გათვალისწინებული არ არის, და ტკივილიც მოიშორა. 1970
წელს ტკივილი განუახლდა. მაგრამ „ამ დროისათვის გამოვიგონე
ავადმყოფობის წინააღმდეგ სწავლეთესო საშუალება: აღარ ვამჩნევდი
მას. „შეუმჩნევლად“ მოიგო მან მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ

კავშირის ხალხთა სპორტკლუბის წინ იგი ემზადებოდა... კლინიკაში დასაწოლად. თურმე ასეც ხდებდა ხოლმე, ორი კვირა დაჰყო მოსკოვის პირველ საქალაქო საავადმყოფოში და პირდაპირ იქიდან ხალიჩაზე გავიდა. მე ვნახე, როგორ ჭიდაობდა ტკივილებსაგან გაფითრებული რომან რურუა, რომელსაც თვალის გუგებიც კი გაფართოებოდა, მაგრამ სპორტკლუბის ჩემპიონი გახდა. შვიდი შეხვედრა მოიგო. ეს იყო უმათერესი გამარჯვება მის ცხოვრებაში.

იმისათვის, რომ ვინმეს არ შეეჩქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მორიგი საშინელი ზღაპარია ბედნიერი დასასრულით, გაუწყებათ: არ იყო „ჭეფი-ენდი“. შეჯიბრების დამთავრების დღეს, რომანი ისევ საავადმყოფოში დააწვინეს. თვითონ წასვლა ვერ შეძლო. გონებას კარგავდა ტკივილისაგან, მაგრამ ჭიდაობა არც ამჯერად მიუტოვებია. კლინიკაში ორ თვეზე მეტხანს დაჰყო, ოდნავ შეიმცირა ტკივილის ზღურბლი (მისგან სავსებით თავის დაღწევას ვეღარასოდეს ვერ შეძლებს, ახლაც აწუხებს) და მოიგო რამდენიმე შეჯიბრება. ძიუნხენის ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე რუმინეთში გაიმარჯვა წარმომადგენლობითს ტურნირზე. ეს იყო რომან რურუას უკანასკნელი გამოსვლა საჭიდაო ხალხისაზე, გამარჯვებით დაგვირგვინებული გამოსვლა!

ბევრს ჰგონია, რომ სპორტზე უნდა წერო როგორც განუწყვეტელ დღესასწაულზე. სტალიონებსა და სპორტდარბაზებში მყოფრებლები მიდიან სიხარულისათვის და არ არის საქროო გუნება გავუფუჭო მათ სპორტული გზის სიძნელეებზე ლაპარაკით. — ასე ამბობენ ეს ადამიანები. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი არ არიან მართლნი. ძვირი უჯდებათ ათლეტებს გამარჯვებანი დიდი სპორტის მძეინვარე, სასტიკი, მაგრამ მინც მშვენიერ სამყაროში. არ დაწერო ამაზე, ნიშნავს შეურაცხყო როგორც გამარჯვებულნი, ისე ისინი, ვინც აღფრთოვანებული არიან ამ ადამიანებით. არ წერო სიმართლე სპორტის შესახებ, ჩემი აზრით, დანაშაულია.

რომან რურუა ათ წელიწადს იყო სსრ კავშირის ნაკრების პირველი ნომერი. იგი ერთდროულად იყო გუნდის კაპიტანი, ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, მწვრთნელთა საბჭოს წევრი. ასეთი დიდი ნღობა მას წილად ხვდა სპორტისადმი ფანტიკური ერთგულების, დაუღალავი წვრთნის, პატიოსნებისა და პრინციპულობისათვის. ერთდროულად ამდენი პატივი არ ღირსებია არცერთ სპორტსმენს. თავისი დამოკიდებულება საკუთარი წვრთნისადმი, ჭიდაობისადმი თავდავიწყებული სიყვარული მან სხვებზე გადაიტანა, 1973 წელს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი რომ გახდა. როცა სათავეში ჩაუდგა გუნდს, საქმე ქართულ „კლასიკაში“ რიგზე ვერ იყო. ნაკრებს კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა კავშირში ერთ-ერთი ლიდერის როლი. ნიჭიერი ახალგაზრდა მოკიდავეები აქეთ-იქით იფანტებოდნენ იუნიორებიდან

მოზრდილებში ვადასკლისას. ასაღმა მწერთნელია ისე თავდაუზოგავად დაიწყო მუშაობა, როგორ თავდაუზოგავადაც ვარჯიშობდა, როგორ თავდაუზოგავადაც ეძვრებოდა ხოლმე მეტოქეებს. 20 დღე იმუშავა მარტო. სამი თვის შემდეგ ნიშნავენ უმაღლესი სკოლის დირექტორად და მოხდა თავისებური სასწაული. მოკლე ხანში — არსებობდა ერთ წელიწადში — გუნდს იმდენად შეემატა ოსტატობა, რომ ბევრი სპეციალისტებისათვის მოულოდნელად პირველი ადგილი დაიკავა (როგორც დიდებში, ასევე ახალგაზრდებში) ჩვენი ქვეყნის თავისი გათამაშებაში. რუსეთის ფედერაციის ნაყრებმა, ამ შეჯიბრებათა მუდმივმა გამარჯვებულმა, რურუას გუნდთან ფინალში წააგო. მანამდე კი ქართველებმა დაამარცხეს უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის და სხვა ძლიერი გუნდები.

რომან რურუასთან მუშაობა გაუჭირდათ იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე მიეჩვივნენ მყუდრო ცხოვრებას. მან თვითონაც არ იცოდა, რა იყო მოსვენება და სხვებიც ამ დღეში ჰყავდა. ეს არ ექაშნიკა ბევრს. ადამიანები, რომლებიც გუშინ აღფრთოვანებული იყვნენ მოჭიდავე რურუას ფანატიზმით, ამხედრდნენ მწერთნელ რურუას ფანატიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ხომ ერთი და იგივე ადამიანი იყო. სხვანაირი იგი ვერ იქნებოდა. რურუას სურდა მხოლოდ ერთი რამ — ემუშავა მოჭიდავეებთან, გადაეცა მათთვის თავისი უდიდესი გამოცდილება, მას კი კინკლაობის, მტრობის, „დასვეწილი პოლიტიკის“ კიდაობისაკენ ეწეოდნენ.

სამი პირველი თვე იგი აწყობდა თათბირებს. მოუწოდებდა კოლეგებს დაეწყათ ნამდვილი მუშაობა, ჰქონდა გულახდილი საუბრები, მაგრამ ვერაფერს ვახდა. და აი მაშინ მოხდა ისეთი რამ, რაც თბილისში დღესაც ახსოვთ. უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა შტატში გადაიყვანა ოცდაათი მწერთნელი, დანარჩენი დაითხოვა სამსახურიდან ოფიციალური ბრძანებით. განთავისუფლებულთა შორის იყო რესპუბლიკის და ჩვენი ქვეყნის თორმეტი დამსახურებული მწერთნელი. შევიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სდებოდა იმ დღეებში სპორტულ წრეებში.

შეიძლება დათხოვნილ მწერთნელებს ეყვირათ („როგორ გაბედა! ვინ მოამზადა მან? მაგას ვუჩვენებთ სეირს!“) და უგულუბელუყოთ დირექტორის ბრძანება, ამის შემდეგ ზედმიწევნით რეგულარულად ევლოთ სამუშაოზე. მაგრამ რურუასთან ასეთი „თამაში“ არ გაუვიდოდათ. მან სკოლაში საშვის სისტემა შემოიღო. დირექტორის ბრძანება ძალაში შევიდა.

საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო, უფრო სწორად, არც სურდა გაეგო, რურუას უკიდურესი ღონისძიებანი კიდაობის საქმის მოსაწესრიგებლად. სპორტკომიტეტმა

მხარი არ დაუჭირა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორს, ტენდენციურად ეძებდა ხარვეზებს მის საქმიანობაში და ბოლოს გაათავისუფლა სამუშაოდან. ზოგჯერ ისეთი რამეებაც ხდება, რასაც ნორმალური გონება ვერც გაიაზრებს. ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს სურდა მუშაობა, მაგრამ მას ხელს უშლიდნენ. რომან რურუა წავიდა სპორტიდან, ჭიდაობიდან, მაგრამ უსამართლო გაუაწყვეტილება დიდხანს არ დარჩენილა ძალაში.

ავტორიტეტულმა კომისიამ რომან რურუას განთავისუფლება არასწორად მიიჩნია და სპორტკომიტეტს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ აღედგინათ იგი აღნიშნული სკოლის დირექტორად.

მაგრამ ამჯერად უარი თვითონ რომანმა თქვა. „გაუბრაზდი მაშინ, მომბეზრდა კიდევ. გამახსენდა, რომ რენჩრის დიპლომი მაქვს. როგორც პარტიის წევრმა წერილობით მიემართე ქალაქის პარტიულ კომიტეტს, რათა დამხმარებოდა სამუშაოზე მოსაწყობად. მანამდე ექვსი თვე უმუშევარი ვიყავი, რეკომენდაცია გამიწიეს სპორტფაბრიკაში. მაღალი თანამდებობა არ მითხოვია. მოგვიანებით დირექტორის მოადგილედ დამნიშნეს“.

სპორტულ ნაკეთობათა თბილისის ექსპერიმენტული ფაბრიკა უზრუნველყოფს სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს მისი ბევრი ნაწარმი ჩვენს რესპუბლიკებში იგზავნება. საწარმო უშვებს მილიონობით მანეთის პროდუქციას. ფაბრიკა ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.

არც აქ შეცვლილა. როცა ლაპარაკია საქმის ინტერესებზე, იგი პრინციპულობას არავის დაეიესხება. მოსკოვის ოლიმპიადა-80-ის წინ ასეთ მწვავე საუბარს შევესწარი. დარეკა ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა. მოსთხოვა ფაბრიკაში არსებული მასალებიდან დაემზადებინათ ტენტები ჩაის საკრეფი მანქანებისათვის.

— ჩვენი მასალით ვერ შევასრულებთ ამ შეკვეთას, — მიუღია რომანმა. — ეს მასალა განკუთვნილია ტალინში გასაგზავნი იალქნებისათვის.

— თქვენ რა, არ გესმით, რაზეა ლაპარაკი: საქმე ეხება ჩაის მოსავლის წარმატებით აღებას! ამ კულტურას ჩვენი რესპუბლიკისათვის...

— მე მესმის თქვენი, თქვენ კი არ გსურთ ჩემი გაიგოთ. ჩვენს ქვეყანაში მეთურნეობა გეგმიანია. ჩვენ მოგვეცეს ვარკვეული რაოდენობის მასალა მიზნობრივი დანიშნულებით — ოლიმპიური ასპარეზობებისათვის იალქნების დასამზადებლად. გესმით? ეს ოლიმპიური შეკვეთათა მე მას არ ჩაეშლი. იშოვეთ ნედლეული და დაგეხმარებით...

რით დამთავრდა ყოველივე ეს? აი, რით: ტალინმა დროზე მიიღო

იალქნები, სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც ფაბრიკას მიაწოდა ნედლეული და ტენტებიც დათქმული დროისათვის დაამსაღეს.

როცა შევიტყვე ეს ამბავი, გავიფიქრე, რომ რომანი არა მარტო ჭკვიანი და პრინციპულია, არამედ გაბედულიც. გაბედულების გარეშე პირველ ორ თვისებას ჭიროვნად ვერ ვამოაველენ.

მასაც ყველასი სწამს, სწამს მანამ, სანამ არ მოატყუებენ. ერთიღო რომანთას უცხო კაცი მოვიდა. უთხრა: თქვენებური ვარ, გეგეჰკო-რიდანო. შეველა სთხოვა. რომანს სახელოც არ უკითხავს, ისე დაენმა-რა. მაგრამ ის კაცი ჭეროვან სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა და როცა კვლავ მოადგა, უთხრა:

— წადი! შენს სიტყვას რა ფასი აქვს. მე კი ვიცი სიტყვის ყაღ-რი. არ ვიცი, რა გქვია, და არც მინდა ვიცოდე... გამეცალე!..

რომან რურუას არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი სპორტთან. იყო საქართველოს კლასიკური ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე. ხშირად ესწრებოდა რესპუბლიკის ნაკრების წვრთნას. აინტერესებდა ყველაფერი, რაც ჭიდაობას შეეხებოდა. 1983 წელს სპორტის დამსა-ხურებელი ოსტატი რომან რურუა დაინიშნა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელად კლასიკურ ჭიდაობაში. ორგზის მსოფლიო ჩემ-პიონმა თეიმურაზ აფხაზავამ თქვა: გაცილებით დაჯერებულად ვგრძნობ თავს, როცა ხალიჩაზე ჩემს უფროს მეგობარს რომანს ვაეყავარ.

— მას არ უყვარდა სუსტი მოწინააღმდეგენი. პატივს სცემდა ძლი-ერებს. იმიტომ, რომ თვითონაც ყოველთვის ძლიერი იყო. არ ეძებდა იოლ გზებს... დაისახავდა მიზანს და მიდიოდა გამარჯვებისაკენ ისე, რომ აქეთ-იქით არ იხედებოდა. ყოველთვის პირდაპირ მიდიოდა ნამ-დვილი მოჭიდავე იყო!..

ეს რომან რურუას შესახებ თქვა გივი კარტოზიამ. ნათქვამს ველა-რაფერს დაუვმატებ.

მოჭიდავე ლეგენდა

„ლეგან თედიაშვილი ჯერ კიდევ ორ-
თაბრძოლის დაწყებამდე იმარჯვებდა.
მიუდოლა მეტოქესთან მოთელჯასას,
მეგობრულად გაულეშებდა და ეტყოდა:
ბერს ნუ ვარჯიშობ, ღაღანს ქაღობა
არ მოგვრწევს, ჩქარა მოგვებო. და
ივებდა კიდევ, როგორც წესი. საქმაოდ
სწრაფად. უღაღესი ტალანტი იყო!“

აიღინ იბრაჰიმოვი

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ქ. მოსკოვი.



ლეგან თედიაშვილი.

ერთხელ ორჯზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში
ვალერი რეზანცევმა თქვა: „იქნებ გააკვირვოთ, მაგრამ, გამოგიტყდე-
ბით, ვერ გამიგია, რითი იბრძვის თედიაშვილი. ღონე, ტექნიკა და
ტაქტიკაო, ყველაფერი ეს, კარგა ხანია ვიცი, საჭიროა. გუშინდელი
მოჭიდავე ხომ არ ვარ. მინდვრის სათხრელად რომ ნიჩაბი მაინც
გპირდება კაცს, ეს გასაგებია, მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს.

ჩემს ხასიათზე გეტყვი: მეტოქეს თუ შევიცოდებ, სულ ცოტა მი-
სი დამარცხების ორი საათის შემდეგ. თედიაშვილი კი! იგი მოწინააღ-
მდეგეებს თანაუგრძნობს ჯერ კიდევ ჭიდაობის დაწყებამდე. მე ეს არ
შემიძლია. იუმორის გრძნობა ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე მიქრე-
ბოდა. ის კი ხალიჩაზე ღიმილით გამოდის. თუ რაიმე ონს არ ჩაი-
დენს, გაიხუმრებს მაინც. უღიმილოდ თედიაშვილი არ მახსოვს და
აი დგება საკითხი: „რით იბრძვის იგი?“

გაუღიმებელი თედიაშვილიც მინახავს. 1976 წლის 31 ივლისს ათ საათზე მონრეალის დროით იდგა ოლიმპიური ხალიჩის ნაპირას, ელოდა, როდის იხმობდა მსაჯი მოედნის შეაგულში, და არ იღიმოდა. თედიაშვილის მკაცრი, გაქვავებული სახის დანახვა ყველასათვის იმდენად უჩვეულო იყო, რომ ეს ეხაშუშით კადეც მწვრთნელებს. მათ ნერვიულად გადახედეს ერთმანეთს. რაღაც მოკლეად გადაულაპარაკეს, ერთი სიტყვით, შეჩოჩქოლდნენ.

უნდა გამართულიყო უკანასკნელი, სათვალავით 340-ე შეხვედრა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირში. ფინალური ორთაბრძოლა მეორე საშუალო წონაში. ეს იყო საბჭოთა სპორტსმენების უკანასკნელი სტარტი XXI ოლიმპიურ ასპარეზობებზე. სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა უკვე გაითამაშეს თავიანთი მედლები. ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი (სსრ კავშირი) და ოლიმპიური ჩემპიონი ბენჯამინ პეტერსონი (აშშ) ემზადებოდნენ გაერკვივით, რომელ ქვეყანას ერგებოდა მონრეალის უკანასკნელი „ოქრო“.

ეს ორთაბრძოლა იყო იმ დრამის მეორე მოქმედება, რომელსაც ეწოდა „თედიაშვილი ძმები პეტერსონების წინააღმდეგ“. XX ოლიმპიადაზე მიუნხენში, სადაც თედიაშვილი პირველ საშუალო წონაში გამოდიოდა (82 კილოგრამი), ჯერ ჯონ პეტერსონს მოუგო ფინალური შეხვედრა თავბრუდამხვევი ანგარიშით, შემდეგ კი მსაჯები აიძულა მეტოქე მოეხსნათ ხალიჩიდან. ამავე ოლიმპიადაზე მეორე საშუალო წონაში (90 კილოგრამი) იბრძოდა ჯონის ძმა — ბენჯამინი — ძლიერი, ამტანი, მკაცრი ყმაწვილი. მან ორჯერ გაუმართლა იმედები მწვრთნელებს, გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

ორივე ძმა მიუნხენშიც ჩავიდა. თურმე, როცა ჯონიმ გაიგო, რომ თედიაშვილი მის კატეგორიაში აღარ ჰქონდა, ბენისთვის უთქვამს:

— ახლა შენი შემოწმება გადაუწყვეტია...

— ერჩივნა თავის კატეგორიაში დარჩენილიყო, ჩემთან ვერაფერს გახდება, — ცივად უპასუხია ბენს.

შესაძლოა, თედიაშვილმა გაიგო ბენის. ასეთი არასტუმართმოყვარეობა. შესაძლოა. კარგად არის ცნობილი, რომ შეხვედრის წინ ლევანმა თქვა: „ამ „ოქროს“ ამერიკელებს არ დაეანებებთ... ჩვენ თვითონ გამოგვადგება“.

თუ ეჭიდავები მეტოქეს, რომელიც ორთაბრძოლის დასაწყისშივე ხელს არ გაცილებს შუბლიდან, ეს საშინლად გაღიზიანებს. მოჭიდავე ნაბიჯსაც ვერ დგამს ხალიჩაზე — ყველგან ხვდება მეტოქის ხელისგული. ასეთ ვითარებაში შეტევა ძნელია. ბენ პეტერსონი გაღიზიანებული ატრიალებდა თავს, ისე ტყეპნიდა ხალიჩას, თითქოს მეტოქეს კი არა, მის ხელს ებრძვისო. მეორე წუთიდანვე თედიაშვილმა შეიწყალა ბენი, მოაცილა ხელი მის შუბლს. გახარებული პეტერსონი გამო-

ცოცხლდა. ახლა, როგორც იქნა, დანახა მთელი ხალიჩა, დანახა მეტოქე. ვავლახ. ბენჯამინისათვის ეს სასიამოვნო ჩვენებანი დიდხანს არ გაგრძელებულა. თვლიაშვილი გაქრა თვალსაწიერი სივრციდან. ჩაყვინთა ქვევით, ეცა მეტოქის ფეხებს, მოუღუნა — პეტერსონი ჩოქბჯენში გადაიყვანა და დასცა, ქულა მოიგო. ნახევარი წუთის შემდეგ მსაჯმა შეაჩერა ორთაბრძოლა და თვლიაშვილი პასიურობისათვის გააფრთხილა. 1:1...

— ტყუილად აღმფოთდი. მსაჯებს რას ერჩით! მათ სრულიად სამართლიანად დასაჯეს. მე მართლაც აღარ ვკვიდობდი ქულის მოგებას შემდეგ. ვიდექი ჩემთვის და მხოლოდ შუბლს ვუზღელდი ბენს. ეს მას ისე აბრაზებდა, როგორც ხარს წითელი მოსასხამი. ის ცდილობდა ეჭიდავა. მე არ ვკვიდობდი. ამიტომაც მომცეს მსაჯებმა გაფრთხილება. ასე იყო საჭირო.

ყველაფერი ჩვენი სცენარის მიხედვით მიდიოდა. ანგარიში ძალიან არ უნდა გამეზარდა. ბენჯამინი ამით დაკარგავდა საკუთარი ძალეზით დაწვევის იმედს და საქმეში მსაჯები ჩაერეოდნენ. ბავშვისთვისაც კი ცხადი იყო, რომ მსაჯები ეცდებოდნენ ეს უკანასკნელი მედალი ამერიკელს დარჩენოდა. რაც არ უნდა იყოს, მათი კონტინენტი იყო. უამრავი გულშემატკივარი ჩავიდა. საჩუქრებისთვისაც დაიხარჯნენ. ნერვიულობდნენ, რომ ამერიკელებს ოქროს მედლები ნაკლებად ერგოთ. თითქმის სახლში იბრძოდნენ, მედლები კი ვერ მოიპოვეს. ცოდონი იყვნენ. მსაჯები ჯოხს ჩემზე გადატეხავდნენ.

ბენი გახელებული ხარივით დაიწყებდა ბტუნვას ხალიჩაზე და შეიძლება იმდენი ესტუნა, რომ კიდეც ორი გაფრთხილება მიეღო. მეც ეს მინდოდა. ამიტომ სულ ახლოს ვიყავი მასთან, — თქვა თვლიაშვილმა შემდეგ.

იერიშზეა პეტერსონი, თვლიაშვილი უკან გარბის, ჩოქბჯენში გადადის. 2:1. ბენი ჯდება (ოსტატურად!) და კვლავ ქულას იგებს. პერიოდის ბოლოს ამერიკელი დაწინაურდა 3:2. ყველაფერი ჩვენი სცენარის მიხედვით მიდის!

დიახ, მაგრამ ამ სცენარის შესახებ ჩვენმა გულშემატკივრებმა მხოლოდ შერკინების შემდეგ შეიტყვეს. ეს ხომ საიდუმლო სცენარი იყო. მსოფლიოში ყველაზე საიდუმლო სცენარი! მსაჯები მიაპიტები არ არიან. ძალიან ძნელია მათი გაუცურება. მათ პირველ ყოვლისა უნდა დაეჯერებინათ, რომ თვლიაშვილს ქანცი გაუწყდა, მოიღალა, არაქათი გამოეცალა და აღარ შეეძლო ებრძოლა მონრეალის უკანასკნელი მედლისათვის. პირველ რიგში მსაჯები უნდა დაგვერწმუნებინა ამაში და შემდეგ პეტერსონი. სულ ბოლოს კი ჩვენი გულშემატკივრები. მათ არაფერი დაემართებოდათ, მოითმენდნენ, გაუძლებდნენ.

ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა „სასიამოვნო“

ჩვენებოდა გვეტყობა ლევან თედიაშვილისათვის. რომელიც უკანასკნელ ფინალურ ორთაბრძოლას აგებდა. შესვენების დროს მან პირველად გაიღმა და ჩვენმა მწვრთნელებმაც შევებით ამოისუნთქეს.

-- რა ეშმაკია ეს ბენ პიტერსონი! ერთი უბრალო ფენის გამოკერით სურს მოიგოს ბრძოლა.

თედიაშვილს ასისტენტობას მართო მწვრთნელები კი არ უწევდნენ... მძლიათამსლე არსენ მეკოკიშვილი. ცეცხლოვანი გივი კარტოზია. ბრძენი ვახტანგ ბალავაძე. ელიქტრონის მექანიზმივით ზუსტი რომან რურუა. დაუოკებელი შოთა ლომიძე. მათ გადასცეს გამარჯვების ესტაფეტა ლევან თედიაშვილს. შესანიშნავი ქართული მოჭიდებები დარწმუნებული იყვნენ, რომ ლევანი არ უმტყუნებდა მათ, რომ ჯახდებოდა რესპუბლიკაში პირველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქიდაობაში. ესენი იყვნენ მისი სექუნდანტები ამ ოლიმპიურ დუელში.

...ბენის ასისტენტი იყო ჯონი. მისი კატეგორიიდან თედიაშვილის გადასვლას შემდეგ ჯონიმ უკვე მოასწრო გამხდარიყო მონრეალის ოლიმპიური ჩემპიონი. ძმებს კიდევ ერთი ოქროს მილების დიდი სურვილი ჰქონდათ ჯონი გაძლიერებით უხელდა ძმას ფეხებს. ილიმბოდა და დროდადრო მუშტს იქნევდა ჰაერში, როგორც ფეხბურთელი. როცა ბოლოს და ბოლოს გააქვს გოლი.

მეორე პერიოდის დასაწყისში ბენმა კიდევ ერთი ქულა მოიგო. კაცმა რომ თქვას, „მოიგო“ მთლად ზუსტი გამოთქმა ვერ არის. მე იქვე ხალიჩასთან ვიყავი და ვხედავდი: თედიაშვილს შეეძლო არ მიეცა ის ქულა. მაგრამ მისცა. 2:4. თითქმის ერთი წუთი ცდილობდა პეტერსონი რამე მოეხერხებინა, როცა ზემოდან იყო ჩოქბჭენში. ლევანი გრიფობდა ყრუ დაცვას, რომ მსაჯებს ბრძოლა დგომში არ გადაეყვანათ. თედიაშვილი ბენს საშუალებას აძლევდა განეხორციელებინა ნებისმიერი ჩავლება. იგი საერთოდ ყველაფრის საშუალებას აძლევდა შეტოქეს. გარდა შედეგიანი ილეთებისა. ლევანი ჩოქბჭენში იღგა, ბენი კი ზემოდან დასტრიალებდა. დრო იწურებოდა, ყველაფერი ჩვენი სცენარის მიხედვით სრულდებოდა. მსაჯებს აზრადაც არ მოსდიოდათ დაესაჯათ თედიაშვილი დაყოვნებული მოქმედებისათვის. საბჭოთა მოჭიდავე ხომ ისედაც აგებდა. როგორ არ ესარგებლათ ამ შენაძლებლობით და არ ეჩვენებინათ აბსოლუტური ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ვერაუინ იტყოდა, თედიაშვილს მსაჯებმა წააგებინესო. პეტერსონი მათ დაუხმარებლადაც იმარჯვებდა.

ლევანდარული კანადელი ჰოკეისტის მორის რიშარის სახელობის არენას დანგრევის საფრთხე ემუქრებოდა. ამერიკელ გულშემატკივართა ყვირილი დიდი ხანია კრიტიკულ ზღვარს გადასცილდა. ეს გასაგებიც იყო: მონრეალის უკანასკნელ „ოქროს“ მათი კერპი იგებდა. ამ პერიოდის დამთავრებას 37 წამი აკლდა. დარბაზი გაირინდა.

თედიაშვილმა სალიჩის თავზე დაკიდებულ წამშრომს ასედა, გაი-
ლიმა, ხელი ხელს შემოჰკრა, როგორც ეს მხოლოდ ქართველებს სჩვე-
ვიათ, და სარმა გამოსდო ბენს. მოცელილი პეტერსონი მუხლებზე
დაეცა. ქულა წააგო. ლევანმა სწრაფად მეორე მხარეს გადაავდო ბე-
ნი, ხიდურზე შეაყენა და კიდევ ორი ქულა მიიმატა. პერიოდი ჩვენ
სასარგებლოდ დამთავრდა ანგარიშით 6:4. ტრიბუნები ღუმდნენ.

ლევანი მოწყვეტით დაეშვა სკამზე. ხელი მასაჟისტს გაუწოდა და
უთხრა: მეცოდება ბენი, წააგო და ვერ მიხვდა... კარგი ბიჭი კია... ძა-
ლიან გამძლე...

ამ სიტყვების შემდეგ ჩვენი მწერთნელები სრულიად დამშვიდნენ.
თედიაშვილს ებრალება მეტოქე, მას ყველაფერი რიგზეა. თედიაშვი-
ლი მიაპიტი არ არის, მას მხოლოდ მაშინ ეცოდება მეტოქე, როცა
მართლა შესაცოდია. მწერთნელები დამშვიდდნენ, მაგრამ ახლა ჩვენი
გახარებული გულშემატკივრები გადაირივნენ. მათ სხვა ვერაფერი მო-
იფიქრეს, გარდა იმისა, რომ მოჰიდავეს დასძახოდნენ. „ლევან! შა-
იბა!“ შემდეგ ჩვენმა მცირერიცხოვანმა გულშემატკივრების კორპუს-
მა, რომლის შემადგენლობაში თედიაშვილის თანამემამულენიც იყუ-
ნენ, დააკონკრეტეს, შეასწორეს ეს შეძახილი და ამ საშინელი ორთა-
ბრძოლით შეძრული ქართული სულიდან ამოხეთქილი სიტყვები დას-
ქექეს: „მადი, მიდი, ლევან! მიდი, მიდი!“

პეტერსონმა იცოდა, რომ სამი წუთი სწრაფად გაირბენდა. იგი
ჩქარობდა. ქარბორბალასავით დატრიალდა ბენი ლევანის წინ, რაკე-
ტის სისწრაფით ცუცქდებოდა მის ფეხებთან, იკრუნჩხებოდა, ეხეთ-
ქებოდა და მოიგო ერთი ქულა. თედიაშვილმა ამავე დროში ხუთი ქუ-
ლა მიიღო. რატომ არ უნდა მოეგო. მან ხომ თავისი ენერჯის ძირი-
თადი, მესამე მუხტი, გადამწყვეტი პერიოდისათვის შემოინახა. მას
ოდნავაც არ დაურღვევია თავისი ბრძნული, ახლა უკვე გენიალური
სცენარის მსაჯი ვერ ჩაერეოდა, ეერაფერზე ვერ გამოედავებოდა.

ლევანი მეტოქეს მრავალტონიანი წნეხივით აწევებოდა. ხოლო რო-
ცა ბენი ყვინთავდა და თედიაშვილს ფეხებში ეტანებოდა, „წნეხი“
პეპლის სიმსუბუქით ფრენდა ზემოთ. ქმნიდა სიერცეს თავისსა და
ხალიჩას შორის და ამ „შავ ხვრელში“ ითრევედა პეტერსონს, ზუთჯერ
ჩაყვინთა ბენმა — ხუთი ქულა მოიგო ლევანმა. მსაჯები რაში გამოედა-
ვებოდნენ? ჩამოჰკრეს გონგი. 11:51

თსუთმეტი წლის წინათ თედიაშვილმა პირველად მოიგო მსოფ-
ლიოს ჩემპიონატზე არანაკლებ ავტორიტეტული შეჯიბრება თავისუ-
ფალ კიდაობაში — თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ტურნირის
პრესცენტრში — სპორტის სასახლის ქვედა პოლის პატარა გვერდით
ოთახში, სადაც რამდენი ყურნალისტიც არ უნდა შეკრებილიყო, ჩვენ-
თვის მუდამ მოიძებნებოდა ადგილი, ცხარედ განიხილავდნენ ლევა-

ნის ზრწყუნვალე ასპარეზობას. თითოეული ჩვენგანი მთავარი გმარის „სახის გახსნის“ საკუთარ ვერსიას სთავაზობდა. თითოეულს სურდა ზნეცნებინა, რომ მხოლოდ მან დაინახა ყველაზე არსებითი ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭირდავის ოსტატობაში.

ჩვენ ყველანი ერთად ავლპარაკდით. ყველა თავისას გაიძახოდა. ეს გასაგებოც იყო. გაოცებული ვიყავი ნანახით. მივხვდი, რომ გამოჩენილი ოსტატის დაბადების მოწმენი გავხდით. ამიტომ ყველა ავლპარაკდით. დეჰდა მხოლოდ ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, ქართული ჰიდაობის მკმატიანე ნოდარ გუგუშვილი. ბოროტი ენები ამტკიცებდნენ, ორიგინალობის ძებნაში ნოდარი ჭერ კიდევ მეორე კლასში გაჭალარავდაო. გუგუშვილს სხეებზე ნაკლებად კი არა. მეტად უხაროდა (კიდევ ერთი ქართული ტალანტი გამოვიდა საჭიდაო მოედანზე), ისიც გაოცებული იყო, ისიც ჩვენსავით იღიმებოდა. მაგრამ არაფერს ამბობდა. მეორე დღით კი „ლელოში“ გამოქვეყნდა მისი ანგარიში. რა დაწერა, არ ვიცი, მაგრამ სათაური მითარგმნეს. დიდებული იყო ეს სათაური — „აი, როგორ უნდა ჰიდაობა!“

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ მონრეალში ლევან თედიაშვილის გამოსვლის შესახებ ამაზე უკეთესად ვერას იტყვი. მართლაც. აი, როგორ უნდა ჰიდაობა, და აი, როგორ უნდა იწერებოდეს „სიკენარი!“

როცა პრიზორებს აჯილდოებდნენ, ლევანს ნათელი ღიმილი დაჰფენოდა. ბეწკამინი კი გვერდით იდგა, მოწყუშული, თავჩაღუნული. თედიაშვილმა მზარზე ხელი დაადო, მსუბუქად შეარხია და რალაც უთხრა. ბენმა თავი ასწია, გაუღიმა და ხელი ჩამოართვა ჩემპიონს. მიხვდა, რომ თედიაშვილს გულწრფელად სურდა დამარცხების სიმწარე შეემსუბუქებინა მისთვის.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ლევან თედიაშვილი სამშობლომ თავისი უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოვა. საქართველოს კომკავშირელებმა იგი თავისი ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს. ლევანი იყო ალკ XVII და XVIII ყრილობების დელეგატი.

...დიდი სპორტი სერიოზული საქმეა და ურთიერთობა მის ქვეშევრდომებს შორის სულაც არ არის ლირიკული. და მაინც როცა ლაპარაკობდნენ სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანზე თავისუფალ ჰიდაობაში ლევან თედიაშვილზე, ლირიკისთვისაც იძებნებოდა ადგილი.

— როცა მსოფლიო ჩემპიონატზე მეხიკოში ლევანმა მოულოდნელად წააგო ჰაროლდ ბიუტნერთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, მე შევეშინდი არა თედიაშვილის, არამედ გუნდის გამო, მითხრა თური შახმურადოვმა, რომელიც მაშინ ჩვენს ნაკრებს მეთაურობდა — ბიჭები. ისე მოიშალნენ, თითქოს ერთ წრეში ექვე-ექვსი საჯარიმო ქულა დააგროვეს და ჩემპიონატს გამოეთიშნენო. ლევანს

ყველას უყვარდა იმიტომ, რომ თვითონაც ყველა უყვარდა. იგი ჩვენი გუნდის სული და გული იყო! მას ისეთი გული აქვს, რომ ყველას დაიტევს. მაშინ მეხეიკოში ვუთხარი: „რალა უნდა ვეღონოთ, შენმა დამარცხებამ მთელი ვუნდი ააფორიაქა“.

— „ახლავე გავაყეთებთ ამას, — მიპასუხა, — ახლავე ისე გავახალისებ, რომ მეხეიკოს ზღვის დონის ქვემოთ ჩაიტანენ!“

შეკრიბა ბიჭები და უთხრა: „მუშეკტერებო, წინ! მოუწყეთ მათ ყველას ვენდეტა თქვენი სახელოვანი კაპიტნის ლევან თედიაშვილის დამარცხებისათვის!“ ყველა იცინის, ჩვენ, მწვრთნელები, დავმშვიდდით: როცა პასუხსაგებ შეჯიბრებებზე მოქიდავენ იცინიან, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა...

ადგილი როდია ზუსტი ზღვარი გააგლო ხუმარა თედიაშვილსა და სერიოზულ თედიაშვილს შორის. საერთოდ ვერ გაარჩევ, როდის ხუმრობს და როდის არა. აი ინფორმაცია მსჯელობისათვის. თედიაშვილი და ივანე იარაგინი ახლო მეგობრები არიან. ორჯერ მოიგეს ორი ოლიმპიადა, ათ წელიწადს იყვნენ სსრ კავშირის ნაკრებში, ერთდროულად მოვიდნენ და ერთდროულად წავიდნენ. დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ!

ერთ-ერთი საკავშირო ტურნირის დროს, მგონი კრასნოიარსკში, ლევანმა ივანს დარბაზის ფოიეში დაუყვირა: — არ მომეკარო, არ მომეკარო, ვანია, არც შენ გარგებს და არც მე. ყველამ იცის, რომ ჩვენ მეგობრები ვართ. ახლა წაგაქციე და მაშინვე ხმა დაირხევა, ტყუილად ჰქიდაობენ, მორიგებული არიანო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო და ყველაზე მეტი თვით იარაგინმა იცინა.

მაგრამ აი ოინი. თედიაშვილი ხალიჩაზე გამოვიდა თავისი მეგობრის წინააღმდეგ და ბეჭებზე ვააკრა. საკითხავია, როდის ხუმრობდა ის და როდის იყო სერიოზული? ან კიდევ: თედიაშვილთან ფინალურ შეხვედრაში აღმათელ პეტრე სურიკოვს მძიმედ დაუშავდა ხელი. სინახულისაგან ლევანი ადგილს ველარ პოულობდა. დაჯილდოების შემდეგ კი სურიკოვი აიძულა საჩუქრად მიეღო თავისი პრიზი. ეს სერიოზულად მოხდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სურიკოვს ხელი აღარ სტკიოდა, ლევანმა მას უთხრა: ყური მიგდე, პეტია, მოდი მოგრიგდეთ: მუდამ მოგცემ ყველა ჩემ პრიზს, მედლისა და დიპლომის გარდა, მაგრამ შენც უნდა იცისრო ვალდებულება: აღარასოდეს მიიღო ტრავმა. თორემ მე შიშით ინფარქტი დამეშართება. თუკი დააპირებ ტრავმის მიღებას, წინასწარ გამაფრთხილე.

ამბობენ, სურიკოვს სიცილით ხელი ისევ ასტკივდაო.

საკითხავია, საიდან მოსდგამს ეს ბუნებრივი იუმორი ლევან თედიაშვილს?

კახეთში. არის ერთი რკინიგზის, რომელსაც საგარეჯოს ეძახიან. ამ

რაიონს რომ შვე თავის სიტბოს უხვად აბნევს განსაკუთრებული კუთხით, ეს ფენომენი ჯერ კიდევ აღმოსაჩენი აქვთ მეცნიერებს. იქნებ ამიტომაცაა, რომ აქ მსოფლიოში საუკეთესო ვაზი ხარობს (ლევანი დარწმუნებულია ამაში) და ამავე დროს ლალი და კეთილი აღამიანები ცხოვრობენ.

1941 წელს ფაშისტი ურჯულებს წინააღმდეგ ომში საგარეჯოდან წავიდა გლეხი ქიტესა თედიაშვილი. ქერჩთან ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა: ყუმბარის ნამსხვრევები მკერდში ჩარჩა, მოემტვრა ფეხები, ხელის თითები, დაახლოებით ერთი წელი იწვა ჰოსპიტლებში. მწყობრში დაბრუნებასკი ლაპარაკიც ზედმეტი იყო...

დემობილიზებული ომის ინვალისი ქიტესა თედიაშვილი შინ დაბრუნდა. მუშაობდა კოლმეურნეობაში და ხშირად ფიქრობდა, უბავშვეობო სახლი რა სახლიაო. ამ დროს ომის უკუღმართობამ ვოლოგდიდან საგარეჯოში ჩაიყვანა ახალგაზრდა ქალი ალექსანდრა ერიალოვა ოთხი წლის ბიჭუნათი. გერას მამა ომში დაიღუპა. და ისე მოხდა, რომ გამარჯვებიდან ორი წლის შემდეგ საგარეჯოში შეიქმნა ახალი ოჯახი. ქიტესას გერმანი ღვიძლი შვილივით უყვარდა, მაგრამ გვარი არ შეაცვლევინა და უთხრა: ბიჭი დაღუპული მამის გვარს უნდა ატარებდესო. გერა უკვე მოსწავლე იყო, როცა თედიაშვილების ოჯახში გაჩნდა მეორე ბიჭი — ლევანი...

ერთი ბრძნული ანდაზისა არ იყოს: „ღედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოჩნებო“. ლევან თედიაშვილი ასეთი იმიტომ არის, რომ მძიმე ომის შემდგომ წლებში მისმა მამამ ბედის ანაბარად არ დატოვა დაობლებული ღედა-შვილი, გულის სიტბო არ მოაკლო, გაიზიარა მათი ჭირ-ვარამი და დარდი შეუშუსუბუქა. ლევან თედიაშვილი ასეთია იმიტომ, რომ ღედამისი ცოლად გაჰყვა მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცს, გაზარდა ორი შვილი — ფალავანი...

— როგორ გავხდი მოჭიდავე? — იკითხა თედიაშვილმა და დამახასიათებელი ენით ტაში შემოჰკრა: — ყური მიგდე. ვინ არ ჰიდაობს? ჩვენთან. მართალია, დიდხანს ვთამაშობდი ფეხბურთს, პირველი თანრიგი მქონდა. გერმანე სამხედრო სავალდებულო სამსახურში იყო, სამბოს დაეუფლა და უკან რომ დაბრუნდა, მირჩია, მოჭიდავე გახდიო. უფროს ძმებს საქართველოში არ ედავებთან. მეც დაუუჭერე. ჩემი პირველი მწვრთნელი ვანიკო მეკოკიშვილი იყო, არსენ მეკოკიშვილის ნათესავი. ძალიან ვამაყობდი ამით.

1966 წელს ლევან თედიაშვილის ცხოვრებაში შევიდა ვახტანგ ბალავაძე — მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, რომელსაც ჰიდაობის პროფესორს უწოდებდნენ. სწორედ ბალავაძემ მოიყვანა ლევანი დიდ სპორტში. იური შახმურადოვმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თედიაშვილის სპორტულ ბედ-აღბალში.

— რომ არსებობდეს კიდევ ოსტატობის გაზომვის სკალა. შახმურადოვს მაინც არ ეყოფოდა: — თედიაშვილი დიდხანს გაჩუმდა. — ხალიჩაზე მას ყველაფერი ემარჯებოდა. ასეთი რამ მე არც დამსიზმრებია... ჭერ ორჯერ წაგაე მასთან, შემდეგ ჩემთვის ხელსაყრელ ფრეს მივალწიე და მხოლოდ მეოთხე შეხვედრა მოვიგე. ოთხ მსოფლიო ჩემპიონატზე და XXI ოლიმპიადაზე მისი ხელმძღვანელობით გავიმარჯვე. მინდა, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზეც იგი იყოს ჩემი სეკუნდანიტი. მაგრამ ჭერ არ ვიცი, მომიწევს თუ არა ამ ხალიჩაზე გასვლა...

აი დადგა დრო მოგიხსროთ ლევან თედიაშვილის სპორტული ცხოვრების უკანასკნელ ეტაპზე, რომელსაც შეიძლება ბრძოლა ოლიმპოსათვის ეწოდოს. მისი მესამე მწვერვალისათვის, მოსკოვისათვის.

სპორტული გზის, ამ, ალბათ, ყველაზე ძნელ მონაკვეთზე თედიაშვილს გვერდში ედგა ღინამოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი აიღინ იბრაჰიმოვი.

ჩუმმა, გამხდარმა, კამათში შევახე იბრაჰიმოვმა იცის გულითადი მეგობრობის ატმოსფეროს შექმნა იმ ადამიანებთან, რომლებსაც სჭერა, რომლებიც უყვარს. გვერდით იბრაჰიმოვი რომ ეგულებოდა, ლევანი თამამად გამოდიოდა ჭილაობის ფართო ასპარეზზე, სადაც აპირებდა ეთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა...

ისინი ხუთნი იყვნენ და თამაშობდნენ „თითოეული თითოეულის წინააღმდეგ და ოთხი ერთის წინააღმდეგ“. გარემოება განაპირობებდა ამ თამაშის წესებს. გამარჯვებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი უნდა გასულიყო მოსკოვი-80-ის ოლიმპიურ ასპარეზზე. ვინ იყვნენ ისინი, ეს ხუთნი?

თბილისელი ლევან თედიაშვილი — თავისუფალი ჭილაობის ქართული სკოლის სიამაყე, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფიგურა საბჭოთა სპორტში. სსრ კავშირის ნაკრების ბრძენი, ცეცხლოვანი, მუდამ მოლიმარი კომსორგი. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

ივანე იარიგინი — შორეული კრასნოიარსკიდან. ქერა, დიწკი. ციმბირის დიდი, მძლავრი ხეებისგან მგარი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

გროზნოელი ასლანბეკ ბისულთანოვი — მრისხანე, ძლიერი, არაკონტაქტური, ჩუმი. მსოფლიო ჩემპიონი.

მახაჩყალელი მაჰომედ მაჰომედოვი — ამტანი, წყნარი, გულკეთილი, ევროპის ჩემპიონი.

დონეცკელი ილია მატე — ფლეგმატური, მხარბეკიანი, ყურადღებით მზირალი. მსოფლიო ჩემპიონი.

არავინ არ აპირებდა დათმობას. ყველას სურდა შესულიყო ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში. ყველას უჭონდა ამის უფლება. და აი,

სწორედ მწვრთნელებს უნდა განესაზღვროს, ვინ იყო საეკეტესო ამ შესანიშნავ ხუთეულში.

სსრ კავშირის ჩემპიონატზე 1978 წელს ლევან თედიაშვილი არ გამოსულა. ილია მატემ ქულუბით მოუგო ივანე იარიგინს, ბექებზე დააწვინა ასლანბეკ ბისულთანოვი და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ვასდა.

მაგრამ მსოფლიო პირველობაზე მატე არ წასულა. თედიაშვილმა მოუგო მას თბილისის ტურნირზე და გამოითიშა ნაკრების პირველი შემადგენლობიდან.

მსოფლიო პირველობაზე ლევანმა წმინდად წააგო ჰერალდ ბიუტნერთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

შეშვითდნენ ჩვენი მწვრთნელები. ივანე იარიგინმა თავის დროზე წმინდად წააგო ამ ათლეტურ გერმანელთან. ახლა ბექებზე გაკრული თედიაშვილი აღმოჩნდა. დიახ, იგი მხოლოდ ნიშანში იღებდა ქვემძიშე წონას. უნიკალური მოქიდავე იყო: ოლიმპიკადა მიუნხენში და პირველი თავისი მსოფლიო ჩემპიონატი 82-კილოგრამიანების კატეგორიაში მოიგო. ოლიმპიკადა მონრეალში და კიდევ სამი მსოფლიო პირველობა — 90-კილოგრამიანების კატეგორიაში. ახლა კი 100-კილოგრამიანებში ჰიდაობდა. თბილისის ტურნირი და ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატში წააგო. მოსკოვის თამაშები კი კარზე იყო მომდგარი. რაღაც უნდა გველონა. ჩაფიქრდნენ ჩვენი მწვრთნელები.

ჩაფიქრდა მატეც, ის მატე, რომელზეც ამბობდნენ: „ეს ფლეგმატიკოსი თავს უფრთხილდება — სწორედ იმდენს ვარჯიშობს, რამდენიც სწადია...“ მატემ იცოდა, რომ მისი დრო დადგა. საჭირო იყო მხოლოდ ძალების მოკრება ხანგრძლივი გამოდევნებისათვის. პირველი რიგში უნდა გამოდევნებოდა ლევან თედიაშვილს.

დიდ სპორტს თავისი კანონები აქვს.

ბედნიერებაა, როდესაც მისდევ გამოჩენილ ათლეტებს. ისინი განსაზღვრავენ შენს მიზანს: დაეწევი მათ, ჯილდოდ მიიღებ „ოქროს“. დიდა მიზანი ბევრ რამესაც გძენს. შენ მოგეთხოვება მხოლოდ ერთი რამ — არ გატყდე, გაუძლო სრბოლას, რომელიც აგიჩქროლებს სიხსნს. გაუძელი, თუ შეგიძლია!..

1979 წელი დიდი გამოცდების წელიწადი იყო.

თბილისის ტურნირი: მატე ამარცხებს იარიგინს, ბისულთანოვს, მაპომედოვს და პირველ ადგილზე გადის.

ევროპის ჩემპიონატი: მატე ამარცხებს მეტად საშიშ ბიუტნერს და პირველ ადგილზე გადის.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიკადა: მატე წმინდად უგებს იარიგინსა და მაპომედოვს და პირველ ადგილზე გადის. თედიაშვილი არ მონაწილეობდა. იჭდა ტრიბუნის ზემო რიგში და, როგორც არ-

წივი კლდიდან, თვალს ადევნებდა იმას, თუ რა ამბებს ატრიალებდა ხალიჩაზე მძვინვარე მატე.

1980 წელი. თედიაშვილმა იცის, რომ მეტი ლოდინი აღარ შეიძლება და გადის საჰიდრაო სარბიელზე. თბილისის ტურნირი. მშობლიური ქალაქში. სადაც მისი გამარჯვებებით განებივრებული გულშემოტკივრები ტრობუნდიან გაიძახიან: „ლევან, ჩქარა ნუ წააქცევ! ჰიდაობა გვანახე!“ ამ ქალაქში თედიაშვილი მატესთან აგებს ანგარიშით 5:6.

— მორჩა! ვამთავრებ! — ბრაზით წარმოთქვა ვასახდელში. ინფარქტი და ინსულტი მაქვს ერთდროულად! — აგლებით თქვა საკუთარ თავზე.

ერთი თვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ლევანი ისე ვარჯიშობდა, როგორც არასდროს უვარჯიშნია თავის სიცოცხლეში.

კონჩა-ზასპა კიევის მახლობლად. ოლიმპიური ბაზა. კვირადღეა. ყველა მოჰიდავე ისვენებს. მხოლოდ ერთი — თედიაშვილი მუშაობს. თავის ძმასთან, გერმანთან ერთად სამი საათი არ გადმოდის ხალიჩიდან. ისიც კვირადღეს! ორმოცი წლის გერმანმა, რომელიც რვა წელიწადს არ გაჰკარებია ხალიჩას, უხელფასო შევებულება აიღო და უმცროსი ძმის დასახმარებლად ჩამოვიდა და როგორ იტანდა ვეტერანი ლევანის დატვირთვას, ძნელი გასაგებია.

მაშინ კონჩა-ზასპაში ლევანმა ჰკითხა:

— როგორ არის კიევი?

— რა უშავს, დგას. შენ რა, არ ჩასულხარ იქ?

— აი უკვე ერთი თვეა აქ ვარ და დრო ვერ გამოვნახე... ყური მიგდევ, ეს ოლიმპიადები ხომ არანორმალურებისთვისაა, ისეთების, შე რომ ვარი — გაიცინა. ხელი ხელს შემოჰკრა და იკითხა: მატე როგორ არის, ცოცხალია?..

— ცოცხალია, შენზე ნაკლებად როდი ვარჯიშობს.

— აი, ხედავ, რა არის ცხოვრება? — რატომღაც საყვედურით ეუბნება ლევანი გერმანს და ხალიჩის შუაგულისაკენ ეწევა...

ლევან თედიაშვილმა, აიღინ იბრაჰიმოვმა, გერმან ერიკალოვმა, ნუთუ არ იცოდნენ, რომ მათი ცდა შეიძლებოდა უშედეგოდ დამთავრებულიყო? იცოდნენ და შესანიშნავადაც იცოდნენ, მაგრამ ყველა ისინი ხომ ნამდვილი სპორტსმენები იყვნენ და თავს ვერასოდეს აპატიებდნენ, რომ არ ელონათ ყველაფერი. სწორედ ამიტომ ჩაებნენ ისინი ამ სასტიკ კონკურენციაში და გახდნენ ამ წინაოლიმპიური მართონის მონაწილენი. სწორედ მათი ძალისხმევის შეოხებით ეს წინაოლიმპიური რბოლა არანაკლებ მშვენიერი გამოდგა, ვიდრე თვით ოლიმპიური ტურნირი...

უქანასკნელი საკონტროლო-გამშვები პუნქტი. სსრ კავშირის ჩემ-

პიონატი. ფინალი: ლევან თედიაშვილი — ილია მატე. სად მოვძებნო სიტყვები, რათა ვიამბოთ ამ ბრძოლის შესახებ? ან კი განა შეიძლება ქალაქზე გადმოიყოს ის. რაც ხალიჩაზე ხდებოდა?

წინ წახრილი მძლავრი მხრები, გაშვერილი ხელები შეუტდომლად იჭერენ მეტოქის ნებისმიერ მოძრაობას. უფსკრულის პირას პირველი მატე დადგა. გაბედა და გააფთრებულ იერიშზე გადავიდა, ჩაცუცქდა მოწინააღმდეგის ფეხებთან და მოულოდნელად ადვილად მოიგო ქულა. შემდეგ...

შემდეგ არაფერი მოძხდარა. თედიაშვილი თითქოს დროისა და სივრცის გარეშე იდგა — ვერ გაეგო, რომ აგებდა. არ უტევდა. მთელი ექვსი წუთი — ორი პერიოდი — ლევანი არ უტევდა. ელოდა და დაბულობისაგან ფერდაკარგული მატეც. დარბაზში ადამიანთა სუნთქვა ისმოდა. რა ნერვები გაუძლებდნენ ამას?!

ლევანმა უკანასკნელ პერიოდში დაიწყო. ხალიჩა თითქოს ცხრაბალანი მიწიძვრის ეპიცენტრში აღმოჩნდა. იერიში იერიშს მოჰყვა. მატე აგებს ქულას, მატე თავს იცავს. მსაჯები ილიას მეორე გაფრთხილებას აძლევენ. თედიაშვილს მორიგმა შეტევამ არ გაუმართლა — ქულა წააგო. მერე ისევ იერიშზე გადავიდა, ქულა მოიგო. ანგარიში გათანაბრდა — 4:4!

შეტევა, შეტევა. შეტევა! მატე თავს იცავს. გვერდითი მსაჯი მოითხოვს მატეს მიეცეს მესამე გაფრთხილება. მოითხოვს დისკვალიფიკაციას. მსაჯი მერყეობს.

თედიაშვილი მძიმედ სუნთქავს. ორ-ნახევარ წუთში ის ისე გაისარჯა, როგორც მატე რვა წუთში. ლევანმა საშინელი პროგრამა დაუსახა თავის გულს. გული ვერ ასწრებს სისხლი მიაწოდოს გააფთრებით მომუშავე კუნთებს. საჭიროა კიდევ ერთი იერიში. „ლევან, კიდევ ერთი ქულა!“ მაგრამ როგორ? რომელ სასწაულზე შეიძლება ლაპარაკი. დაბერილი ფილტვები ეკლარ იღებენ საჭირო ჰაერს. სასწაული უნდა მოხდეს, მაგრამ როცა გული ამოვარდნაზეა და უანგბადი არ ჰყოფნის. მაშინ სასწაული არ ხდება, სასწაული არ არსებობს...

.... თედიაშვილი შურდულივით გაქანდა მატესაკენ. ხელი სტაცა ფეხებში, მოსწყვიტა კიდევ ხალიჩას. მეტოქე კონტრილეთის ჩატარებას ცდილობს — თავდაცვის ბუნებრივი ინსტინქტია, წისქვილის ქვებივით ეჭახებიან ერთმანეთს და ორივე ვარდება ხალიჩის იქით. მსაჯი დიდხანს და ამაოდ უსტევენს. მსაჯიც ადამიანია, მანაც დაკარგა თავი ამ ქარიშხალში.

შეტევა! შეტევა! შეტევა! სწრაფად! წამებიღა დარჩა. გაუძელი, ილია! წინ. ლევან! ა-ა-ა! გონგი...

ქარიშხალი ჩადგა. სიჩუმე ჩამოწვა. სისხლი გაიყინა. 4:4. ნეტავ ვინ გაიმარჯვა? მატემ. მან პირველმა მოიგო ქულა, პირველმა გარის-

კა. მან, ილია შატერე, უფრო ადრე დაიწყო ის არაადამიანურად ძნელი შეტევა, ვიდრე მისმა მძვინვარე პეტოქემ. ამიტომაც იგი გამარჯვებული. ამიტომ ვახტა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების პირველი ნომერი!

ეს იყო ლევან თედიაშვილის უკანასკნელი ორთაბრძოლა მისთვის ესოდენ საყვარელ საჭიდაო ხალიჩაზე. უკანასკნელი! როცა შეხვედრა დამთავრდა, ლევანი მივიდა მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონ ილია შატერთან და ღიმილით რაღაც უთხრა: მოლლილმა შატერმა გაიცინა. ლევან თედიაშვილი, რომელსაც გივი კარტოზიაძე „მოჭიდავე ლევანდა“ უწოდა, აქაც თავისი თავის ერთგული დარჩა.



ამ წიგნის წინასიტყვაობა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი კოლესოვმა დაწერა, ქართველი მოჭიდავეების მთავარი დამსახურება ის არის, რომ ისინი მუდამ პირველნი იყვნენ. პირველი ოლიმპიური ჩემპიონები თავისუფალ ქიდაობაში, პირველი სამგზის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ქიდაობაში, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში.

ლევან თედიაშვილი მუშაობს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარედ საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში. იმ კაკაბეთში, სადაც 20 წლის წინათ ქიდაობის რაიონულ შეჯიბრებებზე 16 წლის ყმაწვილმა ლევანმა პირველად ნახა ვახტანგ ბალავაძე...

„წითელი ოქტომბერი“ ჩვენს ქვეყანაში პირველი კოლმეურნეობაა, რომლის თავმჯდომარეა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ლევან თედიაშვილი. ქართველმა მოჭიდავეებმა აქაც არ დათმეს პირველობა. ეს ვუთხარი კიდევ ლევანს. მან შემომხედა, არაფერი მიპასუხა. არც გაუგია ჩემი ნათქვამი.

მეორე დღეს „წითელ ოქტომბერში“ ყურძნის კრეფა იწყებოდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე რთველზე ფიქრობდა.

ახალი ხანა



შოთა ხოხშვილი

„მასზე კეთლმოყვანილი გავლენა მოახდინა იმან, რომ მთებში გაზარდა, — კაცოვით უმწიფელი დაღვა: ასევე იმან, რომ ბავშვობაში მისდევდა ქართულ კლდობაას: აღბათ, იმასაც, რომ საქართველოში ბევრი გამოჩენილი მოციქდავე იყო და მათგან შეიძლებოდა მაგალთან აღება...“

შოთა ხოხშვილი — საბჭოთა ძიუდოისტებს შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონია. ამით ყველაფერია ნათქვაში“.

ვლადენ ანდრეუვი

სსრ კავშირის დამსახურებელი
მწვრთნელი

ქ. მოსკოვი.

ძიუდო მსოფლიოს იაპონელებმა აჩექეს. მათვე შეიმუშავეს წესებიც, ფორმაც (კომონო), უარი თქვეს ფესსაცმელზე და ფეხშიშველნი გადავიდნენ რბილი ხალიჩიდან მაგარ ტატამზე. ასწავლეს ფანდებიც, მაგრამ არ გაუმხელიათ მთავარი — ძიუდოისტის მომზადების საიდუმლოება.

იაპონიაში ძიუდო № 1 სპორტია, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს. ხოლო თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ძიუდო მოდერნიზებული, ბრძენი იაპონელის ძიგარო კანოს მიერ გამდიდრებული ჯიუჯიუტუა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენ უძველეს საიდუმლოს ინახავს იგი.

ევროპაში ძიუდო უფრო ახალგაზრდაა. სამოცდაათი წელია ინერ-
გება, მაგრამ დიდხანს ვეოც ერთმა აზიანელმა ვერ მოიგო მსოფ-
ლიო პირველობა წმინდა იაპონურ წონით კატეგორიებში. ძიუდოს
ტანდაბალი ფუძემდებლები მძიმე წონას ყურადღებას არ აქცევდნენ.
და როცა იცდაათიოდე წლის პოლანდიელმა გოლიათმა, 140-კილო-
კრამინამ ანტონ ჰეისინკმა ყველა ცოტად თუ ბევრად ცნობილი ძი-
უდოისტი დაამარცხა, იაპონელებს ეს არ გაკვირვებიათ. მათ პოლან-
დიელს „ჰეისინკიამა“ — ჰეისინკის მთა უწოდეს და უწინდებურად
„ოლად იგებდნენ ოქროს მედლებს დაბალ წონით კატეგორიებში.

ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებში შედგა საბჭოთა ნაკრების
დებიუტი ძიუდოში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვლად-
დლენ ანდრეევის მეთაურობით. ოთხივე ჩვენმა მოქიდავემ — ოლეგ
სტეპანოვმა, არონ ბოგოლიუბოვმა, ფანანოზ ჩიკვილაძემ და ანზორ
კოჩნაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. სპორტულმა სამყარომ ეს
ჯიჯ წარმატებად მიიჩნია. რაც შეეხება ოლიმპიადის მასპინძლებს,
ქათ მსოფლიოს თითქმის ყველა ოქროს მედალი დასაკუთრეს. ოთხი-
დან — სამი. მეოთხე ისევე ჰეისინკმა მიიღო.

იაპონელებმა ჩვენ ჰაბუკებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქ-
ციეს. ისინი უწინარეს ყოვლისა იმან გააოცა და ააღელვა. რომ
მწვრთნელი ანდრეევის არც ერთი მოქიდავე უმედლოდ არ დარჩე-
ნილა. ოთხი გამოვიდა და ოთხივეს ბრინჯაო ერგო. დღეს დებიუტან-
ტებმა ბრინჯაო მოიგეს — ხვალ კი? როგორ, ოთხ მედალს აიღებენ
საბჭოთა მოქიდავეები მომდევნო შეჯიბრებაში? ერთ-ერთმა წამ-
ყვანმა იაპონელმა სპეციალისტმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კოჯი
სონემ თქვა: „რუსი მწვრთნელი, ჩემი მეგობარი ანდრეევი, გვრტევეს
არა ცალკეული ვარსკვლავებით, არამედ ფართო ფრონტით. ეს საში-
შია!..“

კადოკანის (ძიუდოს აკადემია) პრაფესორი მერვე დანის მოქიდა-
ვე, XVIII ოლიმპიადაზე იაპონიის ნაკრების უფროსი მწვრთნელი
მატუმოტო სანოტად სიტყვაძუნწი იყო. მას შეეძლო ტატამთან მუნ-
ლებზე ჩაჩოქილს უძრავი სახით საათობით ედევნებინა თვალ-ყური
ორთაბრძოლებისათვის ისე, რომ კრინტი არ დაეძრა. ამის თაობაზე
იაპონელები ამბობდნენ: მატუმოტო ბრძენი მოხუცია და სიჩუმი უყ-
ვარსო. მაგრამ ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ მატუმოტოც ალაპარაკ-
და: „ყველაზე საშიშნი რუსები არიან. არყევენ კადოკანს... მათ ქვე-
ყანაში ბევრი ეროვნება ცხოვრობს და ჰიდაობის მრავალი სახეობა
აქვთ. მათ აქვთ სამბო. ისინი კარგი სამბისტები არიან, სწავლობენ
ძიუდოს, ჩვენ, დიდი ძიუდოისტები, არ ვსწავლობთ სამბოს. ხუთი-
შვიდი წლის შემდეგ ვიხილავთ სამბისტებს, რომლებიც დაგვსჯიან...“

როცა ბრძენი მატუმოტო ამას ამბობდა და ვიწრო, მუქი თვალე-

ბიზ მომავალში იმზირებოდა, 1964 წელი იწურებოდა. შორსმჭვრეტელი იაბონელო მხოლოდ ერთ წელიწადში შეცდა: შეიღი კი არა, რვა წლის შემდეგ მიუჩინეს ოლიმპიურ ტატამზე გამოვიდა საბჭოთა ძიუდოსტი. რომელმაც იაბონელები აიძულა უკან დაეხიათ. ეს იყო შოთა ჩოჩიშვილი. მას მძლავრი სურგი ჰქონდა...

1957 წელს „დინამოს“ სამბისტთა ნაკრებმა ძიუდოსტების ტურნირზე უნგრეთში დახვერვა მოახდინა. ჩვენ გუნდში იყო ჩასკენილი, შებლგანიერი, ხმაჩაღეჩილი ქართველი — ბიძინა მახიაშვილი. ბეკებზე ორჯერ მოგდებით დაამარცხა მან ცნობილი უნგრელი ძიუდოსტი რაიმონი, მაგრამ ეს როდი იყო მთავარი. ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი ვლადლენ ანდრეევი. მისი თანაშემწე ვასილ მასლოვი და თითოეული ჩვენი მოჭიდავე იმასსოვრებდა, იწერდა და სწავლობდა ყოველივეს, რასაც იქ ხედავდა.

— ჩემი თვალები ფოტოაპარატივით მუშაობდა, — ამბობს ბიძინა მახიაშვილი. — ჩვენ ხომ რიგვიანად არაფერი ვიცოდით ძიუდოზე. გვენდოდა კი, რომ ყველაფერი გვეცოდნოდა. ძალიან ვემიშობდი, რაიმე არ დამეჩვენებოდა თბილისში ჩასვლამდე...

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თბილისში განსაკუთრებული ყურადღებით და გულმოდგინებით ეკიდებოდნენ ძიუდოს. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში აშენდა და კარგადაც მოქმედებდა „ხილი“ ქართულ ქილობასა და სამბოს შორის. ეს ორი სახეობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

1939 წელს სამბისტთა პირად პირელობაში კობერიძემ გაიმარჯვა. მომდევნო წელს სსრ კავშირის ოფიციალური ჩემპიონატი შალვა ნოზაძემ და არსენ მეკოკიშვილმა — შემდგომში სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონებმა, მოიგეს. სამბისტთა ჩემპიონები არიან ქრისტეფორე ნინიაშვილი, გოგორგი როსტიაშვილი, ესტატე ქარქუსაშვილი, ვახტანგ ბალავაძე და ბევრი სხვა.

კარგად მუშაობდა „ხილი“, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ „ხილიდან“ ჩამოსვლის შემდეგ გუშინდელი მოჭიდავე და დღევანდელი სამბისტი ჩიხში ექცეოდა. სამბოს გასავალი არ ჰქონდა მსოფლიო ასპარეზზე, სამბო არ იყო სპორტის საერთაშორისო სახეობა, როგორც კლასიკური და თავისუფალი ქილობა. სამბისტი ვერ გახდებოდა ოლიმპიური ან მსოფლიო ჩემპიონი. ამ რატომ მოეწონათ ქართველებს ასე ემონო. ძიუდო, როგორც მოგვიანებით გაიარევი, ქართული მოჭიდავეებისათვის გახდა სარკმელი გეროპაში, სარკმელი მსოფლიოში, ოლიმპიურ სამყაროში.

გამოცდილი. თავის გრძელ სპორტულ გზაზე ბევრის მხაზველი ქრისტეფორე ნინიაშვილი, ბიძინა მახიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი

და ბევრი სხვა ქართველი მწვრთნელი შეუდგა ძიუდოში მეშაობას: თანაც ისე გულიანად, როგორც სჩვეოდათ ხოლმე. მაგალითად, ჯერამ პაპიტაშვილმა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი ძიუდოს აკადემიულ აქცია — ქრისტეფორე ნინიაშვილმა სამბისტა ხალიჩიდან ტატამზე გადაიყვანა თავისი ყველაზე ნიჭიერი მოწაფე ანზორ კიკნაძე. ძალას იკრებდა ბიძინა მახიაშვილის აღზრდილი ფარნაოზ ჩიკვლაძე. — ჭკვიანი, ნალელიანი გოლიათი.

ამუშავდნენ ქართველები. ამოკმედდნენ სპორტსმენები და მათი მწვრთნელები და ღმერთმა იცის. ვინ უფრო ილუბოდა მათ შორის. ისინი ამოდ არ დამშვრალან და იქუხეს კადეც. ეს ჩვენთვის სასიკეთო ქუხილი იყო. 1962 წელს საბჭოთა ძიუდოსტებს შორის ევროპის პირველი ჩემპიონი გახდა პაპიტაშვილის მოწაფე. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ანზორ ქიბროწაშვილი. მან ოქროს მედალი მოიპოვა მძიმე წონაში. რამდენიმე დღეს შემდეგ კი დასავლეთ გერმანიის ქალაქ ესენის ტატამზე გაარკეა. რომ ჩვენ გვყავდა ევროპის მეორე — აბსოლუტური ჩემპიონიც — ანზორ კიკნაძე. აი რას წერდა მის შესახებ ფრანგული პრესა: „კიკნაძე ძალიან ძლიერია... როცა პეტერბრიჯი ერთი წამით მოეშვა, საბჭოთა მოქიდავემ წააქცია იგი... გდების ძალა ისე ძლიერი იყო, რომ პეტერბრიჯი რამდენიმე წუთს გონს ვერ მოეგო...“

შემდეგ კი გაიმართა ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები, სადაც, როგორც უკვე იცის მკითხველმა, ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიკვლაძემ ბრინჯაოს მედლები მოიგეს, ხოლო 1965 წელს კიკნაძემ, ჩიკვილაძემ და ქიბროწაშვილმა ევროპის თოქმის მთელი ოქროს წაშორდეს. ამასთან, ყველაზე პრესტიჟულ — აბსოლუტურ, მძიმე და ჭვემძიმე წონით კატეგორიებში. სწორედ ამ ყმაწვილებმა წამოიწყეს მთელი ეს საქმე. იშვიათი ნიჭის სპორტსმენები იყვნენ ისინი.

ლეგენდარული არსენ მეოკიშვილის თანამემამულე ანზორ კიკნაძე საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში გაიზარდა. იგი იყო საქართველოს არაერთგზის აბსოლუტური ჩემპიონი ქილაობაში, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი სამბოში. ევროპის ცხრაგზის (!) ჩემპიონი ძიუდოში, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. მაგრამ ეს ყველაფერი როდია: ანზორი შესანიშნავად თამაშობდა ფრენბურთსა და ფეხბურთს. მას სრულიად სერიოზულად შესთავაზეს მეკარის ადგილი ოსტატთა გუნდში.

იაპონიაში ყოველწლიურად იმართება ანზორ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი.

— ევროპის ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური და მსოფლიო პირველობის პრიზიორი, ვანეთოს ასპარეზობებში გამარჯვებულ ფარნაოზ ჩიკვილაძეც კახეთიდან, ახმეტის რაიონის სოფელ ჩაბინაანიდანაა.

სკოლა და მთავარი ოქროს მედლით, უნივერსიტეტი წითელი დიპლომით, დაწერა დისკოტაცია, მაგრამ დაცვა ვერ მოასწრო. დაიღუპა ავტოკატასტროფაში. იგი 25 წლისა იყო. კარგად ვიცნობდი ფარნაონის. მან შესანიშნავი მეგობრობა იკოდა. ძალიან ნიქიერი ყმაწვილი იყო, ძალიან! — თქვა მისმა მასწავლებელმა მასიაშვილმა და დიდხანს იჯდა ჩემად, თავჩაღუნული.

ოც წელიწადს იყო მასიაშვილი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ათ წელიწადს კი სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი. ამ კაცის ხელში გაიარა ქართველ ძიუდოისტთა რამდენიმე თაობამ. სსრ კავშირის და ევროპის ჩემპიონები, ოლიმპიურ ასპარეზობათა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები ფირუზ მარტყოფლიშვილი, გურამ გოგოლაური, გივი ონაშვილი, ჭიბილო ნიქარაძე, რამაზ ხარშილაძე, ამირან მუზაევი — მისი პირადი მოწაფეები არიან, მაგრამ მასიაშვილი ამაზე არასოდეს არ ლაპარაკობს.

სსრ კავშირის დამსასტრებელი მწვრთნელები მასიაშვილი, პაპიტაშვილი, ნინიაშვილი, ზეკაყიშვილი, ზაურტაშვილი და ბევრი სხვა არასოდეს შეზიარებიათ ვინმეს სახელის მოხვევაში. მათ ისეთი სახელი ჰქონდათ, რომ საზიარო არაფერი სჭირდათ, პირიქით. არც მოწაფეებს ყოფდნენ „თავისად“ და „სხვისად“, ყველა თავისად მიაჩნდათ. სწორედ ამ ატმოსფეროთი, რომელიც ბიძინა მასიაშვილმა შექმნა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში, აიხსნება უწინარეს ყოვლისა ქართველ ძიუდოისტთა დიდი წარმატებანი სამოც-სამოცდაათიან წლებში.

გასაგები მიზეზების გამო მოკლებული ვარ შესაძლებლობას ჩამოვთვალე ყველა ქართველი ძიუდოისტთა ჩემპიონი. ისინი ძალზე ბევრნი არიან. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ 1962—1972 წლების პერიოდში ქართველი მწვრთნელების აღზრდილებმა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მოიგეს ყველა სახის 25 მედალი.

მაგრამ არ იყო მხოლოდ მსოფლიო სინჯის „ოქრო“. 1965 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე რიო-დე-ჟანეიროში ანზორ ქიბროწაშვილი ახლოს მივიდა სანუკვარ მიზანთან. ფინალური შეხვედრა მაშინ 15 წუთს გრძელდებოდა. ქიბროწაშვილი 14 წუთისა და 30 წამის განმავლობაში უგებდა ოლიმპიურ ჩემპიონ ისაო ინოკუმას რამდენიმე გდებას. მაგრამ ეს იყო სსრ კავშირის ნაკრების დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატზე და ანზორს ძალიან უნდოდა ეფექტიანად დაემთავრებინა ორთაბრძოლა. იგი გაიტაცა იერიშმა და ინოკუმას შესაძლებლობა მისცა ჩაეტარებინა მისი ოსტატური გდება ბუკებზე მოგდებით.

ასეთი ტრადიცია იყო ძიუდოში, როდესაც შოთა ჩოჩიშვილი მიუნხენის ტატამზე გამოვიდა 1972 წელს. მას უკვე თავისი სპორტული ბიოგრაფიაც ჰქონდა. იგი დაიწყო გორის რაიონის სოფელ გველეგში, სადაც შოთა კიდაობას მისდევდა. აქედან უფროსკლასელი ყმაწ-

ვილი ყოველდღე ათ კილომეტრს გააზოდა გორში გურამ პაპიტაშვილის ძიუდოისტთა სკოლაში.

— ჩხირივით ვიყავი! — იცინის ჩოჩიშვილი. მაგრამ, ეტყობა, ამ „ჩხირში“ სხვა ძალაც იყო. გურამ პაპიტაშვილი სპეციალურად არჩეულა ვარჯიშებს. რომ განვეითარებინა კუნთების ის ჯგუფი, რომლებსაც ყველაზე მეტი დატვირთვა აქვს ვლებისას. ახზორ ქიბროწაშვილმა, რომელზეც მთელი გორელი ბიჭები ლოცულობდნენ, მოიწვია იგი სპარინგ-პარტნიორად და უყვებოდა ჩემპიონატებზე, ქვეყნებსა და შოკიდავეებზე. შოთა მოჯადოებელივით უსმენდა.

ღიას, უეჭველია ამ „ჩხირში“ რალაც იყო. როცა 19 წლის ჩოჩიშვილი პირველად მოსკოვში მოხვდა შეჯიბრებაზე, მას მაშინვე თვალის დაადგა სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადლენ ანდრეევმა. რამდენიმე წლის შემდეგ ანდრეევმა ამ სტრიქონების ავტორს უთხრა:

— ვერ ვიტან იმპროვიზაციას... მიყვარს სისტემა... სწორედ ეს სისტემა. ორგანიზებულობა, მიზანსწრაფვა დავინახე ჩოჩიშვილში. ამ ყმაწვილს ორჯერ არაფრის თქმა არ სჭირდებოდა. გამოგიტყდები, მიყვარს ასეთი, რომ იტყვიან, დამჯერი აღამიანები! და ჩვენც დავიწყეთ მუშაობა!

ანდრეევს ჩვენი ქვეყნის ნაკრები დაჰყავდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, შოთა კი შინ რჩებოდა და მუშაობდა ისე, როგორც ვლადლენი ავალბდა. შემდეგ ანდრეევი რამდენიმე წელიწადს აღარ იყო ნაკრების მწვრთნელი, მაგრამ ჩოჩიშვილი, რომელიც გუნდში შეიყვანეს, ისევე მუშაობდა, როგორც ანდრეევთან და პაპიტაშვილთან. XX ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე ანდრეევი ისევ სათავეში ჩაუდგა ნაკრებს. და გუნდმაც არნახულ წარმატებებს მიაღწია...

კიევში „დინამოს“ ბაზის პატარა ორსართულიან სახლში სალუტნაიას ქუჩაზე ცხოვრობდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები. კიევში გადიოდნენ ისინი უკანასკნელ წინაოლიმპიურ წვრთნას. სწორედ მიუნხენში გამგზავრების წინ ანდრეევი ამბობდა:

— ბიჭები კარგად არიან მომზადებული. ჩვენი საწვრთნელი მუშაობის მთავარ მონაპოვრად მიმაჩნია ის, რომ არ არსებობს კონკურენცია. სპორტსმენები მეტოქეობდნენ მანამდე, სანამ გაირკვეოდა ნაკრების ძირითადი შემადგენლობა. ხოლო როცა დარჩა გუნდის თერთმეტი ძირითადი წევრი, მწვრთნელთა საბჭომ დაასახელა ექვსი მოქიდავე და ხუთი დუბლიორი, რომლებიც მიუნხენში უნდა გამოსულიყვნენ, რითაც ყველაზე მაშინვე ნათელი გახდა. აღარავინ ნერვიულობდა, დამით ყველას მშვიდად ეძინა. შემიძლია მოვიყვანო არაერთი მაგალითი იმისა, როგორი თავგანწირვით ცდილობდნენ სათადარიგონი, რომ ძირითად მონაწილეებს მაქსიმალური დატვირთვით

ევარჯიშათ. და თუ მიუხედავად ბედი გავვიღებ, ამაში უდიდესი დამსახურება ექნებათ ბიჭებს, რომლებიც აეროპორტში გაგვაცილებენ...

ერთ-ერთ უკანასკნელ წვრთნასე შემოწმდა მხადყოფნა. თითოეული მოქიდავე თორმეტ სწრაფ გდებას ასრულებდა. საკონტროლო სერიაში შედიოდა ექვსი ილეტი. რომლებიც ორჯერ უნდა გაემეორებინათ. მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი რთავდა წამშობს და ბრძანებდა: „წავედით!“ ხალიჩაზე „მიწისძვრა“ იწყებოდა, სპარინგ-პარტნიორი ვერ ასწრებდა წამოდგომას. რომ ფეხები უკვე მალლა ჰქონდა აშვერილი. ილეტები შეიძლებოდა ჩაეტარებინათ ნებისმიერი თანამიმდევრობით. მაგალითად, წინასარმა — პირველ და მეორემეტე გდებაზე, თავს ზემოთ გადადებდა — მესამესა და მეცხრეზე. მხოლოდ თითოეული მოქმედება ორჯერ უნდა გაემეორებინათ და აი, როცა ხალიჩაზე შოთა ჩოჩიშვილი გამოიძახეს, მწვრთნელმა შენიშნა:

— ყურადღებით ადევნეთ თვალი: აუცილებლად ეცდება მოგვატყუოს — რომელიმე სარმის ნაცვლად გდებას გააკეთებს... როცა ანდრეევს ჰკითხეს, რატომ უწყობთ ასეთ გამოცდას, მან უპასუხა:

— ხელავთ, სერიის შემდეგ ისინი ექიმთან გარბიან, — ის ამოწმებს, ნორმალურად ფეთქავს თუ არა გული ასეთი ინტენსიური მუშაობის შემდეგ. თუ მოქიდავე მოასწრებს 12 გდებას 25 წამში და ჯანმრთელობის ნორმა არ ირღვევა, ესე იგი სწრაფად ხდება აღდგენა, იგი პრიზიორი იქნება. როცა ათიოდე წლის წინათ დავიწყეთ ამ ტესტის გამოყენება, ჩვენ გენდში ყველაზე რეაქტიული მსუბუქწონიანი არონ ბოგოლიუბოვი დუეინ გდებას 56 წამს ანდომებდა, ახლა კი ქვემძიმეწონიანი ჩოჩიშვილი 22 წამში ეტევა. ვშიშობ, თვალი არ ეცეს, მაგრამ ვფიქრობ, ოლიმპიადაზე ეს ყმაწვილი ან გამანადგურებლად წააგებს, ან გამანადგურებლად დაამარცხებს ყველას და მოიგებს ყველაფერს, რისი მოგებაც შეიძლება...

მიუხედავად ოლიმპიადის წინ შოთა ერთხელაც არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. ვერ მოასწრო — იუნეორების თანრიგში გამოდიოდა. შეიძლება ეს მოქიდავე, როგორც ამბობენ, სამუდამოდ დაშინებულიყო, როცა ცნობილი გახდა, რომ მისი მეტოქე ოლიმპიურ ტატამზე იქნებოდა ორგზის მსოფლიო ჩემპიონი იაპონელი ფუმეო სასახარა? რა თქმა უნდა, შეიძლება! ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ ნაღვლიანად ხუმრობენ ხოლმე: ვალდებული იყო შეშინებოდაო. მაგრამ გორელ ჰაბუკს ძველი მებრძოლის ნერვები ჰქონდა, იდეალური ნერვები. თუმცა ეს არ კმაროდა. ისეთი მოქიდავის წინააღმდეგ, როგორიც სასახარა იყო, რალაც არსებითი ხერხი უნდა ეხმარა და იხმარა კიდევ. ამ ხერხს ქართულ კიდაობაში „ბრუნნი“ ჰქვია. მსოფლიო ჩემპიონი. ისე დაენარცხა ტატამზე, რომ მეტყერი დააყენა. იპონი

წმინდა გამარჯვება!

შემთხვევით როდი აპატია შოთას შარიანმა ანდრეევმა ეს თორ-
ქეტი უქმი გლუზა. მეცამეტე გდება — ოქროსი, ოლიმპიური გამოდგა!
სასახარას დამარცხება საგზური გახდა შოთასათვის კვარცხლბეკის
ემაღლეს საფეხურზე ასასვლელად...

ჩოჩიშვილი რუხ თვალებს ქეტავს და ამბობს:

— გამარჯვება მაშინ შეიძლება, როცა გწამს, რომ შეგიძლია გაი-
მარჯვო. ეს აუცილებელი პირობაა. ძალიან ძლიერები აგებენ, — იგი
პცირე ხანს დღეს, განსაზღვრებას ეძებს, — არცთუ მაინც და მაინც
ქლიერებთან, როცა არ სწამთ. ბატონმა ვლადლენმა ჩამინერგა ეს
რწმენა და სულ თან დამღევდა. წვრთნის შემდეგ ვზივარ ბიჭებში და
ვისვენებ. მოდის ანდრეევი და ამბობს: „ბიჭებო, იცით, რომ თქვენს
კვარდზე ზის მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი!“ მეუხერხულებოდა.
სხვებს ასეთ რამეს არ ეუბნებოდა.

ბიძინა მაიაშვილი: „ერთხელ ვუსაყვედურებ ჩემ მეგობარ ანდ-
რეევს, „რას დასდევ ამ ბიჭს, გგონია, ამით არაგებ რამეს-მეთქი?“
ანდრეევი კი მეკითხება: „შენ რა, დარწმუნებული ხარ, რომ ეს ავნებს?
ჩვენ ჯერ არასოდეს არ მოგვიცია „ოქრო“ ოლიმპიადებზე. ეს ექსპე-
რიმენტია!“

მეთოლური ანდრეევი უკან არ იხედა. ყოველნაირად ამზადებდა
შოთას მიუხსენისათვის. როცა XX ოლიმპიადის დაწყებამდე ორი
კვირით ადრე ჩოჩიშვილმა მძიმე ტრავმა მიიღო კისერში და ისე და-
ეჭიმა მხრისქვეშა კუნთები, რომ ექიმებმა მისი გამოსვლა საეჭვო გა-
ხადეს, ანდრეევმა უთხრა: „ოქიდავებ კიდევ და ჩემპიონიც გახდები!
ეს ტრავმა კარგი ნიშანია. 1962 წელს კიკნაძემაც მიიღო ტრავმა და
ორი კვირას შემდეგ ევროპის ჩემპიონი გახდა. შენ კი ამ ოლიმპიადე-
ზე უნდა გაიმარჯვო. ყურს ნუ უკდებ მწვრთნელების ლაპარაკს, ისი-
ნი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობენ!“

ხოლო როცა ჩოჩიშვილმა მესამე ორთაბრძოლა დევდ სტარბრუჟ-
თან წააგო, მოკამულ, დათრგუნვილ და დამარცხებულ შოთას უფ-
როსმა მწვრთნელმა უთხრა: „ეს კარგი დამარცხებაა! ახლა სასახარა
ვერ მოიხვენებს, სტარბრუჟი მოიგებს მეორე ორთაბრძოლას და... შენ
გახდები ჩემპიონი!“ ძიულოს მაშინდელი წესებით დამარცხებული
„დამამშვიდებელი“ ბრძოლის უფლებას იღებდა იმ შემთხვევაში, თუ
მისი მძლეველი ნახევარფინალს დაუმარცხებლად მიაღწევდა. ხოლო
თუ გამარჯვებული შემდეგ წრეში დამარცხდებოდა, უკვე თვითონ
ელოდებოდა „დამშვიდების“ უფლებას.

სტარბრუჟი ნახევარფინალში მოხვდა და ჩოჩიშვილმა დაიწყო
თავისი „დამამშვიდებელი“ ფანდები. ფრანგმა ალბერტინიმ მასთან
წააგო ერთ წუთსა და 37 წამში, ამერიკელმა ვუგლიემ — 2 წუთსა და

36 წამში. ბერტმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან 1 წუთსა და 5 წამში.

ერთი სიტყვით. გზა ფინალისაკენ სულ რაღაც 5 წუთსა და 18 წამს გაგრძელდა. საშაგვიროდ, ფინალი იყო საშინელი: აქ ჩოჩიშვილი უნდა შეხვედროდა სტარბრუქს, იმ ქერა ლინდონელს, რომელმაც დილით დაამარცხა იგი.

— მას წინა სარმა გამოვდე, წინ წავაგვი ფეხი. იგი ეცა მას, და ეცა მუხლებზე. შემდეგ აი ასე დავექი...

და შოთამ ამართა ძლიერი ტანი, გაიშალა წელში და მიჩვენა, როგორ დადგა. მთასავით! თუ არა საქართველოში გაზრდილმა ჰაბრუქმა, მაშ ვინ შეიძლება იცოდეს, როგორც ურყევად დგანან მთები!

— მან ეურაფერი დამაკლი... ვხედავდი, როგორ სუსტდებოდა თანდათან... ანდრეკვი კი იღვა ტატამთან და მოწონებით მიქნევდა თავს. ორთაბრძოლის დროს ისე დავიღალე, რომ მეც აღარ მქონდა უკან მოხედვის თავი.

მიუნხენის ტატამზე ჩოჩიშვილმა ყველაზე მეტი ორთაბრძოლა გამართა — შვიდი. ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვება მოიპოვა — 4. 1-ლი დანის (ძიუდოისტური კლასიფიკაცია) მოქიდავემ ჩამოიტოვა სტარბრუქი (4 დანი), ბერტი (4 დანი), იაპონელი ბრაზილიიდან იშიუ (5 დანი) და იაპონელი იაპონიიდან სასახარა (6 დანი).

ჩოჩიშვილის გამარჯვება არასოდეს მიეცემა დაეწყებას — იგი პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში, პირველი ევროპული მოქიდავე, რომელმაც მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი ნამდვილ იაპონურ ქვეყნებში წონაში. ძიუდო, კი, საიდუმლოებით მოცული იაპონური ძიუდო, მაშინ ის-ის იყო ფეხს იღვამდა ჩვენს ქვეყანაში. ასე რომ, ერთ-ერთი ჩვენი ყველაზე სენსაციური ოლიმპიელი შოთა ჩოჩიშვილია!

და საერთოდ სსრ კავშირის ნაკრები დიდი წარმატებით გამოვიდა. მიუნხენში ჩვენებმა მოიგეს ოქროს, ვერცხლის და ორი ბრინჯაოს ჯილდო. 74 წლის შოხეი ხამანო (მაშინ, 1972 წელს, იგი იყო მეცხრე დანის ერთადერთი ცოცხალი ძიუდოისტი; ახლა ცოცხალია თუ არა არ ვიცე), თხუთმეტი წლის მანძილზე იაპონიის ყველა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მიუნხენში სამი ოქროს მედლის დაკარგვის შემდეგ გადადგა. სასახარაზე ჩოჩიშვილის გამარჯვება მოხუცმა იაპონელმა პირველმა მოულოცა ანდრეევს და უთხრა: „ძიუდოში ახალი ხანა იწყება...“

ადამიანმა, რომელსაც ძალიან უყვარს ჭიდაობა და ბევრი რამ გაეკეთა საქართველოში მისი განვითარებისათვის, ჩოჩიშვილის შესახებ მითხრა: „ჩვენ მისი ომედი გვქონდა! იგი კი აღმოჩნდა ხალიფა ერთი საათით... ნერვებზე უმტყუნა, დაბუქსავდა...? არა მგონია, რომ

სწორი იყოს ეს შეფასება. დიახ, მიუნხენის შემდეგ ჩოჩიშვილს აღარ მოუგია „ოქრო“. მისი ოლიმპიადის შემდგომი მიღწევა იყო ევროპაში ნაკვეთი სამი ვერცხლის მედალი და ორი „ბრინჯაო“ — მსოფლიო ჩემპიონატზე და მონრეალის ოლიმპიადანზე.

მაგრამ განა შეიძლება ეს შედეგები ჩვეტიოთ „დაბუქსაეების“ ცნებაში? ანზორ კიენაძემ და ანზორ ჭიბროწაშვილმაც ხომ ვერ მოიპოვეს „ოქრო“ მსოფლიო ტატამზე? თუმცა კი ისინი მაგარი კი არა, პირდაპირ ფოლადის ნერვებით გამოირჩეოდნენ და ჩოჩიშვილს არ ჩამოუვარდებოდნენ არც ნიჭითა და არც ოსტატობით. რატომ? იმიტომ რომ ჯერ მისი დრო არ დამღვარიყო. „ნაყოფი“ უნდა მომწიფებოდა.

სწორედ ამიტომ ეუწოდებთ შოთა ჩოჩიშვილს ჩვენ ყველანაე სენსაციურ ოქროსმედლიან ოლიმპიელს. მან თავის დროს გაუსწრო. მიუნხენის ოლიმპიადა მისი „აღმაფრენის ხანა“ იყო. დიახ, სწორედ ხანა და არა თვე. ან წელიწადი! ეს უნდა გეახსოვდეს! შემდეგ კი ყველაფერი მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო — „ვერცხლიც“ და „ბრინჯაოც“.

შეიძლება სხვანაირადაც ითქვას. თითოეულ ადამიანში არის გარკვეული, ბუნების მიერ საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრული, ნერვული და ფიზიკური ენერჯის მარაგი. პირველი გაცილებით ნაკლები გვაქვს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში ბორას ვურევიჩმა თავისი ხანგრძლივი კარაერის დასასრულს თქვა: „ფიზიკურად ასეთი ძლიერი ჯერ არასოდეს ვყოფილვარ. ხელში თუ მოვიგდე, შემოძლია გავგლიჯო, მაგრამ ხელში მოგდება ვეღარ ვასწრებ, ვაკვიანებ... აფეთქების უნარი გამაქრა. ეტყობა, გადავიწვი მთლად...“

რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსგავსი რამ შოთა ჩოჩიშვილსაც დამართოდა? მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან თავისი „აფეთქება“ დროსა და სივრცეში კი არ გაქიმა, არამედ ზენორმულად შეკუმშა. გულში ჩაიტია და მიუნხენის ოლიმპიურ ტატამზე დაფრულა. მის მიერ მოგებული „ოქრო“ ხომ თეორიულადაც არ იყო ჩვენი. მაგრამ სინამდვილეში არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ჩვენი გახდა. ხოლო როცა ქვეყანა პირველ ოლიმპიურ „ოქროს“ იღებს სპორტის იმ სახეობაში, რომელიც მისთვის ახალია, ეს განსაკუთრებით დიდი დამსახურებაა და უზარმაზარი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს. ეს ვააკეთა შოთა ჩოჩიშვილმა, ჭაბუკმა გორის რაიონის სოფელ გველეითიდან. იგი არ არის ხალიფა ერთი საათით. ეს არასწორი და უსამართლო შეფასებაა. გაცილებით სწორი იქნება, თუ ვიტყვით ხალიფაა სამუდამოდ!

მონრეალში XXI ოლიმპიურ თამაშობებზე კიეველმა სერგი ნოვიკოვმა მძიმე წონაში და მაიკოპელმა ვლადიმერ ნეზბოროვმა —

ქვესაშუალო წონაში ოქროს მედლები მოიგეს. შოთა ჩოჩიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მოულოცა თანაგუნდელ მეგობრებს: მაშინ ნო-
ვიკოვმა უთხრა:

— შოთა, ყველაფერი შენგან დაიწყო..

და გრძელდება. ესტაფეტა ხელში აიღეს ჩოჩიშვილის თანამემ-
რულებმა თეიმურაზ ხუბულუაძე (ორგზის მსოფლიო ჩემპიონი) და
შოთა ხაბარელმა (ოლიმპიური ჩემპიონი). თუ მათი შედეგების მი-
ხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ესტაფეტა მაგარი ბ-
ჭების ხელშია.

„მე მემოგარი მუშაა...“

„გი არ დაბნეულა ურთულეს სიტუაციებშიც. მკიდრო, ჯვარდინი ჩალება მისი სტიქია იყო. მეტოქეებმა იცოდნენ ეს და ცდილობდნენ შორს მდგარიყვნენ. მაგრამ მის გამარჯვებათა საიდუმლო ის იყო, რომ ვახტანგ ბლაგიძემ იცოდა დისტანციის შემცირება, რაც საკუთარ თავზე გამოეცადა.“

ბენურ ფაშაიანი

სპორტ-ს დამსახურებული ოსტატი,
ორჯგის მსოფლიო ჩემპიონი

ქ. ერევანი.



ვახტანგ ბლაგიძე

გავრცელებულია აზრი, რომ ოლიმპიურ ჩემპიონ ვახტანგ ბლაგიძეს არა აქვს იუმორის გრძნობა. იგი სერიოზული და მეტად საქმიანი კაცია. მის სახეზე ღიმილს იშვიათად ნახავთ. შეფიქრიაუნებული, მე ვიტყვოდი, გაჯავრებული გამომეტყველება იმ ადამიანებს ახასიათებს, რომლებსაც რაღაც დაავიწყდათ, მაგრამ ვერ გაუხსენებიათ, სახელობრ რა და სად დაავიწყდათ. ერთი სიტყვით, დაბღვერილი, გაუცინარი კაცია ეს ვახტანგ ბლაგიძე.

მაგრამ ნუ აჩქარდებით. აი, ახლა შეატყობთ ბლაგიძის საქციელს

და ზოგიერთი რამ თქვენთვის წათელი გახდება. მანამდე კი, თუ შეიძლება, ერთ კოხებაზე გვიპასუხეთ: განა ბევრს იცნობთ, ვისაც შეუძლია 8—12 ნაბიჯი გაიაროს ვერტიკალურ კედელზე? ბევრს კი არა, იტყვით თქვენ. საერთოდ არ არსებობენ ასეთი ადამიანები... ეს გასაგებობდა! მაგრამ მე ერთი ასეთი ნაცნობი მყავს — ვახტანგ ზღატიანი. ყური დავუგდოთ მას:

— ამაში განსაკუთრებული არაფერია. ხომ გინახავთ. ცირკში მოტოციკლისტები როგორ დაქირავენ ვერტიკალურ კედელზე?.. მეც ასე ვაკეთებ... საჭიროა მხოლოდ კარგად გაიშალო წელში და სწრაფად გაიქცე კედელზე... არ დაეარდები!..

— რას ნიშნავს „კარგად გაიშალო წელში“?

— ამას ზუსტად ვერ გეტყვით... მოსკოვის ოლიმპიადის წინ 30 მეტრი გავირბინე 3,6 წამში. ერთხელ მძლეოსნებმა შემაქეს კიდევ. ალბათ, ასეთი სიჩქარე საეპარისია კედელზე სარბენად.

— რა საჭიროა კედელზე სარბელი? — ვაძლევ შეკითხვას. რომელმაც, ჩემი აზრით, უნდა შეაფიქრიანოს ჩემი მოსაუბრე. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ...

ერთი დიდი დარბაზის ბუფეტში ბუტერბროდებს, ნამცხვრებსა და ტბილ წყლებს ყიდიდა ძალზე ნერვული ქალი. იგი უყვიროდა მოკიდავეებს. ზოზონით მუშაობდა, სპორტსმენები ვერ ასწრებდნენ წახმსებას შეხვედრებს შორის შესვენების დროს. ვახტანგმა ბიჭებს სთხოვა, გასაქანი მომეცითო და მებუფეტეს გადაურბინა კედელზე, თანაც ყოველგვარი ალპინისტური ხელსაწყოს გარეშე. კედელზე მორბენალი კაცის დანახვაზე ქალი გაყურდა. აღარ უყვიროდა მოკიდავეებს. სწრაფად გაასალა მთელი საქონელი და თავის უფროსობას კატეგორიულად მოსთხოვა, სხვა ადგილას გადაიყვანეთო.

მებუფეტე კი არა, უფრო ძლიერი ნერვების ადამიანებზე მოუხდენია „შთაბეჭდილება“ ბლაგიძეს. მისი მუდმივი მეტოქე, 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონი, უნგრელი ლაიოშ რაცი შესანიშნავად იყო მომზადებული მოსკოვის ოლიმპიური ტურნირისათვის. კიდევ მეტიც, ლაიოშ რაციმ შეიტყო, ბლაგიძე მუხლს იტკიებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვახტანგი ტემპიან ბრძოლას მოერიდებოდა. ბლაგიძესთან შეხვედრამდე ერთი საათით ადრე ლაიოში საწვრთნელი დარბაზის ხალიჩაზე იწვა და ისვენებდა...

— შევედი დარბაზში, დავინახე ლაიოში, გავქანდი და მის ზემოთ ზუსტად თორმეტი ნაბიჯი გავირბინე კედელზე. იატაკიდან დაახლოებით სამ მეტრზე ავედი. რაციმა დაინახა ეს, მაგრამ არ განძრეულა. მეც კრინტი არ დამიძრავს, ისე წავედი... შემდეგ დარბაზში დარჩენილმა ბიჭებმა მიამბეს, რაც ქნა ლაიოშიმ.

მას იატაკზე გაუზომია ბლაგიძის მიერ გარბენილი მანძილი. დიდ-

ხანს მდგარა კედელთან და ჩასჩერებოდა იმ წერტილს, სანამღეც ვახტანგმა მიაღწია. სამი სამ-ნახევარი მეტრი გამოვიდა. თურმე რაცმა ამოიოხრა და დარბაზიდან გავიდა...

ფინალური ორთაბრძოლა ბლაგიძემ ოლიმპიური ტურნირებისათვის იშვიათი ანგარიშით მოიგო — 19:1. კომენტარი შეიძლება, მაგრამ განა საჭიროა?

ვახტანგი წლინახევრის იყო, როცა მამამისი გერმანე ბლაგიძე ხარაზობიდან ჩამოვარდა და დაიღუპა. დედას სამი შვილი დარჩა: თხუთმეტი წლის ზაური, სამი წლის გივი და ვახტანგი. ზაური კოლმეურნეობაში წავიდა სამუშაოდ, დედას ეხმარებოდა. უმცროსი ბიჭები მეზობლების ამარა იყვნენ...

— მეექვსე კლასში ვიყავი, როცა ფიზკულტურის მასწავლებელმა მახარაძეში ჩავვიყვანა (ჩემი სოფლიდან თორმეტ კილომეტრზე) საქართველოს ჩემპიონატზე კლასიკურ ჭიდაობაში. მაშინ ჩემპიონი გახდა ჭეშალ მეგრელიშვილი. დიქტორმა გამოაცხადა, რომ იგი ჩვენი რაიონიდან იყო. მეც მომინდა მოჭიდავე გავმხდარიყავი. დედისათვის არაფერი მითქვამს ნებას არ დამრთავდა. ჩავეწერე „სპარტაკის“ სპორტსკოლაში, მიხეილ თავართქილაძის ჯგუფში. მშობლიურ სოფელ ბაილეთიდან მახარაძეში კვირაში სამჯერ ჩავდიოდი, — როცა ავტობუსი არ იყო — ფეხით. შინ დაბრუნება ზოგჯერ სიბნელეში მიხდებოდა და მეშინოდა. მაგრამ შემდეგ მეგობარი გამოჩნდა...

საერთოდ ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ახალბედაზე შეულობას სექციის რომელიმე ძველი წევრი კისრულობს, უფროსი აჩვენებს ხოლმე ილეთებს, ეხმარება შეეთვისოს ახალ გარემოს, ერთი სიტყვით, მეურვეობს. მაგრამ ის, რაც ვახტანგისათვის დიმიტრი კუპრაძე გახდა, ამ მარტივ სქემაში ვერ მოთავსდება.

კუპრაძე ოთხი წლით უფროსი იყო ბლაგიძეზე, უფრო სრული, ძლიერი და გამოდიოდა პირველ ქვესაშუალო წონაში. ვახტანგის სპორტული კარიერის დასაწყისში დიმიტრი უკვე საქართველოს ახალგაზრდული პირველობის პრიზიორი იყო. ჭიდაობაზე სიარულის შესამე თვეს მან ვახტანგს ფორმა აჩუქა და უთხრა: „შენში არის მარცვალი“. თუ კარგად ივარჯიშებ, ჩემპიონიც გახდები“.

გულახდილად რომ ვთქვათ, ვახტანგი იმდენს არ ფიქრობდა მომავალ ჩემპიონობაზე, რამდენადაც ახალ ლამაზ ფორმაზე. მართალია, მას ოდნავ გულს წყვეტდა საჩუქრის ზომა, რომელშიც ადვილად ჩაეტეოდა ორი 40-კილოგრამიანი ბლაგიძე, მაგრამ დიმიტრის დედამ მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს დაუვიწროვა და მოარგო პირველი საკიდაო ფორმა.

— თუ ავტობუსი არ იყო. დიმა მარტო არასოდეს მ-შეგებდა შინ.

12 კილომეტრს ჩემთან ერთად მოდიოდა, შემდეგ კი უკან ბრუნდებოდა.

ზოდა, — გვიამბობს ბლაგიძე. — ჩვენ ერთად დაერბოდით კროსზე, ვხვეწდით ტექნიკას, ვატარებდით სპარინგებს. დიმა არასოდეს არაფერს მაიძულებდა, ისე მაკეთებინებდა ყველაფერს. რომ არ ყვიროდა. ისეთი პერიოდიც მქონდა, რომ ჭიდაობა მომბეზრდა და გადავწყვიტე მიმეტოვებინა კიდევ, რამდენჯერმე წვრთნა გავაცდინე. დიმიტრი მოვიდა ჩემთან სოფელში. ელაპარაკა დედას და ზაურის, საძივემ შემომიტია და მაიძულეს დაენებებულყოფილიყო.

თუ დიმა რაღაც ახალს ნახავდა შეჯიბრებებზე, მეტყოდა ხოლმე: „ერთი საინტერესო რამ შევნიშნე. მოდი, ჩვენც ვცადოთ, იქნებ გამოგადგეს... იცით, რამდენი იყო ეს „საინტერესო რამ“?! იგი ყოველთვის გვერდში მედგა — მეგობარი, ძმა, მრჩეველი და დამცველი...“

ერთხელ წვრთნას მახარაძის სტადიონზე გავდიოდი. მინდოდა თორმეტი წრე შემომებრინა, ჩემზე სამი-ოთხი წლით უფროსი რამდენიმე ბიჭი თამაშობდა ფეხბურთს. ბურთი ბოსტანში გადავარდა და მთხოვეს, მოგვიტანეო. კუპასუსე: „ბოდიშს ვიხდი, არ შემიძლია. ტემპი უნდა შევინარჩუნო, ვვარჯიშობ!“ მათ ჩემი პასუხი არ მოეწონათ, მცემეს და სტადიონიდან გამაგდეს.

ავტირდი და კიშკარისაკენ გავწიე. ამ დროს გამოჩნდა დიმა. მაშინვე ყველაფერს მიხვდა და მუდამ წყნარი და უშფოთველი პირდაპირ გამხეცდა. ეცა იმ ბიჭებს, ისინი კი ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ, გვარიანად მიბეგვა, ორს ქაოროში სწვდა. ჩემთან მოიყვანა და უთხრა: „ბოდიში მოუხადეთ, იგი უკვე სამი წელია აკეთებს იმას, რაც არც ერთ თქვენგანს თავის დღეში არ გაუკეთებია და არც გააკეთებს, ვარჯიშობს, მუშაობს. ბოდიში მოუხადეთ, თორემ თმებს დაგაცლით!“ დიმას მთელი მახარაძე იცნობდა. ეშინოდათ მისი, ძალიან ღონიერი იყო. ამის შემდეგ უკვე მეც მერიდებოდნენ აქაური აბეზარები.

ხუთ წელიწადს, ვიდრე მახარაძეში გავდიოდი წვრთნას, ყოველთვის გვერდით მყავდა ჩემი მეგობარი კუპრაძე. მიხეილ თავართქილაძეს ბევრი მოწაფე ჰყავდა, კუპრაძეს — მხოლოდ მე. მიხეილს მოსწონდა ჩვენი მეგობრობა და ხელაფდა, რა სარგებლობა მოჰქონდა მას. პირდაპირ გეტყვი, დიმიტრი კუპრაძე რომ არა, მე ასეთი მოჭიდავე ვერ გავხდებოდი. ამისთვის არც ჰქუა მეყოფოდა, არც ძალა...

თვრამეტი წლისაც არ ვიყავი, როცა საქართველოს მოზრდილთა ჩემპიონატში გავიმარჯვე. ხალიჩაზე დიმას გავყავი ხოლმე. იგი თვითონაც ჭიდაობდა, ჩემპიონიც გახდა. მაგრამ ჩემზე ყოველთვის უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე საკუთარ თავზე...

მალე თბილისს გავემგზავრე, შევედი მწვრთნელთა სკოლაში, დიმა კი ქალაქ ნიკოლაევის პედინსტიტუტის სტუდენტი გახდა ახლაც იქ მუშაობს მწვრთნელად. ჩვენ იშვიათად ვხვდებით. მაგრამ ჰე ყოველთვის მახსოვს იგი.

სსრ კავშირის ნაერების მწკრივებში ვ.სტანგ ზლაგიძე 1976 წელს შენიშნეს. როცა ნაკლებად ცნობილი მოჭიდავე (ერთი წლით ადრე, სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკადემიაზე ზლაგიძემ მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა) ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონს ანგარიშით 16:2-ს უგებს, არ შეიძლება არ შენიშნონ და არ აღნიშნონ. სწორედ ასეთი ანგარიშით მოუგო ზლაგიძემ მინსკელ ვლადიმერ ზუბკოვს.

— იგი ხელეშში სწვდება მეტოქეს და ბრუნით ძალიან ძლიერად აგდება. მაგრამ იმისათვის, რომ გდება გააკეთოს, უნდა ჩაეჭიდოს ჩემს ხელს. მე კი მისი ტრიალი, მისი ხელები მჭირდებოდა. მუდამ ის იყო იერიშზე, იგი იწყებდა ჩავლვბას, მე კი ვასწრებდი. მაშინ კარგად ვიყავი მომზადებული... შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: ისევე როგორც შარშან, წავაგე ვლადიმერ შატუნოვთან, მერე ვიქტორ ეუკთანაც და მესამე ადგილი დავიკავე... ჩემპიონატის ბოლოს რაღაც ვერ ვგრძნობდი თავს კარგად...

ერთ რამეს მივაქციე ყურადღება: „კარგად იყო მომზადებული“, როცა იმარჯვებდა. „ცუდად გრძნობდა თავს“, როცა აგებდა. დამარცხებებს იგი ხსნიდა მხოლოდ ერთით — ცუდი გუნება-განწყობით. ჩემს პირდაპირ შეკითხვაზე, სომ არ აისხნება თქვენი დამარცხება მეტოქის კარგი მომზადებით-მეთქი, ზლაგიძემ მაშინვე არ მიბასუსხა. ერთხანს დუმდა. შემდეგ თქვა: „არა, მე ცუდად ვგრძნობდი თავს“... სხვა ახსნა მას არ მოუცია. ასეთი ხასიათისაა. რამდენიც მოჭიდავეა, იმდენივე ხასიათია...

1977 წელს ვასტანგ ზლაგიძე შეჩვედა თავის მოავარ მეტოქეს მსოფლიო ხალიჩაზე — მსოფლიო ჩემპიონ რუმინელ ნიკუ ჯინგას (რამდენიმე თვის შემდეგ იგი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა). მათი შესვენება მოსდა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში — ნიკოლა პეტროვის შემორიბალზე სოფიაში.

— იგი ჰქვიანო, ეშმაკი და მოქნილია, მაგრამ მოვეუვე — 8:7. ჩემი „ბზრიალა“ კარგად გამომდიოდა... თავს კარგად ვგრძნობდი... უნივერსადალაზე წამიყვანეს, აქ იოლი იყო, ყველას მოვეუვე, მაგრამ მასში არ მონაწილეობდნენ ჯინგა და რაკი. ისინი მსოფლიო ჩემპიონატზე იბრძოდნენ. დამარცხეს ჰვენს კამილ ფატკულინი და ჯინგა ჩემპიონს გახდა...

ზლაგიძის კიბობაში გაჩნდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკაცრი სიზუსტე. იგი უფრო ფრთხილად ეკიდებოდა ჩაჭიდებას. ადრე ყოველთვის არ იყენებდა გდებისათვის ამ ხელსაყრელ ილეთს, ელოდა უფრო მარჯვე მომენტს. ახლა მოუხშირა გდება. ამას ვასტანგისაგან მოითხოვდა მისი მეორე მწვრთნელს ჯემალ მეგრელიშვილი, წარსულში მკაცრი რაციონალური სტილის მოჭიდავე. მისი პრინციპი იყო: „ჩააქციე — წააქციე“

და აქცევდა კიდევ. 1978 წელი ერთ-ერთი საუკეთესოა ბლაგიძის ბიოგრაფიაში. თავად განსაჯეთ: პეტროვის ემპორიალზე — პირველი ადგილი (ბლაგიძემ მოუგო ჭინვასა და რაცს — 15:7 და 9:1). ევროპის ჩემპიონატზე — პირველი ადგილი (ბლაგიძე — რაცი 19:4).

— კარგად ვგრძნობდი თავს. ჭინვამ დაინახა ეს და არ გამოვიდა ფინალში. ეშმაკია! იცოდა, რომ მესიკოში მსოფლიო ჩემპიონატზე შევხვდებოდი... შევხვდით კიდევ. მაგრამ მაშინვე არა. თავდაპირველად წავაგე ერთი ქულა ბულგარელ ნიკოლა ბორისოვთან. მოვიწამლე კოკა-კოლათი... მთელ შეხვედრას ვიგებდი. ბოლოს კი ერთი ქულა წავაგე. ცუდად ვგრძნობდი თავს. ჭინვამ კი ბორისოვს მოუგო...

დიახ. ენერგიულმა ნიკუ ჭინვამ მოუგო ძალიან ძლიერ ბულგარელ ყმაწვილს და მესამედ აპირებდა მსოფლიო ჩემპიონობას. მისთვის ხელის შეშლა მსოფლიო ბლაგიძეს შეეძლო, თუკი მოუგებდა. მაგრამ ორთაბრძოლის დასაწყისი ჩვენს სასარგებლოდ არ წარიმართა. რუმინელის ელვისებურმა „სანზრეკმა“ მას ორი ქულა მოუტანა და როცა ასეთი უპირატესობა მოიპოვა, ჭინვამ „პოზიციური ბრძოლა“ დაიწყო. ბევრს მოძრაობდა. ვითომ ბრძოლა სურდა, სინამდვილეში კი აღარ კიდაობდა. მაგრამ ამას ისე ეშმაკურად ახერხებდა, რომ მსაჯები არ აფრთხილებდნენ.

— ვცოდი, როგორმე უნდა გამეღიზიანებია. — ბლაგიძემ შუბლი შეიკრა, შეფიქრიანდა. — როგორ გამეკეთებინა ეს? პირდაპირ იერიშზე გადავიდი: მე მას ვავდებდი, ის — მე. შეხვედრის დამთავრებამდე 15 წამით ადრე ქულები მეტი მქონდა — 7:6. მან უცებ ჩოქბჭენში გადამიყვანა და დამეწია — 7:7. თუ ასე დამთავრდებოდა, ბრძოლას ის მოიგებდა, ვინაიდან პირველი ილეთი მან ჩამიტარა. რვა წამილა დარჩა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი შამილ ხისამუდტინოვი ყვირილით დაიძალა. მიავდო პირსახოცი სკამზე და ფიცარნავი დატოვა. ვავბრაზდი. ვუყურებ ჭინვას, მაგრამ არ ვკიდაობ.

მესიკოში მაშინ რომან რურუაც იყო. გამოვარდა ფიცარნავზე და დამიყვირა: „ხარ ვაჟაკი თუ არა?.. მაშ, წინი ექვსი წამილა დარჩა!“ ამ შეძახილმა გამოძაფხიხლა. წავიდი ჭინვასაკენ. მან ხელისგულები დამადო მსრებზე, ალბათ, ფიქრობდა, ორჯერ ვკრავ ხელს და დროც ამოიწურებო. მე კი ჩაცუტქიდი და წელში შევეუვარდი. ჩოქბჭენში დავაგდე. დავატრიალე და გონგის ხმაც გაისმა.

მსაჯები თათბირობდნენ, რა მოეცათ ჩემთვის — ერთი თუ სამი ქულა. რურუა ყვირის: „რომ არაფერი არ მოგცენ, არ შეუძლიათ, რალაცას აუცილებლად მოგცემენ ჩემპიონი ხარ, ბიჭო, გესმის!“ შემდეგ მსაჯმა ხელი ამიწია და მე მსოფლიო ჩემპიონი გავხდა...

1980 ოლიმპიური წელი, რამდენადაც ვიცი, სულაც არ დაწყებულა მისთვის კარგად. სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში დამარცხ-

და ნიკოლოზ ვარულაძის ბუნებრივი ფაშაიანთან და მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები დაეკედნენ კიდევ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირის შედეგებს დაელოდნენ.

ამ შედეგებს ელოდა ბუნებრივი ფაშაიანიც. მან უკვე ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის განაცხადი გააკეთა. ქვეყნის ჩემპიონი გახდა. რით უპასუხებდა ბლავიძე? ვასტანკმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა. კვლავ დაამარცხა ჭინგაძე და ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონი რაცია. ძლიერი დასავლეთგერმანელი მოქილავი კლაუსიცი. მწვრთნელებმა შეებრთ ამოსუნთქეს და ბლავიძე ევროპის ჩემპიონატის გუნდის შემადგენლობაში ჩარიცხეს..

— ნიკოლა პეტროვის შემორჩალები 1978 წელს ჭინგაძე მარჯვენა იდაყვებზე დადოდა და სულ იქნედა. ეტყობა, ძალიან სტკიოდა. კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულ ერთი იყო, რომელ ხელზე დავაბზრიალებდი, ისე, სჯობდა მარჯვენა ყოფილიყო. ნიკუს მარჯვენა სტკიოდა და მისთვის ხელი არ მიხლია. ისედაც ვიკებდი. მაგრამ ერთხელ ისეთი ძალით შემევიარდა წელში, რომ მაშინვე მივხელი. ჭინგაძე ორივე ხელი საღი ჰქონდა. იგი მხოლოდ ეშმაკობდა, ფსიქოლოგიურად მამზადებდა. მისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ გულში კი ჩავიდე.

ბლავიძე იცინის და განაგრძობს:

— გავიდა ორი წელი. ნიკუმ, ალბათ, დიდი ხანია დაივიწყა ის კომედია, მე კი მახსოვდა... „ვალში დარჩენა“ არ მიყვარს. ვკიდობ ევროპის ჩემპიონატის პირველ ფინალურ შეხვედრაში კლაუსთან (გფრ), ვიკებ 9:0. მორიგი გდების შემდეგ ნეკნზე ვიკებ ხელს, ყასილად ჩოქბჭენში ვეცემი და თავს ვატრიალებინებ. გაისმის გონგის ხმა. მოვავე 9:3. სწრაფად გადავდივარ ხალიჩიდან, ნეკნზე მიდევს ხელი, ისე ვიღრიჯები, თითქოს ხუთი ნეკნი მაინც მქონდეს ჩამტვრეული...

როცა ჭინგაძე ჩემ წინააღმდეგ გამოვიდა. არავითარი წინასწარი შეკიდება არ უცდია, პირდაპირ წელისკენ წავიდა. თუ რამე არ ვიღონე, ნეკნებს მართლა ჩამიმტვრევს-მეთქი, ვიფიქრე. ახლო კიდობილში მას კარგად ვიცილობ. დავიწყე გდება მარცხნივ, მარჯვნივ, წინ და უკან. ერთ წუთსა და 35 წამში 12 „მშრალი“ ქულა მოვაგროვე. წმინდად გაიმარჯვე.

ჭინგაძე მეკითხება: „ვასტანკე, ნეკნი ძალიან გტკივა?“ მე მივუვძე: „შენ, ნიკუ. იდაყვი ძალიან გტკიოდა მაშინ?“ გავიცინეთ... ევროპის ჩემპიონი მაშინ მე გავხელი...

მერე ვასტანკე ბლავიძემ ოლიმპიური ჩემპიონობაც მოიპოვა. „თავს კარგად ვგრძნობდი, ასე კარგად არასოდეს ყოფილიყავი!“ — ამბობს იგი და. ალბათ, ასეც იყო. ყველაზე ძნელი ორთაბრძოლა ბულგარულ

პეტროეთან. ჰქონდა. დანარჩენ მეტოქეებს ან წმინდად ან ქულათა დი-
დი სხვაობით მოუყო. რად ღირს მართო მისი გამარჯვება მსოფლიო
ჩემპიონ ლაიოშ რაცთან — 19:1.

ოლიმპიადაზე აღებულმა ტემპმა იგი სსრ კავშირის 1981 წლის
და მსოფლიო ჩემპიონატების მწვერვალუმზე აიყვანა. ფაშაიანი და-
ამარცხა ანგარიშით 12:0. რაიც — სუსტად ასევე. შემდეგ... შეფერ-
ხება დაიწყო. წლებს (30) მაინც თავისი ვაჰქონდათ. გაუნშირდა ტრა-
ვმები. მოახლოვდა ფინაში... ჩემპიონობის ესტაფეტა მისმა ძველმა
მეტოქემ და მეგობარმა ბენურ ფაშაიანმა მიიღო — ამყამად ორგზის
მსოფლიო ჩემპიონმა.

ერთხელ სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე ბლაგიძე შეიდი
თურქი. მოქიდავის წრეში აღმოჩნდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელ-
მა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა შამილ ხისამუდტინოვმა უთხრა: „ვახტანგ,
გაიხსენე ისტორია. გაიხსენე გიორგი სააკაძე“. მანაც გაიხსენა. ხუთი
ბეჭებზე დასცა, ორს ქულებით მოუგო...

ეგვიპტეში ჩენი ნაკრების ტურნეს დროს ბლაგიძემ და იგორ კა-
ნიგინმა გადაწყვიტეს ერთ პირამიდაზე ასულა. ბლაგიძე თავის ამხა-
ნაგზე მალა ავიდა...

— იგორმა დამიყვირა, პირამიდის ფილებქვეშ გველები იმალე-
ბიანო. მალა ნელა ავდიოდით. გაგვაფრთხილეს, უფრო ნელა ჩამო-
დითო. ნეტავ დაგენახათ, რა სისწრაფით დავეშვი ქვევით!..

რომელიღაც ეგვიპტელი ფარაონის პირამიდიდან ჩამოვიდა. თავი-
სი ოლიმპიური პირამიდიდან კი არა, რადგან ვანც ერთხელ ავიდა ამ
სიმაღლეზე. იქ სამუდამოდ რჩება.

„ხილვა ნივლილი...“

(ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ხაბარელის მონოლოგი
ავტორისეული გიორგი კომენტარებით)

„მან... ცის სიჩაოეთა გადართვა ორ-
თაბოძოლის დროს. გადადის იერიშზე,
თითქოს ჩერდება კედელს, როცა აწყ-
დება დაეკას. მაგრამ უცბად ჩართაეს
ხოლმე მაქსიმალურ ბრუნვებს და ბორ-
კავს მეტოქის წინააღმდეგობას. ძნელია
გაუქლო ჭიდაობის ასეთ მანერას...“

და კედელ მას შეუძლია მეტოქეები
დაეკვოს საკუთარ ძალებში, ამტო-
მაც ამარცხებს მათ.“

ვლადიმერ ნეწოროვი

სპორტის დამსახურებული ოსტრი,
ოლიმპიური ჩემპიონი.

ქ. მაიკობი.



შოთა ხაბარელი

— საერთოდ ყველაფერი ჩემი უმცროსი ძმიდან. ჯემალიდან და
იწყო. იგი მისდევდა ჭიდაობას. ხოლო როცა სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტში შევიდა, თავისუფალი სტილის მოკიდავე გახდა. ჯემალს
შუათანა ძმამ ოთარმაც მიბაძა და ორივემ ერთად მეც ამიყოლიეს.

ადვილი შესაძლებელია მათ ჩაურევლადაც არ ამექცია გვერდი
სპორტის ამ სახეობისათვის. ჩენი სოფელი ძლევითგვარი ხომ გორის
რაიონშია, სადაც ჭიდაობა № 1 სპორტია და სადაც ყოველ პარასკევს,
შაბათსა და კვირას იმართებოდა შეჯიბრება. რა თქმა უნდა. ასეთ შე-
ჯიბრებებში მეც ჩავებმებოდი, მაგრამ ჯემალმა ჩემ მომზადებაში

სპორტული საწყისი შემოიტანა. მავარჯიშებდა. კროსებზე მარბენინებდა. ღერძზე მატრიალებდა, მძიმე ლოდებს მაწვეინებდა. და რაც მთავარია, ჩემი ძმების სპარინგ-პარტნიორი ვიყავი. საკმაოდ სერიოზულად ვხვეწდი ჩვენს საკიდაო ტექნიკას.

თექვსმეტი წლისამ ძიუდოსტობა გადავწყვიტე, მაგრამ გივი ზაუტაშვილმა არ მიმიღო. ამისთვის უკვე ბებერი ხარ. წადი, იქიდავეო. ძალიან გამანაწყენა. როგორ? — გავიფიქრე. — რამ დამაბერა. როცა ჯერ მოზრდილიც არა ვარ. სწორედ მაშინ გორში გაიმართა შეჯიბრება კიდაობაში. პირველი ადგილი ავიღე. მგონი. 68-კილოგრამიანთა კატეგორიაში. ეს რომ ნახა, ზაუტაშვილმა მითხრა „წვრთნაზე იარე. იცოდე: დაგვიანება არ მიყვარს!..“ მეტი არაფერი უთქვამს.

ჩემი სოფლიდან გორამდე 25 კილომეტრია. ავტობუსი ყოველთვის არ დადიოდა განრიგის მიხედვით. მაგრამ მე არათუ არ დამიგვიანია, მთელი წლის მანძილზე არც ერთი წვრთნაც არ გამიცდენია. არც ერთი! როგორ ჩავდიოდი ქალაქში, ეს მარტო მე ვიცი! რად ვლაპარაკობ ამას? ახლა თბილისში დავბინავდი და ვხედავ, დარბაზთან სულ ახლოს მცხოვრები ბავშვებიც კი იგვიანებენ, წვრთნას აცდენენ. მათ სპორტი არ უყვართ და ვერაფერს მიაღწევენ. სპორტი არავის აპატიებს მისადმი ასეთ დამოკიდებულებას. მე ლამაზობით წვრთნა მესიზმრებოდა, კიდაობა მამოდებდა. ამიტომაც შევეძელი რაღაც.

ავტორის აგან: გივი ზაუტაშვილის სექციაში პირველი წვრთნის წლისთავზე ხაბარელმა იუნიორთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. წლისთავზე!

— მინდა გიამბოთ ჩემს მწვრთნელზე. ბატონი გივი ძალიან ავტორიტეტული კაცია. მასთან მეცადინეობდა ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი და ჩვენი პირველი მსოფლიო ჩემპიონი თემურ ხუბულური. ასეთი მოწაფეების პატრონი შეიძლება გადიდგულდეს. დამწყებთ ზევიდან უყუროს. ასეთ მწვრთნელებსაც გიცნობ! მოამზადებს რესპუბლიკის ჩემპიონს და თავი ისე მოაქვს, ათქოს ღმერთის მოადგილე იყოს დედამიწაზე.

ზაუტაშვილი არასოდეს ყოფილა ასეთი. იგი არა მარტო ჩვენი მწვრთნელი. არამედ უფროსი ამხანაგიც იყო. ერთი წვრთნის დროს იგი ყველასთან ასწრებდა კიდაობას.

იგი „მბოქავდა“ ან მიტარებდა მტკივნეულ ილეთს და მეუბნებოდა: „სანამ თვითონ არ წამიხვალ, არ გაგიშვებ!“ მთელი ათი წუთი ყოველნაირად ვცდილობდი დავსხლტომოდი. ო, როგორ მიჰირდა! მე სამოც კილოგრამს ვიწონიდი, ის კი ოთხმოცზე მეტს. წარმოიდგინეთ, რა დღე დამადგებოდა?! მაგრამ ზაუტაშვილმა იცოდა, რასაც აკეთებდა. მთელი ჩემი სპორტული ცხოვრების მანძილზე არც „შებოქვით“

წამიგია და არც მტკივნეულ იღეთზე წამოვგებულვარ. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი მწვრთნელის დამსახურებაა. ჩვენ რომ გვაწვალებდა. თვითონაც ხომ წვალობდა. მაგრამ როგორც ხედავთ, ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია.

ავტორისაგან 1979 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში ხაბარულს სწორედ „შებოქვას“ უპირებდა საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე ჰერალდ ჰაინკე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. „შებოქვა“ ძიულდში წმინდა დამარცხებაა. როცა ჰაინკემ მიიტაცა მეტოქე, ეპვი არავის ეპარებოდა, რომ ბრძოლა მალე დამთავრდებოდა. მაგრამ ყველა შეცდა. შოთა ერთ წამს გაშეშდა, თითქოს დანებდა და მოთმინებით უცდის დამთავრებასო. მაგრამ შემდეგ მკერდის ტრიპალით ისეთი ძალით ეძგერა, რომ ჰაინკემ არჩია ხელი გაეშვა მისთვის, რათა თვითონ არ წამოგებოდა ამ იღეთს. „მე ჯერ არავინ წამსვლია, — უთხრა ჰაინკემ შოთას. — ვერ გამიგია, შენ როგორ მოახერხე ეს?..“

ზაულტაშვილმა ისე მოაწყო საქმე, რომ ჩვენს სექციაში მხოლოდ თავისთვის არავინ მუშაობდა. არც კი ვიცოდით, როგორ ხდებოდა ეს. მაშინ ახალგაზრდა მოჭიდავე ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, მთელი სექცია „ეთამაშებოდა“ შოთა ჩოჩიშვილს, რომელიც მონრეალის ოლიმპიადისათვის ემზადებოდა. მერე კი თემურ ხუბულურის ჯირი მოვიდა. მას კოლექტიურად „აწვალებდნენ“ ყველანი და იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. შემდეგ კი ჩემი დროც დადგა.

შოთა ჩოჩიშვილი თუმცა უკვე ამთავრებდა გამოსვლას ტატამზე, წვრთნაზე სპეციალურად მოდიოდა ჩემ დასატვირთად. ბატონ გივის თვითონ უკვე აღარ შესწევდა ამის ძალა და ჩოჩიშვილი მომიჩინა. ჩვენ ერთმანეთისაგან ვსწავლობდით.

ავტორისაგან „ძალისა და ტექნიკის დაგროვების პროცესი“ ინტენსიურად მიმდინარეობდა. ხაბარელი, რომ იტყვიან, თვალდათვალ იზრდებოდა, მაგრამ ამ გულმოდგინე და მძიმე შრომის შედეგები რაღაც იგვიანებდა. 1978 წელს შოთა პირველად გამოვიდა ქვეყნის ჩემპიონატზე და მესამე ადგილი დაიკავა. ერთი წლის შემდეგ უკვე მეორე იყო. აბრძოდა სტაბილურად, ძლიერად. მაგრამ არ ბრწყინავდა.

და უცებ მოხდა სწრაფი ნახტომი. ხაბარელი ზედიზედ იმარჯვებს ოთხ საერთაშორისო ტურნირზე. ფინალებში ამარცხებს ჩვენთვის უკვე ცნობილ ჰერალდ ჰაინკეს (ვაზარი — ნახევრად გამარჯვება). ევროპის ჩემპიონ ადამ ადამჩიკს (ოთხი „კოკა“) და მსოფლიო პირველობის პრიზიორს ფრანგ ბერნარ ჩულუიანს („კოკა“).

იგი შეჰყავთ ევროპის ჩემპიონატზე გასაგზავნ გუნდში. გადის ფინალში. მაგრამ ოქროს მედალს ვერ იღებს. მწვრთნელებს მანც სჯე-

რათ ხაბარელ-სა და ისევ მიჰყავთ მსოფლიო ჩემპიონატზე. პარიზი-დან შოთა შავი ღრუბელივით მოღუშული ჩამოდის. მართლაცდა, რა სასიხარულოა მეექვსე ადგილი.

— ისეთ ხასიათზე ვიყავი, დანა პირს არ მისხნიდა. თითქოს კარ-გად ვემზადებოდი. მაგრამ აი რა გამოვიდა! ერთი კვირა დავისვენე და კვლავ დავიწყე წერთა. უფრო ვუმატე. თითოეულ მეცადინეო-ბაზე სულ ცოტა 100 გდებას ვაკეთებდი. როგორც მეცნიერები ამ-ბობენ. ვეძებდი ოპტიმალურ ვარიანტებს.

ყველა ცდილობდა დამმზარებოდა. ჩემი პირველი მწვრთნელი ზაურტაშვილი მოითხოვდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ძალის-შიერი მომზადებისათვის მიმეცია. მეორე მწვრთნელი, რომელთანაც ახლაც ვმუშაობ. — ოთარ ნათელაშვილი, ხევწდა ჩემს ოსტატობას გდებაში. იგი სსრ კავშირის ჩემპიონი იყო და კარგად ქიდაობდა დგომში. დღე არ გავიღოდა, რომ ჩემი საქმეებით არ დაინტერესე-ბულიყვნენ სახელმწიფო მწვრთნელი ტარიელ ჩუთლაშვილი და სა-ქართველოს ნაყრების უფროსი მწვრთნელი დილარ ხაბულიანი. ვგრძნობდი ამ ადამიანების ყურადღებას და, მერწმუნეთ, წვრთნაზე თავს არ ვიზოგავდი...

ა ე ტ ო რ ი ს ა გ ა ნ . ეს დასაჯერებელია. ფაქტები მოწმობენ. სე-ზონს საბჭოთა ძიუდოისტები ყოველთვის თბილისის საერთაშორისო ტურნირით იწყებენ. შოთა ხაბარელმაც 1960 ოლიმპიური წლის სე-ზონი თბილისის ტატამზე დაიწყო. ფინალში დაამარცხა გამოცდილი ალექსი ვოლოსოვი ელექტროსტალიდან და პირველი ადგილი დაიკა-ვა. მე დიდი ხანია ვიცნობ ვოლოსოვს. მას შეიძლება მოუგო მხო-ლოდ მაშინ, თუ არ შეცდი, თუ გდებას იდეალურად სწორად ჩაატა-რებ და არ შეუშინდები მისი ძალისმიერი ქიდაობის მანერას. შოთა ყველა ამ პირობას იცავდა, ამიტომ გაიმარჯვა კიდევც.

— ცოტა გულს მომეშვა. ჩვენი ქვეყნის ნაყრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის პავლეს ძე მიშჩენკომ მითხრა: „თუ ტემპს არ შეანელებ. ალბათ, ოლიმპიადაზე იქიდავებ. მხოლოდ უფრო მეტად გაიხარე, შოთა! სპორტსმენი ოლიმპიადაზე უმთავრესად სიკოცხლე-ში ერთხელ გადის...“ გულში ჩამრჩა ეს სიტყვები და ისე ვვარჯიშობ-დი, როგორც არასოდეს. მაგრამ მაინც ვლეღავდი. ოლიმპიური ნაყ-რების პრეტენდენტი ქვესაშუალო წონაში ბევრი იყო.

როცა დადგა დრო საბოლოოდ განესაზღვრათ გუნდის შემადგენ-ლობა, მწვრთნელები ვერ შეთანხმდნენ. მიშჩენკომ დამიცვა და გა-მიყვანა: თავს სიტყვა მივეცი არ მემტყუნა იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს.

ა ე ტ ო რ ი ს ა გ ა ნ . სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელ-მა ბიძინა მაზიაშვილმა, რომელიც ოცი წლის მანძილზე სათავეში

ელვა საქართველოს ნაკრებს და ჯერ კიდევ ჭაბუკ ხაბარელს იცნობდა, მითხრა: „მას ძალიან განვითარებული აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, შეუძლია დაძაბოს ნებისყოფა, არ დაიხიოს უკან, როცა უკან დასახვევი გზა აღარ არსებობს. ჩვენ, მწვრთნელები, ასეთ აღმანებს ძალიან ვაფასებთ“.

— მე ვცადე საკუთარი თავისთვის უცხო თვალთ შემიჩხვდა. არაერთხელ წამიკითხავს, რომ ალპინისტები მწვერვალის გადამწყვეტი დალაშქრის წინ კიდევ ერთხელ ამოწმებენ საქურველს. რომელიც მანამდე ათჯერ მანაც შეუმოწმებიათ. რატომ შვრებიან ამას? ვფიქრობ, იმისათვის, ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ კარგად არიან აღჭურვილი. და აი მეც მომინდა შემემოწმებინა ჩემი იარაღი.

ყველა ქართველი მოჰიდავე გადის იმ ხილზე, რომელიც აერთებს ჭიდაობასა და ძიუდოს. უნდა იცოდეს მხოლოდ, ხილის რა ნაწილში იყოფები. მთლად ძიუდოზე გადასვლა საშიშია. ზურგი გამოგეცლება. მაგალითად, იაპონელები ხომ ძიუდოს საიდუმლოებას ადრე ბავშვობაში ეცნობიან და ეს ცოდნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებათ.

მე კი ჭიდაობა დამრჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე. მეც ხომ ბავშვობაში ვისწავლე იგი არა იმიტომ, რომ მჭირდებოდა, არამედ იმიტომ, რომ უიმისოდ ვერ ვძლებდი. მაშასადამე, რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? ის, რომ მივდივარ ხილზე და ვეძებ ოქროს შუაგულს: ყოველივე ის, რაც მომცა ჭიდაობამ, მთელი ძალით უნდა მესმარებოდეს ტატამზე. შემხვედრიან მწვრთნელები, რომლებსაც ჩემთვის ნამდვილად სიკეთე სურდათ და მირჩევენ: „დაივიწყე შენი ჭიდაობა, შენ ძიუდოისტი ხარ“. დიას, ძიუდოისტი ვარ და ამიტომ კარგად უნდა მახსოვდეს ყოველივე, რაც ჭიდაობას მოუცია. უფრო გულდასმით შევეუდგე ჩემი ეროვნული ჭიდაობის მრავალნაირი ილეთების დამუშავება-დახვეწას. ჩემგან მწვრთნელები ბევრს მოითხოვდნენ, მაგრამ საკუთარი შემხვედრი გეგმაც მქონდა. და მასაც ვასრულებდი. გამოგიტყდებით: მე ვერ განვსჯი, როგორ განვახორციელე ყოველივე ეს. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი — საკუთარი თავის რწმენა მომეცა. ეს კი, დამეთანხმებით, სადღაც არ მიპოვია.

ავტორის ავან მამ ასე, მოსკოვი, 1980 წელი. XXII ოლიმპიური თამაშები. ძიუდო ორთაბრძოლის ერთადერთი სახეობაა, რომელშიც წილისყრა ხდება არა პირველი აწონვის შემდეგ, არამედ მთელი კვირით ადრე. დმერთმა იცის, რატომ ხდება ასე. ასეთია ტრადიცია. მოჰიდავეები ხუმრობენ: წილისყრა ნაადრევად „საწვალბლად“ ხდებაო. მართლაცდა, ბევრი წვალობს, ნერვიულობს. სპორტული ენით რომ ვთქვათ, იწვება.

შოთა ხაბარელიც ფიქრობდა თავის პირველ მეტოქეზე. ფიქრობ-

და ევროპის ჩეკიონ ჰერალდ ჰაინკეზი. რომელიც მეტოქეთა ჩავლები და „შებოქვის“ დიდი ოსტატი იყო და არ უშეებდა მათ, სანამ მსაჯი არ მისცემდა სიგნალს — „იპონ!“ — სუფთა გამარჯვება!..“

მაშინვე ვიგრძენი. რომ ჰაინკე კარგად მომზადებულიყო შინ. ვცადე თუ არა სარმის გამოღება, მან კონტრილეთი ჩამიტარა — ფეხი დამიჭირა. ეს ბერხი მას ადრე არასოდეს უხმარია. მაშასადამე, სპეციალურად ემზადებოდა ჩემთან შესახვედრად. მსაჯებმა მისი მოქმედება „კოკად“ შეაფასეს. მაშ ვაგებ...

ტემპს ვუმატე. ვაშინებდი ათასნაირი იერიშით. მაგრამ ვერაფერს გავხდი. ისიც სწრაფად მოძრაობდა ხალიჩაზე, ოსტატურად იცავდა თავს, კონტრიერიშზე გადმოსვლას ლამობდა. და თუმცა ინიციატივა მე მქონდა, მსაჯები ჰაინკეს პრეტენზიას ვერ წაუყუენებდნენ: ისიც ჭიდაობდა, ისიც მოძრაობდა.

გადაწყვიტე თხუთშეტოდე წამი მეც შემეხვეინა და მეტოქეც დამემშვიდებინა. ტემპი შევანელე. აღარ ვანჯღრევედი, აღარ მივმართავდი „ჩემ“ ილეთს — ჩავლებას. ვხედავ: ჰერალდი მართლაც დამშვიდდა. დაიჭრა, რომ მე დავილაღე: გონგამდე ორი წუთით ადრე მთელი ძალით ავმოქმედი. ამას იგი არ მოელოდა. საშინლად დაიძაბა, ვიგრძენი, რომ დაცვაში უფრო მეტ ძალას ხარჯავდა, ვიდრე იერიშის დროს. ეს ჩვენთვის დაუშვებელი ფუფუნებაა, განსაკუთრებით ოლიმპიურ ტურნირებში. ძალთა არაპროდუქტიული ხარჯვაა. ეს ძალები კი უღევი არ არის.

კიდევ უფრო ეზრდი ტემპს. ვგრძნობ, რომ ბრძოლამ ზღვარს მიადწია. მაგრამ ეს ზღვარი უკვე გადალახულია და დაცემას იწყებს, ძიუდოში ზუსტად განსაზღვრავენ: მსაჯი აჩერებს შეხვედრას და უცხადებს მას შენიშვნას — „შიდოს“. ანგარიში გათანაბრდა. ორთაბრძოლა თუ ასე დამთავრდა, ბედს გადაწყვეტს „ხანთეი“ — გამარჯვება მსაჯების აზრით. თუ ვისი იქნება „ხანთეი“, მსაჯებზეა დამოკიდებული.

ვიცი, რომ გაჩერება არ შეიძლება. კიდევ ცოტაც, და მხედველობის ველიდან დამკარგავს: მაგრამ სწორედ ეს „კიდევ ცოტა“ საქმე.

ავტორის აგან მსაჯს უკვე აღარ შეუჩერებია ორთაბრძოლა; აღარ უთხოვია მეტოქეებისაგან მოეწესრიგებინათ ფორმა. ჭამრიდან ამოფრიალებულ კიმონოში ხაზარელი ფრთათეთრ დიდ ფრინველს ჰგავდა. ეს ფრინველი კი ჰერალდ ჰაინკეს დასტრიალებდა და მოტაცებას უპირებდა. შოიტაცა კიდევ. ელვისებური სისწრაფით გამოსდო სარმა (სხვათა შორის ქართულ ჭიდაობაში მას „გადაავლი“ ეწოდება) და ჰაინკე ტატამზე დაავდო. მსაჯმა „კოკა“ უჩვენა. გაისმა სირენის ხმა. გაიმარჯვა შოთა ხაზარელმა.

— მეორე ბრძოლა ბულგარულ გიორგი პეტროვთან მქონდა. ეს

იყო ჩვენი მეშვიდე შეხვედრა. ექვსჯერ მოვუგე და ეშვი არ მეპარებოდა, რომ ამჯერადაც დავამარცხებდი. ეტყობა, პეტროვმაც სწორად ამ შეხვედრაში გადაწყვიტა ეჩვენებინა ჩემთვის, რომ „კერვეტა“ კაკალი იყო. კონტროლს უწევდა ჩემ ყოველ მოძრაობას. სამი წუთის ვანავლობაში ერთი გდებაც ვერ მოვუხერხე.

მიხვდით, რომ აქ არ იქნებოდა კილაობა — ტექნიკური, გდებებით — და დავუწყე დევნა მთელ ტატამზე. თითქოს ერთი მიზანი მქონდა: ნაკუწებად მექცაა მისი კიბონი. თითები მეწვოდა, ისე ვეწვოდი მას, გონგამდე ერთი წუთით აღრე იგი ისეთივე მდგომარეობაში იყო, როგორც მე. ამ ორთაბრძოლაში სხვა აღარაფერი მომხდარა.

ტატამიდან შესანიშნავ გუნებაზე გადმოვედი, დამშვილებული. თავი ქულში მქონდა. ბორის პავლეს ძე მიშჩენკომ ისე დამკრა მხარზე, რომ კინალამ წავიქეცი. ის ხომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი იყო, მგონი, ქვემძიმე წონაში. წარმოიდგინეთ, რა დარტყმა იქნებოდა: „შენ რა მშვიდად ხარ, შოთა, გგონია, ყველაფერი დამთავრდა?!“ გამოვფხიზლდი: შუა ტურნირში დამშვიდება წაგებას მიქადდა. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მიხვდა მოშჩენკო ჩემს განწყობილებას.

ავტორის აგან რთულია აღამიანი და ნაკლებად შესწავლილი. მეცნიერები აღმოაჩენენ კიდევ არა ერთ ფენომენს, როცა ჩაულრმავდებიან აღამიანთა ხასიათების კვლევას... წავიდა შოთა ხაბარელი გასახდელში და ყველაფერი უთხრა თავისთავს, რასაც ფიქრობდა აღამიანზე, რომლის გვარ-სახელია შოთა ხაბარელი. ეტყობა, ბევრი ურიგო რამეც უთხრა, იმიტომ რომ ძალიან გაბრაზდა, ისე გაბრაზდა, რომ მეტად დინჯი სპეციალისტები გააოცა.

როცა იგი საჭიდაოდ მიდიოდა რუმინელ მირჩა ფრატეკასთან, მწვრთნელებმა ურჩიეს ფრთხილად ყოფილიყო. ურჩიეს ჭერ მოესინჯა და მერე ემოქმედა გარემოების მიხედვით. მან უხმოდ დაუქნია თავი და ადგილზე დააბარტყუნა ფეხები.

გასაგები იყო მწვრთნელების მდგომარეობა: პირველ შეხვედრაში ფრატეკამ დააგდო გამოცდილი უნგრელი იანოშ დიანი. მოიპოვა „ვახარი“ — ნახევარგამარჯვება, მეტოქეს კი „კოკას“ მიღების შესაძლებლობაც არ მისცა, შემდეგ მირჩას ერგო წმინდა გამარჯვება უბრძოლველად: შეჯიბრებაზე მეტოქემ დაიგვიანა.

ერთი სიტყვით, რუმინელი ძალ-ღონით იყო აღსაესე, ხოლო შოთამ მოასწრო თუ არა ძალების აღდგენა, ჭერ კიდევ შესამოწმებელი გახლდათ. თანაც ეს შემოწმება ნახევარფინალში უნდა მომხდარიყო. ამ შეხვედრაში გამარჯვებულს ვერცხლის მედალი გარანტირებული მქონდა და უფლებას იღებდა ებრძოლა ოლიმპიური ჩემპიონის წოდებისათვის და იღებდა, ჩვენი მწვრთნელების მდგომარეობა გასაგები იყო.

ხაზარელისა კი — არა. იმის ნაცვლად, რომ თვალყური ეღვენებინა მეტოქისათვის, იგი დაეძგერა მას, როგორც ახალბედს ახალბედს, ჩაუტარა ათასწორი იღვთი, ვაიოცა უძლიერესი მოქიდავე (ერთი წლის შემდეგ ფრატეკა ევროპის ჩემპიონი გახდა). ზუსტად ვაუკეთა გდება და აიღო „იუკო“ — ნახევარი „ვახა-არი“.

ამ შემთხვევაში ეს სავსებით კმაროდა გამარჯვებისათვის, ფინალში გასასვლელი საგზურისათვის.

დამეთანხმებით, ზოგჯერ ადამიანს ვემოზე შენგლრევა სულაც არ აწყენს...

— ფინალში ჩემი მეტოქე იყო კუბელი, ძალიან ღონიერი ხუან ფერერი. კუბელებს თავიანთი სკოლა აქვთ, თვითმყოფადი, სხვას არც ერთს რომ არ ჰგავს. მათთან ჭიდაობა ძალიან ჭირს.

ავტორის აგან დიახ, ჭირს... მონრეალში ოლიმპიური ტურნირის მონაწილეებს შორის ერთი ძიუდოსტის გამარჯვებაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა. ეს იყო იაპონელი მინამი უმჩატეს კატეგორიაში. კადოკანის აღზრდილის ოსტატობას მოწმობს გასაოცარი ფაქტი: 64-კლოგრაშიანმა მინამიმ მონრეალის ოლიმპიადის წინ მოიგო იაპონიის ჩემპიონატი... აბსოლუტურ კატეგორიაში.

ეს ძნელი წარმოსადგენია: მინამის მეტოქეობდნენ არა უბრალოდ ქვემძიმე და მძიმე წონის კატეგორიის, არამედ ტექნიკური, გამოცდილი, ძიუდოს ნამდვილი ოსტატები. როგორ მოუგო ამ კაფანდარამ მათ? დიახ, მოუგო და ჩავიდა კიდევ მონრეალში, რათა იოლად გამარჯვა უმჩატეს წონაში.

ოლიმპიადა სავსეა მოულოდნელობებით. ვინც ეს ფრაზა პირველად წარმოთქვა, ალბათ, არც უფიქრია, რაოდენ ტევადი უნდა ყოფილიყო იგი... მინამიმ წააგო ფრანკ ძიუდოსტ დელვიგთან და „ოქროს“ იმედი დაკარგა. როცა ეს მოხდა, იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი სასოწარკვეთილი ტატამს ახლიდა თავს. ვერა და ვერ დაამშვიდეს. იგი აღარ უნახავთ. მსოფლიო ასპარეზზე. მინამიმ ვერ აიტანა შერცხვენა და დაემშვიდობა ძიუდოს.

არასოდეს დამავიწყდება მინამის სახე, როცა ის ორად მოკეცილი დამარცხებისათვის პატიებას სთხოვდა ძალზე მოხუც ქალაქ იაპონელ მწვრთნელს. მოხუცმა მწვრთნელმა მოუსმინა ხმადაბლა სხვაა-სხუპით მოლაპარაკე მოქიდავეს, უბედურების გამო თანაგრძნობის ნიშნად მანაც მდაბლად დაუკრა თავი. მონრეალში იაპონელებმა პირველად წააგეს ოლიმპიადა ამ, ალბათ, ყველაზე იაპონურ წონით კატეგორიაში...

მინამიზე გამარჯვებული დელვიგი ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გახდა. ფინალში წააგო ასხლეტილ შავკანიან ყმაწვილთან — კუბელ ენრიკე როდრიგესთან. ბრძენმა, ტექნიკურმა, ცეცხლოვანმა დელვიგმა

წააგო იმიტომ. რომ როდრიგესი უფრო ბრძენი, უფრო ტექნიკური და უფრო ცეცხლოვანი აღმოჩნდა. ენრიკე როდრიგესი პირველი კუბელი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ძიულდოში.

ზოლო მეორე ოლიმპიელი ძიულდოისტი მოსკოვში 1980 წელს უნდა გამხდარიყო აგრეთვე კუბელი შავკანიანი ათლეტი ხუან ფერერი. და მას ამ განზრახვის შესრულების სრული საფუძველი ჰქონდა. მან ნახევარფინალში თავბრუდამხვევი გდებით წმინდა გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ ძიულდოისტზე ფრანგ ბერნარ ჩულუიანზე. აი, როგორ ოსტატთან ელოდა შეხვედრა შოთა ხაბარელს.

— პირდაპირ არ ვიცოდა, როგორ მივდგომოდი მას. ასეთი მეტოქე არასოდეს არ მყოლია... ფერარის სიმაღლე... 192 სანტიმეტრი! ასეთი მძიმე წონის მოქიდავეები ცოტანი არიან. როგორ უნდა დაეკიდებოდი მე, 176 სანტიმეტრის სიმაღლისა. ასეთ გოლიათს?

ამ შეხვედრის წინ ბორის პავლეს ძე მიშჩენკომ მითხრა: „თუ შეძლებ გამოუერთო მარცხენა ხელი, — მოიგებ. თუ ამას ვერ მოახერხებ, — წააგებ“. ტატამზე გამოვედი მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ შემსრულებინა რჩევა, მაგრამ უცებ ყველაფერი დამავიწყდა. როგორც კი გამომკრა გრძელი ფეხი, ძლივს შევემაგრე თავი ვეცი. რომ ხელი ჩამეგლო სარტყელში და უკანიდან გამომედო სარმა. იგი კი წინ წამოიხარა. იმ სიგრძე იყო. რომ ქამარს რას მიეწვეებოდი!

ვებრძოლე, ვებრძოლე. როგორც იქნა. მიეწვდი სარტყელს და სარმა უნდა გამომეკრა. მან კი კიდევ უფრო ახლოს მიიძივა... კონტრფანდი ჩამიტარა, გულზე გადამეგლო. „კოკა“ მისცეს.

მიშჩენკო კი მიყვიროდა: „მარცხენა! მარცხენა!“ ქართველი მწვრთნელები ქართულად მომძახოდნენ: „მარცხენა გამორთე, მარცხენა!“ გონს მოვეგე და მარცხენა ხელში ჩავაფრინდი.

ა გ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ ტოკიოს საერთაშორისო ტურნირის დროს სსრ კავშირის ნაკრების ბიჭებმა გადაწყვიტეს გაესეირნათ ტოკიოს ქუჩებში და სათამაშო ავტომატების დარბაზში შევიდნენ. ყურადღება მიაქციეს ძიულდოისტების ფორმაში გამოწყობილ რობოტს. იგი ოდნავ მუხლებში მოღუნული იდგა. ხელებიც ოდნავ მოხრილი ჰქონდა იდაყვებში.

„ამას აქ რა უნდა?“ — იკითხა დავით ბოდაველმა. ფიზიკურად მეტად ძლიერმა და, როგორც ხაბარელმა თქვა, გამბედავმა და ძალზე მიაშიტმა“. ბორის გოგიჩაიშვილმა უთხრა დავითს: ვინც ხამბარიან ხელებს ბოლომდე გაუშლის, ბევრ ფულს იშოვისო. დავითმა ხელი მოკიდა რობოტის მკლავებს, დაქიმა, ბოლომდე გაშალა, კიდევ ოდნავ დააწვა და... მოამტერია. იაპონელებმა ამოიოხრეს. მათ არასოდეს ენახათ ისეთი ღონიერი, რობოტიც ხელებს მოამტერებდა რკი-

ნის რობოტს. მოულოცეს ბოდაველს, ხელები მოუსინჯეს. იგი კი ღიძილით ამხანაგებს ეკითხება: „ფულს ვინ მომცემს?“ ბიჭები უხიფათო ადგილას დადგნენ და დავითს გამოუტყდნენ, რომ რობოტს ფული არც აქვს და არც ექნებაო...

— მე, რა თქმა უნდა, ბოდოველივით ღონიერი ხელები არა მაქვს. მაგრამ ფერარის ცაცია მაინც გამოვითიშე. მოხდა საოცარი რამ. პირდაპირ არ ვიცი, რა დაემართა: იგი მთლად უმწეო გახდა. სრულიად აღარ შეეძლო ასეთ ჩველებაში ჭიდაობა. რამდენიმე წუთს ვებრძოდი არა ფერარს; არამედ მის მარცხენა ხელს. ჩაუტარე ოთხი გდება. ავიღე ორი „კოკა“ და „ორი „იუკო“. მეტიც შემიძლო, მაგრამ ველარ გავრისკე. ეს ხომ ოლიმპიადა იყო. გაისმა გონგის ხმა. მე ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი.

ავტორის აგან ყველა მიესია ხაბარელს. ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ჰაერში ისროდნენ. უფრნალისტები ცდილობდნენ ჩემპიონისაგან ინტერვიუ აეღოთ. ყველანი ერთმანეთს ვასკლებოლით და ხელს ეუშლიდით ერთმანეთს...

— 1981 წელს, ბოლოს და ბოლოს გავხდი სსრ კავშირის ჩემპიონი. შემდეგ კი წარუმატებლობას წარუმატებლობა მოჰყვა. ოლიმპიადის მერე ოდნავ შევანელე დატვირთვა. ეს მაშინვე დამეტყო. ბუნებით არაფერი მაქვს თანდაყოლილი. ყველაფერი წვრთნით შევიძინე. საკმარისია ოდნავ მოვეშვა, რომ მაშინვე იშლება ყველაფერი... გამოგრიტყდებით: შიში შემეპარა. უკვე იერიშზე კი აღარ ვფიქრობდი, არამედ იმაზე, მეტოქის ფანდზე არ წამოვეგო-მეთქი...

საჭირო გახდა სასწრაფოდ წვრთნის ინტენსივობის გადიდება. სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა მოვიგე და მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრე. იქ ფინალში „შიდო“ წავაგე იაპონელთან. დიდი სცხეები მქონდა, გავცივდი. ჩემი შეცვლა კი არ შეიძლებოდა. განაცხადი უკვე შეეტანათ. ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე მას მოვეუგე, აქ კი წავაგე.

წავაგე სსრ კავშირის 1984 წლის ჩემპიონატის ფინალიც. პირველობა დაისაკუთრა კურსკელმა იური მერკულოვმა. კურსკში კარგი სკოლაა. იქაურია ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლოზ სოლოდუხინი. ისევე გააწიერებული მზადება დავიწყე, მაგრამ „მეგობრობა-84“-ის ტურნირზე აღარ წამიყვანეს. ვიფიქრე, იქ გამოვალ-მეთქი, მაგრამ მწვრთნელებმა მერკულოვი არჩიეს. მათ უკეთ იციან.

— რა გეგმები გაქვს შოთა?

— ვეცდები ვივარჯიშო, რომ ყველას დავემტკიცო, ადრე მიპირებთ ჩამოწერას-მეთქი... ამის შემდეგ დავსვამ ლამაზ წერტილს, მინდა დიდხანს ვახსოვდე ხალხს. მერე კი წავალ... როგორ ფიქრობთ, შეეძლებ ამას?..

— ვფიქრობ, შეძლებ... დარწმუნებულიც კი ვარ, რომ შეძლებ...

პროფესორო, მიიღეთ გამოსცაი..

„არაეინ მინახავს. რომ დგომში უფრო
ოსტატურად ეკიდაოს. ისეთი შთაბეჭ-
დილება იქმნებოდა, თითქოს ვახტანგ
ბალაუაძეს ორი წყვილი ხელი ჰქონ-
და. — იმდენად მრავალფეროვან მოძრა-
ობებს აკეთებდა ფეხებით...“

რას არ უწოდებენ ძლიერ მოქიდავე-
ებს: რკინის კაცს, ორმოტორიანს, ჩემ-
პაონთა ჩემპიონს, მაგრამ პროფესორი
მხოლოდ ბალაუაძეს შეარქვეს.

რა გულიანი, კეთილი და მომხიბუ-
ლელი ადამიანია იგი!“

ვასილ რიბალკო

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
სსრ კავშირის დამსახურებული
მწვრთნელი

ქ. კევეი



ვახტანგ ბალაუაძე

საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამარჯვებული
თავისუფალ ჭიდაობაში ვასილ რიბალკო ჩვენს შორის აღარ არის.
მძიმე ავადმყოფობამ ადრინადა გამოასალმა იგი წუთისოფელს, მაგ-
რამ უბის წიგნაკში შემონახულია ამ ბრძენი კაცის ბევრი გამონათ-
ქვამი. სწორედ იქიდან ავიღე რამდენიმე ფრაზა ეპიგრაფისათვის,
რომელსაც წავუშმძღვარებ მოთხრობას ერთ-ერთ პირველ მსოფლიო
ჩემპიონზე თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეებს შორის ვახ-
ტანგ ბალაუაძეზე.

რიბალკომ ჩვენ, ახალგაზრდა მოჭიდავეებს, ბალაუაძის შესახებ გვი-
ამბო ერთ-ერთ სტუდენტურ შეჯიბრებებზე, რომელიც მიმდინარეობდა

ყოველს უნივერსიტეტის დარბაზში. კარგად მახსოვს, იგი არა მარტო გვიამბობდა. არამედ გვიჩვენებდა კიდევ გამოჩენილი ქართველი მოჭიდავის საყვარელ ფანდებს. რაც ძალიან ლაშახად გამოუდიოდა. აღფრთოვანებულებს რიბალკომ გვითხობა:

— მე ასე გამომდის. მაგრამ აბა გენახათ. თვითონ ბალავაძე როგორ ასრულებდა ამას!.. რა სილამაზე იყო! ქიდაობის ნამდვილი პროფესორი გახლდათ.

„სადოქტორო დისერტაცია“, რომლითაც ეს მაღალი წოდება მოიპოვა. ბალავაძემ დაიცვა 1954 წელს ტოკიოს „კათედრაზე“ — ჩვენი მოჭიდავეებისათვის პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე.

ამ პიოველობის დაწყებამდე, როცა ქვესაშუალო წონაში შესაძლო გამარჯვებულებზე ლაპარაკობდნენ, პროგნოზების მოყვარულნი სამ მოჭიდავეს ასახელებდნენ, — თურქ ბიუჯეს, ირანელ ფარდინის და იაპონელ კანეკოს. სამივე მძიებელი ნამდვილი ათლეტი იყო კარგად დამუშავებული კუნთებით. ამ გოლიათების ფონზე გამხდარი ბალავაძე მეტად უფერულად გამოიყურებოდა. სწორედ ამ უფერულობამ შეიყვანა შეცდომაში ფავორიტები. რომლებმაც ყურადღება არ მიჰქციეს საბჭოთა მოჭიდავეს და სასტიკად შეცდნენ...

პირველად შეცდა თურქეთის ჩემპიონი ბექირ ბიუჯე — სწრაფი, გულგრილი მოჭიდავე. რომელიც ოსტატურად უტყვედა მეტოქის ფეხებს ხელებით. მაგრამ ამ შეხვედრაში ბალავაძის ფეხები თურქს არც კი დაუნახავს.

ბიუჯე მიჩვეული იყო მოწინააღმდეგეებს. რომლებმაც იცოდნენ მისი საშიში შეტევების ამბავი და ცდილობდნენ მოხრილებს დაეცვათ. ფეხები მეტოქისაგან. მაგრამ ეს ქართველი არც თვითონ იხრებოდა და არც ბიუჯეს აძლევდა ამის შესაძლებლობას. მკერდით მკერდზე მჭიდრო. კონტაქტით იგი ბიუჯეს საშუალებას არ აძლევდა. ყურადღებით დაჰკვირვებოდა მეტოქის ფეხებს.

ბიუჯესაგან განსხვავებით, ბალავაძეს მათზე დაკვირვება არ სჭირდებოდა. მისთვის სრულიად საკმარისი იყო ზოგადი ცნობები ანატომიიდან: ხელები ზემოთაა, ფეხები ქვემოთ. ვახტანგის სარმები ხალიჩაზე ცეცხლს არ აკვებსებდნენ, თორემ დანარჩენს ყველაფერს აკეთებდნენ. ბიუჯე ჩოქბაქანში ეცემოდა, წამოხტებოდა ხოლმე და კვლავ ეცემოდა. ხოლო როცა ბალავაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თურქი უკვე საკმაოდ კარგად გაეცნო მის სარმებს, მაშინ ისე დაუნდობლად მოიგდო მოწინააღმდეგე ზურგზე, გეგონებოდათ შოლტმა გაიშხულიაო. გონგმა რომ ჩამოჰკრა. ბიუჯე ხიდურზე იდგა. 8:0. დასაწყისი კარგი იყო.

ბრძოლა ახალგელანდიელ პიტერ მონაგხანთან ბალავაძეს არ ახსოვს. მართლაც, რა იქნა იქ საინტერესო. გასახსენებელი, როცა

შეხვედრა სულ 38 წამს გაგრძელდა? ფრანგ რენე შეზნოსთან შერკინება კი მუხსიერებაში ჩარჩა. იმიტომ კი არა, რომ შეზნო რაღაც განსაკუთრებული „წინადადებებით“ გამოდიოდა. არა, ფრანგ მოკიდავეს ასეთი არაფერი გაუკეთებია. მან ბრძოლა წააგო 0:14. ღიანჭი იყო, ფრთხილი და ფინიკურად ძალზე ძლიერი.

ბალავაძეს სამჯერ ჰყავდა იგი ხიდურზე. წაქცევა კი ვერ შეძლო. მაგრამ, ბოლოს, როცა მანინე წააქცია, მსაჯმა „ტუშე“ დააფრქსირა, ნიშანი მისცა, თუმცა გვერდითმა მსაჯმა მისი გადაწყვეტილება არ გაიზიარა. „ტუშე“ არ დაშინახავსო. როგორც შემდეგ ამბობდნენ ჩვენი მსაჯები, გასახდელში ვახტანგმა უხეში ტაქტიკურა შეცდომა დაუშვა: გვერდით მსაჯს დაცინებით გადახედა. ასეთი რამ შუაგულ ტურნირში დაუშვებელი ფუფუნებაა?!

მაგრამ არა ბალავაძისათვის. ნახევარფინალში ირანელმა მოპამედ ალი ფარდინმა საბჭოთა მოკიდავესთან წააგო ანგარიშით 9:0. „შენთან ჭიდაობა შეუძლებელია“, — უთხრა შემდეგ დამარცხებულმა, — რომ იკიდავო, ფეხზე უნდა იდგე, შენ კი ამის საშუალებას არ იძლევი...”

ეს მართალია. ბალავაძე ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რომ ფარდინი ენახა ჰორიზონტალურ და არა ვერტიკალურ მდგომარეობაში. კემმარიტების დასადგენად უნდა ითქვას, რომ ვახტანგს მუდამ როლი უხდებოდა გდების ჩატარება. ორჯერ მარცხიანი შემოვლების შემდეგ ფარდინმა გადაწყვიტა აღარ ეცადა ბედი და როგორც კი მეტოქე წამოიწყებდა ამ იერიშს, თვითონ ეცემოდა ჩოქბჯენში 9:0!

ერთი სიტყვით, ფინალამდე ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ქვიშის საათებში ხდება ხოლმე: ქვიშა ცვიოდა, ხალხი კი მას უყურებდა. გართულება მოხდა მხოლოდ უკანასკნელ ბრძოლაში, როცა უკვე ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო. იაპონელ იუტაკე კანეკოს ხელს აძლევდა ფრე, მას ორით ნაკლები საჯარიმო ქულა ჰქონდა. ეს ერთი. მეორე, კანეკოს უნდა დახმარებოდა მშობლიური კედლები, რომლებშიც საიმედოდ იყვნენ ჩამონტაჟებული მსაჯები. მესამე, და ყველაზე მთავარი: კანეკო ძალიან კარგი მოკიდავე იყო: ის მყისვე რეაგირებდა საშიშროებაზე, არ იცოდა დაღლა, შესანიშნავად ატარებდა კონტრილეთებს.

სწორედ ამ კონტრილეთით დაიწყო ყველაფერი. პირველ წუთზე ბალავაძემ დააპირა შემოვლების ჩატარება. წინ გაიშვირა ფეხი, რომელსაც კანეკომ ჩაავლო ხელი და მეტოქე გადააგდო. აიღო ორი ქულა და უმალ აქვე ხალიჩაზე ამოთხარა „სანგარი“ და, როგორც ამბობენ, ყურებამდე ჩაიმალა შიგ.

— ოთხ წუთს ვერაფერს გავხდი. ჩვენი შეხვედრის მსაჯი პატი-

ოსანი კაცი გამოდგა — რამდენჯერმე დააპირა გაეფრთხილებინა იაჲ პონელი, მაგრამ გვერდითი მსაჯი ამის კატეგორიული წინააღმდეგ იყო. იგი ამბობდა, ბალავაძე კი არ უტევს, უბიძგებსო. — ვახტანგი იღიმება და დაბნეული ხელებს აქნევს: — არც მაშინ, არც შემდეგ არასოდეს არ მიბიძგებია. არც ვიცე, როგორ აკეთებენ ამას ხალიჩაზე...

ღიაბ. ჩვენი მწვრთნელები ტყუილად როდი შიშობდნენ: ფინალური შეხვედრის გვერდითი მსაჯი სწორედ ის იყო, რომელსაც ბალავაძემ დაცინებით გადახედა. ახლა მსაჯის სიცილის რიგი მოვიდა. მეხუთე წუთზე ბალავაძემ მაინც ჩაატარა თავისი საყვარელი ფანდი და კანეკო ბეჭებით გააყრა ხალიჩას.

— ახლა მსაჯმა სასტვენს ჩაბერა. მე კი მოწინააღმდეგეს არ ვუშვებდო, მსაჯმა კვლავ დაუსტვინა. არც მაშინ გავუშვი და ასე მყავდა მანამ, ვიდრე კანეკო ისე არ გაწვა, როგორც პლაქზე ხდება ხოლმე. მაყურებლებმა აურზაური ატეხეს. მსაჯი საყვედურს მიცხადებს. მე ყურებზე ვუჩვენებ, კუდად მესმის-მეთქი. ხომ მიმიხვდით, ნორმალურად მესმოდა, მაგრამ რისკის ვაწვეა არ მინდოდა. ვაითუ გვერდითმა მსაჯმა „ტუშე“ ისევ ვერ დაინახოს-მეთქი!.. — ბალავაძე იღიმება. წამოწითლდა. თვალები აუელვარდა. უამისოდ ხალიჩაზე გასვლა არც ღირს. პირდაპირ საოცარია, ერთ წაშში როგორ ეწყობიან ფალანგები ჭიდაობის ტალახზე. თუნდაც მას შემდეგ მთელი 20—30 წელი იყოს გასული!

იყო, რა ქნა შეზნოსა და ვახტანგ ბალავაძის შეხვედრის შემდეგ მწვრთნელების მიერ გაკრიტიკებულმა თავაზიანმა მსაჯმა? როცა გამარჯვებული გამოაცხადეს, იგი მიუახლოვდა გვერდით მსაჯს, მდამლად, იაპონურ ყაიდაზე დაუკრა თავი და ოდნავ გაუღიმა. ასეთი ცერემონიული მისალმების ობიექტი გაწითლდა, პასუხად რალაც ჩაიბურტყუნა და ინდაურივით გააკანტურა თავი. იქნებ; ამ დასაეღუთვერმანელს უნდოდა კიდევ ბალავაძისთვის კბილი გაეკრა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონისათვის კბილის გაკერა არც ისე იოლია. მით უმეტეს პირველი საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონისათვის თავისუფალ ჭიდაობაში!

გსმენიათ თუ არა თქვენ გამოთქმა — „ჭიდაობდა, როგორც უნდოდა?“ თუ არ გსმენიათ, არაფერია საკვირველი. საქმისმცოდნენი იშვიათად იძლევიან ასეთ ატესტაციას. და აი რატომ. ძალიან ძნელია მძიმე შტანგის აწვევა, არც ისაა ადვილი, გაიზრდინო 100 მეტრი ან ღერძზე შეასრულო ვარჯიში. სპორტში იოლი გზები არ არსებობს. მაგრამ მაინც არის გზები მეტ-ნაკლები სიძნელეებისა.

— ორთაბრძოლების მონაწილეთა გზა უფრო რთულია. შტანგისა და ღერძის წინააღმდეგობათა პროგრამები წინასწარაა ცნობილი, ისი-

ნი სტატიკური მოემხადე ჭეროვნად და გაღალახავ ამ წინააღმდეგობას.

მოკრივე, მოფარიკავე და მოქიდავე არ იცნობს თავისი მეტოქეების პროგრამებს. შტანგა ანაზღვეულად არ დამძიმდება. არც გაღასახტომი თამასა აიწვეს თავისთავად ზევით. ცოცხალმა მეტოქემ კი შეიძლება იმ სიმაღლეზე აიწიოს, რომ თავს ზემოთაც შემოგვევლოს; აბა, სცადე და შეებრძოლე მას, როგორც გინდა!.. ბალავაძეზე კი ყოველთვის ამბობდნენ: „ქიდაობდა, როგორც უნდოდა“. ვახტანგის ტექნიკური უპირატესობა მეტოქესთან შედარებით იმდენად დიდი იყო, რომ ვერაფრით გააკვირებდი. როგორც კარგმა გამომცდელმა იცის, რას უპასუხებს სტუდენტი ამა თუ იმ კითხვაზე, იგიც ასევე წინასწარ გუმანით გრძნობდა ყველა „პასუხს“. იქნებ სწორედ ამიტომაც უწოდეს მას „ქიდაობის პროფესორი?“ იქნებ კი არა, სწორედ ამიტომ. კიდევ ერთი დეტალი: ტოკიოს იმ ჩემპიონატზე პირველად გამოვიდნენ დიდი მოქიდავეები: თურქები — პუსეინ აკბასი, მუსტაფა დალისტანლი და იაპონელი სოძიო სასახარა. ისინი ჩემპიონები გახდნენ; ღოღო პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის და „პროფესორის“ წოდება მხოლოდ ვახტანგ ბალავაძეს მისცეს. ჩაუფიქრდით ამას...

— ბატონო ვახტანგ, თქვენ თვითონ რითი ხსენით, რომ ასეთი ტექნიკური მოქიდავე იყავით?

ბალავაძე დიდხანს დუმს. მაგდაზე მსუბუქად ურტყამს ტორივით ხელს და ხმას არ იღებს. გულასდილად რომ ვთქვა, ვერც მივხვდები, რა იყო ასეთი ხანგრძლივი პაუზის მიზეზი. კითხვა საერთოდ რიტორიკულია. შეეძლო ეპასუხა: ბევრს ვკარგობდითო, ღმერთმა მომმადლა ამის უნარიო, კარგი მასწავლებელი მყავდაო, მაკრამ ბალავაძემ სულ სხვა თქვა:

— მართლაც კარგი რამაა ბავშვთა სპორტსკოლა! ტალანტების ძიების და აღზრდის პირველი ეტაპი. და რაც უფრო მეტი იქნება ჩვენს ქვეყანაში ასეთი სკოლები, მით უკეთესია, მაგრამ უბედურება ის არის, თვით სპორტსკოლის სტატუსი ღეშავს მათ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნიჭიერ ბიჭუნას არ სჭირდება ბიჭვი, არ არის საჭირო აჩქარებული მომზადება. სკოლა კი იძულებულია უბიძგოს და აჩქაროს კიდევ. მან უნდა მოგვეცეს „პროდუქცია“ და იძლევა კიდევ: ჩვენი ბავშვთა სპორტული სკოლები ბევრ კარგ მოქიდავეს ზრდის. ტალანტები მომწიფებას ვერ ასწრებენ, რომ ისინი უკვე „რაზმებში“ გადაჰყავთ...

ამიტომ არის, რომ საქართველოს თავისუფალ ქიდაობაში დღეს აღარ ჰყავს ლეეან თედიაშვილის მსგავსი ფალანგები. მას არავინ უბიძგებდა, იგი ბუნებრივად იზრდებოდა. როცა პირველად ვნახე, იგი უკვე ქიდაობის ჩამოყალიბებული ოსტატი იყო. აჩქარებული

ტემპებით მას მხოლოდ თავისუფალი კიდაობა შეასწავლეს, მხოლოდ თავისუფალი. ქართული კიდაობა კი თანდათანობით, ბუნებრივად შეთვისა და სამუდამოდაც.

და მეორეც: კარგია, როცა გზის დასაწყისი ძნელია, როცა რაიმე გსურს და არა გაქვს, როცა შენს ადგილს მზის ქვეშ ბრძოლით მოიპოვებ მილიმეტრობით. რაც ძვირად ვიღირს, ის უფრო ღირხანს და კარგად გმსახურებს.

მე დასავლეთ საქართველოს სოფელ ღანიშში ვიზრდებოდი. კიდაობას ჩვენთან გაცილებით ნაკლებად მისდევენ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. იქ ყველა ფეხბურთით იყო გატაცებული და ერთგვარი წარმატებაც გვქონდა. ექვსი ბიძაშვილი ბალავაძე ვუგებდით რეზობელი სოფლების გუნდებს, რომლებშიც თერთმეტი ფეხბურთელი თამაშობდა. მაგრამ რომელ ქართველს არ უნდა მოქიდავე იყოს!

ნამდვილი მოქიდავე იყო თოთხმეტი წლის ნოშრევან კაკაბაძე. იგი აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა. ზაფხულობით კი ორ თვეს ნათესავებთან ღანიშში ატარებდა. მან შეგვასწავლა კიდაობის ანბანი. შემდეგ ილო სვანელის წიგნი „ქართული კიდაობა“ ვიშოვნეთ, მოვასწორეთ ადგილი, დავაყარეთ ნახერხი და ყოველ საღამოს ვვარჯიშობდით. „გაძლიერებით“ არავინ მასწავლიდა, ექიდაობდი ისე, როგორც ვახერხებდი. გესმით, რას ვამბობ? ჩემი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას ხელს არავინ უშლიდა, არავინ ცდილობდა გვეხადე უკეთესი, ვიდრე ვიყავი. არავინ არაფერს ელოდა ჩემგან. აი, სწორედ ამიტომ იყო შედეგი. ამიტომ შევიმუშავე ტექნიკა და კიდაობის გრძნობა. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ჩემი მცირე ძალებით (ფიზიკურად ჩემზე სუსტი მოქიდავე არ შემეხვედრია) ბავშვთა სპორტული სკოლის დაწყებით ჯგუფშივე „დავიხრჩობოდი“. გავხდებოდი კარგი პირველთანრიგოსანი, სპორტის ოსტატი და ეს იქნებოდა და ეს. უნდა ჩაუფიქრდნენ ჩვენი მწვრთნელები ამას...

ჩემი მწვრთნელი ფიზკულტურის ინსტიტუტში მიხეილ თიკანაძე თავდაპირველად აშკარად მიკრძალავდა ამეთვისებინა ახალი ილეთები თავისუფალ კიდაობაში, მეუბნებოდა, უნდა ისწავლო, უჩოხოდ გააკეთო ყველაფერი ეს, რაც უკვე იცოი. იგი ხელახლა კი არ მასწავლიდა, არამედ მხეწვდა. მე მხოლოდ ახლა შემიძლია შეეაფასო, რა ფასდაუღებელი იყო თიკანაძის როლი ჩემ სპორტულ ცხოვრებაში. მან დამიტოვა საკუთარი სტილი, შემინარჩუნა საკუთარი სახე — ყველა სხვა შემთხვევაში, ალბათ, ვერ გავხდებოდი ნამდვილი მოქიდავე...

ყოველივე იმის საილუსტრაციოდ, რაც თქვა თავისუფალ კიდაობაში ჩვენმა პირველმა მსოფლიო ჩემპიონმა, შეიძლება გამოვლგეს

ის, რომ ერთხელ ბალავაძეების ოჯახში გაქრა მაგარი ძაფით ნაკერი ყველა ტომარა — ისინი 13 წლის ვახტანგმა ლანიის ქილაობის სექციის წევრების შესაქერად წაიღო. „დედა ამბობდა: გაგვექურდეს, ყველა ტომარა მოგვპარეს, ვის რაში სჭირდებოდა ცარიელი ტომარები? მამამ კი ნახა ჩვენი ჩოხები და ასე უთხრა: „ეცი, ვინც მოიპარა, მაგრამ არავის ვეტყვი... თავადაც გამოეტყდი, როცა საქართველოს ჩემპიონი გავხდი. დედაჩემმა დიდხანს იცინა...“.

მოგვიანებით კი, როცა ვახტანგი 19 წლის იყო და კოლმეურნეობაში ბრიგადირად დანიშნეს, უფრო სერიოზული ამბავი მოხდა. მიხეილ ბალავაძე კოლმეურნეობის გამგეობამ ათი შრომადლით დააჯარიმა: შენმა ვაჟმა ცხრა კუნთმგარი ბიჭი წაიყვანა მეზობელ სოფელში ქილაობის შეჯიბრებაზე.

— როგორც ხედავთ, ჩემს ოჯახს ქილაობის გამო მატერიალური ხარალიც მიაყენეს, — ილიმება ბალავაძე — მაგრამ მე უკვე ველარ შემაჩერებდნენ. შემოიყვარდა ქილაობა, ვერც ერთ შეჯიბრებას ველარ ვაცდენდი, მომწონდა, რომ ვიმარჯვებდი...

ჩვენ ბევრს ვვარჯიშობდით. სალამოთი სამუშაოს შემდეგ ვეხმობოდით, საათს, საათ-ნახევარს ვისვენებდით და ზუსტად 21.00 საათზე ვიკრიბებოდით საწვრთნელად. ვამთავრებდით ღამის პირველ საათზე, ზოგჯერ ორამდეც კი ვრჩებოდით. ახალგაზრდები ვიყავით და გეხმაროდა ჩვენი წარმატება.

როცა საქართველოს ნაკრებში მოხვდი, დატვირთვით უკვე ველარ გამაყვირებდნენ. კროსები არ მეჭაშნიკებოდა. სპარინგები კი, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო, არ მლლიდა. ლანიის უფრო მეტს კვილაობდით, ვიდრე რესპუბლიკის ნაკრებში...

1951 წელს მაიძულეს 67-კილოგრამიანების კატეგორიაში ჩაეროცხელიყავი. სსრ კავშირის ჩემპიონატზე მოუფევე ექვს მეტოქეს, მაგრამ ქულებით წავაგე ვასო ილურიძესთან, წმინდად კი არამ იალტირიანთან და მესამე ადგილი დავიკავე. იალტირიანმა მაშინ მითხრა: „შენ ვერ ხედავდი ჩემი იერიშების დაწყებას. აკვიანებდი დაცვას. აკვიანებდი წონაში დაკლების გამო. გადადი 73-კილოგრამიანებში...“ მაშინვე ეტყობოდა იმ კაცს, თუ რა მწვრთნელი დაღებოდა. იგი მარტო თავის თავზე როდი ფიქრობდა... იალტირიანი — დიდებული მწვრთნელია! ეს მან მოამზადა გ. ნებიერიძე, რომელმაც მოგვიანებით მე მომიგო.

ვახტანგ ბალავაძე გულწრფელი კაცია. მას არ უყვარდა და კარგად არ იცოდა ჩოქბენი. აი, რა თქვა ამის თაობაზე: „ჩემში ორი მოქიდავე იყო — სპორტის დამსახურებული ოსტატი დგომში და კარგი მეორეთანრიგოსანი ჩოქბენი... ჩოქბენსაც ბავშვობაში სწავლობდნენ...“ 1952 წელს იგი სამბოში გადაიქვანეს.

ვახტანგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სამბისტების ფორმას ხომ იგივე ჩოხაა, მხოლოდ სახელებით. ოქროს ძეგალი საკავშირო ჩემპიონატში ადვილად მოიგო. ფინალში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ილია ლატიშვი. დიახ, ჭიდაობა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჭდარი ვახტანგ ბალავაძეს.

მაგრამ სამბოს უნდა გამოთხოვებოდა. ჭიდაობის ამ სახეობას არ ჰქონდა „სარკმელი ევროპაში“. თავისუფალისა კი ხსნილი იყო და პირველი მსოფლიო ჩემპიონატაც ახლოვდებოდა. ამ ტურნირისათვის მზადებისას სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის შეჯიბრებაზე გამოვიდა ბუქარესტში.

— საშინელი მოსაგონარია ყოველივე. შეიძლება არც გამოვსულიყავი. კიევის გავლით მივემგზავრებოდით, სუვენირების ყიდვა გადაეწყვიტა, მატარებელმა გამასწრო. კარგი ტაქსისტი შემხვდა. მითხრა: „თუ მატარებელს დავეწვევით, შენ აი ამ სპორტულ შარვალს მომცემ. თუ ვერ დავეწვევით, მხოლოდ იმას გადაიხდი, რასაც დაწერს“. ვერ დავეწვევით. მან უკანვე ვაგზალში მომიყვანა, კაპიკი არ აიღო და ბილეთის ყიდვაშიც დაძეხმარა. უადგილობის გამო მთელი ღამე დერეფანში ვიდექი.

ჩვენებს ზედ საზღვარზე, ბრესტში დავეწვი. მწვრთნელებმა ვახტანგ კუხიანიძემ, ალექსანდრე სენატოროვმა და არამ იალტირიანმა მიწასთან გამასწორეს. შემდეგ კი ცალ-ცალკე მოვიდნენ და მამშვიდებდნენ: „ნუ გეწყინება, შენს მაგალითზე სხვებს ვასწავლითო!“ ფესტივალზე გავიმარჯვე, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ირანელი ნაბი სურური 20 წამში ბეჭებზე დავეწვინე. კუხიანიძემ მომილოცა და მითხრა: „ვახტანგ, ეს შენი დამსახურება როდია. შენ იმ კიეველმა ტაქსისტმა ისე გამოგაქანა ბუქარესტში, რომ ველარავინ შეგაჩერებს“. ეს მართლაც ასე იყო: საშინელება, რაც კიევეში განვიცადე, აღარც მინდა გაეხსენო. ჩემს წონაში ხომ სათადარიგო არავინ გვეყავდა. მთელი გუნდის ღალატი იქნებოდა, რომ არ დავწვოდი. ხოლო როცა დავეწვი, ყველა ჩვენიანის გასახარად მოვიგე. რა თქმა უნდა, ამაში ტაქსისტის, იმ შესანიშნავი ყმაწვილის დამსახურებაც იყო!

ვახტანგი უფრო რბილი კაცია, დამთმობი. არ უყვარს კონფლიქტები, ცდილობს სიკეთით აიცილოს ისინი. სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ბაქოში მიმდინარეობდა, იგი მუხტარ დადაშევს უნდა შეხვედროდა. ბალავაძესთან ფოიეში მივიდა უცნობი ჯანიანი ყმაწვილი, ჩუმად დანა აჩვენა და უთხრა: „დაწვები მესამე წუთზე!“ სამწუხაროდ, ჭიდაობის მაყურებელთა შორისაც გამოერევიან ხოლმე ნამდვილი იდიოტები.

— ვეცი, ხელი გადავუგრიხე, დანა გავაგდებინე, მაგრა „მოვებ-
ვიე“ და ვუთხარი: შე კაი კაცო, გახსოვდეს: ჭრადობა სპორტია, მე-
ვობრობაა. შენ კი დანით მოდიხარ?.. თუ კიდევ გაბედავ ამას, ისე
მოგიგრებ კისერს, ვერც ერთმა ექიმმა ველარ გიშველოს... ეს შემ-
თხვევა მუხტარს მოგების შემდეგ გასახდელში უუამბე. დაღაშევი
ჩამაცივდა, მაჩვენე ის სულელიო. არ ვაჩვენე. იგი მას მართლაც კი-
სერს მოუგრებდა...

ბალავაძე დახვეწილი ფსიქოლოგია. არც იუმორს დაესესხება ვინ-
მეს. ეს თვისებები სრულად გამოავლინა ირან—სსრ კავშირის მატჩის
დროს, როცა კივევლ სინიავესკის საჭიდაო განწყობას უქმნიდა ოლიმ-
პიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის იმპალი ჰაბიბთან შერ-
კინების წინ. ბალავაძემ გაახალისა განერვიულებული ამხანაგი და
წინასასტარტო დაძაბულობა მოუხსნა:

— იცი, ვოვა, სანძლეო დავდე: თუ წააგებ, მე უღვაშს მოვი-
პარსავ. მაგრამ თბილისში უუღვაშოდ არ დაებრუნდები, არ მიმი-
ლებენ. ხომ მოგეხსენება, ჩვენ, ქართველებს, უღვაშები დაბადები-
დანვე დაგვყვება ხოლმე. მიხსენი, ძვირფასო!..

სინიავესკიმ გაიცინა. უფრო ენერგიულად დაიწყო მოთელვა. ხალი-
ჩაზე გასვლის წინ მითხრა: „ვახტანგ, არ გიმტყუნებ! უღვაშები
უნდა გადაგიჩინო!“ ვლადიმერმა ჰაბიბი ბექებზე დააწვინა. ხალი-
ჩიდან რომ გადმოვიდა, ბალავაძეს მოეხვია და უთხრა: „ო-ო, ეშმაკი
ქართველი ხარ, ვახტანგ, შენმა უღვაშებმა შიშიც დამავიწყეს“.

მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ვახტანგ ბალავაძემ. მსოფ-
ლიოს უძლიერესმა მოქიდავემ ქვესაშუალო წონაში მხოლოდ მესამე
ადგილი დაიკავა. რატომ? სპეციალისტები ამას იმით ხსნიან, რომ ია-
პონელებმა იციან, როგორ მოემზადონ ოლიმპიური სტარტებისათვის
ოლიმპიადის წინ იაპონიის ნაკრები ჩამოვიდა სსრ კავშირში და
გულდასმით აკვირდებოდა მომავალ მეტოქეებს. კერძოდ, ქვესაშუ-
ალო წონის მიტყუო იყვამ შენიშნა, რომ ბალავაძე ძლიერი ვერ
იყო ჩოქბაქენში. მელბურნის ოლიმპიადაზე ისინი ფინალში შეხვდნენ
ერთმანეთს და ფრთხილმა იაპონელმა მსაჯების დახმარებით, რომ-
ლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ იაპონელის პასიურობას, მოახერ-
ხა დგომში. თავი დაეცვა მეტოქის იერიშებისაგან, ჩოქბაქენში კი
იყვდა გაცილებით. ძლიერი იყო და ამიტომაც გაიმარჯვა. ყოველივე
ეს მართლაც ასეა, მაგრამ სპეციალისტები რატომღაც საჭიროდ არ
თვლიან გაიხსენონ, რომ 1956 წელს ვახტანგ ბალავაძემ ხელის მძიმე
ტრავმა მიიღო. ელძოდ იდაყვი და გადაუტყდა ლავიწის ძვალი. ოლიმ-
პიადისათვის ხელი არ ჰქონდა მთლად მორჩენილი, თორემ იყვდა ვერ
გაუძლებდა ბალავაძეს დგომში. ამავე მიზეზით წააგო ვახტანგმა თურქ
ოსმან ზენგინთან. აი რატომ გავიდა მესამე ადგილზე.

ხოლო, როცა ხელი სულ მოუჭრა, ბალავაძემ კვლავ დაიწყო „ერთ კარში“ თამაში. ოლიმპიადის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი სტამბოლში ვახტანგმა საესეებით დამაჯობებლად მოიგო და მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი თურქი ისმაილ ოგანი ჩამოიტოვა. სტამბოლში კი თურქის დაჯაბნა ყოველთვის ძნელი საქმეა.

ძლიერ ადამიანებზე ლეგენდები იქმნება, რომლებსაც ზოგჯერ სოლიდური ვახეთებიც კი აწვტელებენ. საფრანგეთში სსრ კავშირის ნაკრების ტურნეს დროს ბალავაძემ ვერ გამოიჩინა სიფრთხილე და მძიმეწონიან ალექსი ვანიის ჭიდაობის წინ ხმამაღლა უთხრა: „რა მოჭიდავეა. მეც კი წააქევე ცალი ხელით!“ ეს გაიგო რუსულის მცოდნე ფრანგმა ჟურნალისტმა და მეორე დღეს ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ბალავაძის სურათი „მოკრძალებული“ განცხადებით: „ზალიჩაზე ვიწვევ საფრანგეთის ყველა მოჭიდავეს“. მოვარდა ჩენი ხელმძღვანელი ვლადიმერ კრუტკოვსკი და ერთი ამბავი ატეხა: „ვინ მოგცა უფლება ფრანგები გამოიწვიო?!“ ვუთხარი. მე არაეინ გამო-მიწვევია-მეთქი. „როგორ არ გამოგიწვევია, ნახე, რა წერია გაზეთში! ვანიიც რომ აუად გახდა, ახლა ვინლა იჭიდავებს ამ შირმაიერთან?!“ ერთი სიტყვით, ყველაფერი გადმოაფრქვია, რასაც ფიქრობდა ჩემზე. მაშინ კი გავბრაზდი და მიუთხე: ვეჭიდავები იმ შირმაიერს და წა-ვაქევე კიდეც-მეთქი. კრუტკოვსკიმ დიდხანს იფიქრა და გადაწყვიტა: „კარგი, ვახტანგ, მოდი ვცადოთ. უკან ვერ დავიხევთ...“

ჩემს მეტოქეს ქვესაშუალო წონაში, თქვენთვის უკვე ცნობილ რენე შეზნოს მწვრთნელებმა ამოცანად დაუსახეს: სულ ერთია შე-დეგი, ოღონდ თხუთმეტ წუთს ეჭიდავე და მოქანცეო. შემდეგ კი ჩემს წინააღმდეგ გამოვიდოდა შირმაიერი და „შავ დღეს დამაყრიდა“.

შეზნო რვა წამში გავაწვინე ბეჭებზე და შემდეგ მეტოქესთან შე-სახვედრად ვემზადებოდი. როგორ მეჭიდავა მასთან, არ ვიცოდი. ჭერ ერთი, ჩვენ შორის წონაში სხვაობა თექვსმეტი კილოგრამი იყო, მეორეც, 191 სანტიმეტრი სიმაღლისას როგორ დავჭიდავებოდი?

გადაეწყვიტე მოახლოებისთანავე წამექცია. პირველ ექვს წუთში 13:0 — მოვიგე. გაგრძელება დგომში ვარჩიე. კიდეც 14 ქულა მოვაგ-როვე და ეს „აყლაყულა“ ბეჭებზე გავაწვინე.

ამის შემდეგ გაზეთები წერდნენ, ბალავაძის წინააღმდეგ ხალიჩა-ზე ერთად სამი მოჭიდავე თუ არ გამოვიდა, მას ვერაეინ დაამარ-ცხებსო...

— ყველაზე თარსი დღე ჩემს სპორტულ ცხოვრებაში? — ჩამე-კითხა ბალავაძე და ამოიხსრა: როცა მეღბურნის ოლიმპიადაზე იყე-დასთან წავეაგე...

... — ყველაზე სასიხარულო დღე, ვახტანგ?

— როცა ჩემი ვაწვრთნილი ლევან თელიაშვილი მიენხენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა... ლევანმა ორჯერ მიაღწია იმას, რაც მე ორჯერ ვერ შევძელი...

ჭიდაობა რომ მიატოვა, ვახტანგ ბალავაძე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. ის, რომ 1963 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლათაში ასპარეზობდა ხეთი ქართველი მოჭიდავე (ბერიაშვილი, ალიბეგაშვილი, ხობაშვილი, საღარაძე და ლომიძე). მწვრთნელის, ბალავაძის, დამსახურებაა.

1967 წელს ვახტანგ ბალავაძე დაინიშნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, მაგრამ პედაგოგიური საქმიანობა არ მიუტოვებია. ლევან თელიაშვილმა დაიწყო აღზევება. ხალიჩაზე ბალავაძის ყოფნა საქირო იყო...

მე ვნახე თელიაშვილის დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატზე 1971 წელს. შვიდი შეხვედრა ჩაატარა ბალავაძის მოწაფემ, ოთხი წმინდა ვამარჯვება, ერთი — აშკარა უპირატესობით, ორიც — ქულებით. ევროპის ჩემპიონ პორსტ შტოტმასტერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) კონტრაილეთების დიდოსტატს ლევანმა ათი ქულა მოუგო და გადაწყვიტა აღარ გაერისკა. მეტოქეს უკანდან ჩაეჭიდა. ხალჩის მოსწყვიტა და თითქმის მთელი ერთი წუთი პაერში აფართალა. არ დაუგდია, მხოლოდ მაშინ დაუშვა ძირს. როცა გონგის ხმა გაისმა, მსაჯებს უკვე აღარაფერი სკონდათ საშარო. ნამდვილად თელიაშვილი უტევეა და ძირსაც არ უშვებდა იმიტომ. „მომენტს უტდილა“. ასეც ხდება...

— ვახტანგ, თავიდან რომ მოგახდეთ ყველაფრის დაწყება, უწინარეს ყოვლისა რომელი შეცდომების განმეორებას მოერიდებოდით?

სსრ კავშირის ხელფხის ჩემპიონი, ორჯობის მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიადის პრიზიორი ვახტანგ ბალავაძე იღიბება და საყვედურით უმზერს თანამოსაუბრეს:

— სამოც წლამდე ორი გადასარბენილა დამრჩენია, თქვენ კი ახლიდან დაწყებას მთავაზობთ? მაგრამ თუ დავუშვებთ, სამწუხაროდ, შეუძლებელს, ვეცდებოდი ჩოქბენში ისევე მექიდავა, როგორც დგომში. ვეცდებოდი მსოფლიო ჩემპიონატებში ჭიდაობა დამეწყო არა 27 წლისას, არამედ, ვთქვათ. 22 წლის ასაკში, და აუცილებლად გავზდებოდი ოლიმპიური ჩემპიონი...

— ვინ არის თქვენი კერპი ჭიდაობაში?

მაშინვე მპასუხობს:

— ორი კერპი მყავს: არამ იალტირიანი და გივი კარტოზია. ესენი

მხოლოდ დიდი მოქიდავეები კი არა, თითოეული მათგანი ეპოქა იყო
საქიდაო სპორტში!..

აი ყველაფერი ის, რაც ვთქვით ვანტანგ ბალავაძეზე. ისლა დაგვრ-
ჩა დავსძინოთ, რომ თუ საყუთარ თავში დარწმუნებული არა ხართ,
სთხოვეთ „თავისუფალი ქიდაობის პროფესორს“ მიგიღოთ გამოც-
დაზე. თუ ბალავაძე შეგაქებთ, ნულარ დაეჭვდებით: ნამდვილი მო-
ქიდავე ყოფილხართ.

რამზველი შველა ასეთია

„ძლიერი ადამიანები, როგორც წესი, კეთილი და უწყინარი არიან. არ მახსოვს შემთხვევა, რომ სხირტლამეს ვინმესთვის ეწყენინებინოს. ზოგიერთისგან წყენა თავად შეხვედრია, მაგრამ აუმეხსიერი არასოდეს ყოფილა...“

ბორის კულაევი

სპორტის დამსახურებულ ოსტატი,
ოლიმპიური თამაშების პრიზორი

ქ. თრჯონიციძე



გიორგი სხირტლამე

პირველად ის კიევიში ვნახე ორმოცდაათიანი წლების დამდეგს. პირველი მაისის სახელობის პარკის ერთ-ერთ ღია ესტრადაზე სპორტ-საზოგადოება „სპარტაკის“ პირველობა ტარდებოდა სამბოში. კარგი დრო იყო: ჩემპიონატებს ჭიდაობაში, კრიესა და ძალისნობაში დარბაზების მაღალ კედლებში კი არ მალავდნენ, არამედ იქ მართავდნენ, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობაა. სპეციალურად შეჯიბრებებზე დასასწრებად ყველა არ წავიდოდა, ხოლო დნუპრის პირას პარკში კი მთელი ქალაქის მოსახლეობა სეირნობდა. აქედან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოთ...

ჩვენ, ბიჭებს, კისრიდან ფეხის ტერფამდე მოტატუირებული ერთი

მოქიდავე მოგვწონდა. რას არ ნახავდით მსხვერპლები ებრაძოდნენ გველებს, ბრძყალებში მოექცაოთ გმომგლებული ლამაზი ქალები, ეშმაკებს მთვარე საქანელად ექცაოთ და სსმელებს შეექცეოდნენ (ვიხა თქვა, მთვარეზე არაყი არ არისო!).

ჩვენი რჩეული კარგად გამოვიდა, დამარცხა ყველა და ფინალში უნდა შეხვედროდა ახალგაზრდა მოქიდავეს საქართველოდან. ასე ვნახე პირველად გიორგი სხირტლაძე. მაშინ სამბისტუბოს ტანსაცმელი იშვიათობა იყო. ნაქიდავები ჩოხას იხდიდა და ამხანაგს აძლევდა. ამ დროს კი მაყურებლები ათლებების ტანს ათვალეირებდნენ. ეს სხირტლაძე ჩვენებურზე ძლიერი ჩანდა! ქართველს ღონიერი მხარბეჭი და ხელები ჰქონდა, მუცლის პრესი -- თითქმის ფოლადისაგან ჩამოსხმული. მკერდის კუნთები კი გრანტივით მკვრივი.

სხირტლაძეს ჩვენი აღფრთოვანება არ დაუენახავს. ფართოდ გახელილი თვალებით უმზერდა მეტოქეს. რომელიც შეგნებულად არ ჩქარობდა ჩოხის ჩაცმას. ეტყობა, ქართველიც პირველად ხედავდა ასეთ „მხატვრობას“ და გაოცდა. ორთაბრძოლაც თითქოს შემცბარმა დაიწყო. იქნებ შიშობდა, მეტოქის სასელოდან გველმა არ გამოყოს თავი ან უბიდან ღომი არ გამოხტესო. მეტოქის ცდას, რომ მიახლოებოდა, სხირტლაძე აქარწყლებდა ჩოხის ძალისმიერი მოქაჩვით. აშკარა იყო ქართველი მოქიდავის აბსოლუტური ფიზიკური უპირატესობა.

ტექნიკურიც მეორე წუთზე მან სარმა გამოსდო. მოწინააღმდეგე ჩოქბჯენში გადაიყვანა, და ტემპში ჩაუტარა მტკიცენიული ილითი — გაუშალა იდაყვის მყესი.

მაშინ გიორგი სხირტლაძე მხოლოდ იწყებდა თავის ხანგრძლივ, ძალიან ძნელ სპორტულ გზას. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი სერგეი პრეობრაჟენსკი არაერთხელ შეხვედრია სხირტლაძეს ხალიჩაზე: „ჩემ მეტოქეებს შორის ასეთი ღონიერი არავინ მინახავს. განსაკუთრებით ძლიერი იყო იგი ჩოქბჯენში. წვრთნის დროს სხირტლაძე მძიმეწონიანებსაც სჯობდა. მას მხოლოდ არსენ მეყოკიშვილი თუ გაუძლებდა!“

საგულისხმო ატესტაციაა, ხომ მართალია? მაგრამ, იცით, რა არის ყველაზე საინტერესო? სპორტში რომ მოვიდა, სხირტლაძე ფიზიკურ მომზადებაში სპეციალურად არ ეარჯიშობდა. რა თქმა უნდა, იგი ფიზიკურადაც მაგრადებოდა ტექნიკის ათვისების, საწვრთნელი სპარინგების, შეჯიბრების დროს. მაგრამ ის, რომ საათების განმავლობაში არ მოსცილებოდა ბაგირს, შტანგას, რეზინის ჩალიჩს, — ეს თავის სიცოცხლეში არ გაუკეთებია. არც სჭირდებოდა. იგი სპორტში მოსვლამდე არაჩვეულებრივად ღონიერი იყო.

სექპტიკოსს უმეკველად ეგონება, რომ ავტორი მკითხველს ამზა-

დებ: მორიგი ზღაპრისათვის გოლიათის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ჩვილი განბანეს ყინულოვან ემბახში. რის შემდეგაც იგი უძლეველი გახდა. სექტიკოსი ცდება. ემბახის ხსენებაც არ ყოფილა იყო. დიდი სამამულო ომი. იგი რომ დაიწყო, გიორგი მეათე წელში გადადგა. მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ. შინ მოხუცები, ქალები და ბავშვები დარჩნენ. მუშაობა ყველას უწევდა.

— ჩვენ თივას ვამზადებდით პირუტყვისათვის. გვეგონო მამაკაცებს თვეში 24 ტონა უნდა ჩაებარებინათ. ჩემ ძმებს. ტყუპებს, ირაკლისა და გელას, რომლებიც ჩემზე ხუთი წლით უფროსები იყვნენ. მოზრდილთა გეგმა ჰქონდათ, მე — ბავშვების — 12 ტონა. გელა თიბავდა. მე ურემზე ვუღებდი, ხოლო ირაკლის კოლმეურნეობაში მიჰქონდა. — სხირტლაძე ხმადაბლა და დინჯად ლაპარაკობს. — მერე მეც დაიწყო თიბვა, თორემ ჩვენს გეგმას — 60 ტონას — ვერ შეეპარულენდით...

არა, შრომა არ მიძნელდებოდა. ჰამა კი სულ მინდოდა... საღამოსათვის, ეტყობა, მაინც მაგრა ვიქანებოდი. მე ხომ ჯერ ათი წლის ვიყავი. ურემზე მეძინა ხოლმე. ერთხელ გავიღვიძე და მესმის. გელა ირაკლის ეუბნება: „ხეალ გოგი შინ დაეტოვოთ. გაწვალდა ბიჭი...“ გათენებიაას ძმები გაპარვას აპირებდნენ, მაგრამ ისევ გავყვევი მინდორში. ვიცი, უჩემოდ საქმეს ვერ აუვიდოდნენ!.. ორი წლის შემდეგ ისე ვთიბავდი. რომ გელაც კი ველარ მიბამდა მხარს...

ასეთ ჯაფაში იყო გიორგი სხირტლაძე ომის გრძელ ოთხ წელიწადს.

აი საიდან ჰქონდა ჰას ძალა! აკი თვითონაც მითხრა: „ყური მიღვი: თიბვა. ტყის კაფვა, თონხა ყველაზე კარგი სპორტია! ოლონდ მუშაობა აქ უფრო მოსაწყენია — მაყურებელი არ არის. არც პრიზებს იძლევიან...“

16 წლისა იყო, როცა ტოლ ბიჭებს ნიძლავი დაუდო. ფეხებქვეშ შეუძვრა ბებერ მძიმე ცხენს, მხარები მუცელს შეუყენა და მიწას მოსწვიტა. ერთი წლის შემდეგ კი გიორგი თბილისს ეწვია.

— მე და ველამ კარტოფილი წავიდეთ ვასაყიდად. ოთხი ტომარა გვქონდა, თითო 15—16-ფუთიანი...

— რატომ ასე დიდი?

— ეს ჩვენი ეშმაკობა იყო. შოფერი ფულს ტომარების რაოდენობის მიხედვით იღებდა. ნაკლები რომ გადაეხდათ, გლეხები თითქმის კაცისხელა ტომარებს კერავდნენ. ორას კილოგრამზე მეტი ჩადიოდა. ჩამოვედით თბილისში. შოფერს ბაზართან ახლოს მისვლა შეეშინდა, დამაჩარიმებნო, და კარტოფილი მეზობელ ქუჩაში ჩამოეტვირთეთ, ბაზრიდან თითქმის ას მეტრზე. დაუძახეთ მუშას. ორმოციოდე წლის იქნებოდა, ღონიერი ჩანდა. ცეცხლის ფასი გუთხოვა.

შევევაქრეთ, გვითხრა: დამთანხმდით. სულ ერთია უჩემოდ ვერ მი-
იტანთო. მივიტანთ. თქვენ ოლონდ დაეხმარეთ ჩემ ძმას ზურგზე
ამკიდლოს ტომარა. რას ამბობ, ბიჭო, გაგსრისავს! ნუ გეშინიათ-მეთქი.
ამკიდეს და წაუღე.

ის კაცი მოვიდა. რომ მორიგი ტომრის აკიდებაში მოგვხმარებო-
და, და იცდიდა. ფული შევაძლიეთ. ცივი უარი თქვა: „რას ამბობთ,
ბალებო, მეც სამი თქვენისთანა ბიჭი მყავს!“

ერთი სიტყვით, გიორგი ჯანიანი იყო. თავისუფალი კიდაობისა
ჯერ არაფერი გაეგებოდა. წერთნა 1949 წელს დაიწყო შალვა ნოზა-
ძის ხელმძღვანელობით. სხირტლაძე ინტუიციით ცდილობდა ხალიჩა-
ზე ისეთი სიტუაციები შეექმნა, სადაც ძალა განსაკუთრებით იგრძ-
ნობა. იგი ჩოქბჭენს ესწრაფოდა.

ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა სამბოში, სსრ კავშირის ჩემ-
პიონმა თავისუფალ კიდაობაში შალვა ნოზაძემ შესანიშნავად იცოდა
დგომი, ჩოქბჭენში კი თავს ავტორიტეტად არ თვლიდა. მაგრამ ნო-
ზაძე ჰკვიანო მწვრთნელი იყო. თავის მოწაფეს კარგ დამრიგებელ-პარ-
ტერისტებს უძებნიდა. თანაც ამას ისე აკეთებდა, რომ გიორგი ვერ
მიმხვდარიყო.

— ძალიან მეხმარებოდა სსრ კავშირის ჩემპიონი ნიკოლოზ მუ-
ხაშვილი. ერთხელ კი კიეველმა ნიკოლოზ კომოვმა — იგი ჩოქბჭენ-
ში დიდებულად კიდაობდა — მთელი ლექცია წამიკითხა. ბევრნი
მასწავლიდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ თვითონვე გაეხდი „პრო-
ფესორი“ თუ არა. — სხირტლაძე იღიმება, — „დოცენტი“ მაინც.
ზოგჯერ ჩემი მწვრთნელი შალვა ნოზაძე ისეთი ილეთის ჩვენებასაც
კი მთხოვდა, რომელიც თავად არ იცოდა, და ეს არც ეთაკილებოდა.
როგორც ხედავთ, მწვრთნელებში ბედი სწყალობდა.

საქართველოს პირველობა საშუალო წონაში 1952 წელს მოიგო
პირველთანრიგოსანმა. ჩოქბჭენში ბეჭებზე დააწვინა რამდენიმე ოს-
ტატი. ეს ახალბედა გიორგი სხირტლაძე იყო...

გიორგი სხირტლაძე ორმოცდაათს გადაცილებულია, მაგრამ დრომ
ვერ ჩაკლა მასში ის გულლიაობა. თუ გნებავთ, ის კეთილი გულუბრ-
ყვილობა, რომელსაც ძალიან იშვიათად ინდობენ წლები. იქნებ სწო-
რედ ამიტომ ვაფასებთ ასე დიდად ამ თვისებებს და მაშინვე მიგვი-
წევს გული იმათკენ. ვისაც ეს ღირსება აქვს. თავად განსაჯეთ.

— მახსოვს ბაბუაჩემი გიორგი — მთელ სოფელში პირველი ხუ-
მარა. ტყეში რომ წავიდოდა შეშის დასამზადებლად, ოთხმოცდაათი
წლის ბაბუა მაგარ ჭირკს შეარჩევდა. აიღებდა ცულს. ცალი ხელით
ღრმად მიუშვებდა, დაგვიძახებდა შვილიშვილებს: აბა. ამოიღეთო.
ვერ ვახერხებდით, საამისო ძალა სად გვქონდა. ბაბუა გვეუბნებოდა:
„ჯერ არ დაეაყვაცებულხართ! მე ცალი ხელით ჩავარქვე, თქვენ კი

ორი ხელით ძვრა ვერ გიქნიათ“. მივიდოდა და თვალის დახამხამებაში ამჩობდა ცულს. რამდენს ვთხოვდით ეჩვენებინა, როგორ ახერხებდა ამას, არ გვიჩვენებდა: „ზოგიერთი რამ ადამიანმა თვითონ უნდა ისწავლოს ცხოვრებაში, იფიქრეთ ამაზე!“

შვიდი წლისას მთავი გზა დამებნა. ჩვენს სოფელში ას ოცი კომლია, სულ სხირტლაძეები. ყველანი დამეძებდნენ. მაგრამ ვერ მიპოვეს, მეორე ღამეს თვითონ მოვედი. დედას გულის შეტევა ჰქონდა. მამა მიტყუებდას მიპირებდა, გიორგი ბაბუამ კი შემაქო: „ყოჩაღ, გოგი! თუ დაკარგვას, ისე უნდა დაიკარგო, რომ ვერაინ გიპოვოს, სანამ თვითონ არ გაიგნებ გზას. კარგი განსაცდელი გამოიარე — ფალავანი დადგები!..“

სალამოს მამამ ეზოში გამიყვანა და მკითხა: „შეგეშინდა, შვილო? იტირე?“ ძალიან შემეშინდა და ვიტირე-მეთქი. „არა უშავს, ნურავის ეტყვი ამას, არც მე გავამხელ“. მართლაც ისე მოკვდა, რომ არა უთქვამს რა...

1954 წელს გიორგი სხირტლაძე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ციმაკურიძესთან შეხვედრაში ქულების თანაბარი რაოდენობით (2:2), მაგრამ მსაჯების აზრით, სხირტლაძე უფრო აქტიურად ჰქიდაობდა. ფინალში გიორგიმ ორი ქულით მოუგო სერგეი პრეობრაჟენსკის.

რა თქმა უნდა, სსრ კავშირის ახალი ჩემპიონის გამოჩენამ მთელი საქართველო ალაპარაკა, მაგრამ განსაკუთრებით რაჭველები ამყობდნენ. ამბობდნენ, როცა რაჭველებს ულოცავდნენ სხირტლაძის გამარჯვებას, ისინი მადლობას იხდიდნენ, თანაც აუცილებლად დასძენდნენ: „იციო, რა, საკვირველი არაფერია, რაჭველი ყველა ასეთია!..“

1939 წელს პირველად გაიმართა სსრ კავშირის აბსოლუტური პირველობა კლასიკურ ჰიდაობაში. მაძიებელთა შორის იყვნენ უძლიერესი მძიმე და ქვემძიმე წონის მოჭიდავეები. მონაწილეთა შემადგენლობა გააძლიერა რამდენიმე ცნობილმა პროფესიულმა მოჭიდავემ. რა თქმა უნდა, პროგნოზი ბევრი იყო. უწინარეს ყოვლისა ასახელებდნენ კიეველ არონ გონჯას და მოსკოველ ალექსანდრე სენატოროვს — ჩემპიონებს მძიმე წონაში. იმასაც ფიქრობდნენ, ვინმე ქვესაშუალო წონიანიც გააკვირვებს ქვეყანასო. ხოლო თუ მონაწილებს შორის იყო ისეთი მოჭიდავე, რომელსაც საერთოდ ვერ ამჩნევდნენ, ეს სწორედ კონსტანტინე კობერიძე გახლდათ. არ ჰქონდათ საფუძველი, რომ შეემჩნიათ: მეექვსე ადგილი საშუალო წონაში სსრ კავშირის ჩემპიონატზე 1938 წელს და მეოთხე ადგილი ქვესაშუალო წონაში 1939 წლის ჩემპიონატში. ზოგს ისიც კი ვერ გაეგო, როგორ გამოერია იგი ასეთ სოლიდურ კომპანიაში. დაიწყო ჰიდაობა და

პირველივე შეხვედრაში 86-კილოგრამიანმა კობერიძემ ქულებით მო-
უღო სსრ კავშირის სამგზის ?ენპიონ 113-კილოგრამიან გონყას. რო-
გორც ამ ტურნირის დამსწრე ბ. მ. ჩესნოკოვი წერს, „კობერიძე კა-
ვივით მაგარი იყო“. შემდეგ მან დაამარცხა ცნობილი საცირკო მო-
ჭიდავე 123-კილოგრამიანი ვ. იარკოვი. თითქმის ორმოცი კილოგრა-
მის სხვაობამ ვერ შეაშინა 22 წლის კობერიძე.

ახლა კი იგი ყველამ შენიშნა! შენიშნეს მისი წმინდა გამარჯვება
პროფესიონალ ბოროვსკიზე (105 კგ). ქულებით მოგება კიდევ ერთ
პროფესიონალთან, ნ. ემელიანოვთან (101 კგ), ხოლო როცა ხუთ
წუთში ბექებზე გააწვინა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მძიმე წონაში
ა. სენატოროვი, პროგნოზების ყველა მოყვარული ერთსულოვნად
ასახელებდა კობერიძეს!

ამჯერად ისინი არ შემცდარან. კონსტანტინე კობერიძემ ქულებით
დაამარცხა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში ე. დე-
რიჩი და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საცირკო მოჭიდავე
ი. კუქსენკო (იან ციგანი) და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი
გახდა. კობერიძე იმითმ გაუბხენეთ. რომ იგი პირველი რაჭველია,
რომელიც ავიდა მოჭიდავეთა სრულად საკავშირო კვარცხლბეკის
უმაღლეს საფეხურზე.

კობერიძის მასწავლებლები იყო ორი ნიჭიერი თბილისელი. ცირკ-
ში მოჭიდავე პეტრე დენისოვი და სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი
გრიგორი პილნოვი. მოწაფემ თავის აღმზრდელებს ამაგი დაუფასა
იმით, რომ ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას მიუმატა აგ-
რეთვე სსრ კავშირის ჩემპიონის ხუთი წოდება ქვემძიმე და მძიმე
წონაში. და, რაც მთავარია, 1947 წელს, როცა სსრ კავშირის ნაერები
პირველად გამოვიდა ევროპის ჩემპიონატზე, კონსტანტინე კობერიძემ
ოქროს მედალი მოიპოვა ქვემძიმე წონაში. კობერიძე გასაოცარი
ტაქტიკოსი იყო. მისი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის აბსოლუტურ პირ-
ველობაზე დღესაც გვაოცებს.

საკავშირო ასპარეზზე გამოიჩინა ბევრი სხვა რაჭველიც: სსრ
კავშირის ჩემპიონები იყვნენ შოთა დაუშვილი, გურამ გობეჯიშვილი
და ალექსანდრე მაისურაძე. რევაზ საღარაძე ქვეყნის ჩემპიონი არ
ყოფილა. სამაგიეროდ მისი ვაჟი, გურამ საღარაძე ორგზის მსოფ-
ლიო ჩემპიონია.

რაჭველებმა დაამტკიცეს, რომ მათ იციან ხვალისდელი დღის
დანახვაც. ორმა უახლოესმა მეგობარმა ანზორ გვიმრაძემ (სსრ კავ-
შირის პირველობათა არაერთგზის პრიზიორმა) და ჯუმბერ დავლიანი-
ძემ (საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა, 1957 წლის ახალგაზრდო-
ბისა და სტუდენტთა მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის მოჭი-
დავეთა ტურნირში გამარჯვებულმა) ერთხელ საკუთარ თავს ჰკითხეს:

— მსაჯი ვინლა იქნება?

კარგად იფიქრეს და თუთონეუ გაცესს პასუსი:

— ჩვენ.

ანზორმა და ჭუმბურმა წინასწარ განჭვრიტეს ლოზუნგი — „მსაჯე-ბი სპორტისაგან დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ“ — და მწვრთნელები არ გამსდარან. ერთმა დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მეორემ — უნივერსიტეტი და მიიღო ეკონომისტის სპეციალობა. დღეს ისინი ექსტრაკლასის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები არიან. მსაჯობენ დიდ ტურნირებს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. და როცა მათ მორიგი ტურნირის კარგად ჩატარებას ულოცავენ, გვიმრავე და დავლიანიძე მადლობას ისდიან, ილიმებიან და არ ავიწყდებათ დასძინონ:

— რა მოხდა: რაჭველი ყველა ასეთია!..

ანზორ გვიმრავეს ვკითხე. შედის თუ არა ამ სახუმარო განსაზღვრებაში „ყველა ასეთია“ არც მაინცდამაინც სახუმარო ცნება „უიღბლო“. მან მიპასუხა: „შედის... სხირტლაძეს ორჯერ უნდა მიეღო ოლიმპიური ოქროს მედალი. მაგრამ არ გაუმართლა...“

გიორგი სხირტლაძე კარგ ფორმაში იყო ოლიმპიურ 1956 წელს. ამას შედეგებიც მეტყველებენ: პირველი ადგილი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, გამარჯვებები უძლიერეს უცხოელ მოკიდავეებზე სამატჩო შეხვედრებში, მაგრამ აი მელბურნის ოლიმპიადაზე ბედმა უმტყუნა: სამი წმინდა გამარჯვება, ერთი — ქულებით და ორი დამარცხება. მოდით და სწორედ მათზე. დამარცხებებზე, ვილაპარაკოთ.

ავტორი არ აპირებს ჩვენი მოკიდავეების წარუმატებლობა მსაჯების შეცდომებით ახსნას. დამარცხებათა მიზეზები, როგორც წესი, თვით წაგებულებში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ხანდახან წესებშიც არის გამონაკლისები. მე ვიტყვოდი, აღმამფთთებელი გამონაკლისები. სჯობს, მკითხველო, თავად განსაჯოთ.

პირველი შეხვედრა ოლიმპიურ ხალიჩაზე სხირტლაძეს ბულგარელ ნიკოლა სტანჩევთან ჰქონდა, რომელსაც კარგად იცნობდა და რომლისთვისაც არაერთხელ მოუგია კიდევ. იერიშით ვატაცებული გიორგი სამ ქულას აგებს და ხალიჩაზე ნამდვილ დევნას მართავს. სტანჩევი ჭიდაობას ერიდება, უკან იხვეს. მსაჯები მას გაფრთხილებით სჯიან. სტანჩევი ამას არაფრად აგდებს, კვლავ გაურბის მეტოქეს, ცდილობს შეინარჩუნოს ორი მოგებულ ქულა. მსაჯები იძულებული არიან მეორე გაფრთხილება მისცენ.

დევნა გრძელდება. სხირტლაძე მოწინააღმდეგეს მთელ ხალიჩაზე იჭერს. გიორგი ძალიან დაიღალა. მაგრამ სტანჩევიც ბარბაცებს, გარბის, ხალიჩას სცილდება, საჭიდაოდ არ მიდის. მსაჯების მოთმინების

ფილა იქცემა. ასნი სტანსევს მესამე გაფრთხილებით სჯიან და გამარჯვებულად სხირტლამეს აცხადებენ. ხელს მალლა უწევენ.

საქმე გაეთდა! მოპოვებულია ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება სასტარტო ორთაბრძოლაში. არა, ეს გამარჯვება არ ჩაითვალა! ჩაერთვნენ ისეთი ძალები, რომლებსაც, სამწუხაროდ, მოკიდავენი ვერ მართავენ. დიდხანს არჩევენ საქმეს და მესამე გაფრთხილებას აუქმებენ. სხირტლამე აგებს, რაც მოხდა. იმაში სამართლიანობის ნატამალიც არ არის...

გიორგი არ გატყდა. შეიძლება სამი მეტოქე ბეჭებზე დადო. ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი თურქი ისმეთ ალი. ნამდვილად ძლიერი მოკიდავე. ქულებით დაამარცხა და ფინალში გავიდა. იქ კი მას ჯანიანი ამერიკელი დან ჰოჯი ელოდა, ის ჰოჯი, რომელმაც ჰელსინკში 1952 წელს წმინდად წაავო დაიით ციმაკურიძესთან.

ამერიკელს ძალზე სჭირდებოდა სხირტლამესთან გამარჯვება, მან ჰელსინკში „ოქრო“ გაუშვა ხელიდან. ახლა კი ამას აღარ აპირებდა. უნდა დაემარცხებია სხირტლამე. თანაც წმინდად! მაშინ კიდევ რჩებოდა ოქროს მედლის იმედი. მაგრამ!..

სხირტლამის მიერ დატრიალებულმა ქარიშხალმა დან ჰოჯი დააზრილა, ჩოქბეჭენში გადაიყვანა და ზურგზე გადააბრუნა. ტუშე! მსაჯი ნიშანს იძლევა, სხირტლამემ გაუშვა მეტოქე. გამარჯვება! არა! არ ჩაითვალა გამარჯვებად! გვერდითი მსაჯი არ ეთანხმება არბიტრს. მას. გვერდით მსაჯს. არ დაუნახავს ტუშე. ამ გადაწყვეტილებას მხარს უჭერს ხალიჩის ხელმძღვანელი. თურმე მასაც არ დაუნახავს, როგორ იწვა ჰოჯი ბეჭებზე.

როგორ შეიძლება ასეთი რამ? სხირტლამეს ხომ ამერიკელი ბეჭებზე დგომიდან არ წაუტყვევია. როცა მართლაც შეიძლება წამით შეეხოს ხალიჩას და მართლაც ვერ დაინახონ. გიორგიმ ჰოჯი გადააბრუნა ჩოქბეჭენიდან. ეს ისე სწრაფად არ ხდება. აქ ყველაფერი კარგად ჩანს. იქვე მუხლებზე მდგომმა მსაჯმა დაინახა და დააფიქსირა ტუშე. მაშ როგორ ვერ დაინახეს გვერდითმა მსაჯმა და ხალიჩის ხელმძღვანელმა?! არ დაგვინახავსო -- მორჩა და გათავდა! მსაჯებს არ ედავებიან. სხირტლამეს მისცეს სამი ქულა და აიძულეს განეგრძო შეხვედრა. სხირტლამე ესწრაფვის სუფთა გამარჯვებას. ატარებს გდებას გაზნექვით, უბოჭავს ფეხებს. ეს კი სწრაფი ილეთია, განსაკუთრებით ბოლო სტადიაში, როცა მეტოქეები ხალიჩისაკენ მთელი სისწრაფით მოექანებიან. აქ მართლაც შეიძლება ვერ მოასწრონ დანახვა, როგორ შეეხება იერიშზე გადმოსულის ბეჭები ხალიჩის ზედაპირს. მაგრამ ამჯერად მსაჯებმა „შენიშნეს“ შეხება. სხირტ-

ლაძე დამარცხებულად ჩათვალეს და ჩვენი მოქიდავე მესამე ადგილზე დატოვეს.

მოვესწრებით თუ არა იმ დროს. როცა მოქიდავეთა და მოკრივეთა შეხვედრებზე ავტომატები იმსაჯებენ? ვერ გეტყვით. მოვესწრებით თუ არა, მაგრამ ეს რომ ოდესმე იქნება. — უქვევლია. მაგრამ ვიდრე ეს არ არის, ადამიანებს ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მანძილზე მიყვება უსამართლობით გამოწვეული გულის ჭავრი. ნაღველი...

— 1959 წელს ბოლოს და ბოლოს გავხდი მსოფლიო ჩემპიონი. — სხირტლაძე სევდიანად იღიმიდა. — თითქმის მთელი ფული, რაც კი მქონდა, მამაჩემისათვის გაგზავნილ დეპეშაში დავხარჯე. იგი ძალიან ელოდა ამ დღეს. განიცდიდა... ერთხელ ყური მოვკარ, დედაჩემს უთხრა: „ნუთუ გოგია არასოდეს არ გახდება მსოფლიო ჩემპიონი? მამ რაღად მოჰქიდა ხელი ამ საშინელ სამუშაოს!..“

დიდხანს ვიწვედი „ოქროსაქენ...“ წინა პირველობაზე წავაგე ირანელ ნაბი სურურისთან და მეორე ადგილზე დავრჩი. ამჯერადაც სურურიმ ქულებით მომიგო. მაგრამ ჩემთან გამარჯვების შემდეგ ირანელი შეჯიბრებას გამოეთიშა. მას ფრე ჰქონდა უნგრულ პოლოშისთან. ნაბის ექვსი საჯარიმო დაუვროვდა. ფინალში პოლოში ხიდურზე მყავდა... მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. საშინლად დავიქანცე. ფიცარნაგიდან ჩამოსვლის თავი არ მქონდა. ბორის კულაევმა მიშველა. ამოხტა ხალიჩაზე, ზურგზე შემისვა და გასახდელში წამიყვანა...

რომის ოლიმპიადაზე წამიყვანეს. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, როგორ ვეპიდავე ამერიკელ ედვარდ დევიტს. არავინ არ იცნობდა მას. ან რა ჰქონდა საცნობი. საშუალო მოჭიდავე იყო. არაფრად ჩავაგდე. ქულა მივეცი. შემდეგ კი ველარ დავიბრუნე. ოსტატურად მიბიძგებდა. ხალიჩას არ შორდებოდა. სულ ჩემ წინ დახტოდა, კიდაობით კი არ მეპიდავებოდა, და განმარჯვა. შემდეგ დევიტმა ორი შეხვედრა წააგო და მეოთხე ადგილი დაიკავა. მე კი სამი ბრძოლა მოვიგე, მათ შორის ორი წმინდად. ოთხი საჯარიმოთი ნახევარფინალში შევხვდი შვედ ჰანს ანტონსონს, რომელსაც ასევე ოთხი საჯარიმო ქულა ჰქონდა. ჩვენი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ექვს-ექვსი საჯარიმო ქულით შეჯიბრებას გამოვეთიშეთ. მას მესამე ადგილი ერგო. მე — მეორე. ჩემპიონი გახდა თურქი ჰასან გუნგორი, რომელსაც იღბლად არც ჩემთან და არც ანტონსონთან არ უქიდავია...

გიორგი სხირტლაძეს ის მაინც დარჩა ნუგუშად, რომ მის აქტივში იყო გუნგორზე გამარჯვება, თანაც თურქმა შინ წააგო, სტამბოლის მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა თურქი მაყურებლები თანაგრძნობით შეხედნენ უცხოელ მოჭიდავეს და მხარიც კი დაუჭირეს. აი როგორ მოხდა ეს.

სხირტლაძემ მოუგო: გუნგორს რამდენიმე ქულა, ჰასანი მიხვდა.

რომ პატიოსანი ჭიდაობით ვერ სძლევდა მეტოქეს. ერთ-ერთი იერი-
შის დროს გიორგის ნიკაპზე ჩამოჰკრა შუბლი. შემდეგ რა მოხდა.
მოვეუსმინოთ თვით სხირტლაძეს:

— ვიცოდი, რომ თურქი მოჭიდავეები მსოფლიოში ამით არიან
ცნობილი. მართალია, გუნგორმა დარტყმის შემდეგ გულზე ხელი
დაიდო და მომიბოდიშა, მაგრამ ვგრძნობდი, კვლავ დამარტყამდა.
და ოინი ვუყავი: შევბარბაცდი, თითქოს ნოკდაუნში ვარ და სადაც
არის დავეარდები-მეთქი. ჰასანმა ველარ მოითმინა და გადაწყვიტა სა-
ბოლოდ დავეჭაბნე. კვლავ გამოქანდა, როგორც კი დარტყმის გამე-
ორება დამიპირა, მის შუბლს თავი დავუხვევდრე. არ მოელოდა ამას
საცოდავი გუნგორი. თავში იტაცა ხელი და ნაწყენმა შემომხედა.

მე კი ორი თითი ვაჩვენე. რა გწყინს, რას მემართლები, ბარ-
ბარში ვართ, ერთით ერთია-მეთქი. მაყურებლები მიხედნენ და ახარ-
ხარდნენ. რაღაც მოწონების შეძახილები მესმოდა. ალბათ, ამბობდ-
ნენ, ყოჩაღ, სხირტლაძე, ჩვენ ასეთებს პატივს ვცემთო. ჰასანმა „რქე-
ნა“ ველარ გაბედა და წააგო.

ბევრი რამ გადახდენია სპორტულ ცხოვრებაში ოთხგზის სსრ კავ-
შირის ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონს და ოლიმპიურ პრიზიორს გი-
ორგი სხირტლაძეს. საჭიდაო ხალიჩამ მას ბევრი სიხარული და წყე-
ნაც მოუტანა. მაგრამ გიორგის უყვარდა ჭიდაობა და თავისი ყოვე-
ლი სტარტი დღესასწაულად მიაჩნდა. 1961 წელს გარდაეცვალა მამა.
სხირტლაძემ ჭიდაობას თავი დაანება. უმამოდ აღარც ედღესასწა-
ულებოდა...

გიორგის ორი ვაჟი ჰყავს: კახა და მინდია. მაგრამ მამის კვალს
მხოლოდ კახა გაყვა. მინდია ფეხბურთელია. მამა არ უშლის. სპორ-
ტული სიმპათიების თავს მოხვევა არ შეიძლება. და მანაც...

რაქველ ჭიდაობის მოყვარულებს გული სწყდებათ. მათი კუთხი-
დან ჯერ არავინ ყოფილა ოლიმპიური ჩემპიონი. როდის შეიძლება
ამ მდგომარეობის გამოსწორება? ვინ გააკეთებს ამას? ვინ მიიღებს
უფლებას მაღლობა გადაიხადოს მილოცვისათვის და აუცილებლად
დასძინოს: „რაქველი ყველა ასეთია?!“ — საკითხავი აი ეს არის.

უდიდესი ტაქტიკოსი იყო

„ბრძენი მოჭიდავე იყო როსტომ აბაშიძე. შეუძლო მებრძოლთა თვის საკუთარი ტაქტიკის თავსმოხვევა, შეუძლო თავისი ზრახვების დაფარვა. ყველამ იცოდა, რომ მოგვერდის უბადლო ოსტატი იყო, რასაც ყველა ერიდებოდა, მაგრამ მაინც თითქმის ყველა ეგებოდა ანჯეს.“

ივან ბოგდანო

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ოლიმპიური ჩემპიონი

ქ. კაევი



როსტომ აბაშიძე

მეხსიერებაც კარგი ჰქონდა როსტომ აბაშიძეს. სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზე მან მესამე ადგილი დაიკავა. ფინალში გამოცდილ მოჭიდავეებს — არკადი ტაჩოვსა და ალექსი ვანინს ჩამორჩა. ვანინთან რამდენიმე ქულას აგებდა, ოცი წლის როსტომმა ძალიან ენერგიულად შეუტია, ვეტერანმა კი, რომელიც ოსტატურად იცავდა თავს, ახალგაზრდა ფალავანს ასე მიმართა:

— „იქნებ კმარა იერიში, იქნებ დაწყნარდე!“

ერთი წლის შემდეგ ქვემძიმე წონის მოჭიდავემ როსტომ აბაში-

ძემ სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. ფინალში კვლავ ალექსი ვანიის შეხვედა. ამჯერად როლები შეიცვალა, ახლა რამდენიმე ქულას ვანიი აგებდა და ცდილობდა მდგომარეობა გამოეწვრობინა. ენერჯულად უტყვდა. უცებ მოესმა:

— „იქნებ კმარა იერიში, იქნებ დაწყნარდი!“

გაოცებული ვანიი შეჩერდა. ამასობაში ვონგის ხმაც გაისმა.

— ვინ გასწავლა ასეთი რამ ჭიდაობის დროს? — ჰკითხა გასახდელში აღშფოთებულმა ვანიმ.

— შენ მასწავლე, ალექსი, — გაიღიმა როსტომმა. — გახსოვს სპარტაკიდა?...

აბაშიძის პირველი მწვრთნელი აკაკი მიმინოშვილი ჩაჯდებოდა ხოლმე თავის მოწაფეებში — ბათუმის სპორტსკოლის აღსაზრდელებში — და ამბობდა:

— ბიჭებო, თქვენი პირველი მწვრთნელი ჭიდაობაა! მასზე მთავარი ხალიჩაზე არაფერია არის. მე მისი მოადგილე ვარ. მე მხოლოდ საუკეთესო ილეუებს გაჩვენებთ. ჭიდაობა კი თქვენი მასწავლებელი იქნება. თუ, რა თქმა უნდა, გაქვთ სწავლის სურვილი...

მიმინოშვილისათვის სიტყვა და საქმე ერთი იყო. იგი აჩვენებდა რამდენიმე გდებას წვრთნის დასაწყისში, შემდეგ კი მოითხოვდა განმტკიცებინათ ისინი ჭიდაობით. ალბათ, გამოიძებნებიან სპეციალისტები, რომლებიც აკაკი მიმინოშვილის მეთოდს არ გაიზიარებენ, მაგრამ შედავებას ის სჯობს, თვით როსტომ აბაშიძეს მოეუხმინოთ.

— პირველი გდება, რომელიც ხალიჩაზე ჩავატარე, მთელი ჩემი სპორტული ცხოვრების მანძილზე გამყვა. მაშინ მოკლედ ამას „მოგვერდს“ ვუწოდებდით. ახლა კი გრძელი სახელწოდება აქვს: გდება ზურგზე ხელებისა და კისრის ჩავლებით. მაგრამ ამით არსი არ იცვლება... არ მახსოვს შემთხვევა, რომ მიმინოშვილს ეთქვას თავისი მოწაფისათვის, რომელი ილეთი უნდა აეთვისებინა. მწვრთნელი არჩევანს ჩვენ გვანდობდა. რასაც ავითვისებდით, ავითვისებდით.

ასე ლაპარაკობს სამგზის მსოფლიო ჩემპიონი. მე კი რატომ ვწერ ამას? ალბათ, იმიტომ, რომ რამდენიც ჩემპიონია, იმდენივე გზაა მათი ჩამოყალიბებისათვის. ეს გზები შეიძლება ბევრი რამით ჰგავდეს ერთმანეთს, მაგრამ ყოველ დიდ სპორტსმენს საკუთარი გზა აქვს. ამიტომაც არიან საინტერესონი როგორც ჩემპიონები, ისე მათ მიერ არჩეული გზები...

ჩვენ თუმცა მუდამ ვამბობდით და ისევე გავიმეორებთ, რომ მთავარი ფიგურა წვრთნის პროცესში მწვრთნელია, რომ მისი როლი უდიდესია, მაგრამ ზემოთქმული იმის მაგალითია, თუ როგორ არ სურდა მწვრთნელ მიმინოშვილს ყოფილიყო მთავარი ფიგურა და რა შეგნე-

ბელად დაჰყავდა მინიმუმამდე თავისი როლი სპორტსმენთა ჩამოყალიბების პროცესში.

შეიძლება სწორედ ამიტომაც იყო ფორმირება ასეთი დინამიკური, ასეთი პროდუქტიული. თავის აღსაზრდელებში მიმინოშვილი ავითარებდა დამოუკიდებლობას. პირველივე დღიდან უნერგავდა იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომელსაც ზოგიერთი სიბერემდეც ვერ ჩასწვდომია: „შენი ბედი შენივე ხელთაა“. მიმინოშვილმა სტარტი მისცა დიდ სპორტში როსტომ აბაშიძეს და დავით გვანცელაძეს. ორ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სრულიად განსხვავებულ მოჭიდავეებს და კიდევ უფრო განსხვავებულ ადამიანებს, მაგრამ ორივენი ხომ ბათუმიდან იყვნენ?

— მწვრთნელებში ნამდვილად იღბალი მქონდა, — ამბობს აბაშიძე. — როცა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე შევედი, გიორგი როსტიაშვილი მავარჯიშებდა. მას სულ ცოტა ხნის წინათ ჰქონდა დანებებული თავი ქილაობისათვის და გული ისევ ხალიჩისაკენ მიუწევდა, მუდამ სპარინგ-პარტნიორობას გვიწევდა. როსტიაშვილი უკომპრომისო, ძლიერი და მომთხოვნი ხასიათის კაცი იყო. მან ჩვენში დახვეწა ყოველივე ის, რაც უკვე გვქონდა და ძალიან ბევრი რამ ახალიც შეგვიძინა.

პეტრე იორდანიშვილი კი, ვისთანაც წვრთნას გავდიოდი, სხვანაირი ადამიანი იყო. ხუმარა და წყნარი. იქდა სკამზე ხალიჩასთან დაბაზში, რომელიც მის სახელს — „პეტრეს ცირკს“ — ატარებს. და რეპლიკებს ისვროდა: „ფეხები უკან ნუ გრჩება, გაინძერი, უფრო მაგრად ჩაავლე“. ეს რეპლიკები მხატვრის საღებავივით იყო — თითოეული ცალ-ცალკე არაფერს ნიშნავდა, მთლიანობაში კმნიდა სურათს — მოჭიდავეს.

აბაშიძე ხმადაბლა ლაპარაკობს. დიდი ხელები წყნარად უწყვიტა მუხლებზე. სწორედ ამ ხელებმა გადაუწყურა იმედი ბევრ ძლიერ ადამიანს...

უნგრელ მოჭიდავე გეორგ გურიჩს შეეძლო დაეწერა დრამა სათაურით: „ქართული გებირი“. საშუალო ტანის, საოცრად ფართო მხაობეკიანი გურიჩი ადვილად ამტვრევდა ცხენის ნალს, არა ისეთს, სპეციალურად საციკოდ რომ ამზადებენ, არამედ ნამდვილ, პატიოსანი სოფლის მჭედლის ნახელავს. ღონიერი ვაჟკაცი იყო გეორგ გურიჩი. ჰელსინკში ოლიმპიურ ასპარეზობაზე რომ ჩავიდა, თავისი პატივმოყვარული ზრახვები არ დაუფარავს და, სავსებით შესაძლებელია, განებორციელებინა კიდევც, რომ ამ გზაზე დავით ციმაყურიძე არ გადასდგომოდა. გურიჩმა წააგო და მესამე ადგილი დაიკავა.

გეორგმა გადაწყვიტა 1955 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ზედი კლასიკურ ქილაობაში ეცადა. მაგრამ იქ გივი კარტოზიას შეხვდა

და იძულებული გახდა „ვერცხლით“ დაემაყოფილებულიყო. დაუდგრომელი გურიჩი უმალ მიხვდა, რომ კარტოზიასთან ვერაფერს გახდებოდა. კიდევ სამ წელიწადს ელოდა, წონაშიც მოიმატა, ქვემძიმეში გადაინაცვლა და 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბუდაპეშტში გამოვიდა. აქ მშობლიურ კედლებს „ოქრო“ უნდა გამოედნოთ „ბრინჯაოს“ და „ვერცხლის“ მფლობელი უნგრელი გოლიათისათვის, მაგრამ კვლავ გამოტყვრა ქართველი — მსოფლიო პირველობის დებიუტანტი როსტომ აბაშიძე. გეორგმა ამჯერადაც ვერ გადალახა „ქართული ჭებირი“. წააგო სამი ქულა. აბაშიძე ჩემპიონი გახდა. გურიჩის ისევ „ვერცხლი“ ერგო.

და მაინც შეუპოვარ უნგრელს ბედმა გაუღიმა. 1961 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე როსტომი არ გამოსულა. გურიჩი მიხვდა, რომ ასეთი შემთხვევა შეიძლება აღარც განმეორებულიყო. მან გაუსწრო არკადი ტაჩკოვს და ჩემპიონი გახდა. მაინც გახდა..

თითქმის ვერცერთმა მისი კლასის მოჭიდავემ ვერ შეინარჩუნა დაუზიანებელი ყურის ნიჟარა. აბაშიძეს კი ყველასაგან განსხვავებით სრულიად მთელი ყურები აქვს. ეს, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელი ფაქტია. იმის ცდა, რომ თავი დააღწიო „კარგ მარყუჟს“ მას შემდეგ, რაც ზურგზე მოგიგდეს, ან გაითავისუფლო კისერი და ხელები, ჩვეულებრივ, ყურის დაზიანებით მთავრდება. აბაშიძე როგორღა გადარჩა?

ორგზის მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, ოლიმპიური ჩემპიონი ივანე ბოგდანი, როგორც აბაშიძის ბევრი შეხვედრის მნახველი, ავტორიტეტულად გვემოწმება: „ეს სრულიად უბრალოდ მოხდა: იგი მეტად აკურატულად ჰიდაობდა! როსტომს არ უყვარდა ხელჩართული ბრძოლა. არავის აძლევდა ნებას „ხორცის საკეპში“ მოექციათ იგი. იქ მოხვდებოდა, სადაც თვითონვე სურდა მოხვედრა. მას მეტოქეები სურვილისამებრ მიყავდა, მისი წაყვანა კი არავის შეეძლო. უდიდესი ტაქტიკოსი იყო! ოთხმოცდაათი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა და არც ერთი წაგება არა ჰქონია. მარტო მისი შერკინება ათლისთან რად ღირს! თურქი სულ თავის ნებაზე ათამაშა!“

ისმეთ ათლის ძველი ანგარიშები ჰქონდა საბჭოთა მოჭიდავეებთან. განსაკუთრებული „სინაზე“ ქართველი ფალანგებისაგან ახსოვს. ათჯერ გამოვიდა ათლი მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ტურნირებში და მხოლოდ ერთხელ, რომის XVII ოლიმპიურ თამაშებზე, მოიგო ოქროს მედალი. გივი კარტოზია, ალექსანდრე მედევი, გიორგი სხირტლამე, თითოეული თავის დროს ნერვებს აწყვეტდა ისმეთ ათლის იმის გამო, რომ არ უშვებდნენ საპატიო კვარცხლებეის უმაღლეს საფეხურზე, ხოლო როცა კარტოზიამ და სხირტლამემ გამოსვლები დაამთავრეს, მედვედი კი მძიმე წონაში გადავიდა

მაშინ შეახვედრა ბედმა ათლი როსტომ აბაშიძეს. ეს იყო 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ამერიკის ქალაქ ტოლედოში. სწორედ ამ შერკინებას გულისხმობდა ბოგდანი, როცა ლაპარაკობდა, თავის ნებაზე ათამაშაო...

აბაშიძემ იცოდა, რომ ძალზე გამოცდილი ათლი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ყველა შეხვედრას და დასკვნებიც სათანადო გამოჰქონდა. ფიქრისათვის თურქს უამრავი ინფორმაცია ჰქონდა. აი, თუნდაც ასეთი. ტოლედომდე სამკერ შეხვდა აბაშიძე შვედ რუნე იანსონს. სამი ფრე. ახლა როსტომს მხოლოდ გამარჯვება უნდოდა და მიაღწია კიდევ. უკან ისევდა, ხალიჩიდან გადადიოდა, გაფრთხილება მიიღო პასიურობისათვის; კვლავ უკანდახევას განაგრძობდა, ბოლოს და ბოლოს შვედი დაარწმუნა, რომ ეშინოდა მისი, რომ არ შეეძლო ამჯერად მასთან კიდაობა და რომ ძლივს იდგა ფეხზე. იანსონს ასეთი „მოშლა“ ექაშნიკა. უფრო აქტიურად შეუტია. მაგრამ როსტომმა მოგვერდზე წამოიღო, ორი ქულა ჰოიგო და თავისას მიაღწია. რუმინელ ნიკულაე მარტინესკუსთან — მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთან, უფრო ადვილად გაიმარჯვა. როსტომი მაშინვე გადავიდა აშკარა ბრძოლაზე, მეტოქეს ჩაატარებინა გდება გაზენქვით, „დახურა“ იგი და ბეჭებზე დააწვინა.

როგორც ხედავთ, ორ შეხვედრაში ორ სხვადასხვა ტაქტიკას მიმართა. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ათლისთან არ გამოადგებოდა. არა მარტო იმიტომ, რომ არ უნდა გაემეორებინა ის კიდაობა, რომელიც თურქმა ნახა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ათლი არ ჰგავდა არც იანსონს, არც მარტინესკუს. ათლი ყოველთვის ათლი იყო და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა.

ჩასხმული, ათლეტური, გრძელმკლავებიანი ათლი ძლიერი და გაბედული მოქიდავე იყო. იგი არასოდეს მიმართავდა დაცვას. ამაყი თურქი ვაჟკაცი მხოლოდ ხელჩართულ შებმას ცნობდა, მკიდრო „კონტაქტი“ უყვარდა. ისმეთი არავის წინაშე არ კრთებოდა. გივი კარტოზიასაც კი ისე ერკინებოდა, რომ მეტოქის პატივისცემას იწვევდა. „ათლი მუდამ მებრძოლი მოქიდავე იყო“, — თქვა მის შესახებ კარტოზიამ. ეს სიტყვები კი ყველა ფალავნისათვის უმაღლესი ატესტაციაა.

როგორ უნდა ეკიდავა აბაშიძეს ასეთ ვაჟკაცთან. როსტომი ხომ ხალიჩაზე ყველაზე მეტად ხელჩართულ შერკინებას ვერ იტანდა. ვიყოსთ გულახდილნი: ვერ იტანდა იმიტომ, რომ მაინცდამაინც არ ეხერხებოდა ასეთი კიდაობა. მაშ რა უნდა ექნა? დალოდებოდა, როდის მოიქანცებოდა თურქი? მას ხომ იმდენი ძალა ჰქონდა, ათ წუთს კი არა, ასწუთიან კიდაობასაც ეყოფოდა. როგორ მოქცეულიყო როსტომი?

— ათლი აგრესიული, გამბედავი, შეუპოვარი. ამასთან ძალიან ჰკვირნი იყო. რისკიანად ჰქიდაობდა, მაგრამ შეეცდომებოდა არასდროს არ უშვებდა. თუნდაც რომ დაეშვა. იმ ტემპში, როგორცაა იგი ჰქიდაობდა, ამ ხარვეზს ვერავინ შეამჩნევდა. — აბაშიძე სულ უფრო ახარტში შედის ამ ამბის მოყოლისას. გეგონებათ, ისმეთ ათლის ახლაც უნდა ეკვეთოსო. — მივხვდი, რომ მასთან მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეეძლებდი მოგებას: თუ იგი ჩემ დევნაში ისე გაერთობოდა, რომ სიფრთხილეს დაივიწყებდა. ისიც ვიცოდი: ათლი შეიძლება შემცდარიყო მხოლოდ ერთხელ: რაღაც გარკვეულ მოძრაობაში, მაგრამ ორჯერ ერთი და იგივე შეცდომას არ დაუშვებდა...

მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, თითო ნაბიჯით უკუდგნენ და მსაჯის ნიშანზე ათლიმ ხელი წინ გამოსწია. უნდოდა შეხებოდა მეტოქეს. ნაბიჯიც გადმოდგა... რა იყო საშიში ან წინდაუხედავი ამ მოქმედებაში? სრულიად არაფერი... მაგრამ თურმე იყო. აბაშიძემ ხელი ჩაავლო ათლის გამოშვერილ მკლავს და მეოთხე წამს ჩოქბურში გადაიყვანა.

— მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა ღონიერი იყო ეს კაცი. ჩოქბურში ბევრი გადამბრუნებია. ათლი კი ადგილიდან ვერ დაეძარი. აი, ასე იდგა იგი! — აბაშიძე ფართო ხელისგულს დებს მაგიდაზე და ვიცი, რომ მისი სელის ადგილიდან დაძვრა შეუძლებელია. — დგომში აღმოვიხნდი თუ არა. დაიწყო...

• დიახ, დაიწყო ქარიშხალი. ათლიმ მარტივად განსაჯა. თუ ერთმანეთს ეძვებოდნენ. ადრე თუ გვიან ერთ-ერთი უეჭველად დაეცემოდა. თურქს სწამდა, რომ მას ეს არ დაემართებოდა. როსტომი აბაში დარწმუნებული არ იყო და მისთვის უჩვეულო სისწრაფით მოძრაობდა ხალიჩაზე. ანელებდა ოლიმპიური ჩემპიონის არაადამიანურ ენერჯიას. იცოდა, რომ ასეთ ბრძოლას დიდხანს ვერ გაუძლებდა. პირველ ხუთ წუთს როგორმე აიტანდა, მაგრამ რა მოხდებოდა შესვენების შემდეგ?..

დასვენებული ისმეთი, რომელსაც სეკუნდანტები და მცირერიცხოვანნი, მაგრამ მყვორალა თურქი გულშემატყვივრები აქებებდნენ — „იაშასუნ, ათლი! იაშასუნ!“ (წინ, ათლი! წინ!). მართლაც წინ გამოვარდა და დაუშვა პირველი და უკანასკნელი საბედისწერო შეცდომა. აბაშიძემ „მარყუქში“ მოიქცია თურქის კისერი და ხელი. ელვის სისწრაფით მობრუნდა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხიდურზე დადგომა ვერც მოასწრო, ისე სწრაფად დასცა მეტოქემ ხალიჩაზე. ძნელია ასეთ შემთხვევაში ხიდურზე დადგომა...

უცნაურია, მაგრამ ფაქტია. მუდამ სერიოზული და შრომისმოყვარე აბაშიძე წვრთნის დროს ნაკლებად იჩივრებოდა თავის. მაგალითად ავთანდილ ქორიძე და რომან რურუა სულ ცოტა ოთხჯერ და

მეტს ვარჯიშობდნენ ვიდრე სხვები. ვერაშ ეს ამოუ აჩვენებდა, რომ შოიძისმოყვარეობა და შოიძისუნაოიანობა ძიხვ სხადანხვა რამაა. „როგორც კი ვზრდიდი დატვირთვას, მაშინვე ვკარგავდი მკრბნობე-
ლობასა და სისწრაფეს. კროსი ჩემთვის ნამდვილი სასკელი იყო. მწვრთნელები წარამარა ყვიროდნენ: ქართველებო, ფეხს აუჩქარეთ, ქართველებო! ნუ ჩამორჩები! — ისინი მე და გვანცელაბეს გვიყვი-
ოოდნენ“.

ასეთი მომხადება სათანადო კიდაობასაც მოითხოვდა. მეტოქეთა გატეხვა ძალითა და ტემპიანი შეტევით მას არ შეეძლო. ამიტომ იგი მოწინააღმდეგეთა შეცდომებს იყენებდა. მაგრამ თუ ისინი შეცდო-
მებს არ დაუშვებდნენ, აბაშიძეს უჭირდა.

— თურქი ჰამიდ ჭაფლანი — მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი თავისუფალ კიდაობაში მხოლოდ კოშმარულ სიზმრებში მელანდუ-
ბოდა. — აბაშიძე ილიმება. — მასთან ყოველ ფრეს უფრო ძნელად ვაღწევდი, ვიდრე გამარჯვებას მსოფლიო პირველობის ორ ან სამ პრიზიორთან. ამტანი, მკაცრი და ძალიან უხეში იყო. 1963 წელს ჰელსინკში ჩვენ მესამედ შევებით ერთმანეთს და ამჟერადაც ფრედ დამთავრდა ეს შეხვედრა. ფეხზე ძლივს ვიდექი, შემდეგ ძნელი შერ-
კინება მომიბდა შევედ პერ სვენსონთან. ორი ქულით მოვუგე და ნი-
ულაე მარტინესკუს წინააღმდეგ მომიწია გამოსვლა...

აი სწორედ მარტინესკუ იყო ის მეტოქე, რომელსაც არ სურდა შემეცდარიყო. რუმინელი ოსტატურად უვლიდა გვერდს აბაშიძის თითოეულ მახეს, აჩვენებდა, რომ კარვად ხედავდა ეშმაკი მოწინა-
აღმდეგის ყველა ფანდს. კონტაქტში შესვლას ერიდებოდა და გულ-
დაჯერებით უახლოვდებოდა ფრეს, რითაც ჩემპიონობასაც მოიპო-
ვებდა. მარტინესკუ არ გარბოდა ხალიჩიდან. მეტოქეზე უფრო მეტს მოძრაობდა. უბიძგებდა, ეჯახებოდა, მრავალი იერიშის იმიტაციას მომართავდა, — ერთი სიტყვით, ყასიდად აქტიურობდა. იმ დროს ასე-
თი კიდაობა მსაჯებს სავსებით დასაშვებად მიაჩნდათ.

დაიწყყო მეექვსე წუთი და აბაშიძე მიხვდა, რომ, თუ გამარჯვება ეწადა, უნდა გაეოცებინა არა მარტო მეტოქე, არამედ საკუთარი თა-
ვიც და აი, ფრთხილი, რისკისმგმობელი აბაშიძე, რომელიც ყოველ-
თვის „პუსარულ ხუმრობათა“ მოწინააღმდეგე იყო, თვითონ განხდა პუსარის მან ხელი ჩაავლო მარტინესკუს მკლავში, ღმილით შეხედა მეტოქეს და ზურგი შეუბრუნა.

ასეთ გამოწვევას ვერც ერთი მოჰიდავე ვერ დატოვებდა უპასუ-
ხოდ. მარტინესკუ მივარდა როსტომს, უყნიდან ჩაავლო ხელი და მოგვერდით წამოიღო. გაბრაზებულმა რუმინელმა ორი ქულა მოიგო. არა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მხოლოდ ორი ქულა...

დანარჩენი ქულები ქართველსა იყო...

აბაშიძემდე ველარ აღწევდა აფორიაქებული დარბაზის ყვირილი, არ ესმოდა მშობლიური „მიდი! მიდი!“ მან ნელა შემოხვია ხელი წელზე მეტოქეს, გადაიზნია გვერდზე, მოიკრიბა უკანასკნელი ძაღლონე, დაძაბულობისაგან ამოიკვნესა, იფეთქა და (კალამბურით რომ ვთქვათ) თრბალიანი ტრიალით ორი ქულა მოიპოვა. ანგარიში გახდა 5:2. გაისმა გონგის ხმა. აბაშიძე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა!

იგი გასახდელამდე მიიყვანეს („თვითონ ველარ მივიდოდი“), იქ კი დაუხვდა ასევე ახალი მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კოლესოვი, რომელმაც დაამარცხა შვიდი მეტოქე და მათ შორის ოლიმპიური პრიზიორი რუმინელი იონ ცარანუ, ოლიმპიური ჩემპიონი ბულგარელი დიმიტრი დობრევი, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი რუდოლფ ვესპერი (გდრ) და წინა წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი შვედი ბერტილ ნიუსტრემი.

ორი მისაფათებელი ყმაწვილი იჭდა კედელს მიყრდნობილი და უცებ კოლესოვმა ჰკითხა:

— როდესმე თუ მოვცილდებით ამ კედელს, როსტომ?

— მოვცილდებით, ტოლია, — გაბზარული ხმით უპასუხა აბაშიძემ.

და ორივემ გადაიხარხარა. როგორ არ სურდათ მეტოქეებს მათი წინ გაშვება „ოქროსკენ“, როგორ არ სურდათ ეს! მაგრამ ისინი მაინც გავიდნენ. ჩემპიონები გახდნენ და ამიტომაც ახარხარდნენ...

სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი როსტომ აბაშიძე სწრაფად უახლოვდებოდა თავისი სპორტული ცხოვრების მთავარ მოვლენას — ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობას. და უცებ, თითქოს ბეჭებში ტყვია დასცესო, ბოტკინის სენმა დარია ხელი.

იგი არ მოტყდა. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ წვრთნა დაიწყო. მთებში აღიოდა, კროსებზე დარბოდა, სპარინგებს ატარებდა. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელთა საბჭომ ნება დართო არ გამოსულიყო ჩვენი ქვეყნის პირველობაზე 1964 წელს, თუმცა ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანა. ყველა მოელოდა სასწაულს ტოკიოში. მაგრამ, ვაგლახ, სასწაულები არ ხდება. ორი ფრე — ჯერ პერ სვენსონთან, რომლისთვისაც არაერთხელ მოუგია, და შემდეგ საშუალო მოქვდავე იუგოსლავიელ პეტარ პუსისთან. ოთხი საჯარიმო ქულა და ორი გამარჯვება ქულებით, ექვსი საჯარიმო. მეხუთე ადგილი.

აბაშიძეს შევერცხილი საფეთქლები აქვს, დიდი მშვიდი თვალები, ხმადაბლა ლაპარაკობს, უესტიკულაციას იშვიათად მიმართავს.

— ცოდვა იქნება ჩემ საჭიდაო ბედს დავემდურო... ყველაფერი შედარებით შეიცნობა. ჩემი თანამემამულე დავით გვანცელაძე ძაღლთა, ავთანდილ ქორიძე და რომან რურუა სულ ცოტა ოთხჯერ და

და მასში, რომელზეც მე მხოლოდ ოცნება შემიძლია. მაგრამ სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი დავითი მსოფლიო ჩემპიონი ვერც ერთხელ ვერ გახდა. თავის მეტოქეებზე ძლიერი, ყოველთვის მხოლოდ ერთი ნაბიჯით ჩამორჩებოდა ხოლმე მათ. იღბალი არ ჰქონდა...

როსტომი გაჩემდა. სახეზე ჩრდილმა გადაუარა, თვალებში ტკივილი ჩაუდგა.

— დათოს ფანტიკურად უყვარდა ქიდაობა. მწვრთნელად რომ დანიშნეს, მთელი თავისი უნარი მოწაფეებს შეაღია... მზარეულებს არ უყვარდათ იგი: მწვრთნელი გვანცელაძე მოითხოვდა მისთვის ეჩვენებინათ ხორცი, რომლისგანაც ბიჭებს საკმელს უშადადებდნენ. ყველა მოქიდავეს ძმასავით ეკიდებოდა, უმცროსებსაც და უფროსებსაც. ცხოვრებაშიც ისეთივე იყო, როგორც ხალიჩაზე: პატიოსანა, უკომპრომისო, შეუპოვარი და მეტად გულჩვილი... ვერ ვაიგო, რომ ცხოვრება სპორტზე რთულია, და არც სურდა ამის გაგება... იტანჯებოდა ამის გამო, მაგრამ ყოველთვის ნაღდი და ხალასი იყო. სამწუხაროა, რომ დათო ასე ადრე წავიდა ცხოვრებიდან...

როსტომ აბაშიძე სათავეში უდგას რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების მთავარ სამმართველოს. მეტად პასუხსაგები სამუშაოა. წყალი ცხოვრებაა, ჯანმრთელობაა. სამწუხაროდ, ზოგიერთს ეს ავიწყდება. ჩემთან სასაუბროდ აბაშიძე შუბლშეკრული მოვიდა. დაინტერესდი, რამ გაუფუჭა გუნება. იგი ერთხანს ღუმდა, შემდეგ მიპასუხა:

— ხელი მოვაწერე ბრძანებას, სასტიკი საყვედური გამოვეუცხადე ადამიანს, რომელთანაც მრავალი წელია ვმეგობრობ.

— არ შეიძლებოდა როგორმე სხვანაირად მოგეკვარებინათ საქმე?

— არ შეიძლებოდა! — მომიჭრა აბაშიძემ.

მას უველაფერი შეეძლო..



ელაღმერ რუბაშვილი

„ასეთი მოკრძალებები ჩვენს არცთუ უნიკოთა წრეში მეტად იშვიათია. მაოცებდა მისი კოორდინაცია. ერთხელაც არ მინახავს, რომ იგი მოუშზადებელი დახვედროდა მოულოდნელ თავდასხმას. ვალოდიას უდიდესი ნიჭი ჰქონდა. მას ყველაფერი შეეძლო!..“

ელაღმერ სინიაესკი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
მსოფლიო ჩემპიონი

ქ. კიევი.

მასთან არასოდეს მისაუბრია. არც არასოდეს მინახავს ხალიჩაზე. მაშ როგორ გაიბოთ მის შესახებ, თუ ჩემს მეხსიერებაში არ არის აღბეჭდილი? დანშარება ვითხოვე. გამომენშაურა თითქმის ყველა, ვინც კარგად იცნობდა მას, ვისაც უყვარდა და აღაფრთოვანებდა, ვინც მიუტრევა მას და ვინც დღემდე კიცხავს. მე ვერ ვიკისრებ განვსაჯო, ვინ მართალია და ვინ არა მათ შორის. ვიცი კი მთავარი: ისინი არ არიან მისადმი გულგრილნი, ამიტომაც იქცა მათი ხსოვნა ჩემს ხსოვნად და ავიღე კალამი...

გივი კარტოზია: „იგი ყველაზე ნიჭიერი ქართველი მოჭიდავე იყო სამოციანი წლების დამდეგს. აბსოლუტურად უშვიშარი!.. ველოდი, რომ მისი ნიჭი არნახულად გაიფურჩქნებოდა... მაგრამ, ეტყობა, არ ეწერა...“

სერგეი პრეობრაჟენსკი: „არან სპორტსმენებ, რომელთა კიდაობა არ გამახსოვრდება. თითქოს ბევრი ტიტულიცა აქვთ. მკერდს შეჭიბრებებზე მოპოვებული მედლები უმშვენებენ, მაგრამ მათი ორთაბრძოლები უინტერესოა. რუბაშვილი კი განსაკუთრებით ბრწყინვალე მოჭიდავეებს მიეკუთვნებოდა... თითოეული მისი გდება აკრობატული ეტიუდი იყო. იღეთიდან იღეთზე არაჩვეულებრივი სიმსუბუქით გადადიოდა“.

გურამ სალარაძე: „იგი ნერვიულობდა ბრძოლის დაწყებამდე. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მოწინააღმდეგისა ეშინოდა. არა, არ იცოდა, რა იყო შიში. იგი საბრძოლველად იწვედა და ნერვები ხალიჩაზე გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე აწყდებოდა. ორთაბრძოლის დროს კი იგი მუდამ მშვიდი იყო. ყოველთვის დარწმუნებული გამარჯვებაში!“

იური შახმუროდოვი: „არასოდეს შევხვედრივარ ცხოვრებაში მოჭიდავეს, რომელსაც მაჯებში ასეთი ძალა ჰქონოდა. ხელში ხელს თუ ჩაგავლებდა, ვერ ვაითავისუფლებდი. მისი თითები მაჭას ბორჯილებივით უჭირდნენ და მეტოქეს მარტო ჩაჭიდების ძალა ღლიდა. ვალოდია კიდაობდა ამაყად, წელში გამართული. არ ფრთხილობდა. სწორედ ასეთებზეა ნათქვამი: მათი გატეხვა შეუძლებელია ზოგორც ფიზიკურად. ასევე სულიერად“.

ვისთვის გამოძებნეს ასეთი სიტყვები მსოფლიოში სახელგანთქმულმა სამმა მოჭიდავემ და მწვრთნელმა, რომელმაც ორი ოლიმპიური ჩემპიონი გამოზარდა? ვისთვის და 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმერ რუბაშვილისათვის. მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ. რაც რუბაშვილი გამოდიოდა ხალიჩაზე. მისი კიდაობა კი ახსოვთ. აღელვებულნი წერენ, ლაპარაკობენ და გული სწყდებათ. ვალოდია ცხოვრებიდან ძალიან ახალგაზრდა წავიდა. თან გაიყოლა ოცნებები და მისწრაფებანი. მასთან ერთად დამიწდა ნიჭი, რომლის შესახებაც მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმერ სინიავესკიმ უბრალოდ თქვა: „მას ყველაფერი შეეძლო!“

როგორ უნდა ეჭიდავა, რა ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა ხალიჩაზე, რომ ასეთი ატესტაცია მიეცათ თავშეკავებულ, ქებაში ძუნწ ადამიანებს. როგორ უნდა ეჭიდავა, რომ გამოცდილმა ჟურნალისტმა, სპორტის შესანიშნავმა მცოდნემ, ვინაიდან თავადაც სპორტსმენი გახლდათ, რუბაშვილზე დაწერა: „ზოგჯერ ჩემპიონი ან ჩემპიონთა ჩემპიონი იმდენად აღემატება სხვებს, რომ ჩვენთვის მხოლოდ ის ერთი არსებობს“. ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ჟურნალისტს არჩილ გოგელიას.

ვლადიმერ რუბაშვილი პირველი საბჭოთა მოჭიდავე გახლდათ, რომელმაც მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი ქვემსუბუქ წონაში. მა-

ნამდგ ამ კატეგორიაში მეფობდნენ ისეთი დიდოსტატები, როგორც იყო იაპონელი შოძო სასახარა და თურქი მუსტაფა დალისტანლი. ჩოქბენში კიდაობის საოცარი ოსტატი სასახარა ელვის უსწრაფესი იყო. დალისტანლი ასეთი სისწრაფით არ გამოირჩეოდა. სამაგიეროდ სხეულიცა და ხასიათიც ფოლადისებური ჰქონდა, ტექნიკაც — რაციონალური და ძალისმიერი, თითქმის მკაცრი. თურქის „ანკესზე“ წამოგებულ მეტოქენი უმეტეს შემთხვევაში ბეჭებზე წვებოდნენ. შოძო სასახარას ეკუთვნის ასეთი თქმა: „კიდაობაში არ არსებობს საიდუმლოებანი. მისი ისტორია იმდენად ხანგრძლივია, რომ შეუძლებელია რომელიმე საიდუმლო ამოუხსნელი დარჩენილიყო. მთავარი ისწორად შევისწავლოთ ის, რაც უკვე ცნობილია. ამისათვის კი საჭიროა მხოლოდ ორი რამ: მტკიცე ნებისყოფა და გაძლიერებული წვრთნა. იაპონელი მოქიდავეების მთავარი უპირატესობაა ვაქცაცობა და ამტანობა, მთავარი ნაკლი — სუსტი კუნთები. მაშასადამე, საჭიროა მუშაობა!“

არც თავის თანამემამულე სასახარას და არც მუსტაფა დალისტანლის არ ჰგავდა ოსამუ ვატანაბე. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის გამარჯვებული ქვემსუბუქ წონაში. სუსტი კუნთები არ ჰქონია. ვატანაბეს „ამწე“ უწოდეს და იგი სავსებით ამართლებდა ამ ფსევდონიმს. მთელი თავისი კარიერის მანძილზე მას არ შეხვედრია მოქიდავე, რომელიც არ აეწიოს ხალიჩიდან და არ დაეგდოს ბეჭებზე თუ არა, ხიდურზე მაინც.

თუმცა მე შეეცდი: ოსამუ ვატანაბე შეხვდა ერთ ასეთ მოქიდავეს. ეს იყო ვლადიმერ რუბაშვილი. მათი ორთაბრძოლა გაიმართა 1961 წელს საბჭოთა კავშირში იაპონიის ნაკრების ტურნეს დროს. ოსამუმ სულ იოლად მოუგო თავის საბჭოთა მეტოქეებს, წააგო მხოლოდ რუბაშვილთან.

საოცარია: ორი გამოჩენილი მოქიდავე, ორი ნამდვილი ოსტატი — ზარბეგ ბერიაშვილი და იური შახმურადოვი — ამ შერკინების შესახებ სულ სხვადასხვანაირად ყვებიან. რატომ? ისინი ხომ ორივენი მომსწრენი არიან, ორავეს ხომ კიდაობის შესანიშნავი მეხსიერება აქვს, სხვადასხვანაირად კი გვიამბობენ. მაშ რაშია საქმე? ალბათ, იმაში, რომ რუბაშვილის კიდაობამ ისინი შესძრა. აიძულა მასთან ერთად განეცადათ ყოველივე და არა გულგრილი მაყურებლები ყოფილიყვნენ. ისინიც გაიყვანა ხალიჩაზე, ისინიც „აქიდავა“ ვატანაბესთან.

ზარბეგ ბერიაშვილი: „ვატანაბე ტორტმანით დადიოდა. სამოც კილოგრამზე ცოტა მეტს იწონიდა, გეგონებოდათ კი საშუალო წონა აქვსო. ცირკის ძველი მოქიდავის ფოტოსურათი მინახავს — ხიდურზე მდგარს ფიცარნავი ადევს, რომელზეც ორკესტრანტები სხედან. ვატანაბე ამ მოქიდავეს ჰგავდა...“

ვალოდია კი გამხდარი და მალალი იყო. იაპონელს მაშინვე მაჯებში სწვდა და ინიციატივა არ მისცა. დიდი ძალ-ღონე დახარჯა ვატანაბემ, სანამ ხელებს გაითავისუფლებდა. ორჯერ სცადა იაპონელმა ფეხებში გასძვრომოდა. ის კი ამის საშუალებას არ აძლევდა.

ერთხელ ვატანაბე მაინც სწვდა ფეხში რუბაშვილს. ფეიქრობდით, რომ ასწვევდა ზევით. მაგრამ ვალოდამ ფეხი გაიქნია და მეტოქე მოიშორა. იაპონელი ოფლად გაიდვარა... ალბათ, მიხვდა, რომ რუბაშვილის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა... ეს შეხვედრა არასოდეს დამეიწყებდა!..“

ი უ რ ი შ ა ხ მ უ რ ა დ ო ვ ი: „ვატანაბეს მოკლე ფეხები ჰქონდა, მაგრამ ძალზე სწრაფად ამოძრავებდა. ღონე თითქოს სხეულში აღარ ეტეოდა და კანიდან ლამობდა გამოსვლას... რუბაშვილი არ ბორკავდა მოწინააღმდეგეს. ყველაფრის დაწყებას ანებებდა, მაგრამ ასწრებდა. ვალოდის ამართული დგომი ჰქონდა. იგი იაპონელსაც აიძულებდა წელში გამართულიყო, მას კი ასეთი ჭიდაობა არ შეეძლო, ვერ მანევრირებდა... რუბაშვილმა მოქანცა ვატანაბე... არა, ვალოდია მეტოქეს ფეხს არ უდებდა, მას შესანიშნავად შეეძლო, მაგრამ ამ ბრძოლაში ეს არ გაუკეთებია. შეხვედრა სამუდამოდ დამამახსოვრდა!.. მაშინ ტექნიკამ არა მარტო გაიმარჯვა ძალაზე, არამედ დაამდაბლა კიდევ იგი“.

აი კიდევ ერთი მოწმე. ესტონელი ავგუსტ ენგლასი ჩვენი ჭიდაობის ისტორიაში შეეიდა არა მარტო როგორც მსოფლიო ჩემპიონი და ქვემძიმე წონის მოკიდავე, რომლისაც მძიმეწონიანებს ეშინოდათ. არამედ როგორც სიტყვაძუნწი კაცი, რომელიც ემოციებს არასოდეს ამჟღავნებდა.

მხოლოდ ერთხელ უღალატა ენგლასმა საკუთარ თავს. ეს იყო მაშინ, როცა რუბაშვილმა მეტოქის ერთი და იგივე იერიშს სამი სხვადასხვა კონტრილეთით უპასუხა. ამის შემხედვარე ენგლასმა წამოიძახა: „აი, ეს არის მოკიდავე!“ მის გვერდით მჭდარი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ივანე ალიხანოვი შემდეგნაირად ხსნის ამ ემოციის მოზღვავებას:

„წვრთნის დროს მოკიდავეები მრავალ ხერხს მიმართავენ. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ საწვრთნელი ვარჯიშების დროს. სერიოზულ შეჯიბრებებზე ასეთი ფუფუნების ნებას საკუთარ თავს არ აძლევენ. აქ ატარებენ ავტომატისმამდე დამუშავებულ საუკეთესო ილეთებს. უმეტეს შემთხვევაში მეტოქის იერიშის წინააღმდეგ მიმართავენ დაცვას, გაცილებით იშვიათად ხმარობენ კონტრილეთს. მაგრამ, როგორც წესი, გარკვეული ილეთის წინააღმდეგ მუდამ ერთსა და იგივე კონტრილეთს ატარებენ. რუბაშვილმა კი ერთი და იგივე იერიში სამნაირი

კონტრილეთით მოიგერია! ბუნებრივია, ასეთი საოცარი ოსტატობის დანახვაზე თავი ვერ შეიკავა დინჯმა ენგლასმაუ კი“.

რუბაშვილი ქვეყნის ნაკრებში ხმაღამოღებულ მოჭირითესავით შეიჭრა. ამ კატეგორიის ძველმა მოჭიდავეებმა ანდრეი ბალაევმა, ნორიკე მუშელიანმა, გიორგი კირაკოსიანმა და სხვებმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, რომ რუბაშვილი დასახელებულ იქნა სსრ კავშირის ნაკრების პირველ ნომრად, 1960 წელს, რომის ოლიმპიური თამაშების წინ.

გასაოცარი იყო მისი არა მარტო ტექნიკა. არამედ ისიც, რომ ერთ-ნაოი ოსტატობით ფლობდა განუქვეით გდებას, კისრულს. იგი საშიში იყო ნებისმიერ სიტუაციაში, განსაკუთრებით ახლო კიდილში, — კიდაობის მანერაც განსხვავებული ჰქონდა. პირდაპირი, ამაყი, მე ვიტყოდო, გამომწვევი დგომი. სრულიად არ აშინებდა მეტოქეთა იერიშები. პირიქით, საიერიშოდ იწვევდა მათ, უყვარდა აგრესიული მოწინააღმდეგენი. ასეთებს უფრო სწრაფად უსწორდებოდა...

ვინ ასწავლა მას ასეთი კიდაობა?..

ეს მოვლენა დიდ სპორტში ბევრის მიერაა შემჩნეული. თუ კიდაობაზე ვილაპარაკებთ, შეიძლება თამამად ვამტყციოთ, რომ გამოჩენილი ათლეტების აღმზრდელები უმეტესად ის ადამიანები არიან, რომლებმაც თვითონ ვერ მიაღწიეს უმაღლეს მწვერვალებს და ვერ მოიკლეს სპორტული პატივმოყვარეობის უინი, თავიანთი სპორტული ცხოვრების გზაზე არ დაუხარჯავთ სულიერი ძალები, რომლებიც ასე საჭიროა დიდ საჭიდაო ხალიჩაზე. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ასეთ მოჭიდავეთა გულს ღრღნის განუხორციელებელი ოცნების ნალველი. და ესეც მძლავრი სტიმულია.

ასეთ მოჭიდავეებს, რომლებსაც საჩემპიონო მწვერვალებამდე ერთი ან ნახევარი ნაბიჯი დააკლდათ, საკუთარი „მეს“ გაგრძელება სურთ თავის მოწაფეებში და, საბედნიეროდ ხშირად ამას ასერხებენ კლდე. მათ უღიღესი გამოცდილება აქვთ. იმაზე გაცილებით მეტი, ვისთანაც წაუგიათ. დამარცხება აბრძენებს კაცს. გამარჯვება კი ხშირად აბრმავეებს. უფრო ნაკლებს ხედავ, ვიდრე ადრე ხედავდი. უცნაურია, მაგრამ ასეა.

ვლადიმერ რუბაშვილის მასწავლებელი იყო თავისუფალი კიდაობის გამოჩენილი ოსტატი ვასო ილურიძე. ბრძენმა, წინდახედულმა ტაქტიკოსმა იცოდა, როდის იყო საჭირო მთელი ძალით იერიშზე გადასვლა. ილურიძე იყო სსრ კავშირის პირველი (1945 წელი) ჩემპიონატის გამარჯვებული თავისუფალ კიდაობაში. მან ადვილად როდი მოიგო ოქროს მედალი. ფინალში გასულს უფრო მეტი საჭარიმო ქულა ჰქონდა, ვიდრე ლენინგრადელ ე. ტარასოვს. ილურიძე ჩემპიონ

ონი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა, თუ წმინდად გაიმარჯვებდა მეტოქეზე. ეს კი არავის სჯეროდა.

თვით ტარასოვს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ შეიძლებოდა წმინდად წაეგო. მან ხუთი მეტოქე დაამარცხა (მათგან ოთხი წმინდად). დარწმუნებული იყო, რომ თბილისელ მოჭიდავესაც სძლევდა... მეოთხე წუთზე ილურიძემ ლენინგრადელი ბეჭებით გააჯრა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

მაგრამ მეტი „ოქრო“ მას აღარ რგებია, ვირტუოზი კიეველი არამ იალტირიაინი ვასო ილურიძეს პირველ ადგილზე აღარ უშვებდა. ამ ორი ოსტატის მეტოქეობა ახალგაზრდა ათლეტებისათვის ნამდვილი აკადემია იყო. და, რა თქმა უნდა, სატურნირო მოჭიდავის მთელი საკუთარი გამოცდილება ილურიძემ გადასცა თავის ყველაზე ნიჭიერ მოწაფეს — ვლადიმერ რუბაშვილს.

გივი კარტოზია: „ვასო ჩემი ახლო მეგობარი იყო. იგი პირველი ჩასწვდა რუბაშვილის ნიჭს. ხშირად ლაპარაკობდა მასზე. ილურიძე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა ვალოდიას ბედისადმი. კარგად მახსოვს ერთხელ ვასომ თქვა: იგი ჩემზე მეტია, როგორ უნდა ვასწავლო?! მაშინ იყო რომ იგი შევახურე, ვუთხარი, რუბაშვილი პატარა ბიჭია, ილურიძე განთქმული მოჭიდავე და მწვერთელია-მეთქი. მან გამიღიმა. მხოლოდ ვასოს შეეძლო ასე გაღიმება — რითაც მაშინვე განმთავრალა და მიჰასუხა: ეჰ, გივი! კავალერისტი ხარ შენ; — მართლა რომ ასე მარტივად იყოს ყველაფერი, როგორც შენ ამბობ!.. რუბაშვილი პიროვნებაა და ძალზე რთული პიროვნება... ვასო ილურიძემ მთელი სული და გული ჩააქსოვა თავის მოწაფეში, ამიტომაც გამოვიდა იგი, რუბაშვილი, ასეთი მოჭიდავე...“

გივი დიდხანს ღუძღა. შემდეგ დასძინა — „მეტისმეტად ამაყი იყო ვალოდია, მძიმე ხასიათისა. თავის თავზე უფრო დიდი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე საჭირო იყო... ეს ძალიან უშლიდა ხელს“.

ძნელია ედავო ისეთ კაცს, როგორიც კარტოზიაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რუბაშვილის სიამაყე, ის მიუკარებლობა, რაზედაც ბევრი სხვაც მელაპარაკა, არა იმდენად ხასიათის თვისება იყო, რამდენადაც იმ გარემოებათა შედეგი, რომლებშიც იგი მოექცა.

სახელი მან ადრე მოიხვეჭა. ჩვენი ქვეყნის მოზრდილთა ნაკრებში იგი ცხრამეტი წლისა მოხვდა. სსრ კავშირისა და მსოფლიო ჩემპიონი 20 წლისა გახდა. ჯერ კიდევ გუშინ, იგი ისეთივე იყო, როგორც ბევრი მისი თანატოლი. და უცებ — ასეთი საოცარი ნახტომი. მისი ამხანაგები ჭაბუკთა ტურნირებისათვის ემზადებოდნენ, მას კი ახალგაზრდულ სტარტებზე ფიქრსაც უკრძალავდნენ. იგი უკვე მოზრდილი მოჭიდავე იყო. სულთერი წყობა კი ძველი დაოჩა, ჭაბუკური,

ამასთან, როგორც ემაწვილი, მეტად ზვიძნობიარე და მეტად თავმოყვარე.

სახელი საამო რამაა, მაგრამ ამავე დროს მძიმე ტვირთია. „ხედავ, აფრინდა ყვითელნისკარტა ბარტყი!“ ანდა: „როგორც აფრინდა, ისევე ჩამოვარდება“. თუ ამას ხმამაღლა არ ამბობდნენ, ყოველ შემთხვევაში, ბევრი ნამდვილად ასე ფიქრობდა. რუბაშვილს არ შეიძლებოდა ეს არ სცოდნოდა. და იგი ჩაიკეტა, განაპირდა. ამუწავდა დაცვითი რეაქცია. ბუნებრივი, კარგი სიამაყე კიდევ უფრო გამძაფრდა. იგი უკარება, პატივმოყვარე გახდა. გაშმაგებით ვარჯიშობდა. დარბაზიდან უკანასკნელი მიდიოდა, კრიტიკას ვერ ითმენდა. ხშირად უსაბაზოდაც ფეთქდებოდა.

მაგრამ ხომ არის ნაკლოვანებები, რომლებიც ზოგიერთ ვითომდა ღირსებასაც სჯობს. მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმერ რუბაშვილს არ გაუთამაშებია გულდია, ხუშარა კაცის როლი, რომელიც ყველაფერს ადვილად აღწევს და ამიტომ, ბუნებრივია, ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, და ყველასთან ძმაბიჭური დამოკიდებულება აქვს. არა, იგი იყო სუფთა, მკაცრი და პატიოსანი ემაწვილი. ამიტომაც ჩაიკეტა საკუთარ თავში.

ვთქვათ, გადიდგულდა კიდევ (ბევრს ემართება ამგვარი რამ, ოცი წლის ასაკში თუკი დიდ რამეს მიაღწევს). ვთქვათ, მოსწონდა „განმარტოებულ რაინდის“ რკინის ნილაბი, მაგრამ რაინდისა! და არა ვილაც ტაქიმასხარასი.

ორი ადამიანი უყურებს ერთსა და იგივეს და ხედავს სხვადასხვას. ერთი ბრძენი, მრავლისმნახველი ასე ამბობს: „რუბაშვილს გემოვნება აცდუნებდა. მას უყვარდა ყველაფერი ნათელი, სულ ფერად-ფერად პალსტუხებს იკეთებდა...“ გურამ სალარაძემ აი რა თქვა ამის თაობაზე:

„ვალოდია სისუფთავეზე იყო გაგიჟებული. მუდამ სუფთად გაპარსული. ფრჩხილებს შიგ ძირში იჭრიდა, თითქოს არც ეზრდებოდა. პეწიანად იცვამდა. ეს მისი სტილი იყო და არც არასოდეს ღალატობდა. მოჭიდავის ტრუსები ტანზე მუდამ კარგად ედგა. საჭიდაო ფეხსაცმელს მუდამ ბოლომდე იკრავდა; ზონრებს მალავდა, და საერთოდ თუ ფორმა კარგად არ ჰქონდა მორგებულო, ხალიჩას სათოფედ არ გაეკარებოდა! სისტემა ჰქონდა ასეთი...“

ხალიჩაზე კი ყოველგვარი სისტემა და ყოველგვარი პროგრამა იშლებოდა. თავიდან ბოლომდე იმპროვიზაცია! საჭიდაოდ ამაყად გადიოდა. ჩვენ თანატოლები ვიყავით, მაგრამ ყველაფერში ვბაძვდით, სიარულშიც კი... იგი ხომ ჩვენზე ადრე ავიდა მწვერვალზე...“

ძნელი სამეგობრო იყო. ცხოვრობდა პრინციპით: „ყველაფერი

ან არაფერი“. ერთხელ თეატრში წასვლამდე ჩამდენიმე დღით ადრე იყიდა კოსტიუმი. შერჩევაში ეხმარებოდა მეგობარი გოგონა. ვალო-
დია აღფრთოვანებული იყო შენაძენით. თეატრში კი ძველი კოსტი-
უმით მივიდა. გამოიჩვენა, რომ წინა დღეს ახალი კოსტიუმი მეგობრი-
სათვის ეჩუქებინა.

არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ მოხდენილი ქალი, დაღლილი, სევდი-
ანი თვალებით, ხმადაბლა და წყნარად ლაპარაკობს, თოკავს ემოცი-
ებს. არ ცდილობს მოსაუბრეზე შთაბეჭდილების მოხდენას.

ვალოდია რუბაშვილი და მე ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ერთ
მერხზე ვისხედით. ვმეგობრობდით. იგი ჩვენი კლასის ლიდერი იყო.
სიტყვაძუნწი ლიდერი. გადმოგვხედავდა, იტყოდა რამდენიმე ფრაზას
და ყოველგვარ დავას გადაწყვეტდა. მისი სიტყვა ყოველთვის კანონ-
ი იყო. ვალოდია არ იყო აბუნარი. ხომ იცით. ბავშვებშიც და მოზრ-
დილებშიც არიან ისეთი აქტიურები, რომლებიც ყველაფერში ეჩრე-
ბიან. ის კი საქმეში მხოლოდ მაშინ ერეოდა, როცა ჩაურევლობა
უკვე აღარ შეიძლებოდა. ფიციხი ხასიათი ჰქონდა, ყველაზე ძლიერი
იყო კლასში, მაგრამ მხოლოდ ერთხელ იჩხუბა... კლასში გვეყავდა
ერთი „ხუმარა“. სულ მუდამ ოინბასობდა და მასწავლებლებს ამწა-
რებდა. ერთხელ ჩვენთან პრაქტიკაზე მოვიდა უნივერსიტეტის სტუ-
დენტი. „ხუმარამ“ ქალიშვილი აატირა და კლასიდან გააქცია. კარ-
გად მახსოვს, როგორ უთხრა მაშინ ვალოდიამ დამნაშავეს: „წადი,
ბოდიში მოუხადე! თუ ჩვენ კლასზე უარი თქვა, შევ დღეს დაგაყე-
ნებ“. რამდენიმე ხნის შეძდეგ სკოლიდან გამოსულებმა დაეინახეთ.
ჩვენი „ხუმარა“ პირველკლასელ ბიჭუნებს აქეზებდა საჩხუბრად.
ბავშვებს არ უნდოდათ ჩხუბი. იგი კი მათ აიძულებდა. და ჩანდა,
რომ ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. ვალოდიამ რამდენიმე წუთის
უყურა ამ სურათს, მერე მითხრა: „წადი შინ!“ არ შეიძლებოდა არ
დაგეჭვრებინა მისთვის. მეორე დღეს ჩვენი „ხუმარა“ გაყვეთილებზე
ვასიებული ცხვირითა და ჩალურჯებული თვალით მოვიდა. მასწავ-
ლებლების კითხვაზე, რა დაგემართათ, მოკლედ პასუხობდა. ხულიგ-
ნებმა მცემესო...

ბევრი რამ არ დავიწყებიათ ადამიანებს. ჩემმა კოლეგამ ნოდარ
გუგუშვილმა მიაბზო: „ტალინში სსრ კავშირის ჩემპიონატზე რუბა-
შვილმა ერთ-ერთი ვეტერანი მაგრად დასცა ბეჭებზე. წაქცეული
ძლივს წამოდგა ხალიჩიდან. ვალოდია მოვიდა ჩემთან და მთხოვა
არაფერი დამეწერა ამ ორთაბრძოლის შესახებ. მას შერცხვა, რომ
ასე სასტიკად დაამარცხა თავისზე გაცილებით სუსტი მეტოქე. იტან-
ჯებოდა და ადგილს ვერ პოულობდა, მაგრამ დამარცხებულთან არ
მისულა: იცოდა, რომ თანაგრძნობითა და შებრალებით შეურაცხყოფ-
და-მას“.

ბევრი რამ ახსოვთ ადამიანებს. ახსოვთ რუბაშვილის ჭიდაობა რომის ოლიმპიადაზე. ახსოვთ. პირველ სამ შეხვედრაში მოცელილებით რომ დაყარა გამოცდილი ირანელი მოჭამედ კადემი, რეზინასავით მოქნილი შვეიცარიელი მაინჰარდი და შეუპოვარი ფინელი ერკი პენტტია. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მუსტაფა დალისტანლიმ ქულებით ძლივს მოუგო ფინელს, რუბაშვილმა კი პენტტია ბეჭებით გააყრა.

მაშინ ვალოდია ოცი წლის არც იყო. უყვარდა ჭიდაობა. იყო მისი რაინდი და არ შეეძლო ხალიჩაზე ამაყად არ ეგრძნო თავი. ჰოდა, როცა პაკისტანელმა ჩვეულებრივმა, საშუალო მოჭიდავემ მუჭამედ ახტარმა რუბაშვილის ჭიდაობის ღია მანერით ისარგებლა, ქულა მოუჯო და დაცვის ჯავშანი ჩაიცვა, ვალოდიას არ შეუცვლია თავისი მანერა — მიდიოდა პირდაპირ. მეტოქეს უხმობდა პატიოსანი ჭიდაობისაკენ. მას შეეძლო დასდევნებოდა ახტარს, ეთრია იგი ხალიჩაზე. პასიურობისათვის მოეხსნევიანებინა მეტოქე. ხომ შეეძლო? შეეძლო. მაგრამ ვერ უღალატა თავის ჩვევას, ვერც თავის მშვენიერ ჭიდაობას, ვერც თავი დაიმდაბლა — და წააგო.

შემდეგ ადვილად მოუგო ძლიერ იაპონელ ტამიჯი სატოს და შეხვედა გამოცდილ 27 წლის ბულგარელ სტანჩო კოლევს. ბულგარელი ახტარივით ჭიდაობდა, მაგრამ უფრო ჰკვიანურად და ენერგიულად, ჩავლებას გაურბოდა. რუბაშვილს კი არ სჩვეოდა გაემართა მოჩვენებითი აქტივობის სპექტაკლები. და კვლავ წააგო ერთი ქულა. ვლადიმერმა დააგროვა შვიდი საჯარიმო და ოლიმპიადის მესამე პრიზიორი გახდა. ჩვენი მწვრთნელები კმაყოფილნი იყვნენ ამ შედეგით.

ფინალში კი ერთმანეთს შეხედნენ დალისტანლი და კოლევი. ოლიმპიური ჩემპიონი თურქი გახდა. სამწუხაროდ, იგი რუბაშვილს არ შეხვედრია. მუსტაფა დალისტანლი არ დაიმდაბლებდა თავს პრიმიტიული დაცვით. იგი იერიშზე გადავიდოდა. იერიშს მიიტანდა რუბაშვილიც. რა მშვენიერი იქნებოდა ეს შეხვედრა, მაგრამ, ვაგლახ, რომ იგი არ შედგა.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 1961 წელს, რომელიც გაიმართა იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში, რუბაშვილი შეხვედა დალისტანლის თანამემამულეს იუნუს ფეხლევანს. მეხუთე წუთზე ვლადიმერ რუბაშვილმა წმინდად გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ბევრმა იაპონელმა უღვაშები რუბაშვილივით დაიყენა. ძალიან მოეწონათ მათ ეს შესანიშნავი ფალავანი. იაპონელებმა კარგად იციან ნამდვილი ოსტატობის ყადრი!

ვლადიმერ რუბაშვილის ყოველი გამოსვლა ხალიჩაზე დღესასწაული იყო ყველასათვის, ვისაც გაეგება ჭიდაობა და უყვარს იგი.

როგორც შევარდნის განაერდება ცაში. როგორც დელფინის გასრ-
ალება ოკეანის ტალღაში. როგორც მუსტანგის რბენა პრერიაში,
ასეთი იყო ვლადიმერ რუბაშვილის ჳადობა. ადამიანებს ახსოვთ ეს
და ისინიც დღემდე უმაღლიან მას იმ სიმამაცის გამო, რასაც იგი
იჩენდა საჭიდაო ხალიჩაზე. ადამიანებს ახსოვთ და ენანებათ, რომ
ასე ადრე ჩაესვენა მისი ნათელი ვარსკვლავი.

ჩემპიონის ხასიათი



გურამ სალარაძე

„მას არ უყვარდა მოსაწყენი, ძალის-
მიერი კიდაობა. მისი სტიქია იყო მო-
ულოდნელი იერიში, აფეთქება. ძლიერი
და ლამაზი მოკრძავე გახლდათ გურამ
სალარაძე“.

ელადიმერ ხინიავესკი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
მსოფლიო ჩემპიონი

ქ. კიევი

ერთ-ერთი მოკრძავეს ოჯახში სუფრას ვუსხედით. თამადა ბრძნულ
და საღალაობო სიტყვებს ამბობდა. სტუმრები ცდილობდნენ სუფრის
ხელმძღვანელის დონეზე ყოფილიყვნენ. შინაურულად და თავისუფ-
ლად ვგრძნობდით თავს.

თამადამ ამ ქვეყნიდან წასულ მოკრძავეთა შესანდობარი წარმოთ-
ქვა ყველანი ფესზე წამოდგნენ. სუფრაზე მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.
ყველასაგან მოულოდნელად გურამმა გიტარა აიღო და სიმღერა წა-
მოიწყო. უმრავლესობას არ ესმოდა სიმღერის სიტყვები. მაგრამ ეს
არ იყო მთავარი. მოლიდინე, ოდნავ ჩახლეჩილმა ხმამ სული აგვი-
ფორიაქა, გული შეგვიკეუმშა, სევდიანი ფიქრები აშალა. მომღერალს

სახე გაეცრიცა, თითქოს ვახტა კიდეც. ცისფერი თვალები ჩაუშქვდა, გაულურჯდა. თითები სიმბეზერ ნაღვლიან ქართულ სიმღერას აფლერებდნენ. იგი ყველასათვის გასაგები იყო.

მღეროდა მსოფლიო ჩემპიონი გურამ საღარაძე. და მე ვიფიქრე, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მომღერალიც კი ამ სიმღერას გურამზე უკეთესად ვერ შეასრულებდა-მეთქი იმ წუთებში.

ისიც გავიფიქრე, რომ ნაკლებად მცნობია საღარაძე. ბევრჯერ მინახავს იგი ხალიჩაზე, სშირადაც მისაუბრია, მაგრამ ის, რაც იმ წუთში შევნიშნე, სულ სხვა იყო. კარგი ხმისა და სმენის პატრონი რომ ბევრია ამქვეყნად, ეს არც გამკვირვებია, მაგრამ ისეთი გრძობა დამეფულა, თითქოს გურამი ეს-ეს არის გავიცანი. ეს რომ ვუთხარი, ოდნავ გაიღიმა და მიპასუხა:

— დიახ, ჩვენ ყველას შეგვეძლოს ერთმანეთი უკეთ გვეცნობოდა...

თამამად შემიძილა განვატხადო, რომ ზუსტად ვიცი, სსრ კავშირის სამგზის და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური „ვერცხლის“ მფლობელი გურამ საღარაძე როდის გახდა მოქიდავე. მხედველობაში მაქვს არა ის, რომ იგი მოქიდავეთა ოჯახიდანაა — მამამისი რევაზ საღარაძე ცნობილი იყო როგორც კარგი ოსტატი, რომ მამის ძმა — იორამი ჩვენი ქვეყნის ნაკრებში შედიოდა. ასეთი ნათესაობა, რა თქმა უნდა, გურამს თავის სპორტულ არჩევანში დაეხმარა, მაგრამ იგი მოქიდავე მაშინ არ გამსდარა.

წვრთნის მესამე და მეოთხე თვეს კაბუჯთა შეჯიბრებაში მონაწილეობის დროს გურამი ძალზე ლამაზად ეჭიდავებოდა თავისზე ბევრად გამოცდილ მეტოქეს.

იგი აკეთებდა იმას, რაც მწვრთნელმა ასწავლა, და აკეთებდა ელვანტურად, შთაგონებით, თითქოს უყვირდა კიდეც, მეტოქეც რატომ ასე არ კიდაობსო. ამ მეტოქემ კი გურამი მთლიანად დატორა, მაგრამ ტექნიკურად კი არა, არამედ ისე, როგორც დათვმა მონადირე, მოიგლო ქვეშ და ბეჭებზე გადააწვინა. საღარაძე სირცხვილით იწვოდა, მზად იყო მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო.

მასთან მივიდა მწვრთნელი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, შალვა ნოზაძე და უთხრა: „შენ კარგად იჭიდავე, გურამი ნუ განიცდი... ჩვენ კიდეც მოვუგებთ ასეთ დათვებს, ნუ განიცდი, შვილო!..“ გურამი გაოცებული იყო. იგი ყველაფერს ელოდა, მაგრამ იმას კი არა, რომ ეს თავშეკავებული, უფრო მკაცრი, ვიდრე გულჩვილი ადამიანი, ასეთ სიტყვებს ეტყოდა. გურამმა შეხედა ბატონ შალვას და მის თვალებში ცრემლი დაინახა. მწვრთნელი მის პირველ დამარცხებას მასზე უფრო მეტად განიცდიდა. აი სწორედ იმ წუთებში გახდა გურამ საღარაძე მოქიდავე.

ვერ ვიტყვით, რომ საღარაძეს ჰქონდა ყველაფერი, რაც კარგ

მოქიდავეს სჭირდება. ბუნებრივი ამტანობა არ გააჩნდა, უფრო მეტად: შექნილიც არ ჰყოფნიდა. „არ ვიცი, რით აიხსნება ეს, მაგრამ როცა ვცდილობდი გამეგრებლებინა კროსების დისტანცია, როცა ვაჭარბებდი სანვრძლივ სპარინგებს რამდენიმე მოქიდავესთან, სწორედ მაშინ მაკლდებოდა ძალ-ღონე. აღარ მქონდა აფეთქებანი, მოქრებოდა წვრთნის სურვილი... საჭირო იყო ამის დაძლევა, მაგრამ, ეტყობა, შეუპოვრობა მაკლდა“.

მაგრამ მას კარბად ჰქონდა სხვა რამ — კარგი მუსიკოსივით დახვეწილი ზომიერების გონობა, შეექლო ორთაბრძოლის ტემპის მართვა. იცოდა, სად გაეღიერებინა იგი, სად შეემციროებინა ან სულ დაემუხრუჭებინა. როცა გრძნობდა, რომ მეტოქე მასზე ამტანი იყო, საღარაძე პირველ წუთებში მაქსიმალურად აძლიერებდა ტემპს, აიძულებდა მოწინააღმდეგეს შემდგარიყო და ზუსტი კონტრამოქმედებით უკარგავდა რწმენას. მორიგი „კონტრილეთის“ შემდეგ დაბნეული მეტოქე ჩერდებოდა, ამასობაში საღარაძე სულს ითქვამდა და, როგორც თვითონ ამბობს, „აზრებს იკრებდა“.

ყოველთვის ახერხებდა ამას? საქწუხაროდ, არა, მსოფლიო ჩემპიონატზე 1967 წელს ნიუ-დელიში მან წააგო ფრანგ დანიელ რობენთან. მოპირისპირეს იმდენი გამძლეობა აღმოაჩინდა, რომ ვურამმა ვერა და ვერ მოახერხა მისი მოქცევა თავის „სამართავ“ სქემაში.

რობენს თავისებური ადგილი ეკავა მოქიდავეთა სამყაროში. თუ იმას ვიტყვით, რომ იგი სუსტი პირველთანრიგოსნის ტექნიკას ფლობდა — ეს დაჯინება არ იქნება, ასევე არც ის იქნება გაზვიადება, თუ ვიტყვით, რომ ამ ფრანგს მსოფლიო კლასის საში ქვესაშუალო წონის მოქიდავის გამძლეობა ჰქონდაო.

რობენს ბედმა გაუღიმა, რომ იგი ფრანგი იყო. ჩვენს ქვეყანაში ასეთ ათლეტს იმდენხანს არ დაელოდებოდნენ, ვიდრე მას ნამდვილი მოქიდავის კბილები ამოუეიდოდა. სსრ კავშირის პირველ ნაკრებში ადგილისათვის ხშირად პრეტენზიას აცხადებს ერთი წონის თანაბარი ძალის რამდენიმე მოქიდავე. ჩვენი სპორტსმენი სულ ბევრი ორჯერ თუ გამოვიდა წარუმატებლად საერთაშორისო ხალიჩაზე. აღარც წამოაყენებენ მის კანდიდატურას. სხვებს მოსინჯავენ. მივირს დავასახელო თუნდაც ერთი საბჭოთა სპორტსმენი, რომელსაც, ეთქვათ, ორ ჩემპიონატზე ათეულის მეორე ნახევარში დაეკავებინოს ადგილი და მომდევნო ჩემპიონატში მისი კანდიდატურა კვლავ წამოეყენებინოთ. ასეთები, მგონი, ჩვენს ქვეყანაში არ არიან.

რობენი კი ხუთჯერ (I) — ოთხს მსოფლიო ჩემპიონატსა და ერთ ევროპის ჩემპიონატზე — ამაოდ ცდილობდა საპატიო კვარცხლბეკზე ასვლას. წარუმატებლად მოსინჯა ძალები კლასიკურ ქიდაობაშიც, მაგრამ მაინც გამოჰყავდათ მორიგ ტურნირში. გამოჰყავდათ იმიტომ,

რომ საფრანგეთს არ ჰყავდა უფრო ძლიერი ქვესაშუალო წონის მოქიდავე. დამრიგებელთა მხარდაჭერას რობენი მთლიანად ანახლავდა იმით, რომ ვარჯიშობდა უფრო მეტს, ვიდრე საფრანგეთის ნაკრების ყველა დანარჩენი მოქიდავე ერთად. ვინ იფიქრებდა, რომ ექსტრაკლასის მოქიდავე ჰაღარაძე, რომელსაც უფრო მეტი ტექნიკა და ტაქტიკური ოსტატობა ჰქონდა, ვიდრე ორ რობენს, მასთან წააგებდა? მაგრამ წააგო. რობენმა ანჯღრია გურამი, უზომოდ მოღალა „დისტანციასზე“ ჰიდაობით. ასეთი ენერგიული მოქმედებით განცვიფრებული საღარაძე შეჩერდა. მას დაემართა ის, რაც ემართებოდა ბევრ მის მეტოქეს. რობენმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ამით და ქულებით დაწინაურდა. ამ „პერპეტუუმ მობილეს“ დაწვევა გურამმა ვედარ შეძლო. რობენის არაჩვეულებრივმა ამტანობამ ამ შემთხვევაში საღარაძის ნიჭსა და ოსტატობას გადააჭარბა.

მე შემთხვევით როდი გიაბრეთ ამ ნამდვილად პრიმიტიული შეხვედრის შესახებ. შალვა ნოზაძეს, ალბათ, არც დაამახსოვრებოდა ეს ჰიდაობა, საღარაძეს რომ გაემარჯვა კიდეც. აქ დასამახსოვრებელი მართლაც არაფერი იყო. ხოლო როცა გურამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ნამდვილი ოსტატები, რომლებსაც დამამცირებლად მიაჩნდათ საჭიდაო ხალიჩაზე რბენა, საღარაძე იმარჯვებდა.

თითქმის ყველა დიდი სპორტსმენის ცხოვრებაში არის, ასე ვთქვათ, ბედის ფაქტორი, როცა ყველაფერი გამოგდის, როცა უძლეველს ამარცხებ, როცა გული მღერის გამარჯვების სიმღერას და ეს ყველას ესმის. გურამ საღარაძესთან აგებდა მსოფლიოს ბევრი წამყვანი მოქიდავე. მაგრამ მისი საუკეთესო შეხვედრა. მისი სოლო პარტია, ეს იმამ ალი ჰაბიბისთან შერკინება იყო.

ამ ირანელთან საბჭოთა მოქიდავეებს მეტად რთული ურთიერთობა ჰქონდათ. სწორედ ჰაბიბიმ წაართვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ვახტანგ ბალავაძეს. მოგვიანებით ირანელმა სხვებიც დაამარცხა — სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონები ალიმბეკ ბესტაევი, მიხეილ ბეკმურზოვი და გარსევან ნებიერიძე. ძალისმიერი, მოუღლელი, ფიზიკურად ძალზე ძლიერი ჰაბიბი შესანიშნავად ფლობდა ფეხებში შევარდინს ტექნიკას. შეეძლო დაენთო თავბრუდამხვევი გდებების ფოიერვერკი.

თეირანში არის დიდი სახლი, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი უჩვეულო მრგვალი ფორმით. ეს „ზურ-ხანეა“ — ძალ-ღონის სასახლე. იგი სპეციალურად მოუწყვიათ მოქიდავეებისა და შტანგისტებისათვის. აქ არის უჩვეულო გიარებისა და ჰანტელების დიდი კომპლექტი, აგრეთვე ძველებური ირანული სავარჯიშო იარაღი, საჭიმი ჯაჭვი. იგი თავს ზემოთ უჭირავთ და ისე შლიან. ამ ვარჯიშით მხარბეკს იჭითარებენ. ვარჯიში სრულდება წრიულ მანევრზე, განუწყვე-

ტელი დოლის ბრავუნში. ქვესაშუალო წონის იმამ ალი ჰაბიბი „ზურხანეს“ სიამაყე იყო. ჯაჭვებს იგი ყველასე ღონიერ მძიმეწონიან მოქიდავეებზე უფრო სწრაფად და დიდხანს ატრიალებდა.

1962 წელს თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ირანის ნაკრების შემადგენლობაში ჰაბიბიც იყო. მოსკოვის მატჩში მან დაამარცხა ვარსევან ნებეირაძე. ვინ უნდა გამოეყვანათ ირანელის წინააღმდეგ ჩვენთან? აი რა პრობლემა იდგა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელთა წინაშე...

თბილისელები სამართლიანი და პატრიოტი მაყურებლები არიან. ისინი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სამგზის მსოფლიო ჩემპიონს, მეღბურნის XVI ოლიმპიადის გამარჯვებულ ჰაბიბის და მოემზადნენ აგრეთვე მისი მეტოქის — საბჭოთა მოქიდავის შესაგებებლად. მაგრამ ვინ იყო იგი? ვინ გამოჰყავდათ ჩვენ მწვრთნელებს ირანელის წინააღმდეგ? გურამ სალარაძე? დიას, იგი ნიჭიერი ყმაწვილია. მაგრამ განა ეს კმარა? ის ხომ ჯერ ერთსელაყ არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. რას ვაუწყლავდება დიდ ჰაბიბს? ხომ არ შეცდნენ ჩვენი მწვრთნელები? ვულშემატიყვართა ექვი ტაშითაც გამოიხატა — ისინი მაინცდამაინც დიდი ოვაციით არ შეხვედრიან სალარაძეს.

იციით: ამით მაყურებლები უნებურად დაესმარნენ გურამს. ფრთხილი, წინდასჯელი ჰაბიბი, რომელიც სრულიად არ იცნობდა სალარაძეს. დამშვიდდა, რაკი მგზნებარე თბილისელები ასე პესამისტურად შეხვდნენ თავიანთ ფალავანს, იგი ნამდვილად დიდი არაფერი ყოფილარ.

პირველივე წუთზე ჰაბიბის მოხედა ზალბი სალარაძის „ზარბაზნიდან“. იერიში ელვისებური, სწრაფი და ცეცხლოვანი იყო. 2:0 — ანგარიშში სალარაძე დაწინაურდა. თბილისის ციხკმა, რომელიც ასე ცივად შეხვდა სალარაძეს, ახლა აღტაცებით იქუხა. ტრიბუნებმა ყიფინა დასცეს.

ჰაბიბიმ ჩაატარა ელვისებური იერიშების სერია, რომლებსაც ბრწყინვალე გამარჯვებები მოუტანია მისთვის მსოფლიოს უდიდეს ასპარეზობებზე. მაგრამ ამჟერად ეს იერიშები აღარ გამოუდიოდა. მეტოქე უფრო ძლიერი და შეუპოვარი გამოდგა, ვიდრე 22 წლის მოქიდავისაგან ელოდებოდა, გურამი უჩვეულო სიზუსტით მოქმედებდა. ფიზიკურადაც არაფრით ჩამოუვარდებოდად ჰაბიბის. ირანელის ცდებმა ძალისმიერი იერიშებით შეეცვალა შეხვედრის მსვლელობა, ვერაფერი სარგებლობა მოუტანა მას.

სალარაძე უფრო სწრაფად რეაგირებდა, ვიდრე მისი მეტოქე. ჰაბიბის იერიშები დასაწყისშივე იფუშებოდა. ასალვაზრდა ქართველი არ იხვედა სახელმძღვანელო მოწინააღმდეგის წინაშე. არც მისტიკური საშინელებანი ღრღნიდნენ მას. მის მიერ მოგებულ სამივე

მსოფლიო ჩემპიონატში პაბიბის აწონვის ოქმებში მეთე ხაზი ეკავა. დამთხვევააო, იტყვიო. ალბათ ასეა. მაგრამ მაინც... რომ აღარ დაეუბრუნდეთ ასეთ მისტიკას. დაძვენთ, რომ თბილისის ტურნირზე პაბიბი წილისყრაშიც მეთე ხაზზე მოხვდა...

ორთაბრძოლის მეორე ნახევარში საღარაძემ კიდეც სამჯერ გადაიყვანა ირანელი ჩოქბეჭენში და ანგარიში თავის სასარგებლოდ 6:2-მდე გაზარდა. მაყურებლის ალტაცებამ ლამის ჰერი ახადა თბილისის ცირკს...

— შემდეგ მოვიქანცე, — იხსენებს საღარაძე, — ისე მოვიქანცე. რომ პაბიბის სახესაც ვეღარ ვარჩევდი... ეტყობა, დასაწყისში მთლად ამოვიწურე, იძულებული გაეხდი თავდაცაზე გადავსულიყავი, უკან დამეხია. პაბიბი თანდათან წამომეწია... 3:6, 4:6, 5:6. გონგის ხმა არ გამოვიდა... ვიგრძენი, რომ შეხვედრა დამთავრდა. დარბაზის რეაქციოდან ჩანდა, რომ გავიმარჯვე... მე ვტორტმანებდი, პაბიბი კი კლდესავით იღგა. მასში ჭერ კიდეც ძალიან დიდი ენერჯია იყო...

გურამმა სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო. წიგნის მოყვარული, კარგი მთხრობელი. მაგრამ როცა ეთხოვედი დაეხასიათებინა რომელიმე მეტოქე. საღარაძე მუდამ ერთნაირად იწყებდა: „კარგი ბიჭია, პატიოსანი“ და შემდეგ კი ხსნიდა, რას ნიშნავდა „კარგი ბიჭი“.

რატომ ხმარობდა იგი მხოლოდ ამ სიტყვას? სიტყვები ხომ უამრავია? რატომ იყენებდა მხოლოდ მათ? იმიტომ, რომ გურამ საღარაძისათვის მთავარი იყო პატიოსნება. „მძულს მატყუარები!.. ასეთ ადამიანებს ვერ ვეგუებ. პატიოსანი მეტერი მირჩევნია უპატიოსნო მეგობარს“. სპორტული ცხოვრება რთულია. ბევრი ადამიანი დარწმუნებულია, რომ გამარჯვების მისაღწევად უსინდისოდ მოქცევა დიდი ცოდვა არ არის, რომ გვამახსოვრდება გამარჯვებანი, ხოლო დანარჩენი ყველაფერი დავიწყებთ ეძლევა. მე არ მჭერა, რომ ეს ასეა. ეს არც საღარაძეს სჭერა. მან გვიამბო, რომ პირველად 1964 წელს მოიპოვა სსრ კავშირის პირველობაზე ოქროს მედალი. მან ბევრბით გააკრა გარსევან ნებიერიძე. გურამმა დასძინა: იგი უკვე ფინიშზე იყო გასული, როცა მე ვწინაურდებოდიო...

ხომ შეეძლო ეს არ ეთქვა, მაგრამ თქვა. ასევე თქვა ფრანგობებზე: „იგი ძალიან დიდხანს ოცნებობდა ოქროს მედალზე!.. მას უფრო სურდა ჩემპიონობა, ვიდრე მე. იმიტომ მისი გამარჯვება სამართლიანია!..“ იგივე გაიმეორა ბულგარელ დერმენჯიევიზე: „პეტკო არაფრით არ ჩამოგვივარდებოდა არც მე, არც ოგანს, უბრალოდ ბედი არ უღიმოდა...“ ვლადიმერ რუბაშვილზე კი ასე გვითხრა: „მისი ნიჭი ათ საღარაძესთანას გასწვდებოდა“.

მხოლოდ ერთ მეტოქეზე დასცდა გურამს ასეთი რაპი: „ეშმაკია“.

თქვა თურქ ისმაილ ოგანზე. პირველად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 1963 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე სოფიაში. იმ დროისათვის ოგანი რომის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი და მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი იყო.

სალარაძემ მაშინვე აშკარა, პატიოსანი ქილაობა დაიწყო. ორ-მხრივ ჩაქიდებას ცდილობდა, მაგრამ ხელს ვერ ავლებდა მოწინა-აღმდეგეს. უსხლტებოდა. ოგანს ტანზე ზეთის თხელი ფენა ჰქონდა წასმული. ეს სუნით შეიგრძნო იტალიელმა მსაჯმა და გაზეთილ მოქიდავეს რამდენჯერმე მიუთითა პირსახოცით გაეწმინდა ტანი, მაგრამ გაფრთხილება კი ერთხელაც არ მიუცია. ამას გარდა ოგანი თუნდაც იმიტომ უნდა გაეფრთხილებინა, რომ საერთოდ არ ქილაობდა. თურქი გრძნობდა მეტოქის აშკარა უპირატესობას და „კონტაქტებზე“ კატეგორიულად უარს ამბობდა, სალარაძე განუწყვეტლივ დასდევდა მას ხალიჩაზე. განა ეს საკმარისი არ იყო მსაჯისათვის, რომ თუნდაც ერთი გაფრთხილება მიეცა ოგანისათვის. იტალიელის აზრით. სამკარისი არ იყო. შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

— ვიცოდი, რისი იმედიც ჰქონდა ოგანს, — სალარაძემ ჩაიციინა. — იგი ფიქრობდა, რომ ერთხელ მაინც წავიბოროძიკებდი, წავაგებდი, თვითონ კი ყველას მოუგებდა და ჩემპიონი გახდებოდა. იგი ძალიან ძლიერი მოქიდავე იყო. ტემპიანი. ფეხებს ოსტატურად უტევდა, ჩოქბჯენში კი, თუ ბარძაყზე ჩაავლებდა ხელს მეტოქეს, უეპველად გადააბრუნებდა ზურგზე. ვფიქრობდი, ოგანი იჭიდავებს-მეთქი. მას კი სხვა გეგმები ჰქონდა. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მხოლოდ პეტრო დერმენჯიევს მოუღებ ქულებით, დანარჩენებს — წმინდად. სხვათა შორის, დერმენჯიევმა გაითვალისწინა ჩემი სავალალო გამოცდილება. ოგანს საშუალება არ მისცა გაოფლიანებულიყო (ყანში ჩაზელილი ცხიმი ხომ ოფლთან ერთად გამოდის ზედაპირზე). მან პირველ წუთზე რამდენიმე ქულა მოუგო და გაიმარჯვა. ოგანი მესამე ადგილზე დარჩა.

მაგრამ ისმაილ ოგანმა მაინც მოატყუა გურამ სალარაძე. ეს მოხდა ტოკიოს ოლიმპიადაზე. ამ ორი მოქიდავის გარდა ოქროს მედალზე ქვესაშუალო წონაში პრეტენზიას აცხადებდა კიდევ ერთი შესანიშნავი ოსტატი — 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონი ირანელი მოკამედ ალი სანატკარანი. მეხუთე წრეში სალარაძე შეხვდა ოგანს. ნამდვილი ქილაობა ისევ არ გამართულა. გამოცდილმა, ამტანმა და საუცხოოდ მომზადებულმა თურქმა ყველაფერი იღონა მიზნის მისაღწევად — ფრესათვის.

სალარაძესთან შეხვედრამდე იგი გურამზე გაცილებით ყურადღებით გაეცნო სატურნირო ოქმს და ნახა, რომ მათ სრულიად ერთნაირი შედეგები ჰქონდათ: თანაბარი რაოდენობის შეხვედრები და გამარჯ-

ვებანი—როგორც წმინდა. ისე ქულებით, ჯარიმებიც თანაბარი—ორ-ორი. რომ არ ყოფილიყო მესამე ფინალისტი — სანატკარანი, საღარაძე და ოვანი შეიძლებოდა სასწოროზე შეეყენებინათ და ვინც უფრო მსუბუქი იქნებოდა, ჩემპიონიც ის გახდებოდა. მაგრამ სასწოროს მაინც შეეძლო ეთქვა თავისი გადამწყვეტი სიტყვა. საღარაძე—სანატკარანის შეხვედრის ყველაზე სავარაუდო შედეგი ხომ ფრე იყო. ირანელიც თავს არიღებდა ნამდვილ ჭიდაობას, მან კარგად იცოდა, რომ საღარაძე უფრო ძლიერი იყო, მაშასადამე, ეცდებოდა არ გაემწვავებინა ორთაბრძოლა და მიზნისთვის მიედწია. თუ უქანასკნელ შეხვედრაში ოვანი ირანელს დაამარცხებდა, მაშინ საკითხავი აღარაფერი იქნებოდა: ოვანი ჩემპიონი გახდებოდა. ხოლო თუ ვერ გაიმარჯვებდა, თუ შეხვედრა ფრედ დამთავრდებოდა? მაშინ სასწორო გადაწყვეტდა, ვის უნდა რგებოდა „ოქრო“ და ვის...

დილით რომ აიწონენ, ოვანი საღარაძეზე 400 გრამით მსუბუქი იყო. მაგრამ გარისკვა არ შეიძლებოდა. ეს ქართველი მას განუწყვეტლივ დასდევდა, დაედევნებოდა სანატკარანსაც და წონაში ბევრს დაიკლებდა. ამიტომ თურქს თავი უნდა დაეზღვია, ყველაფერი გაეთვალისწინებინა... გურამი გავიდა ირანელთან საჭიდაოდ, თურქი კი უკვე ოცი წუთი იჭდა ორთქლის აბანოში. გავიდა ათი წუთი. შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ოვანი გამოჩნდა დარბაზში და ემზადებოდა სანატკარანთან შესახვედრად. ისევ ფრე. აწონეს. თურქი 700 გრამით მსუბუქი იყო საბჭოთა მოჭიდავეზე. ოვანი ჩემპიონი გახდა. საღარაძეს მეორე ადგილი ერგო. სანატკარანს — მესამე. დიახ, საღარაძე მართალია: ისმიალ ოვანი მართლაც რომ ჭკვიანი იყო.

საღარაძეს უსაყვედურეს, რატომ ვერ მიხვედი ფინალამდე საჭარიმოების უფრო ნაკლები რაოდენობითო. ლაპარაკობდნენ და წერდნენ, რომ გურამ საღარაძისთანა ოსტატს ბეჭებზე უნდა გაეწვინა ინდოელი მათხო სინგხი.

ვინ იყო ეს ინდოელი, ორი ოლიმპიური ტურნირის მონაწილე, რომელმაც ორივე ტურნირი ერთნაირი შედეგებით დაამთავრა — ორი გამარჯვება და ორი დამარცხება. ვისთან წააგო სინგხმა? რომში გიორგი სხირტლაძესა (მეორე ადგილი) და ჰანს ანტონსონთან (მესამე ადგილი. ორივესთან ქულებით. ტოკიოში კი ისმიალ ოვანთან (ჩემპიონი) და გურამ საღარაძესთან (მეორე ადგილი). ორივესთან ქულებით. ინდოელმა გურამთან 20 ქულაზე მეტი წააგო, მაგრამ ბეჭებზე არ დაწვა.

გ. სხირტლაძე: „მახსოვს ეს ყმაწვილი. იგი თითქოს უძელოა, სახსრები ისე იღუნებოდა, და ყოველგვარ ჩაქიდებას თავს აღწევდა. თოკით არ შემოიკრავს, სხვა კი ყველაფერი ვიღონე. მაგრამ ვერ წააქატიე...“ ვერ წააქატიე საღარაძემაც... მორეულ ინდოელზე ცხდ-

რობს შევეკრემანი მათსო სინგეი. რომელიც ბეჭებზე ვერ დააწვინეს ისეთმა გოლიათებმა, როვოოც იყვნენ: სხირტლაძე და სალარაძე, თურქი ოგანი და შვედი ანტონსონი. იქნებ თვით ეს ინდოელი იყო გოლიათი?..

გურამი დიდხანს ღუმს. ნაჯვლიანად იღიმება და მკლავებს შლის:

— ბევრი რამ გაეუშვი ხელიდან!.. ახლა რაღას დავიბრუნებ. მართალი უთქვამთ. ურემი რომ გადაბრუნდება. გზა მაშინ გამოჩნდება. მე ბევრს ვფიქრობდი კიდაობაზე. მაგრამ ძალიან იშვიათად შედეგზე. ეს. ალბათ. არ არის სწორი. ალბათ. ოქროს შუაგული უნდა მეძებნა.

დიდინის ღემილის შემდეგ იფეთქა:

— მაინც გეტყვი: საძაგელი წესები იყო. არ სჯიდნენ მათ, ვინც არ კიდაობდა!.. ალბათ. მეც უნდა მოვეხსენი ხალიჩიდან ჰაბიბისთან შეხვედრის დროს. ვავეუბოლი ბოლოს... თუმცა ოთხი ქულით ვუგებდი. დავიღალე. სიქა გამძვრა!.. ჩემმა შემდეგმა მეტოქეებმა კი არ იცოდნენ. როგორ მოეხმარებინათ თავიანთი ძალ-ღონე. და მაინც ვერაფერს აკეთებდნენ. პირველივე წუთებიდან გაუბრუნდნენ კიდაობას! ოგანს არაადამიანური გამძლეობა ჰქონდა. ისე სუნთქავდა, რომ სამქედლოში ცოცხალ საბერველად გამოდგებოდა! და მაინც გარბოდა... ახლა ორ წუთში შეიძლება სამი გაფრთხილება მისცე, მაშინ კი ზოგჯერ ათ წუთში ერთსაც კი არ აძლევდნენ... ექ, ახლა რომ ვკიდაობდე, კარგი იქნებოდა. მაგრამ უკვე საჭიდაო ასაკს ბევრად გადავცილდი!

და გურამ სალარაძემ ისევ სევდიანად გაიღიმა, ეს ნამდვილი სევდა იყო. ამის შემხედვარეს გული შეეკუმშებოდა კაცს...

— 1965 წელს ოგანი უკვე აღარ გამოდიოდა და მანჩესტერში მსოფლიო ჩემპიონატზე არ ჩამოსულა.. იქ ქონი აღარავის წაუსვამს. აღარც დაედევნებივარ ვინმეს, მოსაწყენი იყო, — იცინის სალარაძე. — „ოქრო“ შედარებით იოლად მოვიგე... შემდეგ გამოჩნდა ოგანის თანამემამულე ძლიერი ყმაწვილი მაჰმუდ ათალაი. იგი ქონს არ ისვამდა. ოსტატობით იმარჯვებდა. ჩვენი ანგარიში იყო 1:1. შემდეგ კი გულანაბადი ავიკრიფე. მორჩა და გათავდა...

თბილისის ფიზკულტურის კიდაობის კათედრის გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გურამ რატიშვილი ამბობს:

— სალარაძისათვის კიდაობა ლამაზი დღესასწაული იყო. გურამი არა მარტო ძლიერად, — ლამაზადაც კიდაობდა. გაიხსენეთ მისი ფიგურა — აპოლონი გეგონებოდათ! გდებებიც ლამაზი იცოდა. თუ ლამაზად ვერ ჩაატარებდა, საერთოდ არაფერი გამოუდიოდა. ასეთი ბუნებისაა.


ტოლედოში მსოფლიო ჩემპიონატის დროს მან ქართული სიმღე-

რა — „სულიკო“ ასწავლა ცამეტი წლის ამერიკელ ბიჭებს ღუგლასსა და ფერნანს. ორივეს ძალიან მოსწონდა „ძია გურამი“. ისინი მოთმინებით ელოდებოდნენ ჩვენს გუნდს სასტუმროსთან. სიხარულით ცას ეწეოდნენ ხოლმე, როცა მოქიდავეები სპორტული ჩანთების ტარებას ანდობდნენ.

— ერთხელ, გამოედივართ სასტუმროდან. ღუგლასი და ფერნანი მშობლებთან ერთად დგანან. ერთერთის მამამ ამოიღო ქალაღი და წაიკითხა ინგლისურად დაწერილი სიტყვები: „ჩვენმა შვილებმა გეთხოვეს გამოვსატოთ ჩვენი თქვენდამი პატივისცემა. თქვენ კარგი ადამიანები ხართ. მოდი ვიმეგობროთ“. — გურამი იღიმება. — ისინი შეჯიბრებაზე მივიწვიეთ. სუვენირები ვაჩუქეთ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ორი პატარა მეგობარი, ალბათ, ასლა უკვე კარგი ადამიანები დადგნენ.

გურამ საღარაძე იცინის. მას კეთილი და ოღნავ სევდიანი ღიმილი აქვს. ამაში ჩანს გურამის ხასიათი.

გამარჯვებული წავიდა



შოთა ლომიძე

„მსოლდ ერთხელ ვიგრძენი მეტოქის აშკარა ფიზიკური უპირატესობა — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადანე 1971 წელს; ეს მეტოქე იყო შოთა ლომიძე. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მან მოიგო, მან ჩემი ძალა გააქარწყლა... მაშინ ხომ იგი უკვე 26 წლისა იყო!..“

ივანე იარიგინი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი

ქ. კრასნოიარსკი

შოთა ლომიძე თითქმის 50 წლისაა. განიერი მხარბეჭი აქვს. დაღლილი თვალები, ყრუ ხმა. როცა ვკითხე, როგორი ბავშვობა გქონდა-მეთქი, მეგონა, კიდაობაზე მოკყვებოდა ლაპარაკს. მაგრამ შოთამ ჩაიციხა და სულ სხვაგვარად დაიწყო. დაიწყო იმით, იმერეთის ერთ-ერთ სოფელ საყულიაში ბიჭები როგორ დააქენებდნენ ცხენებს. იცი, რა ცხენი მყავდა? თვითონ გავზარდე. მხოლოდ მე მემორჩილებოდა, ნიშა იყო. ღამე თითქოს ანათებდა.

„საიდან იწყება სამშობლო?“ სამშობლო იწყება ბავშვობიდან. ბიჭების ჯგროდან, თეთრშუბლა კვიციდან... და ის მუდამ ჩვენთან არის. მაშინაც კი, როცა ბედი სამშობლოდან ცხრა მთას იქით გადაგისვრის.

— შოთა, რომელი შეხვედრა იყო ყველაზე მძიმე მოქიდავე ლომიდის ბიოგრაფიაში?

— ევროპის ჩემპიონატის ფინალა. კარლსრუეში. 1966 წელს. —

ეროვნანს გაჩუმიდა და შემდეგ დასძინა: — რომ წამეგო, არ ვიცი, რა დამეპართებოდა... წაგება არ შეიძლებოდა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვკვიდობდით.

უმწერთნელებოდ კიდაობდნენ. ბევრს არ ლაპარაკობდნენ. უსიტყვოდაც ყველაფერი ნათელი იყო. ჩემპიონატი 8 მაისს მთავრდებოდა. ისინი იმყოფებოდნენ იმ მიწა-წყალზე, საიდანაც დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომი, ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეორე დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღე თენდებოდა. და აი, სსრ კავშირის მოქიდაუების ნაქრებმა გადაწყვიტა ეს თარიღი ევროპის ჩემპიონატზე გუნდური გამარჯვებით აღენიშნა.

ძნელი იყო. თურქეთის რვავე მოქიდავემ გუნდს ჩათვალა მისცა. ჩვენი რ. სამედოვი (უმჩატესი წონა) მხოლოდ მეშვიდე აღმოჩნდა. როგორ უნდა გაგვესწრო თურქებისათვის? საერთოდ შეიძლებოდა კი გასწრება? შეიძლებოდა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ჩვენი ექვსი მოქიდავე ჩემპიონი გამხდარიყო. რვიდან ექვსი. წარმოვიდგენიათ?

აიღინ იბრაჰიმოვი, ელკან თედევი, იური შახმუტაძოვი და ალექსანდრე მედვედი ჩემპიონები გახდნენ. ისე მოხდა, რომ ხალიჩაზე ბოლოს ორი ქართველი გამოვიდა — ხარბეგ ბერიაშვილი და შოთა ლომიძე. ორი თურქი მოქიდავის — ახმედ ავრალისა და აქმედ აიკის წინააღმდეგ: ბერიაშვილმა დაამარცხა მეტოქე. ახლა ყველაფერი შოთა ლომიძეზე იყო დამოკიდებული... ახმედ აიკს თურქეთში ვარსკვლავს უწოდებდნენ, რომელიც მზიან დღესაც არ ქრებოდა. ასეთ ჰიპერბოლას თავისი საფუძველი გააჩნდა. აიკი იყო ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული. ერთადერთი უცხოელი მოქიდავე, რომელმაც დაამარცხა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე მედვედი: მსოფლიო სარბიულზე ახმედ აიკმა ერთადერთი შეხვედრა წააგო. ეს მოხდა დასავლეთ გერმანიის ქალაქ კარლსრუეში. ვფიქრობ, რომ სწორედ ახლა დადგა დრო სიტყვა მივცეთ გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს შოთა ლომიძეს: „თურქული სტილია იერიში დისტანციიდან. მე მას წავართვი დისტანცია. მაშინვე შევედი კონტაქტში და მკლავში ჩავავლე ხელი. აიკი შეტად ჯიუტი იყო. ქულას თუ მოივებდა, აღარავის მისცემდა. 1965 წელს მანჩესტერში მედვედმა მას ქულაც ვერ მოუგო, აიკი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ახმედი არ ელოდა, რომ ასეთ იერიშს მიეიტანდი, ეგონა მეშინოდა მისი და ფეხების დაცვის დროს წინ წაეიხრებოდი, აიკის წინ ყველა იხრებოდა. ჯიუტრ შეეუტეე. მან უკან დაიხია. ბევრჯერ დაიხია უკან. ვინაიდან ფრე ხელს აძლევდა. შემდეგ ალბათ სინდისმა შეაწყუბა და ნამდვილი კიდაობა დაიწყო. პატივს

ვცემ მას. ნამდვილი სპორტსმენია. ხელები ჩემზე სუსტი ჰქონდა. საერთოდ ფეხებით კარგად უტევედა, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა ხელები შეგუბორკე? აიკმა ჩაელები ჩაშლა სცადა და სულ აბლოს მოვიდა. მეც სწორედ ეს მინდოდა. წელში შევუვარდი და ადვილად გადავზნიქე. იგი ბეჭებზე დაეცა. ერთ წაშს „ტუშე“ იყო, მაგრამ მსაჯებმა „ვერ შეამჩნიეს“. აიკს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. იგი ხიდურზეა. მე კი მიჭირავს. ვგრძნობ, რომ გადაწევა დამიწყო და გავუშვი. 3 ქულა ავიღე.

როცა დგომში დაგვაყენეს, აიკი უკვე აღარ იყო ის აიკი. უბრალოდ ჩემ წინ კარგი თურქი მოჭიდავე იდგა, თავისთავში ღარწმუნებული, ჭკვიანი და საშიში.

პირველ პერიოდში ანგარიში 3:0 იყო. შესვენების შემდეგ ახმედი არ შეცვლილა. ეს კია, როცა მახტებოდა, თვალებს აღარ ხუჭავდა. ასეთი იერიშები არ არის საშიში. იერიში უნდა მომზადდეს. ის კი ხტოდა.

... მე „პეტრეს ცირკში“ ვვარჯიშობდი. ერთ ქვაბში ვიხარშებოდი კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავენი. ერთმანეთს ვასწავლიდით, სერიოზულად ვასწავლიდით. გივი კარტოზიამ ერთხელ. მხოლოდ ერთხელ მაჩვენა „ბრა-რულე“, მაგრამ ისე მაჩვენა, რომ სიცოცხლის მანძილზე დამამახსოვრდა. დიდი ხნის შემდეგ ამ ფანდის წყალობით სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი გავხდი. მოგვერდებს არასოდეს მიემართავდი. ეგონათ, არ ვიცოდი. მაგრამ ბევრჯერ მენახა, თუ როგორ აკეთებდა ამას როსტომ აბაშიძე. ეტყობა, დანახვაც ერთგვარი სკოლაა: აიკი ზურგზე მოვიგდე. იგი ხიდურზე დადგა და მაშინვე პირალმა გადმოტრიალდა. კიდევ ორი ქულა მოვიპოვე. 5:0. მესამე პერიოდში თურქი სულ იერიშზე იყო. მე კი ვიგერიებდი. ახმედს ერთხელაც არ უცდია დარტყმა, ეშმაკობა. მიტევედა, როგორც შეეძლო. ნამდვილი მოჭიდავე იყო. დიდ პატივს ვცემ მას!..

ლომიძისა და აიკის შეხვედრის შესახებ ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ივანიცი წერდა: „ეს ორთაბრძოლა დიდხანს ემასსოვრებათ, და თგი უნებურად შევა კიდაობის ისტორიის ანალებში“.

შოთა ლომიძე ვეროპის ჩემპიონი გახდა სსრ კავშირის ნაჯრებმა 40 ქულა მოაგროვა და გუნდური პირველობა მოიგო. თურქეთის გუნდს 39 ქულა ჰქონდა, ბულგარელებს — 25. ეს იყო ნამდვილი კიდაობა!

სხვადასხვანაირად იწყება ჩემპიონობის გზები. რა თქმა უნდა, არ ღირს ისე დაწყება, როგორც შოთა ლომიძემ დაიწყო, მაგრამ ამბის თნრობად კი ღირს.

სკოლაში შესვენების დროს მეტუთეკლასელებმა წაიჭიდავეს. შოთა ლომიძეს იდაყვი გადაუტყდა. თვენახევარი „ბრილიანტის ხელით“ დადიოდა. სწორედ ამ შემთხვევამ გადააწყვეტინა მას სოფელში ყველაზე ძლიერი ყოფილიყო და მისთვის აღარავის არაფერი მოეტეხა. სახლის ეზოში ჩაარქო ლერძი, მოზიდა მძიმე ლოდები, საიდანაც მოიტანა ვაგონეტის თვლები ლერძიანად. — „ლონეს გიჟივით ვიმუშავებდი, მამა მეუბნებოდა, ძრავის მაგივრად ტრაქტორში უნდა ჩავდინო... რამდენიმე წელიწადს ვვარჯიშობდი ასე. შემდეგ გადაწყვიტე თავი გამომეცადა. სკოლაში ყველაზე ლონიერს დავეჭიდე. ვაჯობე... მას რაიონის ჩემპიონის ტიტულიც ჰქონდა ბადროსა და ყუმბარის ტყორცნაში. აგრეთვე ბირთვის კვრაში. ას მეტრს გარბოდა 11,6 წამში, თანაც ნუ დაგავიწყდებათ. რომ 90 კილოგრამს იწონიდა. იგი უარს მხოლოდ ჭიდაობაზე ამბობდა. არ მოსწონდა სპორტის ეს სახეობა. სარბიელზე ძალითაც ვერ გაიყვანდი.

არც კრივი ეპრიანებოდა. ბიძაშვილმა ფარნაოზ ლომიძემ ვერა და ვერ ჩააბა კრივის სექციასში. შოთას ვერ გაეგო. როგორ შეიძლება ვინმეს უმიზეზოდ ურტყა სახეში. ჩხუბში სხვა საქმეა... აქ ბრაზი, ბოლმა გამოძრავებს. მაგრამ ვისაც არ გაუჭავრებინარ, იმას როგორ უნდა სცემო? გამარჯვებისათვის? რას გვარგებს ეს გამარჯვება, რაში გპირდება?

ერთი სიტყვით. ჭიდაობის ჭინკა არ აწვალვდა შოთა ლომიძეს. იგი ჭან-ლონით საესე, საღსალამათი იყო და მეტი რა უნდოდა! სკოლა დაამთავრა. საბუთები თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში შეიტანა. არ მიიღეს. მხარბეჭიან ჭაბუკში ვერავეთარი ნიჭი და უნარი ვერ შენიშნეს. სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე. ვერც უკრაინელმა მწვრთნელებმა დაინახეს თავის დროზე ვერაფერი განსაკუთრებული გამხდარ და მალალ ბელაიაეკოველ მეორეთანრიგოსან ალექსანდრე მედვედში. იგი წავიდა მინსკში და ორი წლის შემდეგ აჩვენა ყველას, ვინც იყო მედვედი, მაგრამ უკვე არა უკრაინელი, არამედ ბელორუსი. თითქმის ასეთივე ბედი ხვდა შოთა ლომიძესაც. იგი ნამდვილ სამხედრო სამსახურს მეტალურგთა ქალაქ ზაპოროჟიეში გადიოდა. სწორედ აქ, უკრაინის მიწა-წყალზე, გახდა მოჭიდავე. უცებ არა, მაგრამ მაინც გახდა.

— შტანგაში პირველთანრიგოსანი სპორტსმენი ვიყავი და ძალისნობის დარბაზისაკენ გავეშურე. გარეთ ოც გრადუსამდე ყინვაა. ჩექმები მიჭერს. ვიწრო შინელი მაცვია და ჩემთვის ვფიქრობ, მთელ ამ რკინეულობას გადავზიდავ, ოლოდ სამწყობრო მომზადებიდან გამათავისუფლონ-მეთქი. რამდენიმე საათს გავდიოდი წერტანს. დილით კუნთები ისე მქონდა დაჭიმული, რომ ვეღარ ავდექი. ვწევარ და ვფიქრობ: კედლები შენ, შოთა ლომიძე, სულ ახალგაზრდა კედლები.

რატომ ჩაეწერე შტანგაზე. სამწყობრო მომზადება არ გერჩინა? იქ ყველაფერი კარგად იყო, არაფერი გტკიოდა დილაობით.

ძლივს ავითორე წელი. მოქიდავეთა დარბაზში მივედი. ბიჭებმა მასაჟი გამოკეთეს. მოვსულიერდი. მძიმე წონის კარპოვსაც კი დავექიდე. ეს დაინახა ჩვენი ნაწილის ფიზიკური მომზადების უფროსმა, მაიორმა პლიასოვსკიხმა და ქიდაობაზე დამტოვა. აი ამით დაიწყო ყველაფერი:

საოცარი დამთხვევაა: ნარკვევს შოთა ლომიძეზე ზაპოროჟიეში ვწერ. ჟურნალისტის ბედმა მივლინებით იქ ჩამიყვანა. თავისუფალი დღე გამომერია და ქართველ ჩემპიონზე მის სპორტულ სამშობლოში — უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეში ვწერ.

— მწვრთნიდა ნიკოლოზ საფოშინი — კლასიკურ ქიდაობაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონის სერგეი რიბალკოს მასწავლებელი. მეც „კლასიკოსი“ გავხდი. დაუუმეგობრდი ედუარდ კლიახინს. საინტერესო მოქიდავე იყო. გამოსვლა დაიწყო ქვემსუბუქ წონაში (62 კილოგრამი) და დაამთავრა მძიმე წონაში (123 კილოგრამი). ყველა მძიმეწონიანს შიშს ჰგვირდა. როცა კლიახინი მეტოქეებს ორივე ხელს ჩაავლებდა, ისინი მაშინვე მუხლებზე ეცემოდნენ.

ჩვენი მწვრთნელი საფოშინი ყველას კაზაკს გვიწოდებდა. „უმჩატესი“ რიბალკო პატარა კაზაკი იყო. „მძიმე“ კლიახინი — სქელი კაზაკი, მე კი, ალბათ იმიტომ, რომ ქართველი ვარ — მოჭირითე კაზახს მიწოდებდა: ასე მეუბნებოდა ხოლმე: „მოჭირითე კაზაკო ლომიძე, შენში ერთი ვაგონი ღონეა, ტექნიკა კი — რა მოგახსენო. მაგრამ არა უშავს. ვიმუშაოთ და ტექნიკასაც შევიძინეთ...“

იცი, ქიდაობა ნამდვილად როდის ვირწმუნე? როცა ოლქის ჩემპიონი გავხდი და შინ წასასვლელად 10-დღიანი შვებულება მომცეს... ვიფიქრე, ეს კარგი საქმეა, ყოველთვე რაღაც უნდა მოვიგო, რომ შინ ჩავიდე-მეთქი. მთამიტი ვიყავი.

ასეთი იყო შოთა ლომიძის სპორტული სიტაბუქე. იგი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც როცა მოქიდავე შეიარაღებული ძალების პირველობათა პრიზიორი ხდებდა, — ეს უკვე მოწიფულობაა. საქართველოში კი მას თითქმის არც იცნობდნენ. ბევრი ქართველი ჯაბუკი იგებს შეჯიბრებებს იმ რესპუბლიკებში, სადაც მსახურობს. ყველას თვალყურს ვერ ადევნებ.

მაგრამ ლომიძე არ შემოიფარგლა უკრაინითა და მოლდავეთით (აქ იგი ჩემპიონი იყო კლასიკურ, თავისუფალ ქიდაობასა და სამბოში). 1959 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაშიც გამოიჩინა თავი — მესამე ადგილი დაიკავა, ჩამორჩა მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონებს ბორის კულაევს და ბორის გურევიჩს. ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი ქუთაისელი გურამ გობეჯიშვილი კი მხოლოდ

მეექვსე ადგილზე გავიდა. დაეთანხმებო, ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა: ქართველი საქართველოდან მეექვსეა, ხოლო მოლდაველი ქართველი მესამე. ლოგიკური კითხვა დაიბადა: რატომ არის ლომიძე მოლდაველი ქართველი?

— როცა ვკვიდობდით. — ისწენებს შოთა, — ჩემთან მოდიოდნენ უცნობი ქართველი მწვრთნელები და მიჩვენებდნენ: გახსოვდეს, ოღეს-მე საქართველოში დაბრუნდები, ვიჯობს მავანთან და მავანთან წავაგო, მავანთან და მავანთან მოიჯო. დაინახა ეს კარტოზიამ და შავი დღე დააყარა ჩემ ვაი-მრჩევლებს. მე კი მითხრა: „იქიდავე და ყველა წააქციე! ყური არ უგდო. არ დაუჭერო ამ ვაჭრუქანებს, ჭიდაობა ბაზარი როდია!“ გვივი ვერ იტანდა უპატიოსნობას. მაშინ შემეიყვარდა იგი. ჩვენ ვმეგობრობთ და ვიმეგობრებთ, ვიდრე ვიცოცხლებთ.

მოსკოვში კიდევ ერთი კაცი გავიცანი, რომელიც მამასავით მიყვარს. — საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე ირაკლი სარაჯიშვილი. მან უბრალოდ მითხრა: „სამსახურს რომ მოათავებ, სახლში წამოდი. შენისთანა ქვემბიმე წონის მოჭიდავე არა გვყავს. საქართველოს ძალიან სჭირდება“. კი არ ჩამაცვიდა, სხვათაშორის, უბრალოდ მითხრა: მე კი ჭერ ვეჭვობდი, კიშინიოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლას ვაპირებდი...

აღრე წავიდა ამ ქვეყნიდან ჩემი მწვრთნელი ვასო ილურიძე. დიდი, სუფთა გული ჰქონდა ამ კაცს... თბილისში ჩემი დაბრუნებიდან მალე საქართველოში გაიმართა მატჩი უნგრელ მოჭიდავეებთან. „დინამოს“ მწვრთნელმა კოსტიუმი მომცა, „სპარტაკისამ“ კი მოჭიდავის ფეხსაცმელი. ბევრი მწვრთნელი ტრიალებდა ჩემ გარშემო. ილურიძე კი — არა. უყურებდა ამ „კარუსელს“ კეთილი, ნაღვლიანი თვალებით და ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა. ძალიან თავმდაბალი იყო.

იცი, ცხოვრებაში ასეც ხდება ხოლმე: ერთხელ ნახავ ადამიანს და სამუდამოდ ჩაგივარდება გულში. მეც ასე დამემართა. მატჩის წინ მწვრთნელ-ინფორმატორმა მკითხა, ვინ არის თქვენი მწვრთნელი. ილურიძე-მეთქი. როცა ჩემი შეხვედრა დამთავრდა (ფრე ძლიერ უნგრელ გეორგ გურიჩთან), ილურიძის გვარი დაასახელეს. ჩვენ ცირკის შენობაში ვკვიდობდით და მწვრთნელებმაც „ცირკი“ გამართეს. დინამოელმა მწვრთნელმა, რომელმაც ხალიჩაზე გამოყვანა, პრესახოცი დაავლო და წავიდა. სპარტაკელმა. არ დამიჭერებ და, საჭიდაო ფეხსაცმელის დაბრუნებამც კი მომთხოვია... — ლომიძემ ჭრუტაღ დახარა თავი — დაწერე ეს. ადამიანებმა თავმოყვარეობა არ უნდა დაკარგონ. დაწერე, გეთაყვა. ეს სიმართლეა!

ილურიძეს ჰქონდა რაღაც, რასაც ლომიძე ზღუბრბლს უწოდებს. იგი თავის მოწაფეებს არაფერს უკრძალავდა, არ უწევდა მეურვე-

ობას, როგორც იტყვიან, საბაბითა და უსაბაბოდ. ამ „ზღურბლს“ კი ირასოდეს გადადიოდნენ. შრომობდნენ ქანცის გაწყვეტამდე და დიდი მოჭიდავეები დგებოდნენ,—ისეთები, როგორებიც რუბაშვილი, ლომიძე, გვიმრაძე. დავლიანიძე და სხვებია.

ლომიძეს „სკოლა“ არ ჰქონია. ჰქონდა ღონე, ამტანობა, მეგრძოლი სული, „სკოლა“ კი — არა. უამისოდ ისეთ მოჭიდავეებს, როგორიც იყვნენ ბორის გურგეიჩი, ბორის კულაევი და ანატოლი ალბულო, ვერ მოუგებდა. ილურიძემ მისცა შოთას ეს „სკოლა“, ასწავლა ჩოქბაქენში ჭიდაობა, რწმენა ჩაუნერგა. ისინი დიდხანს, თითქმის 4 წელიწადს, მუშაობდნენ. 1964 წელს ლომიძემ ქულებით მოუგო ალბულს, თავისთვის სასარგებლო ფრეს დასჯერდა გურგეიჩთან და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა საშუალო წონაში.

ვასო ილურიძის ხელმძღვანელობით შექმნილი სიმტკიცის, გამძლეობის მარაგმა თავი იჩინა მაშინაც. როცა შოთა ქვემძიმეწონიანებში გადავიდა. მომდევნო წელს მან წმინდა გამარჯვება მოიპოვა ამ წონითი კატეგორიის ყველა ლიდერზე და მეორედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

— ოლიმპიურ ნაკრებში შემოიყვანეს, გამოვიდოდი ტოკიოში. პირველ შეხვედრაში ფრედ დავამთავრე ბულგარელ პროდან გარჯევთან. ქულა მოუფეგე, ბოლოს კი იმანაც ამართვა. შემდეგ ვილაც დავამარცხე ქულებით, მერე კი თურქ ჰასან გუნგორს შევხვდი. ის მთლად გაზეთილი იყო. რამდენჯერმე გაწმინდეს, მაგრამ ერთხელაც არ მიუციათ გაფრთხილება. მთელი შეხვედრა ვდიე. ბოლოს წავიფორხილე, მუხლზე დავეცი, მას ქულა მისცეს და გონგმაც დაჰკრა... შეჭიბრებას გამოვეთქმე...

ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა გარჯევი, რომელსაც ერთი დამარცხება და ორი ფრე ჰქონდა. მეორე ადგილზე გავიდა გუნგორი, — ერთი გამარჯვება და ერთი ფრე. ირანელმა მანსურ მეხტიზადემ კი, რომელმაც ორივე პრიზიორი. დაამარცხა და არავისთან არ წააგო, მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. ირანელი ლომიძესთან მოვიდა და უთხრა: „აქ ყველაზე ძლიერები მე და შენა ვართ, ჩვენი მედლები სხვებს ერგოთ“.

საკავშირო ხალიჩაზე ლომიძეს ბადალი არ ჰყავდა. იერიშზე გადასულ შოთას ვერავინ აჩერებდა. მას „ტანკი“, „ტარანი“, „კატაპულტა“ შეარქვეს. ისეთი ნაღმები, რომლებიც ამ „მექანიზმებს“ ააფეთქებდა, ჯერ არ გამოეგონათ.

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ლომიძე ფინალში შეხვდა აიკს. თურქს ფრეც ხელს აძლევდა. მას კარგად ახსოვდა კარლსრუეში ევროპის ჩემპიონატზე მიღებული გაკვეთილი. აიკი გამწვავებაზე არ მიდიოდა, უფრო ზუსტად, თავს არიდებდა. ხალიჩის კიდესთან ლომი-

ქემ ერთხელ მაინც გადაიყვანა ჩოქბჯენში, მაგრამ მსაჯებმა ქელა არ ჩაუთვალეს. თქვეს, არ იყო ფიქსაციაო. ფრე. აიცი ჩემპიონი გახდა, ლომიძეს „ვერცხლი“ არგუნეს.

— მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი, ბოლოს, 1969 წელს მოვიპოვე არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში. ფინალში უნდა შევხვედროდი ამერიკელ ლარი კრისტოფს, ყოფილ მსიმე წონის მოჭიდავეს. ფრე მას პირველ ადგილს აძლევდა, მე კი მხოლოდ გამარჯვება მჭირდებოდა...

ვზოვარ ზარბეგ ბერიაშვილთან. ხალიჩაზე გამოძახებას ევლი. მოვიდა ამერიკელი მწვრთნელი და ფული შემომთავაზა, რომ კრისტოფთან ფრეს დავთანხმებოდი. ზარბეგს ვეუბნები: უყურე ერთი, ჩემი მოსყიდვა უნდა, მაგას ვუჩვენებ ბიზნესს.

რამდენს მომცემთ-მეთქი, ვეკითხები. „სამი ათას დოლარს“, ვიცოტავე. „ხუთი ათასი!“ არა! ათი ათასი! მოვითათბირებთო“. კმაყოფილი მოვიდა: „თანახმა ვართ!“ ეხედავ: კრისტოფიც გამხიარულდა, მეგობრებთან სოთხიებეს. ხალიჩაზე გასვლამდე კი წუთებიც დარჩენილი. ვიფიქრე, ასლა კი დროა-მეთქი. ამერიკელ მწვრთნელს ვეუბნები: „გადავიფიქრე, რაში მჭირდება თქვენი ფული. მე ქართველი მილიონერი ვარ. მთელი საბჭოთა მეურნეობა მაქვს. ხუთი მილიონი ღირს. მოვეუბნებ თქვენს ლარს. ფრეს იმედი ნუ ექნება!“

ამერიკელმა ხელები თავში იტაცა და გაიქცა. კრისტოფი ხალიჩაზე მიღვესთილი გამოვიდა. აშკარა უპირატესობით მოგუგე და ჩემპიონი გავხდი. ამის შეიდეგ არც ერთი ქართველისათვის ფული აღარ შეუძლევიათ. ალბათ, ყველანი მილიონერები ვგონივართ...

ღიას, იცინ ლომიძემ ხუმრობა. ზარბეგ ბერიაშვილს დღემდე ვერ უპატიებია შოთასთვის, რამ პირველი ადვილი წაართვა... ყვინთვაშა. ბერიაშვილმა ჩაყვინთულმა ვაცურა მთელი აუზი — 50 მეტრი. ლომიძის შედეგი 25 მეტრი იყო, გურამ საღარაძისა კი 24,5 მეტრი. ვინ გაიმარჯვა — ბერიაშვილმა? სრულიადაც არა! როგორც უფროსმა, შედეგები შოთამ შეაჯამა:

— მე პირველ ადგილზე ვარ, გურამი — მეორეზე, შენ, ზარბეგ, წყალქვეშ თვალები გეხილა, ამიტომ მესამე ადგილზე ხარ...

როგორც ყველა დიდ სპორტსმენს, შოთა ლომიძესაც პატარა სისუსტეები ჰქონდა: მადიანი ჭამა უყვარდა და წონაში დაკლებას ვერ იტანდა. თითქოს არავითარი სირთულე არ უნდა იყოს 104 კილოგრამიანისათვის 4 კილოგრამის დაკარგვა, მაგრამ შოთას მთელი თვის მანძილზე გუნებას უფუჭებდა ეს პროცედურა. როცა მძიმე წონაში გამოსვლის შესაძლებლობა ეძლეოდა, ლომიძე სიხარულით ცას ეწეოდა ხოლმე.

1969 წელს ევროპის ჩემპიონატზე შოთამ შეცვალა შეუძლოდ

მყოფი მედელი და „მძივებში“ გამოვიდა. ამის თაობაზე გაზეთ „ლელოში“ მახვილვონიერულად დასათურებული ანგარიში გამოქვეყნდა — „ლომმა დათვი შეცვალა“. ღირსეულად კი შეცვალა! ოლიმპიური ჩემპიონი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ვილფრიდ ღიტრიხი (118 კგ), 130-კილოგრამიანი ბულგარელი ოსმან დურალიევი, რომელსაც „დათვის აჩრდალს“ ეძახდნენ, და ყველა დანარჩენი „გეგანტი“ უკან მოიტოვა ლომიძემ. საუბრისხმოა, რომ დურალიევს შოთამ შვიდი ქელა მშრალად მოუგო..

კოტხაზე, ვინ არის მისი კერპი, შოთას დიღხანს არ უპასუხია, შემდეგ მძიმედ ამოიხორა და თქვა:

— ბაბუაჩემი — მოსე ლომიძე... 1970 წლის 30 დეკემბერს გარდამეცვალა მამა. ფეხზე გადაიტანა გრიპი. ფილტვების ანთება დაემართა. ორ კვირაში სიცხით დარწვა. 56 წლისა იყო. ბაბუას ეს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა — გიორგი. როცა მას ასაფლავებდნენ, 85 წლის ბაბუა არ ტიროდა. მეორე დღეს კი სთქვა, მამა შვილის სიკვდილს არ უნდა მოესწროსო, და თავისი ოთახში ჩაიკეტა.

37 დღე ლეჟმა არ ჩაუღვია პირში. როგორ არ ვეცადეთ, რომ მდგომარეობიდან გამოვეყვანა, მაგრამ არაფერი გამოვევიფიდა. პასუხი ერთი იყო: „ვერ ვაძლავ უიმისოდ, არ მინდა სიცოცხლე“. საჭმელს არ მიჰკარებია, დარდს გადაჰყვა. ასეთი კაცი სხვა არ მინახავს...

შოთამ მოყვა ეს ამბავი, მადვა ფანჯარასთან და დიღხანს გაპყურებდა მწუხრის ნისლით შებურულ ლურჯ მთებს. ვღუშდი მეც. ვღუშდი და ვფქობდრი, რომ შოთა ლომიძე თავის ბაბუის ღირსეული შვილიშვილია. მან იცის თანაგრძობა, იცის სხვისი უბედურების, სხვისი გულისტკივილის გაზიარება. ერთგული და სანდო აღამიანია. საკმაოდ სანგრძლივი შუალედის შემდეგ იგი კვლავ გამოვიდა დიდ ხალიჩაზე და ეს გამოსვლა ტრიუმფული, ბრწყინვალე იყო...

ერთხელ ამ სტრაციონების ავტორმა ყური მოჰკრა ასეთ ფრაზას: „ლომიძე ეშმაკია, ვიღრე მისი მთავარი მეტოქეები ურთიერთდამოკიდებულებას არკვევდნენ. იგი გაძვრა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა“. უგუნური, არაოპიექტური აღამიანის, არმყოფენე კაცის რომვაა ეს. არა, ეშმაკობით როდი გახდა ლომიძე საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი 1971 წელს! ხასიათის სხვა თვისებამ აქცია იგი ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს უძლიერეს მოქიდავედ. ამ თვისებას საერთო არაფერი აქვს ეშმაკობასთან. ეშმაკობას სუსტი მიმართავს, შოთა ლომიძე კეთილშობილი ვაჟაკია, სპორტის რაინდი. სწორედ ამიტომ მიადწია ისეთ შედეგებს, რომლებმაც გააოცა სპორტის ბეერი მცოდნე.

1970 წელს ლომიძემ წააგო სსრ კავშირის ჩემპიონატზე კიეველ მოქიდავესთან და გადაწყვიტა წასულიყო დიდი სპორტიდან, შოთა

უველოდ ვარჯიშობდა. როგორც ამბობენ, „*კანძრთელობისათვის*“, მისი მწვრთნელი იღუპოდა კი თითქოს ვერც ამჩნევდა ამას. საჭიროდ არ მიაჩნდა შეეფუძვნებინა გამოცდილი სპორტსმენი და მოწოდებული კაცი. შოთა ლომიძე უკვე ოცდამეექვსეტიწევში იყო გადამღვარი. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე. იღურებდნენ შეზღუდული შეიკრა, დემდა.

1971 წლის გაზაფხულზე ჩემ ავარაჯზე მეგობრები შევეკრიბეთ. სპორტი მიდიოდა ჩემი ცხოვრებიდან, რეჟიმიც მიდიოდა. მოვეხსარი სტუმრობას, მასპინძლობაც ხშირად მიწევდა. წონა მომემატა — 118 კილოგრამამდე ავიდა. — ცოტა ხნის შემდეგ ლომიძემ განაგრძო: — მაშინ ავარაჯზე ყველა თავ-თავის საქმით იყო გაართული. მე წინაშე ვმუშაობდი. ჭიშკარს მანქანა მიადგა, იღურებდა გადმოვიდა. ჩემს მეგობრებს გამოელაპარაკა. მათ არ იცოდნენ, რომ საუბარო მესმოდა. მეგობრები ეუბნებოდნენ. მისი წვრთნა ზედმეტია, უკვე არასპორტულ ასაკშია, ჭილღობიც საეჭარისი აქვს და დროა სპორტი დატოვოსო.

— არ შეიძლება კაცმა დიდი სპორტი დაშარტებულმა დატოვოს. გამარჯვებული უნდა წავიდეს. შოთამ შარშან ხომ წაავო.

ჩემი მეგობრები მას არ დაეთანხმნენ, მე კი ერთთავად სულ ბატონ ვასოზე ვფიქრობდი, ვიცოდი, რომ იგი მძიმე ავადმყოფი იყო და ეს თვითონაც იცოდა. მაგრამ მაინც მიაღწია ჩემამდე და მთხოვა, სპორტს დაეზრუნებოდა. ჩემ წინ მძიმე ავადმყოფი იდგა და ხმადბლა მეუბნებოდა. სპორტიდან არ შეიძლება დამარცხებული წახვიდეო. ისინი კი ეუბნებოდნენ: „ბატონო ვასო, ეყოფა შოთას ჭიდაობა! ცხოვრება უნდა! მსიარულება“. იღურებდა სევდიანად უღიმოდა მათ და თავს უქნევდა.

ბოლოს ყველანი სუფრასთან მოვიბატოვე. სასმისები შევაგვით და პირველი სადღეგრძელოც ითქვა. ჯერ სასმისისათვის ხელიც არ მქონდა ნახლები, რომ ჩემ საპატიო სტუმარს მივმართე: „ბატონო ვასო, საღამოს მოვალ წვრთნაზე. გამოვალ სპარტაკიადაზე“. სიცოცხლის ბოლომდე არ დაშავიწყდება მის თვალებში ჩამდგარი სიხარული.

არა, შოთა ლომიძე არ გასძრომია ძირითად მეტოქეებს — გამარჯვება ვაძრომას როდი ნიშნავს. პირველი ფინალური ბრძოლა მოიგო ანგარიშით 2:1, ჩაატარა კარტოზიას ნასწავლი „ბრა-რულე“, ახალგაზრდა იარიგინი კი ღონით დაჯაბნა (5:0) და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. შემდეგ მეორედაც მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. ფევილის ტომრებივით მოიგდებდა ხალხს სურგზე მეტოქეებს, მიჰყავდა ცენტრში და იქ შოთივით აკრავდა ხალიჩას.

ბედნიერება მხვდა წილად — ვნახე შოთა ლომიძის ჭიდაობა მისთვის უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე სოფიაში. მომხიბლა მისმა დახ-

ვეწილმა ოსტატობამ. ძლიერი ვაჟკაცები: რუმინელი ენაქე პანაიცი, ირანელი ჰასან ჰალიდი, დასავლეთვერმანელი ალფონს ჰეშერი, უნგრელი იოზეფ ჩატარი და მონღოლი ხოლოგიინ ბოიანმუნხი პირდაპირ უმწეონი იუვენ ქართველი ფალაენის წინაშე. ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, რომ ლომიძეს ჩემპიონატზე თავისი ძალის ნახევარიც არ დაუხარჯავს.

როცა ვასო ილურიძემ ულოცავდნენ მოწაფის გამარჯვებებს, მწვრთნელი ცრემლებს ვერ იმაგრებდა — ბედნიერების ცრემლებს: მოკიდავე, რომელშიც მთელი თავისი სული ჩააქსოვა, დიდი სპორტიდან გამარჯვებული წავიდა.

გზა დიდხანს იხლართებოდა

„სსრ კავშირის ოთხ ჩემპიონატზე წარმატებას ერთი ნაბიჯილა მამორებდა. მაგრამ ერთხელ მხოლოდ ვერცხლის, სამჯერ კი ბრინჯაოს მედალი მოვიგე. „ოქროსთან“ ზარბეგ ბერიაშვილმა არ მიმოშვა. იგი ყოველთვის პოულობდა ჩემს დაცვაში ერთადერთ სუსტ ადგილს და ზუსტად ურტყამდა მიზანს. ვფიქრობ, რომ იგი უკეთ მიცნობდა, ვიდრე მე ვიცნობდი საკუთარ თავს.“

მაშინ კი, როცა ვისწავლე, როგორ მომეგო მისთვის, უკვე ორივენი ერთვებდით სარბიელს...“

იური გუსოვი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
მსოფლიო ჩემპიონი

ქ. თრჭონიკიძე



ზარბეგ ბერიაშვილი

თბილისის სასტუმრო „ივერიის“ აივანზე ვიდექით. ზარბეგ ბერიაშვილმა მითხრა:

— ხედავთ ამ პატარა აგარაკს? სწორედ მას ამოფარებია ჩემი სოფელი ავჭალა... ახლა იქ გლდანის მასივია... მე ავჭალული ვარ და ამიტომაც ვამარცხებ ყველას...

თან იცინის. საჭიროდ თვლის ახსნას, რომ იხუმრა, და დასძენს! ::ტრამეაი-ტროლეიბუსების სამმართველოს კლუბში ჭიდაობის სექცია იყო. მას სათავეში ედგნენ გიორგი ბასილაშვილი და შალვა ტლაშაძე. სწორედ მათ შემასწავლეს თავისუფალი ჭიდაობის ანბანი. თავდაპირველად არ მომწონდა ეს სახეობა, მაგრამ მწვრთნელები მარიგებდნენ, ყველაფერი უნდა იცოდე, გამოგადგებო...“

დიახ, ასეც ჯდება ხოლმე სპორტში. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მსუბუქი წონის მოჭიდავეა ზარბეგ ბერიაშვილს თავდაპირველად ეხამუშებოდა თავისუფალი ჭიდაობა. არ მოსწონდა ჩოქბეჭენი, ვერ გაეგო, რა საჭიროა მუხლებზე ხოხვა, მაშინ როცა ისედაც ბევრი სხედასხვა კარგი ილეთი არსებობს. დიდხანს ვოკმანობდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ კურსზეც კი, ვიდრე ერთ-ერთმა

წამყვანმა საბჭოთა მწვრთნელმა გიორგი როსტიაშვილმა, რომელიც ინსტიტუტის მოჭიდავეებს ხელმძღვანელობდა. საქმით არ უბასუხა ბერიაშვილს ამ კითხვაზე.

როსტიაშვილის როგორც მწვრთნელის ნიჭი გამოვლინდა არა მარტო იმით, რომ აღზარდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მსუბუქი წონის მოჭიდავე, ალამედ უწინაოეს ყოველისა იმითაც, რომ მან გაუღვივა სიბების. შემაქმედების ინტერესი მეტად ცნობისმოყვარე, მაძიებელ ადამიანს. ბერიაშვილმა ბევრი ისეთი რამ შესძინა თავისუფალ ჭიდაობას. რასაც ღღესაც იყენებენ.

ზარბეგზე პირველად 1961 წელს ალაპარაკდნენ. როცა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაზე დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ნაკრების ექვსი ფალავანი. მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ სინიაესკი, ალიმბეკ ბესტაევი და სსრ კავშირის ჩემპიონი რობერტ ჭლამაძე. მან ლიდერებს იძღვინი იღეთი ჩაუტარა, რომ „დაეთრები დაებნათ“ და ამიტომაც წააგეს.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორმა ივანე ალიხანოვმა ზარბეგ ბერიაშვილზე დაწერა „იერიშის დროს, როგორც წესი, იგი ყოველთვის ერთნაირად სწვდებოდა მოწინააღმდეგეს ფეხში, შემდეგ კი იწყებოდა საოცრად მრავალფეროვანი და ზუსტი ჭიდაობა. დაცვით მოქმედებას პასუხად ყოველთვის მოსდევდა კონტრიღეთი, რომელიც მოწინააღმდეგეს ახალი ამოცანების წინაშე აყუენებდა. ეს შემოქმედებითი ჭიდილი მრავალ წელს გაგრძელდა. ზარბეგის მოწინააღმდეგენი პოულობდნენ დაცვის ახალ ხერხებს, იგერიებდნენ მის იერიშს; მაშინ ბერიაშვილი მისნის მიღწევის ახალ გზებს იგონებდა. დაცვის სისტემის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ზარბეგის ერთ-ერთმა მთავარმა მეტოქემ იური გუსოვმა...“

ეს ის იური გუსოვი იყო, რომელმაც დაუმარცხებელ ვლადიმერ სინიაესკის სძლია. მან იცოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონ სინიაესკის შეეძლო ჩოქბაქენში გადაეტრიალებინა ქვემძიმე წონის მოჭიდავეც კი, ამიტომაც 20 წლის იური გუსოვმა გადაწყვიტა მეტოქისათვის ჩოქბაქენში გადაყვანის შესაძლებლობა არ მიეცა. სპეციალისტები თვალებს არ უჯერებდნენ, სინიაესკიმ დებიუტანტი მუზღლებზეც ვერ დააჩოქა. ეს მაშინ, როცა გუსოვი თვალის დახამხამებაში ასწრებდა მოწინააღმდეგეს, იგებდა რამდენიმე ქულას და საბოლოოდ შეხვედრასაც. სწორედ ამ ორთაბრძოლით დაიწყო ნიჭიერი ოსი მოჭიდავის იური გუსოვის წინსვლა დიდ სარბიელზე.

დაიწყო, მაგრამ შეჩერდა, სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში 1962 წელს გუსოვი ისე გავიდა, რომ ერთი საჯარიმო ქულაც არ ჰქონია. ყველა მეტოქეს წმინდად მოუგო. მისგან განსხვავებით ზარბეგ ბერიაშვილმა ფინალში ჯარიმების მთელი დასტა აიკიდა.

მოხდა ისე, რომ გუსოვს ოქროს მედლისათვის ფრეც ჰყოფნიდა, ბერიაშვილს კი ხელს მხოლოდ მოგება აძლევდა.

არა, ჩვენ ცოტა ავჩქარდით. უნდა მოგახსენოთ. შუა შეხვედრაში ბერიაშვილი აგებდა ბრძოლას (1:4). დარბაზში არ იყო თითქმის არც ერთი კაცი; რომელიც ქართველი მოქიდავის გამარჯვებას იფიქრებდა. თუმცა თვით ბერიაშვილი სხვაგვარად ფიქრობდა.

იგი ყურადღებას არ აქცევდა წაგებულ ქულებს და იერიში იერიშზე მიჰქონდა. გუსოვი ოსტატურად იცავდა თავს. იგერიებდა ამ იერიშებს, მაგრამ, როცა უკვე გონგს უნდა ჩამოეკრა, ხალიჩაზე გამოჩნდა მესამე მონაწილე — დალილობა. ეს კი თბილისელს უბამდა მხარს. დალილობა გუსოვს ხელ-ფეხს უბორკავდა. სუნთქვას უშლიდა, ურღვევდა გასაოცარ, მხოლოდ გუსოვისათვის დამახასიათებელ, რეაქციას. მან ვერ შენიშნა ზარბუგის მორიგი იერიში და, იმ დროს, როცა შეხვედრას 7:1-ზე იგებდა, ბექებზე გაკრული აღმოჩნდა.

ასე დაწვრილებით შემთხვევით როდი გაიპბეთ ამ შეხვედრის შესახებ. იგი ბერიაშვილისათვის საპროგრამო გახდა. ხუთი წელი (1962—1966) იგებდა იგი ზედიზედ სსრ კავშირის ჩემპიონატებს, ყველაზე ხშირად ფინალში იმარჯვებდა, უფრო იშვიათად — ნახევარფინალში იური გუსოვთან. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე გუსოვმა ექვსი წრე ისე გაიარა, რომ ერთი ქულაც არ წაუგია. ექვსი წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მეტოქეებს საშუალოდ სამ წუთში აწვენდა ბექებზე.

ბერიაშვილი კი? იგი ფინალში ყოველთვის საჭარბოების სოლიდური მარაგით გადიოდა. გუსოვს ფრეც ჰყოფნიდა, ბერიაშვილს მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეფიქრა, და ისევ იური უგებდა ზარბუგს რამდენიმე ქულას... ბოლოს კი ისევ ბექებზე აღმოჩნდებოდა ხოლმე.

რავია საქმე? იქნებ ჯადოქარია ეს ბერიაშვილი? იქნებ ყველაზე გენიალური ჰიპნოტიზიორია მსოფლიოში? უბრძანებს მეტოქეს, დაწე-ქიო, და ისიც ემორჩილება? არა, ეს ჰიპნოზი არ იყო.

— გუსოვი ფიზიკურად ჩემზე ძლიერი იყო, რეაქციაც უკეთესი ჰქონდა, არც ტექნიკით ჩამომივარდებოდა, მაგრამ ამტანობა არ ჰყოფნიდა, შეხვედრის ბოლოს იღლებოდა და შეცდომებს უშვებდა.

ბევრჯერ წამიკითხავს, რომ ჩემთან მეტოქეობისას იურის ბედი არ სწყალობდა: იგებდა შეხვედრის ორ მესამედს, შემდეგ კი შემთხვევით ბექებზე წვებოდაო. არა. შემთხვევითობა აქ არაფერ შუაშია. ჩემი უპირველესი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ იგი დაწინაურებულიყო თავდაპირველად, სხვაგვარად იგი ჩემთან ჩავლებით არ იკიდებდა. იკითხავთ, რატომ ჩავლებითო. იმიტომ, რომ სწორედ მაშინ იწყებოდა ჩემი სატილაო პროგრამის ისეთი ტემპი, რასაც გუსოვი ვერ

უძლებდა, იქნებოდა. სხვაგვარად მისი მომგები არ ვიყავი. დასვენებული გუსოვი ყოველთვის ჩემზე ძლიერი იყო, ხოლო როცა იღლებოდა, უკვე მე ვხდებოდი მისი მბრძანებელი. უკეთესი ჭიდაობა მხოლოდ გუსოვის დაღლილობის ფონზე შემეძლო. აი ეს არის მთელი საიდუმლო...

მორიგი ჩემპიონატის შემდეგ ისინი ერთი წელი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს, ხოლო როცა ისევ შეხვდნენ, გუსოვს უკვე აღარ აშინებდა ზარბეგის წინანდელი იერიშები. ის უკვე მომზადებული ხვდებოდა მოწინააღმდეგეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზარბეგსაც ახალი ფანდები მოეშადებინა, რომელთა წინააღმდეგაც გუსოვი უძლური იყო.

ორი წამყვანი მსუბუქი წონის მოჭიდავის ღუელს მთელი ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები ადევნებდნენ თვალს. საქმეში მწვრთნელებიც ჩაერჩნენ. გუსოვი გადავიდა კიევში და ვარჯიში დაიწყო არამ იალტირიანთან, რომლის შესახებ დავით ცრმაკურიძემ აღნიშნა: „ჩვენ თავისუფალ ჭიდაობაში ასეთი მწვრთნელი ჯერ არ გვყოლია. მას ყველაფერი შეეძლო!“

იალტირიანმა დახვეწა გუსოვის ხელოვნება, აამალა მისი ამტანობა, ჩაუნერგა რწმენა, ასწავლა, როგორ დაეცვა თავი თბილისელის იერიშებისაგან. 1967 და 1968 წლებში გუსოვმა ფინალში დაამარცხა ბერიაშვილი და მოიგო სსრ კავშირის პირველობა. შემდეგ ზარბეგმა ძალა მოიკრიბა და ერთი წლით ისევ დაიბრუნა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა. მაგრამ ეს უკვე მისი ფინიში ან თითქმის ფინიში იყო: 1970 წელს მოიგო ევროპის ჩემპიონატი და წერტილი დასვა. ორი წლის შემდეგ კი ხალიჩიდან გუსოვიც წავიდა. თავისუფალი ჭიდაობის ამ ოსტატების მეტოქეობა შენაინიშნავი სკოლა იყო იმათთვის, ვინც ისინი შეცვალა...

ზარბეგი მისი სპორტული ცხოვრების ერთ ასეთ ამბავს იხსენებს: — ეს იყო 1966 წელს. სსრ კავშირის პირველობისათვის კარგად ვერ დავიკელი წონაში. გვიან მოვედი გონს და ერთხანს ორთქლის აბანოებში მომიხნა ჯდომა. წონაში ასე დაკლება პირველ ყოვლისა ადამიანს სახეზე აღებუქლება ხოლმე: თვალები ჩამიცივდა. ხორცი მომიღუნდა, ცხვირი თითქმის ერთიორად გამეზარდა. ერთი სიტყვით, მშვიერთა ქვეყნიდან მოსულს ვგავდი, გამხდარი და დასუსტებული. ჩემს წონაში ჩემპიონატში პირველად გამოვიდა ორჯონიკიძელი პირველთანრიგოსანი ყაზბეგ დედეგაევი. იგი პირადად არ მიცნობდა, თვალში ეცა ჩემი გაცრეცილი ცხვირ-პირი. და თავის ამხანაგებს, სტანისლავ გაჭიევს და ნუგზარ ჟურულს უთხრა: „... აქ ყველანი ძლიერები არიან, აი მხოლოდ ეს ერთია დისტროფიკი, ნეტა იმას შემახვედრა პირველ წრეში“. გაჭიევი და ჟურული გამოცდილი მოჭიდავეები იყვნენ და გუნება არ წაუხდინეს ახალგაზრდა ყმაწვილს, არ

უთხრეს, რომ ეს „დისტროფიკი“ ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი იყო. ნატურა აუხდა: წილისყრით პირველ წრეში სწორედ მე უნდა შემხვედროდა. ურულმა უთხრა: შენი პირველი მოწინააღმდეგე ის არის, ვინც გახდოდაო. ყაზბეგმა სიხარულით ლეკური ჩამოუარა. მაგრამ ეს ყველაფერი როლია. გაჩივსა და ქერულს პირველ წრეში სერიოზულ მოწინააღმდეგეებთან უწევდათ შეხვედრა. და როცა ისინი სასტუმროდან დარბაზში მიდიოდნენ, დედეკაევემა უთხრა: „მომეცით თქვენი ჩანთები, მე წამოვიღებ. თქვენ ჯანს უნდა გაუფრთხილდეთ, ჩემი მჭობაქე კი ძალზე სუსტი ჩანს“.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცოდნო. შემდეგ სტანისლავემა და ნუგზარმა მიაბეს. ხალიჩაზე გამოსვლისთანავე ყაზბეგი პირდაპირ შემომასტა. ძლიერი ყმაწვილი იყო. ძლივს მოვასწარა და ხალისას იქით გავვარდი. გავბრაზდი, ვიფიქრე, რა თხასავით მეცა, პატარა ბიჭი ხომ არ ეგონიერ-მეთქი. ყურადღებით შევათვალიერე, როგორც კი მეორედ შეძგერა, შოთი პურივით ხალიჩას გავკარი. მან ხელები თავში იტაცა და მთელ დარბაზში დაიღრიალა: „ეი, სირცხვილო, ვისთან წავაგე!“ სახტად დავრჩი, ვიფიქრე, ხომ არ გაგიყდამეთქი.

როცა გაჩივემა და ქერულმა ყველაფერი უამბეს, მათ გაუწყრა, მე კი მომიბოდიშა „უზრდელი საქციელისათვის“. ბევრი ვიცინეთ და შემდეგ მისი თხოვნით რამდენჯერმე ის ილეთი ვაჩვენე, რითაც წავაქციე. მან ეს დაიმახსოვრა...

ღიახ, დაიმახსოვრა. სსრ კავშირისა და მსოფლიო ჩემპიონი, ტურნირ „დრუჟბა-84-ის“ გამარჯვებული არსენ ფაძაევი ამ ილეთს ზუსტად ბერიაშვილივით იყენებს. საქმე ის არის, რომ ფაძაევის მასწავლებელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ყაზბეგ დედეკაევი გახდა. დაიხსომეთ, ძმებო, დაიხსომეთ ყველაფერი, გამოკადგებათ!..

ბერიაშვილი ყოველთვის პატიოსანი იყო სპორტში. არ ვიცი, ლაპარაკობს იგი ამის შესახებ თუ არა, მაგრამ ყოველთვის ცხოვრობდა პრინციპით — რასაც დათესავ, იმას მოიძეო. მას ისეთი ნიჭი ჰქონდა, რომ შეეძლო დაუთესავდაც მოემყო. ხომ ამბობენ: ნიჭიერები ხერხებს თვით შეჯიბრებებზეც იგონებენო. მაგრამ ეს ბერიაშვილზე არ ითქმის. თუ იგი აღმერთებდა ექსპერიმენტს, მხოლოდ მაშინ, როცა კარგად მომზადებული, ხანგრძლივი წვრთნის დროს კარგად შემოწმებული და დიდი სპორტსმენის მძიმე შრომის შედეგი იყო.

ზარბეგ ბერიაშვილის წლები სპორტში განუწყვეტელი, მძიმე შრომა გახლდათ და დასანანი, რომ ამ შრომას სასურველი შედეგი დროზე არ გამოუღია. როგორი უსამართლოა ზოგჯერ სპორტი!

1963 წელს სოფიაში შედგა ბერიაშვილის საერთაშორისო დებიუტი. მან სამ მეტოქეს წმინდად მოუგო, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი ბულგარელი ენო ვილჩევი და გილიათი მაჰმუდ ათალი ქულებით დაამარცხა. ზარბეგს ყველაზე ძნელი წილისყრა შეხვდა. იაპონელ იგაო ხარუჩის — ძალზე ილი. თუ ბერიაშვილი ფინალში ხუთი გამარჯვებით გავიდა, ხარუჩის სამი გამარჯვებაც ეყო.

ვინ უნდა ყოფილიყო ჩემპიონი? ალბათ იტყვიან ის, ვინც გაიმარჯვებს. ვინც წამდვილად იბრძვის და მიზანს ასე აღწევს. იაპონელი თავს არიდებდა კიდაობას. მსაჯები კი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. სასოწარკვეთილმა ბერიაშვილმა ქაოსური, მოუშხადებული იერიშები დაიწყო. ჩქარობდა. რადგან შეჯიბრების დამთავრებას აღარაფერი უკლდა. ხარუჩიმ ისარგებლა დაღლილი მეტოქის შეცდომით, მოუგო ქულა და შეჯიბრებს ბოლომდე არათუ არ იჭიდავა, ხალიჩიდანაც გარბოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯებს ამაზე რეაქცია არ ჰქონიათ. ხარუჩი ჩემპიონი გახდა. ბერიაშვილი — ვიცე-ჩემპიონი.

1964 წელი. ოლიმპიადა ტოკიოში. პირველ შეხვედრას ბერიაშვილი ქულებით აგებს მაჰმუდ ათალისთან. ორ მომდევნო მეტოქეს ზარბეგი უკებს და ხუთი საჯარიმო ქულა უხდება. ნახევარფინალში მხოლოდ ენო ვილჩეთან წმინდა გამარჯვება გაიყვანდა. ზარბეგმა მოაგროვა ექვსი ქულა. მაგრამ ბექებზე ვერ იქნა და ვერ დასცა მოწინააღმდეგე. შეხვედრა მოიგო. მაგრამ შეჯიბრებას გამოეთიშა და მეექვსე ადგილი დაიკავა. შემდეგ წრეში მყოფებელთა სკამზე დაჯდა ათალიც (მეოთხე ადგილი). ვილჩევს კი ბედმა გაუღიმა: სუსტ მოჭიდავეს შეხვდა და გავრდა ფინალში, სადაც ადვილად დაამარცხა არც მინცდამინც ძლიერი დასავლეთეურმანელი კარლ როსტი. ამგვარად, მხოლოდ ბერიაშვილმა მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს ვილჩევს. ესეც ერთგვარი ნუგეში იყო. მაგრამ სუსტი.

1965 წელი. მსოფლიო ჩემპიონატი მანჩესტერში. ბერიაშვილი ისევ ამარცხებს ექვს მეტოქეს, მათ შორის ოლიმპიურ ჩემპიონ ვილჩევს, მსოფლიო ჩემპიონ იგაო ხარუჩის და ძალზე ძლიერ შეედ იან კარლსონს. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ირანელი აბდულ მოუაჰედი გახდა, რომელიც ზარბეგს არ შეხვედრია. რატომ? იმიტომ, რომ ბერიაშვილს ჯერ კიდევ ფინალამდე ექვსი საჯარიმო ჰქონდა და შეჯიბრებას წაუგებლად გამოეთიშა. მესამე ადგილი ერგო, ესეც „იღბალია“, ხომ მართალია?

1967 წელი. მსოფლიო ჩემპიონატი დელიში. წარმოუდგენელი ამბის მოწმენი ვხდებით. ბერიაშვილი ხედება ირანელ მოვაჰედს. მეტოქეებს სამნახევარ-სამნახევარი საჯარიმო ქულა აქვთ, მაგრამ ბერიაშვილმა ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა, მოვაჰედმა ვერცერთი. ზარბეგს ხელს ასწევს ფრე. იგი ადვილად აღწევს მას და მსოფლიო

ჩემპიონი ხდება ოფიციალურად! მსაჯინ-ინფორმატორი აუწყებს ავას მაყურებელს. მაგრამ...

პროტესტებენ ვილჩევ — აკიხროს სატოს (იაპონია) შეხვედრას, რომელშიც აღინიშნა ფრე და ამის შემდეგ ვილჩევი შეჭიბრებას გამოეთიშა. პროტესტი დააკმაყოფილეს, ბულგარელი მოქიდავე მესამე ფინალისტი ხდება და უფლება ეძლევა შეხვედეს მოვაკედს. ვილჩევი აგებს ქულებით. რჩება მესამე ადგილზე. მაგრამ პირველ ადგილზე გადის ირანელი, რადგანაც მხედველობაში ფინალისტთა შეხვედრების შედეგები მიიღეს. მოვაკედს — 3 საჯარიმო ქულა, ბერიაშვილს — 4, ვილჩევს — 5. ზარბეგი ისევ მეორეა.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი არამ იალტირიანი: „ზარბეგი ყველაზე ძლიერი იყო მსუბუქი წონის მოქიდავეებს შორის. მაგრამ მას არ გაახნდა ის, რაც ძლიერ მოქიდავეებსაც ზოგჯერ სჭირდებათ (სხვათა შორის კარგ მწვრთნელებსაც). ცოტა ბედი დაღატობდა... როცა დელიშიც არ გაუღიმა ბედმა, - ეტირდი. ძალიან შემეცოდა. მოქიდავეები გამოიგებენ...“

1968 წელი. ოლიმპიადა მეხიკოში. ბერიაშვილი ტურნირს ფრეთი იწყებს. ოლიმპიურ ჩემპიონ ვილჩევს ახსოვს მასთან წინანდელი დამარცხებანი და ვერ ოსიყავს. რისკზე წასვლა ეშინია ახალგაზრდა ამერიკელ ვეინ ველსსაც. მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს მიუხედავად. ზარბევს ოთხი საჯარიმო ქულა დაუგროვდა. ეს საშიშია. აქედან მხოლოდ ორი ნაბიჯიღა მაყურებელთა ტრიბუნამდე. მაგრამ უნდა იქიდაოს. რუმინელი იონ ენეკე ბექებზე დააწვინა. საჯარიმო ქულების რაოდენობა არ გაზრდილა. მსოფლიო ჩემპიონმა ივან ხარიუჩიმ ქულებით წააგო — ბერიაშვილს ხუთი საჯარიმო დაუგროვდა. ახლა ჩანაინი მონღოლი დანზანდარ სრეტერი უნდა დაამარცხოს. რომელიც ფინალში წაგების მიუხედავადაც გავა. თუ, რა თქმა უნდა, ბექებზე არ გააყრეს. ბერიაშვილი ამ შეხვედრას ქულებით იგებს და ექვსი საჯარიმო ქულა უხდება. არც ერთი დამარცხება, ადგილი კი მეხუთე. ვილჩევი ფინალში გავიდა, წააგო მოვაკედთან (ჩემპიონი) და მეორე ადგილი დაიკავა, მესამე ამჯერად სრეტერი იყო.

აი ყველაფერი, რაც გადახდა მსოფლიო სარბიელზე ზარბეგ ბერიაშვილს. რომ იტყვიან. ბედი არ წყალობდაო — ნამდვილად ასე იყო. მაგრამ მაინც ფეხზე იდგა, მხოლოდ ერთხელ უთხრა გურამ სარაძეს:

ნუთუ ვერასოდეს მივალწევ მიზანს?.. არ შეიძლება ეს მოხდეს... უსამართლობა იქნება...

1969 წელი. მსოფლიო ჩემპიონატი მარ-დელ-პლატაში. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები არამ იალტირიანი და სერგეი პრეობრაჟენსკი დარწმუნებული არიან, რომ ყველაზე ნიჭიერი ამე-

რიკელი მოქიდავე უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ვეინ ველსი იყო. ძლიერი, სწრაფი, მეტად ტექნიკური და ვაშბედავი. იგი ბერიაშვილზე გაცილებით ახალგაზრდა იყო. მაგრამ მარ-დელ-პლატაში ველსმა წააგო.

ზარბეგთან წააგო კუნთებიანმა დასაჯელეთგერმანელმა ადოლფ ზეგერმაც. ტექნიკურმა ირანელმა მოპამედ ფარხანდუხტმაც, სწრაფმა ბულგარელმა სტოიან ბიმბალოვმაც. ფინალში კი ბერიაშვილმა ფინელი მათი პოიკალა 2 წუთსა და 17 წამში ხალიჩაზე გააყრა.

მოსასაღვნი მოხდა! თითქმის ნახევარი ცხოვრების გზა გალია და ბოლოს და ბოლოს ავიდა მწვერვალზე. დიდხანს იზღარბებოდა ეს გზა. მოქანცა ამ გზის ვაელამ. საპატრო კვარცხლბეკზე მოღმარო იდგა, მაგრამ თვალეში სეედა და დაღლილობა ჩასდგომოდა...

— ზარბეგ. ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მეტოქისა შეგშინებოდათ, არ გდომოდათ მასთან შეხვედრა?

დიდხანს დუმდა. ცდილობდა გაეხსენებინა, იქნებ მართლაც შეშინებია ოდესმე?

— არა, ასეთ რამეს ვერ ვიხსენებ. არც მეტოქეების, არც ჭიდაობის არ მეშინოდა. ყველა რომ ისე დამჭიდებოდა, როგორც ვეინ ველსი მარ-დელ-პლატაში მექიდავა, ყველას მოვუგებდი. ეელსი ერთხელაც არ „გაპარულა“ ხალიჩიდან. ჭიდაობდა ჭკვიანურად, მწვავედ, პატიოსნად. მასთან ეშმაკობა არ გჭირდებოდა, მასთან მხოლოდ უნდა გეჭიდავა. არასოდეს არ მყოლია ასეთი მეტოქე...

მაგრამ ერთხელ მაინც შეგშინდი. და როცა ვიხსენებ, დღესაც მეშინია...

მარ-დელ-პლატაში იმ სასტუმროს გვერდით, სადაც საბჭოთა გუნდი დაბინავდა, ჩვეულებრივი პლაჟი იყო. ოკეანის პლაჟი. ბადეშემოვლებული — ალბათ, იმიტომ, რომ ბავშვებს შორს არ გაეცურათ. ასე იფიქრეს ზარბეგ ბერიაშვილმა, გურამ საღარაძემ და ტარიელ ალიბეგაშვილმა. როცა დილაადრიან გამოვიდნენ, ოკეანიდან მონახერი ჰფერი რომ ესუნთქათ, სამმა ქართველმა ფალავანმა სირცხვილად ჩათვალა ბავშვებისათვის განკუთვნილ პლაჟზე ებანაჟთ, გასცილდნენ ბადეს და მიწაყრილზე აგებული თალიდან გადაეშენენ წყალში.

სასტუმროდან გამოვარდა ვილაც არგენტინელი და გაშმაგებულმა ყვირილი ატეხა. ყმაწვილებმა ვერაფერი გაიგეს და ცურვა განაგრძეს. არგენტინელი კი დარბოდა მიწაყრილზე და მთელი ძალით ღრიალებდა. ბოლოს ბიჭებს მოებურდათ ეს ყვირილი, გამოვიდნენ ნაპირზე და არგენტინელს ქართულად ჰკითხეს: „რა გაყვირებს, მეგობარო, რა მოხდა, ვიბანავეთ! გგონია, ხამები ვართ და არ გვინახავს ოკეანე?!“ არგენტინელი მდუმარედ უსმენდა ქართულ ლაპარაკს, საჩვე-

ნებელი თითო საფეთქელთან მიიღო და გაკვირვებით შეხედა. სამივე ქართველმა გადაწყვიტა, ალბათ, ქკუაზე ვერ არისო, და სასაუზმოდ წავიდნენ...

— მაგრამ როცა ერთი საათის შემდეგ კვლავ გამოვედით სასტუმროდან და ხის თაღზე ორი უზარმაზარი ჩამოკიდებული ზვიგენი დავინახეთ, შიშისაგან კინალამ სული გაგვძვრა. როგორც გვითხრეს. ერთი იწონიდა 870, ხოლო მეორე 645 კილოგრამს. ჩვენი წყლიდან ამოსვლის ნახევარი საათის შემდეგ დაეჭირათ ისინი. — ზარბეგმა მხრები აიჩეჩა. — თურმე სადაც ჩვენ ვბანაობდით, ანკესები და ბადეები ყოფილა. სწორედ იმიტომ ღრიალებდა არგენტინელი არანორმალურივით. მაგრამ არანორმალურები ჩვენ გამოვდექით...

თალი საშინელი შესახედავი იყო. ზვიგენები ხახად აღებულები ეკიდნენ. ეშვები უჩანდათ... უცებ სალარაძემ დაგვიყვირა: „პირველი ვინ ჩავიდა წყალში და ვინ დამიძახა?“ ჩვენ ვდუმდით. შიშმა დაგვაიწყა, პირველი ვინ ჩახტა და ვინ ვის უხმო...

ბერიაშვილი იღიმება:

— როცა მიწაყრილზე ის არგენტინელი გამოჩნდა, გურამი მიეჭრა და ისე ჩაიხუტა, რომ კინალამ გაგუდა. მთელი ჩვენი სუვენირები მას ვაჩუქეთ... ნაპირს აღარ გავკარებდით. ოკეანეში ბანაობის მაღა წაგვიხდა... არც თქვენ გორჩევთ იქ ბანაობას...

ზარბეგ ბერიაშვილი ექვსჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატები, სამგზის მსოფლიო პირველობის პრიზიორი, თავისი კარიერის დასასრულს კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. როგორ ფიქრობთ, რა იყო ყველაზე ნათელი მის ხანგრძლივ სპორტულ ცხოვრებაში?

— 1966 წლის ევროპის ჩემპიონატი დასაყვამთ გერმანიის ქალაქ კარლ-სრუეში 8 მაისს დამთავრდა. გამარჯვების დღე მშობლიური სახლიდან შორს გაგვითენდა. გესურდა ღირსეულად აღგვენიშნა იგი, გესურდა მოგვეგო გუნდური პირველი ადგილი. ყველაფერი დამოკიდებული იყო უკანასკნელ ორ შეხვედრაზე, სადაც შოთა ლომიძე და მე ვხვდებოდით თურქ მოკიდავეებს ახმედ აიკს და ახმედ აგრალის. ერთ-ერთ ჩვენგანს რომ წაეგო, გუნდურ პირველობას თურქები დაეუფლებოდნენ.

ლომიძემ ძალიან დამაჯერებლად მოუგო აიკს. მე კი ისე მოვიქანცე აგრალთან შეხვედრაში, ვბარბაცებდი კიდევ. მაგრამ არც მისთვის დამიყრია კარგი დღე. იგი მისიანებმა გაიტანეს. მოვიგე ანგარიშით 4:0. ჩვენი გუნდი ჩემპიონი გახდა. ვაკეიმარჯვეთ გამარჯვების წინა დღეს. ეს დღე და ის დღე, როცა ბიჭი შემეძინა, ყველაზე ბედნიერად მიმაჩნია ჩემს ცხოვრებაში.

პარჯიზი ღამით



გენალი გიორგაძე

„წონაში ბერის დაკლება გაულენას ასე თუ ისე ყველაზე ახდენს... გიორგაძეზე კი არ მოქმედებდა: იგი არ კარგაუდა არც სისწრაფეს, არც ძალას, არც გამჭირაობას... სწორედ ამიტომ დააყენეს იგი პირველად ჩვენი ქვეყნის სამბისტთა ნაკრებ გუნდში“.

ხტანისლავე იონივი

სსრ კავშირის მთავარი მწერტნელი
სამბოში,

სსრ კავშირის დამსახურებული
მწერტნელი

ქ. მოსკოვი

შუალამისას თეირანის სასტუმროს მკრთალად განათებულ დერე-ფანში მხარბეკიანმა, სპორტულ კოსტუმში გამოწყობილმა კაცმა ერთ-ერთ კარზე ფრთხილად დააკაკუნა. კარი კრიალით გაიღო:

- არ მეძინება... ეხლავე ხომ არ დაგვეწყო?
- დავიწყოთ, მეც გამიტყდა ძილი... ღიაა?
- ჰო, შევამოწმე.

პირველ სართულზე ჩავიდნენ, ფეხაკრეფით ჩაუარეს სასტუმროს დარაჯს, რომელსაც ერთმანეთზე მიდგმულ ორ სეაარქელში ეძინა, და ჰოლში გავიდნენ. იქვე სამედიცინო სასწორი იდგა.

„დეტექტივის“ დასაწყისი არ გეგონოთ, უბრალოდ ორმა მოქი-დავემ ვარჯიში განიზრახა. კი მაგრამ, ღამით? თქვენ წარმოიდგინეთ ზოგჯერ ასეც ხდება.

1973 წელს ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა თეირანში ზედიზედ დაამარცხა თავისი ძირითადი მეტოქეები ჰორსტ შტატ-მაისტერი (გდრ), ბენჯამინ პეტერსონი (აშშ) და თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი მეორედ გახდა. დაღლილი ფალავანი მილოცვებს იღებდა, როცა მასთან სსრ კავშირის სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი სტანისლავ იონოვი მივიდა:

— ლევან, უნდა გეხსნა! ჩვენი მოქიდავე ავად გახდა და სამბოში უნდა გახვიდე.

მაშინ შეუთანხმდა თედიაშვილი გენადი გიორგაძეს საწვრთნელად გაჰყოლოდა, და როგორც ეს თვითონ ლევანმა თქვა, „ახალგაზრდობა გაეხსენებინათ“. ერთმანეთს დილით უნდა შეხვედროდნენ, შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე. მაგრამ თედიაშვილს ძილი არ მიეკარა და ამხანაგს შუალაშით მიადგა.

რით დამთავრდა ღამის ვარჯიში, ყველამ კარგად იცის, გიორგაძეცა და თედიაშვილიც სამბოში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. თუმცა... გენადი გიორგაძე უბრალოდ ჩემპიონი კი არა, პირველი სამბოშის მსოფლიო ჩემპიონი გახდა სამბოში. ამ წოდებას წინსართი „ექს“ არასოდეს დაემატება.

დასაწყისი საკმაოდ პროზაული იყო. გენადის სურდა მოქიდავე გამხდარიყო, მაგრამ მხოლოდ 48 კილოგრამს იწონიდა, სამბოში კი ათვლია 56 კილოგრამიდან იწყებოდა. რა უნდა გააკეთო ასეთ პირობებში, თუ ძალიან გინდა ჭიდაობა? ნახევარფუთიანი სიმძიმე უნდა შემოიჭლო წელზე. ორჯერ დიდი ტრუსები ჩაიცვა, რომ არ შეგამჩნიონ ეშმაკობა, და თამამად შედგე სასწორზე. თუ ბედმა გაგიღიმა, გახვალ.

გენადის ბედმა არ გაუღიმა. გამოცდილი მსაჯები მაშინვე მიუხვდნენ ეშმაკობას. მთელი წელი წონის მომატებას მონადრომა, მერე საქართველოს პირველობაზე გამოვიდა და პირველი ადგილი დაიკავა. თედიაშვილიც იქ გაიწინა. ეს მოხდა თეირანის მსოფლიო ჩემპიონატამდე ათი წლით ადრე.

გიორგაძის მწვრთნელს ზელიმხან მონასელიძეს არ უყვარდა გამოთქმა: „საუკეთესო ილეთი“, ჭაბუკისთვის ყველა ილეთი საჭიროა, ამბობდა იგი. აი, როცა ნამდვილი ოსტატები გახდებით, მაშინ აირჩიეთ თქვენი ილეთები.

მონასელიძეს ყველაფერზე თავისი შეხედულება ჰქონდა და ხშირად საყოველთაოდ მიღებულ აზრებსაც არ იზიარებდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ზელიმხან მონასელიძე გურჯაანში რესტორნის დირექტორად გაგზავნეს. აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა, არ მოსწონდა ეს სამ-

სახური და ვინაიდან უმადლესი ფიზკულტურული განათლებაც ჰქონდა მიღებული, მწვრთნელად წავიდა.

მონასელიძე თავის მოწაფეებს ქართული და თავისუფალი ჰილათობის ილეთებს ასწავლიდა. თვითონ კარგი მოქიდავე იყო და მოწაფეებს გულიანად ავარჯიშებდა. ვიორგაძეს სამბო მოსწონდა უფრო. შესაძლოა, გრძნობდა კიდევ, რომ სწორედ მისი ნიჭი აქ უფრო მეტ საზარდოს მიიღებდა.

სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ბიძინა მაზიაშვილს ასეთი ყმაწვილი რას გამოეპარებოდა? მაგრამ ვიორგაძის წონა 54 კილოგრამს ვერ იქნა და ვერ ასცილდა, ამიტომ ისევ თავისუფალ ჰილათობაში გადასვლა გადაწყვიტა. მწვრთნელმა, ცხადია, ხელი არ შეუშალა, მაგრამ ისე, სხვათა შორის, მაინც უთხრა: „წადი, მაგრამ გახსოვდეს, ისევ დაბრუნდები, შენი ადგილი სამბოა“. ვიორგაძე ოთხ წელიწადს თავისუფალი მოქიდავე იყო, ოთხჯონის გაიმარჯვა „უროჟაის“ საკავშირო პირველობებზე, თბილისის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორიც გახდა, სსრ კავშირის საუწყებთათმორისო პირველობაში კი მეხუთე ადგილი დაიკავა.

რა არ ზღვბა სპორტის სამყაროში? სამბისტებთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ შეჯიბრებებში გამოსვლა არ შეეძლო. ბოლოს სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მამის მოერიდა. ხარაზი ვალერიან ვიორგაძე, რომელიც სოფელში ენაკემატ კაცად ითვლებოდა, ზოგჯერ მწარე სიტყვას თავის ვაჟსაც გადაკრავდა ხოლმე: „წუწუნა მოსულა! აბა შემოდი, შემოდი, ერთად ვიწუწუნოთ... ისევ დამარცხდი? შენ მარტო გამარჯვებები გნებავს, სხვებივით ცხოვრება არ შეგიძლია. გამარჯვებული გინდა იყო, მაგრამ მოთმინება არ გყოფნის... მაშ რა დაგრჩენია? წუწუნი. ასეთი შეხურების შემდეგ გენადი გაშმაგებით ვარჯიშობდა, სიტყვას აძლედა საკუთარ თავს, „ჩემი დროც დადგება“. დრო კი იგვიანებდა...

მეგობრები მასთან ერთად განიცდიდნენ, მაგრამ რას უშველიდნენ, როცა კაცი სამბოს წონას ვერ იქნა და ვერ მოერგო.

— ერთხელ ჩემთან სახლში როინ დობორჯგინიძემ და მეველუდ ჩხაიძემ მოიბრინეს: „გენო, გაიხარე, სამბოში წონები შეიცვალა! ახლა ყველაფერი ისეა, როგორც თავისუფალში“, — ვიორგაძე მცირე ხნით გაჩუმდა.

— კინალამ წავიქეცი... მაშინვე მაზიაშვილი გამახსენდა: „ხომ გეუბნებოდი, დაგვიბრუნდები-მეთქი! დღესვე დაეწე წვრთნა. ლიბეტკში შესარჩევ შეჯიბრებებზე გაემგზავრები“. წავედი. წავაგე უმატესი კატეგორიის ლიდერთან კუბიმივევლ ნიკოლოზ მორთან (8:9). ეტყობა, მწვრთნელებს ჩემი ჰილათობა მოეწონათ. ქვეყნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ იონოვემა მიჩჩია, 48-კილო-

გრამიანებში ივარჯიშეო... მერე თეირანის მსოფლიო ჩემპიონატში გამოვიდა და ყველა გააოცა. ოთხი ბრძოლა მოიგო, თანაც როგორი უპირატესობით? 7:0, 12:0, 8:2 და 8:1.

სარბიელიდან იგი ორმა მსოფლიო ჩემპიონმა — ზარბეგ ბერიაშვილმა და გურამ საღარაძემ ხელში აყვანილი გაიყვანეს. გენადი კი... ჩემპიონის სიმალლიდან დაჰყურებდა კოკა-კოლას ფარდულს. მან ხომ 4 კილოგრამზე მეტი დაიკლო! ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: რაიმე სითხე მიეღო, დაეღია.

— ვიყადე ათი ბოთლი „კოკა-კოლა“, — ღიმილით იგონებს გიორგაძე, — ბიჭებმა მოირბინეს, უნდოდათ ენახათ. მათ თვალწინ როგორ გავიბერებოდი, მე კი მშვიდად ჩავაწყვე ბოთლები ჩანთაში და სასტუმროსაკენ გავეშურე. ნეტა იცოდეთ, რად მიღირდა ეს სიმშვიდე. სასტუმროს ნომერში ჩავიკეტე და ვიდრე ათივე ბოთლი არ გამოვცალე, მაგიდიდან არ ავმდგარვარ...

გენადი გიორგაძე სსრ კავშირის ჩემპიონი ვერ გახდა. უკვე მსოფლიო ჩემპიონის რანგში მან წააგო იოსებ მაღალაშვილთან. ტაშკენტელ საიფუტდინ ხოდიევეთან და მეოთხე ადგილი დაკავა. „ამით მათ ჩემი ადგილი დაეულოცე, — შემდეგ თვეში ორივე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჩემი უმაღლესი მიღწევა საკავშირო სარბიელზე მესამე ადგილი იყო“.

ალბათ, ეს აწუხებდა კიდევ. სხვა რით უნდა აიხსნას, რომ რვა წლის შესვენების შემდეგ, 1983 წელს, სამბისტა რესპუბლიკურ პირველობაში გამოვიდა და პირველი ადგილიც მოიპოვა?

— მინდოდა კიდევ მეჭიდავა. მაგრამ მითხრეს, დაბერდიო. ალბათ, მართლაც ასეა: 36 წლისა ვარ... მწვრთნელად ვმუშაობ... რას ენატრობ? მსოფლიო ჩემპიონი გამოვზარდო. ლევან თედიაშვილა შეუბნება, საამისო გამოცდილება გაქვსო.

ლევანი მართალია. ვინ იცის, იქნებ აუხდეს კიდევ ნატვრა.



„მასთან თანაბარი ბრძოლა მხოლოდ მეოთხე ან მეხუთე წუთიდან შეიძლება. მაგრამ ცოტანი თუ ძლებდნენ ამ დრომდე. უმრავლესობას იგი ორთაბრძოლის დასაწყისშივე უგებდა... მის მოქმედების გათვალისწინება ხალიჩაზე არაფის შექმლა“.

ხაიფუტდინ ხოდიევი
მსოფლიო ჩემპიონი სამბოში

ქ. ტაშენტი

იოსებ მაღალაშვილი

მას დიდი, ფართოდ გახედილი სხივოსანი თვალები აქვს. ყველაფერი ჩანს მასში: გულწრფელობაც, მიაშიტობაც, თავნებობაც. იოსებ მაღალაშვილის პირველი დანახვისთანავე იფიქრებთ, ასეთი თვალების პატრონი არავის არაფერში არ შეედავებაო. არც შედავებია არავის, მაგრამ იქცეოდა ისე, როგორც მოეპრიანებოდა.

მას კიცხავდნენ, აკრიტიკებდნენ, ზოგჯერ შეახურობდნენ კიდეც. ის თავს არ იმართლებდა, და, ვიმეორებ, არ დაობდა. მხოლოდ ღრმად ამოიონრებდა და ყველას ანიშნებდა, რომ დანაშაულს მთლიანად აღიარებდა. ასე „ინანიებდა ცოდვას“.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკაადის დაწყებამდე ერთი თვით

ადრე იოსებ მაღალაშვილი გამოიძახეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე. მკაცრად უთხრეს: ცუდად ვარჯიშობ. დატვირთვას გაუბრძობარ. წვრთნას თავს არიდებ. შენი მომზადება კრტიკულ მდგომარეობაშია. დაუყოვნებლივ, ხვალდანვე, ვაძლიერებულ წვრთნას უნდა შეუდგე. თორემ...

მაღალაშვილი თავიჩაქინდრული ისმენდა დამრიგებელთა საყვედურებს, ყველას ეთანხმებოდა და, როგორც უკვე ვთქვი, ოხრავდა. იმდენად გულწრფელად ინანიებდა. ისე მწვავედ განიცდიდა საყვედურებს, რომ მწვრთნელები შეეცნენ. მეტისმეტი ხომ არ ჰოვავდისო... „ქარგი, ასე ნუ განიცდი, ხვალდან ნამდვილი მუშაობა დაიწყეთ!“ „ხვალ“ მაღალაშვილი არც წვრთნაზე მოვიდა და არც სახლში აღმოჩნდა. სამი კვირა ეძებდნენ მთელ თბილისში, მაგრამ ვერ ნახეს. მოსკოვს გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე გამოცხადდა დარბაზში.

— სად იყავი?!

თერმე მშობლიურ სოფელ მეტეხში ჩასულა. მიწოდდა სპარტაკიადის წინ ცოტა დამესვენა და კარგად მოეშაჯებულყოფილი.

— მერე დაისვენე? მოემზადე? — ჰკითხეს გაბრაზებულმა მწვრთნელებმა.

— ცოტა. — უპასუხა გულწრფელმა მაღალაშვილმა. სასინჯად მისცეს რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა. პირველ სამ წუთს ყველას უგებდა, მეოთხე წუთზე იღლებოდა (ან კი როგორ არ უნდა დადლილიყო, როცა არ უფარჯიშია?) და აგებდა მოგებულსაც და იმასაც. რისი მოგებაც ვერ მოასწრო.

როგორ იჭიდავებ? — შემოფოთდნენ მწვრთნელები, სული გაეძვრება შუა შეხვედრაში!

— პირველ სამ წუთში უნდა მოვიგო... სამ წუთს მეყოფა გამძლეობა. — მიუვო უშფოთველმა მაღალაშვილმა. სპარტაკიადის ხალიჩაზე მან შეიდი შეხვედრა ჩაატარა. შეიდივე მოიგო, ფინალში გაიმარჯვა ანვარიშით 8:0. სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. განა საკიროა კომენტარი? როგორ არ გავიხსენოთ ერთხელ კიდევ ტაშკენტელი საინფუტდინ ხოდიევის სიტყვები: „ხალიჩაზე მისი მოქმედების გათვალისწინება არავის შეეძლო“.

განა ხალიჩის გარეთ კი შეეძლოთ? ვინ იფიქრებდა, რომ სსრ კავშირის ხუთგზის და მსოფლიოს ჩემპიონი იოსებ მაღალაშვილი 26 წლის ასაკში იტყოდა: „ჭიდაობა მომბეზრდაო“, და დატოვებდა დიდ სპორტს. საქმისმცოდნეებს ისღა დარჩენოდათ, რომ მხრები აეჩეჩათ.

ირაკლი მაღალაშვილს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა: გიორგი, იოსები და ალექსანდრე. სამივე მასთან ვარჯიშობდა. მამა, უტყუბა, კარგად წვრთნიდა შვილებს. სამივე სპორტის ოსტატი გახდა ქართულ ჭიდა-

ობაში, ალექსანდრემ კი ოსტატობის ნორმატივი შეაზრულა სამბოსა და ძიუღოშიც.

რა თქმა უნდა, ძმებს შორის ყველაზე ნიჭიერი იოსები იყო. ორმოცდაათ კილოგრამსაც არ იწონდა, სასოფლო პირველობაზე კი 70—80 კილოგრამიანებს ამარცხებდა.

მაგრამ ჰირვეულიც იყო! თუ ჰიდაობა არ ეწადა, ვერავინ დაიყოლიებდა. არც წვრთნა უყვარდა, ჰიდაობის სურვილს მასში დალღილობის გრძნობა კლავდა. მოთმენა კი არ სურდა. რატომ უნდა ითმინო, თუ ისედაც იმარჯვებ? ჰიდაობა მისთვის დღესასწაული იყო. მაგრამ რაღა დღესასწაულია, როცა გიჟირს, როცა ოფლად გაღვრილს თვალები გეწვის, როცა სამკილომეტრიანი კროსი მარათონივით გრძელი გეჩვენება.

ლაერენტი კაციშვილმა, სამბოში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, იოსების პირველმა მწვრთნელმა იმთავითვე იგრძნო. რომ მძიმე ვარჯიში ბიჭს არ უყვარდა. მაგრამ მას მოსწონდა ღონიერი და ცქვიტი ყმაწვილი, დარწმუნებული იყო, რომ ექსპერიმენტი შედეგს გამოიღებდა.

სულ არ ვარჯიშობდაო, რომ თქვა, სწორი არ იქნება. იღეთებს, მაგალითად, სიამოვნებით ამუშავებდა — ეს იყო საჰიდაო ხელოვნების კარიბჭე, თუ გნებავთ, ნაწილობრივ, ჰიდაობაც. აი მაშინ კი, როცა საჰირო იყო მუშაობა გამძლეობის გამოსამუშავებლად, მაღალაშვილს გუნება უფუქდებოდა, მოიწყენდა ხოლმე. ნიჭის იმედი მეტი ჰქონდა, ვიდრე შრომისა. სამოციანი წლების დამლევეს სამჯერ იყო მეორე პრიზიორი საბჭოთა კავშირის ჰაბუკთა პირველობებში. მიაკვივთ ყურადღება, — მეორე პრიზიორი. ეტყობა, მეტოქეებშიც იყვნენ არანაკლებ ნიჭიერი, რომლებსაც ამავე დროს შრომაც უყვარდათ. მარტო ნიჭით ფონს ვინ გაუა?

1969 წლიდან მაღალაშვილმა გიორგი როსტიშვილთან დაიწყო ვარჯიში. ყალთაბანდობა აღარ შეიძლებოდა და მაღალაშვილიც წვალობდა. მოგვიანებით იგი იტყვის: ყველაფერი, რაც ჩემშია, როსტიაშვილმა მასწავლაო.

ჩანს, ბევრი რამ უსწავლია, რაკი შეიდჯერ გახდა მოწაფე საქაროთველოს ჩემპიონი თავისუფალ ჰიდაობაში, რაკი შეიყვანეს ჩვენს ქვეყნის ნაკრებ გუნდში, რაკი დამარცხებული ჰყავდა რაფიკ გაჯიევი, ბორის ბაზაევი, ვლადიმერ ტოკინაკოვი და ვიქტორ იუშინი.

მაგრამ მაღალაშვილი თავისუფალი სტილის მოჰიდავე არ გამჩდა-რა. შემთხვევამ ბეჭებზე სამბისტის კიმონო მოახვია. ქართული და თავისუფალი ჰიდაობის ნიადაგზე გაიფურჩქნა მისი როგორც სამბისტის ოსტატობა — უჩვეულოდ დახვეწილი, ღრმა და შინაარსიანი.

1974 წელს მან მსოფლიო ჩემპიონი გუნადი გიორგაძე დაამარცხა,

მერე ევროპის ჩემპიონ ტაშკენტელ ანსაც აჯობა, სხვა დანარჩენ მეტოქეებსაც და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

წარმატებებმა იგი არ შეცვალა. „ალბათ, ცოტა გავეშმაკიდი“, — თქვა მან. აქ მაღალაშვილი აშკარად თავმდაბლობს. ეშმაკობა არასოდეს არ აკლდა. აი მაგალითი: იოსებმა ცურვა არ იცის და წყლისა გვარიანად ეშინოა. ერთხელ ბავშვობაში ხელი უკვრიათ, წყალში ჩაუვდრიათ და კინაღამ დამხრჩვალა. წყალი სამუდამოდ შეგავრდა. მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის დროს თანაკურსელებს ისეთ აზრიან რჩევა-დარიგებებს აძლევდა ხოლმე, რომ მასწავლებელს ერთხელაც არ მოსვლია აზრად, ამ ყმაწვილმა ცურვა არ იცისო. წყალში არ ჩადიოდა, ჩათვლებს კი მუდამ დროზე იღებდა. რა ექნა? ნათქვამია: გაკირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. მაგრამ ყოველთვის როდი ეშმაკობდა. ხალიჩაზე გამოსვლისას წარმოჩინდებოდა ხოლმე მისი ხასიათის ყველაზე ნათელი თვისება — სიმამაცე. ან ყველაფერი, ან არაფერი! იცოდა, რომ ასეთი პროგრამის განხორციელება ძნელი იყო. იცოდა, რომ „დასახარჯი უნდა დაეხარჯა“, და თავს არ იზოგავდა. შესაძლებელსა და შეუძლებელს აკეთებდა.

დიდი სხივოსანი თვალები უფრო უფართოვდებოდა, მათში ბრძოლის ენის იყო ანთებული. ნებისმიერ ორთაბრძოლას მთლიანად ეძლეოდა. და იმარჯვებდა. იმარჯვებდა მაშინაც, როცა უნდა წაეგო.

სამბისტთა 1974 წლის მსოფლიოს პირველობაზე საქმეში ჩახედული ხალხი უპირატესობას მონლოლ პუნცაგს ანიჭებდა. მაგრამ იოსებს თავისი გეგმა ჰქონდა და პუნცაგს ფანდების ისეთი ქარიშხალი დაატეხა, რომ უდრეკი მონლოლიც შედრკა. 8:4! მაღალაშვილმა ერთ ფინალურ ორთაბრძოლას იმდენი ენერგია და ოსტატობა შეაღლია, რომ შეუძლებელი იყო არ გაემარჯვა. ბრძოლა რომ დამთავრდა, ახალ მსოფლიო ჩემპიონს წარმატება სხვებზე ადრე მონლოლმა მიულოცა:

— შენ დიდი მოკიდავე ხარ! მე — უფრო ძლიერი! აი, დაცვა რომ ისე სწრაფად ვიციოდე, როგორც შენ თავდასხმა იციო. მაგრამ ვისწავლი ამას, ბევრს ვივარჯიშებ, და მერე ვნახოთ. შენ ამდენს ვერ ივარჯიშებ. შენ ჩემზე ნიჭიერი ხარ, ამიტომაც ნაკლებს მუშაობ; მომავალ წელს მოგიგებ და მსოფლიო ჩემპიონი გავხდები.

მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის წინ მაღალაშვილმა თბილისში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა მოიგო. გულშემატკივრებმა შეუკვეთეს: მინსკიდან ოქროს მედალი უნდა ჩამოიტანო.

საქართველოს სახალხო არტისტმა კ. მახარაძემ, სპორტის დიდმა ტრფიალმა და კარგმა მცოდნემ, ამ სტრიქონების ავტორს ერთხელ უთხრა: „არიან შესანიშნავი პოეტები, რომლებიც ორ სიტყვასაც ვერ დაწერენ „როცა საჭიროა“, მაგრამ როცა საჭირო არ არის, სწორედ

მაშინ ეწერებათი აი, ჭიდაობის ასეთი პოეტი იყო იოსებ მაღალაშვილიც“.

1976 წელს მან კვლავ მოიგო სსრ კავშირის პირველობა. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს. შემდეგ წელს სურათი განმეორდა. იოსები მიხვდა, რომ მწვრთნელები მასთან ბრძოლაში დაილაღნენ. თავადაც დაიღალა. მაგრამ ახლოვდებოდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა. იგი იპოვეს. დაიყოლიეს. გამოვიდა, იქიდავა, ჩემპიონი გახდა. მერე უკვე საბოლოოდ წავიდა ხალიჩიდან. მაშინ 27 წლისა იყო...

ერთხელ 33 წლის იოსებ მაღალაშვილს ვკითხე:

— სარბიელი აღარ გენატრება?

— მენატრება და მერე როგორ!

— მაშ რაშია საქმე?

— ისევ რეჟიმი, წვრთნა. ვარჯიში. არ შემოძლია!

ადამიანი არ გამოცვლილა. ეს კარგია...

რანდოზის გაკვეთილი

„ხუბულურის აუჩქარებლობა მოჩვენებითია. როცა იგი კიდაობდა, იშვიათად თუ ვინმე დაასწრებდა. თემურის იერიშები მუდამ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე მის მეტოქეთა დაკეთი მოქმედებანი“.

ბორის შიშჩენკო
სსრ კავშირის დანსახურებელი
მწერთელი

ქ. მოსკოვი



თემურ ხუბულური

სექციაში გამხდარი, ვიწრომხრებიანი ბიჭი მოვიდა. გაძლიერებით დაიწყო წვრთნა და ათი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. საერთოდ სწორი სქემაა, მაგრამ თემურ ხუბულურისათვის არ გამოდგება. რაც თავი ახსოვს, თემური არც გამხდარი ყოფილა და არც ვიწრომხრებიანი.

ჯერ კიდევ სკოლაში სამოცდაათ კილოგრამს იწონიდა. ცემენტის ხსნარი ოთხი ვედროთი აჰქონდა (თითო ხელში ორ-ორი ვედრო) მეორე სართულზე და მამას ეხმარებოდა სახლის მშენებლობაში. სხვათა შორის, მამის შესახებ ეს გაიხსენა: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უზარმაზარი მორი სთხოვა. ხელმოკერილმა თავმჯდომარემ შეხედა ტანმორჩილ, გამხდარ კოლმეურნეს და გადაწყვიტა ეხუმრა:

„წაიღე, თუ ზიდავ“. უფროსმა ხუბულურმა მორი მხრებზე შეიგდო და მსუბუქად წაიღო. თემურიც ღონიერი იყო, მაგრამ საბრძოლო სულისკვეთება აკლდა. არასოდეს ჰქონია სურვილი ეჩხუბა, გაერთყა ვინმესთვის. უფრო მეტიც, სულ იმის ცდაში იყო, რომ არავინ გაეჭაფებინა. ჩხუბი საერთოდ არ იცოდა. თუ თანატოლი მუშტებით მივარდებოდა, ის ბიძგით იგერიებდა. ერთხელ ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. თემური მინდვრის კიდედთან, მალალ მესერს აკვროდა და გულშემატკივრობდა. მასთან მიგორებული ბურთი უნდოდა ცენტრში გადაეგდო, მაგრამ მარჯვედ ვერ დაარტყა და ბურთი მესერს მოხვდა. აღშფოთებულმა თავდამსხმელმა მას ფერდში ჩაართყა. ეტყობა, მოულოდნელობის გამო დაცვიით რეფლექსი ამუშავდა. ხელი დაავლო აბეზარს და მესერს იქით მოისროლა.

ერთი სიტყვით, თუ მკითხველს თემურის ბავშვობაზე რაიმე შეკითხვა გაუჩნდება, ვურჩევთ ჩავიდეს სოფელ სკრაში, გორიდან ხუთ კილომეტრზე, და შესაძლოა გაიცნოს კიდეც ის კაცი, ვინც პირველმა აღმოაჩინა თემურ ხუბულურის ნიჭი, ხუბულურისა, რომელიც საქართველოს სპორტსმენთაგან პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ძიუდოში.

მწერალ ალექსანდრე კულეშოვის წიგნში „გაეცანით — ძიუდოა“ ასეთ სტრიქონებს ამოიკითხავთ: „იაპონიაში ენახე ხუთი წლის ბავშვები. ისინი ცელქობდნენ, ბალახზე თამაშობდნენ, დარბოდნენ, ხტოდნენ, როგორც ყველა ბავშვი, მაგრამ ძიუდოს ჰიდაობდნენ ისე, როგორც ყველა ვერ იკიდავებს. შესაძლოა, ჯერ კიდევ სრულიად თავდაჭერებულად არა, მაგრამ პატარები იყენებდნენ ძიუდოს ილეთებს — სარმებს, გდებებს“.

ამ აბზაცში უნდა შეიკვალოს მხოლოდ ორი სიტყვა — იაპონია საქართველოთი და ძიუდო — ქართული ჰიდაობით, რათა მივიღოთ ის სურათი, რაც საქართველოს ბევრ სოფელში ხდება. არც სოფელი სკრაა გამონაკლისი, სადაც თემურ ხუბულური დაიბადა.

თექვსმეტი წლის თემურმა ყოველდღე დაიწყო მგზავრობა გორში, ხშირად ფეხითაც უხდებოდა ჩასვლა. იქ ჰიდაობის სექციას უძღვებოდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი, რომელიც დაგვიანებას ვერ იტანდა, თემური არცთუ იშვიათად სტაიერულ ტემპს სპრინტერულით ცვლიდა. მისი წონის პატრონისათვის ეს იოლი არ იყო.

— გავრბოდი და ვფიქრობდი — თუ არ დავიგვიანებ, ჩემპიონი გახდები, — ხუბულური იღიმება. — როცა ორი ფვის შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა პირველობა მოვიგე, გამახსენდა ეს „კროსები“... გამოძიდა...

ზაუტაშვილი პირველად შეშობდა, რადგან მისი ახალი მოწაფე

ფიზიკურად ძლიერი იყო. დამწყებში ძალ-ღონე მთავარ როლს ასრულებს. ძლიერები ადვილად სკაბნიან თანატოლებს, ამიტომაც განსაკუთრებული ხალისით როდი ითვისებენ ტექნიკას: „რამი გვჭირდება? ისედაც ვიმარჯვებთ!“ ხოლო როცა ტექნიკის დროც მოდის, — ასეთი დრო კი აღრე თუ გვიან აუცილებლად უნდა დაუდგეს, — როცა გუშინდელი „სუსტი“ თანდათან ამარცხებს გუშინდელ „ჰერკულესს“, მაშინ უკვე გვიანია ტექნიკური არსენალის გაფართოება. დრო წავიდა და მას ვეღარ დააბრუნებ.

ხუბულურს ამგვარი არაფერი მოსვლია. ძალ-ღონე ერჩოდა, მაგრამ მასწავლებლის ყველა მოთხოვნასაც გლებური კეთილსინდისიერებით ასრულებდა. ზაუტაშვილი მარტო მწვრთნელი კი არ იყო, არამედ სპარინგ-პარტნიორიც. „ყველაფერი, რაც ვიცი, ზაუტაშვილის დამსახურებაა. ჩვენ ყოველდღე ვჭიდობდით. წარმოდგენა არ მქონდა, დაწოლილს როგორ უნდა მეჭიდავა, და ამ ილეთს ძალიან ძნელად ვითვისებდი. ჩემთან ერთად წვლობდა ბატონი გივიც“.

როცა შოთა სოხიშვილი 1972 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, თემურ ხუბულურმა ჩვენი ქვეყნის კაბუტია ჩემპიონატი მოიგო. ცხადია, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ შეიდი წლის შემდეგ ეს აუჩქარებელი, მშვიდი ყმაწვილი საქართველოში პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. მის თანატოლებში არანაკლებ ნიჭიერი ბიჭებიც იყვნენ, მაგრამ, როგორც ერთხელ რესპუბლიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა შენიშნა, „გორში ასფალტიც ასწავლის!“ ამ ქალაქის ძიუდოსტური ტრადიციები კარგი სტიმული იყო. სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გურამ პაპიტაშვილმა აღუზარდა ჩვენს ქვეყანას ევროპისა და ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონები. ისინი ხუბულურისთვის მისაბამი იყვნენ.

პირველ დიდ წარმატებას ოცი წლის თემურმა კონტინენტის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მიაღწია. „ისე მოხდა, რომ ყველა „გადაყარა“, — მეუბნებოდა და თან დარცხვენით იღიმებოდა. სად გადაყარა? სამბოში, კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში გდების ილეთი დაწყებულნი არენაზე და დამთავრებული მის საზღვრებს იქით, სულ ცოტა ხანია, რაც ქულად ითვლება. ძიუდოში კი იგივე უკვე მოძველდა. ექვსჯერ გამოვიდა ორთაბრძოლაში ხუბულური. ექვსი მეტოქე მისი იერიშებისაგან თავდაცვის მიზნით ტატამის ნაპირსაკენ იხევდა, მაგრამ იქ ჩერდებოდა. ძიუდოში ზუსტი წესებია — ტატამიდან გადასვლისათვის იღებ გაფრთხილებას — ორჯერ თუ გადახვედი, დისკვალიფიკაცია გეძლევა. თითქმის ყველა გდება, რომლებმაც ექვსი სუფთა გამარჯვება მოუტანა, თემურმა შემოთენილ ჭილობზე დაამთავრა. სწორედ ამიტომ თქვა „გადაყარა“.

იგი გრძნობდა, რომ მისი უამი დგებოდა, და ისე ვარჯიშობდა,

როგორც გლეხები შრომობენ ალოობისას. წვრთნა სამიდან ხუთ საათამდე ვრძელდებოდა. სერისაყენ მიმავალი მატარებელი კი საღამოს რვაზე გადიოდა. თემურიც ხუთ საათს არ ტოვებდა დაბაზს. თუ მწვრთნელი ეუბნებოდა, ორმოცდათი მოძრაობა გააკეთეო, ის ასს აკეთებდა. თუ ასს ეტყოდა, ორასამდე ადიოდა. თემური მუშაობაში თავს არ იზოგავდა. ამიტომ ტექნიკაც გამოიმუშავა. გამძლეობაც და სხვა დანარჩენიც... მავრამ ბედი არ უღიმიოდა. მეორე ადგილზეც იყო და მეოთხეზეც. ტრავმებისკენაც თავს ვერ იზღვევდა. სწორედ ტრავმის გამო ვერ გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე 1977 წელს. სხვას შეიძლება ხელიც ჩაეჭნია. ხუბულურმა კი, პირიქით. წვრთნას უმატა. უფრო სიტყვაძენში გახდა, ჩაიკეტა თავის თავში. მეკობრებს ერიდებოდა. მუშაობდა და მუშაობდა. მწვრთნელებს ასეთი ყმაწვილები მოსწონთ. სწამთ მათი. ხუბულური შეიყვანეს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე.

პირად შეგიბრებებში ჭიდაობის ნება არ დართეს — „შენ უფრო ნეტისათვის ხარ საჭიროო“. მანაც არ უმტყუნა, დაამარცხა ანჯელო პარიზი, რომელიც ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა (შემდეგში ოლიმპიური ჩემპიონი). თემური დაეხმარა ჩვენ. გუნდს ასულიყო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

თუ არ იცი, რომ თემურ ხუბულური ძიუდოს დიდოსტატია, ძალიან თამაში უანტაზია უნდა გქონდეს, რომ ეს ივარაუდო. დიას, იგი დიდია და ღონიერი, ძლიერი სხეული ბოძებზე თუ ფეხებზე უდგას, ვეება მკლავები აქვს, ხმელი და მაგარი თითები. სულ ეს არის? განა ასეთი ჭაბუკები ცოტანი არიან? დიდ გამარჯვებათათვის ეს არ კმარა. ხუბულური მეტად დინჯია. ნეტა ნახოთ, როგორ დადის. მოჭიდავეები ასე არ დადიან. ფეხს მძიმედ აბიჯებს. მოძრაობა აუჩქარებელი და ზანტი აქვს. ტიპური ფლეგმა. იკითხავთ, მამ როგორღა ჭიდაობს?

— როგორ ჭიდაობთ, თემურ?

— არ ვიცი, ვჭიდაობ, როგორც ყველა...

შესანიშნავად იცის, მაგრამ არ ეხერხება ან არ სურს საკუთარ თავზე ლაპარაკი. ცხარედ ჭიდაობს. ფეთქდება, იერიში ისეთ ძალებს ამოქმედებს, გულში რომ აქვს ჩამარხული. ასეთი ჭაბუკები უმთავრესს არ ამხელენ.

მაგრამ ვიდრე არ არის ჭიდაობა, ვიდრე გრძელდება ძნელი საუბარი ჟურნალისტთან, ეს ძალები თვლემენ. თვალებიც ისე ებლიტება, მზერაც ისეთი აქვს, თითქოს ძილი ერევა, გუშაგივით, რომლის წინაც მთელი დღის მანძილზე არავის ჩაუვლია.

მაგრამ სულ სხვაა იგი ჭიდაობის დროს! ვთქვათ, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალში ოლიმპიური ჩემპიონი სერგეი

ნოვიკოვი ევროპის ჩემპიონ თემურ ხუბულურის წინააღმდეგ. როგორ? მძიმეწონოსანი ქვემძიმეწონიანის წინააღმდეგ? დიახ. ეს იყო ფინალი აბსოლუტურ კატეგორიაში. აქ ასეთი რამ დასაშვებია. ნოვიკოვი როცა არ უტევს, არც დარბის მომართულივით ტატამზე. იერიშის დროს იგი სწრაფია. მაგრამ იერიშზე არ გადადის, არც ეჩქარება. შეიძლება უფრო მსუბუქმა მეტოქემ ისარგებლოს ამით და ოლიმპიელს თავს მოახვიოს მოძრავი, მისთვის უჩვეულო ჭიდაობა. მაგრამ იგი არც თავს ახვევს, არც წყვეტს ჩაჭიდებას. ნაკლებად მოძრავია და ამიტომაც ელოდება...

ამ ორთაბრძოლის შესახებ ბევრს ლაპარაკობდნენ და ბევრს წერდნენ; ამასთან სხვადასხვანაირად: ნოვიკოვი არ იყო მზად და ხუბულურმა მოულოდნელად გაიმარჯვაო; ნოვიკოვმა ჭეროვნად არ შეაფასა მეტოქეო. ჩემი აზრით კი, აქ ნოვიკოვში კი არ არის საიღუმლო, არამედ ხუბულურში. მან ცხადყო, რომ არ ეშინოდა ოლიმპიური ჩემპიონის, რომ მზად იყო „განეხილა“ მისი ყოველი წინადადება. ეს იყო მთავარი შეხვედრაში, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე გახლდათ. გაიმარჯვა ხუბულურმა და ეს გამარჯვება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მის ბიოგრაფიაში. ეს მოულოდნელი არ იყო მისთვის. იგი ელოდა და აკი მზად დახვდა კიდევ.

— თემურ, ვინ არის შენი ყველაზე ძნელი მეტოქე?

— აბა...

მას შეეძლო ეთქვა: „აბა, რა საკითხავია!“ მაგრამ სათქმელი არ დაასრულა, მხოლოდ ხელები გაშალა. ამ კითხვაზე შეიძლება ერთი პასუხი — რობერ ვან დე ვალე.

ჩვენ ქვეყანაში სიყვარულით ეკიდებიან ამ ბელგიელს. იმიტომ, რომ ვაჟკაცია, ლაღად ჭიდაობს, სპორტსმენის კარგი თვისებები აქვს და საერთოდ შესანიშნავი ახალგაზრდაა. საიდან ვიცი ეს? საიდან იცის ეს რამდენიმე ათასმა თბილისელმა, რომლებიც მივიდნენ სპორტის სასახლეში და რობერს შეხვდნენ როგორც ვან დე ვალე შეიღეს. ხალხი გრძნობს ადამიანს, მეც ასევე ვგრძნობ...

მოგრძო სახე, მაღალი შუბლი. დიდი, სუფთა თვალები, თხელი, არწივისებური ცხვირი, ჩამოქნილი ტანი, ლალი სიარული, თითქოს გასაფრენად ემზადებაო. ასეთი მოხდენილი გარეგნობის ვან დე ვალე ტატამზე ნამდვილი მოჭიდავეა. გაბედული, პირდაპირი, შეუპოვარი, მოუღლეი. თვალები ბრძოლის ყინულოვანი ცეცხლით უბრწყინავს. გახსოვთ, მოსკოვში 1983 წელს მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში? გახსოვთ, 86-კილოგრამიანი ვან დე ვალეს შერკინება 140-კილოგრამიან საიტოსთან? ყველა კრთოდა ღონიერი, ტექნიკური იაპონელის წინაშე. მხოლოდ ვან დე ვალეზე არ ითქმოდა ეს. გახსოვთ მისი გდება ვარდნით, როცა საიტოს ბედი ბეწვზე ეკიდა? რობერმა შეხ-

ვედრა წაავო. მაგრამ როცა იგი ტატამიდან მიდიოდა, ოვაციით გააცილეს. ღირსი იყო ნამდვილად.

„ის ლამაზი, კარგი სულის ადამიანია, ჩემი მეგობარია“, — წყნარად, ალაღად თქვა თემურ ხუბულურმა.

ისინი მეტოქეები არიან. პირველად ერთმანეთს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე შეხვდნენ. ხან ერთი უგებდა, ხან მეორე. პარიზის მსოფლიო ჩემპიონატის წინ (1979 წელს) ხუბულურმა ხუთჯერ გაიმარჯვა ვან დე ვალესთან, უმნიშვნელო უპირატესობით, მაგრამ მაინც; ახლა ის, რაც ადრე იყო, არ ითვლებოდა. აჰ, მსოფლიო ჩემპიონატს, თავისი არითმეტიკა ჰქონდა...

— თქვენ ინტუიციისა გჯერათ? — მეკითხება ხუბულური და ვიდრე ვუპასუხებდე, თვითონვე ამბობს: — მე მჯერა. ვგრძნობდი, რომ შემეძლო ჩემპიონი გაემხდარიყავი. რატომ? ვერ გეტყვით. ვგრძნობდი იცით, თითქმის ყველა ჩემი მეტოქე მანამდე უკვე დამარცხებული მყავდა სხვადასხვა შეჯიბრებაზე. მარტო იაპონელმა იშიკავამ მომიგო ორჯერ. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამჯერად მასაც დავამარცხებდი.

თემურმა პირველ შეხვედრაში ადვილად გაიმარჯვა, მაგრამ ორთაბრძოლის ბოლოს ნეკნი გაიტეხა. ფლეგმატური ხუბულური პირველად ვნახეთ გამძვინვარებული. მზად იყო საკუთარი ხელით ამოეგლიჯა მტკივნეული ნეკნი, რათა ჭიდაობასა და სუნთქვაში ხელი არ შეეშალა. გატეხილი ნეკნი ძალზე აძნელებს სუნთქვას, ჭიდაობას ხომ ნულარ იტყვიან...

და მაინც ვავიდა საჭიდაოდ! ჰოლანდიელი ნიუმანი აგებდა ორ „კოკას“ (ორი გდება უკანა სარმით), უნგრელი სევეშიც აგებდა ორ გლებას, ავსტრიელმა კასტენბერგმა მოულოდნელად ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია, დასაწყისში დაწინაურდა, მაგრამ ვერც მან გაუძლო ხუბულურის უკანა სარმას.

— თემურ, ჭართულ ჭიდაობაში რა ეწოდება უკანა სარმას?

გაკვირვებული მიმზერს და მპასუხობს:

— გადაავლი...

მაშ ასე, ფინალი. როგორ ფიქრობთ, ვისთან? დიახ. რობერ ვან დე ვალესთან.

მან მოუგო იშიკავას და თემურთან მორიგი შეხვედრისათვის ემზადებოდა.

— კუბერტენის სახელობის სპორტის სასახლის წინ პარიზისათვის დამახასიათებელი ტიპური პატარა სკვერია. სულ ოთხი სკამი დგას. — ხუბულურმა ამოიოხრა. რაღაც გაახსენდა. — ფინალამდე საათ-ნახევარი დარჩა. დასასვენებლად წავედი. სკამზე დავწევი, ნეკნი მაწუხებდა. ვიფიქრე, ექიმთან მივალ ნემსის გასაკეთებლად-მეთქი,

მაგრამ მოთმენა ვარჩიე. შეხვედრამდე გამივლიდა მისი მოქმედება, ორ ნემსს კი ექიმი არ გამიკეთებდა. თვალდახუჭული ვიწეკი, „მეძინა“.

რობერი მოვიდა, ჩემ სკამთან მოშორებით ცოტა ხანს იწვა, შემდეგ ადგა, ისევ დაწვა, მე არ გამკარებია... სწორადაც მოიქცა. ყალბი საუბარი გამოგვივიდოდა. მეც და ისიც იმის ფიქრში ვიყავით, როგორ დაგვემარცხებინა ერთმანეთი. ის ბოლთას სცემდა, მე კი „მეძინა“, თუმცა ღრიალი მინდოდა...

ფინალში ჭერ ვან დე ვალემ მოუგო ხუბულურს ერთი კოკა, თემურმა სამი კოკით უპასუხა — სარმა დაუდო და ორი „გადაავლი“ ჩაუტარა. ძიუდოისტური ტერმინოლოგიის მკაცრი დამცველი, ალბათ, გაწყრება გდების ქართული სახელწოდების ხმარებისათვის. აქნებ სამართლიანადაც. ტერმინოლოგია უნდა დავიცვათ. მაგრამ, მეორე მხრივ: ხუბულური მსოფლიო ჩემპიონად მხოლოდ „გადაავლით“ გავიდა. ის, რაც ადამიანს ბავშვობიდან შეუსისხლხორცებია, ღრმა სიბერემდე გაპყვება...

დაჯილდოების შემდეგ ვან დე ვალემ თემურს უთხრა: „ვაუკაცი ხარ, ასეთი ნეკნით ბევრი ექიმთან წავიდოდა, შენ კი იჭიდავე... შენი უკანა სარმა პირდაპირ სტიქიური უბედურებაა! მე ვიფიქრებ ამაზე, მაგრამ ჭერჯერობით ვერაფერს გიპასუხებ...“ ხუბულურმა გაუღიმა და ჩვეულებრივ ხელების გაშლა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ნეკნი ცეცხლივით სწვავდა...

ვან დე ვალე თავისი სიტყვის პატრონი აღმოჩნდა. მოიგონა დაცვა „გადაავლის“ წინააღმდეგ. მოსკოვში ოლიმპიადა-80-ზე თემურმა მოუგო მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონ დიტმარ ლორენცს (გდრ) და ფინალში გავიდა, რობერმა კი მსოფლიო ჩემპიონ ჟან-ლუკრუჟეს (საფრანგეთი). მაგრამ ფინალში თემურმა ვერ განახორციელა თავისი შეტევა და ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონი ვან დე ვალე გახდა. ვერცხლი კი ხუბულურს დაუტოვა.

მაგრამ თემური და ვან დე ვალე მალე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. თემურმა მეტოქე მხარულთ წამოიღო და „კოკით“ გაუსწრო. თემური ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. 1983 წლამდე იგი ერთადერთი საბჭოთა მოჭიდავე იყო, რომელსაც ასეთი წოდება ჰქონდა.

- თემურ, ეშმაკობა საჭიროა ძიუდოში?
- მეგობართან ეშმაკობა არ შეიძლება...
- ტატამზეც კი?
- რა თქმა უნდა.
- თუ ტატამზე მეგობარი არ არის?

დიღანს ღუმს, ეტყობა, წყვეტს, უპასუხოს თუ სიტყვა ბანზე აავდოს. პასუხობს:

— იაპონიაში წვრთნაზე ვეკიდავებოდი იასუხირო იამასიტას. მას არ სჭირდებოდა ქიდაობისათვის განწყობა. მე პირდაპირ დავეუდე სარმა, ზურგზე მოვიგდე (ჩვენ ამას „კისრულს“ ვუწოდებთ), ჩემ „გადაავლესაც“ მიემართე. იგი გაბრაზდა და პირდაპირ მეძვერა... ვუთხარი, თირკმელი ამტკივდა-მეთქი, და ქიდაობაზე უარი ვთქვი... მინდოდა გაწვალბულიყო, ეფიქრა, ხუბულური ჩემზე ძლიერიაო...

— იქნებ მართლაც იმაზე ძლიერი ხარ?

— არა, იგი ყველაზე ძლიერია, ასეთი მოქიდავე მსოფლიოს არ ჰყოლია..

— ჩვენ საბჭოთა ძიუდოს სკოლას არ შეუძლია გამოზარდოს ასეთი მოქიდავე?

— ვფიქრობ შეუძლია. საქართველოში ყველაზე ენერგიული მწვრთნელია ბიძინა მაზიაშვილი. იგი ოცდახუთ წელიწადს იყო ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ბევრჯერ გავუყვანივარ საერთაშორისო ტატამზე და ყოველთვის მეუბნებოდა: „თემურ, წინ! ჩვენ ამას აღვილად მოვუგებთ!“ იგი მუდამ ასე ამბობდა „ჩვენ“ და ამისათვის დიდ პატივს ვცემ. ახლა ბატონი ბიძინა კაბუკებს წვრთნის. ჩემი მეორე მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილიც არ ზის გულხელდაკრეფილი, სხვა ქართველი მწვრთნელებიც ეძებენ ტალანტებს. მაზიაშვილს ზღვა ენერჯია აქვს, დარწმუნებული ვარ ის და მისი კოლეგები საქართველოში იპოვიან ჩვენებურ იამასიტას, შეიძლება, უკეთესსაც...

რობერ ვან დე ვალეს ერთი სისუსტე აქვს. მეტისმეტ პატივს სცემს პოლიციას. თბილისში გამოიჩკვა, რომ რობერი არც მილიციისადმი „გულგრილი“. ერთხელ თემურთან სტუმრობისას მას პატარა ყანწით ღვინო შეუსვამს, მაგრამ ვინაიდან ამ „სერიოზულ საქმეში“ მწვრთნელი არ ჰყავდა, ცოტა მეტი მოსვლია. როცა თემურთან ერთად მანქანაში ჯდებოდა სასტუმროში წასასვლელად, რობერს უთქვამს, თავი სავსე მაქვს ღვინით და კარგი იქნება, თუ ამას ადგილობრივი პოლისი, ე. ი. მილიცია, არ შეიტყობსო. ხუბულურს მოკლედ და ნათლად უპასუხია:

— რობერ, ეს არ არის პრობლემა!

— სასტუმრო „აჭარასთან“ მანქანების ჰედვა იყო. მაგრამ თემური შენაშნა ავტონისპექციის ოფიცერმა. მივიდა და მიესალმა. მილიციელის დანახვაზე რობერი მყისვე გამოფხიზლდა და დააპირა პროტესტი განეცხადებინა იმის გამო, რომ დააკავეს მანქანა, რომელშიაც უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი იჭდა, მაგრამ ოფიცერმა დაასწრო:

— ვან დე ვალეს გაუმარჯოს! — ალტაცებით უთხრა და დასძინა—

„ოკეი!“ გაოცებულმა, ნასიამოვნებმა ბელგიელმა მაშინვე მოითხოვა, რომ თბილისის ავტონისპექციის მთელი შემადგენლობა მასთან ბრუნსელში ჩასულიყო სტუმრად. მიწვევა სიამოვნებით მიიღეს. ლიტტში რობერი ლილინებდა: „გაუმარჯოს ვან დე ვალს, გაუმარჯოს!“

როცა სსრ კავშირის ნაკრები ბელგიაში იყო, მორიგი წვრთნის დროს თემურთან მივიდა მშვენიერი ქალიშვილი ძიუდოს ფორმაში, მათებურად მიესალმა და ორთაბრძოლა შესთავაზა.

— კინალამ დავეცი მის დანახვაზე, — გაიღიმა ხუბულურმა. — ჩამოვჩქეი, რომ მართლა არ დავცემულიყავი. შემდეგ ვიფიქრე: ვისთან აპირებ, თემურ, ჭიდაობას? მსუბუქად მოვკიდე ხელი მის კიმონოს, მალლა ავწიე და ვგრძნობ, ცოტაც და ჰაერში გაასაფხავებ ფეხებს. არა, არ შეიძლება ასე, ეს ხომ ქალია-მეთქი...

დავდივართ ტატამზე. გაგივიათ, ის ჩაჭიდებას ცდილობს... ერთხელ შოთა ჩოჩიშვილიც წამოეგო ასეთ გდებაზე. ვინც ამას გაახსენებს, კარგა ხნით დაემდურება შოთა. „არა, გოგონა, ჩემთან ეს არ გაგივა“, ვფიქრობ და ვანელებ: მის აგრესიულობას კიმონოზე ოდნავ ხელის წავლებით, თან ფეხს ვწევ წინ. ჭერ ვერ დაინახა, შემდეგ მოისაზრა და სარმა გამომდო. ყველა ჩემი მეტოქე რომ ასეთ სარმებს მიდებდეს, ფეხი არასოდეს მეტკინებოდა. რა მექნა? მოსხებილივით ცალ მუხლზე დავეცი. მან სიხარულით შეიკუნტრუშა...

თემური არა მარტო ცალ მუხლზე დაეშვა, სამჯერ მსუბუქად დაჰკრა ხელი ტატამს კაპიტულაციის ნიშნად. ასევე დაჩოქილმა ორივე ხელი მალლა ასწია, გამარჯვებულს ვნებდებო, და გაიღიმა. ძიუდოსისტმა ქალიშვილმა თავაზიანად დაუკრა თავი, შემდეგ სწრაფად აკოცა ლოყაზე და გაიქცა. მეორე დღეს კი რობერმა თემურს მოუტანა გაზეთი კაპიტულაციის ფოტოსურათითა და ასეთი ტექსტით: მსოფლიო ჩემპიონი თემურ ხუბულური რაინდობის გაკვეთილს უტარებს ყველას, ვინც დაივიწყა, რომ მშვენიერთა სქესი ყოველთვის უნდა იმარჯვებდეს...

— თემურ, რა არის მთავარი ძიუდოში?

— შრომა! და არა მარტო ძიუდოში... — ასე მიპასუხა მსოფლიო ჩემპიონმა და მშვიდი, ოდნავ მთვლემარე თვალებით შემომხედა.

მოუკლავი წაურვილი



მიხეილ სალაძე

„არავინ იცოდა, როდის იფეთქებდა, ორთაბრძოლის დასაწყისიდან ბოლო წამამდე მუდამ ფხიზლად უნდა ეყოფილიყავი. კიდევ ერთს ვიტყვი. ჩემი მეტოქეების უმეტესობისა ხალიჩაზე დევნა მიხდებოდა. სალადისა კი — არასოდეს! როგორც არ უნდა შეტრიალებულიყო ორთაბრძოლის სიტუაცია, იგი ყოველთვის წინ მიდიოდა და ამაყად ქიდაობდა — წელში არ მოიხრებოდა...“

ნაიკოლოზ ბაღბოშინი

სპორტის დამსახურებული ოსტატ,
ოლიმპიური ჩემპიონი

ქ. მოსკოვი

ძიუდოისტების ტურნირებს მძიმე და ქვემძიმე წონის მოჭიდავეები იწყებენ. ისინი აბსოლუტურ კატეგორიაში შეჯიბრებათა მთავარი მონაწილეები არიან და ამიტომ პირველ და უკანასკნელ ღღეს ქიდაობენ. ხომ უნდა დაისვენონ ადამიანებმა.

კლასიკური, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები და სამბისტები თავიანთ ტურნირებს კი, როგორც წესი, უმჩატესთა შერკინებებით ხსნიან. მაგრამ წესიდან გამონაკლისებიც ხდება ხოლმე...

ერთხელ კლასიკურ ქიდაობაში სსრ კავშირის ნაკრების ტრადიციული ტურნეს დროს შვეციაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენი გუნდი იძულებული ხდებოდა ყოველი შეხვედრა მასპინძლებთან ანგარიშით 1:0 დაეწყო და ისიც არა თავის სასარგებლოდ. ფეხი

დაუშავდა ჩვენი გუნდის მძიმე წონის მოჭიდავეს. შედეგები კი არ დათანხმდნენ ერთი კაციტ ნაკლებ გუნდთან შეჯიბრს.

ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ იგუმენოვმა მშვენივრად იცოდა, რომ ცხრა საბჭოთა სპორტსმენიც დაამარცხებდა ათ შვედს. მაგრამ მაინც რატომ უნდა დაეთმოთ ქულა უბრძოლველად?

— მიშა, შენ „იფარიკავებ“ აქაც და იქაც...

არისა — სიხარულით წაშოიძახა სალაძემ და ჰუსარულად ქუსლის ქუსლზე შემორტყმით სცადა მისალმება, მაგრამ მოჭიდავეთა ფეხსაცმელი უქუსლოა და ამიტომაც არ გამოუვიდა, სამაგიეროდ დანარჩენში ყველაფერში იმარჯვა.

მიხეილ სალაძე ჯერ ქვემძიმე წონაში გამოდიოდა. ამარცხებდა მათ და შეხვედრის ბოლოს, როგორც იგუმენოვმა თქვა, „იფარიკაობდა“ მძიმეწონიანებთან. სსრ კავშირის ნაკრებმა შვეციაში ოთხი შეხვედრა ჩაატარა. რვაჯერ იქნა მ. სალაძე საასპარეზოდ მიწვეული და რვაჯერვე გაიმარჯვა. ზოგიერთი მეტოქე მასზე 20 და 35 კილოგრამით მეტსაც იწონიდა, მაგრამ მიხეილი ამას არ შეუშინებია.

ეტყობა, სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის არის მოგონილი განსაზღვრება — „სიმტკიცის მარაგი“. სალაძის მიმართ შეიძლებოდა სიტყვა „დიდიც“ დაგვემატებინა. რატომ გაეხარა ასე მიშას იგუმენოვის დავალება — „ეჭიდავა აქაც და იქაც?“ მარტო იმიტომ ხომ არა, რომ ამ თქმაში ახალგაზრდული სითამამე ვლინდებოდა? არა, აქ მარტო ეს არ იყო. სალაძეს ასეთი შეხვედრების საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ნაკრების წვრთნაზე ის ხშირად ატარებდა სპარინგებს 125-კილოგრამიან ალექსანდრე კოლჩინსკისთან.

— ალიკს დიდად არ სიამოვნებდა მასთან შეხვედრა. ორთაბრძოლის დროს იგი ხომ იშვიათად ახერხებდა გლებას, — თქვა იგუმენოვმა.

მაგრამ არ გეგონოთ, თითქოს ქვემძიმეწონიან სპარინგებს მხოლოდ სისწრაფით იგებდა. დიახ, სალაძის სიმარღვე მისი მეტად საშიში იარაღი იყო, მას „მუხაჩსაც“ კი უწოდებდნენ, — მხედველობაში ჰქონდათ უმჩატესი წონის მოჭიდავეთა სიჩქარის მახასიათებლები. მეტი რა გნებავთ: ასკილოგრამიანი მოჭიდავე ას მეტრს 12,4 წამში გარბოდა. იგი არა მარტო სწრაფი, — ძლიერიც იყო. ამავე დროს ადვილად სწევდა 130-კილოგრამიან შტანგას. შეეძლო 190-კილოგრამიანი შტანგით დამჯდარიყო და ამდგარიყო!

ყველაფერის მოუხედავად სალაძეზე არ ითქმის, ძალისმიერი მოჭიდავეაო. იგი ყოველთვის სპორტის რაინდად რჩებოდა მეტოქის წინაშე. აფეთქება, წამიერი ანთება, გდება, — აი მისი ჭიდაობის სქემა. დამეთანხმებით, ძალისმიერი აქ ბევრი არაფერია. მაგრამ ხომ შეიძლებოდა სხვანაირადაც მომხდარიყო. იგი უკვე თხუთმეტი წლის

ასაკში 85 კილოგრამს იწონიდა. შეეძლო შეჩვეოდა იმ აზრს, რომ დიდია, ძლიერი და მეტოქე ძალით უნდა დაეჯახნა.

მაგრამ სწორედ ამას ვერ მიეჩვია, რაც მისი მასწავლებლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ მაისურაძის დამსახურება იყო. მან შეძლო თავისი მოწაფე დაერწმუნებინა, რომ მარტო ძალისმიერი ჭიდაობა პრიმიტიულია, რომ ისეთი გამარჯვებები, სადაც მხოლოდ „წნეხია“ და არა ოსტატობა, მალე ბეზრდება მაცურებელს. ასეთი გამარჯვებები დღემოკლეა, ტექნიკა აღრე თუ გვიან ყოველთვის ამარცხებს ძალას, რომ იტყვიან, ხერხი სჯობია ღონეს.

მაისურაძე დარბაზის კარს არ უხურავდა არც ერთ ახალგაზრდას, ვინც მოჭიდავეობაზე ოცნებობდა. მისთვის არ არსებობდა უუნარო ყმაწვილი. „იშრომეთ, ბიჭებო, და აუცილებლად მიაღწევთ რაღაცას. სახელდობრ რას? ამას ვნახავთ, როცა ხუთიოდე წელიწადს კარგად ფარჯიშობთ“. მიშა სალაძეს ერთხელ ვლადიმერმა უთხრა:

— შენ მსოფლიო ჩემპიონი იქნები... გაიხსენებ ჩემ სიტყვებს!..

რამდენ ხანს არ ჰქონია იმის საფუძველი, რომ გაეხსენებინა ეს შესანიშნავი სიტყვები მწვრთნელის წინასწარმეტყველების განხორციელება იგვიანებდა, უფრო მეტიც. იყო იმდენად წარუმატებელი პერიოდები მის სპორტულ ცხოვრებაში, რომ ეგონა, მწვერვალს ვერასოდეს მივალწევო...

1973 წელს 19 წლის სალაძემ, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით მოიგო სსრ კავშირისა და მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატები. ჩვენი ქვეყნის პირველობაზე კი მოზრდილთა შორის ფინალში წააგო მოსკოველ ნიკოლოზ ბალბოშინთან და მეორე ადგილზე გავიდა. ეს შეტყობება გახდა ორი უძლიერესი ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა მრავალწლიანი მეტოქეობის დასაწყისი.

— ბევრჯერ მიჭიდავია ნიკოლოზთან და ყოველთვის ვაგებდი. რატომ? იგი უფრო ძლიერი იყო. თუმცა ყველაფერში არა. მაგალითად, ფიზიკურად ჩვენ, ალბათ, თანაბარი ვიყავით. ღონითა და სისწრაფით მე ვჯობნიდი; მაგრამ იგი უფრო ტექნიკური იყო და, რაც მთავარია, უფრო გამძლე. ცოდვა გამხელილი ჯობია: მისი საჭიდაო სულისკვეთება ხუთ კაცს ეყოფოდა.

— შენი, მიშა?

მიმედ ოხრავს, იღიმება და პასუხობს:

— ჩემში უფრო ნაკლებია... ბალბოშინი კროსებზე უმჩატესებს უსწრებდა. ჩემთვის კი კროსი ღვთის რისხვა იყო... გამძლეობა არა მარტო შეიძინება, იგი თან უნდა დაჰყვეს ადამიანს. მე გამძლეობა არ დამყოლია... შეძლებისდაგვარად შევიძინე... მაგრამ ისეთ ნების-

ყოფიან მოქიდავესთან, როგორც ბალბოშინია, ჩემი გამძლეობა არ კმაროდა...

მონრეალის XXI ოლიმპიურ თამაშებზე ერთი წლით ადრე, ივანე პოდდუბნის მემორიალზე, სალაძე ბალბოშინს უგებდა ანგარიშით 14:9. მას ერთხელაც არ დაუხვია უკან წაგებული მეტოქის წინაშე. არ აურიდებია თავი კონტაქტისათვის, თანხმდებოდა ბალბოშინის მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ჩავლებას, მაგრამ გდებას მუდამ ასწრებდა.

მე ვნახე ეს შეხვედრა კიევის ხალიჩაზე. სალაძე უფრო მწვავედ ჭიდაობდა, უფრო მეტ მოსაზრებულობას იჩენდა, იგი, როგორც ამბობენ ხოლმე, უკეთესი საცქერი იყო, ვიდრე მისი მეტოქე. ბალბოშინი უფრო პრიმიტიულად ჭიდაობდა. პირდაპირ უტევდა, ცდილობდა ჯვარედინად შებოჭვას, გაზნექვით გდებას. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ბალბოშინი ყოველივე ამას ისე ენერგიულად, ისე განუწყვეტლივ ახორციელებდა, რომ სალაძემ ვერ გაუძლო. უზომოდ დაიღალა, ჩაიკეტა, თავს იცავდა, გადაწყვიტა შეენარჩუნებინა მოგებულის ქულები. გონგამდე რამდენიმე წამით ადრე მსაჯებმა მას უკანასკნელი გაფრთხილება მისცეს და შეხვედრიდან მოხსნეს.

ხოლო ერთი წლის შემდეგ ნიკოლოზ ბალბოშინი მონრეალში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. ხუთი შეხვედრიდან ხუთივე წმინდად მოიგო. სალაძე კი მაშინ კიევიში, ვიმეორებ, 14:9-ს უგებდა...

1976 წელს მიხეილი პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. ბალბოშინს არ უჭიდავია, ოლიმპიადისათვის ემზადებოდა, დანარჩენი მეტოქეები კი ვერ გაუმკლავდნენ 22 წლის თბილისელს. მხოლოდ ევგენი არტიუხინმა, მომავალმა ჩემპიონმა. მძიმე წონაში, ოდნავ გაართულა ვითარება ხალიჩაზე. ფინალური შეხვედრის დამთავრებამდე ათი წამით ადრე ქულას იგებდა. მაგრამ ათი წამი ცოტა როდია იმისათვის, ვინც არ შერიგებია ბედს. სალაძემ ორი ქულა მოიპოვა და გაიმარჯვა ანგარიშით 6:5.

— ვიცოდი, რომ ჩემი გამარჯვებები არაერთარ შთაბეჭდილებას არ მოახდენდა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებზე, ვიდრე ბალბოშინს არ მოვუგებდი... ეს ბოლვად მექცა! ისე ვვარჯიშობდი, რომ სადამოობით შინ დაბრუნებული ნაავადმყოფარს ვგავდი. კროსებზე იმდენს დავრბოდი, რომ ზოგიერთი მწვრთნელი მაჩერებდა კიდეც... მეტისმეტი წვრთნის შედეგად ჭიდაობა მოვიმწვანედი, სპორტის მიტოვებასაც კი ვფიქრობდი საერთოდ...

კრიზისი დიდხანს გრძელდებოდა. სსრ კავშირის ჩემპიონატებზე 1977—1978 წლებში სალაძე ათეულის ბოლო ადგილებს იკავებდა.

სპეციალისტებს შორის ზოგიერთს ეგონა, სალაძე აღარ გამოსწორდებაო. მაგრამ, საბედნიეროდ, ბევრი ასე არ ფიქრობდა.

— მიშა, დროებით დატოვე ხალიჩა, — სთხოვდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი დათო დავითაია, — სანამ ჭიდაობის ხასიათზე მოხვალ, ფრენბურთი ითამაშე, ან სხვა თამაშობით გაერთე, ძვირფასო!

ვიდრე სალაძე „ერთობა“, მინდა გაგაცნოთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დათო დავითაია. საშუალო ტანის, დინჯი, მუდამ კეთილმოსურნე. მაშინაც კი, როცა მისი მოწაფეები წარუმატებლად გამოდიოდნენ, იგი არ კარგავდა იუმორის გრძობას: „ვიწვით, ნელ-ნელა ვიწვით, მაგრამ იქნებ მთლად არ დავმწვარვართ? ხომ ვიციტ ჭიდაობა, აბა ერთი გავიხსენოთ ჩვენებური...“

თითოეული მწვრთნელი დიდი საქმეებისათვის გუნდის განწყობის თავის მეთოდებს მიმართავს. მხედველობაში მაქვს არა წვრთნა, „სტრატეგიული“ თათბირები და ათასგვარი დარიგება. აქ ქართველები არაფრით განსხვავდებიან უკრაინელებისაგან, ხოლო უკრაინელები — სომხების, ყაზახებისა და ლატვიელებისაგან. აქ ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს. მხედველობაში მაქვს... წინდები, დიახ, ახალი წინდები ნაზი მატყლისაგან ნაქსოვი, ძალზე ლამაზეტიკეტიანი წინდები, რომლებსაც დავითი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების წინ ურთიგებდა საქართველოს ნაკრების ყველა წევრს და თავის ყველა კოლეგას — მწვრთნელებს.

ეს წინდები სასტარტო პისტოლეტის სროლასავეთ მოქმედებდა — „წინ! დავეუფლოთ ჩემპიონატის მწვერვალებს!“ როგორც მოგესვენებათ, სპორტული სტიმულაციის ასეთ ფორმას არ ითვალისწინებს არც ერთი ოფიციალური ნუსხა. დავითაია წინდებს ყიდულობდა საკუთარი ჯიბის ხარჯზე და ძალიან ამაყობდა, რომ მხოლოდ მან აღმოაჩინა ასეთი ფორმა. საიდან ვიცი ეს საიდუმლო? საკუთარი გამოცდილებით. დათოსთან ერთად ვცხოვრობდი როსტოვის მასტურში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ჩემპიონატზე და მეც დამაჯილდოვა ახალი წინდებით.

ერთხელ დათო დავითაიას შესახებ ყური მოვკარი ასეთ ფრაზას: „დიდი გუნდის პატარა მწვრთნელია“. დიახ, დათოს დროს, როცა იგი ცხრა წელიწადს ხელმძღვანელობდა საქართველოს ნაკრებს, მწვერვალებზე ასვლა დაიწყეს ისეთმა მოჭიდავეებმა, როგორც იყვნენ იოსებ ბერიშვილი, შოთა მორჩილაძე, ავთანდილ მაისურაძე და კლასიკური ჭიდაობის ქართული სკოლის ბევრი სხვა ნიჭიერი აღზრდილი.

მწვრთნელთა ფიქრებისათვის ყველაზე ორიგინალური ინფორმაციის მიმწოდებელი იყო მძიმე წონის შოთა მორჩილაძე — ალექსან-

დრე ჯოჯუას აღზრდილი. მაღალი, მხარბეჭიანი, აუჩქარებელი, როგორც მოსული ტანის ადამიანთა უმრავლესობა, მორჩილად, ბევრის აზრით, სამოცდაათიან წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მძიმე წონის მოქიდავე იყო. გადაზნექვით გდებას ეს 120-კილოგრამიანი მოქიდავე ისე ატარებდა, გეგონებოდათ, უმჩატეს წონაში გამოდისო. მორჩილად ჯვარედინი ჩაუღებისა ყველას ეშინოდა, მათ შორის გიგანტს, ხუთჯის მსოფლიო ჩემპიონ ბულგარელ ალექსანდრ ტომოვს.

შოთა იყო სსრ კავშირის ჩემპიონი და აბსოლუტური ჩემპიონი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორი. ეს არის და ეს. რატომ ვერ მიაღწია მეტს? მალე იღლებოდა ხალიჩაზე, ცუდად სუნთქავდა, ორთაბრძოლის ბოლომდე ძალა არ ჰყოფნიდა. შერკინების პირველ ნახევარში შოთას შეეძლო დაემარცხებინა მსოფლიოს ნებისმიერი უძლიერესი მოქიდავე, მაგრამ თუ რომელიმე ბოლომდე გაუძლებდა, მორჩილად უკვე ვეღარ უმკლავდებოდა.

იგი ცოტას ვარჯიშობდა, შავ სამუშაოს ვერ იტანდა, კროსზე რბენას ვერავინ აიძულებდა. კეთილი, ხატრიანი გოლიათი უყვარდა გუნდს, მწვრთნელებს. ისინი ცდილობდნენ შეეხურებინათ, გაეკრიტიკებინათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. შოთა მკვანხე სიტყვას არავის ეტყოდა, არაფერს იჩემებდა, უპრეტენზიო იყო, არ ითხოვდა პრესტიჟულ შეჯიბრებებზე მონაწილეობას. არ სჭირდებოდა გამარჯვებები. ჭიდაობაში მას მხოლოდ ერთი რამ — თვით ჭიდაობა უყვარდა. უნდა ითქვას, რომ ნამდვილად ჰქონდა ამის შნო და ლაზათი.

ევროპის ჩემპიონატის ფინალში 1974 წელს იგი შეხვდა ორჯის მსოფლიო ჩემპიონს. მიუნხენის ოლიმპიადის პრიზიორს ალექსანდრე ტომოვს. შერკინების პირველ წუთზე მორჩილად ელვისებურად წამოიღო ტომოვი და ბეჭებზე დასცა. აშკარა ტუშე იყო, მსაჯებმა კი „ვერ დაინახეს“. შოთას გუნება წაუხდა, ბრძოლის ინტერესი დაკარგა, პასიურობა დაიწყო. იგი ერთი გაფრთხილებით დასაჯეს, მერე მეორეც მისცეს. დისკვალიფიკაცია ელოდა.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა იგუმენოვმა გაჯავრებით დაუყვირა: „ან იჭიდავე, ან გადადი ხალიჩიდან!“ მორჩილად ბევრი აღარ უფიქრია, მეტოქეს ზურგი შეაქცია და ფიცარნაგიდან ჩამოსვლა დააპირა. დავითიამ ნება არ მისცა: „შენ რა, გაგიჟდი! წადი და იჭიდავე!“ გაბრაზებული მწვრთნელებზე, რომლებმაც თვითონაც არ იცოდნენ, რა სურდათ, რადგან ერთი ეუბნებოდა წადიო, მეორე კი არ უშვებდა, მორჩილად ეცა ტომოვს, „მარყუჟში“ მოაქცია, ზუსტად წამოიღო კისრულით. ტომოვი ბეჭებზე დაეცა, თანაც ისე დაეცა, რომ ამჯერად ტუშე მსაჯებმაც კი შენიშნეს.

სწორედ დათო დავითაიას დამსახურებაა, რომ მორჩილადეს გაუ-
ხანგრძლივდა საკიდაო ასაკი. დინჯ შოთაზე ზემოქმედების დავითაი-
სეული ფორმების ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ერთ-ერთი მათ-
განი უნდა აღინიშნოს.

— სიტყვა „კროსის“ ხსენებაზე მას ღრმა დეპრესია და გულის
უქმარისობის აშკარა ნიშნები ეწყებოდა. — დავითაია იცინის. — მახ-
სოვს, ივუმენოვი სთავაზობდა გამძლეობაში შეჯიბრებოდნენ ერთმა-
ნეთს. ხათრიანი მორჩილადე დათანხმდა. რაც არ უნდა იყოს, მთავარი
მწვრთნელი იწვევდა. სამასამდე მეტრს გაბობდა მასთან ერთად,
შემდეგ ნაბიჯით სიბრულებზე ვადადიოდა და სიხარულით ეუბნებოდა:
„ბატონო ვიქტორ, მომილოცავს, თქვენ გაიმარჯვეთ!“ ერთი სიტყვით,
კროსი შოთასთვის ცხოვრებაში ყველაზე უინტერესო საქმე იყო...
შოთა მორჩილადე განუხორციელებელ შესაძლებლობათა ადამიანია.
რას იზამ, ასეთი ხასიათისაა...

ამჟამად დათო დავითაია სათავეში უდგას საქართველოს ჰაბუჯა
ნაკრებს. მოსწავლეთა 1984 წლის საკავშირო სპორტაკიადა დამაჯერებ-
ლად მოიგის მისმა აღსაზრდელებმა...

მაგრამ დაუბრუნდეთ სალაძეს. რომელსაც დავითაიამ ფრენბურ-
თით ვართობა ურჩია. მწვრთნელები არ შემეცდარან. წარუმატებლო-
ბათა ხანამ განვლო. 1981 წელს მიხეილმა გაიმარჯვა სსრ კავშირის
ჩემპიონატზე და იგი სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს, რომელიც
მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრებოდა ქ. ოსლოში...

სალაძის ხასიათის ერთ-ერთი შესანიშნავი თვისებაა გამბედაობა.
ეს თვისება ნათლად გამოვლინდა ოსლოში. ამერიკელი მწვრთნელები
დიდ იმედებს ამყარებდნენ ზორბა, ათლეტურ მულაჲ გრეგ ვიბსონ-
ზე. იგი ფიზიკურად ძალიან ძლიერი, მგრძობიარე და გაბედული
მოჭიდავე იყო. ნორვეგიული გაზეთები წერდნენ, ჩემპიონი, ალბათ,
ვიბსონი გახდება, „მეტოქის მრისხანე შესახებდობამ საბჭოთა მოჭი-
დავე უკვე შეაშინა“. ვიბსონი მართლაც ბევრს ჰგვრიდა შიშს. საკ-
მარისია ითქვას, რომ იგი ამერიკის შეერთებული შტატების სუპერ-
მენ-კულტურისტების პრიზიორი იყო.

იმას, თუ რამდენად შეშინებული გახლდათ სალაძე, მათი ფინა-
ლური შეხვედრა მოწმობს. 26 წამზე მან ჩაატარა გდება — ხალხი
„ზურგულს“ რომ უწოდებს და უცებ ოთხი ქულა აიღო. მსაჯები
მოხიბლა გრეგ ვიბსონის ფეხებით მოხაზულმა პარაბოლის სიმბოლომ.

რაკი აგებდა, ამერიკელმა გადაწყვიტა მეტოქე ღონით დაეჯახნა
და ჭვარდნი ჩაჭიდება სცადა. სალაძემ ახლოს მიუშვა იგი და ელ-
ვისებურად ძალისმიერი გაზნეკვით გდება ჩაუტარა. აღმოჩნდა, რომ
მას ვიბსონზე ნაკლები არც ღონე ჰქონია. კიდევ ოთხი ქულა მიიმა-
ტა. მეორე წუთის ნახევარში კი უკვე თვითონ შეუტია მეტოქეს.

მოწყვიტა ხალიჩას და — კვლავ ტუშე! ახლაც იმას იტყვიან, შიშის ბრალიაო!

მეორე ფინალური შეხვედრა სალაძემ 25 წამში მოიგო — ბეჭებზე დააწვინა უნგრელი იანომ გაშპარი და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მასვე გადაეცა პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის. ქვემძიმეწონიანებს ძალიან იშვიათად ეძლევათ ასეთი ჯილდოები...

სალაძესთან საუბრისას ძალიან მინდოდა გამეხსენებინა, ვის მაგონებდა იგი — წელში გამართული, უშფოთველი, შეუპოვარი. იტყვიო, ბევრია ასეთი მოჭიდავეო, არ შეეცდებიო. მაგრამ მაინც მიხეილი განსაკუთრებით მაგონებდა ერთ ვილაცას, ვის, ვერა და ვერ გავიხსენე. თვითონ სალაძე დამეხმარა:

— ძალიან მომწონდა ომარ ბლიაძის ჭიდაობა. სულ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა პირველად ვნახე იგი ხალიჩაზე. რა ამყად ჭიდაობდა თაობათა ესტაფეტა ასეც ვლინდება. ყმაწვილმა სპორტსმენმა ნახა ჭიდაობის ოსტატი და მას მიბაძა. საქართველოს სპორტკომიტეტის უფროსი მწვრთნელი ომარ ბლიაძე თავის დროზე შესანიშნავად ჭიდაობდა და ჭიდაობის მისი მანერა კარგი სკოლა იყო.

მაგალითად. „ტრიალს“ იგი სულ სხევანარად ასრულებდა, ვიდრე ახლა აკეთებენ. დღევანდელი მოჭიდავეები „ტრიალით“ უკეთეს შემთხვევაში ორ ქულას ელიან, უარესში — ერთს. ბლიაძე კი ამ ხერხით მეტოქეს ბეჭებზე აწვევდა. მას ზურგით კი არ გადმოჰქონდა მოწინააღმდეგე, გადაატრიალებდა ხოლმე. 1968 წელს, როცა ომარი პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, სწორედ „ტრიალით“ გააკრა ხალიჩას ევროპისა და მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრე იურკევიჩი.

ბლიაძემ შესანიშნავად იცოდა გდება გაზნეკვით ორი ხელის ჩაღლებით. ამ ხერხს იშვიათად ასრულებენ ახლა შეჯიბრებებზე. არადა, როგორი ბრწყინვალე იყო ეს იერიში ევროპის ჩემპიონატზე. ბლიაძემ ბევრი დაამარცხა ამ გდებათ და „ოქრო“ მოიგო. „სუპლესის ჩატარება გივი კარტოზიამ მასწავლა“, — სიამაყით ამბობს ბლიაძე და ეს გასაგებიცაა. გასაგებია აგრეთვე ხუთგზის მსოფლიო და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვალერი რეზანცევის სიტყვები: „ჩემი ყველაზე ძნელი მეტოქე საკავშირო ასპარეზზე ომარ ბლიაძე იყო. ნებისყოფიანი, ძლიერი და ძალიან პატიოსანი მოჭიდავე!“ დამთანხმებით: სალაძემ მიბაძვისათვის მშვენიერი მაგალითი აიჩინა...

რთული რამაა სპორტული ცხოვრება. ყველაზე მეტად იგი ტვირთავს ადამიანის ნერვულ სისტემას. სპორტსმენების ნერვები სიმბიოვით იჭიმება. ძლიერი ნებისყოფის ადამიანის სიმბიოვი იჭიმება, მაგრამ არ წყდება. ნაკლებად ძლიერი ადამიანები ვერ უძლებენ, მათ ნერ-

ვები აწყდებათ. მაგრამ არის სიტუაციები. როცა ძლიერი ადამიანებიც ველარ უძლებენ...

1973 წელი. 19 წლის მიშა სალაძე პირველად სერავედა ოკეანეს, მიფრინავდა ამერიკის ქალაქ მაიამი-ბიჩში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. იქდა „ბონიგ-747“-ის მოხერხებულ სავარძელში და აგონდებოდა ზესტაფონს მიკრული მშობლიური სოფელი არგვეთა. სასიამოვნო მოგონებებიდან ლამაზმა სტიუარდესამ გამოარკვია. მან ჩვეული ღიმილით საბჭოთა გუნდის თარჯიმანს სთხოვა ეთარგმნა შემდეგი: ახლა თვითმფრინავი ნიუ-იორკის აეროპორტიდან ერთი საათის სავალზეა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, შეიძლება აეროპორტამდე ვერ მივფრინდეთ და თვითმფრინავი ოკეანეზე დაეშვას.

აქ სტიუარდესამ განსაკუთრებული მომხიბვლელით გაიღიმა და განაგრძო: საშიში არაფერია, ნუ აღელდებით. ახლავე ყველას საშველ რგოლებს და ბოთლებით ხსნარს დავირიგებენ. მიაშხეფებთ და ყველაზე აგრესიული ზვიგენიც კი ცხვარივით მორჩილი გახდება. თუ ვინმეს ბოთლი არ ეყოფა, ისეთ სასტვენს მოგცემთ, რომ მის ხმაზე ზვიგენები დაფრთხნენ.

სტიუარდესა ღიმილად დაიღვარა და დაუმატა, წყალზე დაშვებული თვითმფრინავი ერთ საათში ჩაძირვას დაიწყებს და რაც შეიძლება შორს უნდა იყოთ მისგან, რომ მორევმა არ ჩავითრიოთო. გაფითრებული თარჯიმანი თარგმნიდა ამ განცხადებას, მიშა სალაძე კი ფიქრობდა, ნეტავი ახლა ჩემ არგვეთაში მამყოფა, რა ეშმაკმა მომიყვანა ამ ზვიგენების ამერიკაშიო.

— იცით, მე ძალიან ცუდად ვცურავ, ზვიგენები კი მხოლოდ კინოში მინახავს. აბა, რად მინდა ყველაფერი ეს? რაც მართალია — მართალია, შევშინდი რის ბოთლები, რის სასტვენები და ზვიგენები ხომ არ გადაირიგენ. ღმერთმა დასწყევლოს ყოველივე! ეშმაკსაც წაუღია თქვენი „ბონიგ-747“ და ზვიგენებიც. ავიღე ბალიში და დასაძინებლად მოვკალათდი. სტიუარდესამ გაღვიძება დამიპირა, მაგრამ ისეთი ქართულით ვუპასუხე, რომ მაშინვე ყველაფერს მიხვდა გამეღვიძა, როცა მიწაზე დავეშვი. საშინელი მოსაგონარია!..

დიახ, საშინელი მოსაგონარია. მაგრამ მე ერთი კითხვა მაქვს: თქვენ, ძვირფასო მკითხველო, დაგეძინებოდათ ამ სიტუაციაში? მე მგონია, რომ ასეთი „ძილისათვის“ სხვაგვარი ნერვებია საჭირო.

1984 წლის 20 აგვისტოს სოფელ არგვეთაში საზეიმოდ გაიხსნა მიხეილ სალაძის სახელობის საჭიდაო სპორტსკოლა. სკოლის შესავლელთან წითელი ლენტის გადაჭრის პატივი წილად ზედათ საპატიო სტუმრებს — უხუცეს ქართველ მოჭიდავეს მიშიკო მაჩაბელს და მიხეილ სალაძეს.

ყმაწვილები აღფრთოვანებით შესტკეპროდნენ თავიანთ თანამე-

მულეს. ვინ იცის, ექნებ მათშიც ერია მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი.

სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონს, უნივერსიადების ორგზის ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონს მიხეილ სალაძეს ვკითხე, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი სპორტული ბედით-მეტქი. პაუზის შემდეგ მიპასუხა:

— რა თქმა უნდა არა, ბალბოშინისათვის ხომ ერთხელაც არ მომიგია...

მეათე ცდა



თეიმურაზ აფხაზავა

„თუ ავიღებთ ღლეწანდელ სსრ კავშირის ნაკრებს კლასიკურ ჭილაობაში, იქ ყველაზე ორიგინალურია თეიმურაზ აფხაზავა. არავის არა ჰგავს. ძველისძველ ხერხებს ახლებურად, თავისებურად იყენებს...“

მსოფლიო ჩემპიონი ხუთი წლით ადრე უნდა გამხდარიყო. ბედი არ უღიმოდა... მაგრამ არ მოტყდა, მიზანთან მივიდა“.

იური კოლუმოვი

სსრ კავშირის დამსახურებული
მწვრთნელი

ქ. მოსკოვი

— შეჩერდი, გესვრი შეჩერდი!..

დაძინებულ ქალაქში იგი აჩრდილივით მიქროდა. ძაღლები ყუფით მისდევდნენ. შიშით სისხლი ეყინებოდა, მესვრიან, დამასახიჩრებენ, მომკლავენო. იცოდა, რომ უნდა გაუჩინარებულიყო გვერდით ქუჩაზე, მაგრამ სახლები მჭიდროდ იყო ჩამწყკრივებული. გასასვლელი არსად ჩანდა. იგი სრულიად არ იცნობდა ამ ქალაქს. პირველად იყო აქ და იმიტომ გარბოდა წინ მთელი ძალით...

დეტექტიური ჟანრის კანონებითაც კი დროა ვთქვათ თუნდაც ის, ვინ გარბოდა, მით უმეტეს, რომ ეს დეტექტივი კი არა, მოთხრობაა ორგანიზაციის მსოფლიო ჩემპიონზე. გარბოდა თეიმურაზ აფხაზავა, მაგრამ

ივი ჯერ ჩემპიონი კი არა, მხოლოდ თხუთმეტი წლის ბიჭი იყო, მონ-
წავლეთა რესპუბლიკური სპორტაკადემიის მონაწილე.

ეს „კროსი“ ასე დაიწყო. შეჯიბრების პირველ დღეს ქუთაისელმა
ახეზაევამ შესვედრა წააგო. მან შეამოწმა თავისი წონა და აღმო-
ჩნდა, რომ 2.5 კილოგრამით მეტი იყო. მეორე დღეს დილით უნდა
შეხვედროდა თამაზ წინწილაშვილს, საქართველოს ჩემპიონს ქაბუჯთა
შორის, რომელთანაც ერთხელ უკვე დამარცხდა და დარწმუნებული
იყო, რომ ამჯერადაც წააგებდა. მაშ რაღად იწვალებდა თავს, რაღად
უნდოდა წონაში დაკლება? მეორე დამარცხების შემდეგ სომ შეჯიბ-
რებას ეთიშებოდა.

ფილმი საღამოს ათ საათზე იწყებოდა და სასტუმროში თეიმურა-
ზი შეუღამით მოვიდა, ერთი საათით დაიგვიანა. ფიციში მან ილია
ბობოხიძე ელოდა. წარსულში ცნობილი მოჭიდავე, ერთ-ერთი წამ-
ყვანი ქართველი მწვრთნელი, გამოცდილი კაცი, რომელიც თავის
მოწაფეებს ზედმიწევნით იცნობდა, როგორც ახლა დარწმუნდე-
ბით, დიდი დიპლომატიც იყო. მათ შორის ასეთი საუბარი ვაიმართა:

— სად იყავი აქამდე, თეიმურაზ?

— აბანოს ვეძებდი.

— იპოვე?

— არა. ვიპოვე, მაგრამ ყველა რემონტშია...

— გასაგებია... წონის საქმე როგორღა გაქვს?

— ეს წერილმანია... სულ რაღაც 600 გრამი. ამ ღამეს დავიკლებ,
ხოლო თუ მაინც მეტი დარჩება, დილითაც ვირბენ...

ბობოხიძემ ყურადღებით შეითვალა იერა ყმაწვილი და უთხრა:

— წამოდი, მაინც შევამოწმოთ. იქნებ არცა გაქვს ზედმეტი წო-
ნა. მაშინ დილით აღარ მოვიხდება სირბილი.

რაღა უნდა ეპასუხა, მორჩილად გაჰყვა. აიწონა. ორი კილოგრამი
და 700 გრამით იყო მეტი. ტაქტიკაში ბობოხიძემ არც უხსენა „რაღაც
600 გრამი“ და ეს უთხრა მხოლოდ:

— თბილად ჩაიცვი, ვირბინოთ.

— ახლა?! ღამით?!

— მაშ როდის? დილით ვეღარ მოვასწრებთ, წონა ზედმეტი
გვაქვს... ხომ უნდა გავამართლოთ ჩვენი ჩამოსვლა...

თეიმურაზმა ჩააცვა ორი სპორტული კოსტიუმი, თინური ბეწვი-
ანი ტყავის ქურთუკი, ჩამოიფხატა კაპიუშონი, კისერზე პირსახოცი
შემოიხვია და 0 საათსა და 20 წუთზე სირბილი დაიწყო სასტუმროს
პატარა ეზოში. მალე მობეზრდა ეზოში რბენა და მწვრთნელს სთხო-
ვა ქუჩაში გასვლის ნება დაერთო. მწვრთნელიც დათანხმდა. თეიმუ-
რაზმა ერთ კუთხემდე მიირბინა, შეუხვია, მეორეს მიაღება, კვლავ შე-
უხვია. პირდაპირ ავიდა რომელიღაც აღმართზე და უცებ ძაღლების

გაბმული ყველა შემოესმა. იგი რაღაც საწყობების ვანლაგებაში აღმოჩნდა და საყარაულო ძაღლები ააფორიაქა.

არ იფიქროთ. თითქოს თბილისში ავი ძაღლებია. მაგრამ რაც უნდა თერნიერი იყოს, ცხელი ივლისის ღამეს ბეწვისქურთუციან, თანაც თავზე კაპიუშონჩამოფხატულ მორბენალს რომ დაინახავს, — დამეთანხმებით, ყველაზე წყნარიც გაღიზიანდება.

მშვიდად მთვლემარე მოხუცმა დარაჯმა ძაღლის ყველაზე ბერდენკას დაავლო ხელი. გამოვარდა ჭიხურიდან და თვალი მოჰკრა მიწაზე ფხზაუჯარებლად გაქცეულ ბალახონიან, შარფმოხვეულ მოჩვენებას. რა თქმა უნდა, დარაჯს არავითარი დამეული შეხვედრა არ ექნებოდა მოჩვენებასთან. არც მისი შეჩერება უფიქრია. მაგრამ ამუშავდა ეშმაკის რეფლექსი — „შეჩერდი! გესერი! შეჩერდი — და შეშინებულმა მოხუცმა ჰაერში გაისროლა. მოჩვენებამ კიდევ უფრო უმატა სირბილს და მიიძალა. იგი მძინარე ქალაქში აჩრდილივით მიქროდა. ალბათ უკვე მიხვდით, ეს იყო თეიმურაზ აფხაზავა. როცა შეჩერდა, აღმოჩნდა, რომ არც კი იცოდა, სად იმყოფებოდა. დაახლოებით ერთ საათს ეძებდა სასტუმროს, დილის ოთხი იქნებოდა დაწყებული, რომ მოვიდა. ბობოხიძე აუზის კიდევ იჭდა და მოთმინებით ელოდა.

— შორს ირბინე? — ჰკითხა მან ალერსიანად, — კარგად გაოფლიანდი?

— შორს არ მირბენია, მაგრამ კარგად კი გავიოფლე. — მრკლედ უპასუხა თეიმურაზმა და ასაწონად შევიდა. სასწორმა 47 კგ 900 გ უჩვენა.

— ყოჩაღ! — გაუკვირდა ბობოხიძეს. — მართლაც კარგად გირბენია. მარაგში 100 გრამი გაქვს. — წავიდეთ, დავიძინოთ!

დილით აფხაზავამ რესპუბლიკის ჩემპიონი დაამარცხა, შემდეგ კიდევ რამდენიმე სპორტსმენს მოუგო და თავად გახდა ჩემპიონი. ეს მოხდა 1970 წელს. ახლა ამ ამბავს იმიტომ გიამბობთ, რომ 15 წლის მანძილზე თეიმურაზი არასოდეს გასცილებია იმ წონითი კატეგორიების საზღვრებს, რომლებშიც საჭიდაოდ გამოდიოდა.

— რაზე ლაპარაკობთ! — იცინის აფხაზავა და ზევით სწევს მარჯვენა ხელისგულს. — ორ წელიწადს ძაღლები მესიზმრებოდნენ! დიდი პატივისცემით ვეკიდებოდი წონით კატეგორიებს! ბატონ ილიასთან აღარასოდეს მიეშმაკია. კარგი გაცვეთილი იყო...

ფიზიკურად თეიმურაზ აფხაზავა, ალბათ, ყველაზე სუსტია მსოფლიოს ქვესაშუალო წონის მოჭიდავეთა შორის. მაშ როგორ შეძლო ისე დაუფლებოდა უკუჩავლებით გდებას, რომ იგი ერთ-ერთი თავის საუკეთესო ხერხად ექცია. ჩოქბჯენიდან მეტოქის ამოსაყვანად უწინარეს ყოვლისა ძალაა საჭირო, რკინისებური წელი, აფხაზავას კი ორც ერთი და არც მეორე არ ჰქონდა. ყველაფერს ოსტატობით ახერ-

ხებს. იერიშზე გადმოსულს წელში უვარდება, ცდილობს გადაატრი-
ალოს ბეჭებზე. მეტოქე, ბუნებრივია, უძალიანდება. თეიმურაზს
აწვება. აფხაზავაც „ემორჩილება“. სწრაფად ცვლის იერიშის მიმარ-
თულებას, თავსაკენ იზიდავს მოწინააღმდეგეს და ბუმბულივით აგ-
დება ზევით. საინტერესოა ისიც, რომ ყველამ იცის თეიმურაზის ეს
ხერხი, მაგრამ სწორედ მასზე წამოგებებთან ხოლმე, რატომ? რითი
აღწევს ამას? ამ კითხვაზე უკვე ვუპასუხეთ: ოსტატობით!

ქუთაისელი მოჭიდავეები ტექნიკას უდიდესი პატივისცემით ეკი-
დებიან. ისინი არც ფარავენ, რომ სურთ ორიგინალურები იყვნენ,
სურთ გამოირჩეოდნენ სხვებისაგან ამ მხრივ. სსრ კავშირის დამსახუ-
რებული მწვრთნელი ილია ბობოხიძე და მისი მოწაფე ესტატე გოგ-
ლიჩიძე (იგი აფხაზავას მეორე მწვრთნელია) თვალს ხუჭავენ იმაზე,
რომ თეიმურაზმა რიგიანად ვერ ისწავლა „მოგვერდი“. მაგრამ
მწვრთნელები ფართოდ ახელენ თვალებს, როცა მათი მოწაფე მრის-
ხანე დაცვას ამუშავებდა „დაგრეხვისაგან“.

— როცა მოჭიდავეს ხელს ჩააქვებ, იგი დაძაბულია, მთლად
იკუმშება, ელის გდებას და მასზე რეაგირებას აგვიანებს. — აფხაზავა
ხელისგულს ირტყამს მუხლზე, თითქოს თანაუგრძნობს იმას. ვინც
იერიშზე დააგვიანა რეაქცია. — არ არის საჭირო დაძაბვა და საერ-
თოდ წრიალი ჩაქვლების დროს. უნდა აეკრო მკერდით მკერდას. მო-
აღუნო წელი და ფეხები. დაე სცადოს „დაგრეხვა“. დეასწრებ, უფ-
რო აღრე ვიპოვი საყრდენ წერტილს. ხიდურზე დაეტოვებ... აი. ჭვა-
რედინ ჰიდილში, — განაგრძობს აფხაზავა, — მე ნაბიჯს ვღვამ უკან,
იგი კი ცდილობს შეინარჩუნოს სიმყარე და წინ დგამს ნაბაჯს. იცით,
რა ხდება? დიახ, იგი იკრძება, საყრდენი წერტილი წინა აქვს. შემ-
დეგ მე წინ მივდივარ, ვუტევე. შესანიშნავი სარმა გამოდის! გნებავთ
გაჩვენებთ.

უარი ვთქვი. ვთხოვე ტექნიკის დეტალებში არ ჩაღრმავებულიყო,
ვინაიდან მონდა დაეწერო არა ტექნიკაზე, არამედ მასზე. თეიმურაზმა
ყურადღებით შემომხედა და გაკვირვებით მკითხა: „რა განსხვავე-
ბაა?“

პროფესორი ივანე ალიხანოვი: „აფხაზავა ბრძენია. ნახეთ ერთი,
რა გამოიგონა. იმდენად არასტანდარტულია, რომ მასზე შეიძლება
ცალკე სახელმძღვანელოც დაიწეროს. ჩოქბაქენში ისე აყენებს მო-
წინააღმდეგეს, რომ უგულვებელყოფს ფაზიკის ყველა კანონს. მაგ-
რამ, შესაძლოა, მან იცის ის, რაც ჩვენ არ ვიცით?“

— თეიმურაზ, რატომ არ გიყვარს მოგვერდი? ქუთაისელებმა ხომ
შესანიშნავი მოგვერდი იციან?

— მეშინია, ხურგით რომ შევუბრუნდე მეტოქეს. ჩემთან მო-

გვერდს ერიდებიან. საწინააღმდეგო უკუჩვენებას მიემართავ. მაგრამ ხომ შეიძლება მეც კონტრილეთი ჩამიტარონ?

— გაგიგონიათ ანეკდოტი მძღოლზე, რომელიც ყოველთვის წითელ შუქზე მიგრილებდა და მწვანესე კი იღვა? იმის შიშით, რომ გვერდიდან სხვა მძღოლი არ დასჯახებოდა, რომელიც ასევე წითელ შუქზე დადიოდა. ეს ჩემი ხერხი არ არის. ვერ ვგრძნობ მას. ხომ უნდა იყოს საქართველოში თუნდაც ერთი მოქიდავე, რომელმაც მოგვერდი არ იცის. ბატონი ილია იცინის და ასე ამბობს, აფხაზავა ზარმაციაო. ზარმაცი არა ვარ, ვფრთხილობ.

თეზისის — „აფხაზავა ზარმაცია“ ინფორმაციად შემიძლია მოგაწოდოთ უჩვეულო ფაქტი. 1970 წელს იგი ქიდაობდა უმჩატეს წონაში (48 კგ), 1972 წელს კი ხალიჩაზე გამოვიდა როგორც ქვესაშუალო წონის (68 კგ) წარმომადგენელი. 20 კილოგრამი მოიმატა ორ წელიწადში. გინახავთ ამის მსგავსი რამ? წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა მუშაობდეს მოქიდავე, რომ ასეთი ნახტომის შემდეგ მოქიდავედ დარჩეს? ის კი დარჩა მოქიდავედ. დებიუტი ჰქონდა როგორც ქვესაშუალოწონიანს „მეგობრობის“ საერთაშორისო ტურნირზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ სსრკ ეპირის ჩემპიონი გახდა ქაბუთა შორის. ისევე ქვესაშუალო წონაში.

და მაინც ფიზიკურ ზრდას არ მოსდევდა არც ძალა, არც ტექნიკა. არც გამოცდილება. რა გამოცდილებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ვერ ასწრებდა ერთ კატეგორიაში აეთვისებინა რაიმე. რომ იძულებული ხდებოდა წონაზე ეფიქრა, ათენებდა და აღამებდა ორთქლის აბანოებში, მაგრამ ბუნებას თავისი გაჰქონდა.

მწვრთნელები მოითხოვდნენ გაედიდებინა ფიზიკური მომზადების მოცულობა და აკი „მიაჭაქვეს“ კიდეც შტანგას, მაგრამ იგი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ეს მისი გზა არ იყო, და მძლეოსნის ფიცარნაგიდან ხალიჩისაკენ მიიპარებოდა. აკრიტიკებდნენ, ზარმაცს უწოდებდნენ. ყველას ეთანხმებოდა, არ ეურჩებოდა, კეთილად უღიმოდა... თავისას კი მაინც განაგრძობდა: საათობით ხალიჩაზე იყო. ტექნიკას ხეწდა. სპარინგებს ბოლო არ უჩანდა, კროსებზე დარბოდა, შტანგა პირად მტრად მიაჩნდა.

მას სულაც არ აურჩევია ყველაზე იოლი გზა. ძალ-ღონის მოკრება და კარგ შტანგისტად დადგომა გაცილებით სწრაფად შეიძლება, ვიდრე ტექნიკის დახეწა. უცნაური რამაა ეს ტექნიკა. მას ნელა ვითვისებთ, მაგრამ დიდხანს გვემსახურება. ვიმეორებ. მას ძალიან ნელა ვითვისებთ.

რა თქმა უნდა, თეიმურაზ აფხაზავასათვის გაცილებით იოლი იყო თავის გზას გაჰყოლოდა, თუ ეს გზა გამარჯვებებით იქნებოდა გა-

ბრწყინებული, მაგრამ სწორედ ეს ბრწყინვალეობა აკლდა. გამარჯვე-ბები არ ჰქონდა. 1974 წელს მეორე ადგილი დაიკავა ევროპის ჭაბუქ-თა ჩემპიონატზე (3:5). წააგო იანკო შოპოვთან, 1975 წელს მეორე იყო ივან პოდლუბნის მემორიალზე (წმინდად წააგო სსრ კავშირის ჩემპიონ ანატოლი ბიკოვთან). ამავე წელს გახდა მსოფლიო ჩემ-პიონი იუნიორთა შორის ჯა მხოლოდ მეხუთე იყო სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე. 1976 წელს მესამე აღმოჩნდა პოდლუბნის მემორიალზე (ქულებით წააგო მომავალ სსრ კავშირის ჩემპიონ ვლადიმერ ზემკოვთან). 1977 წელს მესამე ადგილზე გავიდა უნივერ-სიადაზე), წააგო რუმინელ იონ დრაიკასთან („შეჭიბრებიდან მომხსნეს პასიურობისათვის და სამართლიანადაც“).

მისმინეთ: მეორე ადგილი, მესამე ადგილი, განა ეს ცუდია? იგი ხომ მხოლოდ 22 წლისაა! სპეციალისტებს შიანჩიათ, რომ მისი ნი-ჰისათვის ეს ცუდი თუ არა, ყოველ შემთხვევაში არასაკმარისია თეიმურაზიც ასე ფიქრობდა და ფართო ფრონტით ებრძოდა: ებრძო-და წონის მომატებას, ებრძოდა მეტოქეებს და თანაც სურდა თავის-თავადი დარჩენილიყო. როგორც ხედავთ, პროგრამა ფართოა. მაგრამ განხორციელდება...

— მე დიდად ვუმაღლი იური კოლუპოვს — ჩვენი ქვეყნის ახალ-გაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელს. უკვე გადავედი მოზრდილ-თა თანრიგში, კოლუპოვი კი არ მივიწყებდა. სწორედ მან მიჩნია გა-დავსულიყავი 82 კილოგრამიანების კატეგორიაში.

ძალიან გაბედული უნდა იყოს ადამიანი; რომ ასეთი რჩევა მის-ცეს ვინმეს. აფხაზავას ძალა არ ჰყოფნიდა 74 კილოგრამისათვისაც, კოლუპოვმა კი უფრო მძიმე კატეგორიაში გადასვლა უჩნია. სწორი იყო თუ არა ეს?

სსრ კავშირის ჩემპიონატზე 1978 წელს თეიმურაზმა მეათე ადგი-ლი დაიკავა. იგი გამოიყვანეს ჩვენი ქვეყნის ნაკრებიდან. აღარ სჭე-როდათ მისი. მართლაც, განა ცოტა ნიჭიერი ყმაწვილი იყო ისეთი, რომლებიც ბრწყინვალედ გამოდიოდნენ ჭაბუქთა და იუნიორთა თან-რიგებში, მაგრამ ვერ დამკვიდრდნენ მოზრდილთა შორის? ეაი რომ ბევრი იყო.

არა, ასე არ გამოდის! აფხაზავას პირველი მწვრთნელი ჯემალ კოსტავაც. ბობოხიძეც. კოლუპოვიც, გოგლიჩიძეც დარწმუნებული იყვნენ, რომ თეიმურაზი თავის სიტყვას იტყოდა.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა. ფინალი. გენადი კორ-ბანი — თეიმურაზ აფხაზავა — 7:5. „ლონით ის მჯობდა, მაგრამ უკვე ვიგრძენი, რომ ტოლს არ დავუდებდი“. ხალიჩაზე თეიმურაზი გოვ-ლიჩიძეს გამოჰყავდა.

ახლა რამდენიმე სიტყვა რუმინელ მოკიდავეზე, ევროპისა და უნივერსიადის ჩემპიონ იონ დრაიკაზე. აფხაზავა ამბობს: „ჩვენ თით-

ქმის ნათესაეები ვართ. ვკიდობთ „იუნიორობიდან“. 13-ჯერ შეეხედით ერთმანეთს — 6.5:6.5. ხუთჯერ იმან გაიმარჯვა, ხუთჯერ — მე და სამიცი — ფრე“. დრაიკა ტანდაბალია, ფართო მხარბეკი აქვს და ორი გული. საოცრად ამტანია. სწორედ ამით სჯაბნიდა თეიმურაზს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მათი მრავალწლიანი მეტოქეობის მეორე ნახევარი აფხაზავას სასარგებლოდ წარიმართა. დრაიკას იერიშებს აქარწყლებდა ქართველი მოჭიდავის ტექნიკა.

ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ივანე პოდლუბნის შემორიალზე 1982 წელს. შეჯობებების წინ სსრ კავშირის ნაყრების მთავარმა მწვრთნელმა გენადი. საპუნოვმა თქვა: „წარსული დავივიწყოთ. ვინც მოიგებს მემორიალს, ის წავა მსოფლიო ჩემპიონატზე“. ეტყობა. აფხაზავას ძალიან მოეწონა საკითხის ასე დაყენება: ვინ ვინ არის? და მანაც უბრალოდ და მორიდებით უპასუხა: „მე!!!“ თეიმურაზმა დაამარცხა დრაიკა. პოლონელი მალინა (ტუშე), კორბანი (4:1) და სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი სუხოპლიუევი (3:2).

აი როგორ მოხდა. რომ მოჭიდავე. რომელსაც ერთხელაც არ მოუგია ჩვენს ქვეყნის ჩემპიონატი, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა.

თეიმურაზმა იქაც ყველა დაამარცხა, მათ შორის იუგოსლავიელი ოლიმპიური ჩემპიონი მომირ პეტკოვიჩი (ტუშე), ფინალში კი იონ დრაიკა — 4:2. ქართველმა ფალავანმა მთელ ტურნირში მხოლოდ ორი ქულა წააგო და კიდევ: აფხაზავა მსოფლიო ჩემპიონი გახდა 82 კილოგრამამდე წონაში.

— ამ პირველობაზე მოხდა ერთი ძალზე ტრაგიკული შემთხვევა. — ამბობს აფხაზავა სერაიოზულად, შეიძლება ითქვას, ზეიმურადაც კი და თვალები ეშმაკურად უცინის. — 1979 წელს ევროპის ჩემპიონატში წარუმატებლად გამოვედი. სამი წელი არსად არ მივყავდი. ვიკოდი, რომ თუ აქ კატოვიცეშიც, ჩავფლავდებოდი, საბოლოოდ ხელი მომეცარებოდა. 27 წლისა ვიყავი და მე. სუსტს, სადღა წამიყვანდნენ? და აი პირველი შერკინება ჩინელთანა მაქვს. წარმოგიდგენიათ?! არავის. არც ერთ ჩვენგანს არ ენახა მათი ჭიდაობის მანერა. მაშასადამე, გამოდის, რომ მე მზეერავის როლში ვიმყოფები. მაღალ-მაღალი. გამხდარი, მატყუარა, ისიც ნამდვილი მზეერავი იყო. იქნებ კარატისტოცაა? შეუშინებლად რომ თითი მატაკოს საღმე და დამაძინოს? გამოვდივართ. მაშინვე „ჯვარს“ მიმართავს — ჯვარედინ შებოქვას ცდილობს, მე. ბუნებრივია, — თავის დაღწევას. ვაღიმე მსარიოვი კი, პირდაპირი და ცოტა არ იყოს უკმეხი ადამიანი, მიყვირის: „რალას უყურებ?! ეცი და დააწვინე!“ მეც ვეცი და დავაწვინე. ძალზე ტრაგიკული შემთხვევა იყო. შიშისაგან კინალამ გავთავიდი!

არ იფიქროთ, თითქოს თეიმურაზ აფხაზავა მუდამ ირონიის ხასი-

ათხეა. 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კრევში სახუმარო არაფერი ჰქონდა. საშინელი მოწყენილობა სუფევდა. გამოვიდა თეიმურაზი ხალიჩაზე, თორმეტი მშრალი ქულა მოაგროვა და წავიდა. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა რომან რურუამ თქვა: „მეტოქეები ვერ ეჭიდავებიან მას. ვერაფერს ხდებიან“. „რალა აქ საინტერესო? თუნდაც ის, რომ თეიმურაზ აფხაზავა იქასე საბჭოთა სპორტსმენია, რომელმაც კლასიკურ კიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა!“

მინსკის სპორტის სასახლის პოლში ცხელოდა. მოჭიდავეები მაისურებისა და ტრუსების ამარა იყვნენ, თეიმურაზ აფხაზავა კი ქურთუქშეთუთული ზის. ამას ყურადღება მიაქცია სსრ კავშირის ნაკრების ექიმმა გენადი ბაკუშევმა.

— რას შეფუთულხარ. თეიმურაზ?

— კუნთებს ვითბობ შეხვედრის წინ...

მაგრამ ბაკუშევს ვინ რას ვამოაპარებდა, თითქმის ოცი წელია ნაკრებში მუშაობს. შუბლზე ხელი მიადო მოჭიდავეს და უთხრა: „გეტყობა, უკვე გათბი!“ — თერმომეტრი მისცა. 39,2. „კიდაობას გიკრძალავ!“ შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა. სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გენადი სპუნოვი: „იქნებ მართლაც არ ღირდეს, თეიმურაზ? ნაკრებს პირველი ნომერი ხარ. თუ არ მოტყუდები, ოლიმპიადაზე შენ იჭიდავებ!“

აფხაზავას ელაპარაკა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რომან რურუაც. ვკითხე, რა უოხარი-მეთქი თეიმურაზს. „არაფერი არ მითქვამს, — მიპასუხა რურუამ. — ვუსმენდი, რას ლაპარაკობდა. ის ვაუკაცია. მოჭიდავე! უფლება აქვს თვითონვე გადაწყვიტოს...“ რა გადაწყვიტა? — „მაშინვე არაფერი. ფიქრობდა...“

როგორ გგონიათ, რაზე ფიქრობდა? იმაზე, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნის მეათე ჩემპიონატი მისი მონაწილეობით და რომ წინა ცხრა პირველობაზე გამარჯვება ვერ შეძლო: 1974 წელს დაიკავა მეტხუთმეტე ადგილი, 1975 წელს — მეხუთე, 1976 წელს — მეხუთე, 1977 წელს — მერვე, 1979 წელს — მეცხრე, 1980 წელს — მეორე, 1981 წელს მესამე, 1982 წელს — მესამე, 1983 წელს — მესამე, 1984 წელს — ...

ეს იყო სსრ კავშირის საუწყებთაშორისო ჩემპიონატი. დინამოელი აფხაზავა არ ექვემდებარებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეყნის ნაკრების ექიმის იურისდიქციას. იგი მივიდა ბაკუშევთან და უთხრა: „გენადი კონსტანტინოვიჩ, გავალ ერთ შეხვედრაზე, თუ იგი ორ წუთზე მეტხანს გავრძელდა, პატროსან სიტყვას ვაძლევთ, თავად მოვეხსნები შეჯიბრებიდან“. ბაკუშევმა მძიმედ ამოიოხრა და არაფერი უთხრა. შერკინების მეორე წუთის ოცდამეათე წამზე თეიმურაზს კიეველ ვიქტორ ლოზნოვისთან ორთაბრძოლაში ანგარიში

მიჰყავდა 10:0. თხუთმეტი წამის შემდეგ ლოზოვის დისკვალიფიკაცია მისცეს პასიურობისათვის. თეიმურაზმა შემდეგ ბეჭეზზე გააკრა მინსკელი სერგეი ჩოჩალოვი. შემდეგ... ექვსი შერკინება — ექვსი გამარჯვება.

თეიმურაზ აფხაზავა მეათე ცდაზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ბაკუშევმა ჰყითხა, თავს როგორ გრძნობო.

— ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ. — მიუგო აფხაზავამ. კაჟივით ვარ!

ტემპერატურა გაუსინჯეს. 38,4.

— გასწი. სასტუმროში! არ გაბედო ნომრიდან გამოსვლა! — წონასწორობა დაკარგა ბაკუშევმა.

— მესმის! — მხედრულად უპასუხა სსრ კავშირის ჩემპიონმა თეიმურაზ აფხაზავამ, მოხდენილად შეტრიალდა და დინჯად გავიდა სასახლიდან. იგი ზომ ძალზე დაღლილი იყო.

ბიოგრაფია გრამელეზა

„სწრაფი, მოქნილი, ძალიან ტექნიკური, მოგვერდის ოსტატებს ჩვეულებრივ ვაზნეკეთ გდება ძაისცადამაც არ ემარჯვებთ.

თემო ყაზარაშვილს კი ყველაფერი შესანიშნავად გამოუდის.

იგი ჯერ ახალგაზრდაა და უკვე მსოფლიო ჩემპიონია!.

ფასალიკ უშვემპირიკი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ოლიმპიური ჩემპიონი

ქ. აღმათა



თემურაზ ყაზარაშვილი

ჭიდაობაში რეკორდების ფიქსირება არ ხდება, მაგრამ მესხიერებაში მაინც რჩება. ეთქვათ ის, რომ მოწინააღმდეგე შეიძლება ბეჭებზე ორ წამში დააწვინონ. არა გჯერათ? აი ნახეთ. სატუენის ხმა კაისმა. ნაბიჯი წინ წადგა, დაიგრიხა, ტუშე! რამდენს აჩვენებს თქვენ წამში? ნადვილად ორ წამს.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ ასპარეზობებზე კურიოზები უფრო ხშირად გვხვდება. ახალგაზრდები მოზრდილებზე ლაღვბო არიან. ისინი ჭიდაობაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე მის შედეგებზე, და ამიტომაც ახდენენ ნამდვილ სასწაულებს.

მსოფლიოს თენიორთა ჩემპიონატზე 1979 წელს თემო ყაზარაშვილი ფინალში შეხვდა ფინელ მოჭიდავეს, მიალი, მოქნილ და, როგორც თვითონ თემომ თქვა, „რეზინისებურს“. ყაზარაშვილმა მხე კარგად ჩაატარა ყველა წინა შეხვედრა (ყველა წააქცია), რომ თენ-

დაც წმინდად წაეგო ფინელთან, მაინც ჩემპიონი ხდებოდა. და, აი, დაიწყო ორთაბრძოლა. თემომ მეტოქის სხეული შებოქა და გაზნექვით წააქცია. ოთხი ქულა ადლო. ეტყობა, ჩვენი გუნდის უფროს მწვრთნელს იური კოპლუნოვს ძალიან მოეწონა ეს გდება და ყაზარაშვილს გასძახა: „ისევ წააქციე“. თემომაც წააქცია. მაგრამ ამჯერად „რეზინისებურმა“ ფინელმა წინ წამოსწია გრძელი მკლავები და მოწინააღმდეგე ხიდურზე დატოვა. თემო ორ წუთს ცდილობდა ხიდურიდან გამოსვლას და როცა გამოვიდა, ალბათ, ყველა ის გდება ჩაატარა, რომლებიც აღწერილია „კლასიკური კიდაობის“ სახელმძღვანელოში; ანგარიში ფენომენალური იყო: 39:3 (!). როცა შეხვედრა დამთავრდა და თემოს ჰკითხეს, რა ძალა გადგაო, ასე უპასუხა:

— თქვენ რა, ვერ დაინახეთ, რომ კინალამ ბექებზე დამდო?

— მერე რა? შენ ხომ მაინც ჩემპიონი იქნებოდი...

— ეჰ, ხიდურზე რომ მოეხვდი... ყველაფერი გადამავიწყდა, მემეშინდა, წმინდად არ წამეგო...

დასკვნა მარტივია: შიში ცუდია, მაგრამ თუ მაინც შიში შეგეპარება, მხოლოდ ისე უნდა მოიქცე, როგორც თემო ყაზარაშვილი.

ამ ამბის გახსენებაზე თემო იცინის: „ახალგაზრდა ვიყავი, მიაშიტი... ზემდეგ სპორტმა ბევრი რამ მასწავლა...“

ოლიმპიადა-80-ის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი ეშაღდებოდა მეტად პასუხსაგები ტურნირისათვის შევციაში — მსოფლიო თასის გათამაშებისათვის. არსებითად ეს შეჯიბრებები პირველი სტარტი იყო ახალ ოლიმპიურ ციკლში და ბევრს სურდა მასში მონაწილეობა. ყაზარაშვილიც არ იყო გამონაკლისი.

შევციაში წასვლამდე 10 დღე რჩებოდა, თემომ მკლავი ამოიგდო იდაყვში ღერძზე ტრიალის დროს. სანამ მასთან ექიმები გაჩნდებოდნენ, თვითონ დაირტყა საღი ხელი ტრავმირებულ იდაყვზე და წინამხარი გაიწვორა. ექიმები გაოცდნენ.

— ათ დღეს არ მიჰიდავია წესიერად. მტკივანი ხელი მუცელზე მქონდა მიდებელი და კროსზეც ისე დავრბოდი, რეზინსაც ისე ვჭიმავდი და ნახევრად სპარინგებსაც ვატარებდი. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მაინც წამიყვანეს... მსოფლიო თასის გათამაშებაზე.

მან გაამართლა ნდობა და მსოფლიო თასის მფლობელი გახდა. ნახევარფინალში შეედი კენტ ანდერსონი დაამარჯხა ანგარიშით 18:0, ფინალში კი იაპონელ ისიი კავანოს შეხვდა და ბექებზე დააწვინა!

სად არიან ასეთი ბიჭები? სად პოულობენ მათ მწვრთნელები?..

— რა კიდაობაზე ლაპარაკობთ! — ყაზარაშვილმა ხელები გაახავა. — კლასში ყველაზე პატარა ვიყავი, 32 კილოგრამს ვიწონიდი. ფეხბურთს ვთამაშობდი. კიდევ კარგი, რომ ფეხბურთს მათა-

მაშებდნენ... ცუდად არ დავრბოდი. 14 წლისა რუსთავის მე-17 სამრეწველო-ტექნიკურ სკოლაში შევედი. ფიზკულტურის მასწავლებელი ომარ გუგუშაშვილი იყო. ის ხელმძღვანელობდა კლასიკური ჭიდაობის სექციას... მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცი. იმართებოდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში. მოვიგე შეჯიბრება 100 მეტრზე რბენაში. გუგუშაშვილმა თავისთან მიხმო და მითხრა: „ვფიქრობ, ჭიდაობას შეძლებ... სალამოს დარბაზში მოდი!“...

ამრიგად, ზემოთ დასმულ კითხვას რომ ეუპასუხოთ, შეიძლება ვთქვათ, მოჭიდავეებს მწვრთნელები სარბენ ბილიკებზეც პოულობენ, თუ ეძებენ. ომარ გუგუშაშვილზე შეიძლება ითქვას, იგი არა მარტო ეძებდა, არამედ ძალიან შორსაც ხედავდა.

— ჩემი პირველი მწვრთნელი ყველაზე წყნარი ადამიანია მათ შორის, ვინც ცხოვრებაში შემხვედრია, — ამბობს ყაზარაშვილი. — და ძალიან მომთმენიც. თავდაპირველად ყველაფერს ვერ ვითვისებდი. ის კი დარბაზიდან არ მიდიოდა, ვიდრე ახალ გდებას არ დავეუფლებოდი. იმდენი არავისთან უმუშავია, რამდენიც ჩემთან.

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ილია ჩხარტიშვილმა ვისთანაც თემო მეცადინეობდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში შესვლის შემდეგ, აღნიშნა, თემოს დიდი ტექნიკური მონაცემები აქვსო. ჩხარტიშვილიც გამოირჩევა მომთმენებით. იგი არ აჩქარებდა ახალგაზრდა მოჭიდავის მომზადებას, აღრმავებდა, ხეწდა იმას, რაც ყაზარაშვილმა იცოდა. ყმაწვილი იზრდებოდა ჭკვიანი, თავისი საქმის მცოდნე და მოჭიდავეც შესანიშნავი დადგა...

ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე 1979 წელს თემოს წარმატების შესახებ უკვე ვილაპარაკეთ. მაგრამ სსრ კავშირის მოზრდილთა პირველობაზე ოლიმპიურ 1980 წელს იგი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოვიდა, მეხუთე ადგილი ერგო. მაშ, რატომღა ამოტივტივდა მისი კანდიდატურა მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობის საკითხს განიხილავდნენ? მწვრთნელებმა ამ ახალგაზრდაში დაინახეს ჩემპიონური სიმწვავე. თემოს შეედლო ნებისმიერი, მეტოქისათვის შეეთავაზებინა სიახლე. პრაქტიკულად მისი ყოველი ჩავლება შედეგიანი გდებით თავდებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მწვრთნელებს ყაზარაშვილის ხასიათი მოსწონდათ, მისი საბრძოლო განწყობილება უკანასკნელ წამამდე.

ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანეს აღმათელი უაკსალიკ უშკემპიროვო, როგორც უფრო გამოცდილი, როგორც სსრ კავშირის პირველობაზე გამარჯვებული. უაკსალიკი ოლიმპიკი 80-ის ჩემპიონი გახდა: ჩემ შეკითხვაზე, თუ როგორ გამოვიდოდა ყაზარაშვილი, მწვრთნელებს რომ მისთვის უპირატესობა მიეცათ-მეთქი, უშკემპიროვმა მიპასუხა:

— ვფიქრობ. ისიც ჩემპიონი ვახდებოდა.

უკანასკნელმა მოიგო მსოფლიო პირველობაც 1981 წელს, ხოლო როცა სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გენადი საპუნოვმა ჰკითხა, ვის შეიყვანდა უშეცემპიროვი 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, ამ უკანასკნელმა გარკვევით უპასუხა: მხოლოდ ყაზარაშვილს.

თემო ყაზარაშვილი ძალზე მორიდებით ლაპარაკობს საკუთარ თავზე. „პირველი ხერხი, რომელსაც დავეუფლე, კისრული იყო. ყველა ქართველი მოკიდავე ამით იწყებს. თუმცა ქართული ჭიდაობა არ მისწავლია, მაგრამ ამ ჩვენ ეროვნულ სპორტს თითქოს ჰაერთან ერთად ვისუნთქავთ. აი, ალბათ, მეც ჩავისუნთქე“.

ღრმად ჩაისუნთქა. პირველი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონატზე 1982 წელს უნგრელ ჩაბოი ვადასისთან ყაზარაშვილმა მეორე წუთზე დაამთავრა. სამჯერ კისრულით გადმოტანა მოასწრო და თითოეულ გდებაში მსაჯებმა უმაღლესი — 4-ქულიანი შეფასება მისცეს.

12:0 — ეს წმინდა გამარჯვებაა ქულებით. მეორე წუთზე!

იქნებ ვადასი კარგი მოკიდავე არ იყო. ნამდვილი ოსტატი ხომ ასეთ მოკლე დროში სამ ერთნაირ ილეთს არ ჩაატარებინებს. ვადასი კარგი მოკიდავეა! ორი წლის შემდეგ მან დაამარცხა ყაზარაშვილი და მოიგო „მეგობრობა-84“. ბულგარელი ბრატან ცენოვიც შესანიშნავი მოკიდავეა, ისიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1983 წელს ისევ ყაზარაშვილზე გამარჯვების შემდეგ. 1982 წელს კი ცენოვმა წააგო ყაზარაშვილთან, თანაც საკმაოდ საგრძნობი ანგარიშით — 2:7.

ისინი ნამდვილად სერიოზული მოწინააღმდეგეები იყვნენ. ამერიკელი ტომ ჯონსი და თურქი მითხათ ბორა კი — უფრო სუსტები. მათ წააგეს ანგარიშით 0:10. ოცდასამი წლის თემო ყაზარაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა უმჩატეს წონაში.

შეიძლება იკითხოთ, რატომ წააგო თემომ ცენოვთან მსოფლიო ჩემპიონატზე 1983 წელს? იმავე მიზეზით, რომლითაც მან მეორე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. მას არ ეყო ძალები გადამწყვეტ ორთაბრძოლებში, ვერ მოასწრო ჯანმრთელობის აღდგენა ქუნთრუშის უმძიმესი ფორმის გადატანის შემდეგ. ბავშვთა ეს დაავადება ზოგჯერ მოზრდილებსაც შეეყრებათ ხოლმე.

— 40 გრადუსი სიცხე ერთ კვირაზე მეტხანს ჰქონდა, — მითხრა ილია ჩხარტიშვილმა. — ბიჭი პირდაპირ იწვოდა, ხუთი კილოგრამი დაკარგა. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მთელი დატვირთვით ვარჯიშობდა, მაგრამ ფორმაში ჩადგომა მაინც ვერ მოასწრო.

აი დამთავრდა მოთხრობა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონ, უნივერსიად-81-ის გამარჯვებულ, მსოფლიო ჩემპიონ თემო ყაზარაშვილზე. მოთხრობა მოკლე გამოვიდა იმიტომ, რომ თემოს სპორტუ-

ლი ბიოგრაფია ჭერ კიდევ არ დაწერილა. იგი 25 წლისაა და დიდი სამომავლო ვეგმები აქვს.

რატომ არ გაიმარჯვა მან „მეგობრობა-84-ში?“ იმიტომ, რომ გადაწყვიტა ახლებურად დაეცვა თავი ტრიალისაგან. ახალი ილეთის ათვისება ვერ მოასწრო. ძველი კი თანდათან ავიწყდებოდა. აღრე, როცა მის დატრიალებას ცდილობდნენ, ათიდან ცხრაში შემტევს სჯობნიდა. ამიტომ მოუგო მას ვადასმა „მეგობრობა—84-ში“.

ყაზარაშვილმა ამტანობაშიც მოიკოჭლა. აკი აღრე მან მსაჯები აიძულა პასიურობისათვის ხალიჩიდან მოეხსნათ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ვასილ ანიკინი, — ისეთ ტემპს ავითარებდა, რომ ვერავინ უძლებდა. ახლა კი უძლებენ... მაშასადამე, შრომა და ისევ შრომაა საჭირო. ეს არასოდეს არ არის ზედმეტი!

მომთმენი უმარვილი



„იგი ძალისშეირი მოკიდავეა... ალბათ, ლეილ ძმასთანაც ძალისშეირად იკიდებდა. ასეთი ხასიათისაა. სიმკაცრეს კი ვერ ითმენს. თუ მასთან შერკინებოდას. „ჯოხს გადალუნავენ“, გდებათა ისეთ სეროას ჩაუტარებს, რომ მეტოქე უმალ დაჯაბნილის როლში აღმოჩნდება...“

ნურისლან ხალიულინი

სპორტის დამსახურებული ოსტატი,
მსოფლო ჩემპიონი

ქ. ულადივოსტოკი

სერგეი ტერნოვიხი

არა. რაც გინდათ თქვით და ზღვისპირა ქალაქების ბიჭები გამოირჩევიან! იქნებ ზღვა ჩასჩურჩულებს მათ ათასნარკ ოინბაზობის რეცეპტებს, იქნებ ცხელი მზე კმატებს ენერგიას მათ ფანტაზიას. ანდა, შესაძლოა, ჯერ კიდევ რაღაც გაურკვეველი რამ ამოძრავებს მათ ერთმანეთზე უარესი კვიმატური საქციელისათვის.

ეს ბიჭები სპორტშიც სხვანაირად შემოდიან. იწყებენ. მაგალითად, აკრობატობით, მთელი წელიწადი ატრიალებენ ფლიაკებსა და რონდატებს, შემდეგ გადასხდებიან ბაიდარებში. სწორედ ასე მოიქცა ორი სოხუმელი ერთგული მეგობარი სერგეი ტერნოვიხი და ოვანეს ჯივილიკიანი. მაგრამ მათ ბაიდარა მალე მოიმწვანნილეს და ცხენებზე გადასხდნენ. არც აქ დაუდგათ გული უბრალოდ იმის გამო, რომ ღო-

ნიერი ცხენები ვერ გრძნობდნენ 35-კილოგრამიან მხედრებს და კატეგორიულად უარი თქვეს გადამხტარიყვნენ დაბრკოლებებზე.

გადაწყდა: მეგობრები მიდიან სამბოს შესასწავლად. არაორგანიზებული ბავშვობა დამთავრდა, დადგა ორგანიზებულობის ხანა...

სპორტის ოსტატი ვიქტორ პესოჩინსკი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს ამთავრებდა, სალამოობით კი მწვრთნელად მუშაობდა. ჯერ საზოგადოებრივ საწყისებზე, შემდეგ საათობრივზე. ბევრს დაუწყია ასეო, იტყვის მკითხველი. მართალია, მაგრამ ყველას არა. პესოჩინსკის სპეციალური სპორტული განათლება არ ჰქონია. წვრთნის პროცესში მან შეიტანა ის, რაც კარგად იცოდა, — მათემატიკური საწყისები.

როგორც ცნობილია, მათემატიკა მკაცრი და ზუსტი მეცნიერებაა. ვიქტორ პესოჩინსკიც — პედაგოგის შვილი და თვითონაც მომავალი პედაგოგი — მკაცრი და ზუსტი იყო. წვრთნის გაცდენას არასაპატიო მიზეზით ისე განიხილავდა, როგორც სავანგებო შემთხვევას. მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ეს რაოდენობრივი სისტემა აუცილებლად თვისებრივში გადავიდოდა. ზოგისთვის ადრე, ზოგისთვის გვიან, მაგრამ უსათუოდ გადავიდოდა.

ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა და პესოჩინსკის მოწაფემ სერგეი ტერნოვიჩმა აფხაზეთის ქაბუკთა პირველობაზე ფინალურ შეხვედრაში თავისი ერთგული მეგობარი ოვანეს ჯივილიყიანი დაამარცხა. შემდეგ მესამე იყო საქართველოს „დინამოს“ საბჭოს პირველობაზე. რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლის პროცესი დაიწყო. იგი მწვრთნელსაც შეეხო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პესოჩინსკი მათემატიკის მასწავლებელი არ გამხდარა. მიხვდა, რომ მისი ადგილი სპორტში იყო.

იმის თქმა, რომ სერგეი ტერნოვიჩი მაშინვე ეზიარა სპორტსო, გაზვიადება იქნებოდა. სამხრეთის ქალაქ სოხუმში სპორტის ამ სახეობას გაცილებით გულგრილად ეკიდებოდნენ, ვიდრე, მაგალითად, ჩრდილოეთის ჩურაპჩაში; იაკუტიის ამ პატარა სოფელმა ორი ოლიმპიური ჩემპიონი აღზარდა თავისუფალ ჭიდაობაში — დმიტრიევი და პინივინი. ჭიდაობის სოხუმის სკოლას კი ოლიმპიელები ჯერჯერობით არ აღუზრდია. თავდაპირველად ტერნოვიჩიც, ისევე როგორც მისი ბევრი ამხანაგი, ფიქრობდა, რომ მხოლოდ საწვრთნელ მეცადინეობას დასჯერდებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. სერგეი მუშის ოჯახიდანაა. მშობლები სპორტს მარტივად და სწორად უყურებდნენ. მათი დევიზი იყო: უღელში თუ შეები, გასწიე კიდევ კაპანი, თუ მისდევ, სპორტს, დღე ვარჯიშით დაიწყე. როგორ არ ეწინააღმდეგებოდა სერგეი ამ დევიზს, მაგრამ არაფერმა უშველა: დილაადრიან ძალით აყენებდნენ ლოგინიდან და პირდაპირ სავარჯიშოდ აგდებდნენ. თუ

ეს ვინმეს წვრილმანებად მოეჩვენება. არ იქნება სწორი. არ არის წვრილმანები იმ ადამიანთა ბიოგრაფიაში, ვინც მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ერთი სიტყვით, სერჯეი ორცეცხლშუა აღმოჩნდა. ერთ მხარეს მწვრთნელი იღვა, მეორე მხარეს მშობლები იყვნენ. სხვა რა გზა ჰქონდა! — უნდა ეშრომა. მალე გამოირკვა უმთავრესი: სერჯეიმ შრომა იცოდა და უყვარდა კიდევ, ღარბაში ბრძეული მდილიდა და უკანასკნელი ტოვებდა მას. იზრდებოდა მოქდავე. ასეთები ყოველთვის ასე იზრდებიან. ზრდის ყველაზე არსებითი ნიშანი გახდა მისი ოცნება, რომ ჩაებარებინა სპორტის ოსტატის ნორმატივი, გამბდარიყო რესპუბლიკის ნაკრების წევრი და მსაჯ-ინფორმატორს გამოეკხადებინა: „ტერნოვიხი (საქართველო)“ — ეს მოხდა მოგვიანებით. იგი ჯერ კიდევ ოსტატის წოდებაზე ოცნებობდა. ოცნებობდა და მუშაობდა. 1977 წელს ტერნოვიხმა მეორე ადგილი დაიკავა ძერქინსკის საკაემპრო მეგობრალზე და ოსტატი გახდა. მაშინ იგი 17 წლისა იყო.

სერჯეი სუსტია. ძვალწვრილი. მაღალ-მაღალი. ვაცილებით მაღალი, ვიდრე მისი მეტოქეები უმჩატეს წონაში. იგი თავისებურად იყენებს ამ უპირატესობას, არ იზრება ხალიჩაზე. არ იღებს დაკვივით დგომს. მეტოქეზე გულდაჯულ მიიწევს და ამით კიდევ უფრო მაღალი ჩანს. ბრძოლის მსხუდლი მანერა მოსწონთ მსაჯებს. იგი პირდაპირ მდიის საფრთხის შესახვედრად. ეს ყველას ხიბლავს.

ვინ იყო ტერნოვიხის უახლოესი თანამგზავრი ჩემპიონობის მწვერვალისაკენ მიმავალ გრძელ გზაზე? დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. დიდხანს ვერ შეძლო მან პირველი ადგილის მოპოვება. საკაემპრო ხალიჩაზე იგი მხოლოდ ერთხელ იყო ჩემპიონი, — როცა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული პირველობა მოიგო 1980 წელს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში იგი მეორე ადგილს ვერ ასცილდა.

იგი გახდა საქართველოს ნაკრების წევრი, მაგრამ რესპუბლიკის ჩემპიონი ვერა. ფ-ნალური შეხვედრები წააგო გოგი გორგაძესთან. „მასთან ვერაფერს ვახერხებ, მაღიზიანებს, გონს მოსვლის საშუალებას არ მაძლევს“, — ასე ახსნა სერჯეიმ თავისი დამარცხებანი. იგი ხსრ კავშირის მოქიდავეთა ნაკრებშიც შევიდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონიც ჯერჯერობით არ ყოფილა.

მსოფლიო ხალიჩაზე კი, საბედნიეროდ, საქმეები უკეთესად მიდიოდა. 1981 წელს მან მოიგო ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. მეტოქეებს ამარცხებდა ან აშკარა უპირატესობით, ან წმინდად.

როგორ რეაგირებენ გამარჯვებებზე ისინი, რომლებიც შემთხვევით იგებენ შეხვედრებს? ინდაურებივით იფხორებიან, ბევრს ლაპარაკობენ, ყველას ახსენებენ თავიანთ გამარჯვებას (ალბათ ეშინიათ, რომ ხალხი დაივიწყებს მათ). საერთოდ კი უფრო ნაკლებად მუშაო-

ბენ. ლაფნის გვირგვინებს იფერებენ. სერგეი ასე არ მოქცეულა. მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა გააორკეცა წვრთნა, პირდაპირ გააწაშა სპორინგ-პარტნიორები. მოეწონა გამარჯვება. გემო გაუგო.

საკაცშირო არენაზე კი გადამწყვეტი გამარჯვებანი ვერა და ვერ მოიპოვა. ტერნოვიხი ოთხჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონატების მონაწილე. ორჯერ დაიკავა მესამე ადგილი, ერთხელ — მეორე. აი სწორედ ამ შემთხვევის შესახებ გვამბობთ. ჩვენი ქვეყნის 1984 წლის ჩემპიონატი ტარდებოდა ახალი წესდებით: მოქიდავეს, რომელსაც ერთი დამარცხება ქულდებით ჰქონდა და ერთი გამარჯვება წმინდად, შეეძლო გაესწრო კონკურენტისათვის. რომელსაც ორი გამარჯვება მოიპოვა უმნიშვნელო უპირატესობით. ეს სიახლე მიზნად იწახვდა სპორტსმენები სანახაობრივი და შედეგიანი ბრძოლისათვის განეწყო.

ფინალში ტერნოვიხმა უმნიშვნელო უპირატესობით დამარცხა ორივე მთავარი მეტოქე. მაგრამ ერთმა „მოულოდნელად“ წმინდად წააგო მეორესთან და ტერნოვიხი მეორე ადგილზე დარჩა. სსრ კავშირის მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ იონოვმა ყველაფერი დაინახა, მაგრამ დუმილი ამჯობინა. თავისი სიტყვა მან მაშინ თქვა, როცა განისახლვრა ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა 1984 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის. მადრიდში გაემგზავრა სერგეი ტერნოვიხი...

— პირველი მეტოქე ბულგარელი გეორგიევი იყო, — გვიამბობს ტერნოვიხი. — ძლიერი. მეტად ამტანი. მაგრამ ცოტა არ იყოს სსრ-წრაფე აკლდა. იგი ბრძოლის დაწყებას შეხვედრის მეორე ნახევარში აპირებდა. როცა მე უკვე მოვიქანებოდი, მე კი საკუთარი გეგმები მქონდა, ჩავატარე გდებათა სერია და მეორე წუთზე ანგარიში 12:0 იყო.

მონღოლი ტეგშე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სამბისტია. ტეგშეს ელვისებური შეტევებით ვერ განაცვიფრებ. იგი თვითონ გაგაოცებს. მონღოლი მსოფლიო პირველობებზე ორგზის გამარჯვებულია. ტერნოვიხი კი დებიუტანტი იყო, სწორედ ამიტომ პროვოცირების უმეტესობა საბჭოთა მოქიდავის საწინააღმდეგოდ გამოითქვა.

გაისმა თუ არა გონგის ხმა, ტეგშე იერიშზე გადავიდა. ტერნოვიხმა უკან დაიხია ერთხელ, მეორედაც, ხოლო როცა მეტოქე დარწმუნდა, შევაშინეო, სერგეიმ სწრაფი კონტრიერშით ქულა მოიპოვა. ტეგშემ სიფრთხილეს უმატა, იგი დიდხანს „იჭერდა წამს“, დიდხანს ელოდა, როდის შეცდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა მოქიდავე, მაგრამ ამოღ. ტეგშე კვლავ გადავიდა იერიშზე. ტერნოვიხმა ისევ ელვისებური კონტრიერში განასოტციელა — წონასწორობიდან გამოიყვანა — და გამარჯვება კიდევ ორი ქულით განიმტკიცა.

სერგეი მულამ მხადაა ძალისმიერი ჰილაობისათვის, მაგრამ სისას-

ტიკეს ვერ იტანს. როცა მეტრქე მტკივნეული ილევის ჩატარებამ უპირებს, ხოლო ტერნოვიზი თავს იცავს და დგომში მყოფი ხელზე ჩაბლაუჭებულ მეტოქეს სწყვეტს ხალიჩას, — აქ ყველაფერს ისა სჯობს, რომ ხელი უშვა ჩავლებას ისე, რომ არ დაელოდო მსაჯის ნიშანს, რადგან, სულ ერთია, აღრე თუ გვიან სასტვენის ხმა მაინც იქნება. მაშ საკითხავია, რატომ უნდა უღრძო ადამიანს მკლავი? ეს არასპორტულია და სისასტიკეა.

მსოფლიო ახალგაზრდულ პირველობაზე იტალიელმა ორლანდომ დაარღვია ეს სამბისტური მენება, სასტვენის შემდეგაც კი არ გაუშვა ხელი ტერნოვისს. სერგეი გაბრაზდა. 30 წამში სამი გდება ჩაატარა, თითოეული ოთხქულიანი. 12:0. ეს წმინდა გამარჯვება იყო, ოღონდ ქულებით.

მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატზე ისინი ფინალში შეხვდნენ. „ორლანდომ კვლავ მტკივნეულ ილეოს მიმართა. იგი სულ იმის ცდაში იყო, რაიმე მოეტეხა ჩემოვის, ჭიუტი ემაწვილია! ორი ტერნოვიზის ღონე აქვს — სერგეი მცირე ხანს დუმს. — ჩემპიონატის წინ მეხუთედ დაიკელი. წონამ დიდი ძალაც თან გაიყოლა. გამიძნელდა ამჯერად. კარგი სერიისათვის ძალ-ღონე არ მომდევდა. მაგრამ ჩემი ერთი ხერხი მაინც ვიხმარე — თავს ზემოდან წამოვიღე, ამის შემდეგ მას გუნება წაუხდა...“

სერგეი ტერნოვიზი მსოფლიო ჩემპიონი გახდა სამბოში. „აუხანეთში ჭიდაობის პირველი მსოფლიო ჩემპიონი!“ — სიამაყეს ვერ ფარავს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვიქტორ პესოჩინსკი.

— შეიცვალა თუ არა რამე შენს ცხოვრებაში მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ?

ჩაფიქრებული დუმს და უცებ იღიმება: „ტალონის განვრეტას გადაეურჩი“. უმნიშვნელო დარღვევა იყო, მაგრამ მკაცრმა ავტონისპექტორმა შენიშნა და გამაჩერა — ჯმუნი, ჯან-ღონით სავსე, ას კილოგრამზე მეტი იქნებოდა“. როცა გაიგო, რომ სერგეი მსოფლიო ჩემპიონია, არ დაიჯერა. რა ჩემპიონი ხარ?! მეც კი წაგაქვევო... ტერნოვიზი შეშინდა ინსპექტორს არ გაეხვრიტა ტალონი და ფრთხილად მიუგო: „თუ ვარჯიშობთ, იქნება მომიგოთ კიდევ“. ინსპექტორს პასუხი მეტად გაურკვეველი მოეჩვენა და მოითხოვა: „აბა, ჩამიტარე რამე!..“ ოღონდ გამოვლდე სარმა, მაგრამ ძლივს დავიჭირე, რომ არ წაქცეულიყო, ჩვენ შორის ხომ ძალზე დიდი განსხვავება იყო წონაში. ინსპექტორმა გაოცებით შემომხედა. დამიბრუნა ტალონი და მითხრა: „გეტყობა, მართლა ჩემპიონი ხარ, მაგრამ არც ჩემპიონებმა უნდა დაარღვიონ წესი. მეორედ აღარ გეკვიდავები. გაიგე?“ მეც ვუპასუხე, ყველაფერი გავიგე-მეთქი...

„მეგობრობა-84“-ის ტურნირზე სერგეიმ მეორე ადგილი დაიკავა. კლდესაცდურისა იყო ზედმეტი წონა. რომლის დაკლება უკვე შორეულ ულან-ბატორში მოუხდა. „მეშინოდა, არ დამძინებოდა. ვაითუ ღამით ავდგე და ჭიქა წყალი დავლიო-მეთქი. ვინც წონის დაკლებას აპირებს, ასეთი რამ ემართება. დილით ადგება და ვერ იგებს, რატომ მოემატა წონა...“

თბილად ჩავიცვი და ფანჯარასთან დავჯექი. ეს იყო ყველაზე გრძელი ღამე ჩემ ცხოვრებაში. მეგონა, არასოდეს გათენდებოდა. იძულებული ვიყავი მომეთმინა...“

დილით ის სასწორზე შედგა — ნორმაზე იყო! ისარი იხრებოდა მისი გულის ფეთქვით. ჩასუნთქვისას ისარი ზევით იწევდა. ჰაერსაც ხომ აქვს წონა. ამოისუნთქავდა და მუცელი აღარ ეტყობოდა. მსაჯმა ჯერ სასწორს შეხედა, შემდეგ მას და თქვა: „ნორმას!“

„ფინალში წავაგე ერთი ქულა. ეს იყო ყველაზე მძიმე დღე ჩემ ცხოვრებაში. რამდენი ვემზადე. რამდენი დავიკელი წონაში, ღამეც თეთრად გავათენე და მხოლოდ მეორე ადგილი... საწყენია...“

ამ სტრიქონების ავტორი არასოდეს გასულა მეორე ადგილზე ისეთ ტურნირებში, როგორიც იყო „მეგობრობა-84“, თქვენ მკითხველო?

სერგეი ტერნოვისი მხოლოდ 25 წლისაა. ეკვი არ მეპარება, რომ მის ცხოვრებაში ჯერ კიდევ მრავლად იქნება ნათელი დღე.

ქართველი კონსტოკიდანი



მიხეილ მამიაშვილი

„ერთ წელიწადში მამიაშვილმა ყველას გაგვისწრო. ჩვენ. რა თქმა უნდა. ეცდილობთ არ ჩამოვრჩეთ, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებთ. წერთნასა და შუქობრებებზე იგი თავს არ იზოგავს. ქვესაშუალო წონაში მას ბადალი არა ჰყავს ორთაბრძოლის წინ ძაღვებს მობლიზაციის უნარში. სწორედ ამიტომ ვაგებთ მასთან“.

ალექსანდრე კოხოვესკი

საერთაშორისო კლასის სპორტის
ოსტატი

ქ. შინსკი

რა თქმა უნდა, ტერმინი „სწრაფვა ფინიშისაკენ“ მორბენლებმა ვამოიგონეს. ამაზე არავინ დაობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ საფინიშო სპორტის ტექნიკას მარტო მძლეოსნები როდი არიან დაუფლებულნი. იგი მოქიდავეებშიც აითვისეს. ეკვობთ? ტყუილად. აი. ფაქტები: კლასიკური სტილის მოქიდავე მიხეილ მამიაშვილმა. რომელსაც ჩვენს ქვეყანაში არავინ იცნობდა. თორმეტი თვის განმავლობაში საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაში, სსრ კავშირის ჩემპიონატსა და მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა.

ჩემპიონის ოქროს მედალი მამიაშვილმა მიიღო ცხრამეტი წლის ასაკში. საკითხავია: სხვა რა ვუწოდოთ გამარჯვებათა ამ ფოიერვერკს, თუ არა ოსტატური სწრაფვა ფინიშისაკენ?

დიდი სპორტული აღმაფრენა ხშირად მოულოდნელობის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა სპორტში მოულოდნელობა პრინციპულად შეუძლებელია.

ჩვენ ზოგჯერ ვერც კი ვამჩნევთ. ხოლმე, რომ გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ნიჭიც აქვს მომადლებული და შრომაც ისეთი იცის, როგორც არც ერთმა მისმა მეტოქემ. ასეთი ყმაწვილი გამოდის დიდ ასპარეზზე და მეტოქეებს „თამაშის“ ახალ პირობებს სთავაზობს. მათ კი საპასუხო არაფერი აქვთ — მოუზადებელი არიან და ამიტომაც აგებენ. ჩვენ ვამბობთ: მოულოდნელად ლიდერი გამოჩნდაო. მაგრამ განა ეს მართლაც ასეა? გამარჯვებული ხომ მზად იყო გამარჯვებისათვის. იგი ელოდა მას...

ღრმად ჩამჯდარი თაფლისფერი თვალები აქვს. ქერაა, რუსულად ლაპარაკობს აშკარად გამოხატული უკრაინელი აქცენტით. სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მამიაშვილი თავშეკავებულად ილიმება და უკრაინულად მეუბნება:

— მე ხომ უკრაინელი ქართველი ვარ. დავამთავრე უკრაინული სკოლა. ვიცი ცალკეული ქართული სიტყვები, მაგრამ ექვი არ შეგეპაროთ — ქართულს აუცილებლად ვისწავლი მამაჩემმა ხომ ისწავლა უკრაინული, მე ქართულს ვისწავლი. დედაჩემმა იცის ბევრი ქართული სიტყვა.

მამა და დედა. ვინ არიან ისინი? გერაზი მამიაშვილი ხაშურში დაიბადა. სამხედრო სამსახურს ყაზახეთში გადიოდა. იქ გაიცნო ყამირზე კომკავშირული საგზურით ჩასული უკრაინელი გოგონა ვერა კრივინი. შეუყვარდათ ერთმანეთი ქერთამიან ქართველსა და შავთვალა უკრაინელს...

ვინა თქვა, თითქოს მხოლოდ გოგონებს იტაცებენო. თუ საქიროა, ვაჟკაცის მოტაცებაც შეიძლება.

ვერამ ქმარი უკრაინის ქალაქ კონოტოპში ჩაიყვანა. მისმა დედამ — ტატიანა კრივინმა — შეათვალა იერა მოსხლეტილი მზემოკიდებული ჭაბუკი და უკრაინულად უთხრა: „გამარჯობა, შვილო!“ და ატირდა. დედები ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ტირიან. გერაზი გვერდით მიუჯდა, მხრებზე შემოხვია ხელები სიდერდს და უთხრა:

— სატირალი რა გაქვთ? ვერა ჩემისთანა ქმარს მთელ კონოტოპში ვერ იპოვიდა!.. ყველაფერი კარგად იქნება. ამას გერაზი მამიაშვილი გეუბნებით!

მართლაც მათი ცხოვრება ისე წარიმართა. როგორც ოჯახის თვამა თქვა. თითქმის 25 წელია, რაც ერთად არიან. სამი შვილიც გაზარდეს. ხშირი სტუმრიანობა აქვთ. გულთბილად მასპინძლობენ...

სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მამიაშვილი ამბობს: — რაც თავი მახსოვს, მამა ყოველთვის ძლიერი იყო. ორმოცდა-

ათს გადასცილდა, მაგრამ ღერძზე ათჯერ ადვილად იწევა და კუთხეს
კიბავს. ახალგაზრდობაში ქართულ ქიდაობას მისდევდა. ჩემი და
ჩემი ძმების პირველი მწვრთნელი მამაჩემია. როცა წამოვიზარდე, მის
სამშობლოში ვიყავი — ხაშურში. მეოთხედმა საუკუნემ განვლო. მაგ-
რამ იქაურებს მამაჩემი ახსოვთ. ასე მითხრეს, მასთან ქიდაობა გვიძ-
ნელდებოდა, ძალიან ღონიერი იყო...

მიჭირს მამაჩემის პროფესიების ჩამოთვლა: ტრაქტორისტი, ბულ-
ლოზერისტი, გრეიდერისტი, შოფერი, კალატოზი, დურგალი, მეძა-
ქაშე — ყველაფერი ემარჯვება. ძალიან უყვარს შრომა. საღამოობით
იშვიათად ნახავდით შინ. მეზობლებს მშენებლობაში ეხმარებოდა.
მოვიდოდა ამხანაგი და ეტყუოდა: „წავიდეთ, გრიშა“ — ასე გადააყე-
თეს მისი სახელი გერაზი. მამას არასოდეს აუღია ფული მეზობლე-
ბისაგან. ის ამბობდა: ეს აღარც მეზობლობაა და აღარც ქართველო-
ბაო, თუ ვინმე ვინმეს წაეკიდება. მამაჩემთან გამოსწევს, რომ მტყუ-
ანი და მართალი გაარჩიოს. მთელი ქალაქი პატივს სცემს მართალი
კაცობისთვის. ეს ძალიან შეამაყება. დედა არასოდეს შედავებია მა-
მას, მაშინაც კი ხმას არ იღებდა, როცა სავსებით მართალი იყო.
მერე მამა თვითონ აღიარებდა ხოლმე, ეტყუოდიო. ჩვენ სახლში
ქართული კანონებია: მამა ოჯახის თავია და ამით ყველაფერია ნა-
თქვამი. როცა ჩვენ, ბავშვები, ავად გავხდებოდით, სურათი იცვლე-
ბოდა: ოჯახის თავი უკვე დედა ხდებოდა, მამას კი ავადმყოფი ხელ-
ში აყვანილი დაჰყავდა. დედა საყვედურობდა. ნახად ზრდიო.

ჩვენს ეზოში 10—15 მეზობლის ბავშვი იყრიდა თავს. ზოგი
ღერძზე ტრიალებდა, ზოგი გირვების აწევას ცდილობდა. ჩვენი ყვი-
რილით დაღლილი დედა ნატრობდა, ნეტავ ოდესმე ეღირსება ჩვენ
ეზოს სოფნარეო? მამა კი არასოდეს არ ღიზიანდებოდა. მისი მრწამ-
სი ასეთი იყო, რაც უფრო ბევრი მეგობარი ეყოლება ჩემ შვილებს,
მით უკეთესიაო.

აი, ასეთი აქტიური იყო მომავალი მსოფლიო ჩემპიონის: ბავ-
შვობა. მიშა მამიაშვილის ცხოვრებაში განსაკუთრებული ხანა დაუდ-
გა მაშინ, როცა მეცადინეობა დაიწყო კლასიკურ ქიდაობაში ანატო-
ლი ეფრემოვთან. დარბაზი ერთი ციციქნა იყო, დაბალქერიანი, მაგრამ
მწვრთნელს მაღალი მისწრაფება ჰქონდა — ყველაფერი ესწავლებინა
ბიჭებისათვის, რაც კი იცოდა.

მთელი წლის განმავლობაში მიხეილს არ გაუცდენია არც ერთი
წვრთნა. მეცადინეობებზე სამასამდე კისრულს აკეთებდა. „გაზნექ-
ვით“ გდება კი არც იცოდა და არც იცის, ვერ დაამუშავა, საამისო
ადგილი არ ჰქონდათ, შიშობდნენ, კედელს არ შეხებულებოდა.
მწვრთნელი იძლეოდა ბრძანებას: ყველანი ხიდურზე გადადითო, თვი-
თონ კი დარბაზს ტოვებდა, საქმეებს იმიზეზებდა. როგორც კი

მწვრთნელი კარს გაიხურავედა, ბიჭები ლაყბობას იწყებდნენ, მხოლოდ მიშა ვარჯიშობდა, იგი არც მწვრთნელს ატყუებდა და არც საკუთარ თავს. სწორედ ამიტომ ელაპარაკობთ დღეს მის შესახებ.

ამის შემდეგ ერთი წელიც არ გასულა და იგი სუბის ოლქის ჩემპიონი გახდა, ცოტა მოგვიანებით გაიმარჯვა „შრომითი რეზერვების“ პირველობაში, მაგრამ საკავშირო სპარტაკიადზე არ წაიყვანეს. გუნდის ჩელმძღვანელმა, მწვრთნელმა ლეონენკომ თავისი მოწაფე გაგზავნა. თანაც მიშას წინადადება მისცა წმინდად წაეგო მასთან. მიშამ მეტოქე ბეჭებზე დააწინა და ლეონენკომაც ქირვეული მოწაფე დასაჯა. არაუინ იფიქროს, რომ განგებ არ ვასახლებ ლეონენკოს მოწაფის გვარს. არ ვიცი, ვინ არის. ქიდაობისათვის უკვე აღარც არსებობს ასეთი ადამიანი. მამიაშვილი კი არის და ძალიან დიდხანაც იქნება!

მიხეილი მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ პირველი ინდუსტრიალ-პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლე გახდა. მეცადინეობდა მწვრთნელ ერიკ ზადიხანოვთან. 17 წლისამ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, გახდა მოსკოვის პირველობის პრიზიორი მოზრდილთა შორის. შემდეგ კი...

დღევანდელ საკავშირო ნაკრებში პირველი ნომრების ერთი მესამედი „შრომითი რეზერვების“ აღზრდილია. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ საზოგადოება ძალზე პროფესიულად მიუღდა ჰაბტუკ მოჭიდავეებთან მუშაობის საქმეს. ქიდაობის სპორტული ცენტრის შექმნაში მეტად აქტიურობდნენ „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბორის ვორონკინი და ბევრი სხვა. მათ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია.

საზოგადოების ხელმძღვანელებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ მოქიდავეთა ცენტრს სჭირდებოდა ენთუზიასტი მწვრთნელი, ამიტომაც მოიწვიეს შორეული სარანსკიდან მოსკოვში ნიკოლოზ ესინი. სწორედ მან მოკიდა ნამდვილად ხელი მამიაშვილის წვრთნას. „ზადიხანოვი კვირაში სამჯერ მწვრთნიდა, ესენი კი — დღეში სამჯერ“.

ახლა გასაგებია, რატომ შეძლო მამიაშვილმა ერთ წელიწადში ასეთი აღმასვლა? დიახ, მისთვის ეს ძნელი იყო. წვრთნაში ისე იღლებოდა, რომ მეტროში ადგილს უთმობდნენ, ეგონათ, ავად იყო. სასწავლებლის კეება ნაკლებად შეესაბამებოდა იმ დატვირთვას, რასაც იგი უძლებდა. ფულს კი მშობლებს არ სთხოვდა — სიამაყე არ აძლევდა ამის ნებას.

ზოგჯერ სურვილი მოეძალებოდა, მიეტოვებინა ყველაფერი და გაქცეულიყო კონოტოპში. მშობლიურ სახლში, დედასთან, რომელიც უგემრიელეს ბორშჩს ამზადებდა. მაგრამ დროზე გაიხსენებდა მამის

მზერას — „ვერ გაუქმელი — სესტი ყოფილხარ!“, რა წერილებს სწერდა მისი პირველი მწვრთნელი ეფრემოვი: — „ვიცი, მოითმენ! შენ ყოველთვის ნებისყოფიანი იყავი“. მიხეილს ისიც არ ავიწყდებოდა, რომ მისი ახლანდელი მწვრთნელიც არანაკლებ იღლებოდა მეცადინეობებზე, ვიდრე მისი მოწაფეები, და ამიტომაც უფრო ითმენდა.

— მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ მთელ წელიწადს ასე გავდიოდი წვრთნას, ძირითადად ხალიჩაზე. ესინი არ ცნობდა არც ფეხბურთს, არც ფრენბურთს. ამბობდა კიდევ: — ჩვენ ფეხბურთელები კი არა, მოჭიდავეები ვართ. ჯერ ხალიჩაზე დგომა უნდა ვისწავლოთ! — ამის თქმაზე მამიაშვილი იღიმება და დასძენს, — მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ არავინ მალიზიანებდა. არავინ იცნობდა მოჭიდავე მამიაშვილს. შეკრებებზე არ მიწვევდნენ. მშვიდად გავდიოდი წვრთნას.

ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის მამიაშვილმა წააგო მინსკელ ალექსანდრე კოზოვსკისთან ანგარიშით 0:12. გაირკვა, რომ არ იცოდა, როგორ დაეცვა თავი ტრიალისაგან. მაგრამ მთავარია, რომ გაირკვა, მაშასადამე, თავდაცვაც გამოინახებოდა.

1983 წელს დაიწყო მოჭიდავე მამიაშვილის ვარსკვლავის ამობრწყინება. ძალიან პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე ბულგარეთში — მიკოლა პეტროვის მემორიალზე — მან ყველა მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 12:0. ფინალში შეხვედა მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ რუმინელ შტეფან რუსუს.

— პირველ პერიოდში მოუფე — 3:0 (ჩოქბჯენში ვადავიყვანე და დავატრიალე), მეორე პერიოდში მან, გაზნეჟვით გდება ჩამიტარა და სამი ქულა აიღო, მაშასადამე, დაწინაურდა. ევხეთქებოდი, როგორც კლდე. ძლიერია და მეტად ამტანი.

შერკინების დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე რუსუს გაფრთხილება მისცეს და ჩოქბჯენში დააყენეს. წამშობი დროზე არ შეაჩერეს და ორი წამიც გავიდა. რუსუ ჩოქბჯენში დადგა, შემომხვედა და თავხედურად გაიღიმა, თითქოს ამბობდა, ყოჩალი ბიჭი ხარ, მამიაშვილო, მაგრამ სამ წამში რას გახდები? შეცდა რუსუ: სამი წამიც დროა: როგორც კი მისცეს ნიშანი, იგი მაშინვე დავატრიალე. ერთი ქულა ავიღე. ანგარიში 4:3 გახდა და შეხვედრა მოვიგე. დადლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი. რუსუ კი მსაჯს არ აძლევს საშუალებას ხელი ამიწიოს. მე არ ჩავრეულვარ, ვიცოდი, რომ გავიმარჯვე. ეს კარგი განაცხადი იყო მომავლისათვის. ნაკრების მწვრთნელებმა ნდობა გამომიცხადეს.

დიახ, ენდნენ. როგორ არ ენდობოდნენ, როცა მან ნამდვილი სასწაულები მოახდინა. ერთი ამოსუნთქვით განვლო სსრ კავშირის

ხალსთა VIII სპარტაკიადა, ფინალში დამარცხა ალექსანდრე კოზოვსკი. მსაჯები აიძულა მთავარი მეტოქე ხალიჩიდან მოეხსნათ პასიურობისათვის.

აი, რას ფიქრობს თვით კოზოვსკი მამიაშვილზე.

— ნაცნობობა: მიშასთან ჩემთვის ძალიან საიმედოდ დაიწყო. პირველი შეხვედრა წმინდად მოვუგე — 12:0; ვიფიქრე, მეორე შეხვედრაშიც იგივე განმეორდება-მეთქი, მაგრამ ერთი ქულის უპირატესობას დავეჩერდი: 5:4; მესამე შეხვედრა კი წმინდად წავაგე. პასიურობისათვის მომხსნეს და სამართლიანადაც. უმოკლეს დროში დიდად დაოსტატდა. ძალიან ბევრს მუშაობს, რკინისებური ნებისყოფა აქვს! დაღლილობის ფონზე მისი ჭიდაობა ისეთივე ენერგიული იყო, როგორც შერკინების დასაწყისში. რომ იტყვიან. შეუძლებელი შეძლო. მეც ბევრს ვმუშაობ, მაგრამ მისოდენი არ შემოძლია.

იგი ძალიან გაიზარდა. წინათ მე შემეყურებდა. მაკვირდებოდა. ახლა კი, პირიქით, მე შევეყურებ... ჩვენთან ასეა. თუ შრომობ, პატივს გცემენ. თუ „ხნავ“, მაგრამ ვერ „იმიკი“. მაინც პატივს გცემენ. აღამიანად გთვლიან. ხოლო, როცა შედეგებს „მოუხვენელად“ აღწევ, — სპორტში ასეთი რამეც ხდება. — ხმას არ იღებენ. თუნდაც გენიოსი იყო. მაინც... მამიაშვილი კი ლიდერებში შრომამ გაიყვანა.

იცით, რა მათეებს მასში? უნარი, რომ მყისვე გარდაიქმნას, მყისვე განიწყოს საჭიდაოდ. 1983 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე კი-ევში იგი ფიქრობდა. რომ ქვეყნულში უკვე გაიმარჯვა. ტანსაცმელიც გამოიცვალა და ტრიბუნაზე მამასთან ერთად დაჯდა. უცებ მას საჭიდაოდ იწვევენ იაპონელთან. იმავე წამს, იქვე ტრიბუნაზე. გადაიცვა საჭიდაო ფორმა, გავიდა ხალიჩაზე და მოიგო კიდევ ძალიან ძნელი ორთაბრძოლა. ამას ცოტა ვინმე თუ მოახერხებს. იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ნამდვილი ჩემპიონი! ვფიქრობ გამოიგებთ, რისი თქმაც მინდა...

სპორტის დამსახურებული ოსტატი რომან რურუა: „ორთაბრძოლის დროს ის ირგვლივ არაფერს ხედავს და არც არაფრის დანახვა სურს. მის წინ მეტოქეა და იგი უნდა დაამარცხოს. ძლიერი ვაჟაკია მიხეილი. ყოველმხრივ ძლიერი“. სსრ კავშირის მთავარი მწვრთნელი გენადი საპუნოვი: „იგი ყოველ წვრთნაზე იმდენს იხარჯება, რამდენსაც მსოფლიო ჩემპიონატზე. სრულიად არ იზოგავს თავს. მამიაშვილი ძალიან პატიოსნად ეკიდება სპორტს. მწვრთნელებს უყვართ ასეთი ყმაწვილები. სამწუხაროდ. ისინი ბევრნი როდი არიან“.

აღბათ, ამიტომ არის, რომ ოცდაერთი წლის მიხელო მამიაშვილი

სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, „მე-გობრობა-84“-ის ტურნირის გამარჯვებული. ამიტომაც ამაყობს ასე გერაზი მამიაშვილი თავისი ვაჟით. მამამ მშობლიური საქართველოდან შორს გაზარდა ნამდვილი ქართველი ფალავეანი. ვანა ეს საამაყო არ არის?!

მომავალი

ეს კი წიგნის ყველაზე მთავარ გმირს — მომავალს ეხება. იგი ლეგენდის გმირია და ამირანს ეძახიან. იგი 12 წლისაა და სულ ახლახან დაიწყო ვარჯიში ბავშვთა სპორტულ სკოლაში.

გამხდარი, შავთვალა ბიჭუნაა. მისთვის შეიძლებოდა დაგვერქვა არსენა. გივი, დავითი, ვახტანგი, შოთა, რომანი, ლევანი და... ამირანი — ქართველი ჩემპიონების სახელისა და ღიღების მემკვიდრე. ეს მთავარია!..

გუშინ მან ფეხი ორძო. მწვავე ტკივილი ჰქონდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა წვრთნას. ხვეწდა ჩოქბჭენის მთავარ ილეთს — ორი ხელის ჩაქიდებას გვერდიდან. მწვრთნელმა ეს შენიშნა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ვარჯიშის დამთავრებისას მივიდა მასთან. ხელი მოჰხვია და უთხრა:

— ყოჩაღ, ამირანი! ეს ჩემგან გქონდეს...

მწვრთნელმა ყმაწვილს ყველა ქართველ სპორტსმენტა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონის გივი კარტოზიას ფოტოსურათი აჩუქა. ბედნიერების. სიამაყის და იმის გამოც, რომ ძალიან სტკიოდა ფეხი. ამირანმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა. მაგრამ ეს, გარდა მწვრთნელისა, არავის შეუშინებია.

მოდით ჩვენც ავარდოთ მზერა. მოდით ერთხელ კიდევ მივაქციოთ ყურადღება უმთავრესს. ამირანი ქართველი ფალაენების გამარჯვებათა ღიღების მემკვიდრეა. მისი უდიდესი უპირატესობა ყველა იმ გამოჩენილ მოქიდავესთან შედარებით, რომელთა შესახებ ამ წიგნში წაიკითხეთ, ის არის, რომ ამირანს მომავალი წინა აქვს.

ახტორისაგან

გამოჩენილი ქართველი მოქიდავეები ფალაგნების დიდი ოჯახია და, როგორც ყველგან, აქაც არიან ბაბუები. შვილები, შვილიშვილები... აი, უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტია, ვიცნობ ამ ადამიანებს და მიყვარს ისინი. ამ ხნის განმავლობაში სულითა და გულით მინდოდა შექმეკრიბა მთელი ეს ოჯახი, ყველა გოლიათი — ჭალარებიც და ჭაბუკებიც. მენახა ერთ დიდ სალხინო სუფრაზე და მივსალმებოდი: გამარჯობათ. მეგობრებო!

სწორედ ამ სურვილმა დამაწერინა ეს წიგნი.

გაგიმარჯოთ, მეგობრებო! გაგიმარჯოთ!



ამ წიგნის ავტორი. კილაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილას) პროპაგანდის კომისიის წევრი

ფალენების ესტაფეტა -- ანატოლი კოლესოვი	3
„საქიდაო“ — ეყუცაობის პიმნი (ექსკურსი ისტორიაში)	6
ყურძნის მტევანი ხელისგულზე (არსენ მეყოიშვილი)	15
ვისაუბროთ ოპტიმიზმზე (დავით ციმაკურიძე)	28
ცეცხლოვანი გული (გივი კარტოზია)	40
ამხანაგი პრეზიდენტი (ორაკლი სარაჯიშვილი)	56
მოკრდავე-მერცხალი (მირიან ცაქალაძანიძე)	62
სათნო სულის პატრონი რყო (ავთანდილ ქორიძე)	72
შის გამარჯვებათა ქრონიკა (რომან რურუა)	81
მოკრდავე ლეგენდა (ლევან თედიაშვილი)	99
ახალი ხანა (შოთა ჩოჩიშვილი)	112
„შე შეგობარი მყავდა“... (ვახტანგ ბლაგიძე)	123
„ხილზე მიედიოდი...“ (შოთა ხაბარელი)	131
„პროფესორო, მიილე გამოცდა!“ (ვახტანგ ბლაგიძე)	141
რაკველები ყველა ასეთია! (გიორგი სხირტლაძე)	153
უდიდესი ტაქტიკოსი რყო (როსტომ აბაშიძე)	162
მას ყველაფერი შეეძლო!.. (ელადიმერ რუბაშვილი)	172
ნეშპიონის ხასიათი (გურამ სალარაძე)	182
გამარჯვებული წაეიდა (შოთა ლომიძე)	192
გზა დიდხანს რხლართებოდა (ზარბეგ ბერიაშვილი)	203
ვარჯიში ლამით (გენადი გიორგაძე)	212
„თენება“ იოსები (იოსებ მაღალაშვილი)	216
რაინდობის გაკვეთილი (თემურ ხუბულური)	221
მოუკლავი წყურვილი (მიხეილ სალაძე)	220
მეათე ცდა (თეიმურაზ აფხაზავა)	240
ბიოგრაფია გრძელდება (თეიმურაზ ყაზარაშვილი)	249
მომთმენი ყმარვილი (სერგეი ტერნოვიჩი)	254
ქართული კონოტოპიდან (მიხეილ მამიაშვილი)	260
მომავალი	267
ავტორისაგან	268

რედაქტორი ნოდარ გუგუშვილი
გამომცემლობის რედაქტორი მზია ერისთავი
მხატვარი თამაზ შარიფაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლერი ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ეთერი ციხელაშვილი
კორექტორები: ელენე ფვანია, ნანა ბაზუაშვილი
გამომშვები ნელი მანაგაძე

ს. ბ. № 5213

გადაეცა წარმოებას 25.02.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად
05.02.87. უე 01224. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×90¹/₁₆.
გარნატური ვენა ბუქდვის სერხი შალალო. პირობითი ნაბეჭ-
დი თაბახი 17,0. პირ. სალ.-გატ. 17,13. საალრ.-საგამომც.
თაბახი 15,32.

ტირაჟი 40.000 შეკვ. № 280.
ფახი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
380029 თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სასელმწიფო კომიტეტის ბეჭდვი-
თი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

**Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательства, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.**